

მზია ანდროძეძევილი

ნაკვებები
ირანულ-ქართული
ენობრივი ურთიერთობიდან

I.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 1966

41 + 411
499.962.1 + 491.5
ა 648

ამ წიგნში გამოვლენილია შესწავლილია ირანული წარმომავლობის ლექსიკური ელემენტი, შეთვისებული ქართულ ენაში ქართველი ხალხის მრავალსაუნიოვანი ისტორიული ურთიერთობის შედეგად ირანული მოდგმა. სხვადასხვა ტომების წარმომადგენლებთან. შრომის მიზანია ასევე ირანულ ფორმებთან შეპირისპირების საფუძველზე დაგინოს აღნიშნული ელემენტების შემოსვლის გზები და დრო. მ ნაშრომში განხილულია ძირითადად ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში დადასტურებული ირანული წარმომავლოს სიტყვები და პირის საკუთარი სახელები. მოცემულია მათი ჟიმოლოგია და ქართულ-ირანული ბგერითი შესატყვისობის დადგენის ცდა განხილული მასალის საფუძველზე. მთელი მასალა განლაგებულია ირანულ ენათა ისტორიულ-დიალექტოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით: ძველი ირანული სიტყვები, ე. წ. სკვითურ-ალანგ-ოსური დიალექტური წრის სიტყვები, საშუალ-ირანულ ეპოქაში შეთვისებული სიტყვები (პართული და საშუალო სპარსული). ცალკე გამოყოფილი ირანული წარმომავლობის პირის სახელები.

წიგნი განკუთვნილია მეცერ-მეუშაკთა და ფილოლოგიური, ისტორიული, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტთათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სიტყვათა სესხება, როგორც ენის ლექსიკური შემადგენლობის შევსებისა და გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო, ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. უცხოური ენებიდან შეთვისებული ელემენტების გამოვლინება ყოველი ენის ისტორიული შესწავლის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეტაპია. ნასესხები მასალის გამოყოფას და გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, მონათესავე ენათა შედარებითი კვლევის პროცესში, განსაკუთრებით კი მონათესავე ენათა შორის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის დადგენისას; აღნიშნული შესატყვისობის შეუსაბამო დარღვევანი, ხშირად, შედეგია სესხების შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობისა.

ნასესხები მასალის გამიჯნვა მკვიდრისაგან ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით უძველესი ნასესხობებისა, სადაც შეთვისებული სიტყვების მსესხებელ ენასთან შეგუების პროცესი ძალიან შორს არის წასული. მაგრამ შეუძლებელი ეს არ არის: მსესხებელი და გამსესხებელი ენის ისტორიისა და გრამატიკული სტრუქტურის საფუძვლიანი ცოდნა, უმეტეს შემთხვევაში, საშუალებას იძლევა გამოვინახოთ კრიტერიუმი ნასესხები მასალის გამოსავლინებლად. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის ე. წ. „შინა ფორმის“, გავრცელების არისა და ნაწარმოებ ფორმათა შეპირისპირება ორივე ენაში, რა თქმა უნდა, იმ ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის გათვალისწინებასთან ერთად, რომელიც ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა შორის ყოფილა.

ფრიად საინტერესო მასალას იძლევა ამ თვალსაზრისით ქართული ენა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში მკვიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ირანულ ენებთან, რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიფერენცირებულ მონათესავე ენათა ჯგუფს როგორც ქრონოლოგიური, ისე დია-

ლექტოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ რომელთა შორის ფონეტიკური შესატყვისობანი საკმარისი სიზუსტით არის დადგენილი. აღნიშნულ ფონეტიკურ შესატყვისობათა გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ქართული ენის ლექსიკაში გამოვავლინოთ ირანულიდან შეთვისებული ისეთი სიტყვები, რომლებიც რამდენჯერმე არიან ნასესხები სხვადასხვა ეპოქაში ან თავისი ფონეტიკური სახის მიხედვით წარმოადგენენ ირანულ ენათა განსხვავებულ დიალექტურ წრეებს.

ქართული და ირანული ენების ლექსიკური ურთიერთობის კვლევას გარკვეული ზოგად-ენათმეცნიერული ინტერესიც ახლავს სესხების პრობლემის თვალსაზრისით, რამდენადაც ქართული და ირანული ენები წარმოადგენენ ისეთ სხვადასხვა სისტემის ენებს, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამავე დროს, ეს ენები დადასტურებულია უძველესი წერილობითი ძეგლებით, რაც საშუალებას იძლევა ვიკვლიოთ ნასესხები სიტყვების ისტორია წერილობით ძეგლებში დამოწმებული მასალის საფუძველზე.

ირანულიდან შეთვისებული სიტყვები ქართულში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათისა არიან და მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტური წრიდან. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს, იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული სიტყვები თუ ხელოვნური, წიგნური გზით შემოსული სიტყვები, ირანული გზით მომდინარე ე. წ. ინტერნაციონალური სიტყვები თუ ირანული წარმოშობის სიტყვები, შემოსული სხვა ენათა მეშვეობით (სომხურის, ბერძნულის, თურქულისა და სხვა), ე. წ. შებრუნებული ნასესხობანი და სხვა. მათი შესწავლა, ჩვენ ვფიქრობთ, საინტერესო მასალას მოგვცემს ქართული ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის და მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს, აგრეთვე, ქართველური და კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის საქმესაც, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ქართული ენა მათ შორის ერთადერთი ენაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიცია აქვს.

ირანული წარმოშობის ლექსიკური ელემენტების შესწავლა ქართულში გვარწმუნებს აგრეთვე, რომ მათ გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თვით ირანული ენების ისტორიის შესწავლის საქმეში. ქართულ ენაში ირანული სიტყვები დამოწმებულია ამ ენათა განვითარების ყველა საფეხურზე (ძველი, საშუალო და ახალი), დამოწმებულია უმეტეს შემთხვევაში კარგად შენახული ფონეტიკური სახით. მაგალითად, ქართული ფორმები ირანულიდან მომდინარე სიტყვებისა, ასეთსავე სიტყვებთან შედარე-

ზით სომხურში, ზოგჯერ მეტ არქაულობას ამჟღავნებენ, ზოგჯერ უფრო ახალი ფორმით არიან წარმოდგენილი, როგორც წესი კი (განსაკუთრებით ხმოვნების სფეროში) უფრო ახლოს არიან ირანულ ორიგინალებთან. ქართულს თავისი მდიდარი თანხმოვანთა სისტემით, ისე როგორც სომხურს, საშუალება აქვს საკმაოდ ზუსტად გადმოსცეს ირანული თანხმოვნები და დიალექტური დაპირისპირებანი, დამყარებული სისინა და შიშინა თანხმოვანთა განსხვავებაზე. ამ მხრივ ქართულ ენას უპირატესობა აქვს ბერძნულთან და არამეულთან შედარებით, რადგან, როგორც ცნობილია, ბერძნულს არ გააჩნია ირანული ზ, ჰ, ღ, ႁ-ს შესაბამისი ბგერები, ხოლო არამეული დამწერლობა ერთი ნიშნით გადმოსცემს ირანულ ზ, ჰ, ღ, ႁ ბგერებს.

ზემოაღნიშნულის გამო, ქართულ ენას, რომლის ლიტერატურული ძეგლები უკვე V საუკუნიდან გვაქვს ახალი წელთაღრიცხვით, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, მაგალითად, სპარსული ენის ისტორიის შესწავლისა და განსაკუთრებით საშუალო სპარსული წარმოთქმის დადგენის საქმეში, რისთვისაც ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენს უცხოურ ენებში სპარსულიდან შესული ლექსიკა. მონაცემები ქართული ენისა, უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში დამოწმებული ირანული ლექსიკური ელემენტების სახით, ძეგლებში, რომლებიც ზოგჯერ ირანული მოდგმის ხალხებსა და ქართველებს შორის არსებული ისტორიული ურთიერთობის ამსახველი საუკეთესო წყაროებიც არიან, უეჭველია, მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს იმ დამხმარე წყაროებს შორის, რომლებიც ირანისტიკას ესაჭიროება, მეტადრე ზოგიერთი ისეთი ირანული ენების მიმართ, რომელთაც ხანგრძლივი მწერლობის ისტორია არა აქვთ ან მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემები მოეპოვებათ, შესრულებული იდეოგრაფიული დამწერლობით.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს მრავალი წლის მუშაობის შედეგს. მისი მიზანია გამოავლინოს ქართულ ენაში არსებული ირანული ელემენტები მისი განვითარების მთელ გზაზე და შეძლებისდაგვარად განსაზღვროს მათი შემოსვლის გზები. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში დამოწმებული სიტყვები (V — XV, XVI სს.), რომლებსაც ძირითადად იყენებს, როგორც მასალას, ეს შრომა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად; ირანული წარმომავლობის ლექსიკა დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი თანამედროვე სალიტერატურო ენაში, ქართული ენის დიალექტებში და აგრეთვე სხვა ქართ-

ველურსა და კავკასიურ ენებში; ამ უკანასკნელთა სისტემატურით შესწავლა მომავლის საქმეა. შრომაში შეძლებისდაგვარად გამოყენებულია ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალა დიალექტური თუ მონათესავე ქართველური ენებისა ძველი ქართულის მონაცემებთან შეპირისპირების მიზნით. ჩვენი კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ქართულში შემონახულ ირანულ ელემენტებს შორის შეიძლება გვხვდეთ სიტყვებს, რომლებიც განეკუთვნებიან ძველ, საშუალო და ახალ ირანულ ეპოქებს, რომლებიც ატარებენ კვალს სხვადასხვა დიალექტური წრეებისა. მეტწილად ესენია ჩრდილო-ირანული (სკვითურ-ალანურ-ოსური), ჩრდილო-დასავლური (ე. წ. პართული) და სამხრეთ-დასავლური (სასანური, ფალაური და ახ. სპარსული), რომ არაფერი ვთქვათ ე. წ. სპარსულ-არაბულ ლექსიკაზე, რომელიც X—XI საუკუნიდან დიდი რაოდენობით გვხვდება ქართულში, ისე როგორც ბევრ თანამედროვე აღმოსავლურსა და კავკასიურ ენაში.

ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია თავის შრომებში. მათ შორის არიან ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეები და ირანისტები: ფ. იუსტი, პ. ჰიუბშმანი, კ. ზალემანი, ა. მეჟე, ე. ბენვენისტი, პ. ბეილი, იუსტ. აბულაძე, გ. ახვლედიანი, ვ. აბაევი, გ. წერეთელი, მ. ხუბუა, დ. კობიძე, ვ. ფუთურიძე; არმენისტები — პ. აქარიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე; ქართველოლოგები — ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიულად ეს საკითხი არავის შეუსწავლია; ამით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი უზუსტობა და აზრთა სხვაობა, რაც გვხვდება მათ შრომებში როგორც ცალკეული ირანული სიტყვების ახსნისას, ისე ირანული სიტყვების ქართულში შემოსვლის გზების გარკვევისას.

ირანული ელემენტების გამოვლინების მიზნით ჩვენ შევისწავლეთ დიდი მასალა ძველი ქართული ლიტერატურის ძირითადი ძეგლების სახით V საუკუნიდან XV—XVI საუკუნემდე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ელემენტების ყველაზე ძველი ნაწილი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უბრალო ნასესხობანი, ისინი ქართული ენის ორგანულ ნაწილს შეადგენენ, ისინი შედიან მისი ლექსიკის ძირითად ბირთვში. ბევრ მათგანს შესატყვისებიც აქვს მონათესავე ქართველურსა და კავკასიურ ენებში, რაც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ისინი შეთვისებულნი უნდა იყვნენ ჯერ კიდევ საერთო ქართველური ენის მიერ მის დიფერენციაციამდე. ამ ელემენტთა გამოვლენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, შედარებითი ქართველოლოგიის განვითარების შემ-

დგომ, ქართული სიტყვის სტრუქტურული ანალიზისა და ფონეტიკური სტრუქტურის შესწავლის შედეგად ა. შანიძის, ა. ჩიქო-ბავას, ვ. თოფურას, გ. ახვლედიანის, ს. ქლენტის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფოგტის, გ. დეეტერსის, კ. შმიდტის, გ. კლიმოვის და სხვათა შრომებში.

ამ უძველესი ელემენტების გამოვლინებას, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ირანისტიკის სწრაფმა განვითარებამაც, განსაკუთრებით საშ. ირანული ენებისა და ე. წ. სკვითურ-სარმატული დიალექტური წრის ირანული ენების შესწავლის სფეროში, რომელიც თანამედროვე ირანისტთა კვლევის ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური საკითხია. ამ მხრივ აღსანიშნავია ე. ბენვენისტის, ვ. ჰენინგის, ჰ. ბეილის, ვ. აბაევის, გ. ახვლედიანის, ი. გერშევიჩის, ო. კლიმას, ლ. ზგუსტას, იონ ჰარმატას და სხვათა შრომები. ზოგიერთ მათგანში (განსაკუთრებით ბენვენისტისა და ბეილის შრომებში) ოსურისა და სომხურის გვერდით გამოყენებულია ქართულში შემონახული ირანული წარმოშობის სიტყვებიც, თუმცა მათი ინტერპრეტაციით ქართულში არსებული თითქმის ყველა საშუალო ირანული სიტყვა ძირითადად სომხურიდან მომდინარედ ითვლება, ისე როგორც მანამდე ეს ჰიუბშმანისა და მეფეს შრომებში იყო მოცემული.

დიდი ხანია რაც შენიშნულია და მკვლევართა ინტერესს იმსახურებს ქართულში არსებული წყება ინდოევროპული სიტყვებისა, რომლებიც თითქოს არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც შეთვისებული იმ ცნობილი ინდოევროპული ენებიდან, რომლებზედაც მოლაპარაკე ხალხებს ქართველებთან ისტორიულად ცნობილი ურთიერთობა ჰქონიათ (მაგ. ირანულიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან, სომხურიდან და სხვა).

უკანასკნელ ხანებში ეს საკითხი ყურადღების ცენტრშია ჩვენშიაც (გ. მელიქიშვილი, გ. კლიმოვი, გ. წერეთელი, თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი) და საზღვარგარეთაც, სადაც ქართული ენისადმი განსაკუთრებული ინტერესი უმთავრესად გამოწვეულია ქართული და კავკასიური ენების დაკავშირების შესაძლებლობით, ერთი მხრივ, ბასკურთან და ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს ენებთან, ხოლო, მეორე მხრივ, თრაკიულთან, ხეთურ-ლუვიური ჯგუფის ენებთან და სუმერულთან (რ. ლაფონის, კ. ბოუდას, გ. დეეტერსის, ჰ. ფოგტის, ლ. აიხბერგის და სხვათა შრომები, იხ. ლიტერატურის ნუსხა). დიდ ინტერესს შეიცავს აგრეთვე უკანასკნელ ხანებში დადგენილი ტიპოლოგიური მსგავსება ქართველური და ინდოევროპული ენების სტრუქტურათა შორის. მაგრამ როგორც ლექსიკური შეხვედრების, ისე ტიპოლოგიური მსგავსების

ახსნა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი სირთულე, ჩვენი ფიქრით, იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ლექსიკის ისტორია სხვადასხვა ინდოევროპულ ენებთან ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. სხვადასხვა ავტორების მიერ საილუსტრაციოდ მოტანილი მასალის განხილვა გვარწმუნებს, რომ უმრავლესობა „უცნობი“ ინდოევროპული ენებიდან შეთვისებულად მიჩნეული ქართული სიტყვებისა შეიძლება ადვილად გამოვიყვანოთ ქართულთან კონტაქტში მყოფი ცნობილი ინდოევროპული ენებიდან (ირანულის, ბერძნულის, ლათინურის, სომხურის სახით). რაც შეეხება სლავურსა და ჩრდილო-ევროპულ ლექსიკურ პარალელებს (მ. ჯანაშვილის, ა. გლეგისა და სხვათა შრომებში) ზოგი მათგანი ქართულში და სხვა კავკასიურ ენებში შეიძლება მოხვედრილიყო სკვითურ-ალანური ენების მეშვეობით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამით არ უარვყოფთ ქართველურ ენებში უცნობი ინდოევროპული სიტყვების გარკვეული ფენის არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ ამ დებულებას ლინგვისტური დასაბუთება ესაჭიროება. სახელდობრ, თვითეულ ცალკე შემთხვევაში ვერ გამოვრიცხავთ სესხებას ჩვენთვის ცნობილი, ქართველურ ენებთან კონტაქტში მყოფი ენებიდან, სანამ თვითეულ ამ ენასთან ან ენათა ჯგუფთან, ენობრივი კონტაქტების საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი არ იქნება. ყოველი ცალკე სიტყვა შემოწმებას მოითხოვს ფონეტიკური შეპირისპირების გზით ამოსავლად მიჩნეულ ფორმასთან შესადარებელ ენათა ისტორიული ფონეტიკის, ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიის გამოყენებით, რომ არაფერი ითქვას ტიპოლოგიური დამთხვევების შესახებ ონომატოპოეტური, ექსპრესიული და სიმბოლური ლექსიკის სფეროში. გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ქართველურ ენებთან კონტაქტში მყოფი ისტორიულად ცნობილი ზოგი უძველესი ენა (მაგ. მიდიური, სკვითური და სხვა) ცნობილია მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემებით, ტოპონიმიკური თუ პირის სახელებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათთან ენობრივ კონტაქტში მყოფმა ქართველურმა ენებმა შემოგვიანახა მათი დაკარგული (ან დღეისთვის უცნობი) ლექსიკის ნაწილი.

თ ა ვ ი I

ძველი ირანული ლექსიკური ელემენტები ქართულში

ისტორიული ცნობები საშუალებას იძლევა ვიგულისხმოთ ქართველი ტომების ენობრივი ურთიერთობა ე. წ. ძველ ირანულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებთან. სახელწოდებაში „ძველი ირანული“ იგულისხმება, — გარდა წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ძველი სპარსულისა და ავესტურისა, — სკვითური, მიდიური, უძველესი საფეხური პართულისა, პაშტოსი და სხვათა, რომლებიც მხოლოდ საშუალო და ახალი ირანული ფორმებით არიან წარმოდგენილი. მეტ-ნაკლები სისრულით ლექსიკური შეხვედრები ქართულისა საგულვეტელია ყველა ძირითად ძველ ირანულ ენობრივ იდიომთან. ისტორიულ-არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ამაში გვარწმუნებს ქართულში დადასტურებული ზოგიერთი უძველესი ირანული ლექსიკური და ონომასტიკური ელემენტის ფორმა, რომელიც ამა თუ იმ ძველი ირანული დიალექტის კვალს ატარებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მიდიური და სკვითური, რამდენადაც მიდიელებსა და სკვითებს უშუალო ტერიტორიული კონტაქტიც ჰქონდათ ქართველ ტომებთან.

მიდიური ელემენტების შესახებ ქართულში

მიდიელებმა, რომლებიც ირანელ ხალხთაგან პირველნი გამოვიდნენ ისტორიის ასპარეზზე VII საუკუნის ბოლოს ჩვენს ერამდე, პოლიტიკური ჰეგემონია მოიპოვეს საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის მოსაზღვრე ტერიტორიაზე. მიდიის სამეფო ჩამოყალიბდა ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ტერიტორიაზე, რომელიც ამიერკავკასიას სამხრეთ-აღმოსავლეთით ეკვროდა (ძირითადად თანამედროვე ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). გაძლიერებულმა მიდიელთა სახელმწიფომ ბაბილონელებთან კავშირში VII საუკუნის ბოლოსათვის დაამხო ასირია, ხოლო VI საუკუნის

დასაწყისში ურარტუც (590 წ.). მიდიელებთან ერთად ურარტუს დამხობაში მონაწილეობას იღებდნენ ამიერკავკასიის ტომებიც სკვითებთან ერთად, როგორც ამას ურარტუს გათხრების დროს მოპოვებული სკვითური ისრის წვერები მოწმობს¹. უეჭველია, ამ დროისათვის ცხოველი პოლიტიკური და ენობრივი ურთიერთობაა საგულვეტელი მიდიელებსა და ქართველ ტომებს შორისაც. რომ ქართველები (იბერიელები) მიდიელებთან გარკვეულ კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, ამას მოწმობს თუნდაც სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიელები მიდიურად იყვნენ გამოწყობილი: იბერიის „ბარში ცხოვრობენ ის იბერები, რომლებიც უფრო მიწათმოქმედებას ეწევიან და მშვიდ ცხოვრებას მისდევენ, შეიარაღებულნი (აღჭურვილნი) სომხურად და მიდიურად, ხოლო მთიანი ნაწილები უჭირავს უმეტესად მეომარ (მოსახლეობას), რომელიც თავისი ცხოვრების წესით სკვითებსა და სარმატებს ემსგავსება, რომელთაც ემეზობლება და ენათესავენა კიდევ...“ (სტრაბონი, XI, 3,3).

სამწუხაროდ, მიდიელთა ენა არავითარი წერილობითი ძეგლებით არ არის დამოწმებული, მის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მხოლოდ ბერძნული და ასურული წყაროების მიერ მიდიურად წოდებული საკუთარი სახელები. პეროდოტეს მიერ შემონახული მიდიური სატომო სახელები და რამდენიმე სიტყვა, ისე როგორც ასურელ მეფეთა წარწერებში დაცული საკუთარი სახელები (კერძოდ, სარგონის წარწერაში 721 — 705 წწ. ძვ. წ.), გარკვევით იმაზე მოწმობენ, რომ მიდიელები ირანულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. შდრ. ტომობრივი სახელი Aryazanti ‘არიული მოდგმისა’, sarka ‘ძალი’ (ავ. span, ძვ. სპ. saka) და სხვა. ძველი სპარსულისა და ავესტურის მონაცემებთან ამ მწირი ცნობების შეპირისპირებით, მეცნიერები ახერხებენ იმის გარკვევას, რომ მიდიური ენა ძალიან მცირედ განსხვავდება ძველი სპარსულისაგან და ეს განსხვავებაც დაიყვანება ზოგიერთ ფონეტიკურ თავისებურებამდე, რომელიც სპარსულს სხვა ირანული ენებისაგან განსხვავებით ახასიათებს (ეს არის მიდ. z, ძვ. ირ. z, ძვ. სპ. d-ს ნაცვლად, მიდ. s, ძვ. ირ. s, ძვ. სპარს. θ-ს შესაბამისად და სხვა). ისეთი სიტყვები, რომელთაც ძველ სპარსულში მოსალოდნელი d-ს ნაცვლად z აქვთ, მიჩ-

¹ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959; И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956; И. Алиев, Мидия — древнейшее государство на территории Азербайджана (Очерки по истории Азербайджана), Баку, 1956.

ნეულია ნასესხებად მიდიურიდან¹. ძველმა სპარსულმა აქამენიდების ლურსმული წარწერების სახით შემოგვიწვინა მიდიურიდან ნასესხები სიტყვები, მათ შორის ადმინისტრაციული, სამხედრო, რელიგიური და სხვა ტერმინები, ეთნიკური, გეოგრაფიული და პირის საკუთარი სახელები. ყველა ამ მასალის შესწავლა მეცნიერებს საშუალებას აძლევს მიიჩნიონ მიდიური ძირითად ძველ ირანულ წარმომადგენლად ე. წ. ჩრდილო-დასავლური დიალექტური ჯგუფისა. მასთან უახლოეს ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდა პართული (საშ. ირანული), რომელსაც ვ. ჰენინგი განსაზღვრავს, როგორც მიდიურის დას (Schwestersprache)². ასეთ პირობებში რაიმე პოზიტიურის თქმა მიდიურიდან ნასესხები სიტყვების შესახებ ძნელია, მაგრამ მათი არსებობა სავსებით მოსალოდნელია და განსაკუთრებით საინტერესო როგორც ქართული ენის, ისე თვით ირანული ენების ისტორიის თვალსაზრისით. პ. ჰიუბშმანი ირანულიდან ნასესხებ ზოგიერთ სიტყვას სომხურში მიდიური წარმოშობისად მიიჩნევს გარკვეული ფონეტიკური თავისებურების საფუძველზე³. როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი ქართული ნასესხების შესახებაც ირანულიდან, და სომხურის მონაცემები ამ მხრივ შესაძლოა გაფართოვდეს კიდევ. მიდიურიდან შეთვისებულად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ქართულში დადასტურებული საკუთარი სახელები — ფარნავაზ და არტავაზ, ასევე, რა თქმა უნდა, ზოგიერთი სხვა სახელიც.

არტავაზ-ი გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. იგი სახელია ორი პიროვნებისა:

1. არტავაზ — სომეხთა მეფის არტაშანის ძე.

„მაშინ წელსა მესამესა მოვიდა სუმბატ ბივრიტიანი და ორნი ძენი მეფისანი არტავაზ და ტიგრან, ყოვლითა სპითა სომხითისათა“ (ლ. მრ. 49₁₀).

2. არტავაზ — ძე საურმაგ სპასპეტისა, ვახტანგ გორგასალის ძუძუსმტე, კლარჯეთის ერისთავი.

„და ეგოდენსა სიმრავლესა სპათასა იცნობებოდა ჯმა ვახტანგისი, ვითარცა ჯმა ლომისა; და თანა ჰყვებოდეს მას ორნი მჭედარნი: არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა, და ბივრიტიანი სეფეწული“ (ჯუანშ. 156₁₀).

¹ A. Meillet, E. Benveniste, Grammaire du vieux-perse, Paris, 1931, გვ. 8—9.

² W. Henning, Mitteliranisch, Handbuch der Orientalistik, Iranistik, Leiden—Köln, 1953, გვ. 92—93.

³ H. Hübschmann, Armenische Grammatik, I, Leipzig, 1895, გვ. 1; A. Meillet, Vp, გვ. 9—13.

„და მოუწოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად, და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა“ (ჯუანშ. 177₂₀).

ძველი ირანული ფორმა აღნიშნული სახელისა არის Artavazdah — დადასტურებული აქამენიდების ლურსმულ წარწერებში, ავ. Ašavazdah¹, ბერძ. Ἀρταουδάσδης, ლათ. Artaosdes (მიდიელ მეფეთა სახელი), საშ. ირან. Artavazd, სომხ. Արտավազ²; სახელი გავრცელებულია მიდიის, ატროპატენის, სომხეთის სამეფო დინასტიებში; წარმოშობით მიდიურია. შედგენილია Arta + vazdah სიტყვებისაგან. H. W. Bailey თავის ერთ-ერთ უკანასკნელ შრომაში „Indagatio Indo-Iranica“ ამ სახელს Artavazdah თარგმნის ასე: nourishing the (potency of) truth ‘სიმართლის მზრდელი’ (მკვებავი)³.

2. ფარნავაზ - ი გვხვდება პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ძეგლში. იგი არის ერთ-ერთი პირველი ქართველი მეფის, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებლის, სახელი.

„და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა: აზოჲ ძე არან ქართველთა მეფისაჲ: და მოკუდა: და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ: ამან აღმართა: კერპი დიდი ცხვსა ზე და დასდგა სახელი მისი არმაზი: და მოქმნა ზღულდე წყლით კერძო: და პრქჳან არმაზ“ (მოქც. ქართ. 709₁₀).

„ქართლის ცხოვრებაში“ ფარნავაზი. (ლეონტი მროველის თხზულებაში) წარმოდგენილია, როგორც ქართლის პირველი მეფე ქართლოსის ნათესავთაგანი, ხოლო სპარსულად მისი სახელი არმაზია, იგი მამით ქართველია, ხოლო დედით ასპანელი სპარსი.

„მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა და დედულად სპარსი ასპანელი“ (ლ. მრ. 20₁₅).

„ამან ფარნავაზ მოზღულდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოკრებულნი აღექსანდრესგან, ამან აღაშენნა“ (ლ. მრ. 25₆).

„და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ

¹ F. Justi, Iranisches Namenbuch, 1963 (Reprografischer Nachdruck der Ausgabe, Marburg, 1895), გვ. 38—39.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 32.

³ Transactions of the Philological Society, 1960, გვ. 66.

ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის“ (ლ. მრ. 25₁₀).

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ლ. მრ. 26_ა).

სახელი ფარნავაზ არ არის დადასტურებული არც აქამენიდების ძველ სპარსულ წარწერებში, არც ავესტაში. გარდა ქართულისა და სომხურისა, იგი გვხვდება პონტოს სამეფოსა და მცირე აზიის სელევკიდების დროინდელ სადინასტიო სახელებს შორის. ცნობილია უმთავრესად ბერძნული, არამეული, ქართული და სომხური ფორმებით. შდრ. ბერძ. *Φαρνακίδης*, არამ. *prnbsu*, სომხ. *Փարնակի*. პირველი ელემენტი ამ სახელისა ირ. *farnah*, რომელიც ძველ სპარსულში მიდიურიდან შეთვისებულად ითვლება, მრავალი ირანული სახელის შემადგენლობაში შედის; მათ შორის აღსანიშნავია სკვითურ-სარმატული სახელები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს წარწერებიდან, იგი დადასტურებულია დამოუკიდებელი სახით ოსურშიც. შდრ. ოს. *farn* (ძველი სპარსულის შემდეგ მიდიურთან ყველაზე ახლო მდგომი ფონეტიკური ფორმით). *farna*-ს მნიშვნელობა არის 'ბრწყინვალება, ბედნიერება, დიდება, მეფური დიდება, ზეციური მადლი' და სხვა. ავესტაში ეს სიტყვა წარმოდგენილია, როგორც *x'arənah* - 'დიდება, ბრწყინვალება, ბედნიერება'. *Hoheit, Majestät*¹, საშ. სპ. *x'arr* 'დიდება, მეფური დიდება' და *farrax* 'ბრწყინვალება, დიდებული, ბედნიერი, ღირსეული'², ახ. სპ. *farrah, farr* და სხვა. ვ. აბაევის აზრით, ირანული პირის სახელებისათვის ნიშანდობლივი ისეთი სიტყვები, როგორიც არის *farna, xšāra* და *arta*, ირანელთა მსოფლმხედველობაში გაიაზრებოდნენ როგორც უმაღლესი ზეციური ძალა, მადლი, რომელსაც შეუძლია გამსჭვალოს მთელი ბუნება და ადამიანი, მსგავსად პირველყოფილი ხალხებისათვის დამახასიათებელი ცნებებისა, რომლებიც ცნობილია ორენდას, მანას, ვაკანის და სხვათა სახელწოდებით³. შეადარეთ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ბერძნულ წარწერათა საკუთარი სახელები: *Φάρναγος, Φαρνάκης, Φαρνάξω, Φαρναρος, Φარუης, Φარონჯაპიძის* და სხვა⁴.

¹ Chr. Bartholomae, *Altiranisches Wörterbuch*, Berlin, 1961, გვ. 1870.

² H. Nyberg, *Hilfsbuch des Pehlevi*, II, Upsala, 1931, გვ. 69.

³ В. Абаев, *Осетинский язык и фольклор*, I, М.-Л., 1949, გვ. 195.

⁴ L. Zgusta, *Die Personennamen griechischer Städte der nördlichen Schwarzmeerküste*, Praha, 1955, გვ. 157 — 161.

სახელი ფარნავაზ რომ სკვითურში იყოს დადასტურებული, შეიძლება გვეფიქრა მის ჩრდილო-ირანულ წარმომავლობაზე ქართულში, მაგრამ ცნობილ მასალაში იგი არსად არ ჩანს.

ჟ. იუსტი თავის ირანულ სახელთა ლექსიკონში აღადგენს სავარაუდოდ ძველ ირანულ ფორმას სახელისა ფარნავაზ, როგორც *𐎱𐎠𐎼𐎿𐎡𐎹* და მეორე შემადგენელ ელემენტად მიიჩნევს სიტყვას ხაზუ 'ხელი', ე. ი. იუსტის მიხედვით, ეს სახელი ნიშნავს 'ბრწყინვალე ხელის მქონეს, ხელბედნიერს', მაგრამ ეს ეტიმოლოგია გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვალთ ბერძნული ფორმიდან *𐎱𐎠𐎼𐎿𐎡𐎹*. ქართული და სომხური ფორმები კი გვიკარნახებენ, რომ მეორე ელემენტს კომპოზიციისას თავკიდურად აქვს *v*, და არა *β*, როგორც ეს ბერძნულში გვაქვს (ცნობილია, რომ ირანული *v*, მათ შორის სკვითურ საკუთარ სახელებში, ხშირად გადმოცემულია ბერძნული *β*-თი)¹; როგორც ჩანს, ქართული და სომხური ფორმები უფრო ახლოს დგანან ამოსავალ მიდიურ ფორმასთან, რომელიც შესაძლებელია, ჩვენი ფიქრით, აღდგენილ იქნეს, როგორც *Farnavazdah* — ანალოგიური ფორმა ზემოგანხილული *Artavazdah*-ისა, ქართ. არტავაზ, სომხ. *Արտավազդ*. ვ. აბაევი შესაძლებლად თელის აგრეთვე ფარნავაზის *vaz*- მივიჩნიოთ მიღებულად ძველ ირანულ სიტყვიდან *vaxdah* 'სიტყვა', რომელიც საშ. ირანულში (დასავლურ დიალექტებში) მოგვეცემა ფორმას *vaz*-; მაშინ მისი მნიშვნელობა იქნებოდა: 'ვისაც ბრწყინვალე, მაღლიანი სიტყვა აქვს, მჭევრმეტყველი'.

მიდიური წარმოშობისად შეიძლება ჩავთვალოთ აგრეთვე სიტყვები ბაგინი, მოგვი და, როგორც ამაზე პ. ჰიუბშმანი მიუთითებს, სომხურთან საერთო სიტყვები: განძი, სპილენძი და — სომხურისაგან განსხვავებული ქართული ფორმა — მასპინძელი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ბაგინი — ეს სიტყვა გვხვდება ბიბლიაში, ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში, „მოქცევა ქართლისაჲ“-ში. საბა მას განმარტავს, როგორც „ტადარი თაყვანისსაცემელი, სამსხვერპლო, ბომონი (წარმართთა ან პურიათა)“. განვიხილოთ რამდენიმე კონტექსტი:

„განარისხეს იგი ბაგინებსა მათსა და კერპებითა მათითა აშურებდეს მათ“ (ფს. 77₅₈).

„და პურიათაცა თანა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსახურებასა ვხედვედი“ (ე. მცხ. 85₇).

¹ შტრ. L. Z g u s t a, Personennamen..., გვ. 229; В. А б а с в, ОЯФ, გვ. 209.

„და დასცეს ხმ იგი კილამო: რომელი დგა კარსა ზედა ბაგინისასა: რომელი განაშუენებდა: ადგილსა მას რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი: ყოველსა მას სტოვასა ბაგინისასა“ (მოქც. ქართ. 786₁₄).

ამ სიტყვისათვის ამოსავალია ძვ. ირ. ფორმა* *bagaina*, რომელიც ნაწარმოებია სიტყვიდან *ხაგა* ‘ღმერთი’. შდრ. სკრ. *chaga*, ავ. *haxa*, რომელიც გათაში არ გვხვდება და ახალ აგესტაშიც იშვიათია. ძვ. სპარსული *ხაგა* მიდიურიდან ნასესხებ სიტყვად ითვლება¹. ფალაურში გვაქვს *ხაგ*² ‘ღმერთი’, მრ. *ხაგაი*, ფორმა *ხაგინ* მხოლოდ ქართულსა და სომხურში გვხვდება. შდრ. სომხ. *բային*³ *Altar*, *բյուճ*. ნ. მარი და ჰ. აქარიანი ქართულ ფორმას სომხურიდან შემოსულად თვლიან; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე ენაში იგი მიდიურიდან შევიდა. არ არის გამორიცხული სომხური მეშვეობაც, თუმცა რაიმე უეჭველი საბუთი ამისათვის არა გვაქვს.

2. *მოგჯ* — „იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი *მოგჯ*, რომელიც განბორებისა საღმობაჲ აქუნდა“ (მარტ. შუშ. 34₆).

„ხოლო იგი ასწავებდა მას, რადთამცა დაუტევა *მოგობაჲ* იგი და იქმნა იგი ქრისტიანე“ (მარტ. შუშ. 34₇).

„და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ „შვილნი იგი შენნი მიაქცინა *მოგობასა*“ (მარტ. შუშ. 35₆).

როგორც ამ კონტექსტებიდან ჩანს, *მოგჯ* აქ ცეცხლთაყვანისმცემლისა და ცეცხლისმსახურების — მაზდეიზმის — მნიშვნელობით არის ნახმარი, ისე როგორც ეგესტათე მცხეთელის მარტვილობაში:

„მამაჲ ჩემი *მოგჯ* იყო და მეცა მოგუებასა მასწავებდა და მე მოგუებაჲ არა თაგს-ვიდეე...“ (162₁₁).

ამ სიტყვის უფრო ძველი და ამოსავალი მნიშვნელობა აგრეთვე დადასტურებულია უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში:

„აჲა *მოგუნ* ი აღმოსავლით მოვიდეს“ (მათე, 2₁).

„და *მოგუნ* ი მოგუეთას მოგობდეს: ცეცხლისა მსახურებასა ზა“ (მოქც. ქართ. 721₁₄).

„და მოვიდეს *მოგუნ* ი ძღუნისა შეწირვად, და მათ *მოგუნ* თა შესლვასა იერუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას...“ (ლ. მრ. 25₂₇).

მოგჯ ‘ქურუმი’, საბას განმარტებით „ვარსკვლავთმრიცხველი“. შდრ. ძვ. სპ. *magus*⁴ (მიდიურიდან ნასესხებად ითვლება)

¹ A. Meillet, Vp, გვ. 12, 149.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 29.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 114.

⁴ A. Meillet, Vp, გვ. 165.

‘ქურუმი, მოგვი’, ავ. moγu, maγu¹, ფალ. maγūk, mōγ-mart², ახ. სპ. moγ 𐎎 ‘ცეცხლთაყვანისმცემელი’, თალმულ. 𐎎𐎍𐎎𐎎𐎎 ‘მოგვი, ქურუმი’, სომხ. մող, մողուխլան³ ‘მოგვობა, ზოროასტრელთა რელიგია, მაგია, გრძნეულება’, ბერძ. Μάγος ‘ქურუმი, ჯადოქარი, სპარსელი ბრძენი, მოგვი’ (პეროდოტე), ებრ. 𐤎𐤍 ‘მოგვი’.

3. განძი — ‘საუნჯე, საფასე’.

„და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწვდომელი“... (ლ. მრ. 15₁₈).

შდრ. ფალ. ganj ‘საუნჯე, საგანძური’, ახ. სპ. ganj — گنج ‘განძი, საუნჯე’, სომხ. դանջ, სკრ. ნასესხ. ganja, ბერძნ. γανჯα, არამ. ḡinza, gezza, არაბ. kanz. ეს სიტყვა ნიბერგს⁴ უცნობი წარმოშობისად მიაჩნია, ხოლო პიუბშმანი⁵ მას მიდიურად თვლის, მასვე უკავშირებს ქ. განძაკის სახელსაც (განჯა). სომხური ფორმა Գանձակ, თავისი գ-ს გამო, მას მიაჩნია მიდიურიდან ნასესხებად. ამას უჭერს მხარს ქართული ფორმებიც განძი, განძაკი.

4. ს-პილენძი — „...ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ...“ (მოქც. ქართ. 75₂₅).

„დაეტევა დამბადებელი და ქვათა, ძელთა და სპილენძისა, რვალსა გაჭედელსა, ღმრთად თაყუანის სცემენ“... (ლ. მრ. 55₁₂).

სომხური ფორმა, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ქართულთან; պղինձ⁶ პიუბშმანს, ისე როგორც განძი, მიდიურად მიაჩნია. შდრ. ახ. სპ. برنج⁷ ‘სპილენძი’, აგრეთვე پرنج ‘სპილენძი’, ქურთ. pirinjok, არაბ. برنج, სირ. parnog ‘სპილენძი’, თალმულ. 𐎎𐎎𐎎𐎎 და სხვა.

5. მასპინძელი — „სახლისა და ლხინის უფალი“ (საბა). ძველი ძეგლებიდან გვხვდება „აბოს წამებაში“:

„...ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ (57₁₄).

¹ AirWb, გვ. 1111.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 152.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 195.

⁴ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 38.

⁵ H. Hübschmann, Persische Studien, Strassburg, 1895.

⁶ Ա ճ ա ղ յ ա ն, Արմ. բառ., VI, გვ. 1076.

⁷ S. Haim, New Persian-English Dictionary, I, Tehran, 1934, გვ. 324.

ამ სიტყვასთან არის, როგორც ჩანს, კავშირში გეოგრაფიული სახელი ასპინძა, რომელიც ნიშნავდა 'სადგურს, სასტუმროს, თავშესაფარს'. შდრ. ფალ. *aspaij* 'დასასვენებელი ადგილი, სასტუმრო, თავშესაფარი', ტ. ფალ. *ispaij*, ახ. სპ. *spaij*, სომხ. *ասպնչակահ* 'მასპინძელი, სახლის პატრონი', თალმუდ. 'špʒ' 'ქარვასლა, ღამის გასათევი'¹, სირ. 'špza'. ეს სიტყვა ფართოდ არის ნასესხები სხვადასხვა ენებში. პ. ჰორნს მოჰყავს აგრეთვე ამ სიტყვის თურქული *ispənje*, სერბ. *spendža*, რუმინ. *spendže*, ბულგ. *ispenc*. მასვე მოყვანილი აქვს თავის წიგნში ლაგარდის ეტიმოლოგია, რომელიც ამ სიტყვას *asp*-ს (ცხენი) უკავშირებს. ლაგარდის ეს მოსაზრება, რომელიც ლენცზაც გაიზიარა, შეუწყნარებლად მიაჩნია ნიბერგს², რადგან არამეული ფორმები ამ სიტყვისა არ გვიჩვენებენ თავკიდურად ა-ს.

რა თქმა უნდა, სრული გარანტია იმისა, რომ ზემოგანხილული სიტყვები შეთვისებულია ქართულში უეჭველად მიდიურიდან და არა საშ. ირანულიდან (პართულიდან), არ შეიძლება გვეკონდეს, ზოგი მათგანი შესაძლოა სომხურ მეშვეობასაც გულისხმობდეს. მაგრამ მიდიურიდან უშუალო სესხებაც არ არის გამორიცხული, რამდენადაც ზოგი მათგანი მაინც განსხვავებული ფონეტიკური ფორმით არის წარმოდგენილი (ქართ. ძ მომდინარე ირ. z-საგან, სპარსული j-ს საპირისპიროდ). ონომასტიკონის, განსაკუთრებით ძველი ტოპონიმიკის, საფუძვლიანი შესწავლა, ჩვენი ფიქრით, ბევრ საინტერესოს გამოავლენს მიდიურ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. საინტერესოა ქართული ფორმები გეოგრაფიული სახელებისა: ადარბადაგანი, განძაკი, არშაკეთი და სხვა. თვით მიდიელთა სახელწოდება (ძვ. სპ. *Mada*) ქართულში, როგორც ჩანს, უშუალოდ ირანულიდან არ არის შემოსული. ძველ ქართულ ძეგლებში დადასტურებული ფორმები მიდი და მარი შეესაბამებიან სათანადო ბერძნულსა და სომხურ ფორმებს *Μηδοι* და *Μαρι*. პირველი მათგანი (მიდი) ბიბლიის ტექსტების გავლენით არის შეტანილი ძველ ქართულ ლიტერატურაში, ხოლო მეორე (მარი) მხოლოდ სომხურიდან ქართულად

¹ P. Horn, Grundriss der neupersischen Etimologie, Strassburg, 1893, გვ. 158.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 23.

ნათარგმნ თხზულებებში გვხვდება¹. საძებარია, თუ რას უწოდებდნენ ქართველები მიდიელებს უძველეს ეპოქაში? ქართული ტრადიცია თითქმის ყველა ირანულ ტომს მხოლოდ სპარსელების სახელით იცნობს.

ძველი სპარსული ლექსიკური ელემენტები ქართულში

ძველი ირანული ლექსიკური ელემენტების შეთვისება ქართულში არ არის გამორიცხული ძველი სპარსულიდანაც, რომელიც აქამენიდთა ლურსმული წარწერებით არის დადასტურებული და საერთო ხაზებში იმავე დიალექტური ტიპის ძველ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც განეკუთვნება² სასანური ფალაური და ახალი ლიტერატურული სპარსული. აქამენიდთა ძღვევამოსილი იმპერია, რომელმაც მიდიელთა საკმაოდ არამყარი ბატონობა შესცვალა, ჩამოყალიბდა VI საუკუნეში ჩვენს ერამდე, ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში — ფარსში. სპარსელთა სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა აქამენიდთა წარჩინებული გვარი, რის შედეგადაც სპარსელთა სახელმწიფომ აქამენიდთა სამეფოს სახელი მიიღო. დინასტიის პირველი წარმომადგენლის კიროსის (VI ს. შუა წლებიდან 529 წლამდე) დროს სპარსელების მიერ დაპყრობილ იქნა მცირე აზია, სირია, პალესტინა, ბაბილონი და სხვა. მისი მემკვიდრის კამბიზის დროს სპარსელებმა ეგვიპტეც დაიპყრეს. კამბიზის დაღუპვის შემდეგ სპარსეთში გამეფდა დარიოსი (521 — 486), რომელმაც შეძლო ჩაეხშო მრავალრიცხოვანი აჯანყებები დაპყრობილ ქვეყნებში და სპარსეთის სამეფო თავის ძველ საზღვრებში აღედგინა. დამპყრობელ ომებთან ერთად დარიოსმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი ეთნიკურად დაქსაქსული სამეფოს კონსოლიდაციისათვის, მოწესრიგდა ფულის მოჭრის სისტემა, განვითარდა გზების მშენებლობა, კავშირგაბმულობის სისტემა და სხვა. იმპერიის მთელი ტერიტორია დაყოფილ იქნა სამხედრო ადმინისტრაციულ ოლქებად ე. წ. სატრაპიებად; დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა აქამენიდებს მძიმე ხარკს უხდიდა, ამ ხარკთან ერთად დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას სპარსელები მათ ჯარის გამოყვანასაც აკისრებდნენ.

¹ იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I (აღმოსავლურ ენათა სერია), 1954 წ.

² A. Meillet, Vp, გვ. 4.

ცნობილია, რომ მე-5 საუკუნის პირველი ნახევრისათვის ძვ. წ. სპარსეთის სამეფოს ჩრდილოეთით ორ ოლქს ამიერკავკასიის სამხრეთით მოსახლე ქართველი ტომები შეადგენდნენ (ჰეროდოტეს ცნობით, მე-18 ოლქში მათიენები, სასპერები და ალაროდიები შედიოდნენ, ხოლო მე-19-ში — მესხები, ტიბარენები, მოსინიკები და სხვა)¹. გარდა ამ ორი სატრაპიისა (შავიზღვისპირეთში და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე) აქამენიდებმა ვერ შეძლეს უშუალოდ შეეყვანათ აქამენიდების იმპერიაში საქართველოს უფრო ჩრდილოეთი რაიონები (თანამედროვე აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო). პლუტარქეს ცნობით, იბერები არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს, არც სპარსელებს. ისინი მაკედონელთა ბატონობასაც კი გაეჭენენ. დასავლეთ საქართველოს შესახებ მოიპოვება ჰეროდოტეს ცნობა, რომ კოლხებმა, რომლებიც აქამენიდთა არცერთ სატრაპიაში არ შედიოდნენ, თავს იღვეს, სხვა მათ მეზობლებთან ერთად კავკასიონის ქედამდე, გადასახადის მაგიერ ყოველ ხუთ წელიწადში მიეტანათ ძღვენი აქამენიდებისათვის ასი ბიკისა და ასი გოგოს სახით (ჰეროდოტე, III, 97). შესაძლებელია გარკვეულ დამოკიდებულებაში იყო აქამენიდების იმპერიასთან აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც, თუმცა ისინი უშუალოდ არ ექვემდებარებოდნენ სპარსულ ადმინისტრაციას. გარდა „თავის ნებით მიტანილი გადასახადისა“, რომელსაც კოლხები აქამენიდებს აძლევდნენ, მათ, როგორც ჩანს, ევალეობდათ აგრეთვე სპიროების შემთხვევაში დამხმარე ჯარის გამოყვანა, როგორც ამას მოწმობს ჰეროდოტეს ცნობები იმის შესახებ, რომ ქსერქსეს ცნობილ ლაშქრობაში ბერძენთა წინააღმდეგ (480 წ. ძვ. წ. ა.) მონაწილეობდნენ თავისებურად აღჭურვილი კოლხებიც².

აღნიშნული დამოკიდებულების დროს არ შეიძლება არ ყოფილიყო გარკვეული ენობრივი ურთიერთობაც ძველ სპარსელებსა და ქართველ ტომებს შორის; მოსალოდნელია, რომ ქართული ენა შეითვისებდა ძველი სპარსულიდან გარკვეულ რაოდენობას საკუ-

¹ ჰეროდოტეს მიხედვით, სასპერები მათიენებთან და ალაროდიებთან ერთად შეადგენდნენ მე-18 სატრაპიას, მათ ყოველწლიურად უნდა გადაეხადათ 200 ვერცხლის ტალანტი; სამხრეთ აღმოსავლეთის შავი ზღვის სანაპიროები კმნიდნენ ცალკე მე-19 სატრაპიას. „მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებს და მარებს ევალეობდათ ყოველწლიურად 300 ტალანტი ვერცხლისა“ (ჰეროდოტე, III). იხ. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 234 და შემდეგ.

² იხ. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 236—238.

თარი და გეოგრაფიული სახელებისას, ზოგიერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულსა და კულტურულ ტერმინს, როგორც ეს აქამენიდების იმპერიასთან დამოკიდებული მრავალი ქვეყნებისა და ხალხების ენებში მოხდა. ჩვენ შევეცდებით გამოვაგლინოთ რამდენიმე მათგანი ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებსა და ისტორიულ წყაროებში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ეთნიკური და გეოგრაფიული სახელი სპარსელებისა Pārsa, რომელიც ქართულში სპარს-ისა და სპარსეთ-ის სახით არის შეთვისებული, უქვეველია აქამენიდების დროიდან. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ქართველები სპარსელებს უწოდებენ ირანული მოდგმის თითქმის ყველა ტომს და სპარსეთიც ირანის გეოგრაფიული ცნების გამოსახატავად იხმარება ძველ ქართულ ისტორიულ ტრადიციაში; ზოგჯერ ამ სახელით იხსენიებიან არაბებიცა და თურქებიც. ეს გარემოება შედეგია იმისა, რომ ქართულმა ენამ სპარსელთა სატომო სახელი იმ ეპოქაში შეითვისა, როდესაც სპარსელთა ტომის პოლიტიკური ჰეგემონია ვრცელდებოდა მთელს ირანზე და არა მარტო ირანზე,—ძღვეამოსილ აქამენიდების იმპერიის ეპოქაში.

სატომო სახელი სპარსი მრავალ ქართულ საისტორიო წყაროში გვხვდება, დადასტურებულია აგრეთვე ბიბლიის ტექსტებში; იგი შემონახულია, მაგალითად, უძველეს ძეგლებში: „შუშანიკის მარტვილობა“, „ეგისტათი მცხეთელის წამება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „გობრონის მარტვილობა“, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებში, „მატიანე ქართლისაჲ“ და დავით აღმაშენებლის მემატიანესთან, რომ არაფერი ვთქვათ უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებზე.

უძველესი ირანული ფორმა სატომო სახელისა სპარსი წარმოდგენილია აქამენიდების ლურსმულ წარწერებში ძვ. სპ. Pārsa-ს სახით, რომელიც იქ გამოყენებულია საერთო სახელწოდებად როგორც ხალხის, ისე ქვეყნისა და ენისათვის. ასე ეძახდნენ თავის თავს სპარსელები და სხვა ხალხებიც მათ ამ სახელწოდებით იცნობდნენ. საშუალო ირანული ფორმა Pārs-ი მეტწილად ქვეყნის (პროვინციის) აღმნიშვნელ სახელად გვევლინება, ხოლო ხალხისა და ენის აღსანიშნავად (სპარსელი, სპარსული) საჭირო გახდა აღიქმური სუფიქსის īk-ის დართვა. შეადარეთ საშ. სპ. pārsīk ‘სპარსელი, სპარსული’, ახ. სპ. pārsī იმავე მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ სომხურში დადასტურებული უფრო ძველი, ქართულის ანალოგიური ფორმის გვერდით պարս-ը ‘სპარსეთი, სპარს-

ნი' (ნათ. *ყარსიყ*) მოიპოვება უფრო გვიანდელი ფორმაც, ნაწარმოები საშ. ირანული *pārsik*-იდან; სომხ. *ყარსიქ* *ყარსკასთან* 'სპარსეთი', *ყარსკასქან* 'სპარსელი, სპარსული'¹.

რამდენიმე ირანული წარმოშობის საკუთარი სახელი უეჭველია აქამენიდების ეპოქის კუთვნილება და ძველი სპარსულიდან უნდა იყოს შეთვისებული ქართულში, რასაც მათი საშ. ირანული და სომხური ფორმებისაგან განსხვავებული ფონეტიკური სახე გვიჩვენებს. ასეთ სახელთა რიგს შესაძლოა მივაკუთვნოთ სახელები *არტაბან*, *ვაშტაშაბ*, *ღვთაებათა სახელები არმაზი*, *ზადენი* (*yazatān*) და სხვა. ზოგადი სახელებიდან აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით ფუძე *ართ-* სიტყვებში *მ-ართ-ალ-ი*, *მ-ართ*, შესაძლოა *არჯ-* სიტყვებში *მ-არჯ-ულ*, *მ-არჯ-უ-ენ-ე*, სიტყვა *ვანი*, აგრეთვე ზოგიერთი ზმნური ფუძე ძველი ირანული წარმომავლობისაა, რომლის უცხოურობა დღეს უკვე აღარ შეიგრძნობა. გ. მელიქიშვილის აზრით, აქამენიდების დროის სპარსულიდან არის შეთვისებული ქართულში სიტყვა *მონა-ც*. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

საკუთარი სახელები:

1. *არტაბან* — გვხვდება ლეონტი მროველთან (ვარიანტებში გვხვდება ფორმა *არტაშანიც*, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში უპირატესობა ეძლევა, იხ. გვ. 27²⁸, 30^{2,18}, 31⁴). იგი იქ სომეხთა მეფის სახელად გვევლინება. შესატყვისი სომხური ფორმა სახელისა *არტაბან* არის სომხ.

Արտավան, არაბ. *أرداوان* = *Ardavān*, რომლებიც საშ. სპ. *Arđavān* ფორმიდან მომდინარეობენ. ამოსავალი ძე. სპარსული ფორმიდან *Artabanu* მომდინარეობს ბერძნული *Ἀρτάβανος*, სირ. *'rtbn* და ქართ. *არტაბანი*, რომლებშიაც შენარჩუნებულია ძე. სპარსული ხ ხმოვანთა შორის, რომელმაც აღნიშნულ პოზიციაში საშ. ირანულში მოგვცა სპირანტი *w(β)*. ფ. იუსტი ამ სახელს თარგმნის: „dem Reinen Schutz gewährend“ — „ვინც წმინდა მფარველობის ქვეშ იმყოფება“². აღსანიშნავია, რომ ეს სახელი საშუალო სპარსული ფორმიდან გვაქვს დადასტურებული ქართულში იმავე ლეონტი მროველთან, ჩვენ მას ვხედავთ ფორმაში *არდამ* (ადარიმა —

¹ დაწვრილებით სპარსეთისა და სპარსის შესახებ იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, 1, 1954 წ.

² F. Justi, 1N, გვ. 31, 32.

დამახინჯებული ფორმით) — სპარსეთის მეფის აფრიდონის ერისთავი, რომელიც მან წარმოგზავნა ქართლის დასარბევად.

შდრ. „ამან (აფრიდონ) წარმოგზავნა ერისთავი თვისი სპითა დიდითა, რომელსა სახელი ერქუა არდამ, შვილი ნებროთის ნათესავთა“ (ლ. მრ. 13₆).

„ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დაჭშაკარი“. და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქუთაისითა“ (ლ. მრ. 13₉) და სხვა.

არდამ მიღებულია არდავ(ან) ფორმიდან ბოლომარცვლის ჩამოცილებისა და გ-ს მ-დ სუბსტიტუციის გზით სიტყვის ბოლოს. იგი ქართულში შემოსულია ან მოგვიანო ხანის სასაზღვრო ფალაურიდან, ან ახალი სპარსულიდან.

2. ამაზასპ — ვარიანტებით ამზასპ, ამზასპან, ამასპო, რომელიც სერაფიონ ზარზმელის ცხოვრებაში გვხვდება უკვე ვულგარული გაქართულებული სახით. „მოქცევაჲ“-ს ტექსტში, მეფეთა ნუსხაში ორი ამაზასპი გვხვდება:

1. „იე (მე-15): და მეფობდა იმიერ ამაზასპ და ამიერ დერუქ“.

2. და ცოტა ქვემოთ: „ქ და (მეფობდა) ამაზასპ“.

ლეონტი მროველთან: ამაზასპი — არმაზის მეფე აზორკის ძე (50₃₋₅), ამზასპი, ამაზასპი (მე-18 მეფე) ძე ფარსმან III-ისა (54⁴ 55, 56).

„და შემდგომად მათსა მეფობდეს შვილნი მათნი: არმაზს — ამაზასპ და შინა ქართლს — დეროქ“ (ლ. მრ. 50₃).

„ხოლო მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა, და ესუა ძე, და უწოდა სახელად ამაზასპ. და შემდგომად ამისსა მოკუდა ფარსმან. და შემდგომად მისსა მეფობდა ძე მისი ამაზასპ“ (ლ. მრ. 54₁₅).

სახელისათვის ამაზასპ ამოსავალია ძველი ირანული *Hamāzāspa. პირველ ნაწილად გვაქვს სიტყვა hamāza (სკრ. samāja) ‘კრებული, სიმრავლე, ჯოგი’ + aspa ‘ცხენი’. მთლიანად სახელის მნიშვნელობაა ‘ცხენმრავალი’. მსგავსი საკუთარი სახელები ხშირად გვხვდება ირანულში. შდრ. Habāspa (haba, სკრ. sabha ‘კრებული’ + aspa ‘ცხენი’), Baivaraspa = ქართ. ბევერასფი ‘ვისაც 10000 ცხენი ჰყავს’ და სხვა. სომხურში აღნიშნული სახელი დადასტურებულია აგრეთვე ფორმით *համազասպ, համაզասպხან*

‘ჰამაზასპიანი’, დინასტ. სახელი¹, ბერძნ. Ἰαμαζάσπης, Ἰαμαζάσπης, სომხურში დადასტურებულია აგრეთვე ქალის სახელი Hamazaspuhi ‘ამაზასპის ასული’. შდრ. ბ უ ს მ ი რ ო ფ უ რ ი ა — ბუსმირი (= Burzmihir) + ასული (puhri)².

3. ვაშტაშაბ — დადასტურებულია ქართლის ცხოვრებაში ლეონტი მროველთან:

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი, გოლიათი იგი და სახელოვანი“ (16₁₁).

სახელი ვაშტაშაბის ფონეტიკური ფორმა, უეჭველია, ძველი ირანულიდან შეთვისებაზე მიუთითებს, საშუალო სპარსულში ამ სახელმა მოგვცა გუშთასპ, რომელიც აგრეთვე დადასტურებულია „შაჰნამეს“ ქართული ვერსიებით და ლეონტი მროველის ტექსტის აზი-აზია მიწერილი, ალბათ, ვახტანგის „სწავლული კაცების“ მიერ. ქართული ვაშტაშაბ, როგორც ჩანს, წარმოადგენს გადმოცემას ძველი სპარსული Wištāspa-სი (დარიოსის მამის სახელი); ძალიან ხშირად გვხვდება ავესტაშიც: ცნობილი ირანული ეპოსის გმირი Kawā Wištāspa — ძე აურვადასპასი (ლოჰრასასი), მეუღლე ჰუტაოსასი, ნაოტარას გვარიდან, მამა ისფანდიარისა (Spənto.data = ქართ. სპანდიატ რვალი)³:

4. არმაზი — სახელი კერპისა, ძველი ქართველების მთავარი ღვთაება, რომელიც ქართლის მეფემ ფარნავაზმა აღმართა; პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ძეგლში გვხვდება:

„და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ: ამან აღმართა: კერპი დიდი ცხვსა ზა: და ჰრქვან არმაზ“ (70₁₁).

ლეონტი მროველთან: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვსსა: ესე არს არმაზი რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ (25₁₀).

„მაშინ ღღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად საქმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“ (88₄).

არმაზის სახელი ეწოდება აგრეთვე შთასა და ციხეს მცხეთაში.

¹ იხ. F. Justi, IN, გვ. 14, 124 — 125.

² გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960, გვ. 20.

³ F. Justi, IN, გვ. 372; Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 1474.

ჩვენ ვფიქრობთ, სიტყვა არმაზი წარმოადგენს ძველი ირანული უზენაესი ღვთაების A(h)uramazda-ს¹ გადმოცემას, ისე როგორც სომხური Արամազդ². საგვებით მართალია ვეზენდონკი, როდესაც ქართულსა და სომხურ ფორმებს აქამენიდების დროიდან შესულად თვლის ამ ენებში. ექვს გარეშეა, რომ ისინი ძველ ირანულ ფორმას გულისხმობენ ამოსავლად და არა საშ. ირანულს, რომელიც აგრეთვე წარმოადგენილია ორივე ენაში ფორმით ქართ. ურმიზდ და სომხ. Որմիզդ Ormizd, შდრ. ავ. Ahura-mazdah (= ahura 'უფალი' + mazda 'ბრძენი'), საშ. სპ. Ōhrmazd და Hōrmizd.

ზოგადი სახელები:

1. მართ-, მართ-ალ-ი — ფუძე ართ-, რომელიც მართ-ის ფორმით გვაქვს დადასტურებული ზმნისართებში: მიმართ, მომართ, დამართ და სხვა, ზმნის ფუძედ—მართვა (აღმართა, მიმართა, მომართა, წარმართა და სხვა), სახელის ფუძედ—სიტყვაში მ-ართ-ალი... (შდრ. რუსული право, правый, правда, правильный, правый, управлять, направлять და მისთანანი). მ-მ-ართ-ში და მ--ალ მართ-ალ-ში აფიქსური ელემენტებია.

„თავსა თვსსა შესწირავდა მეფისა მის მიმართ“ (მარტ. შუშ. 4₂₂).

„და წარმოჰმართა სადიასპანოფთა ცხენითა მონაჲ თვსი...“ (მარტ. შუშ. 5₆).

„უტყუ იყავნ ენაჲ მზაკუარი მეტყუელი მართლისა-თვს უსჯულოებასა“ (ფს. 30₁₉).

„და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ. მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა“ (გრ. ხანძთ., გვ. ია₅₁).

სიტყვა მართალის საილუსტრაციოდ კონტექსტების მოყვანა შეიძლებოდა თითქმის ყველა ძველი და ახალი ქართული ენის ძეგლიდან, იმდენად საყოველთაო ხმარების სიტყვაა იგი ქართულში. აღსანიშნავია მართალის ხმარება რელიგიური მნიშვნელობით (= რუს. праведный, праведник), ცოდვილის საპირისპიროდ.

ძვ. სპ. arta საერთო ინდოევროპული ფუძეა, შდრ. არიული arta, rta, ძვ. ინდ. rta 'სიმართლე, სიწმინდე' (anrta 'სიცრუე,

¹ A. Meillet, Vp, 83. 68.

² O. Wezendonk, Zu altpersisch Auramazda. ZII, VII, № 2, 1929; H. Hübschmann, AG, I, 83. 24, 25.

უსამართლობა')¹. ძველ სპარსულში ეს სიტყვა წარმოდგენილი დეთაების სახელად *arta* (*Arta brazman* — ქსერქსეს ე. წ. ანტიდემურ წარწერაში)². იგი შედის აგრეთვე მრავალი საკუთარი სახელის შემადგენლობაში. შდრ. *არტავარდია*, *არტაფარნა*, *არტახშატრა*, *არტაბან*, *არტავაზად* და სხვა. ავესტაში *aša* (< **arta*-დან) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკულტო ტერმინია, განსახიერება 'ზეციური სინათლისა, მადლისა, სიმართლისა' და სხვა. ოსურში ეს სიტყვა წარმოდგენილია *ard*-ის სახით, ძირითადი მნიშვნელობით 'ფიცი'. სიტყვის საკულტო წარმოშობა კარგად ჩანს ალანურში *აჰმ* 'ღმერთი' (ფეოდოსიის სახელი 'Армѣѣм' 'შიღღმერთა')³, სოლდ. **art*, **rt*'w (ძვ. ირ. *artavan* 'მართალი', *праведный*)⁴. ეს სიტყვა ნასესხებია სომხურშიც. შდრ. *արդար*. *ard-ar* 'მართალი'. შდრ. აგრეთვე *erdum* 'ფიცი'. თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ ენებში ნაწარმოებია ადიექტივები ქართული *მ-ართ-ალ*-ის მსგავსად. შდრ. სკრ. *rtavan* 'მართალი, წმინდანი', ავ. *ašavan* 'მართლმორწმუნე, აშას მიმდევარი'. შდრ. მანიქეველური *'rdvn*⁵ 'სამართლიანი, ჭეშმარიტი' (ითქმის მანიქეველთა და მათი მოძღვრის შესახებ), *'rd'vik* 'სამართლიანობა', სომხ. *արդ-არ* 'მართალი, კანონიერი, სამართლიანი'.

ბ. მარი ქართულ *მართალ*-ს სომხურ *արդար*-იდან მიღებულად თვლიდა დისიმილაციის გზით⁶, მაგრამ მართ-ფუძის ქართულში დამოუკიდებლად არსებობა ამ მოსაზრების უსაფუძვლობას ამტკიცებს, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ილია აბულაძე⁷.

გ. *არჯ*- წარმოდგენილია სიტყვებში *მ-არჯ-უ-ე*, *მ-არჯ-ულ*, *უ-მ-არჯ-უ*, *მ-არჯ-უ-ენ-ე* და სხვა⁸. ჩვენი ფიქრით, ეს ფუძე შეიძ-

¹ A. Meillet, Vp. გვ. 170; Chr. Bartholomae, *AirWb*, გვ. 229—235.

² В. Абаев, *Антидевовская надпись Ксеркса*, კრებულში „*Иранские языки*“. I. 1945, გვ. 138.

³ В. Абаев, *Историко-этимологический словарь осетинского языка*.

⁴ ბ. ანდრონიკაშვილი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.

⁵ C. Salemann, *Manichäische Studien*, I, „*Зап. Изв. АН по Ист. фил. отд.*“, т. VIII, № 10, СПб, 1903, გვ. 56, 388.

⁶ Н. Марр, *Армянский термин арк-ар*, ИАН, 1920.

⁷ ილ. აბულაძე, სომხური და ქართული ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს-ში, თბილისი, 1945, გვ. 099 — 0100.

⁸ ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 28.

ლება დაუკავშირდეს ძვ. ირ. ფუძეს arg- || arj-, რომელიც წარმოდგენილია სიტყვებში: ავ. arəjah, სკრ. argħa, argħya, ფალ. arj, arž, ახ. სპ. arj და სხვა.

„მიწისაგანი ესე კაცებაჲ თანაალიყვანა და მარჯუენით მამისა მჯდომარე არს“ (აბო, 59₃₇).

„აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა...“ (ს. ზ. 157₈).

„და უმარჯუ იქმნა: საქმე იგი: წარვიდა მეფე და ყრიერი გულდებული ურვისაგან“ (მოქც. ქართ. 776₁₄).

„წინაღწარ ვხედვედ უფალსა წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს...“ (ფს. 15₈).

„და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნებითა ქებულ იყო...“ (გრ. ხანძთ. 248₉).

საფიქრებელია, ირანულ arj-ს ‘ღირსი, მნიშვნელოვანი, ფასეული’ ეყრდნობა აგრეთვე სომხური აშ-იც ‘მარჯვენა’ (r-ს დაკარგვის ტენდენცია ჰ, ჯ-სა და h-ს წინ სომხურში ძლიერია. შდრ. აძანს||არძან¹, საქ. სახელები შიღანს, Աղուღა = ქართ. არშუ-შა, შროშანი და სხვა).

ნ. მარი სიტყვებში მარჯვენა და მარცხენა გამოჰყოფდა ელემენტს მარ-, რომელიც მას ხელის აღმნიშვნელ სიტყვად მიაჩნდა, ხოლო სომხურ სათანადო ცნების აღმნიშვნელ ტერმინებთან აკავშირებდა მარჯვენაში ჯ-სა და მარცხენაში ცხ- ელემენტებს. შდრ. სომხ. აშ და ააქ². ჩვენი ფიქრით, ამოსავალი მნიშვნელობა ქართული მ-არჯ-ისა უნდა ყოფილიყო ‘მნიშვნელოვანი, ღირსეული, მართალი’. მარჯ-უ-ენ-ე (ხელის აღმნიშვნელი) უფრო გვიანდელი წარმოება ჩანს. შდრ. რუსული правый, правая рука (ძველად მას ერქვა десница), მარჯვე ‘მოხერხებული, სწორი’, გამარჯვება ‘მარჯვედ ყოფნა’.

ჰ. ვანი, სავანე — ‘სამყოფელი, სადგომი, მონასტერი’;

„და ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა“ (მარტ. შუშ. 32₁₆).

„...და მოვიდეს იგინი ვანად თვისა ქრისტეანობით და სათნოდ“ (ე. მცხ. 83₂₆).

„მას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობელად ვანსა ნეტარისა გრიგოლისასა“ (გრ. ხანძთ. 248₁₁).

¹ Н. Нübсhmann, AG, I, 83. 92.

² Н. Марр, Постановка учения о языке в мировом масштабе и абхазский язык, ИР. IV, 83. 66 — 67.

„...შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანც¹ განპმზადეთ“ (აბო, 179₃₃).

„...და სავანე ყავ ჩუენ თანა...“ (ს. ზ. 182₃₀).

ამოსავლად სიტყვისათვის ვანი უნდა ვიგულისხმოთ ძველი სპარსული **vahana*, ნაწარმოები ძირიდან *vah* ‘ყოფნა, ცხოვრება’. შდრ. სანსკრ. *vas-* და მისგან ნაწარმოები *vasana* ‘საცხოვრებელი, სადგომი’. ძველ სპარსულში რეალურად დადასტურებულია ფორმა *āvahana* ‘ადგილი, სამყოფელი’, რომლიდანაც მიღებულად ითვლება სომხ. *ավան* და ქართ. *ვანის* იდენტური ფორმა *վան*. აღნიშნულ სომხურ სიტყვებს *vah-* ძირს უკავშირებენ ლაგარდი, მორდტმანი, მიულერი და სხვები. ლაგარდი და მიულერი შესაძლებლად სთვლიან სომხური *վան*-ის სანსკრიტულ *vana*-სთან დაკავშირებასაც ‘ტყე’, როგორც სავანე ადგილი (განდევითა სამყოფელი). ჰიუბშმანი *վան*-ს უახლოებს ახ. სპარსულ *bān*-სა და გერმანულ *Wohnen*¹. ფალაურში ამ ძველი სპარსული სიტყვის შესაბამისად გვაქვს დადასტურებული ფორმები *bān* და *ēvān*, ახ. სპ. *bān* (შდრ. *اوان* ‘აივანი’ < ძვ. ირ. *adhi + bāna*-დან)².

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქამენიდების ეპოქაში ძველი სპარსულიდან ქართულში შეთვისებულია აგრეთვე სიტყვა *მონა*. გ. მელიქიშვილს თავის შრომაში „*К истории древней Грузии*“, ძველ საქართველოში მონობის ინსტიტუტის შესახებ მსჯელობისას, განხილული აქვს ამ სიტყვის წარმომავლობის საკითხიც³. სახელდობრ, იგი აღნიშნავს, რომ ქართულ ტერმინს *მონა* მკვლევარნი კარგა ხანია რაც უკავშირებენ სპარსულ სიტყვას *maniya*⁴, რომელიც ნაწარმოებია სიტყვიდან *ṛmana* (< **dmana*) ‘სახლი’, ე. ი. მისი მნიშვნელობა ზუსტად შეესატყვისება ქართ. *მ-სახ-ურ-ს* (< სახლი — მ. ა.). სიტყვა *maniya*-ს მნიშვნელობა საბოლოოდ დადგინდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ პარალელურ ელამურ ტექსტში ამ სიტყვას შეესაბამება სიტყვა *kurtaš* ‘მუშა’, ‘მონა’, ‘მსახური’. ე. წ. „პერსეპოლისის განძის“ ელამური დოკუმენტების გამომცემელი გ. კამერონი⁵ სიტყვა *kurtaš*-ს თარგმნის, როგორც ‘მუშაკს’ და აწარმოებს მას ძველი სპარსული ზმნური ფუძიდან *kar* ‘კეთება’. ი. გერშევიჩი, თა-

¹ ჯ. *Ա ճ ա ո յ ա ն*, *Հայերն արմատական բառարան*, VI, გვ. 537, 541.

² P. Horn, *GrnpEt*, გვ. 40; *GrIrPh*, II, გვ. 60.

³ იხ. გ. მელიქიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 434 — 438.

⁴ იხ. R. Kent, *Old Persian*, New Haven, 1953, გვ. 202 — 219.

⁵ G. Cameron, *Persepolis Treasury Tablets*, Chicago, 1948.

ვის რეცენზიაში კამერონის შრომაზე, ამ მოსაზრებას სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამოსავლად შესაძლოა ვიგულოთ ფორმა *nomen agentis*-ისა **kartar* 'მკეთებელი'. მაგრამ იგი იქვე მიუთითებს ვ. ჰენინგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომელიც სიტყვა *kurtaš*-ს უკავშირებს აქამენიდების ეპოქის აქადურ წარწერებში დადასტურებულ სიტყვას *Laga-ar-du* (*di, da*) და ამავე პერიოდის არამეული დოკუმენტების *gard*-ს. ჰენინგი აღნიშნულ არამეულ სიტყვას ირანულიდან შეთვისებულად მიიჩნევს, რომლისთვისაც აიოსავალია ძვ. სპარსული **garda* (ძვ. ირ. *garda*-ან *grda*) შესატყვისი სახსკრიტული *grha*-სი, ავესტური *grəbda* 'სახლი'. შდრ. სკრ. *grhya* 'მსახური'. ამგვარად, ჰენინგის აზრით, ირანულიდან მომდინარე ელამური *kurtaš* წარმოადგენს ზუსტ ექვივალენტს ძველი სპარსული სიტყვისა *maniya*, ბერძნ. *μνία* 'მსახური' ¹.

გ. მელიქიშვილის აზრით, ძველი სპარსული ტერმინი (*kurtaš*) *maniya* ძველ სპარსულში იხმარებოდა იმ ასი გოგოსა და ბიქის აღსანიშნავადაც, რომელსაც კოლხები ყოველ ხუთ წელიწადში უგზავნიდნენ აქამენიდებს გადასახადის სახით და რომლებსაც ისინი, შესაძლოა, იყენებდნენ როგორც „დროებით მონებს“ შრომითი ბეგრის მოსახდელად. მისი სიტყვით, „ძვ. სპარსული *maniya*-დან წარმომდგარი ქართული სიტყვა *მონა* წარმოადგენს; ალბათ, სწორედ იმ ეპოქის ნასესხებს, როდესაც შრომითი ბეგრის შესასრულებლად სპარსეთის მეფეების მიერ დამპყრობელის უფლებით მიიზიდებოდა ქართველი მოსახლეობაც“.

ძველი სპარსული ტერმინი *maniya*-დან, რა თქმა უნდა, თავისუფლად შეიძლებოდა მიგველო ქართული *მონა*; ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს შინაარსობლივი კავშირი ამ ორი სიტყვისა. *მსახური* — *მონა*, მაგრამ ფონეტიკური ხასიათის ზოგიერთი დაბრკოლების გამო აღნიშნული დაკავშირება სავსებით დამარწმუნებლად არ გვეჩვენება. არის სხვა შესაძლებლობაც, ქართული სიტყვა *მონა* დაეუკავშიროთ ირანულს, სახელდობრ, იგი შესაძლებელია შემოსული იყოს სკვითურ-სარმატული წრის ენებიდან, და ჩვენს მიერ განხილული იქნება ქვემოთ სკვითურ-ალანურ-ოსურიდან შეთვისებულ სიტყვებში ².

¹ იხ. I. Gershevitch, *Asia Major, New Series, vol. I, part I, 1951, გვ. 139 — 142.*

² კ. ბოუდა ქართულ სიტყვას *მონა* უკავშირებს ბასკურ ფორმას *a-mondu* 'შეკრა, დაკავშირება', იხ. Karl Bouda, *Baskisch—kaukasische Etymologie*, 1949 (Indogermanische Bibliothek).

მონასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევჩერდეთ მსგავსი მნიშვნელობის კიდევ ერთ სიტყვაზე, რომელიც ჩვენ აგრეთვე ძველი სპარსულიდან შეთვისებულად გვეჩვენება. ეს არის სიტყვა კირთი — კირთება, რომელსაც საბა განმარტავს, როგორც „მონება მოუსვენებელი და ბეგარი დაუცადებელი“. ეს სიტყვა უძველეს ქართულ ძეგლებში, კერძოდ ბიბლიის ტექსტში გვხვდება.

კირთი — 'მსახური, მონა'.

„აწ ვდგე მე მონად შენდა ყრმისა ამის წილ კირთად უფლისა ჩემისა“ (დაბ. 44₃₉).

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ეგვიპტით სახლისაგან კირთებისა“ (გამოსვლ. 20₂).

„და ერი იგი დაამონა კირთად ფარაოს კიდითგან საზღვრით ეგვიპტისაჲთ ვიდრე კიდემდე მისა“ (დაბ. 47₂₁).

კირთება გვხვდება უფრო გვიანდელ ტექსტებშიც, მაგ. ლეონტი მროველთან, და ქართლის ცხოვრების ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „შეტევა მოუსვენებელი“.

„ესე ფროტათასელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მკნენი და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა“ (ლ. მრ. 18₂₁).

„ხოლო მეფენი ესე ქართლისანი, არზოკ და არმაზელ, სიფიცხლითა გულისა მათისათა არა შეუშინდეს, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი თვისნი, განწირნეს ყოველნი ველნი ქართლისანი და არა დასცხრეს კირთებისაგან სომეხთა ზედა“ (ლ. მრ. 47₁₇).

„და პოვეს მას შინა ჟამი მარჯუე ქართველთა და ოვსთა, იწყეს კირთებად სომეხთა, რამეთუ სპანი სომეხთანი ყოველნი... იყვნეს ბრძოლად სპარსთა“ (ლ. მრ. 48₁₉).

„მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად“ (მატ. ქართ. 279₁₄).

ყველა ზემოთ მოყვანილ კონტექსტში კირთება ნიშნავს „აკლებას, რბევას, ტყვენვას“ და ნაწარმოებია ამ უკანასკნელის ანალოგიურად კირთად წამოყვანისაგან (შდრ. ტყვენვა).

ჩვენი ფიქრით, ქართული კირთი შეიძლება დაუტკავშიროთ ძველ სპარსულ სიტყვას kurtaš, რომელიც ელამურში არის დადასტურებული 'მსახურის, მუშაკის, მონის' მნიშვნელობით და მისთვის ამოსავლად უნდა ვიგულოთ არა ძვ. სპ. garda, რომლისაგანაც ვ. ჰენინგი მიღებულად თვლის ელამურ kurtaš-ს, არამედ კამერონისა და ი. გერშევიჩის მიერ აღდგენილი kar-tar 'მკეთებელი' ძირიდან kar-

‘კეთება’¹. ამას გვიკარნახებს ქართული სიტყვის თავკიდური კ, რომელიც არ შეიძლება მოეცა ძველ სპარსულ გ-ს. ‘მდრ. სომხ. *դհես* *կրթիլ* ‘დევნა’², *կիրթ* ‘გამოცდილი, მცოდნე’.

ძველი სპარსული და საერთოდ ძველი ირანული ლექსიკური ელემენტები ისეთი სიძველისაა ქართულში, რომ მათი ამოცნობა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. უეჭველია, ქართული ზმნური ფუძეების სახით ჩვენ არა ერთი ძველი ირანული სიტყვა გვაქვს დაცული, როგორც ამას დავინახავთ საშუალო ირანული სიტყვების განხილვისას, რაც ამ შრომის ირანული სიტყვების ძირითად ნაწილს შეადგენს. გამიჯნვა ძველი და საშუალო ირანული ელემენტებისა ყოველთვის არ ხერხდება, რამდენადაც განსხვავება ძველსა და საშუალო ირანულს შორის უმთავრესად დაბოლოებებსა და სუფიქსებში მდგომარეობს და, როდესაც ისინი ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, მეტწილად მათ შორის განსხვავება არ შეინიშნება.

ავესტური ელემენტების შესახებ ქართულში

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძველი ირანული ელემენტები, რომლებიც შესაძლოა დაცულია ქართულში, მეტწილ შემთხვევაში ძნელი გასამიჯნავია როგორც დიალექტური თვალსაზრისით (მიდიური, სკვითური, ძველი სპარსული, ავესტური), ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც (ძველი და საშუალო ირანული ეპოქების მიხედვით). მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც აშკარა დიალექტური ხასიათის ფონეტიკური ნიშნების მატარებელნი არიან, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომელ დიალექტურ წრესა და ეპოქას განეკუთვნებიან ისინი; განსაკუთრებით ეს ითქმის ძველი სპარსულისა და ავესტურის შესახებ. ცნობილია, რომ დიალექტური სხვაობა ძველ ირანულ იდიომებს შორის ძალიან მცირე იყო და მათზე მოლაპარაკე ტომები ადვილად აგებინებდნენ ერთმანეთს³. საბედნიეროდ, ქართულში შემონახულია რამდენიმე ისეთი საკუთარი სახელი და სიტყვა, რომელიც თავისი ფორმით უეჭველს ხდის მათ წარმომავლობას ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ავესტური დიალექტიდან. გარდა ამისა, უნდა ვიფიქ-

¹ იხ. I. Gershevitch, op. cit.

² А. Худяков, Армяно-русский словарь, I, М., 1838, გვ. 589.

³ ამაზე მიუთითებს როგორც არაჩვეულებრივი სიახლოვე ამ ენებზე შემონახული ლექსიკური მასალისა, ისე ძველი ბერძენი მწერლების ცნობები (ჰეროდოტე და სხვა).

რომ, რომ გარკვეული ნაწილი საკულტო, რელიგიური ხასიათის ტერმინებისა, რომლებიც ირანულ წარმომავლობას ამჟღავნებენ, ძველ ირანულ ეპოქას ეკუთვნიან და ავესტურ ტრადიციასთან არიან დაკავშირებული. შემთხვევითი არ არის ირანული საკუთარი სახელების არაჩვეულებრივი სიმრავლე, რომლებიც მეტწილ შემთხვევებში საკულტო ცნებებს შეიცავენ (arta, xšaθra, farna, yazata და სხვა). სახელის დარქმევა, როგორც ცნობილია, ყოველთვის რელიგიასთან და კულტთან არის დაკავშირებული. ისტორიული წყაროების მიხედვით, ქრისტიანობის შემოსვლამდე ირანელთა რელიგია — ცეცხლთაყვანისმცემლობა — საქართველოში გავრცელებული ყოფილა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იგი სახელმწიფო რელიგია უნდა ყოფილიყო ქრისტიანობამდე საქართველოში (ნ. მარი¹, ო: ვეზენდონკი, კ. კეკელიძე²). ი. ჯავახიშვილის აზრით, ცეცხლის მსახურება გავრცელებული იყო არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც, კოლხეთში (მას მოჰყავს აპოლონიოს როდოსელის ცნობა, რომლის მიხედვით კოლხეთში აკრძალული იყო მიცვალებულის დაწვა და მიწაში დასაფლავება, რაც მაზდენიზმისათვის არის დამახასიათებელი). მისივე თქმით, „მაზდენიზმს იმდენად ღრმა კვალი დაუტოვებია ჩვენი ერის რწმენასა და ზნეჩვეულებებზე, რომ დღესაც შეიძლება მისი ნათლად დანახვა“.

კ. კეკელიძის შეხედულებით, ცნობილი და პოპულარული ყოფილა საქართველოში ირანული რელიგიური მოძღვრება მითრიაზმიც. კ. კეკელიძე წერს: „ქრისტიანობის ერთერთი მძლავრი და მნიშვნელოვანი წინამორბედი, როგორც რომის იმპერიაში, ისე საქართველოში, იყო ღვთაება მითრა, რომელიც თავდაპირველად სასტიკად ებრძოდა მას, მერე კი, დამარცხების შემდეგ თავისი მსგავსებით მასთან ხელს უწყობდა მის გავრცელებას იმ ქვეყნებში, სადაც ის წინათ ბატონობდა“... მითრიაზმის ოფიციალურად დამარცხებისა და ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ მითრიაზმი ქრისტიანობასთან შეგუების გზას დაადგა და წმინდა გიორგის სახით მოგვევლინა.

მითრიაზმის წეს-ჩვეულებანი და კულტის მოვლენანი გადანაშთის სახით დღემდის შემონახულან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

¹ Н. Марр, Боги языческой Грузии; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 97.

² კ. კეკელიძე, ქრისტიანიზმი და მითრიაზმი, ეტიუდები, II, 1945, გვ. 351—353.

თვით ქრისტიანიზმიც, რომელიც ამ დროს მაზდეანობის წინააღმდეგ იბრძოდა, პირველ ხანებში სპარსულ-აღმოსავლური ორიენტაციისა იყო. სპარსეთის ხელისუფალნი, როდესაც იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ მაზდეანობის გავრცელებაზე, ცდილობდნენ ქრისტიანობაც თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ სამხრეთ საქართველოს ბიზანტიის კულტურული გავლენისაგან ჩამოსაშორებლად და, რადგან ბიზანტიაში დიოფიზიტობას აღიარებდნენ, ისინი მონოფიზიტური ქრისტიანობის მთარველებად გადაიქცნენ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში გავრცელებული უნდა ყოფილიყო მანიქეველობაც, რომელიც მესაჩე და მეოთხე საუკუნეში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთში. ი. ჯავახიშვილს მანიქეველად მიაჩნია ჯუანშერის მიერ აღწერილი მოზიდან ეპისკოპოსი, რომლის შესახებ ნათქვამია, რომ „იგი იყო ნათესავად სპარსი და აჩვენებდა მართლ-მადიდებლობასა, ხოლო იყო ვინმე მოგვი, უსჯულო და შემშლელი წესთა“¹. ყველა ზემონათქვამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ თვით ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ლექსიკაში ჩვენ ვხვდებით ირანული წარმოშობის სიტყვებს ისეთი ძირითადი რელიგიური ცნებების გამოსახატავად, როგორიც არის მართალი, ცოდვილი, ცრუ, ნეტარი, წმინდა, ჯოჯოხეთი, ეშმა, ეშმაკი, ბარძიმი, ფეშხენი, ზორვა, ზუარაკი, ტაძარი, კერპი, წარმართი, ბაგინი, ჯვარი და ბევრი სხვა, რომლებიც თავის ადგილას იქნება განხილული დიალექტობრივი მიკუთვნილებისა და ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით. აქ ჩვენ შევჩერდებით რამდენიმე სიტყვაზე, რომელიც შესაძლებლად მიგვაჩნია ჩაითვალოს უშუალოდ ავესტური ტექსტების გავლენით შეთვისებულად ქართულში. პირველ რიგში ჩვენ უნდა შევჩერდეთ საკუთარ სახელზე ერთი ქართული ზღაპრის გმირისა თრითინოსი, რომელიც თავისი ფორმით მხოლოდ ძველი ირანული, სახელდობრ, ავესტური შეიძლება იყოს. ირანული ეპოსის ამ სახელგანთქმული გმირის სახელი სხვა უფრო ახალი (საშუალო და ახალი სპარსული) ფორმებითაც არის ცნობილი, სახელდობრ, ქართლის ცხოვრებაში ლეონტი

¹ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქრისტიანულ მოძღვრებათა შორის მხოლოდ მანიქეველობას ჰქონდა შეთვისებული მაზდეანობა და მხოლოდ მასში იყო შერწყმული მოგვობისა და ქრისტიანობის ელემენტები ერთ მთლიან აღსარებად, და ამით აიხსნება, რომ „ვერა უგრძნეს უსჯულოება მოზიდანისა“, იხ. „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, გვ. 282 — 285.

მროველთან ცნობილია აფრიდონის სახით: „და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ (არფიმო), რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი. გუელთა უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალთა“. ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ (ლ. მრ. 13₁)¹. თრი თინოს შესახებ ცნობილი ზღაპარი გამოაქვეყნა სოლომონ ყუბანეიშვილმა, ხოლო ამ სახელის იდენტიფიკაცია ავესტურ *Θraētaoua*-სთან ეკუთვნის გ. ახვლედიანს². ამ სახელის ირანულში არსებული ფორმების შეპირისპირებისას ქართულში შეთვისებულ ფორმასთან, ერთი მხრივ, და სომხურთან და არაბულთან, მეორე მხრივ, ადვილად შევამჩნევთ ქართული თრი თინოს ავესტურთან ნათესაობას. გველვეშაპ *aži Dahāka*-ს დამმარცხებელი გმირი ავესტაში წარმოდგენილია ფორმით *Θraētaoua*. შდრ. *vīsō. pūθrō āθvyānōiš Θraētaonō* (Yt. 5. 33. 17) „შვილი ათვიანთა გვარისა თრაიტაუნა“. *Varəθəm yim čaθrəgaōšəm yahi-māi zayata, Θraētaonō janta aθōiš dahākay* (V, 1, 17) „ოთხუთხ ვარუნაში ვინც დაიბადა, თრაეტაონა აუი დაჰაკას მკვლელი“. ვედაში მას უდრის *Trita Aptya*. თრაეტაონა, ბართოლომეს აზრით, ნაწარმოებია *θrita*-საგან 'მესამე', რომელიც აგრეთვე გამოყენებულია საკუთარ სახელად³. საშ. ირანულში ეს სახელი ცნობილია ფორმებით: ფალ. *Frētōn*, ფაზ. *Frēdūn*, ახ. სპარსული *Farādūn*, *Fēridūn*, *Afridūn*; სომხურში დადასტურებულია ფორმა *Հրադես*, მომდინარე საშ. ირანულიდან (კომპლექსი *fr*, როგორც ცნობილია, იძლევა *hr*-ს, ხოლო ხმოვნები *e* და *u* გადანაცვლებულია *hruden* < *hredun*-იდან). ქართულში დადასტურებულია აფრიდონ (ქართლის ცხოვრებაში), ფრიდონ (შაჰნამეს ქართულ ვერსიებში, ვეფხისტყაოსანში, რუსუდანთანში და სხვა).

ძალიან ახლოსაა ავესტურ ფორმასთან აგრეთვე სახელი *საე-არსამ* (შდრ. გვარი *საეარსამიძე*). შდრ. ავ. *Syāvāršan*⁴ — ირანელი მთავარი ქაეიანთა დინასტიიდან, კავატას შვილიშვილი, *Haosra-vah*-ის (ხოსროს) მამა, აფრასიაბის ძმა. სახელი კომპოზიტს წარ-

¹ პავლე ინგოროყვას ეს ადგილი მიაჩნია ნაშთად ეპოსისა, რომელიც ლექსის ფორმით არსებობდა ქართულში. იგი, სრულიად სამართლიანად, აქ ზედავს ორტაეპიან შარსს „რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი(ი) გუელთა უფალი და დააბა მთასა (მას) ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალთა“. პ. ინგოროყვა, ლენტი მროველი, „ენიმკის“ მოამბე, X, 1941, გვ. 95—96.

² იხ. გ. ახვლედიანი, „ავესტა“, ქართული თარგმანი და კომენტარი, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 4.

³ Chr. Bartholomae, *AirWb*, გვ. 799—800.

⁴ იქვე, გვ. 1631.

მოადგენს და შედგენილია სიტყვებისაგან syāva 'შავი' + aršan¹ 'შამ-
რი, მამაცი' (რომელიც იხმარება ცალკე საკუთარ სახელადაც) = ახ;
სპ. Siāwaxš ან Siyāvaxš-, აგრეთვე, Siāvaxš. ქართ. სიაუში და
შიოში (ქართ. ცხ. შიოშ ბედნიერი) საშუალო და ახალი
სპარსულიდან არის შეთვისებული. სომხურში დადასტურებულია
ფორმით Šavarš ან Šavaš² (შდრ. ქართ. შარვაშ < შავარშისაგან,
შარვაშიძე), ავ. Syāvaršan > ქართ. *Savarsan > სავარსამ (გვარში
სავარსამიძე). სავარსიმისძე, აგრეთვე, „ამირან დარეჯანიანის“
გმირის სახელია. „...და ზედან ეწერა ვითა—მე, ამირან დარეჯანის
ძე, ყმა ჩემი სავარსიმისძე, ბადრი იამანისძე და ყმა მისი
ინდო ქაბუკი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი დილამი“ (ამირ,
დარეჯ. 4₁₄).

„დავექაზმენით და წავედით ამირან დარეჯანისძე, აბან
ქამანისძე, ალი მოამადისძე... და სხვა ლაშქარი ათი ათასი კაცი
და მე, სავარსიმისძე“ (ამირ. დარეჯ. 52₃₈).

ზოგადი სახელებიდან ავესტურ ტრადიციას შეიძლება დაუყავ-
შიროთ სიტყვები წმიდა (წმიდა), ეშმა, დროშა, ფართო,
ჯოჯოხეთ-ი და ზოგი სხვა.

1. წმიდა — უძველესი ქართული სიტყვაა და ერთნაირად გავრ-
ცელებულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში, მოიხმე ქართ-
ველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება. ფონეტიკურადაც და
სემანტიკურადაც იგი ძალიან ახლოსაა შესაბამის ავესტურ სიტყ-
ვასთან.

„და ვითარცა მკუდარი იღვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა“
(მარტ. შუშ. 20₂₁).

„ხოლო მე დავდეგ მეუფედ მის მიერ ზედა სიონსა მთასა
წმიდასა“ (ფს. 2₆).

„და თავყანის სცეს და ამბორს უყვეს ფერჯთა მისთა წმი-
დათა“ (ე. მცხ. 90₃₀).

„ხოლო წმიდამან ჰაზო ჰრქუა მათ“ (აბო, 72₃₅).

„ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალ-განქაბუკებული
და მიიწია წმიდად საკურთხეველად...“ (ს. ზ. 176₁₈).

„რამეთუ ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაჲ პოვის ჩუენ
შორის და ოდესმე ეშმაკთაჲ“ (გრ. ხანძთ., გვ. ია₆₄).

ამოსავლად მივიჩნევთ ავესტურ ფორმას spautō (ადიექტივი
ta-ზე), 'წმიდა', heilig, sanctus, ერთ-ერთი ძირითადი საკულტო

¹ Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 1631.

² F. Justi, IN, გვ. 299 — 300.

ტერმინი, ეპითეტი, რომელიც იხმარება ღვთაებათა და სხვა საკულტო ცნებათა მიმართ (აპურამაზდა, armaiti, aməšəspənta, haoma, mišra, gau 'ხარი' და სხვა)¹. ნაწარმოები ფორმაა spanab, spanyah (ადიექტივი), spaušta 'უწმინდესი', გავრცელებულია მთელ რიგ ინდოევროპულ ენებში². ძვ. სლავ. СВЯТЫ, რუს. святой,

ლიტ. šventas. შდრ. საშ. სპარსული spand (spandarmat=ავ. spənta, armaiti)³, spaunak, ახ. სპ. اسپانك, اسپانك 'წმიდა', სომხ. սպանդ- 'მსხვერპლი'⁴. ს-ს გადასვლა წ-დ მკვეთრის წინ არ არის მოულოდნელი წბ > წმ (n-ს გავლენით). იხ. დაწვრილებით საშუალო სპარსულ სიტყვებში.

2. ეშმა (ეშმაკი) — 'ბოროტი გენია, ავი სული, 'სატანა'. ქართულში ეს სიტყვა ორი სახით არის წარმოდგენილი: უფრო გავრცელებული ეშმაკი, რომელიც ფორმის მიხედვით საშუალო სპარსულიდან არის შეთვისებული (დაბოლოება ak მიუთითებს საშ. ირანულ ეპოქაზე) და უფრო არქაული ეშმა, რომელიც უმთავრესად დიალექტებსა და საშუალო ქართულის ძეგლებში გვხვდება, მაგრამ დაბოლოების მიხედვით უფრო ძველ ირანულს უნდა განეკუთვნებოდეს. ეშმაკი განხილული იქნება საშ. სპარსულ სიტყვებში. რა შეიძლება ითქვას ქართული სიტყვის ავესტურთან კავშირის შესახებ?

ავესტაში დადასტურებულია ფორმა aēšma⁵ — 'ზოგადი მნიშვნელობით 'ავი, ბოროტი. ცოფიანი, მრისხანი'. იგი წარმოადგენს აგრეთვე დემონის სახელს (პერსონიფიციკრებული შური, ბოროტება, ბრაზი), ე. წ. daēva (ქართ. დევი). ერთ-ერთი სამ უბოროტეს სულთაგან: Aka Manah, Ahramanyu (აპრიმანი) და Aišma (ავ. aēšma), „რომელიც არსებობს ადამიანთა და ცხოველთა წინააღმდეგ“⁶.

სიტყვის ძირად მიჩნეულია ავ. aēš- 'მღელვარება, სწრაფი მოძრაობა', ინდ. ევრ. *eisa-დან. შდრ. ძვ. ინდ. īṣate, īṣyati, ბერძნ. ἰστέρος 'ძლიერი სურვილი, ვნება, მღელვარება', ლათ. ira⁷. საშ.

¹ Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 1619 — 1621.

² А. Моёе, Введение в сравнительное изучение индо-европейских языков, М.-Л., 1937, გვ. 401.

³ Н. Nyberg, Hfsb, II, გვ. 294.

⁴ Н. Hübschmann, AG, I, გვ. 277.

⁵ Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 35.

⁶ A. Christensen, Essai sur la demonologie Iranienne, Kobenhavn, 1941.

⁷ H. Reichelt, Awestisches Elementarbuch, Heidelberg, 1909, გვ. 414; იხ. აგრეთვე, მ. ანდრონიკაშვილი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის.

ირანულში (Bündarīšn-ში) aišax წარმოდგენილია Xčm-ის სახით (სახელი ერთ-ერთი არქიდემონისა, რომელსაც ამარცხებს Srōš-ი, აე. Srauš). მანიქეველურ დემონოლოგიაში, რომელშიც, როგორც ცნობილია, გამოყენებულია ზოროასტრული მითოლოგიის ნომენკლატურა, (dēv-ების და parič-ების გვერდით ვხვდებით xčm-ებსაც. ახალ სპარსულში მას შეესატყვისება xišm, xašm 'სიავე, ბოროტება, ღრახი, მრისხანება'. სომხურში հայտ' 'მახინჯი, ხეიბარი, განრლუეული' და հայտ' ախպან, იმავე მნიშვნელობით.

ჰ. ფართო — 'ვრცელი, განიერი, თავისუფალი, მსუბუქი'¹.

„ჭირსა ჩემსა ვხადე უფალსა, და ისმინა ჩემი და გამომიყვანა მე ფართოდ“ (ფს. 117₃).

„ფართო ყვენ სლევანი ჩემნი ქუეშე ფერკთა ჩემთა, რაჲთა არა მოუძღურდენ ალაგნი ჩემნი“ (ფს. 17₃₇ ა/).

„არა მიშეც მე ჯელთა მტერთა ჩემთასა, დამიდგენ ფართოსა ფერკნი ჩემნი“ (ფს. 30₉).

„ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი“ (ს. ზ. 153₂₇).

აკაკი შანიძე „სინური მრავალთავისათვის“ დართულ გამოკვლევაში (ლექსიკა) აღნიშნავს: „როგორც ჩანს, მჩატის ანუ მსუბუქის მნიშვნელობით ფართოც იხმარებოდა და აქედან აღფართება — შემსუბუქება. სევერიანე გაბალონელის თხზულებაში („შესხმისათვის ყრმათაჲსა“) იკითხება: „აწ იპოვე შენ, კიცო (= კიცუო), ქრისტესა და შეიწურე (= შეიჭურე?) ზედა-მჯდომელი იგი არა თუ დამამძიმებელი, არამედ აღმაფართებელი“, და შემდეგ, „აღიღეთ უღელი ჩემი თქუნ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა, რამეთუ უღელი ჩემი ცხებულ დო ტვრთი ჩემი ფართო“² (134, 20 — 26).

სიტყვა ფართო ძალიან ახლოს არის ფორმითაც და მნიშვნელობითაც ავესტურ სიტყვასთან pərəθav (pərəθav) 'ფართო, ვრცელი, განიერი'. ძვ. ინდ. prthuh, შდრ. ბერძნ. πλάτος 'განიერი, ფართო'³.

სომხურში ეს სიტყვა წარმოდგენილია հարթ-ის სახით (f > h-ს). კ. ბოუდა ქართულ ფართოს სომხურიდან შეთვისებულად თელის⁴, ხოლო ჰ. ფოგტი ზოგ სხვა სიტყვასთან ერთად მას

¹ სინური მრავალთავი, გვ. 329.

² იქვე.

³ Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 892—893; H. Reichelt, A.E. 85. 459.

⁴ K. Bouda, Beiträge zur Etymologischen Erforschung des Georgischen, Lingua, Vol. II, 3, 1950, გვ. 302.

საერთო უცნობი ინდოევროპული წყაროდან ნასესხებად მიიჩნეეს როგორც სომხურში, ისე ქართულში¹.

4. **დროშა** — „მწყობრთ ნიშანი, ფერად-ფერადი გუნდთა და გუნდთა საცნობელი“ (საბა).

„მე წარვედ: ხილვად: არმაზისა: და აღივსნეს მთანი იგი დროშათა: და ერიოთა: ვა ყუაფილითა: ხ მე შევესწრე ციხედ: არმაზდ: და დავდეგ: ახლოს კერპისა მის- (მოქც. ქართ. 751₁₃)- იგივე ადგილი ნინოს ცხოვრებიდან ლეონტი მროველთან:

„მყის უკუე წარვიდა წმიდა ნინო ხილვად არმაზისსა და აღივსნეს ქვენი იგი დროშებითა და ერიოთა ვითარცა ველნი ყუაფილითა“ (54₂₆).

ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე ტექსტში „მამათა სწავლანი“:

„მაშინ გამოჩნდეს ჯუარი პატიოსანი წინაშე მისსა, ვითარცა დროშაჲ წინაშე მეფისა, და იხილონ ყოველთა ძალთა ზეცისათა...“ (!25₁).

ძველ ქართულ ძეგლებში აგრეთვე გვხვდება საშ. ირანული ფორმა **დრაუჟი**, რომელიც სომხურის მეშვეობით არის შემოსული ქართულში (იხ. საშ. საარს. სიტყვებში).

ავესტაში დადასტურებულია ფორმა **drafsa**¹ 'დროშა, ალაში', ძვ. ინდ. **drapsa** 'დროშა', საშ. სპ. **drafs**², ახ. სპ. **dirafs**³, ავ. **𐬔𐬀𐬎𐬎.drafsō** 'ძროხის სახე დროშა', **haēnayās[ca]...** **drafsəm** 'მტრული დროშა', სომხ. **դրաւ** 'დროშა', **դրաւակ**⁴ id., სირ. **ܕܪܘܫܐ** 'დროშა', მანდ. **ܕܪܘܫܐ** 'ჯვარი'.

3. **ჰორნს** ამ სიტყვის ძირითად და თავდაპირველ მნიშვნელობად მიაჩნია 'სინათლე, ბრწყინვა'. ნათელი, თვალსაჩინო > ნიშანი — ალაში, დროშა — ჯვარი. ქართული, როგორც ფორმათა შეპირისპირებიდან ჩანს, ყველაზე ახლოს ამოსავალ ავესტურ ფორმასთან დგას. თუ, რა თქმა უნდა, დაბოლოების ა შეესაბამება ძველ ირანულ ფუძისეულ **a**-ს.

5. **ჯოჯოხეთი** — 'ქუესკნელი, გენია'.

„და მას არ უნდა ნუგეშინის-ცემის და თქუა, ვითარმედ: შთავიდე მე ძისა ჩემისა თანა გლოვით **ჯოჯოხეთა**. და სტიროდა მას მწარედ“ (დაბ. 37₃₅).

„...ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი და შთაჲდა **ჯოჯოხეთად** ქუესკნელად“ (ე. მცხ. 89₁₇).

¹ H. Vogt. Armenien et caucasique du Sud, NTS, B. IX, 1938, გვ. 331.

² Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 771.

³ P. Horn, GrnpEt, გვ. 123.

⁴ H. Hübschmann, AG, I, 146.

„რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა და არა უწყი...“ (ლ. მრ. 67₂).

„და მან იხილა ნებროთ ჯოჯოხეთსა შინა და იქსნა“... (ჯუანშ. 108₁₀)

ქართულ სიტყვაში ჯოჯოხეთი ფუძეა ჯოჯოხ-, რომელიც, ჩვენი ფიქრით, უკავშირდება ამავე ცნების გამომხატველ ძველ ირანულ სიტყვას, სახელდობრ, ამოსავლად უნდა იქნეს მიჩნეული ავესტური *duž.ašhav* (*duž.ašhu*) 'ჯოჯოხეთი', სიტყვასიტყვით 'ავი სამყოფელი' (ფალ. *vat. ax^u id.*) = *duž* + *ašhav* ან *daožahva* 'ჯოჯოხეთი', ნაწარმოები ვრდღპის საშუალებით *duž-ašhav*-იდან, საშ. სპარსული *dōžax*¹, ახ. სპარსული *dōzax*¹ 'ჯოჯოხეთი'. სომხურში გვაქვს *դժուխ-ք* საშ. სპარსული *dōžax*²-იდან², ავ. *daožahva* > ფალ. *dōžax*² > ქართ. **dojax* > **დოჯოხ* > *ჯოჯოხ-ეთ* (-ეთ ქართული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი სუფიქსია).

ქართულ ფორმაში ირ. *ž* გადავიდა ჯ-დ და შემდეგ ასიმილაციით თავიიდური *ძ*-ც ჯ-დ.

daožahva ჯოჯოხეთის საპირისპიროდ, რომელიც ეტიმოლოგიურად 'ავ' სამყოფელს' ნიშნავს, ავესტაში არსებობს აგრეთვე სიტყვა *hvašhav* 'კარგი სამყოფელი' (*hu* 'კარგი' + *ašhav* 'ყოფნა'), ე. ი. 'სამოთხე, სასუფეველი'.

სკვითურ-სარმატული და ალანურ-ოსური ელემენტები ქართულში

შედარებით უფრო ხელშესახები ფაქტები შესაძლებელია დადგინდეს ქართველი ტომების ისტორიული და ენობრივი ურთიერთობის შესახებ ძველ ირანულ დიალექტზე მოლაპარაკე სკვითებთან და სარმატებთან. ირანული ელემენტის არსებობა სამხრეთ რუსეთის სტეპებში, ჩრდილო კავკასიაში, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე VIII — VII საუკუნიდან ჩვენს ერამდე IV — V-მდე ჩვენი ერით მეცნიერებაში დღეს უცილობელ ფაქტად ითვლება. ანტიკური მწერლების ცნობებით, ზემოაღნიშნული რაიონები დასახლებული იყო ხალხით, რომელიც ცნობილია სკვითებისა და სარმატების სახელწოდებით (*Σαρμάται* და *Σαρμάται*, ლათ. *Sarmatae*). უკვე მიუღწეველად, მილერის, ტომაშეკის, ფასმერისა და სხვათა შრომებში სავსებით დამტკიცებულია ირანული ენობრივი ელემენ-

¹ Chr. Bartholomae, *AirWb*, გვ. 756, 675.

² H. Hübschmann, *AG*, I, გვ. 143.

ტების არსებობა მათ ენაში¹. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკვით-სარმატთა ეთნიკური შემადგენლობისა და ენის შესახებ მრავალი თეორია არსებობდა: მათ სთვლიდნენ ირანელებად, ურალურ-ალთაური მოდემის ხალხად, თურქულ-თათრული წარმოშობისად, არსებობდა კელტური, სლავური და უკანასკნელად კავკასიური თეორიაც, რომლის წარმომადგენლები არიან ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი. ნ. მარი თავის შრომებში „Термин скиф“ (1922) და „Скифский язык“ (1926) ამტკიცებს, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე უძველეს ეპოქაში ბერძნული და ირანული ელემენტების გვერდით უნდა ვეძიოთ მესამე ადგილობრივი ელემენტი, — წინარე ბერძნული და წინარე ირანული, — ამის საფუძველს იძლევა მასალა, რომელიც არ იხსნება არც ბერძნულითა და არც ირანულით.

ივ. ჯავახიშვილი სკვითებსა და სარმატებს კავკასიელთა (ადიდურ-ჩაჩურ-ავარულ ხალხთა) წინაპრებად თვლის და ქართველებთან მათ გენეტურ კავშირს ამტკიცებს; ირანული, მისი აზრით, გარედან შემოსული ელემენტია, ირანელებთან მეზობლური ურთიერთობის შედეგად. შეთვისებული². მაგრამ რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ეს ელემენტი, მკვიდრი თუ გარედან შემოტანილი, მისი არსებობა აშკარაა და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მიდიაში მიმავალ სკვითებს ქართველურ ენებში მისი შეტანა შეეძლოთ. აკად. მანანდიანი ბერძნული წყაროების ახალი ინტერპრეტაციის საფუძველზე ამტკიცებს, რომ სკვით-კიმერიელთა ტომების შემოსვლა კავკასიაში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დაიწყო VIII საუკუნეში ქ. წ. და მათი წინსვლა სამხრეთით მხოლოდ II ან III საუკუნეში შეჩერდა ჩვენს ერამდე; მისი აზრით, ისინი ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში მეოტიდო-კოლხეთის გზით შემოიჭრნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და კოლხეთის გავლით და მათი ნაწილი სომხეთის ჩრდილო-დასავლეთით დამკვიდრდა³.

¹ В. Миллер, Язык осетин, М.-Л., 1952, გვ. 16. იქვე დასახელებულია ლიტერატურა: Müllenhoff, Ueber die Herkunft und Sprache der pontischen Scythen und Sarmaten, 1866; В. Миллер, Осетинские этюды, III, М., 1887, გვ. 39 — 101; Ю. Кулаковский, Аланы по сведениям классических и византийских писателей, Киев, 1899; W. Tomaschek, „Alani“, Pauly-Wissowa. RE d. kl. Alt.

² И. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока, ВДИ, № 4, 1939.

³ Я. Манандян, О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ереван, 1944, გვ. 72.

უკანასკნელ ხანებში ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული და ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც შეასრულა სკვით-კიმერიელთა ტომების შემოჭრამ და დასახლებამ საქართველოში. როგორც ძველი კოლხეთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს — ქართლის (იბერიის) ტერიტორიაზე, რომლის კვალი აშკარად ჩანს როგორც ტოპონიმიკაში და ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცულ პირის საკუთარ სახელებში, ისე არქეოლოგიურ მონაცემებში, რომლებიც აღმოჩენილია ამიერკავკასიაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), და ქართულსა და სომხურ ისტორიულ წყაროებში.

ი. ჯავახიშვილი თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ქართველთა მონათესავე ჩრდილოკავკასიური ტომები გავრცელებული იყვნენ უფრო დიდ სივრცეზე — ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში, რასაც მოწმობს ამ რაიონების უძველესი ტოპონიმიკა. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩვენს ერამდე ჩრდილო კავკასია და სამხრეთ რუსეთის სტეპები დაიკავეს აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა მომთაბარეთა ახალმა ტაღლებმა, რომელთა ძირითად მასას ირანულ-ენოვანი სკვითები შეადგენდნენ. სკვით-კიმერიელთა შემოჭრისა და ქართველ ტომებთან მათი ისტორიული ურთიერთობის შესახებ ყველაზე სრული ცნობები მოცემულია გ. მელიქიშვილის შრომაში „К истории древней Грузии“. ქვემოთ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადმოვცეთ გ. მელიქიშვილის მიერ დახატული ისტორიული ვითარება ვრცელი ამონაწერების მოტანით ზემოაღნიშნული ნაშრომის სათანადო ადგილებიდან. ჩვენ ვფიქრობთ, აღნიშნული ისტორიული ვითარება გასაგებს გახდის ქართული ენის ლექსიკაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი სკვითურ-ალანურ-ოსური ელემენტების არსებობას, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. ბოლო, თავის მხრივ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ლინგვისტური მასალა მკვიდრ საფუძველს შეუქმნის გ. მელიქიშვილის მიერ წარმოდგენილ დებულებებს აღნიშნულ საკითხში. „...VIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს ერამდე ჩრდილოეთიდან, სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიიდან დაიწყო სკვით-კიმერიელთა შემოჭრა სამხრეთში. განსაკუთრებულ ძალას ამ შემოჭრებს აძლევდა, როგორც ჩანს, ის გარემოება, რომ სკვითებს და კიმერიელებს შეუერთდნენ კავკასიაში და უფრო სამხრეთით მცხოვრები ბევრი ისეთი ტომები, რომლებიც მანამდე ჩავერას განიცდიდნენ თავისი ძლიერი მეზობლების, — ძველი აღმოსავლეთის მსხვილი სახელმწიფოების, — მიერ. ჩრდილოეთის მომთაბარეთა შემოჭრა სამხრეთ რაიონებში (ამიერკავკასია და ახლო აღმოსავლეთი) რამდენიმე ნაკადად

მოხდა. VIII საუკუნის 30-იან ან 20-იან წლებში ჩვენს ერამდე წინა აზიაში შემოიჭრნენ მნიშვნელოვანი მასები კიმერიელებისა; ხოლო უფრო მოგვიანებით, სხვაგვით, მოხდა უკვე შემოჭრა სკვითური ტომებისა (ხაზი ჩემია. მ. ა.). კიმერიელები შემოიჭრნენ ე. წ. მეოტიდო-კოლხეთის გზით, რომელიც გაკმეული იყო აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სკვითები კი მოდიოდნენ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროთი დარუბანდის გადასასვლელით (კართი)¹. აღნიშნულ გარემოებაზე მიგვითითებენ ძველი ბერძენი ავტორების (მაგ., ჰეროდოტე I, 103--104, IV, 12) ცნობები და არქეოლოგიური მასალა. რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ჩრდილოელი მომთაბარეები კავკასიონის სხვა გადმოსასვლელებითაც სარგებლობდნენ (მაგალითად, დარიალის ხეობით). ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე სარგონ მეორის ეპოქის ასურული წერილები, რომლებიც კიმერიელთა მიერ ურარტელთა ლაშქრის დამარცხების შესახებ მოგვითხრობენ. ურარტუში მიმავალმა კიმერიელებმა და სკვითებმა რომ კულხას სამეფოს ტერიტორიაზე გაიარეს, ამას მოწმობს აგრეთვე რამოდენიმე ტოპონიმიც სამხრეთ ამიერკავკასიაში, რომელსაც სპეციალისტები თრაკიული და ჩრდილო-ირანული ენობრივი მასალის საფუძველზე უკეთებენ ინტერპრეტაციას: მაგალითად, სახელწოდება თრიალეთის ქედისა, რომელსაც უკავშირებენ კიმერიელი ტომის ტრერების სატომო სახელს (შდრ. სომხ. თრელ-ქ), და სახელწოდება ქვემო ქართლისა *I'axapuyh*, სომხური *Գուգար-ք*. აკ. შანიძის² აზრით, ეს უკანასკნელი შერცავს ფუძეს *გოგ-*, რომლის დაკავშირება შესაძლებელია ბიბლიური თქმულების *გოგ-ხა* და *მაგოგთან*, რომელსაც უკვე იოსებ ფლავიუსი სკვითებთან აიგივებდა. ქვემო ქართლის სახელწოდებაში სკვითების სახელის არსებობა, გ. მელიქიშვილის აზრით, „მიუთითებს მომხდარ ფაქტზე სკვითური ტომების აქ დასახლებისა და გარკვეულ პერიოდში მათი პოლიტიკური ჰეგემონიისა ამ ტერიტორიაზე. ეს მითუმეტეს სარწმუნოა, რომ მსგავსი მდგომარეობა ჩვენ გვაქვს, როგორც ჩანს, მეზობელ (აღმოსავლეთით) ოლქში საკაშენე. სტრაბონის მიხედვით, სომხეთის ერთ-ერთ ჩრდილოეთ რაიონში დასახლდნენ საკები (=სკვითები), რომელთა სახელის მიხედვით ეს რაიონი იწოდებოდა „საკაშენე“ (XI, 29₄).

¹ Г. М е л и к ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 221 და შემდეგ.

² ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, „*Исследования грузинско-армянских суффиксов в грузинском и армянском языках*“, გვ. 23.

მიუხედავად იმისა, რომ წერილობით ძეგლებში ჩვენ არა გვაქვს მონაცემები ამიერკავკასიის ჩრდილოეთი რაიონების შესახებ, კერძოდ საქართველოს შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ შემოჭრილი ტომებიდან ზოგიერთი უეჭველია ამ რაიონში დასახლდა. ამას მოწმობს ფაქტი საქართველოსა და ამიერკავკასიის მატერიალურ კულტურაში სკვითური ელემენტების არსებობისა, რაც ამ პერიოდში ამიერკავკასიის მოსახლეობის სკვით-კიმერიელთა ტომებთან ინტენსიურ ურთიერთობაზე მიუთითებს და, შესაძლებელია, სკვით-კიმერიელთა ცალკეული ჯგუფების ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლეობაზეც¹.

VII—VI ს. ძვ. წ. ა. ამიერკავკასიის მატერიალურ კულტურაში, ადგილობრივი და ძველი აღმოსავლურის გვერდით, გეხვდება სკვითური ელემენტიც. დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი, როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში, ამ ეპოქის არქეოლოგიურ ფენებში სკვითური ისრის პირები და სკვითური შეიარაღების სხვა საგნები. ისრის პირები ნაპოვნია, მაგალითად, სამთავროს სამაროვანში; აქვე აღმოჩენილია სკვითური აკინაკები და სხვა აღრე-სკვითური კულტურის ტიპური ნიმუშები². აღსანიშნავია, აგრეთვე დვანის ნეკროპოლის სამარხი ცხენის ძვლებით, სკვითური იარაღით, ცხენის აღკაზმულობით და სხვა³. სამარხი სკვითური კულტურის საგნებით აღმოჩენილია წიწამურში, სოფ. ბეშთაშენთან, თრიალეთში და სხვაგან. სკვითური ელემენტები აღმოჩენილია აგრეთვე აფხაზეთშიც, სადაც VII—VI ს. ძვ. წ. ა. სამარხებში ჩვენ ვხვდებით ტიპურ სკვითურ ინვენტარს და სკვითური დამარხვის წესის დამახასიათებელ ნიშნებს.

სკვითური საგნები ნაპოვნია სომხეთში (კარმირ-ბლური, სევანის ტბის რაიონი) და აზერბაიჯანშიც (მინგეჩაურის გათხრების დროს)³.

„სკვით-კიმერიელთა შემოსევებმა დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ცხოვრებაში. შემოჭრილი ტომები თავზარს სცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და

¹ Г. Меллишвили, *op. cit.* გვ. 223—224.

² С. Макалатиа, Дванский некрополь, *Советская археология*, XI, 1949, გვ. 231.

³ Б. Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, I; გვ. 43 და შემდეგ.

ანადგურებდნენ მთელ ოლქებს, მათ გაიარეს მცირე აზია, მიაღწიეს მის დასავლეთ საზღვრებს, შეიჭრნენ სირიაში, პალესტინაში და მივიდნენ ეგვიპტის საზღვრებამდე. მხოლოდ ძალების ძალიან დიდი დაძაბვის შედეგად აღმოსავლეთის მსხვილი სახელმწიფოების მმართველებმა (ეგვიპტე, ასურეთი, ურარტუ) შეძლეს შეეჩერებინათ მათი მოწოლა და გადაერჩინათ თავისი სახელმწიფოები სრული განადგურებისაგან. სკვითები და კიმერიელები დასხდნენ ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ალაგას და ჯერ კიდევ დიდხანს ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ამ რაიონების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი შემოჭრის ადრეულ პერიოდში სკვითები და კიმერიელები ეწეოდნენ შეიარაღებულ ბრძოლას მთელი ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის მოსახლეობასთან. უეჭველია, მრავალი უმეტესად სუსტი გაერთიანებანი, რომლებიც ჩაგვრას განიცდიდნენ თავისი ძლიერი მეზობლებისაგან, შეუერთდნენ კიდევ სკვით-კიმერიელებს, ფიქრობდნენ რა, რომ მათი დახმარებით გაიმარჯვებდნენ თავის მეზობლებზე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სკვით-კიმერიელთა ეფექტური ბრძოლა მსხვილი ძველი აღმოსავლური სახელმწიფოების წინააღმდეგ შეუძლებელი იქნებოდა მათდამი მტრული დამოკიდებულების დროს ამიერკავკასიის მოსახლეობასთან. მაგრამ მალე მათი თავდასხმითი ენერგია გამოიღია. მართალია ისინი ამის შემდეგაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ძირითადად, როგორც მოკავშირეები ან დაქირავებული ჯარი ძველი აღმოსავლური სახელმწიფოების მმართველებისა... ის, რაც მოუვიდათ სკვითებსა და კიმერიელებს, რომლებიც მოქმედებდნენ ამიერკავკასიის სამხრეთით მოსაზღვრე ტერიტორიაზე, უეჭველია მოუვიდოდათ სკვით-კიმერიელთა იმ ტომებსაც, რომლებიც დამკვიდრდნენ თვით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. რადგან ისინი არ იყვნენ ძალიან მრავალრიცხოვანი და... განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგნენ—მალე უნდა მოხვედრილიყვნენ ადგილობრივი პოლიტიკური გაერთიანებების გავლენის ქვეშ და ბოლოს შერწყმოდნენ, ასიმილირებულიყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან¹. ყველა ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ძველი საქართველოს მოსახლეობა მკიდროდ იყო დაკავშირებული სკვით-სარმატთა ტომებთან, რომლებიც ემეზობლებოდნენ მას როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით და თვით საქართველოს ტერიტორიაზეც (განსაკუთრებით მთიანეთში). ქართული ისტორიული ტრადიცია დიდ

¹ Г. Мелиншвили, *op. cit.*, გვ. 225, 230.

ადგილს უთმობს მთიელებთან ურთიერთობის საკითხს, განსაკუთრებით ქართლის სამეფოს ისტორიის პირველ პერიოდში. ქართლის სამეფო ამ დროს გარემოცული იყო მეომარი მთიელებით და ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მცხოვრები მრავალრიცხოვანი მომთაბარე ტომებით, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ მის არსებობას. მაგრამ ძლიერმა ქართლის სამეფომ შეძლო, როგორც ჩანს, თავისი გაგლენა გაეგრეცლებინა მეზობელ მთიელ ტომებზე, შეეყვანა ისინი თავის შემადგენლობაში და განეხორციელებინა კონტროლი დიდი კავკასიონის გადმოქსავლელებზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მისთვის, არამედ მეზობელი მსხვილი სახელმწიფოებისათვის (სომხეთი, ირანი, რომი და სხვა). ამავე დროს, მას ხელთ ჰქონდა მძლავრი იარაღი თავისი სამხრეთელი მტრების წინააღმდეგ, რადგან ყოველთვის შეეძლო შეთანხმებულიყო მთიელებთან და ჩრდილოეთის მომთაბარეებთან, გადმოეშვა ისინი სამხრეთით და მათთან ერთად გაენადგურებინა თავისი მეტოქეები. ამაზე მიგვითითებენ არა მარტო ქართული წყაროები, არამედ ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობები¹. ქართლის ცხოვრებაში ოვსები ხაზართა შთამომავლებად იწოდებიან, ლეონტი მროველთან ვკითხულობთ: „ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა თჳსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავკასის ნაწილი... დასავლეთამდე მთისა და დაეშენა უობოს: და მათნი ნათესაენი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი“ (ლ. მრ. 12₁₆). რომ ხაზართა შემოსევის ქვეშ ქართლის ცხოვრების ამ ადგილას სკვითთა შემოსევა იგულისხმება, დიდი ხანია აღნიშნული იყო მკვლევართა მიერ (კლაპროტი, პატკანოვი, მილერი და სხვა). ამასვე ადასტურებს გ. მელიქიშვილიც: „ის გარემოება, რომ

¹ გ. მელიქიშვილის თქმით, „ტერმინი იბერია ანტიკურ ლიტერატურაში თავიდანვე იკაფავს გზას, როგორც სახელწოდება მთლიანი პოლიტიკური ერთეულისა, რომელიც მოიცავდა ბარის მოსახლეობის გვერდით მეზობელი მთიელების მნიშვნელოვან ნაწილსაც, რომელიც ბევრ რამეში წინაშეაღწევიანად განსხვავდებოდა სამეფოს წამყვანი ბარის მოსახლეობისაგან“. სტრაბონით „ბარში ცხოვრობენ იბერები, რომლებიც უფრო მიწათმოქმედებას მისდევენ და მშვიდ ცხოვრებას ეწევიან, შეიარაღებულნი სომხურად და მიდიურად, ხოლო მთიანი ნაწილები უჭირავთ მეომართა უნრავლესობას, რომელიც თავისი ცხოვრების წესით სკვითებსა და სარმატებს ჰგავს, რომლებსაც იგი ემეზობლება და ენათესავება“; იხ. Г. М е л и к и ш в и л и, *op. cit.*, გვ. 292—293; სტრაბონი (XI, 3, 3).

მოსახლეობა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით იწოდება „ხაზარებად“, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამათარილებელ ნიშნად. ხაზარები ამ ტერიტორიაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ VII საუკუნიდან. VII—VIII საუკუნეებში ძალიან ხშირი იყო მათი შემოჭრა ამიერკავკასიაში. რამდენიმე ხანს ამის შემდეგაც ხაზარები რჩებიან მნიშვნელოვან ძალად და „ქართლის ცხოვრების“ მიერ „ხაზართა“ სახელის მიღება ჩრდილოეთის ხალხების ზოგად სახელად ამ ეპოქის მემკვიდრეობას წარმოადგენს“¹. რომ ქართლის მოქცევასა და ლეონტი მროველის თხზულებაში სწორედ სკვით-სარმატთა ტომებთან ურთიერთობაზეა ლაპარაკი, ამას ცხადყოფს ჩრდილო-ირანული (სკვითურ-სარმატული) საკუთარი სახელები, როგორც ქართლის ცხოვრების მეფეთა ნუსხაში (საურმაგ, აზო, არსუკ, ქარდამ, ბრატმან, ლადამ, ასფაგურ და სხვა), ისე არმაზის გათხრების დროს აღმოჩენილ ბილინგვაში მოხსენიებული პირთა სახელები, რომლებიც ვ. აბაევის მიერ ახსნილია ალანურ-ოსური ენობრივი მონაცემების საშუალებით (ქსეთარნუგ, იოდმანგან, ზევახ და სხვა), რომ არაფერი ითქვას იმის შესახებ, რომ ლეონტი მროველთან წარმოდგენილი სქემა მსოფლიო ისტორიისა, რომელსაც ის ცდილობს დაუკავშიროს მნიშვნელოვანი მოვლენები საქართველოს ისტორიიდან, ხაზარებში უეჭველია სკვით-სარმატთა ტომების შემოჭრას გვაგარაუდებინებს (ხაზარები — სკვითები, სპარსელები — აქამენიდები, ანტიოქოს — სელევკიდები და ბერძნები — პონტოს სამეფო)².

შეპირისპირება ლინგვისტური მონაცემებისა, რომლებიც მოპოვებულია ჩრდილო კავკასიის, სამხრეთ რუსეთისა და შავი ზღვის

¹ ასეთი შემთხვევები მატრიანთა მიერ მათთვის უფრო ნაცნობი გვიანდელი სახელწოდების გავრცელებისა ადრინდელ ისტორიულ მოვლენებზე ცნობილი ფაქტია ყველა ხალხის ისტორიაში და დამახასიათებელია ქართული ისტორიული ტრადიციისათვისაც. სკვითებს გვიანდელი წყაროები უწოდებენ ჰუნებსა და ყივჩაყებსაც (ლ. მროველი), და, პირიქით, სპარსელების სახელი ვრცელდება არაბებზე და თურქებზედაც (იხ. Г. Меликишвили. К истории древних Грузии. გვ. 35 — 37 და შემდეგ; აგრეთვე, მ. ანდრონიკაშვილი, ირანული ეთნიკური და გეოგრაფიული სახელები ქართ. ისტორიულ წყაროებში, სახელთან სპარსი, სპარსეთი).

² ქართული და ქართველური ტომების სკვით-სარმატებთან ისტორიული ურთიერთობის საკითხები ყველაზე სრულად და ვრცლად განხილული აქვს გ. ნელიქიშვილს თავის ზემოაღნიშნულ წრომაში. მას სრულად აქვს გამოყენებული მანამდე არსებული სპეციალური ლიტერატურა და ყველა ისტორიული წყარო. ამიტომ ჩვენ ამ წრომას მივყვებით გარკვეული ეპოქის (III ქ. წ. — III ქ. შ.) ქართულ-სკვითურ-ალანური ისტორიული დამოკიდებულების გადმოცემისას.

ჩრდილო სანაპირო ქალაქების ბერძნულ წარწერებში დადასტურებული ირანული ეთნიკური, ტოპონიმიკური და პირის სახელების სახით, ძველი სპარსულისა და ანტიკური ავტორების მონაცემებთან, საგნებით ადასტურებს ისტორიულ ცნობებს (თუნდაც ბერძნული და ქართული წყაროებისა) იმის შესახებ, რომ სკვითებისა და სარმატების სახელწოდების ქვეშ ოსთა წინაპრებიც იგულისხმებოდა. ამის საბუთია ოსური ლექსიკისა და ფონეტიკის სიახლოვე სკვითურ სახელებთან. „უძველესი ირანული ლექსიკური ელემენტების შემცველი სკვითური სახელები მათში ისეთი ფორმით არის წარმოდგენილი, რომელიც ყველა ირანული ენებიდან მხოლოდ ოსურს ახასიათებს“. მაგალითად, სკვითური *Λείμανος* = ოს. *lymæn | limæn* 'მოყვასი', სკვითური *Ναμγυος* = ოს. *nomgin* (<*namgin*) 'სახელოვანი', სკვითური *Ὀσμαραγος* = დიგორ. *osmarag* 'жемчужина'; სკვით. *Ινσαჯυος* = ოს. *insæž* 'ოცი', *Αρδαρος* = ოს. *ærdar, ældar* 'ხელმწიფე, თავადი', *φίσρτας* = ოს. *fyrt | furt* 'ვაფი' და სხვა; აქამენიდების ლურსმულ წარწერებში დაცული სატომო სახელი სკვითებისა *Saka* = ოს. *sag* 'ირემი' (ტოტემური ცხოველის სახელი); სკვითთა ბელადის სახელი დარიოსის წარწერაში *Skunxa* = ოს. *sk'uuxt* 'სახელოვანი, გმირი', დიგორ. *sk'wænxun* 'თავის გამოჩენა', 'გმირობა' და უამრავი სხვა. დაწვრილებითი ანალიზი ირანული წარმოშობის „სკვითური“ სახელებისა მოცემული აქვს ვ. აბაევს ნარკვევში „სკვითური ენა“¹. აღნიშნულ ნაშრომში ავტორმა საგნებით გარკვეულად განსაზღვრა სკვითურის ადგილი ირანულ ენათა შორის და დაასაბუთა მის წინამორბედ სპეციალისტთა² მიერ წამოყენებული დებულება, რომ 2000 წლით ერთმანეთს დაშორებული „სკვითური ენა“, ერთი მხრივ, და თანამედროვე ოსური, მეორე მხრივ, წარმოდგენენ განვითარების ორ საფეხურს ირანული ენების ერთი და იმავე შტოსი, რომელიც ცნობილია ჩრდილო-ირანულ ან სკვითურ-სარმატულ ენათა ჯგუფის სახელწოდებით. ოსების წინაპრები, რომლებიც VII საუკუნიდან ძვ. წ. ა. III-მდე ქ. შ. ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში ბინადრობდნენ, შუა საუკუნეებში ცნობილი არიან უმთავრესად ალანების სახელწოდებით. ქართული, სომხური, ბიზანტიური, ლათინური, არამეული, რუსული ისტორიული წყაროების

¹ იხ. В. Абаев, ОИФ, 147 და შემდეგ.

² მხედველობაში გვაქვს ჰ. ჰიუბშმანის, ვს. მილერის, მ. ფასმე-რისა და სხვათა შრომები ოსური ენის შესახებ. იხ. ზემოთ.

შეპირისპირება ააშკარავებს, რომ ოსების (ოგსების), ასების, ჯაზიგების და ალანების სახელწოდების ქვეშ ერთი და იგივე ხალხი იგულისხმება ვ. აბაევის მიერ გამოვლენილი ლინგვისტური მასალა უეჭველს ხდის ამ დებულების სისწორეს. საინტერესოა, რომ დარი-ალის ხეობას, რომელსაც სპარსელები, რომაელები და არაბები ალანთა კარს უწოდებდნენ (შდრ. ფალ. dar-i Alan, Bāb al-Alan, porta Alanorum) და რომელიც ძვ. ქართულშიც დარიალანის სახელით არის ცნობილი, „აბოს წამება“-ში (VIII ს.) ახლავს გლოსა: „რომელ არს ოგსთა კარი“¹. ოსებისა და ალანების იგივეობას ამტკიცებს აგრეთვე ალანური (ასური) საკუთარი ხახელები, მაგალითად: ალდე (აფხაზთა მეფის (XI ს.) გიორგის მეუღლე) = ოს. ქალის სახელი Aldæ; სახელი Anbal = ოს. æmbal | ænbal ‘ამხანაგი’, გვარი Æmbaltæ, რომელიც დადასტურებულია სხვადასხვა წყაროებში (რუსულში XII ს. და X ს. საფლავის ქვის წარწერაში, რომელიც ნააოგნი იყო მდინარე ზელენჩუკთან ისტორიული ალანეთის ტერიტორიაზე); Ιταρχα ალანთა წინამძღოლის სახელი VIII ს. = ოს. idæჯ ‘ქვრივი’, Matarša (ალანი, ასთა წინამძღოლი) = ოს. Matærsæ ‘უმიშა’ და სხვა².

ოს-ალანებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჩვენი ერის ისტორიის პირველ საუკუნეებშივე იგულისხმება. კასიოს დიონის ცნობით, ქართლის მეფემ ფარსმან მეორემ მოაწყო ალანების მსხვილი შემოსევა პართიისა და სომხეთის სამფლობელოებში. ეს ისტორიული ფაქტი ასახულია ლ. მროველის თხზულებაში ფარსმანის ძეთა (აზორკ და არმაზელ), ქართლის მეფეთა, მიერ სომხეთის წინააღმდეგ ოგსთა და ლეკთა გადმოყვანის ეპიზოდში (იხ. ლ. მრ. 45₇₋₁₀)³, აგრეთვე მოსე ხორენელთან არტაშესის ალანებთან ბრძოლის შესახებ ცნობილ ამბავში. ალანთა გაქრისტიანების შემდგომ მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა, ჩვეულებრივი გახდა ქორწინებანი საქართველოსა და ოსეთის სამეფო სახლებს შორის (რასაც ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან — ფარნავაზის, საურმაგის, გორგასალის დროს). ასეთ ხანგრძლივსა და მჭიდრო პოლიტიკურ-ისტორიულ ურთიერთობას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა ენობრივი ურთიერთობა ქართულსა და ალანურ-ოსურს შორის და, მართლაც, ორივე ხალხის ენაში ჩვენ ვხვდებით ამ

¹ იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, გვ. 21, 22.

² В. Абаев, ОЯФ, გვ. 86; მისივე, О некоторых осетинских элементах в грузинском, ТИЯ, т. VI, М., 1956, გვ. 438.

³ იხ. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 357.

ურთიერთობის კვალს შეთვისებული ლექსიკური ელემენტების სახით. ოსურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ქართული ელემენტების არსებობა მრავალჯერ იყო აღნიშნული ოსური ენის მკვლევართა მიერ (ვ. მილერი, ჰ. ჰიუბშმანი, გ. ახვლედიანი, ვ. აბაევი, ე. ბენვენისტი და სხვა). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა ოსური ელემენტების გამოვლენას ქართულში. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ საყურადღებო შედეგებია მიღებული გ. ახვლედიანისა და ვ. აბაევის მიერ. ამ უკანასკნელის მიერ ქართულსა და ქართველურში (მეგრული, სვანური) გამოვლენილია რამდენიმე ათეული (30-მდე) ოსური წარმოშობის სიტყვა¹, მათ შორის ისეთი ყოველდღიური ხმარების ჩვეულებრივი სიტყვები, როგორც არის: ქუდი, ხიდი, ორმო, ბევი, ქადილი, ქადაგი, შავი, ძნელი, მკაცრი, დოდი და სხვა. საკუთარი სახელები: საურმაგი, აღსართანი, ვახტანგი, იალსარი, აღუდა, აფშინა; არმაზსა და მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული და არამეული წარწერების სახელებიდან: ქსეფარნუგი, იოდმანგანი, შარგასი, ზევახი, ბევრაზურია. ვ. აბაევს აღნიშნული აქვს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ და ართულებდნენ ოსურ-ალანური ელემენტების გამოვლენას ქართულში; ეს არის, ერთი მხრივ, ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონის უქონლობა და ქართული ლექსიკის სისტემატური შეუსწავლელობა სიტყვათა წარმომავლობის თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ ქართულის კულტურული უპირატესობის გამო ოსურის გავლენა ქართულზე უფრო ნაკლებია, ვიდრე პირიქით. მას აღნიშნული აქვს აგრეთვე ის სირთულე, რომელიც თან სდევს ქართულში ოსურიდან შემოსული სიტყვების გამიჯნვას სპარსულიდან შეთვისებული სიტყვებისაგან. საკითხი ალანურ-ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესახებ განხილულია გ. ახვლედიანის წიგნში „Сборник избранных работ по осетинскому языку“, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატია „О некоторых вопросах аланско (осетинско)-грузинских языковых взаимоотношений“. ამ სტატიაში ავტორი, აღნიშნავს რა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება ენობრივ მონაცემებს ქართველი და ოსი ხალხის ისტორიული ურთიერთობის შესწავლისას, საესებით ეთანხმება ვ. აბაევის მიერ წამოყენებულ დებულებას, რომ „ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობანი თავისი სიძველის, სიმდიდრის, სირთულისა და ინტერესის მიხედ-

¹ ОЯФ, გვ. 86: О некоторых осетинских элементах в грузинском. გვ. 438 და შემდეგ.

ვით იმსახურებენ იმას, რომ გახდნენ საგნად სპეციალური კვლევისა¹. გ. ახვლედიანის აზრით, „ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხანგრძლივი საურთიერთო გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს“². აღნიშნულ ენებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მისი აზრით, შეიძლება ვუწოდოთ უფრო ურთიერთგამსჭვალვა (взаимощропникновение). მისივე თქმით, ქართული სიტყვები ოსურში და ოსური ქართულში ვერ მოხვდებოდნენ ამ ენებში იზოლირებულად, ცალკეული ნასესხობების სახით, ისინი უთუოდ შეადგენდნენ უმნიშვნელო ნაწილს მრავალრიცხოვან სიტყვათა სისტემისას, რომელიც ორივე ენისათვის საერთო იყო, და რომელიც ურთიერთმოქმედებისას ამ ენათა სტრუქტურასთან იწვევდა სათანადო ცვლილებებს ორივე ენის გრამატიკასა და ფონეტიკაში. „მნიშვნელოვანი სტრუქტურული შეხვედრები ქართულ და ოსურ ენებს შორის აინტულებს მკვლევარს გამოარკვიოს ის უეჭველად უფრო ვრცელი საერთო ლექსიკური ფონდი, რომელმაც განსაზღვრა ეს თანხედენილობანი“ (ფონეტიკურ სისტემათა ნეიტრალიზაცია: მსგავსება გრამატიკულ ფორმათა სემანტიკისა და ფრაზეოლოგიზმებისა). აღსანიშნავია, რომ გ. ახვლედიანი არ თვლის საჭიროდ მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მიმართულება სიტყვების შეთვისებისა — ოსურიდან ქართულში თუ პირიქით (ვინ ვისგან ისესხა), რამდენადაც, როგორც იგი აღნიშნავს, მას აინტერესებს ერთიანობა ენობრივი და, მაშასადამე, საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისა ამ ორ ხალხს შორის.

შედგვი ოსურისა და ქართულის ასეთი ურთიერთგავლენისა თუ ურთიერთგამსჭვალვისა, როგორც გ. ახვლედიანი უწოდებს, თავს იჩენს, უპირველეს ყოვლისა, ამ ენათა ფონეტიკური სისტემების მსგავსებაში. თანამედროვე ოსურ თანხმოვანთა სისტემას ქართულისაგან განასხვავებს მხოლოდ ერთი თანხმოვანი, ეს არის ოს. *ჩ*. რომელიც უცხოა ქართული და ქართველური ენებისათვის. ძვ. ოსურის (ალანურის) ფონეტიკური შედგენილობა იბერიულ-კავკასიურ ენათა გავლენამდე შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ძველი ირანული ენების ფონეტიკური მონაცემების მიხედვით, კერძოდ სკვითურ-სარმატულის მიხედვით. სკვითური კონსონანტიზმი, აღდგენილი აბაევის მიერ³, არ შეიცავს არც ერთ სპეციფიურ კავკასიურ თანხმოვანს,

¹ ОЯФ, გვ. 93—94.

² იხ. Г. А х в л е д и а н и, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тбилиси, 1960, გვ. 173.

³ ОЯФ, Скифский язык, გვ. 202; Г. А х в л е д и а н и, Сборник избранных работ, გვ. 175.

იგი განსხვავდება სხვა ძველი ირანული ენებისაგან მხოლოდ რამდენიმე სპეციფიური ნიშნით, რომელიც არ სცილდება ირანულ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიის ფარგლებს. ვ. აბაევის მიერ ე. წ. სკვითური ფონეტიკური სისტემა შემდეგი სახით არის აღდგენილი: ხმოვნები: a, ā, i, u, ai (> e), au (> o); თანხმოვნები: k, g, x, č, j (č̣), t, d, ʃ, p, b, f, m, n, r, y, v, s, š, z, ž, h. სკვითური ენის ბგერითი შედგენილობის აღდგენა სხვა ირანულ ენათა მონაცემებისა და ოსურთან შეპირისპირების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, იმდენად არაზუსტად გადმოსცემს მას ბერძნული და ლათინური დამწერლობა. ამის შესახებ წარმოდგენას მოგვცემს ის სქემა, რომელიც მოყვანილია ვ. აბაევის ნაშრომში სკვითური ენის შესახებ:

ბერძნ.	α — ā, a	λ — l
	αι — ai, e	μ — m
	β — b, v (w)	ν — n
	γ — g, ḡ	ξ — xš, xs, kš, ks
	δ — d	ο — o, u, v, (w), va
	ε — e, a, i (y)	ου — p, b
	ει — i, ai	σ — s, š, z, ž
	ζ — z, ž, ž (dz), j (dž), c, č	τ — t, d, č
	η — e, (i ?)	υ — u, v (w)
	θ — ʃ, t	φ — f
	θι — č (c ?)	χ — x, h
	ι — i, y	ψ — fs
	κ — k, x (სიტყვის ბოლოს) g	ω — o, u (?), va, vá

ე. ი. მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოცემულია მხოლოდ k, x, d̄ (ḍ), p, f, m, n, r თანხმოვნები. ყველა სხვა თანხმოვნის გადმოცემისას, ვ. აბაევის თქმით, ყოველთვის რჩება ადგილი ეჭვისა და ბუნდოვანებისათვის. მაგალითად, თანხმოვნები g და ḡ გადმოცემულია ერთი ნიშნით γ-თი. აფრიკატები č და j, უცხო ბერძნული და ლათინური კონსონანტიზმისათვის, გადმოიცემოდა ხუთი სხვადასხვა საშუალებით č = τ, ʃ, ʃi, σ, ζ. ბერძნულ დამწერლობაში არ არის გადმოცემული განსხვავება სისინა და შიშინა აფრიკატებს შორის č, j და c, ž, ნახევარხმოვანი v გადმოცემულია ou, o, β, v-ს საშუალებით, არ არის გარჩეული s—z, š—ž-საგან და სხვა. ამ თვალსაზრისით ქართული ენის მონაცემებს უძველეს ქართულ

ძველებში დადასტურებული ოსურ-ალანურიდან შეთვისებული სიტყვების სახით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სკვითურ-სარმატული და ოსური ისტორიული ფონეტიკის შესწავლის საქმეში, რამდენადაც ქართულს, ისე როგორც სხვა ქართველურსა და კავკასიურ ენებს, თავისი მდიდარი კონსონანტური სისტემით, შესანიშნავი საშუალება აქვს გადმოსცეს ძველი ირანული (სკვითური) კონსონანტიზმი, რომელიც კავკასიურ ენებთან ურთიერთგავლენის საფუძველზე თანდათანობით ქართველური კონსონანტიზმის თითქმის იდენტური ხდება. ოსური ენის მკვლევართა შრომებში, აბაევამდე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღნიშნავენ ოსურ ლექსიკაში კავკასიური და, განსაკუთრებით, ქართული ელემენტების არსებობას (ჭიუზმანი, მილერი და სხვა), სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ქართულ-ქართველური ენების მნიშვნელოვან როლს ოსური ენის ჩამოყალიბებაში, რომელიც ცალკეული ლექსიკური ელემენტების სესხებამდე არ დაიყვანება. ვ. აბაევმა თავის შრომებში ხაზგასმით აღნიშნა და დაასაბუთა, „რომ კავკასიური ელემენტი ოსურში შევიდა არა როგორც გარეგანი გავლენა, თურქულისა და არაბულის მსგავსად, არამედ როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ფაქტორი, როგორც მისი მეორე ბუნება“¹. დასკვნით დებულებებში შრომისა „О взаимоотношении иранского и кавказского элементов в осетинском“ ვ. აბაევი ამბობს: „ოსური ენის ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში კავკასიური სუბსტრატი გვევლინება, როგორც დამოუკიდებელი კონსტრუქციული ელემენტი და არა როგორც „სესხება“. კავკასიური ელემენტი იჭრება ოსური ენის ე. წ. ძირითად ლექსიკურ ფონდში, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ ხანგრძლივი ორენოვნების ნიადაგზე“. არა ერთგზის იყო აღნიშნული, როგორც ვ. აბაევის, ისე ოსური ენის სხვა მკვლევართა მიერ, რომ ამ სუბსტრატულ ელემენტებს შორის ყველაზე ძირითადი და მნიშვნელოვანია ქართულ-ქართველური ელემენტი². ეს საკითხი უაღრესად საინტერესოა როგორც ქართული ენისა და კულტურის ისტორიისათვის, ისე ინდოევროპეისტიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რამდენადაც ცხადყოფს ქართულის გავლენას ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი შტოს—ირანული ენების—წარმოშოდ-

¹ В. Абаев, ОЯФ, გვ. 76.

² იქვე, გვ. 291, 323; სტატიები: Поездка в Сванетию, Мегрелизм в осетинском და Происхождение и культурное прошлое осетин по данным языка, გვ. 86 — 87.

გენელზე, მაგრამ ამჟამად ჩვენ არ შევუდგებით მის განხილვას. ჩვენი შრომის ძირითად მიზანს შეადგენს ირანული ელემენტების გამოვლენა ქართულში და არა პირიქით. ამიტომ ოსური ენა ჩვენთვის საინტერესოა, როგორც წარმომადგენელი ირანულ ენათა ჯგუფისა, მემკვიდრე სკვითურ-სარმატული ენობრივი ტრადიციისა. ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალას ქართულ ენაში სკვითურ-სარმატული და ალანურ-ოსური ლექსიკური და ონომასტიკური ელემენტების სახით, რაც, ჩვენი ფიქრით, მნიშვნელოვნად აფართოებს მასალობრივად იმ მონაცემებს, რომლებიც აქამდე იყო ცნობილი ოსური ენის მკვლევართა შრომების მიხედვით. ვ. აბაევისა და გ. ახვლედიანის მიერ გამოვლენილ სიტყვებს წარმოვადგენთ, აგრეთვე, სათანადო დოკუმენტაციით ქართული წერილობითი ძეგლებიდან და ვამაგრებთ, სადაც ეს შესაძლებელია, სხვა ლინგვისტური საბუთებით. ამასთანავე, ჩვენ განზრახული გვაქვს ცალკე შრომაში ან ამ შრომის შემდგომ ნაწილებში წარმოვადგინოთ ჩვენი დასკვნები ქართულ-ქართველური ელემენტების შესახებ ოსურში, რაც, ჩვენი ფიქრით, ცოტათი მაინც გააფართოებს იმ მასალას, რაც აქამდე იყო ცნობილი.

ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ ნარკვევში გაუმიჯნავად და სადაურობის მიუთითებლად წარმოვადგინოთ ოსურ-ქართული ან კავკასიურ-ოსური „საერთო ფონდის სიტყვები“ და, რა სირთულესაც არ უნდა წავაწყდეთ მათი გამიჯნვის დროს, ჩვენი თემა მოითხოვს მითითებულ იქნეს განხილულ სიტყვათა წარმომავლობა (გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა).

ვ. აბაევს ქართულ და ქართველურ ენებში ოსურ-ალანურიდან შეთვისებულად მიაჩნია შემდეგი სიტყვები: ოსურიდან ქართულში — შ ა ვ ი, ბ ე ვ რ ი, ქ უ დ ი, ლ უ დ ი, დ ო ლ ი, ო რ მ ო, ხ ი დ ი, უ ს ო, ქ ე რ ჩ ო, ქ ა დ ე ბ ა, ქ ა დ ა გ ი, დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი რ ა ჯ. — ნ ა ხ შ ო ბ ა, რ ა ნ გ ი, გ უ დ უ ნ ი, ძ ნ ე ლ ი, მ კ ა ც რ ი, ნ უ ს ა დ ი ა, ბ უ ზ ვ ა, ა ბ უ ზ ვ ა, მ უ რ ა (ძაღლი), ფ ე რ ც ხ ა ლ ი, უ რ ვ ა თ ი. სვანურში: სვან. ი ნ ლ ა, ი ნ ა ლ ა 'მოცხარი' = ოს. ninæġ, id. (ჩრდილო-თურქული წარმოშობის სიტყვა), სვან. მ ა ნ ო შ 'ქვავეი' = ოს. mænæw 'ხორბალი', სვან. ზ ა დ 'ცაილი' = ოს. zad, id, სვან. მ გ რ შ ქ 'ქიანქველა' = ოს. mælxyc|mulzug, id (< ძვ. ოს. *murçuk — ფორმიდან), სვან. დ ა რ გ 'თხა' = ოს. dærk, id, სვან. გ უ რ ნ ა, გ უ რ ა ნ ა 'ხელსაფქვავის ქვა', 'ქვასანაყი' = ოს. kuroj|kurojnæ 'წისქვილი', სვან. ა რ ს ა ნ 'მსხვილი თოკი', 'ჯაქვი' = ოს. rætæn, ræsæn (ძვ. ირ. rasana, სპ. rasan), id, სვან. ც ვ გ 'წისქვილის ნაწილი' (подпятник) = ოს. cæg 'რკალი; რგოლი, მარყუჭი', სვან.

ჩიოთ 'ქეების გროვა' = ოსური *cyrt|cirt* 'ძეგლი, საფლავის ქვა', სვან. ქ გ რ ჯ ი ნ 'ნაცარში გამომცხვარი პური' = ოს. *ḡærzyu|kærzyu* 'ქერის პური', სვან. ვ ო რ ო შ 'არყის მასალა' (ან გამონახადი) = ოს. *wæræs* 'ნპარა', სვან. რ ა ნ გ 'თაფლუქი' = ოს. *rong* 'ნართების მითიური სასმელი', 'ნექტარი', სვან. ქ ე რ დ ო ნ 'ნაქერი, ჩვარი' = ოს. *kærdæu* 'ქსოვილის ნაქერი, თავშალი', სვან. მ ა კ ჯ შ დ ო გ 'თეძო' = ოს. *ixæk'ustæg* 'მხრის ძვალი' (ოს. *stæg* 'ძვალი'), სვან. დალისგ¹ (მულახ. დალჷს) 'ცხვარი ნ თვიდან წლამდე' = ოს. *dalys|dalis, id*, სვან. ბ ვ ა ს ტ 'ქეყანა' = ოს. *xæstæ, id*, სვან. ს გ ლ ხ გ რ 'სულელი' = ოს. *sælxær, id*, სვან. ბ უ რ ა ნ 'ნაგავი, ნეხვი' = ოს. *byron|burojixæ* 'ნაგავი'.

გარდა ამისა, სვანურში დადასტურებულია რიგი სახელები „ნართული ეპოსიდან“: ნართ, სოსრუყვა, ვერძმეგ, ხაბიჯ, სათანაჲ, ზითანაჲ და სხვა. ვ. აბაევის შესაძლებლად მიაჩნია, აგრეთვე, გამოთქვას, ვარაუდის სახით, მოსაზრება სვანური ზმნების *mand* 'სიყვარული' და *za* (*lizal*) 'შობა' ოსური წარმოშობის შესახებ. შდრ. ოს. *mond, monc* 'ძლიერი სურვილი, ვნება' და *za* 'გაჩენა'. რამდენიმე სიტყვა შესულია ოსურიდან მეგრულშიც (ნოსა, ალანი კოჩი, ალანურობა). გაცილებით მეტია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართულ-ქართველურიდან ოსურში შესული ლექსიკური ელემენტები, გამოვლენილი ვ. აბაევის მიერ, მაგრამ, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ამჟამად ჩვენ მათ არ ვეხებით. განხილულ სიტყვებში, გარდა ირანული წარმომავლობის სიტყვებისა, გვხვდება თურქული, უნგრულ-ფინური, ჩრდილო ევროპული წარმოშობის სიტყვებიც (ლუდი, დოდი და სხვა), რომლებიც ოსურის მეშვეობით არიან მოხვედრილი ქართველურ ენებში. აღსანიშნავია, რომ ქართულში შეთვისებული ოსურ-ალანური სიტყვების დიდი ნაწილი შეთვისებულია უძველეს ეპოქაში (განსაკუთრებით ე. წ. ძირითადი ფონდის სიტყვები, ზმნის ძირები, რამდენიმე ყოველდღიური ხმარების სიტყვა) — სკვით-სარმატთა თუ ალანთა ძლიერების ეპოქაში, როდესაც მათი ენობრივი გავლენა ვრცელდებოდა თითქმის ყველა კავკასიელ ხალხზე. პირიქით, ქართულიდან ოსურში შესული ლექსიკური ელემენტების უმრავლესობა ეკუთვნის უფრო გვიანდელ ეპოქას, რომელიც ქარ-

¹ ვ. აბაევის აზრით, ოს. სიტყვებში *dærk'* და *dalis* შესაძლებელია გამოიყოს ელემენტი *dæx*, რომელიც აღნიშნავს 'წელიწადს', მაგრამ მისთვის გაურკვეველია, რა ენაზე: ჩვენი ფიქრით, აქ შეიძლება მოვიშველიოთ ძვ. ქართ. ტ ა რ ი გ ი 'კრავი', რომელიც სომხურიდან მომდინარეობს, სომხურში კი *տարի* — *tari* ნიშნავს 'წელიწადს'.

თულის კულტურული უპირატესობით აღინიშნება (ქრისტიანობასთან დაკავშირებული და საერთოდ სხვა კულტურული ტერმინები). მეორე მხრივ, ქართულში გამოვლენილი ოსურ-ალანური სიტყვების საკმაოდ დიდი ნაწილი განეკუთვნება დიალექტურსა და აერიფერიულ ლექსიკას. დიალექტებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია რაჭული, მოხვეური და ხევსურული, რომელთაც დღემდის მეზობლური კონტაქტი აქვთ ოსურ მოსახლეობასთან.

მეტად საინტერესო მასალა აქვს წარმოდგენილი გ. ახვლედიანს ზემოდასახელებულ ნარკვევში ოსურ-ქართული ენობრივი შეხვედრების შესახებ, სადაც ავტორი განზრახ გაუდიფერენცირებლად და მეტწილად წარმომავლობის მიუთითებლად განიხილავს ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ხასიათის საყურადღებო შეხვედრებს ქართულ და ოსურ ენებს შორის. ჩვენ დავასახელებთ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებს ოსურ-ალანურიდან ქართულში მომდინარე ლექსიკური ელემენტებისა (ფრაზეოლოგიური და იდეოსემანტიკური შეხვედრები ამჟამად არ იქნება ჩვენი განხილვის საგანი). მაგალითად: ოსურად მიაჩნია გ. ახვლედიანს ელემენტი ვირ-ქართულ სიტყვებში ვირთხა და ვირთაგვა, შდრ. ოსური *wyr* 'ვირთხა'; ფუძე სივ- (გასივება, სივება) = ოს. *sijyn: syd* 'გაყინვა, გათოშვა', ქართ. ბოძი 'სვეტი' = ოს. ხოვ 'თხა', ოს. *zy|zi* 'ენკლიტიკური ფორმა III პირის ნაცვალსახელისა' = ქართ. ძი- ნაწილაკი, ოს. *kwyz|kuj* 'ძალი' = ქართ. 'ქუცი, ქუცი' (ძალის დასაძახებელი გამოთქმა), ოს. *k'ona* 'კერა, კოცონი, ოჯახი, სახლი' = ქართ. ჭიაკოკონა, ოს. *tæryn* 'გარეკვა, გაგდება' = ქართ. თრევა, ოს. *wærag* 'მუხლი' = ქართ. ვარაგი 'მანგლის ყუა' (საბა), ოს. *færssag* 'უცხო, სხვა მხრისა' (*fars* 'გვერდი, მხარე') = ქართ. ფარსაგი „საშუალ კეთილისა და ავისა“ (საბა), ოს. *xærxæ* 'ვირი' = ქართ. დიალექტ. ხირაგა 'ვირის უნაგირი', ოს. *æxær* [ag] 'უდაბური' = ქართ. ეწერი 'ბუჩქნარი, მცირე ტყე, უნაყოფო მიწა', ოს. *maxstæ* 'ჩუსტები' = ქართ. მესტები 'უძირო ჩექმა' და სხვა.

ოსურ-ალანურ-ქართული ურთიერთობის კვლევისას ლექსიკასთან ერთად ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ფონეტიკური მხარე, რამდენადაც ლექსიკური ელემენტების შემოსვლის გზების გასარკვევად ფონეტიკური შესატყვისობების დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენთვის სახელმძღვანელოა გ. ახვლედიანისა და გ. აბაევის შრომებში წარმოდგენილი დებულებები და მოსაზრებანი ოსური ენის ფონეტიკური შედგენილობის შესახებ, კერძოდ

მისი დახასიათება, როგორც ქართულ-ქართველურთან ძალიან ახლო მდგომი სისტემისა (ხმოვანთა და თანხმოვანთა სფეროში), სახელდობრ, გ. ახვლედიანის მოსაზრება ქართული და ოსური ენების ფონეტიკურ სისტემათა განსაკუთრებული სიახლოვის შესახებ, რომელიც შედეგია ნეიტრალიზაციისა ორ სხვადასხვა წარმოშობის ენას შორის ხანგრძლივი ურთიერთგავლენის ნიადაგზე. ეს პროცესი გ. ახვლედიანს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: აბრუპტივებისა და ფშვინვიერთა შეჭრა ქართულიდან ოსურში ხდებოდა თანდათანობით აღნიშნულ ბგერათა შემცველი ქართული ან გაქართულებული ლექსიკის ოსურში მასიურად შეჭრის შედეგად; მეორე მხრივ, ოსური ლექსიკის ერთდროულად შემოჭრამ ქართულში თანდათანობით შეცვალა არტიკულაციური ბაზისი ქართული ენისა მისი დაახლოების თვალსაზრისით ასეთივე ბაზისთან ოსურისა, რის შედეგადაც ქართული ენა თანდათან შორდებოდა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს მათი სპეციფიკური თანხმოვნების არტიკულაციის თვალსაზრისით. არანაკლებ საინტერესო მაჩვენებელია ვოკალიზმის ერთიანობაც. უფრო არქაულ დიგორულ დიალექტში არა გვაქვს ყ, ამიტომ ოსურის ვოკალიზმი განსხვავდება ქართულისაგან მხოლოდ ერთი ხმოვნით ჯ; გარდა ამისა, სვანურს მოეპოვება ა და გ, ხოლო ყ წარმოდგენილია აგრეთვე მეგრულში გ-ს სახით.

სკვითურ-ალანურ-ოსური ბგერების გადმოცემაათვის
ქართულში

ჩვენს მიერ ქვემოთ განხილულ სიტყვებში არ არის დიფერენცირებული მასალა არც ქრონოლოგიური და არც დიალექტური თვალსაზრისით, მასში მოიპოვება გარკვეული ნაწილი ძველ ნასესხობათა, უეჭველია სკვითურ-სარმატული დროისა, უმთავრესად საკუთარი სახელებისა და ზოგიერთი ზმნური ფუძის სახით. უმრავლესობა ეკუთვნის ალანურ ეპოქას ძველ ქართულ ძეგლებში დადასტურებული სიტყვების სახით, ხოლო ნაწილი, უმთავრესად დიალექტური ლექსიკა, შეთვისებულია თანამედროვე ოსურიდან.

როგორც ცნობილია, არც სკვითურ-სარმატული და არც ალანური ენის გაბმული მეტყველების ნიმუშები არ მოიპოვება და წარმოდგენას მათზე იძლევა მხოლოდ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ბერძნული წარწერები და ბერძენ და რომაელ მწერალთა ცნობები. ამ ცნობების შეპირისპირება, ერთი მხრივ, ძველ ირანულთან, საშუალო ირანულის აღმოსავლური შტოს წარმომადგენ-

ლებთან და, მეორე მხრივ, თანამედროვე ოსურთან, საშუალებას აძლევს მეცნიერებს გაარკვიონ სკვითურ-ალანურის ადგილი ირანულ ენათა შორის და მიიჩნიონ ისინი ოსურის წინაპარ ენებად. ჩვენ შევუბირისპირებთ ერთმანეთს ქართულში, ჩვენი ფიქრით, ამ ენებიდან შეთვისებულ მასალას ძირითადად თანამედროვე ოსურის მონაცემებს (ირონული და დიგორული დიალექტების ლექსიკას) და იმას, რაც ცნობილია სკვითურ-სარმატულისა და ალანურის შესახებ, და შევეცდებით, ოსური ბგერების გადმოცემის მეშვეობით ქართულში, გარკვეული შუქი მოვფინოთ მათი შემოსვლის დროსა და დიალექტური მიკუთვნების საკითხსაც.

I. ხ მოვანთა გადმოცემა

რაოდენობრივი ხასიათის დაპირისპირება \bar{a} და a -სი, რომელიც ირანულ ენათა ისტორიის მთელ მანძილზე შეინიშნება, ოსურში, როგორც ზოგიერთ სხვა ახალ ირანულ ენაში, თვისობრივში გადავიდა, სახელდობრ, მოკლე a -მ მოგვცა უფრო დახურული და წინა რიგის ხმოვანი \bar{a} , ხოლო გრძელმა \bar{a} -მ—ღია a , რომელიც ცხვირის-მიერთა წინ თანამედროვე ოსურში o -ში გადავიდა.

ა) ძვ. ირ. \bar{a} . ოსური (ირონული და დიგორული) a , სკვით. ბერძნ. α = ქართ. a -ს. მაგალითები: ოს. saw = ქართ. შავი — იდენტური მნიშვნელობით. შდრ. ავ. syāva ‘შავი’, საკუთარი სახელი საურმაგ = ოს. sawarmag ‘შავხელა’ (შეადარეთ სკვითური სატომო სახელი Σαυρομαχαι, იგივე Σαρχαται = ოს. saw-arm-a-tæ ‘შავხელანი’). შეადარეთ აგრეთვე:

ოს. amond ‘ბედი, იღბალი’ = ქართ. ამინდი ‘ღარი’.

ოს. agwat ‘ორმო ლუდის ქვების ჩასადგმელად’ = ქართ. აკუთა
„ქვების სადგური ქვათაგან“ (საბა).

ოს. gawyn ‘ყურება, ხედვა’ = ქართ. გავს (იგავი, მ-ს-გავ-სი).

ოს. karz ‘სასტიკი, მკაცრი, მაგარი, ცხარე’ = ქართ. მ-კაც-რი.

ოს. kad ‘დიდება, პატივი’ = ქართ. კად (ქად-ებ-ა, სი-ქად-ულ-ი).

ოს. cal ‘რაოდენი, ერთეული’ = ქართ. ცალი ‘ერთეული’.

ოს. დიგ. sexwar ‘სადილი’ = ქართ. სამხარი.

ოს. zajyn | izajun ‘გაჩენა, შობა, გამრავლება, მოგება’ = ქართ.

ზავ-||ზვ- (ნე-ზვ-ი, უ-ზვ-ი, ი-ზვ-ებ-ა-ა, მე-ე-ზვ-ი).

ოს. wazæg | iwazæg ‘მგზავრი, გამვლელი, სტუმარი’ = ქართ. ავა-
ზაკი.

ოს. awazyn | awazun ‘მდინარის დაგუბება, საგუბარი’ = ქართ.
ავაზანი ‘წყალსაცავი’.

ოს. xæbizȝyn 'ხაჭაპური' = ქართ. ხაბიზგინი, ხაბიძგინი.

ოს. საქ. სახელი Arsæg = სკვით. Ἀρσάκης = ქართ. არსაკ (არსაკიძე).

ოს. hadun 'ჯდომა', Badæg 'მჯდომარე', სკვით. Βάδαγος, Βαδάκης = ხევსურული საქ. სახ. ბადა. საკუთარი სახელები Bazuk, Ambazuk = ოს. æmbazug 'მხარსწორო' = ქართ. ბაზუკ და ამბაზუკ (ოგსი მეფეების სახელები) და სხვა.

b) ძველმა ირანულმა ā-მ ცხვირისმიერთა წინ ოსური ენის ორივე დიალექტში მოგვცა ი. მას ქართულში სხვადასხვა შესატყვისები აქვს. უფრო ძველ ნასესხობებში დაცულია ა. შეადარეთ საკუთარი სახელები: ხსართან, აღსართან = სკვით. Ξαρθαιος, აღან (დარიალანი) = Allan, ოს. allon, ხუანხუა = ოს. xuenxag, xoxag 'მთიელი', ზარანდ (ზარანდი) = ოს. zæroud 'მოხუცი', სკვით. Zarandos, ავ. zarant.

რანგი (სვანურ-მეგრული და ქართ. კუთხ.) 'თაფლის სასმელი' = ოს. rong, იმავე მნიშვნელობით.

არის შემთხვევა ოს. ა-ს ე-თი გადმოცემისა n-ს წინ, მაგალითად, ქართ. დენა = ოს. don (< dan) 'წყალი, მდინარე'.

c) ოსური ჯ (ძვ. ირ. ǰ, სკვით. ȝ) გადმოცემულია ქართულში მეტწილად, როგორც ა, ზოგჯერ აგრეთვე, როგორც ე:

1. ოს. ჯ = ქართ. ა-ს:

ოს. fætæn 'ფართო, განიერი' = ქართ. ფათენი, id.

ოს. ærǰæw = ქართ. აღრალევი 'ძვირფასი ქვები'.

ოს. ærnaæg 'ველური, დაუმუშავებელი' = ქართ. არნი 'ველური' (თხა, ცხვარი).

ოს. byræǰ 'ნpara' = ქართ. ბურახი „ქერ-ფეტვთა და სხუათაგან სასმელნი რამე“ (საბა).

ოს. færdyg|færdug 'მძივი, ძვირფასი ქვა' = ქართ. ფარღული 'ყელსაბამი'.

ოს. færssag 'გვერდითა, საშუალი' = ქართ. ფარსაგი, „საშუალ კეთილისა და ავისა“ (საბა).

ოს. ærƿæz 'ირმის ჯოგი' = ქართ. არვე „ჯოგი თხათა და ცხოვართა“ (საბა).

ოს. ærwæð 'ქებინი' (ავ. urvata, ძვ. ინდ. vrata) = ქართ. კუთხ.
ურვათი 'საქმროს მიერ საცოლის მშობლებისათვის
მისაცემი გამოსასყიდი'.

ოს. læppyn 'მართვე, ბარტყი' = ქართ. ლაპი 'მართვე'. „ქოჯობთა,
კაკაბთა, როქოთა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლთა... და
მისთანათა“ (საბა).

ოს. ælutan 'ლუდი' = ქართ. კუთხ. ალუდი, ლუდი.

შდრ. საკუთარი სახელი ალუდა, არსაკ = Arsæg, ბაყათ
თარ ოს. Baqatær (შდრ. ხევსურ. ბალათერა).

2. ოს. æ (ისტ. a) გადმოცემულია ქართულში, როგორც:

ოს. tæf (æn-tæf) 'სიცხე' = ქართ. ტეფ- (გან-ტფ-ა).

ოს. tæryn 'გარეკვა, გაგდება' = ქართ. თარ-|თერ- (თრევა).

ოს. cæwyn | cæwun 'სელა' = ქართ. წევა.

ოს. tæsyn | tæsun 'დინება' = ქართ. თეძამი 'მდინარის სახელი'.

ოს. færsk 'ნენი' = ქართ. ფერცხ-ალ-ი 'გვერდის წიბო'.

ოს. kære 'ქურჭი' = ქართ. ქერცილი, ქეცი, ქერჩო.

ოს. kærðun 'ჭრა' (kærð 'ნაჭერი') = ქართ. კერძო.

ოს. ærwæz 'ირმის ჯოგი' = ქართ. არვე.

ოს. fætæn 'განიერი' = ქართ. ფათენი და სხვა.

რაოდენობრივ განსხვავებას \tilde{i} -სა და \tilde{u} -ს შორის მეორეული მნიშვნელობა ჰქონდა უკვე ძველ ირანულში, ოსურში მას კვალი არ დაუტოვებია და, აბაევის აზრით, უნდა გამოირიცხოს სკვითურისათვისაც, დიგორულ დიალექტში i და u უცვლელად არის შენახული, ირონულში ისინი შეირწყნენ ერთ არასრულ ხმოვნად y (ə). სკვითური, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, ემთხვევა დიგორულს.

\tilde{d} დიგორ. i , ირონ. y (ისტ. \tilde{i}), სკვით. -ბერძნ. ι, ϵ = ქართ. ი-ს:

ოს. myzd | mizdæ 'საზლაური, ჯილდო' = ქართ. მიზდი, id.

ოს. cyrg | cirg 'წვეტიანი, მახვილი, მკრელი' = ქართ. ციღვი 'დანა'.

ოს. limæn 'მეგობარი' (სკვით. Λείμανος, Λίμναχος, ძვ. ირ. friman 'მოყვასი'). საკუთარი სახელი ლიმაჩავ *limæncan 'ლა-მაზად მოსიარულე'.

e) ირონ. *i* (სუსტი ხმოვანი) = დიგორ. *i*-ს (n-ს წინ) ქართულში გადმოცემულია ი-თი:

ოს. *æfsin* | *æfsinæ* 'დიასახლისი' = ქართ. საკ. სახ. აფშინა.

ოს. *cin* (*kænyŋ*) 'გახარება' = ქართ. ცინ- (სიცილი).

f) ოს. *y* | *u* (ისტ. \bar{u}), სკვით. ბერძნ. *ou*, *o*, *u* = ქართ. უ-ს:

საკუთარი სახელები:

ოს. *Arsuk* = ქართ. არსუკ.

სკვით. *Asparuk* = ქართ. ასფაგურ < ასპარუგ.

სკვით. *Kouzaĩos*, ოს. *Kuzæg*, *kuz* 'ძალი' = ქართ. საკ. სახ. ქუჯი.

ოს. *Bazuk*, *Bazug* = ქართ. ბაზუკ.

სკვით. *Αλοῦμαγος*, ოს. *æluton* = ქართ. ლუდი, საკ. სახ. ალუდა.

სკვით. *Θισακῆς*, ოს. *tusk'a* 'გარეული ტახი' = ქართ. ტუსკია (გვარი).

ოს. *færdug* = ქართ. ფარდული, *myzyra* = ქართ. მუჯირა.

ოს. *sulugun* (*cyxt*) = ქართ. სულუგუნი და სხვა.

g) ოს. *y* | *u* = ქართ. ო-ს:

ოს. *fysym* | *fusun* 'მასპინძელი' = ქართ. ფოს(რ)ონ-იკ-ი
„დედათ ლხინთ გამრიგე“ (საბა).

ძველი ირანული დიფთონგები *ai*, *au*, რომლებიც საშ. ირანულში გადავიდნენ \bar{e} და \bar{o} -დ, შემდგომი განვითარების შედეგად განიცდიან ე. წ. ევენტუალურ დავიწროებას $\bar{e} > i$ -ს და $\bar{o} > u$ -ს; დიგორულ დიალექტში ასახულია მეორე საფეხური (*e* და *o*), ხოლო ირონულში — მესამე (*i*, *u*). n-ს წინ კი ორივე დიალექტში ძველი დიფთონგები განიცდიან დავიწროებას *i* და *u*-დ, შდრ. ირ. დიგ. *zarina* (*zaranya > zaraina*) 'ოქროსი', *qayun* | *ǰun* 'ბეწვი'. (ძვ. ირ. *gauna*). სკვითურში წარმოდგენილია როგორც *ai* და *au*, ისე *e* და *o*-ც (*Καινᾶξαρμιας*, *Κηυᾶξαρμιας*, *Αορσσι* და *Αλανορσσι*). შდრ. თვით ოსურში *rævæg* და *rog* 'მსუბუქი', *rævæg* და *nōg* 'ახალი'¹. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართულ ნასესხობებში?

h) ირონ. *i* = დიგორ. *e* (ძვ. ირ. *ai*), სკვით. *ai*, *η* გადმოცემულია ქართულში, როგორც *o* და როგორც *e*:

ოს. *xid* | *xed* = ქართ. ხიდი (ავ. *haetu*, სკრ. *setu*).

ოს. *biræ* | *bevraë* (ავ. *haevare*) = ქართ. ბევრი.

¹ ОЯФ, გვ. 204.

ოს. miǰ|meǰ 'ღრუბელი' (ძვ. ირ. maigha, ძვ. ინდ. megha), სპ. mēγ = ქართ. მეხი.

ი) ირონ. n = დიგ. o-ს (ისტ. au) თავკიდურში ხშირად uo-ს, ქართულში გადმოცემულია, როგორც უ: ოს. ns|osæ, uosæ 'ქალი' (ძვ. ინდ. yošit 'ქალი') = ქართ. უსო „გლებთ დიაცთ უპატიოსნესი“ (საბა).

ოს. ruxs|roxs (<rauxšna) 'სინათლე', სპარს. roušan = ქართ. რუსხა 'ნათელი'.

ოს. xud|xodæ 'ქული' (ძვ. სპ. xanda) = ქართ. ქული.

ოს. qus|ǰos 'ყური' (ძვ. ირ. gauša) = ქართ. გუშაგი. შდრ. ǰosæg 'მსმენელი', სკვით. Γώσαιοσ (qusyn|iǰosun).

კ) ირონ. o (x, k, k'-ს შემდგომ) = დიგ. ua-ს (ისტ. [x]vā) = ქართ. ჟა, ო-ს:

ოს. xor|xuar 'მარცვლეული, პური' = ქართ. ხუარბალი.

ოს. sixor|sexwar 'სადილი' = ქართ. სამხარი (<*sawxvar).

ოს. xos|xuasæ 'თივა, წამალი' = ქართ. ხავსი.

ოს. k'ord|k'nar, k'ward 'ჯგუფი, გუნდი, სიმრავლე' = ქართ. კოლტი. შდრ. ყაბარდ. gwarda, სომხ. կողս.

ლ) ხშირია შემთხვევა, როდესაც ოსური ხმოვნები ქართულში ჩავარდნილია ან შენაცვლებულია სხვა ტემბრის ხმოვნით, მაგალითად, ჩავარდნილია y|i და y|u:

ოს. zyn|zin 'ძნელი, მძიმე' = ქართ. ძნელი (ძნ-).

ოს. fyr|fur 'მრავალი, ბევრი, ძალიან' = ქართ. ფრ-იად-ი, უ-ფრ-ო.

ოს. k_oyuaeg|k_ounaeg 'მცირე, მწირი' = ქართ. კნ-ინი.

ოს. zuræg (ძვ. ირ. zur) = ქართ. ზრახ-. შეადარეთ აგრეთვე ქართული ცრუ (*<ძრუ*<ზურ-უ).

არის შემთხვევები a ხმოვნის ჩავარდნისაც, მაგ. ოს. zajyn|izajun 'შობა, გაჩენა, გამრავლება' = ქართ. ი-ზვ-ებ-ა, ნე-ზვ-ი, უ-ზვ-ი.

მ) o ხმოვნის ჩავარდნის შემთხვევა გვაქვს შემდეგ მაგალითში:

ოს. k_oymin: k_oymd|komun: kund 'დათანხმება, დაკმაყოფილება' (ირ. kam- 'სურვილი'), kom (ირ. kāma 'სურვილი', სპ. kām, სომ. სპ. kāmak, სომხ. kam-k' կամ-ք 'სურვილი, ნება' და სხვა) = ქართ. კმა (კმაყოფილი, საკმარისი და სხვა).

n) შემთხვევები, როდესაც ოსური ხმოვნები შენაცვლებულია ქართულში სხვა ტემბრის ხმოვნით:

1. ქართ. o = ოს. o-ს: ოს. amond = ქართ. ამინდი.
2. ოს. y|u = ქართ. ა-ს: ოს. fys|fus = ქართ. ფასი.
3. ოს. æ = ქართ. უ-ს: ოს. ærwæd = ქართ. ურვათი.
4. ოს. æ = ქართ. o-ს: ოს. dællæg = ქართ. დილეგი და სხვა.

II. თანხმოვანთა გადმოცემა

ფონეტიკური სისტემა ოსური ენისა ძალიან ახლოა ქართულთან. ვ. აბაევის აზრით, „თუ არ ჩავთვლით ე. წ. მეოთხე რიგის თანხმოვნებს (ყრუ ხშულ უფშინვოებს), რომლებიც ნახევრად ფონემები არიან, მხოლოდ სამი ფონემა განასხვავებს მას ქართულისაგან: ხმოვნები æ და y და თანხმოვანი f“¹. მიუხედავად ამისა, ამ ორ ენას განსხვავებული დისტრიბუცია ახასიათებს (ფონემატური სტრუქტურა), რითაც გამოწვეულია ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვს როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების სფეროში.

ჩვენ ერთმანეთს შევუპირისპირებთ ოსურ და ქართულ თანხმოვანთა სისტემის ყველა წევრს ჩვენს მიერ განხილული მასალის მიხედვით.

ხშულთა გადმოცემა

1) ლაბიალები p, b, p'.

ა) ოსურ ყრუ ხშულ p-ს უნდა შეესატყვისებოდეს ქართული ფშვინვიერი ფ, მაგრამ p-ზე დაწყებული სიტყვები ოსურში ან ნასესხებია სხვა ენებიდან (რუსულიდან, კავკასიურიდან, არაბულ-სპარსულიდან და სხვა), ან ხმაბაძვითი და ინტენსიობის გამომხატველი. ოსურ-ქართული საერთო ფუძეები p-ზე უმთავრესად ქართულიდან არის შესული ოსურში (pʏx, pʁɪx-pʁɪx, pʁɪr-pʁɪr და მისთანანი), რაც შეეხება p'-ს, ამ თანხმოვანზე დაწყებული სიტყვები საერთოდ ძალიან მცირეა და მათზედაც თითქმის იგივე ითქმის (მეტწილად რუსულიდან ნასესხებ სიტყვებს შეიცავს). ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ ამ ბგერებით დაწყებულ ან თუნდაც ამ ბგერათა შემცველი სიტყვები, ოსურიდან ნასესხებ სიტყვებში, ქართულში თითქმის არ

¹ ОМФ, გვ. 112.

გვხვდება, ყოველ შემთხვევაში ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში არა გვაქვს.

ბ) ბაგისმიერი მჟღერი ხ ქართულში მეტწილ შემთხვევებში გადმოცემულია ბაგისმიერი მჟღერი თვე ბ:

ოს. abuzyn : abuzt|abuzun : abuzt 'გაბერვა, გამობერვა, გადიდება' (*puz- + პრეფერბი a, ინდ. ეგრ. *pu- 'ბერვა' გავრცობილი -z (<-g) სუფიქსით) = ქართ. აბუზვა, აბზუება 'აწევა, გამოპერვა'.

ოს. biræ|bæwræ 'ბვერი, მრავალი, ძალიან' (ძვ. ირ. baivar) = ქართ. ბვერი 'მრავალი, 10000'.

ოს. byræġ 'ბრაგა, სვილისაგან მომზადებული სასმელი' (ძველი ალანური ნასესხები რუსულიდან ან უკრაინულიდან) = ქართ. ბურახი „ქერ-ფეტვთაგან დამზადებული სასმელი“ (საბა).

ოს. boz 'თხა' = ქართ. ბოძი 'სვეტი' და ბუწი 'თოხლი'.

ოს. bur|bor 'ყვითელი' (შდრ. სპ. bür, bor, რუს. бурый) = ქართ. ბორი (გან-ბორებ-ული, ბოროტი), ბურაული 'შავ-წითელი ქორი'.

ოს. xæbyzzyŋ 'ხაჭაბური' = ქართ. ხაბიზგინი, ხაბიძგინი.

ერთ შემთხვევაში ოს. ხ გადავიდა თავკიდურში ქართულ შ-დ: ოს. bor 'ყვითელი' = ქართ. მურ-ა „შავ-წითელი ძალი“ (საბა).

2) დენტალები d, t, t'.

ა) ოს. მჟღერი d გადმოცემულია ქართულში დ-თი:

ოს. don 'წყალი' = ქართ. დენა, მდინარე.

ოს. dællag 'ქვედა, ქვემო' = ქართ. დილეგი 'ხარო, სატუსალო'.

ოს. დიგ. doġ 'დოლი' = ქართ. დოლი.

ოს. amond 'ბედი' = ქართ. ამინდი.

ოს. kurd 'მჭედელი' = ქართ. გრდემლი, ქვრდემლი.

ოს. xud|xodæ 'ქუდი' = ქართ. ქუდი.

ოს. cawd 'ცუდა, მდარე ხარისხისა' = ქართ. ცუდი, ცოდვა.

ოს. xid|xed 'ხიდი' = ქართ. ხიდი.

ოს. kad 'დიდება, პატივი' = ქართ. ქად (ქად-ილ-ი, სიქადული).

ოს. lægærdyn 'გაკრა, გარღვევა' = ქართ. ლაგვარდანი 'შალა-შინის სახე'.

საკუთარი სახელები: ბადა = Badæg, სკვით. Bæðæ,

Βάρβαρος, ზარანდ (ზარანდია) = სკვით. Ζάραυδος, ოს. zæronǝ, ლადამ = სკვით. Իճնագ და სხვა.

1. არის შემთხვევები, როდესაც ოს. მგლერი ხშული d გადმოცემულია ქართულში d-ს სახით:

ოს. kærǝd 'ნაჭერი, ნაკეთი' = ქართ. კერძი, კერძო.

2. ოს. მგლერი d გადმოცემულია ქართულში აბრუბტივით ტ. შეადარეთ: ოს. cæfxad 'ნალი' = ქართ. ჩაფხატი 'ფეხსაცმლის სახე'.

3. ოს. მგლერი d = ქართ. ფშვინვიერ თ-ს:

ოს. დიგ. ærward 'ქებიანი' = ქართ. ურვათი, id.

ოს. fyd | fud = ქართ. ფინთი.

ოს. mid- 'შიგნით, შინ' (რთულ სიტყვებში) = ქართ. მითელი „საპირესა და სარჩულს საშუალი“ (საბა).

b) ოს. ყრუ ფშვინვიერი t გადმოცემულია ქართულში ყრუ ფშვინვიერი თ-ს მეშვეობით:

ოს. tæryn 'გარეკვა, გაგდება' = ქართ. თრევა.

ოს. fætxæn 'განიერი, ფართო' = ქართ. ფათენი „ფართოსავით“ (საბა).

ოს. tæzyǝ 'დინება, სრბოლა' (დგ. ირ. tač) = ქართ. თეძამი (მდინარის სახელი).

ოს. tau 'ახალი ბალახი, ჯეჯილი' = ქართ. თივა.

ოს. agwat 'ორმო, რომელშიც ლუდის ქვაბი იდგმება' = ქართ. აკუთა „ქვაბის სადგური ქვათაგან“ (საბა).

საკუთარი სახელები: ხსართან = სკვით. Ξάρφαρος, ოს. xsart, ბაყათარ = ოს. Baqatær (ხევსურ. ბალათერა) და სხვა.

1. ოს. ყრუ ხშული t გადმოცემულია ქართულში მგლერი დ-თი. ოს. æluton 'ლუდი' = ქართ. ლუდი (კუთხ. ალუდი), საქ. სახ.

ალუდა = სკვით 'Αλιόμαρος.

ოს. nostæ 'რძალი' = ქართ. ნუსადია 'ბიცოლა'.

2. ოს. ყრუ ხშული t = ქართ. მკვეთრ ტ-ს:

ოს. tæf (æu-tæf) 'სიცხე' = ქართ. ტეფ (გან-ტეფ, გან-ტეფ-ა).

ოს. ærttevagæ 'ელვა' (ზმნიდან ærttivyǝ : ærttyvd | ærttevyǝ : ærttivid 'ბრწყინვა, ელვარება, ნათება') = ქართ. ორტა-ბახი „გრილსა და მხურვალეს საშუალი“ (საბა).

ოს. mæx (მრ. რიცხვის ფორმა mæstæ) 'ტყავის სახეობა' = ქართ. მესტები.

ოს. tewǝ 'აქლემი' = ქართ. სტევი 'აქლემის მატყლი'.

ოს. xætyǝ 'ხეტიალი', 'მომთაბარეობა' = ქართ. ხეტიალი.

ოს. დიგ. æstæfun : æstæft 'შემჩნევა, დაკვირვება, გრძნობა' =

ქართ. მ-ს ტო ვ-არ-ი, სტუანვა (<სტუარ-ვა-დან) 'მზვე-
რაფი, დაზვერვა'.

3. ოს. ყრუ ხშული t = ქართ. სისინა მეღერ აფრიკატს d (ასე-
მილაციის შედეგად):

ოს. tynzyn | tuzmun — стремиться, снестить = ქართ. ძუნძული.

ც) ოს. ყელ ხშული t გადმოცემულია ქართულში
ყელ ხშულით ტ:

ოს. t'æpæn 'ბრტყელი', 'დაბალი, ვაკე', 'მოედანი' t'æpæn kænyu
'ტყეპნა, გაბრტყელება' = ქართ. ტყეპნა, ტყეპნილი
(კ განვითარებულია ქართულ ფორმებში).

ოსური ე. წ. მეოთხე რიგის ხშულები, რომელთაც არა აქვთ
დამოუკიდებელი ფონეტიკური ღირებულება და მხოლოდ შესაბა-
მისი მეღერი ხშულების ვარიანტებს წარმოადგენენ, ქართულში
აგრეთვე წარმოდგენილი არიან როგორც მკვეთრები. ისინი გვხვდე-
ბიან მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში s, x, f-ს შემდგომ და გაორ-
კეციებისას. შდრ. ოს. nostæ 'რძალი' = ქართ. ნოსტე (სოფლის
სახელი).

ოს. xæstæ 'ომი' = ქართ. ხისტი.

ოს. æstæfun = ქართ. მსტოვარი და სხვა.

ნახევარხშულების ანუ აფრიკატების გადმოცემა

a) ოსური სისინა აფრიკატები c, z, c' გადმოცე-
მულია ქართულში სისინა აფრიკატებითვე — ც, ძ, წ.

1. ოსური ყრუ სისინა აფრიკატი c გადმოცემულია ქართულში
ყრუ სისინა აფრიკატივე ც:

ოს. cal 'რაოდენი' (<ci + wal) = ქართ. ცალ-ი „ორის ტოლისა-
გან ერთი“ (საბა) (რაოდენობა > ერთეული > ერთი).

ოს. ciu 'სიხარული' = ქართ. გა-ციინ-ება, სიცილი.

ოს. cawd 'ავი, მდარე' = ქართ. ცოდვა, ცუდი.

ოს. cirǵ 'მჭრელი' = ქართ. ცილვი 'დანის სახე'.

ოს. cæm 'ქონი' = ქართ. ცმელი.

ოს. fycyn : fyxt | ficun : funxt 'ხარშვა, დუღილი, ცხობა' = ქართ.
ფიცხ-ი, ფიცხელი, გაფიცხება.

ოს. kærc 'ქურქი' = ქართ. ქეცი, ქერცილი და სხვა.

2. ოსური ყრუ სისინა აფრიკატი c ზოგ შემთხვევაში ქართულ-
ში წარმოდგენილია როგორც აბრუბტივი წ:

ოს. cæwyn : cyd | cæwun : cud 'წასვლა, გამგზავრება' = ქართ.
წევ (და-წევ-ა, მი-წევ-ა და სხვა).

ოს. *cæær (> æzær) 'უკაცური, უდაბური' = ქართ. ეწერი.

ოს. cæg 'რგოლი' = ქართ. ძეწკვი (*სე-ცეკ-ვ).

3. ოსური მელერი სისინა აფრიკატი ზ წარმოდგენილია ქართულში მელერი აფრიკატითვე ძ:

ოს. zyrđ|zurd 'სიტყვა' (ძვ. ირ. zura 'სიცრუე, სიტყვა') = ქართ. ძვრი (< ძურ-ი) 'ავი, ბოროტი'.

ოს. boz 'თხა' = ქართ. ბოძი 'სვეტი'.

ოს. tæzyn|tæzun 'დენა' = ქართ. თეძამი (მდინარის სახელი).

ოს. tynzyn 'სწრაფვა' = ქართ. ძუნძული 'სიარულის სახე'.

ოსური მელერი სისინა აფრიკატი ზ გადმოცემულია ქართულში მკვეთრი აფრიკატით წ:

ოს. boz 'თხა' = ქართ. ბუწი, იძ.

4. ოსური მკვეთრი სისინა აფრიკატი ც' გადმოცემულია ქართულში მკვეთრი სისინა აფრიკატითვე წ:

ოს. დიგ. c'etun : c'itt 'ნათება, განათება,' c'ita 'სხივი' = ქართ. წით-ს, წით-ელი „ცეცხლის ფერი“ (საბა).

ოს. c'opp 'წვერი, წვერო' = ქართ. წოპი (წოპიანი ქული) 'წვეტი'.

წ-ს მქონე სიტყვების უმეტესობაზე იგივე ითქმის, რაც საერთოდ აბრუბტივებზე. ასეთი სიტყვები, პირიქით, ქართულიდან არის მეტწილად შესული ოსურში.

ბ) ქართ. შიშინა აფრიკატებით ჩ, ჯ-თი ზოგჯერ შენაცვლებულია ოსური სისინა აფრიკატები ც ზ (უმთავრესად დიალექტურ ლექსიკაში):

1: ოსური ყრუ სისინა აფრიკატი ც ქართულში წარმოდგენილია შიშინა ჩ-ს სახით:

ოს. cæfxad = ქართ. ჩაფხატი 'ფეხსაცმლის სახე'.

ოს. ciong 'ხელი' = ქართ. ჩონგა 'ხელზე დახვეული მატყლის ფთილა'.

ოს. cærdyn 'დაკვრა, რეკა, ატეხა' = ქართ. ჩაღება (გაჩაღება).

2. ოსური მელერი სისინა აფრიკატი ზ წარმოდგენილია ქართულში მელერი შიშინა ჯ-ს სახით:

ოს. zykka|zikka 'ფქვილის ფაფა ახალი ყველით' = ქართ. კუთხ. ჯიკა 'რძეში მოხელილი ყველიანი პური', ჯიგანა 'ავი პური' (საბა).

ოს. kæzyn|kæzin 'პური არა ხორბლისა' (ქერის, სიმინდის, სეილის) = ქართ. ქარჯინა 'ნაცარში მცხვარი პური'.

ოს. myzyra 'შუბი, ხიშტი' = ქართ. მუჯირა 'რკინის წვეტიანი ჯოხი'.

ოსური უკანანისმიერი ხშულების g, k, k'-ს გადმოცემა
ქართულში

a) ოსური მჟღერი ხშული უკანანისმიერი g გად-
მოცემულია ქართულში მჟღერთვით გ:

ოს. gɔyz-(artgɔyz 'ცეცხლის დამნთები, ცეცხლფარეში'. fynykgɔyz
'უსაქმური, ნაცარქეჩია') = ქართ. გზ-ეზა, მუ-გუზ-ი,
მუ-გუზ-ალი.

ოს. roug 'თაფლის სასმელი' = ქართ. რანგი.

ოს. lægærðyn 'ქრა, ამოკრა' = ქართ. ლაგვარდანი 'შალა-
შინი'.

ოს. sulugnu (cixt) = ქართ. სულუგუნის ყველი.

ოს. færsæg 'გვერდითა, საშუალო' = ქართ. ფარსაგი.

ოს. cong 'ხელი' = ქართ. ჩონგა 'ხელზე დასახვევი'.

ოს. xæræg 'ვირი, ჯორი, ჯორა' = ქართ. ხირაგა 'ვირის
უნავირი' (კუთხ. ლეჩხ.).

ოს. giuon|gwinon, ginonæ 'კავის, გუთნის ზედა ნაწილი' = ქართ.
გვინოლი 'კავის ნაწილი' (კუთხ. რაჭ.).

ოს. dællæg 'ქვედა, ქვემო' = ქართ. დილეგი 'სატუსალო'.

b) ოს. მჟღერი ხშული g = ქართ. აბრუპტივ კ-ს:

ოს. agwat 'ლუდის ქვების ჩასადგმელი ორმო' = ქართ. აკუთა
„ქვების სადგური ქვათაგან“ (საბა).

ოს. cæg 'რგოლი' = ქართ. ძეწკვი.

c) ოს. მჟღერი g = ქართ. ყრუ სპირანტ ხ-ს (სიტყ-
ვის ბოლოს):

ოს. byræg 'სვილის სასმელი', npara = ქართ. ბურახი „ქერ-
ფეტვთა და სხვათაგან სასმელნი რამე“ (საბა).

ოს. ærttevagæ 'ელვა' = ქართ. ორტაბახი.

ოს. zuræg 'სიტყვა, მესიტყვე' = ქართ. ზრახ-, ძრახ- 'თქმა'.

d) ოს. ყრუ ხშული k = ქართ. ფშვინვიერ კ-ს:

ოს. kad 'დიდება, პატივი' = ქართ. ქად-ილ-ი.

ოს. kære 'ქურჭი' = ქართ. ქეცი, ქერცლი.

ოს. kærzin 'ქერის პური' = ქართ. ქარჯინა, id.

ოს. kawæ|kawæ 'წნული ღობე' (უნგრულ-ფინურ-კავკასიური სი-
ტყვა) = ქართ. (კუთხ. ხევსურ.) ქავი.

e) ოსური ყრუ ხშული k გადმოცემულია ქართულ-
ში მჟღერი ხშულით გ:

ოს. færauk 'ლეოპარდი' = ქართ. ბრანგვი 'ლეოპარდი, დათვი'.

ოს. kurd 'მქედელი' = ქართ. გურდემლი 'სამქედლო იარაღი'.

f) ოს. ყრუ ხშული k = ქართ. ყრუ სპირანტ ხ-ს:

ოს. *færsk* 'ნეკნი' = ქართ. ფერცხალი 'ნეკნი'.

გ) ოს. ყელხშული *k* = ქართ. ყელხშულ კ-ს:

ოს. *karz* 'სასტიკი, მაგარი' = ქართ. მ-კაცრ-ი.

ოს. *karz* = ქართ. კრძალვა.

ოს. *kærdyn* 'კრა' = ქართ. კერძო, კერძ 'მხარე, ნახევარი'.

ოს. *komyu* : *komynd* | *komuun* : *kund* 'დათანხმება, დაყოლა' =
ქართ. კმაყოფილი 'სასურველის მიმღები'.

ოს. *koyl* | *koyr* 'ნაკლული, ნაკლი' = ქართ. კელობს, მკელო-
ბელი 'ნაკლულევანი'.

ოს. *kunæg* 'მცირე' = ქართ. კნ-ინ-ი, იდ.

ოს. *kæraef* 'ხარბი, სიხარბე' = ქართ. კერბ, შეკრება, კრება.

ოს. *kæf* 'თევზი' = ქართ. კაბ-ოეტ-ი (კაფ-ოედი) 'თევზის
სახე'.

ოს. *kæxc* | *kæxcæ* 'დიდი გობი, ჯამი' = ქართ. კეცი.

h) ოს. ყელხშული *k'* ქართულში გადმოცემულია
ყელხშულით კ:

ოს. *k'ært* (t) 'ნაჭერი, კრილი' = ქართ. კერძი 'ნაჭერი, ნაკვე-
თი', 'წილი'.

ოს. *k'ona* 'კრა' (სპ. და ქურთ. *kuāne*, *kuone*) = ქართ. (ჭია)-
კოკონა.

ოს. *k'ord* | *k'war*, *k'ward* 'ჯგუფი, გუნდი' = ქართ. კოლტი.
შდრ. სომხ. *խսլտ* — *koft*.

i) ოს. *kk* (ე. წ. გემინირებული) ქართულში გადმო-
ცემულია აბრუპტივით კ:

ოს. *zikka* 'ფაფა ფქვილისა და ახალი ყველისაგან' = ქართ. კუთხ.
ჯიკა 'რძეში მოზეილი ყველიანი პური'.

შენიშვნა: ოსურისათვის დამახასიათებელია უკანაენისმიერთა
პალატალიზაცია, შედარებით ახალ მოვლენად არის მიჩნეული.
მას ადგილი აქვს *y, i* და *e* ხმოვანთა წინ, *k*, *g*, *k'* აღნიშნულ
ხმოვანთა წინ გადაადის *e*, *z*, *e'*-დ. ქართულში გვხვდება ზოგიერთი
მაგალითი აღნიშნული პალატალიზაციის უმთავრესად დიალექ-
ტურ ლექსიკაში. მაგალითად, ოს. ირ. *čyrs* | *kirsæ* 'თრთვილი' =
ქართ. ჭირხლი.

სისინა აფრიკატები *c*, *z*, *c'* ქართულში ზოგჯერ წარმოდგენი-
ლი არიან შიშინებით, რაც, ალბათ, აიხსნება ნაწილობრივ თვით
ოსური დიალექტოლოგიის საფუძველზე, ანდა თვით ოსურში
უფრო ძველი მდგომარეობით, როდესაც იქაც შიშინა ვარიანტები
გვქონდა (ირანული თუ არაირანული სიტყვებისა).

შეადარეთ: ა) ოს. *c* = ქართ. ჩ-ს:

ოს. *caɪfxad* 'ნალი' (< *caɛgfaɪd*-იდან 'ფეხის რგოლი') = ქართ. კუთხ. ჩაფხატი 'ფეხსაცმლის სახე'.

ოს. *caɪɸdɪn* : *caɪɸd* | *caɪɸdun* : *caɪɸd* 'ცემა, კვრა, ლახვა' = ქართ. ჩაღება, გაჩაღება.

ოს. *coɪg* 'ხელი' = ქართ. ჩონგა 'ხელზე დახვეული' (მატყლი).

ბ) ოს. *d* = ქართ. ჯ-ს:

ოს. *ɸikka* 'ფქვილის ყველიანი ფაფა' = ქართ. ჯიკა.

ოს. *kaɪɸɪn* = ქართ. ქარჯინა.

ოს. *myɸɪra* = ქართ. მუჯირა.

ოსური ფრიკატივების *ჭ*, *x* და უელხშული *q*-ს გადმოცემა ქართულში

ა) ოს. მქღერი ფრიკატივი *ჭ* = ქართ. მქღერ ღ-ს:
ოს. *ɸaɪɸɸaw* 'ძვირფასი ქვა', 'სადაფი' = ქართ. აღრალები 'ძვირფასი ქვები'.

ოს. *doɸ* = ქართ. დოღი.

ოს. *ciɪɸ* 'მახვილი, მპრელი' = ქართ. ციღვი 'დანის სახე'.

ოს. *caɪɸdɪn* = ქართ. ჩაღება (გაჩაღება).

ბ) ოს. ირონ. *q*, დიგ. *ჭ* ქართულში წარმოდგენილია, როგორც *ყ*:

ოს. *quɪn* | *ɸun* 'თმა, ბეწვი' = ქართ. ყუნ-ი, დაყენა 'მოპარსვა თმისა'.

ც) ოსური ყრუ ფრიკატივი *x* წარმოდგენილია ქართულში ყრუ ფრიკატივითვე *ხ*:

ოს. *xɸbizɸɪn* 'ხაჭაპური' = ქართ. ხაბიზგინი.

ოს. *xɸtɪn* 'მომთაბარეობა' = ქართ. ხეტიალი.

ოს. *xɸrɸɛg* 'ვირი' = ქართ. ხირაგა 'ვირის უნავირი'.

ოს. *xos* | *xwasɸ* 'თივა, წამალი' = ქართ. ხავსი.

ოს. *xid* | *xed* = ქართ. ხიდი.

ოს. *sexwar* 'სადილი' = ქართ. სამხარი.

ოს. *caɪfxad* 'ნალი' = ქართ. ჩაფხატი 'ფეხსაცმლის სახე'.

ოს. *ruxs* | *rox*s 'სინათლე, ნათელი' = ქართ. რუსხა 'ბრწყინვალეობა', 'სინათლე'.

ოს. *nyxas* 'მოედანი', 'საუბარი' = ქართ. რაჟ. ნახშობა 'საუბარი'.

დ) ოს. *x* = ქართ. ქ-ს:

ოს. *xud* | *xodɸ* = ქართ. ქუდი.

ოს. სონანტების r, l, m, n-ს გადმოცემა ქართულში

ა) ლიქვიდები: ოს. r, l = ქართ. რ, ლ-ს.

1. ოს. r = ქართ. რ-ს:

ოს. roug 'ნართების ლეგენდარული სასმელი' = ქართ. რ ა ნ გ ი
'თაფლის სასმელი'.

ოს. ruxs | roxs = ქართ. რ უ ს ხ ა 'ნათელი'.

ოს. værm = ქართ. ო რ მ ო, id.

ოს. ærwæd 'ქებინი' = ქართ. უ რ ვ ა თ ი, id.

ოს. færssag 'საშუალი' 'გვერდითი, სხვა' = ქართ. ფ ა რ ს ა გ ი, id.

ოს. færsk 'ნეკნი' = ქართ. ფ ე რ ც ხ ა ლ ი, id.

ოს. fyr | fur 'ბევრი, ძალიან' = ქართ. ფ რ - ო ა დ - ი, id.

ოს. wærs 'მამრი' = ქართ. ვ ე რ ძ ი 'მამალი ცხოვარი'.

ოს. kæræf 'ხარბი' 'ანგარება' = ქართ. კ რ ე ბ - — კ რ ე ბ ა 'შე-მ-კრე-
ბ-ელი'.

ოს. sæxwar 'სადილი' = ქართ. ს ა მ ხ ა რ ი.

ოს. ærnæg 'ველური' = ქართ. ა რ ნ ი 'ველური ცხვარი'.

ოს. kærzin 'ქერის პური' = ქართ. ქ ა რ ჯ ი ნ ა.

ოს. ærttevagæ 'ელვა' = ქართ. ო რ ტ ა ბ ა ხ ი.

ოს. lægærdyn 'კრა' = ქართ. ლ ა გ ვ ა რ დ ა ნ ი 'შალაშინის სახე'.

ოს. kærd = ქართ. კ ე რ ძ ო.

ოს. karz = ქართ. კ რ ძ ა ლ ვ ა.

ოს. tæryn = ქართ. თ რ ე ვ ა.

ოს. wirtæ = ქართ. ვ ი რ თ ხ ა.

ოს. æzær [æg] = ქართ. ე წ ე რ ი.

ოს. kurd = ქართ. გ რ დ ე მ ლ ი.

ოს. bur | bor = ქართ. ბ უ რ ა უ ლ ი, მ უ რ ა.

ოს. byræg = ქართ. ბ უ რ ა ხ ი.

ოს. færank = ქართ. ბ რ ა ნ გ ვ ი.

ოს. biræ | bewræ = ქართ. ბ ე ვ რ ი.

ოს. ærgæw = ქართ. ა ღ რ ა ლ ე ბ ი.

ოს. myzyra = ქართ. მ უ ჯ ი რ ა.

ოს. xæræg = ქართ. ხ ი რ ა გ ა.

ერთ შემთხვევაში მხოლოდ ოს. r-ს შეესატყვისება ქართული ვ:

ოს. cyrg | cirg = ქართ. ც ი ღ ვ ი (შესაძლოა დაკარგულია რ *ცირ-
ღვი).

2. ოს. l = ქართ. ლ-ს.

ოს. dællag 'ქვეშითა' = ქართ. დ ი ლ ე გ ი 'ხარო'.

ოს. læppyn 'ბარტყი, მართვე' = ქართ. ლ ა პ ი 'მართვე'.

ოს. lægærdyn 'ამოკრა' = ქართ. ლ ა გ ვ ა რ დ ა ნ ი 'შალაშინი'.

ოს. livzæ 'ლორწო' = ქართ. ლეზვი 'თხელი დორბლი'.

ოს. æluton = ქართ. ალუდი, ლუდი.

ოს. sulugun (cyxt) = ქართ. სულუგუნის ყველი.

ოს. syvællon 'ბავწვი' = ქართ. სა-სუმლ-ობ-ა 'შვილება'.

ოს. cal 'რაოდენი' = ქართ. ცალი.

ერთ შემთხვევაში ოს. n = ქართ. ლ-ს (სონორთა დისიმილაციის ძალით).

ოს. ginon, gwinon | ginonæ 'გუთნის ნაწილი' = ქართ. რაჭ. გვინოლი.

b) ცხვირისმიერები n და m ქართულში უცვლელად არიან გადმოსული ოსურიდან ნასესხებ სიტყვებში:

1. ოს. n = ქართ. ნ-ს:

ოს. nostæ 'რძალი' = ქართ. ნუსადია 'ბიცოლა'.

ოს. nyxas 'საუბარი' = ქართ. ნახშობა.

ოს. amond 'ბედი' = ქართ. ამინდი 'დარი'.

ოს. don (< dan) 'წყალი' = ქართ. დენ-/დინ- 'სრბოლა, დინება'.

ოს. færank 'ლეობარდი' = ქართ. ბრანგვი, id.

ოს. kunæg 'მცირე' = ქართ. კნინი, id.

ოს. lægærdun 'ჭრა' = ქართ. ლაგვარდანი 'შალაშინის სახე'.

ოს. ginonæ 'გუთნის ნაწილი' = ქართ. გვინოლი, id.

ოს. rong = ქართ. რანგი.

ოს. snlun = ქართ. სულუგუნი.

ოს. fætæn 'ფართო' = ქართ. ფათენი, id.

ოს. cong 'ხელი' = ქართ. ჩონგა 'ხელზე დახვეული' (მატყლი).

ოს. zyu | zin = ქართ. ძნელი.

ოს. cin 'სიხარული' = ქართ. სი-ცი-ლ-ი, და-ცინ-ვა.

ოს. æncojnæ 'მოსვენება' = ქართ. მ-ცონ-არ-ი 'ზარმაცი'.

ოს. ærnæg 'ველური' = ქართ. არნი 'ველური ცხვარი'.

ოს. kærzin 'ქერის პური' = ქართ. ქარჯინა, id.

ოს. fusun 'მასაინძელი' = ქართ. ფოსრონიკი „დედათ ლხინთ გამრიგე“ (საბა).

2. ოს. m = ქართ. მ-ს:

ოს. amond = ქართ. ამინდი.

ოს. komyn = ქართ. კმა.

ოს. wærm = ქართ. ორმო.

ოს. cæm = ქართ. ცმელი.

ოს. mojnæ 'ქმარი, კაცი' = ქართ. მონა 'მსახური'.

ოს. mæs-tæ 'ფეხსამოსი' = ქართ. მესტები.

ოს. myzyræ 'შუბი' = ქართ. მუჯირა 'წვეტიანი ჯობი'.

ბაგისმიერი სპირანტების f, v-ს გადმოცემა ქართულში

a) ოს. ყრუ სპირანტი f = ქართ. ყრუ ფშვინვიერ ფ-ს და მჟღერ ხ-ს.

1. ოს. f = ქართ. ყრუ ფშვინვიერ ფ-ს.

ოს. fættæn 'ფართო' = ქართ. ფათენი, id.

ოს. færssag 'საშუალო' = ქართ. ფარსაგი, id.

ოს. færdng 'მძივი' = ქართ. ფარღული, id.

ოს. færsk 'ნეკნი' = ქართ. ფერცხალი, id.

ოს. ficun 'წვა, ხარშვა' = ქართ. ფიცხი 'ცხარე'.

ოს. fyr|fur 'ბევრი, ძალიან' = ქართ. ფრიად.

ოს. cæfxad 'ნალი' = ქართ. ჩაფხატი 'ფესსაცმლის სახე'.

ოს. [æn]taf 'სიცხე' = ქართ. ტეფ- (ტფობა).

ოს. fys|fns 'ცხვარი' = ქართ. ფასი 'ღირებულება'.

ოს. fyð|fud 'ცუდი' = ქართ. ფინთი.

ოს. fysym|fusun 'მასპინძელი' = ქართ. ფოსრონიკი.

2. ოს. f = ქართ. მჟღერ ბ-ს:

ოს. færank = ქართ. ბრანგვი.

ოს. kæræf (ირ. karap) = ქართ. კერბ-, კრებ-, კრეფ-.

3. ზოგიერთ შემთხვევაში fs კომპლექსი ქართულში გადადის როგორც ვს (და არა მოსალოდნელი ფს), შეადარეთ:

ოს. æfsis = ქართ. სავსე.

ოს. fes = ქართ. სვე (<*ესე).

b) ოსური მჟღერი ბაგისმიერი სპირანტი v (w) წარმოადგენილია ქართულში მჟღერი ვ, მ და ზ-თი.

1. ოს. v (w) = ქართ. ვ-ს.

ოს. ærwæz 'ჯოგი' = ქართ. არვე.

ოს. bewræ 'მრავალი' = ქართ. ბევრი.

ოს. wyrta 'თავი' = ქართ. ვირთხა.

ოს. livzæ 'ლორწო' = ქართ. ლეზვი.

ოს. ærwæd 'ქებინი' = ქართ. ურვათი.

ოს. saw 'შავი' = ქართ. შავი.

ოს. cæwyn 'სვლა' = ქართ. წევ-ა.

ოს. wærs 'მამრი' = ქართ. ვერძი.

ოს. taw, tawag 'ჯეჯილი' = ქართ. თავი 'თავთავი'.

2. ოსური ბაგისმიერი სპირანტი w გადმოცემულია ქართულში ცხვირისმიერი სონანტით შ:

ოს. suwæll-on 'ბავშვი' = ქართ. სა-სუმლ-ობა 'შვილება'.

ოს. sexwar 'სადილი' = ქართ. სამხარი.

ოს. cæwyn 'ცემა' = ქართ. ცემა.

3. ოს. v = ქართ. მეღერ ბაგისმიერ ზ-ს.

ოს. ævzak'æ 'ფუტკარი' = ქართ. ბ ზ ი კ ი.

ოს. ærttevagæ 'ელვა' = ქართ. ო რ ტ ა ბ ა ხ ი.

4. ოს. თავკიდური wæ = ქართ. ო - ს:

ოს. værm = ქართ. ო რ მ ო.

ოს. *varz (avzæryŋ) = ქართ. ო რ ძ - ი ნ.

ძვ. ოს. vab (> vaf) = ქართ. ო ბ - ო ბ - ა, ბ ა ბ ა ჯ უ ა (< * ო ბ - ო ბ ა ჯ უ ა).

ოს. cawd = ქართ. ც ო დ ვ ა; ც უ დ ი.

5. ოს. ნახევარხმოვანი j = ქართ. ვ - ს

ოს. zajyn = ქართ. ნ ე ზ ვ ი, უ ზ ვ ი, ი ზ ვ ე ბ ა.

ოს. sijyn = ქართ. ს ი ვ ე ბ ა.

ოსური ყრუ სიბილანტის s-ს გადმოცემა

a) ოს. s მეტწილ შემთხვევაში გადმოცემულია ქართულში, როგორც ს:

ოს. æfsis 'სავსე' = ქართ. ვ ს ე ბ ა, ს ა ვ ს ე.

ოს. mæss-tæ 'ტყავის ფეხსაცმელი' = ქართ. მ ე ს ტ ე ბ ი 'უძირო ფეხსაცმელი'.

ოს. ruxs | roxs 'ნათელი' = ქართ. რ უ ს ხ ა.

ოს. sijyn = ქართ. ს ი ვ ე ბ ა.

ოს. sulugun (cyxt) 'ყველის სახე' = ქართ. ს უ ლ უ გ უ ნ ი.

ოს. ns | osæ 'ქალი' = ქართ. უ ს ო „გლეხთ დიატთ უპატოსნესი“ (საბა).

ოს. ænsuvær 'თანშობილი' = ქართ. უ ს უ ა რ ი 'ბავშვი'.

ოს. sywællon 'შვილი' = ქართ. ს ა - ს უ მ ლ - ო ბ ა 'შვილება'

ოს. færssag 'შუა' = ქართ. ფ ა რ ს ა გ ი.

ოს. fes 'ბედი, წერა' = ქართ. ს ვ ე.

ოს. fus = ქართ. ფ ა ს ი.

ოს. fysym | fusun 'მასპინძელი' = ქართ. ფ ო ს (რ) ო ნ - ი კ ი.

ოს. xos | xwasæ 'ბალახი' = ქართ. ხ ა ვ ს ი.

b) არის შემთხვევები, როდესაც ოს. s ქართულში გადმოცემულია, როგორც შ:

ოს. nyxas = ქართ. ნ ა ხ შ ო ბ ა.

ოს. saw = ქართ. შ ა ვ ი.

ოს. æfsinæ = ქართ. ა ფ შ ი ნ ა (საკ. სახ.).

c) ზოგიერთ შემთხვევაში ოს. s (r-ს შემდგომ) გვაძლევს ქართულში ც - ს ა და ძ - ს:

ოს. færsk = ქართ. ფ ე რ ც ხ ა ლ ი.

ოს. færssag = ქართ. ფარცაგი.

ოს. wærs = ქართ. ვერძი.

მეღერი სიბილანტი z (ჴ დიალექტურად) ქართულში მეტწილად
გადმოდის როგორც ჴ, მაგრამ არაიშვიათად ხდება მისი
აფრიკატიზაცია ძ-დ (ც-დ)

a) ოს. z = ქართ. ჴ-ს.

ოს. abuzun = ქართ. აბუზეა, აბზუება.

ოს. æwzæk'æ = ქართ. ბზიკი.

ოს. gyz (artg₀z) = ქართ. გზება (ნუგუზი) 'დანთება'.

ოს. zajyn 'შობა' = ქართ. ზა-|ზავ- (ნეზვი, უზვი, იზვება).

ოს. liwzæ = ქართ. ლეზვი.

ოს. xabizžyu = ქართ. ხაბიზგინი.

b) ოსური z გადმოცემულია ქართულში აფრიკა-
ტებით ძ და ც:

ოს. karz = ქართ. კრძალვა, მკაცრი.

ოს. zyn | zin = ქართ. ძნელი.

ოს. *varz = ქართ. ორძ-ინ (აღ-ორძ-ინ-ებ-ა).

ოსურ თანხმოვანთა ჯგუფების ქართულში გადა-
ნაცვლების, მეტათეზისის შემთხვევები:

1. თანხმოვანთა ჯგუფებში სონანტი + ხშული, სპირანტი ან
სიბილანტი, სონანტი ისწრაფვის გადაინაცვლოს II ადგილზე
ხშულის შემდგომ. შეადარეთ:

ოს. ærgæw = ქართ. აღრალეზი (rg > ლრ).

ოს. livzæ = ქართ. ლეზვი (ვზ > ჴვ).

ოს. karz = ქართ. მკაცრი (rz > ძრ > ცრ).

ოს. cirg = ქართ. ციღვი (rg > გვ).

ოს. fes = ქართ. ვსე > სვე (fs > ვს > სვ).

ოს. sexwar = ქართ. სამხარი (xw > მხ).

2. ოს. x და q გადადიან მეორე ადგილზე ხშულისა და ს-ს შემდგომ:

ოს. ruxs | roxs = ქართ. რუსხა 'ნათელი' (xs > სხ).

ოს. qed = ქართ. ტყე (<ღყე < *qd-e).

სპიტიურ-ალანურ-ოსური ენებიდან შემთავსებულ სიტყვათა
ეტიმოლოგიური ანალიზი

1. აბზუება — 'აიწევს, გამობერავს ტუჩებს'.

აბუზეება 'აიწვევა, აიბერება' (იხ. ქართული განმარტებითი
ლექსიკონი, I, გვ. 62 და 199).

ვ. აბაევის აზრით, ქართული სიტყვები ბუზვა, აბუზვა ეყრდნობა ოსურს *abūzyu : abuzt | abuzun : abuzt* 'გაბერვა, გამო-ბერვა, გადიდება' ძირიდან **puz-* + პრეფერბი *a*, ინდ.ევრ. **pu-* 'გაბერვა' გავრცობილი -*g* (> *-z* სუფიქსით), რომელიც წარმოდგენილია მთელ რიგ ინდოევროპულ ენებში: ძვ. ინდ. *pūga*, *pūja* 'მასა', რუსული *пуго, пуговица*, ბერძნ. *πυγή* და *სხვა*. ინდ. ევრ. *pu-*ს არგადასვლა *h(v)*-ში, რომელიც მოსალოდნელი იყო ოსურში, აბაევის აზრით, აიხსნება *p*, *h* ბგერათა გამომსახველობითი უნარით *გ ა ბ ე რ ვ ა ს*, *გ ა მ ო ბ უ რ ც ვ ი ს* ცნების გამოსახატავად. ამავე ძირს ვ. მილერი და მ. ფასმერი უკავშირებენ სკვითურ სახელს **Aþþisazaz*¹.

2. აბრაგი — 1. 'მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი'.

2. კუთხ. 'ყაჩაღი, მძარცველი, ავაზაკი' (ქართ. განმარტ. ლექსიკ. 1, გვ. 73).

ოსური *abyraeg | abæraeg* 'ყაჩაღი, აბრეგი' საერთო კავკასიური სიტყვაა, წარმოშობით საშუალო ირანული, ფალაური **āparak. āpartan* 'ძარცვა', *āpar*² 'ძარცვა, ტაცება, ქურდობა', ახ. სპ. *āvāra* 'ავარა', *āvār* 'ნადავლი, ნაძარცვი, ალაფი', საიდანაც მომდინარეობს ქართ. *ავარი* და *სომხ. ավար* (იხ. საშ. ირანულ სიტყვებში). ოსურს უკავშირდებიან ქართული დიალექტური *აბრაგი*, მეგრ. *აბრაგი*, სვან. *ამბრეგი*, სეესურული პირის საკუთარი სახელი *აპარეკა* (რომელიც ფონეტიკურად ყველაზე ახლოს საშ. სპარსულთან დგას). ამ სიტყვის სხვა კავკასიური ფორმებიდან აღსანიშნავია ამხარ. *abrag*, ყაბარდ. *ჩერქეზ. abreg*, მალყ. *abrek*, ინგუშ. *ābrag*, ავარ. *aburik* და *სხვა*.

ვ. მილერი და მ. ფასმერი აღნიშნულ ოსურ ფორმას *abyraeg* უკავშირებდნენ სკვითურ საკუთარ სახელს **Aþþazaz*. აბაევის აზრით კი, მას საფუძვლად უდევს ირანული *abra* 'ღრუბელი', ოს. *arv* 'ცა'³.

მ. აკუთა — „ქვების სადგური ქვათაგან“ (საბა).

ოს. *agwat*⁴ 'ორმო, რომელშიაც იდგმება ლუდის ქვაბი'. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ოსურ ნიადაგზე ასეთია: *ag* 'ქვაბი' + *wat* 'ადგილი'.

agwat > *agot* > აკუთ - ა ან *agwat* > *agwta* > აკუთა. პირველ შემთხვევაში იგულისხმება ქართულისათვის ჩვეულებრივი

¹ იხ. В. Абаев, Историко-этимологический словарь. I, გვ. 25—26.

² Н. Nyberg, Hfsb, II, გვ. 14.

³ იხ. Историко-этимологический словарь, გვ. 25, 26.

⁴ იქვე, გვ. 36.

wa კომპლექსის გადასვლა თ-დ და შემდეგ უ-დ, ხოლო ბოლოს ა- სუფიქსის დართვა, მტორე შემთხვევაში ბგერის ჩავარდნა wat > > ვთა > უთა.

4. ამინდი — 'დარი', „დროიანი ეამთ დარი“ (საბა).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა მომდინარეობს ოსური სიტყვიდან amond 'ბედი, ბედნიერება', რომელიც, აბაევის აზრით, წარმოადგენს ძველ ლექსიკალიზებულ ნამყოს მიმღეობას ზმნიდან amonyu 'ჩვენება', ე. ი. 'ნაჩვენები, ნაწინასწარმეტყველვევი, წინასწარ განსაზღვრული', 'ბედი, ბედნიერება, წერა'¹; წინასწარმეტყველება შეიძლება როგორც ბედისა, ისე დარისა, ე. ი. ამინდისა, ისე რომ ფონეტიკურ თანხვედნილობასთან ერთად ოსურსა და ქართულ ფორმას 'მორის არ არსებობს არც სემანტიკური დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლიდა ამ ორი სიტყვის დაახლოებას.

ამინდი — 'ბედნიერი, კარგი დარი'; უ-ამინდ-ობ-ა 'ავდარი, ცუდი ამინდი' (მღრ. დარი და ავდარი).

„კამეჩი წვეს და იცოხნის თავის ამინდი ჰგონია, ლათში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია“

(ხალხური).

რ. ლათონის აზრით, სიტყვა ამინდის ფუძეა ამ- (იგივე, რაც სიტყვა ამო-ში და ამება-ში გვაქვს, ე. ი. 'სიამოვნება'), ხოლო დაბოლოება -ინდ წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის აუზის ენებისათვის დამახასიათებელ სუფიქსალურ ელემენტს -ind, რომელიც მთელ რიგ ქართულ სიტყვებში გვხვდება (სიმინდი, ერევანდი, ქლამინდი და სხვა)².

5. არვე — „ჯოგი თხათა და ცხოვართა“ (საბა).

„არა შევიწირავ მე სახლისა შენისაგან ზუარაკთა, არცა არვისა შენისაგან ვაცთა“ (ფს. 49₉).

ამ სიტყვას ჩვენ ვუკავშირებთ ოსურ დიგ. ჰრვაჰ-ს 'ირმის ჯოგი', რომლისათვისაც ვ. აბაევი აღადგენს ძველ ირანულ ფორმას *vraza. მღრ. ძვ. ინდ. vraja 'ჯოგი, ფარა'; ამ სიტყვის მეორე ვარიანტია რაჰ|ირაჰ 'სახატხულო სადგომი მწყემსთა'. ფორმა vraja ისეთსავე დამოკიდებულებაშია ოს. ჰრვაჰ-თან და (i)რაჰ-თან, როგორც vrata ჰრვაჰ-სა და iræd-თან³, შეადარეთ ურვათი⁴.

¹ В. А б а о в, Историко-этимологический словарь, I, გვ. 51.

² René Lafon, Mots „Méditerranées“ en géorgien, RĒA, t. XXXVI, 1936.

³ E. Benveniste, BSL, LII, გვ. 34.

⁴ იქვე, გვ. 185.

6. არნი — „გარეული ცხვარი“ (საბა), მხოლოდ ვისრამიანში გვხვდება:

„ზოგჯერ არნისაებრ მათა და კლდეთა ზედა იარებოდის ზოგჯერ ლომისაებრ ლერწამთა და ტევრთა შიგან იარებოდის, ზოგჯერ გარე-თხისაებრ მინდორთა შიგან იყვის, ზოგჯერ გუელისაებრ ჭურელთა შიგან იყვის“ (ვისრამ. 124₃₆).

„ქელმწიფე ნებიერი ვიყავ და აწ არნი ვარ, კლდესა შიგან მავალი“ (ვისრამ. 155₂₀).

ძვ. ირ. arana, aruna, ი. ე. *ol(e)no, ავ. auruna 'ველური' (maeša auruna 'ველური ცხვარი'), rana 'ველური, არაშინაური', 'მოუშინაურებელი', ძვ. ინდ. arana 'შორეული, უცხო'.

ეს სიტყვა შემონახულია ოსურში ფორმით ærnaæg 'ველური. გაველურებული' (ცხოველი, მცენარე), ærnaæg fos 'გაველურებული საქონელი', ærnaæg kartof 'დაუმუშავებელი კარტოფილი', სკვით. Арвæх — საკუთარ სახელში Арвæхъ. ოსურიდანაა შესული, როგორც ჩანს, მალყარულში ærənək (ærənək kištik 'გარეული კატა') და აფხაზურში arnaæg 'ველური'¹.

ეს სიტყვა საინტერესოა იმით, რომ ქართულში დაცულია უსუფიქსო ფორმა arn, რაც აგრეთვე ზოგიერთ სხვა შემთხვევაში გვაქვს. შდრ. ქართ. ქად = ოს. kaḏ მნიშვნელობით = ოს. kaḏæg 'საგმირო სიმღერა' (მო-ქად-ული, ქად-აგ-ი).

არნის შესატყვისად „ვისრამიანის“ ორიგინალში გვაქვს სპარს. کَرَنی 'მთის თხა' და مرغ 'მთის ცხვარი'².

7. აღრალეების ქვა — საბას განმარტებით „აღრალეების ქვა არის ძოწი, ამარტა ბროლი, ლაჟუარდი, ქარვა და მისთანანი ქვები, ხოლო სპეკალი: აღმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანა ქვები“. ე. ი. აღრალეები ზოგადი სახელია გარკვეული რიგის ძვირფასი ქვებისა.

ჩვენი ფიქრით, ეს იგივე სიტყვაა, რაც ოსური (ფოლკლორში დადასტურებული) სიტყვა ærǰæw, რომელსაც ვ. აბაევო კითხვის ნიშნის ქვეშ განმარტავს, როგორც 'სადაფს' — перламутр. გამოთქმები ærǰæw čyrɨn 'სადაფის (?) კოლოფი', ærǰæwon kaɣsag 'სადაფის (?) თევზი'. შდრ. გამოთქმები: jæ k'ulæ — ærǰæw jæ bɨn — c'æx avǰ 'კედლები სადაფისა, იატაკი ლურჯი მინისა'; ვ. აბაევო შესაძლებლად თვლის დაუკავშიროს ეს სიტყვა arǰ-ს 'ფასი, ძვირფასი, შესანიშნავი', შესადარებლად მოჰყავს პართ. 'rǰ'w, 'gr'w

¹ В. Абаев, ОЯФ. გვ. 155, 315; Историко-этимологический словарь, გვ. 179.

² „ვისრამიანი“, ა. გვახარია და მ. თოდუას გამოცემა, ლექსიკ., გვ. 732.

ბრწყინვალე, დიდებული¹. ქართული აღრალების ქვა თავისი შინაარსით კარგად უდგება ამ მნიშვნელობას: 'ბრწყინვალე, ძვირფასი (ქვა)' *agrav||argav*, ოსური *arǰæw* > ქართ. აღრავ > აღრალ-ი. მრავლობით რიცხვში აღრალ-ები 'ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვები, თვლები'. შესაძლებელია, ეს სიტყვა ქართულში პართულიდან იყოს შემოსული და ოსურში — ქართულიდან.

8. ბევრი — 'მრავალი, 10000'.

ვ. აბაევის აზრით, ძნელია გადაწყვეტით თქმა, საიდან შევიდა ეს უქვეელი ირანული სიტყვა ქართულში და სომხურში. შეიძლება გვეფიქრა საშ. სპარსულ ფორმაზე *bēvar*, მაგრამ ქართულ ბევრთან გაცილებით უფრო ახლოა ფონეტიკურად (*полное и безупречное существование*)² ოს. დიგორ. *bewræ* (იხ. საშ. სპარსულ სიტყვებში).

9. ბზიკი — საბასთან განმარტება არა გვაქვს. ქართულ განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 'ფუტკრის მსგავსი ყვითელი მწერი' (სინონ. კრაზანა, იხ. I, გვ. 1051). იგი ქართულში ძალიან ძველი სიტყვაა, გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიის ტექსტში:

„და ესე არს მათგანი, რომელი არა შკამოთ: ბუზი და მსგავსი მისი, ბზიკი და მსგავსი მისი, მკალი და მსგავსი მისი...“ (ლევიტ. 11₂₂).

„და წარვაგლინო ბზიკი უწინარჳს შენსა და განასხნეს ამორეველნი იგი და ეველნი, ქანანელნი იგი და ქეტელნი შენგან“ (გამოსვლ. 23₂₈).

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა უკავშირდება ოსურ ფუძეს *ævz-* სიტყვებში *ævzæp* 'пчелиный рои', *ævzæpḡm* 'второе роение', *ævzakæ* 'ფუტკრები, რომლებსაც უმატებენ მცირერიცხოვან სკას გასაძლიერებლად' და სხვ. (*ævzak'æ* > ბზეკი > ბზიკი). სახელწოდება ბზიკისა, კრაზანასი საერთოა თითქმის ყველა ინდოევროპულ ენაში. შდრ. ძვ. ირ. **wabza-*, *wapsa-*, ბელუჯ. *gvabz* 'ფუტკარი, კრაზანა', პამირ. იშკაშ. *wafšio*, პამირ. მუნჯ. *wafšiya* 'კრაზანა', ორმური *buzwa* 'ობობა' (< **wabza*), ქურთ. *wə weh-zaleh* 'კრაზანა', დაღნობ. *γuzvik* (< *vuwžik*), სოლდ. **a wžāk* ('რალაც' < **wžak*), ფალ. *vapž* 'კრაზანა, ფუტკარი' < ავ. *vavžaka* 'რალაც დევური ცხოველი თუ მწერი'. ზემოგერმ. *wefsa*, ანგლოსაქს. *wæfs*, ლიტ. *vapsa*, ლათ. *vespa*, რუს. *оса* (< **oпca*), ინდ. ევრ. **uabh-so*, ოს. *wævz* > *ævz*³.

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь. I, გვ. 177.

² მისივე, О некоторых осетинских элементах в грузинском, გვ. 447.

10. ბრანგვი — „დათვ“ (საბა).

„განრყუნა ეშუმან მალნარისაგან და ბრანგუმან მძუინვარემან მოძოა იგი“ (ფს. 79₁₄).

ჩვენ ვფიქრობთ, იგი კავშირშია ოს. ფორმასთან *færank* ‘ლეოპარდი, ვეფხვი’, ავღ. *praug*, სპარს. *palang*, სოლდ. *pwrōnk* ‘ლეოპარდი’, ძვ. ინდ. *prḍaku*. თვით ოსურ ფორმას ვ. აბაევი განიხილავს, როგორც ძველ ნასესხებს სპარსულიდან ¹.

ქართული ფორმა ბრანგვი, ჩვენი ფიქრით, მიღებულია ფრანგიდან — ომონიმური სუპერაციის გზით სიტყვა ფრანგთან.

færank > ფრანგ > ბრანგვ.

11. ბურახ-ი — „ქერფეტვთა და სხუათაგან სასმელნი რამე“ (საბა).

ჩვენი ფიქრით, იგი შეიძლება დაუკავშირდეს ოსურ *byræḡ*-ს ‘სვილისაგან (пиво) დამზადებული სასმელი’.

ვ. აბაევის აზრით, თვით ოსური *byræḡ* ნასესხებია რუსული ან უკრაინული სიტყვიდან *бѣра*². დადასტურებულია ხევსურულ დიალექტში ³.

12. ბუწი — ‘თოხლი’, „წლის კრაევი და მცირედ ნაკლები“ (საბა).

„ცხვარი ნახევარი წლიდან წლამდე, პირველი გაპარსვიდან მეორე გაპარსვამდე“ (სინონიმი თოხლი, განმარტ. ლექსიკ. 1197).

ოს. *ხოვ*, *ხოვი*, *ხოვო* ‘თხა’, ავ. *būza*, სპარს. *buḡ* ‘თხა’, სპარს. დიალექტ. *hoḡa* ‘ციკანი, თხა’, პამირ. *buḡ* ‘თხა’, სომხ. *ხუც* ‘კრაევი’. ძვ. ზ. გერმანული *hose*, გერმ. *hock* ‘თხა’.

გ. ახვლედიანის ოს. *ხოვ*-ს ‘თხა’ უკავშირებს ქართულ სიტყვას ბოძი ‘მცირე სვეტი’, შესაძარებლად მოჰყავს რუსული *козлы* (პოლონ. *koźły* ‘деревянные брусья’), ისე როგორც *хыкы* ‘ხიდის ბურჯები’ ⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბუწი უფრო ახლოს არის სპარსულ და სომხურ ფორმებთან.

შეიძლება ამ სიტყვასთან არის კავშირში აგრეთვე ბოჩიკი ‘წლის ირემი’ და ბოჩოლა „გამოზამთრებული ძროხა“ (საბა). შდრ. სპ. დიალექტური *hoḡa*.

13. ბოძი — „მცირე სუშტი“ (საბა).

გ. ახვლედიანის აზრით, ეს სიტყვა შეთვისებულია ქართულში ოსურიდან, როდესაც იგი ოსურში იხმარებოდა არა მეტსახელად

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 450.

² იქვე, გვ. 281.

³ იხ. ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი.

⁴ იხ. Г. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, გვ. 205.

(КЛИЧКА), არამედ თხის ჩვეულებრივ სახელწოდებად, ოს. ხიᄁ 'თხა'. ქართულში იგი შემორჩა გადატანითი მნიშვნელობით. შდრ. რუს. КОЗЛЫ (პოლონ. kozły). შეადარეთ აგრეთვე ნыкы 'ხიდის ბურჯები' და ქართ. ჯორა, ოს. хѳѳаг 'მუსიკალურ ინსტრუმენტებში სიმთა დასაყრდენი, პატარა ხის ნაჭერი'.

14. ბოძი¹ (ბოძება, საბოძვარი)—'ნიჭი, საჩუქარი, მადლი, წყალობა', „უღარესთაგან მისაცემი“ (საბა).

„მიიღებდის ბოძსა კაცად-კაცი მისგან თავისა თვისისა, ხოლო დიდად განდიდნა ბოძი ბენიამენისი უფროჲს მათსა“ (დაბ. 43₃₄).

„ღია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა, მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაჰბადა“ (ვ.ტყ. 119₃).

„მას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა“ (ვ.ტყ. 682₄).

„უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა“ (ვ.ტყ. 686₄).

ჩვენ ვფიქრობთ, ბოძ- შეიძლება დაუკავშირდეს ოს. სიტყვას ხūz|boz 'მადლიერი, მადლი', აგრეთვე ხūzn, ხūznyგ 'გმადლობთ, მადლობელი'¹. ქართულს საფუძვლად უდევს, როგორც ჩანს, დიგორულთან ახლოს მდგომი ძვ. ალან. ფორმა ხოz. ამ სიტყვას ვ. აბაევი უკავშირებს ირ. *bauzna-ს=ავ. baoknah-, სოლდ. *βauzn-(βzn-). ფუძე bauz-, რომელიც ზუსტად შეესატყვისება ძვ. ინდ. bhū-, bhūñj-ს—აქტიური მნიშვნელობით 'ასიამოვნო, დაატკბო ვინმე, ემსახურო ვისმე, მადლიერი ჰყო' და სხვ.².

15. ბუნობა—'დღელამის თანასწორობა' (равноденствие).

საბას განმარტებით „ბუნობა არს რა დღე და ღამე გასწორდება მარტსა და სექტემბერსა შინა. ხოლო მიქცევასა დღისასა და მოკლებასა ივნისის თთუესა და დეკენბერსა მოკლებასა ღამისასა ნაბუნობა ეწოდების“.

ჩვენი ფიქრით, სიტყვა ბუნ-ი-ობ-ას საფუძვლად უდევს ოსური სიტყვა ხон 'დღე', ძვ. ირ. *hānu-, ძვ. ინდ. bhānu 'სინათლე, სხივი', ძვ. სპ. hānu- (სახელში Artabānu), სკვით. Βαναξ—საკ. სახელი, ნაწარმოებია ზმნიდან hā-, bhā- 'ნათება, ბრწყინვა' (-an > -on. კანონზომიერია ოსურისათვის). შდრ. ოს. ხонгун|hongin 'მდიდარი, დღია-

¹ Остгинско-русский словарь, составили Б. Бигулаев, К. Гаг-
жаев, Н. Кулаев, О. Туаева, Орджоникидзе, 1962, გვ. 160.

² В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 274 — 75.

ნი¹, *bonivajæn* 'გათენება', *Bonværnion* 'ვენერა, ცისკარი'. საბას განმარტებაში საინტერესოა დაპირისპირება ბუნობისა ნაბუნობასთან (= *nabon* 'უღლეურობა, დღენაკლებობა'), სადაც ნა- (*na*) უარყოფით ნაწილაკს წარმოადგენს.

16. ბურაული — „მწყაზარი ქორი, შავ-წითელ საცილობელი“ (საბა).

ამ სიტყვის ძირი ბურ-ფერის აღმნიშვნელია — 'ყავისფერი, შავწითელი'. თავიკიდური მ-თი იგი დადასტურებულია აგრეთვე ქართულ სიტყვაში მურა „შავ-წითელი ძაღლი“ (საბა). ჩვენი ფიქრით, ეს იგივეა, რაც ოსური ხურ|ბორ 'ყვითელი'; ვ. აბაევის მიხედვით ოსური სიტყვა განუყოფელია, ერთი მხრივ, რუსული სიტყვისაგან *бурый*, ხოლო მეორე მხრივ სპარსულ ხურ, ხორ ფორმათაგან — მნიშვნელობით 'რუხი, ყვითელი, წითური' (პამირ. დაზგ. ხერ, შუგნ. ხურ, მუნჯ. ხურ, ძალნ. ხურ). ეს სიტყვა, მისი აზრით, მომდინარეობს ძველი ევრაზიული სუბსტრატული სიტყვიდან, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებში: გერმ. *brün* 'ყავისფერი', **heri* 'დათვი' და სხვა, თურქ.-მონგოლ. *bori*, თურქ. *bora*, *boro* 'მიწისფერი, ნაცრისფერი', კავკასიურში: სვან. *burğa* 'მუქიწითური' (ხარი), აგულ. *buref* 'ნაცრისფერი, ყავისფერი' და სხვა. თავიკიდური ხ შენაცვლებულია ოსურში მ-თი სიტყვაში *moræ* 'ყავისფერი', რომელსაც ემხრობა ქართ. მურა „შავ-წითელი“. იგივე ფუძე წარმოდგენილია სკვითურ სახელებში *Bórpa*, *Bórpaicos*². ამავე ფუძესთან, როგორც ჩანს, დაკავშირებულია აგრეთვე ქართულში სომხურიდან მომდინარე სიტყვები ბორ-ი, გან-ბორ-ებული და ბოროტი. შდრ. სომხ. *բոր* 'მუნი, ქეცი, კეთრი', *բորբոս* 'ობი, ჭანგი', *բորბო* 'კეთროვანი, ქეციანი', რომელსაც აქარიანი უკავშირებს საშ. სპარსულ ხორ-ს³.

17. გავ-(სიტყვებში: გავ-ს, მ-ს-გავ-ს-ი, ი-გავ-ი).

„მერმე კუალად შესძინა იობ და თქუა იგავით“ (იობ. 29₁).

„მას არა ვჰგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა“

(ვ. ტყ. 317₄).

„შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს“ (ვ. ტყ. 955₂).

„მსგავსი მზისა და მთვარისა“ (ვ. ტყ. 40₂).

„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“ (ვ. ტყ. 1323₄).

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 266—267.

² იქვე, გვ. 271—272.

³ *Անպաս, Արմ. բառ.*, I, გვ. 1173; ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 091.

ჩვენი ფიქრით, ფუძე გავ- შესაძლებელია დაუკავშირდეს ოსურ ზმნას *gawun* 'ყურება, ხედვა', *i-gaw-un* 'смотреть печально', რომელიც ვ. აბაევს გამოჰყავს **vi-kāv-* ფორმიდან. *kāv-*, ინდ. ეგრ. **kēv-* 'ყურება'. შდრ. ძვ. ინდ. *kū-*, *kav-* 'ყურება, შენიშვნა, დაკვირვება', *kavi-* 'ბრძენი', ავ. *kav-* (*čaviš-*) 'დანიშვნა', ძვ. სლავ. *чутѣ*, რუს. *чуть*, *чувствовать*, ბერძნ. *καίω* 'შემჩნევა', ლათ. *caveo* 'ვზრუნავ, ვიურვი' და სხვა¹. ფონეტიკური იერის იდენტობასთან ერთად, უეჭველია სემანტიკური სიახლოვეც—ხედვა, ყურება, (მასავით) გამოიყურება > მსგავსია².

18. გვინოლი — (რაჭული) „სახენელის (გუთნის) ხელნა, რომლის ძირი ქუსლში ზის და თავი უღელს ებმის“ (ქართ. დიალექტოლოგია, ლექსიკონი).

ოს. *ginon*, *gwinon* | *ginonæ* 'კავის, გუთნის ზედა ნაწილი', მალყ. *ginan*, რაჭ. გვინოლი 'კავის ნაწილი'³.

19. გუზ/გზ-ება (სიტყვებში გზ-ება-ა, მუგუზი, მუგუზალი, ნაგუზალი, გუზგუზი) — „ცეცხლის აღნთება“ (საბა).

„და იყოს რომელი-იგი იელტოდის, ვითარცა-იგი იელტინ აღისაგან აღგზებულისა“ (ესაიაჲსი, 10₁₈).

„და ჰრქუა მას: ეკრძალე დადუმებად და ნუ გეშინინ და ნუცა სული შენი მოუძღურდებინ ორთა მათგან შეშათა მუგუზთა მკუმოლვარეთა“... (ესაიაჲსი, 7₄).

„და ცეცხლი ეგზებოდის საკურთხეველსა მას ზედა და არა დაშრტეს და აგზებდეს მღდელი იგი შეშასა განთიად-განთიად“... (ლევიტ. 6₁₂).

„და დაშრტა სიბრძნე და აღეგზნა უგუზურებაჲ“ (ბალაჰ-ვარ. 48₂).

„მან ქალმან ხელ-ყო კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა, ეგონა ჭამა ხორცისა შემწვრისა, შეუქნელისა“ (ვ.ტყ. 268₁).

„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია, მიჯნურობითა დამწვარვარ, ცეცხლი უშრეტი მგზებია“ (ვ.ტყ. 285₄).

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 541.

² ქართველოლოგიაში ძირს გავ- უკავშირებენ მეგრულ *gun-*ს და სვანურ *ჯეშ-*ს. ძირად მიიჩნევენ ოდენ გ-ს (იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი, ა. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ.). გ. კლიმოვი ფორმას გვან- (სვან. ჯონ-) უკავშირებს აგრეთვე სიტყვა გვარს (იხ. *Этимологический словарь картвельских языков*, М., 1964, გვ. 61), რაც ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია იმის გამო, რომ გვარი თავისთავად საშ. სპარსულიდან შეთვისებული სიტყვაა.

³ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 519; Г. Ахмедияни, Сборник избранных работ, გვ. 138.

სიტყვა გზების მეგრულ-ქანური პარალელებია:¹

ქან. გზ-: ქოლო-გზ-უ 'დანთება ცეცხლისა'

მეგრ. რზ-: ქოლა-რზ-უ " " "

ამავე ძირს უკავშირდება ძვ. ქართ. მუგუზი, მუგუზალი, ნაგუზალი, ნიგუზალი, შესაძლოა „გუზ-გუზი“ და „გიზ-გიზი“ ცეცხლისა.

სიტყვა გზებისათვის ამოსავალი გუზ-/გიზ- ფუძე და-დასტურებული უნდა გვქონდეს ოსურ სიტყვებში artgəyz 'ცეცხლის დამნთები' და fənykəyz 'ნაცარქექია, უქნარა'.

ვ. აბაევი ელემენტს gəyz (gəuz- < kəuz-) თვლის ზმნურ ფუძედ მნიშვნელობით 'რევა, ქექვა'², თუმცა ოსურ ენაში ასეთი ზმნა არ გვხვდება (gəyz 'ქექია', ალბათ ქართული ნაცარქექიას ანალოგიით).

გ. ახვლედიანი ფიქრობს, რომ ოს. gəyz ელემენტი სიტყვაში fənykəyz შესაძლებელია ირანული ფუძე იყოს, შემონახული ქართულ გუზ-ში (მუ-გუზ-ალ-ი) 'ცეცხლთან და წვესთან' ახლოს მდგომი მნიშვნელობით. მისი აზრით, არ არის გამორიცხული. აქ საქმე გვქონდეს ავ. gəuz-თან 'ფარვა, დაფარვა'³.

ძნელია თქმა გუზ-(გზება) ფუძე ქართულში დაცული ძველი ოსური (ალანური) ფორმაა ოს. gəyz-ისა, თუ ქართულიდან ოსურშია შეთვისებული; ყოველ შემთხვევაში მათ შორის კავშირი აშკარაა⁴.

20. გურდემლი, ქვირდემლი, გრდემლი — „ილეკროს გასაქედი ძირს სადები“ (საბა).

ქვირდემლი, ქვრდემლი — „მყარი, გინა მაგარი“ (საბა).

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“

(ვ.ტყ. 5₄).

ჩვენ შესაძლებლად ვთვლით დავუკავშიროთ ეს სიტყვა ოსურ სიტყვას kəyrd|kurd 'შქედელი', განსაკუთრებით საინტერესოა საბასთან დამოწმებული ფორმა ქვირდემლი, რომელიც უფრო ახლოა ოსურ kəyrd ფორმასთან და, როგორც ჩანს, უფრო ძველია. ოს. kəyrd|kurd-ს ვ. აბაევი თვლის ნაწარმოებად ძირიდან

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 260.

² იხ. Историко-этимологический словарь, I, გვ. 180—181. 449.

³ Г. Ахведиани, Сборник избранных работ, გვ. 209.

⁴ ქართულ გუზ-სა და გიზგიზ-ს უახლოვდება აგრეთვე სომხ. գիզგი 'დანთება', იხ. აგრეთვე Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, სადაც ამოსავლად ქართველური ენებისათვის ივარაუდება *gəz-, იხ. გვ. 62.

kur- მნიშვნელობით 'ვახურება, გაცხელება, გავარვარება', ძვ. *kur-ta, *kur-tar არის *nomen agentis* (მოქმედის სახელი) აღნიშნულ kur- ძირიდან¹. შდრ. ოს. *zæringoyrd|zæringurd* 'ოქრომქედელი', **ærxoygyrd|ærxugurd* 'სპილენძისმქედელი', *fsængoyrd|fsængurd* 'რკინისმქედელი'. შდრ. ძვ. ინდ. *kūdayati* 'სწვავს' (< *kurd-), სომხ. *կրակ* (< kur-ak) 'ცეცხლი', ძვ. სლავ. *къръна* (*многоръчная изса*), ლიტ. *kūrti* 'ნთება', გუთ. *hauri* 'ნახშირი', ინდ. ევრ. **keur-* **kur-* და არა **ker-*, ძვ. სლავ. *крьчии*, ძვ. რუს. *коруи* 'მქედელი' (ნახევარკუნძული ქერჩის სახელიც *Керчь* დაკავშირებულია ამ სიტყვასთან).

21. დენ-, დინ- (დენ-ა, დინ-ებ-ა; მ-დინ-არ-ე, დნ-ობ-ა).

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა განუყოფელია ოსური სიტყვისაგან *ძინ* 'წყალი' (ძვ. ოს. *dān*), ძვ. ირ. **dan-*, ავ. *dānu* 'მდინარე', ძვ. ინდ. *dānu-* 'წვეთი, ცვარი'. *dhān-* 'დენა, სრბოლა'² (დის მიღებულია ფორმიდან დინ-ს, შდრ. უ დ ი ნ ა 'სული უდინა'?).

ოს. *don* 'მდინარე', 'წყალი', *diɲnag* 'მდინარისა', *don kænyn* 'დნობა', *плавить* (წყალად ქცევა), ძვ. ინდ. *dhanayati* 'რბის', *dhanvati* 'დის, რბის', ძვ. სპ. *dānuvatiy* 'დის', სპ. *danīdan* 'სრბოლა'. ძველი ოსური ფორმა *dan* ძალიან ხშირად გვხვდება კავკასიის მთიანეთისა და სამხრეთ რუსეთის ტოპონიმიაში: *Saw-dan* 'შავი წყალი', *Gar-dan* 'თბილი წყალი', *Kurannan* (*kuran-dan*) 'წისქვილის წყალი', *Xwas-dan* (*xwasæ* 'წამალი', 'თივა'). შდრ. აგრეთვე *Tav-aɲ* 'დონი', *Dav-apr* 'დნებრი', *Dan-astɛ* 'დნესტრი', სკვითური სახელი *Δαναρραμαχιος* და სხვა.

22. დილეგი — 'ხარო, ორმო, საპატიმრო'.

„ყოველსა რომელსა ჰსუროდის მერმეთა მიმართ (კე)თილთა, მას ესრეთ შეურაცხიეს ყოფაჲ ჯოროცთა შინა, ვითარცა იწროსა დილეგსა“ (ბალაჭვარ. 164_გ).

ოს. *dællag* 'ქვედა, ქვეშეთი', ძვ. ირ. **adaryāka*.

ოს. *dæl* = 'ძირს, ქვე' + *ag* სუფიქსი⁴ (შდრ. ქართ. ქვევრი). იხ. საშ. სპარსულ სიტყვებში.

¹ ამ სიტყვის ეტიმოლოგიისადმი მიძღვნილია სპეციალური სტატია, *Вопросы языковедения*, № 1, 1959, Из истории слов. Древнерусское *крьчии* „кузнец“ и топоним Керчь, გვ. 96—99.

² В. А Б а с е в, Историко-этимологический словарь, I, გვ. 366—367.

³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა (ფონეტიკური დაკვირვებანი, II, 300) და ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა (შედარებითი ლექსიკონი) სიტყვა დნობას უკავშირებენ მეგრ. დენ-, დინ-ს და კან. დინ-ს 'გაქრობა', სვან. (n)ɲun. გ. კ ლ ი მ ო ვ ი (Этимологический словарь, გვ. 74) ამოსავალ პრაქართველურ ფორმად მიიჩნევს ძნ-ს.

⁴ Историко-этимологический словарь, I, გვ. 354.

23. დოღი — 'ცხენოსნობაში შეჯიბრება'.

ვ. აბაევი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ქართულში შეთვისებულია ოსურიდან, შდრ. ოს. $d\ddot{u}g | d\ddot{o}g$ 'დოღი'. იგი უკავშირდება შუააზიურ თურქულ $\text{döğ:}x$ -ს 'დასაფლავების ცერემონიალი', რომელიც მოკყავს ბიზანტიელ მწერალს მენანდრს. ამის მიხედვით აღდგენილი * $d\ddot{o}g$ წარმოადგენს კანონზომიერ შესატყვისს გავრცელებული თურქ. joğ -ისა 'დასაფლავების ცერემონია' (Marquart). აღ-ბირუნისა და სხვათა მოწმობანი ალანთა შუა აზიაში ყოფნის შესახებ, შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ, რომ სწორედ ალანების მიერ იყო შემოტანილი კავკასიაში ეს სიტყვა და შეთვისებული ქართველების მიერ¹. საბასთან არ გვხვდება სიტყვა დოღი.

შდრ. ოს. $d\ddot{u}g | d\ddot{o}g$ 'დოღი, სირბილი', $d\ddot{u}g$ $k\ddot{a}nyu$ 'სრბოლა', ოს. $d\ddot{u}g\ddot{u} | d\ddot{o}g\ddot{u}$ 'скакун, скаковая лошадь', $d\ddot{u}g\ddot{w}at | d\ddot{o}g\ddot{w}at$ 'სადოღე ადგილი', 'იზოდრომი, ასპარეზი'. შდრ. ქართ. დიალექტ. ყაბაღვათი 'ყაბახის ადგილი'.

24. ვერძი — „მამალი ცხოვარი“ (საბა).

„და პრქუა მას ღმერთმან: მომგუარე მე დიაკეული სამ წლისაჲ და თხაჲ სამ წლისაჲ და ვერძი სამ წლისაჲ და გურიტი და ტრედი“ (დაბ. 15₉).

„ხოლო ტარიგები იგი დაარჩია იაკობ და დაადგინა წინაშე ცხოვართა მათ ვერძი მოსპეტაკე და ყოვლად ქრელი“ (დაბ. 30₄₂).

„და თქუა: აღიხილენ თუალნი შენნი და იხილენ ვაცები და ვერძები, აღმავალი ცხოვართა და თხათა ქრელთა ნაცრის ფერად სხურებულთა, რამეთუ მე ვიხილე, რასა-იგი ლაბან გიყოფს შენ“ (დაბ. 31₁₂).

ძვ. ინდ. $vṛṣan$, ახ. სპ. $gusān$ 'ხეაღი',² ჩრდილო-ირანულში უნდა გვეკონოდა * $vars$ ან $vurs$. შდრ. ოს. $wyrs | urs$ 'კვიცი'. შდრ. სომხ. $որմ$ 'მამალი, მამრი'³. შდრ. აგრეთვე პამირ. $voṛč$ 'ცხენი', ლიტ. $vėrszis$, ლათ. $verres$ 'ტახი'⁴.

25. ეწერი — 'პატარა ტყე, ბუჩქნარი' (ჩუბინაშვილი), 'უნაყოფო მიწა, უდაბური'.

¹ В. Абаев, О некоторых осетинских элементах в грузинском, гз. 438 — 39; Историко-этимологический словарь, I. гз. 373.

² AirWb, гз. 1380; ОЯФ, гз. 57.

³ А. Худабашев, Армяно-русский словарь. гз. 285.

⁴ Б. შარშა ვერძს შეუბირისპირა მეგრ. ერჯ-ი და იგი კავკასიური წარმოშობისად მიიჩნია (იხ. Яфетические элементы в языках Армении, IV, 834). ეს მოსახრება გაიზიარა ი. ჯაფახიშვილმაც (კავკასიურ ენათა ბუნება და ნათესაობა, გვ. 199 — 200).

გ. ახვლედიანი აღნიშნულ სიტყვას უკავშირებს ოსურ სიტყვას, $\text{æ}\text{w}\text{æ}\text{r}(\text{æ}\text{g})$ 'უდაბური, უკაცრიელი' < $\text{æ}\text{-c}\text{æ}\text{r}\text{æ}\text{g}$ 'უსიცოცხლო' $\text{c}\text{æ}\text{r}\text{y}\text{r}\text{n}$ 'სიცოცხლე', æ უარყოფის ნაწილაკი.

ეს სიტყვა საინტერესოა შესატყვისობით: ოს. c = ქართ. წ. შეადარეთ ოს. $\text{c}\text{æ}\text{w}\text{æ}\text{r}\text{n}$ = ქართ. წვევა.

26. ვირთხა — „დიდი თავგია სხვა რიგი“ (საბა).

გ. ახვლედიანს ეს სიტყვა ოსურიდან ნასესხებად მიაჩნია, სახელდობრ მრავლობითი რიცხვის ფორმიდან $\text{wyrta}\text{æ}$ — ოსური t (ფშვინვიერი t) გადმოცემულ იქნა როგორც თხ ; ხ -ს განვითარება თ -სთან არ არის მოულოდნელი (პარმონიული კომპლექსის შექმნა). wyry ოსურად არის ვირთხა. სიტყვა ვირთაგვაშიც, მისი აზრით, პირველი ელემენტი არის არა ქართული ვირი, არამედ ოსური wyry , რომელიც ქართულში შემოვიდა როგორც 'არასრული სინონიმი თავგისა (крыса). ცნობილია, რომ ვირთხა (крыса) ჩვენში შემოვიდა არა უადრეს XVII საუკუნისა თავის სახელთან ერთად ჩრდილოეთის გზით. ქართულში შეიქმნა სინონიმური კომპოზიტი ომონიმური სუპერაციის შედეგად სიტყვა ვირ-თან¹.

სიტყვა ვირს ვირთაგვა და ვირთხა დაუკავშირდა, როგორც ჩანს, ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე (ვირი — ჩვეულებრივ ქართულში, ისე როგორც სპარსულში xar , დიდის დამამცირებელი გაგებით იხმარება — ვირისოდენა)². მეგრულში, სადაც ვირს ვირინი ეწოდება, крыса არის ვირი.

ოსურში ვირთხის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე ტერმინი $\text{g}\text{æ}\text{l}\text{æ}\text{w}$, რომელსაც აბაევი აიგივებს $\text{k}'\text{æ}\text{l}\text{æ}\text{w}$ -თან 'ჩოჩორი' (ინტანტილური ვარიაცია მისი), შესადარებლად მოჰყავს ქართული ვირთაგვა და მალყარული $\text{g}\text{æ}\text{l}\text{æ}\text{w}$ 'ჩოჩორი, ვირთხა'. მიუხედავად ამისა, გ. ახვლედიანი ვირ-თაგვაში ვირს აიგივებს ოსურ $\text{wyr}\text{-}$ სთან.

27. ვს- (ვს-ებ-ა, სა-ვს-ე, გა-ვს-ილ-ი და სხვა). ჭანურ-მეგრული ო-ფშ-ა, ე-ფშ-ა 'სავსე, ბევრი'. შეადარეთ, აგრეთვე, კუთხ. აფსება, საფსე.

უკავშირდება ოსურ სიტყვას $\text{æ}\text{f}\text{s}\text{i}\text{s}|\text{æ}\text{f}\text{s}\text{e}\text{s}$ 'გაძლომა, გავსება'; ზმნა $\text{f}\text{s}\text{æ}\text{d}\text{y}\text{n}|\text{æ}\text{f}\text{s}\text{æ}\text{d}\text{u}\text{n}$ 'გაძლომა, გავსება'. ვ. აბაევს გამოჰყავს * sfad < spad (ძვ. ირ. spay- : spata) ფორმიდან მნიშვნელობით 'გავ-

¹ Г. А х л е д н а н ц, Сборник избранных работ, გვ. 206; В. А б а е в' Историко-этимологический словарь, I, გვ. 511.

² В. А б а о в, Историко-этимологический словарь, I, გვ. 107, 204.

სება, გაძლომა', ძვ. ინდ. sphay- : sphata, სლავ. сѣсти, რუს. снеть. შდრ. საკ. spai- : spata და სხვა ¹.

28. ზა- | ზავ- — 'მოგება, შობა' (პირუტყვის მიერ).

იზვება — 'ხვასტაგნი შობენ' (საბა).

უზვი — ბერწი და მეეზვი — მშობელი.

უფრო გაერტყელებულია ნეზვი, რომელსაც საბა განმარტავს როგორც „თხანი დედალნი“, თუმცა სხვა დედალ საქონელზედაც ითქმის; თხის განმარტებისას საბა აღნიშნავს: „მამალსა ვაცი ეწოდების და დედალსა ნეზვი და შვილთა მათთა თიკანი“. „...აგრეთვე შველთა და ქურციკთა, ნიამორთა და არჩუთა ვაცსა, ნეზვსა და წალსა უწოდენ, არამედ თიკანთა მათთა ნუკრსა“ (საბა).

„უკეთუ შესაწირავი ცხორებისაჲ იყოს მსხუერპლი იგი მისი ღმრთისა, ანუ თუ ზროხათაგან შესწირვიდეს იგი, გინა თუ ვერძსა გინა თუ ნეზუსა, უბიწოჲ მოიბან იგი წინაშე ღმრთისა“ (ლევ. ვიტ. 3₁).

„უკუეთუ ცხოვართაგან იყოს მსხუერპლი იგი მისი ღმრთისა საცხორებლად მისა, ვერძი გინა თუ ნეზჲ, უბიწოჲ მოიბას იგი“ (ლევ. ვიტ. 3₆).

„და განარჩია მას დღესა შინა ვაცები კრელები და სპეტაკი და ყოველი თხაჲ ნეზჲ კრელი და სპეტაკი“ (დაბ. 30₃₅).

ძირს ზა-, რომელსაც სვანურშიაც ვხვდებით lizal 'გაჩენა',² ჩვენ ვუკავშირებთ ოსურ ზმნას zajyn | izajun - 'тѣлѣтсѣ, хотѣтсѣ' (შობა, მოგება). zajyn afon 'საქონლის მოგების დრო', zajag 'ნაყოფიერი, მეეზვი'.³ მას საფუძვლად უდევს ძვ. ირ. *zan- | zay- 'ჩასახვა, გაჩენა, შობა', zāta, zanta 'შობილი'. ძვ. ინდ. jāyate, ახ. სპ. zāyad 'შობს', zāda 'შვილი', საშ. სპ. zātan: zay და სხვა⁴.

29. ზრახ- | ძრახ- (ზრახვა, განზრახვა) — 'ლაპარაკი, საუბარი'.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ეს სიტყვა დავუკავშიროთ ოსურ ზმნას ჯურყნ : ჯურძ 'ლაპარაკი, ძახილი, დაძახება', ჯურაგ 'მოლაპარაკე, ორატორი', ჯურძ 'სიტყვა, ბრძანება', რომლის წარმომავლობა გაურკვეველად ითვლება⁵.

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 480 — 481.

² სვანური za- პირველად აბაევმა დაუკავშირა ოსურს, იხ. ОЯФ, გვ. 23.

³ А. Касаев, Осетинско-русский словарь, Москва, 1952, გვ. 175.

⁴ Chr. Bartholomae. AirWb, გვ. 1657 — 58.

⁵ Историко-этимологический словарь, I.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოსურ ზმნას *zurun : zurd* საფუძვლად უდევს ძირი *zūr-*, რომელიც წარმოდგენილია შიელ რიგ ირანულ ენებში მნიშვნელობით 'სიცრუე, ტყუილი'. შდრ. ავ. *zūrah*, სკრ. *hvaras*, ძვ. სა. *zūr-[kara]* (მიდიურიდან ნასესხებად ითვლება), მანიქ. ფალ. *zūr* 'სიცრუე', *zūrva* 'ცრუ', ახ. სპ. *zūr*, სომხ. *zur* და სხვა. ქართულში ეს სიტყვა წარმოდგენილია *ძკრის* სახით 'ავი, ბოროტი', საიდანაც ნაწარმოებია ზედსართავი *ცრუ*, (< *ძრუ* < *ძურ-უ*) 'მატყუარა'. შდრ. *ყრუ* (< *ყური*)¹. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირანული *zūr-* ფუძის პირვანდელი მნიშვნელობა იყო 'თქმა', რომელიც შემოინახა ოსურ ზმნაში. ცნებები *თქმა* და *სიცრუე* ერთი ძირით არის გადმოცემული მრავალ ენაში, მათ შორის ქართულშიც, სადაც გვაქვს, ერთი მხრივ, *იტყუის* 'ამბობს' და, მეორე მხრივ, *ტყუის* 'ცრუობს'. ასევე უპირისპირდებიან ერთმანეთს *სიტყვა* და *ტყუილი*. რაც შეეხება ქართულ ფუძეს *zrax*, იგი წარმოადგენს შეკუმშულ ირანულ ფუძეს *zūrak > zūrah*. შდრ. ოს. *zuræg* — ნაზმნარი სახელი, შდრ. ქართ. *გლახ* 'ვაი' (შორისდებული) საშ. სპ. სიტყვიდან *gilah* 'ტირილი, ვაება'. ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოა განმარტება ქალის საკუთარი სახელისა *Βεραξείσρα* (IV საუკუნის წარწერა მცხეთიდან), როგორც 'მრავალმეტყველი'. *Βεραξείσρα* (ოს. *bevɨæ* + ფუძე *zur-* 'ლაპარაკი'), ეს სახელი, აბაევის თქმით, შეიძლება გამოდგეს *terminum ante quem*-ად სიტყვა *zurun*-ის ოსურში არსებობისათვის².

30. *თარ-, თერ-* (თრევა; დიალექტ. *თარვა, სათარი*) — 'თივის სათრევი' (კუთხ. მოხეგ.), „მიწაზე მოაქუნდეს დებით“ (საბა).

უკავშირდება ოსურ ზმნას *tæryn | tærun* 'გარეკვა, გაგდება', ძვ. ირ. **tar-*, ძვ. ინდ. *tar-*, ინდ. ევრ. **ter-*³.

ქართული ფორმა *თარ-, თერ-* სემანტიკურადაც და ფონეტიკური იერიითაც აშკარად ოსურს უახლოვდება, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ ირანული ფუძის სხვა (სამხ. დასავლურ) ფორმასთან *tar-* შეპირისპირებისას, რომელიც დაცულია ქართულ ზმნაში *ტარება* (მკვეთრი ტ-თი თავკიდურში). გ. კლიმოვი საერთო

¹ მ. ანდრონიკაშვილი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 391.

² В. Абаев, ОЯФ, გვ. 159.

³ Г. Ахведпани, Сборник избранных работ, გვ. 208.

ქართველურისათვის აღადგენს ფორმას *tr- თრ-|თერ-, მეგრ. (5)თერ-, (5)თირ-, კან. თირ-, თორ-, თურ-ისა და ძვ. ქართ. 'სათრო-მელის' შეპირისპირების საფუძველზე¹.

31. თეძამი — 'მდინარის სახელი ქართლში' (თეძმის ხეობა).

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა მომდინარეობს სიტყვიდან tæzyu | tæzyu² 'დენა, დინება', ძვ. ირ. *tač- 'დენა,' რუს. течь; ქართ. თეძამი ზოდის ალბათ ფორმიდან თეძან < ოს. tæžæn 'მდინარე', ძვ. ინდ. takti, ავ. tači-ap 'მიმდინარე წყალი', tačina 'მსრბოლი', ახ. სპ. tázad 'რბის', ძვ. სლავ. tečeti 'დის', საშ. სპ. tačitan³. 'მდინარე, წყალი', მდინარის საკუთარ სახელად ხშირად იხმარება სხვადასხვა ენაში. შეადარეთ დონი, დნეპრი და სხვა.

32. თივა — 'მოთიბული ჯმელი ბალახი' (საბა).

„ანუ ფურცლისა, ქარისაგან აღძრულისა, გეშინოდის-მე?“ ანუ თივაჲ, რომელი მოაქუნ ნიავექარსა, წინა-აღმიდგები მე? (იობ. 13₂₅). „და წმიდა იყოს იგი და შეწუას, და შეშჳამდეს იგი ვითარცა თივასა ტყესა“ (ესაიაჲსი, 10₁₇).

ოს. ირ. დიგ. тап 'молодая поросль травы, отава', დიგორ. тај-uaგ⁴, тап 'побег, росток, поросль'⁵.

33. კაპოტი — 'თევზის სახე'.

ჩვენ ვფიქრობთ, ამ სიტყვისათვის ამოსავალია *kap- კაპ-, ოს. kæf 'თევზი' (მსხვილი). ვ. აბაევის აზრით, kap წარმოადგენს საერთო აღმოსავლურ-ირანულ სიტყვას და ერთ-ერთი დამახასიათებელი ლექსიკური იზოგლოსაა, რომელიც ამ ჯგუფს უპირისპირებს დასავლეთ ირანულ ენებს, სადაც თევზის სახელწოდება არის masya- შდრ. პამირ. იშკაშ. kap 'თევზი', პამირ. მუნჯ. kəp) პამირ. ვაჰან. kūr, ავღ. kab, სოლდ. *kapa, იგი გვხვდება სახელწოდებაში Pantikapa (παντικαπη), რაც ნიშნავს 'თევზის გზას' (panti 'გზა' + kapa 'თევზი')⁶. კაპ-ი — კაპო-ედ-ი. შდრ. კავოედი — კავიდან.

34. კელთბს, კელთბა, მ-კელ-ობ-ელ-ი (შეიძლება კლება, ნა-კლ-ი).

„მკუდარნი აღადგინნა, ბრმათა თუალნი აუხილნა. მკელთბელთა და განრლუელთა სიმტკიცე მიჰმადლა...“ (სინ. მრ. 50₁₁).

¹ Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков.

² ОЯФ, გვ. 24; А. Касаев, Осетинско-русский словарь, გვ. 324.

³ AirWb, გვ. 624, 625, 628, 629.

⁴ ОЯФ, გვ. 477.

⁵ Осетинско-русский словарь, გვ. 323.

⁶ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 477.

ჩვენი ფიქრით, ქართ. კელ- ფუძე კავშირშია ოსურ *koyl-koyr*-თან, რომლებიც მთელ რიგ სიტყვებში მიუთითებენ ფიზიკურ ნაკლზე, მაგალითად: *koylyx* 'კოქლი', *koyrn* 'ბრმა', *caenkoyl* 'უხელო' (*cong* 'ხელი + *koyl*), *koyr æfcaeg* 'კისერმოკლე', *koyllaw* 'თიაქართ ავადმყოფი' და სხვა. ვ. აბავეი აღნიშნულ ოსურ ელემენტს უკავშირებს რუსულ *kur-, kar-*ს ისეთ გამოთქმებში, როგორიც არის *курносый, корноухий, карзубый, кургузый* და სხვა¹. ეს სიტყვა ოსურიდან შემოვიდა ქართულში თუ პირიქით ძნელი სათქმელია, ქართულში იგი უძველეს ძეგლებში გვაქვს. ოსურის დათარიღება ძნელია, რამდენადაც არ არის წერილობითი ტრადიცია. გ. მაქავარიანი უკავშირებს მეგრულ *kor-*სა და ქანურ *kor-*ს 'საქიროება, სურვილი'. საერთო ქართველურისათვის გ. კლიმოვი აღადგენს ფორმას **ka-*².

შპ. კერბ-|კრებ- — "შეგროვება, შეყრა".

„მოუწოდა იაკობ ძეთა თჳსთა და ჰრქუა: შემომიკერბით და გითხრა თქუენ... უკუანაჲსკნელთა დღეთა“ (დაბ. 49).

„მოკერბით და ისმინეთ ძეთა იაკობისა ისრალ მამისა თქუენისა“ (დაბ. 49).

კრება ერთგვარად გავრცელებულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში, ამიტომ კონტექსტებს აღარ მოვიტანთ. იგი გვხვდება აგრეთვე ფორმით კრბა (კრბის, შეკრბა). ამავე ფუძის ფონეტიკური ვარიანტია უფრო მოგვიანო კრეფა-ც („ხილის მოწილვა, გინა ყვავილთ მოწყუღდა“ — საბა). ჩვენი ფიქრით, აღნიშნული ფუძეები შეიძლება დაუკავშირდეს ოსურ სიტყვას *karaf* 'ხარბი, ანგარი, ე. ი. შემკრებელი' (ვარიანტი *xarɨaf*). ვ. აბავეი ამ ოსურ სიტყვას უკავშირებს ავესტურ ფორმებს *karap-an* „ზორთასტრიზმის მოწინააღმდეგე ქურუმთა სახელი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო დამამცირებელი ეპითეტი (ხარბი, ანგარების მოყვარული)“ და *xrafstra* < **k(a)rap-stra-* 'მტაცებელი', 'хищник', 'შღრ. აგრეთვე საშ. ირ. *karaf*, ტაჯიკ. *karapčuk* 'ქურდი', საიდანაც წარმოსდგა რუსული დიალექტ. *карачук* 'ქურდაცაცა, მექრთამე', *карачить, карабчать* 'მექრთამეობა, ქურდობა'. შღრ. პამირ. იშკაშიმ. *крук* 'გლეჯა' (*глотать*). როგორც ჩანს, იგი ძველი ინდოევროპული სიტყვაა: ხეთ. *karāp-* 'კამა, შთანთქმა', *karp-* 'შეკრება',

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I. გვ. 301.

² გ. მაქავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 265 — 276.

ლათ. *carpo* 'ვგლეჯ', სლავ. *črepati* 'ხვრება', რუს. *шерпать*¹ (იქნებ ქართ. ხვრება მოდის ხრეპვა-დან, მაშინ გვექნებოდა კრებ // კრეფ // ხრეპ- პარალელური ფორმები).

ჩვენ ვფიქრობთ, ამავე სიტყვასთან კავშირშია აგრეთვე მეორე ძვ. ირანული (და ინდოევროპული) ძირი *grab-*, ძვ. სპ. და ავ. *grab-* 'აღება, დაპყრობა, შეპყრობა' (ძვ. სპ. *garbaya*), ძვ. ინდ. *agrabham*, *grbha*, საშ. სპ. *grifan*, ახ. სპ. *girifan*². შდრ. რუს. *грабѣть*.

ფუძეები *karap-* და *garb-|grab-*, როგორც ჩანს, ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

36. *კერძო* — 'მხარე, ნახევარი', თანდებული '-კენ', 'წილი, ნაწილი, ხვედრი'.

1) ნახევარი:

„და ქვენ კიდობანი წამებისაჲ ძელთაგან უღბოლველთა ორ წყრთა და კერძო (სიგრძს მისი, წყრთა და კერძო) სიგრძს მისი და წყრთა და კერძო სიმაღლს მისი“ (გამოსვლ. 25₉).

2) მხარე:

„და უქმნნე მას ოთხნი გრკალნი ოქროხსანი და განაცუნე იგინი ოთხთავე კიდეთა მისთა: ორნი იგი გრკალნი ერთ კერძო და ორნი იგი გრკალნი ერთ კერძო მეორესა მას კიდესა“ (გამოსვლ. 25₁₁).

3) *კენ*, მიმართულებით:

„და განუპყრნე ორთავე ფრთენი ზედა-კერძო და ჰფარვიდნენ ფრთითა სალხინებელსა მას და პირნი მათნი ურთიერთას მიექცინენ სალხინებლად კერძო“ (გამოსვლ. 25₁₉).

ჩვენ ვფიქრობთ, ქართული სიტყვისათვის *კერძო* ამოსავალია 'ცნება კრისა, კვეთისა', რომელიც წარმოდგენილია ოსურ ზმნაში: *kærdyn* : *karst|kærdun* : *karst* 'კრა, კვეთა, ხევა, კუწვა' და სხვა, ძვ. ირ. *kart-*, ი. ე. **k_oert-* (**(s)k_oer-* 'კრა' + *t* დეტერმინანტი), ავ. *karət-* : *kərəsta* 'კრა', ძვ. ინდ. *krt-* (*krntati*), ავლ. *škaštəl* : *skan* (< *uz-krnt* 'მოკრა') და სხვა.

ოსურში ეს ფუძე გვაქვს სიტყვებში *igærdun* (**vi-kart*) 'გაპობა, გახეთქა', *ævgærdyn|ævgærdun* (**abi-kart-*) 'დაკვლა', *lægærdyn* (**fra-kart-*) 'გარღვევა, გადაქრა' (*упробиваться через что-либо*), *kard* 'დანა', *kærdix* 'ნაჭერი', *kærdæg* 'ბალახი' და სხვა³.

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, стр. 581 — 582.

² AirWb. стр. 526 — 529.

³ Историко-этимологический словарь, I, стр. 584.

ქართული კერძ- ფუძისათვის ამოსავალია ალბათ ფორმა *kærd* 'ნაჭერი, ნაკვები', 'ნახევარი, მხარე'. შეადარეთ სემანტიკისათვის სიტყვები, ნაწარმოები კუეთ-, კუთ- ფუძიდან: ნაკვეთი, კუთვნილი. საკუთარი და სხვა. ახალ ქართულში სიტყვამ კერძო მიიღო მნიშვნელობები: 'საკუთარის, წილის, ხვედრის'; კერძის 'საჭმელი' და სხვა.

კერძ. > კერძ- შეიძლება გამოიწვიოს სიტყვა მკერდ-თან ომონიმურმა სუპერაციამ, თუმცა თვით ოსურში ირ. **karti*-ს შეედლო მოეცა ფორმა *kærc*. შდრ. *aršti* > *arc* და სხვა.

37. კნინი — 'მცირე'.

„უფალი ჩუენი დიდი კნინად წინაშე მსაჯულთასა განიკითხვოდა, და მოწამენი ნეტარნი ვითარცა შეცოდებულნი წინაშე ბქეთა განიკითხვოდეს“ (სინ. მრ. 256₁₀).

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ეს სიტყვა დავუკავშიროთ ოსურ სიტყვას *k_oynæg | kunæg* 'მცირე, მცირე რაოდენობით', *скудный, скудевший*, ძვ. ირ. **kaṽna-ka*, სოლდ. **kaṽn-* (*kṽny- kaṽny* 'ცოტ-ცოტა, თანდათან') **kaṽnak*, სოლდ. ქრისტ. *qbaq*, ავლ. *kōnkai*¹, სპარს. *kan*, ავ. *kanna* 'მცირე, ცოტა', ძვ. სპ. *kanna* 'მცირე', სუპერლატივი *kambištəm* 'უმცირესი'².

ქართული ფორმა კნინ, ჩვენ ვფიქრობთ, მიღებულია **kun-in* ფორმიდან *kunin* > კნინ (*kun* — ოსური ფორმა *kanna*-სი + სუფიქსი *-in* < *-iua*).

არის აგრეთვე მეორე სიტყვა ოსურში 'მცირეს, პატარას' აღსანიშნავად: *k'annæg* 'პატარა, ბავშვი' < ძვ. ირ. **kanya-ka* 'ახალგაზრდა, პატარა'; სხვა ირანულ ენებში უმთავრესად 'გოგონას' მნიშვნელობით იხმარება; სპ. *kaniz*, დიალექტ. *kine*, ფალ. *kaučak*, სოლდ. *qñčk* 'ბავშვი', *knčyk* 'გოგონა', საქ. *kanaiska* 'ნეკი', პართ. *kanig*, ავ. *kainyā* და სხვა.

38. კმა — 'საყოფი, საკმარისი, სასურველი რაოდენობით', კმაყოფილი 'სასურველის მიმღები'.

„მინდა დუმილი და კმა-ყოფად ქებაჲ ესე წმიდისათჳს ქალწულისა მარიამისა, არამედ რაჲამს მოვიგსენი შე ნაყოფი მუცლისა მისისაჲ, არა მიტევის მე კმა-ყოფად“ (სინ. მრ. 201₃₀).

„რამეთუ კმა არს მოწფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მონა ვითარცა უფალი თჳსი“ (მათე, 10₂₃).

„ერთი აიღო ბექელი, მართ აწონილი ღრამითა:

„ესე კმა ნიშნად, საესე ვარ სხვად ხელის შესაბამითა“
(ვ. ტყ. 385₄).

¹ В. А баев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 606. 607, 618.

² AirWb; გვ. 440.

„ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია! შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაგიჩენია“

(ვ. ტყ. 742₂).

„თქვენვე განახნე მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად; მას რა ვარგო, ესე ჩემთვის დიდებად და კმარის დავლად“

(ვ. ტყ. 796₄).

ამ სიტყვას ჩვენ ვუკავშირებთ ოსურ ზმნას *komyn komyd | komun: kund* 'поддаваться, соглашаться' 'დათანხმება, დაკმაყოფილება', რომელიც ეყრდნობა ძველ ირანულ ძირს **kama-* 'სურვილი', პამირ. ვახ. *kami* 'დათანხმება', *kami* 'სურვილი', ძალნობ. *kam* 'ცოლის შერთვა', სოლდ. *kām* 'სიყვარული', ოს. *kom* გამოთქმაში *kom dæd-dyn* 'დათანხმება'¹, ავ. და ძვ. სპ. *kāma* 'სურვილი', ძვ. ინდ. *kāma, id, სპ. kām* 'სურვილი', ფალ. *kāmak*² 'სურვილი', სომხ. *կամ-ք* 'სურვილი, ნება', *կամակ* 'სასურველი, სასიამოვნო, თანხმობა, კეთილგანწყობილება'³, *կამակან* 'თავისნებით', სოლდ. *kām* 'სურვილი, სიყვარული'.

კმა < კამა ან კომა = ოს. *kom* 'სასურველი'.

კმა არს 'საყოფი, სასურველი არის', კმა ყოფა 'სასურველის მიღება ან მიცემა', კმაყოფილი 'ვინც სამყოფი, სასურველი მიიღო'.

ჰჟ. კრძალ-ვა — 'სიფრთხილე, მორიდება, რიდი, შიში, ფარვა, მალვა, მარხვა' და სხვა.

„ჰრქუა მას აბრაჰამ: ეკრძაღე თავსა შენსა, ნუ მიაქცევ ძესა ჩემსა მუნ“ (დაბ. 24₆).

„და ჰრქუა მას: ეკრძაღე დადუმებად და ნუ გეშინინ და ნუცა სული შენი მოუძღურდებინ ორთა მათგან შეშათა მუგუზთა მკუმოღვარეთა...“ (ესაიახსი, 7₄).

„და ვითარცა-იგი ვის სამოსელი რაჲ ბრწყინვალჲ ჰმოსიენ და ეკრძაღებინ, რაჲთა ნუუკუე შეგინებაჲ რაჲმე, გინა მწინკულევანებაჲ ვინაჲვე შეეხოს მას...“ (სინ. მრ. 9₁₅).

„შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დავვა, შორით
ალვა,
დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში,
კრძალვა“ (ვ. ტყ. 27₄).

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 599 — 601.

² AirWb, გვ. 463.

³ А. Худашов, Армяно-русский словарь, I, გვ. 555.

„თუცა ამართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა,
მაგრამ მეტი უარეა არა-თქმა და ჳირთა მალვა“

(ვ.ტყ. 412₁).

„კვლა უთხრა: „დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალეზის;
ესეცა იცი სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალები ს“

(ვ.ტყ. 249₄).

ჩვენი ფიქრით, სიტყვა კრძალვა-ს ფუძეს წარმოადგენს კარძ-|კრძ-, რომელიც შეიძლება დაფუკავშიროთ ოსურ სიტყვას karz-: 1. 'მაგარი, ცხარე, ძლიერი' (სასმელი, წამალი). 2. 'შკაცრი, სასტიკი, გაშმაგებული' და სხვა, რომლის უძველესი ფორმა შემონახულია შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ბერძნული წარწერების სკვითურ სახელებში Κάρσις, Κάρჯεις და Καρζόαჯი (=Karsavāč 'სიტყვამკაცი')¹. აღნიშნულ ოსურ სიტყვას და სკვითური სახელების ფუძეს karz- უკავშირებენ ავესტურ kərəsa-ს: 1. 'ავაზაკი, მაწანწალა', 2. 'გამხდარი, მკლე'². ვ. აბაევს თავისი ოსური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მოჰყავს ოს. karz-ის სემანტიკური პარალელები: ძვ. ინდ. katu 'მჭრელი, ცხარე', ლიტ. kartus 'მწარე', ძვ. სლავ. братъ, ლათ. curtus 'მოკლე', ირლ. cert 'პატარა'. ამოსავლად შეიძლება, მისი აზრით, ვიგულოთ *kar-s *kar-t გავრცობილი ფორმა ძირისა *kar- (ი. ე. k_{er}-) 'ჭრა'. 'ჭრის' ცნებიდან, ერთი მხრივ გამომდინარეობს ცნებები 'მჭრელი, ცხარე, მწარე, მაგარი, სასტიკი' (ოს. karz, ლიტ. kartus და სხვა), მეორე მხრივ 'მოკლე, მოკლებული, შემციირებული, დაღეული, გამხდარი' (ავ. kərəsa, ლათ. curtus)³. ქართ. კრძალვა დაკავშირებულია მნიშვნელობასთან ოს. karz-ისა 'სასტიკი მკაცი, მაგარი, ძლიერი', ე. ი. 'საშიში, მოსარიდებელი, საფრთხილო'. რომ karz-ის ზემოაღნიშნული მნიშვნელობებიდან შესაძლებელია განვითარებულიყო მნიშვნელობა 'შიშისა, რიდისა', მოწმობს ოსური ზმნა kærzyn 'содрогаться'⁴ 'შიში, კანკალი, გაერეოლება'. შდრ. მკაცი.

40. ლაგვარდანი — (კუთხ. იმერ.) 'ღრმად ამომღები შალა-შინი'.

ოს. lægærdyn — 1. 'прорезать, разрезать', 2. 'გარღვევა,

¹ ОЯФ, გვ. 170 — 172.

² AirWb, გვ. 469.

³ В. Абаев, Историко-этимологический словарь, 1, გვ. 573.

⁴ Осетинско-русский словарь, გვ. 225.

გაქრა', 3. 'прорывать' მომდინარეობს *fra.kart-იდან. შდრ. ზმნა kærdyn : karst 'ქრა', kard 'დანა' და სხვა¹.

41. ლაპი — „გოჭობთა, კაკაბთა, როჭოთა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლთა, ასკატთა და მისთანათა მართვენი“ (საბა).

ოს. læppu 'ბიჭი, ყმაწვილი', ოს. læppu-læg 'კაცი 25 — 35 წლისა', ოს. læppun — 1. 'მართვე, ბარტყი', c'iwu læppunte 'ბარტყები', 2. 'ახალგაზრდა, ნორჩი', læppun fus 'молодая, молодой скот', læppunqæd 'ახალგაზრდა ტყე'². შეადარეთ აგრეთვე ქართ. ღ - ლ ა პ ი (დამამცირებელი) 'პატარა ბავშვი'.

42. ლეზვი — „თხელი დორბლი“ (საბა).

ოს. livzæ 'ლორწოვანი, ქუჭყიანი'. შეადარეთ აგრეთვე lixs-un | lixst 'ფურთხება', listak 'ფურთხი'³.

43. ლოყა — 'ლაწვი'.

ეს სიტყვა ირანული წარმოშობისა ჩანს, ახლოა როგორც ოსურთან, ისე სპარსულთან, შეადარეთ: ოს. i-rux 'სახე, პირისახე', ირან. *ruka, rauka 'სინათლე, ნათელი'. შდრ. ძვ. ინდ. roka, roka 'სინათლე', 'გაშლილი სივრცე' (შდრ. ავ. žiura 'ნათელი, ღია, სახე'), სპ. rux 'სახე, ლოყა'⁴.

44. ლუდი — „ქერის თაფლუჭი“ (საბა).

ღიალექტებში რაჭულსა და თუშურში გვხვდება ეს სიტყვა ალუდის სახით. აბაევს იგი მიაჩნია ოსურიდან მომდინარედ. შდრ. ოს. ælūton, ძვ. ოს. aluþ. შდრ. სკვითური საკუთარი სახელი *Δλιούμᾶγος და ხევსურული ალუდა.

ვაეასთან გვხვდება სახელი ალუდაც (ალუდა ქეთელაური) და ლუდიც.

„საფეხნოს ისხდეს ხევსურნი. ლუდი ეღულა წიქასა“
(ვაეა-ფშავ.).

„შავს ლუდსა, წითელს ღვინოსა განა სულ ყველას
სმა უნდა“ (ხალხ.).

ვ. აბაევმა სიტყვა ælūton-ის წარმომავლობასა და მნიშვნელობას სპეციალური სტატია მიუძღვნა, სადაც ამ სიტყვას უკავშირებს ჩრდილოევროპულ ფორმებს. ამოსავალია ჩრდილოევრ. *alud. შდრ. ძვ. გერმ. alut, ლიტ. alūs, ანგლ. საქს. ealu, ealuþ, ინგლ. ale,

¹ А. К а с а е в, Осетинско-русский словарь, 33. 218; В. А б а е в, Историко-этимологический словарь. I, 33. 584.

² Осетинско-русский словарь, 33. 219, 220.

³ В. А б а е в, ОЯФ, 33. 457.

⁴ მ ი ს ი ვ ე, Историко-этимологический словарь, I, 33. 549.

ფინ. *olut*, ძვ. სლავ. *olu*, სკვით. **aluθ* (<გუთურიდან), ალან. *alut*, ოს. *æluton*. ალანურიდან მოდის ქართული *ალუდი*, *ლუდი* და *საკ. სახ. ალუდა*.

„ალანებმა თავისი ისტორიის განთიადზე, გაიცნეს რა *ლუდი* გერმანელი, ფინელი და სლავი ტომების მეზობლობაში, გაავრცელეს ეს კულტურა კავკასიაშიც (ან ხელი შეუწყეს მის გავრცელებას)“¹.

45. *მესტები* — ‘ტყავის უძირო ფეხსაცმელი დაბალი ყელით’.

ოს. *maes* ‘ჩუსტები, ტყავის ფეხსამოსი’, მრ. რიცხვის ფორმა *maestæ* დაედო საფუძვლად ქართულ *მესტებს* (<*maestæ*)².

46. *მეხი* — ‘ელვა’.

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა მომდინარეობს ოსური სიტყვიდან *miğ|meğ*³, ძვ. ირ. *maigha*, ძვ. ინდ. *mēgha* ‘ღრუბელი’, ავ. *maēya* ‘ღრუბელი’, ახ. სპ. *mēy*⁴, ოს. *meγ* > *მეხ*-ი (ჭ > x სიტყვის ბოლოს).

47. *მითელი* — „საპირესა და სარჩულს საშუალი სხვა კიდევ“ (საბა); ‘შიგნითა პირი (ბალიშისა)’.

სიტყვა *მით-ელ-ში ელ-* ფუძის საწარმოებელი სუფიქსია, ხოლო ფუძე *მით-*, ჩვენი ფიქრით, მომდინარეობს ალანურ-ოსურიდან, შდრ. ოს. *mid* ‘შიგნით, შიდა’, რომელიც თანამედროვე ოსურში გვევლინება კომპოზიტის პირველ წევრად, მაგალითად, *mid-zardæjy* ‘გულში, სულში’. ოს. *midqawγ* ‘სოფელში’ (სოფლის შუაგულში), *midbæston xæst* ‘შინა ომი, სამოქალაქო ომი’. შდრ. *midæg* — ზმნისართი ‘შიგნით, შინა’ *midægqag* ‘შიგნითა, შინაგანი, შიდა (საცვალი), სარჩული’ და *სხვა*⁵, ‘შინაარსი’, ძვ. ირ. *maēθ* ‘შიგნით, შინ’, *maēθana* ‘საცხოვრებელი სახლი’ (შინა)⁶.

48. *მკაცრი* — ‘სასტიკი, მომთხონი’.

ქართული სიტყვა *მკაცრი* ვ. აბაევმა დაუკავშირა ოსურ ფორმას *karz* ‘მაგარი, ცხარე, სასტიკი’⁷, ავ. *kəraša* ‘ავი, გამხდარი’. მისი აზრით, ჯერ მივიღეთ *karz* > *karz*, ხოლო შემდეგ მეტათეზით *rz* > *er* ‘მკაცრი’. ვ. ახვლედიანს ვ. აბაევის აღნიშნული ეტიმოლოგია დამარწმუნებლად არ ეჩვენება: იგი ფიქრობს, რომ

¹ В. А б и о в, Значение и происхождение слова *æluton*, ОЯФ, 33, 338 — 347.

² Г. А х в л е д н а я н, Сборник избранных работ, 33, 207.

³ ОЯФ, 33, 19.

⁴ AirWb, 33, 1105.

⁵ Осетинско-русский словарь, 33, 263 — 64.

⁶ AirWb, 33, 1106.

⁷ О некоторых осетинских элементах в грузинском, 33, 439.

სიტყვა მ-კაც-რი შესაძლებელია ნაწარმოები იყოს ქართული ფუძი-
დან კაც-, მ- პრეფიქსითა და რ- სუფიქსალური ელემენტით და მისი
პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო 'კაცური, ადამიანური'
(წარმოება ანალოგიური სიტყვისა მ-დედ-რი)¹.

ჩვენი ფიქრით, ოს. karz, რომელიც ქართულში კანონზომიე-
რად მოგვცემდა ფორმას კარძ-, შეკუმშული სახით წარმოდგენილია
სიტყვაში კრძ-ალ-ვა, ხოლო მკაცრი მიღებულია ფორ-
მიდან მ-კარძ-რ-ი > მ-კაძ-რი > მ-კაცრი (რ-ს დისიმილა-
ციური დაკარგვა) > მკაცრი (ძრ-ცრ-სათვის შეადარეთ ცრუ <
ძურუ-დან). შდრ. კრძალ.

49. მონა — „ნასყიდი ვაჟი“ (საბა).

„და შეიყვანეს სარა სახლსა ფარაოჲსსა და იყო მისი ცხოვარი
და ზროხაჲ და ვირი და მონაჲ და მკევალი და ჯორი და აქლემი“
(დაბ. 12₁₆).

„და წარიბა მონამან მან ათი აქლემი აქლემთაგან უფლისა
თვისსათა და ყოველთაგან კეთილთა უფლისა თვისსათა და აღდ-
გა და განვიდა...“ (დაბ. 24₁₀).

„რამეთუ იყო იგი მეფეჲ ჰურიათაჲ და ჰმონა გულის-თქუმათა“
(სინ. მრ. 206₂₄).

„ამიერითგან ქრისტეს მიმართ მონად დასწერს ბავლე თავსა
თვსსა“ (სინ. მრ. 230₂₁).

„კმა არს მოწაფისა მის, უკვე თუ იყოს, ვითარცა მოძღუარი
თვისი, და მონაჲ იგი, ვითარცა უფალი თვისი“ (მათე, 10₂₅).

„უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდი-
თა“ (ვ.ტყ. 74₁).

„შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი,
მოახსენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“

(ვ.ტყ. 120₂).

„ესე მეთვისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰქადრა მონამან“

(ვ.ტყ. 89₂).

საბას განმარტება მონისა 'ნასყიდი ვაჟი' და ძველი ქართულის
ფრდილი ან ვეცხლით ფრდილი მრავალ ენაში არის გამო-
ყენებული მონის ცნების გამოსახატავად, რადგან ძირითადი წყარო
მონათა შეძენისა იყო ტყვედ წამოყვანა და ყიდვა. ოსურში, მაგა-
ლითად, მონისათვის იხმარება სიტყვა wacajrag 'მონა, ტყვე',
სიტყვასიტყვით 'ნავაჭრი, მოვაჭრებული', საშ. სპარსული სიტყ-

¹ Г. А х в л е д н и н и. Сборник избранных работ, 83. 139.

ვიდან *vāčār*, რომლისაგან მომდინარეობს აგრეთვე ქართ. ვაჭა-
 რი. მრავალ ენაში მონას საფუძვლად უდევს ცნება 'კაცი, ვაჩის,
 ადამიანის', მაგალითად, ოს. *laeg* 'კაცი', ავარ. *laghe* 'გლეხი',
 აფხაზ. *lagaz'v* 'მოხუცი, ბერიკაცი'¹. შეადარეთ ქართ. ბიჭი,
 ფრანგ. *garson* 'მსახური'. შდრ. ქართ. ყმა-(წული) და ყმა
 (უმცროსი) ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ყმა (გლეხი).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე
 მონის შემთხვევაშიც. ეს სიტყვა, ჩვენი ფიქრით, წარმომდგარია
 ფორმიდან **man*, რომელიც ალანურში უნდა გვექონოდა ძვ. ირა-
 ნული *manu*-ს შესაბამისად 'კაცი, ადამიანი'. ამას მოწმობს ოსურ-
 ში — დიგორულში — დაცული ფორმა *mojux* 'ქმარი'².

უძველესი სახით სკვითურ-ალანურ-ოსურისათვის ეს სიტყვა
 დაცულია მთელ რიგ სკვითურ სახელებში (შავი ზღვის ჩრდილო
 სანაპიროს ბერძ. წარწერებიდან) ფორმით *man* (*manu*). შდრ. ავ.
manu, ძვ. ინდ. *manu* 'კაცი, ადამიანი', გუთ. *manna* 'კაცი', რუს.
 'муж' (**mangya*-დან). ოსური დიგ. *mojux*-ც (ირ. *moj*) მოდის
 ფორმიდან *man* (*an* > *on* დამახასიათებელი გადასვლაა ოსური-
 სათვის. შდრ. ძვ. ოს. *dān* > ოს. *don* 'წყალი', *andān* > *ændon*,
zarant > *zæronđ* და სხვა).

აღნიშნული ფონეტიკური თავისებურება სიტყვისა მონა გვა-
 ფიქრებინებს, რომ იგი შეთვისებულია ქართულში ჩრდილო-ირა-
 ნულიდან (სკვითურ ალანურიდან) და არა ძველი სპარსულიდან,
 როგორც ამას გ. მელიქიშვილი ვარაუდობს. მიუხედავად სემანტი-
 კური სიახლოვისა ძველ სპარსულ სიტყვასთან *maniya* 'მსახუ-
 რი' < *nmana* 'სახლი'³, არც ძველ სპარსულში, არც საშ. ირა-
 ნულში და არც ამ ენებიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში *an*
 არ გადადის *on*-ად, როგორც ეს ოსურსა და ქართულში გვაქვს.
 სკვითურ სახელებში ჯერ კიდევ *man*-ი გვაქვს. შდრ. *Μάμμαρις*
 (*Μάμμαρις* 'Μυژهубийца'), *Μανίαρις*, *Μανδαρις* და სხვა⁴. სომ-
 ხურში ეს ფუძე დაცულია აგრეთვე საშ. სპარსული ფორმით *manuk*,
مانوك 'ყმაწვილი, ბიჭი'⁵.

50. მ-სტოვ-არ-ი (მსტუარი) — „ესე არს აეშაგი მომხილავი ქუეყა-
 ნისა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგევითართა უცნაურად“ (საბა),
 'შხვერაფი, ჯაშუში'.

¹ ОЯФ, გვ. 90.

² იქვე, გვ. 172.

³ იხ. Г. Меликшвили, К истории древней Грузии, გვ. 438.

⁴ ОЯФ, გვ. 172.

⁵ А. Худашев, Армяно-русский словарь, გვ. 123.

„რამეთუ ესრეთ მრქუა მე უფალმან: წარვედ და დაადგინე თავისა შენისა მსტუარი, და რაჲცა იხილოთ, მითხარით მე“ (ესაიაჲსი, 21₆).

„და მოუწოდე ურიას სამსტოვროსა“ (ესაიაჲსი, 21₈).

„და ჩუენ ვყავთ ეგრეთ და მსტუარი დავადგინეთ კიდესა ზღუსასა, რაჲთა, ოდეს იხილოს ნავი მომავალი, გვთხრას ჩუენ“ (ძვ. ქართ. ენ. ქრ. 212₁₉).

განმსტ(უ)რობა — ‘დაზვერვა, დათვალიერება’

„და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ჳევისასა. რომელ არს უტყჳსა მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა, განიმსტურეს რაჲმე, განიცადეს და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო...“ (ს. ზ. 222₂₂).

ფუძე აღნიშნული სიტყვებისა არის *stov-* სტოვ-//სტუ-. ჩვენი ფიქრით, იგი შესაძლებელია დაუკავშირდეს ოსურ დიგ. ფორმას *a:stafun: a:staf* ‘замечать, примечать, сызять’, ძვ. ირ. *-uz. t. p¹. შდრ. *t. x̄f* ‘ყნოსვა, სუნი’. *a:staf* > სტო-||სტუ- (მ-სტო-ვ-არ-ი, სტუ-ან-ვა).

ნ1. მუჯირა — (კუთხ. რაჭ.) ‘რკინის წვერიანი ჯოხი’. ოს. *myzyra* ‘შუბი, ხიშტი’².

აღსანიშნავია ოს. ირონ. სისინათა ნაცვლად შიშინა აფრიკატები მუჯირა, ჯიკა, ქარჯინა და სხვ.

ნ2. მ-ცონ-არ-ი — ‘ზარმაცი’, „დაზარებული“ (საბა).

მცონარება „არს შიში მომავლისა მოქმედებისა, რომელ არს დაზარება“ (საბა).

„...და ნუმცა გცონის გამოძიებად“ (ბას. კესარ. 30₁₅).

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა კავშირშია ოსურ სიტყვებთან *a:ncoj|a:ncojax* ‘სიმშვიდე, დასვენება’, *a:ncoj* ‘მოუსვენარი’, შდრ. აგრეთვე ზმნა *a:ncajyn: a:ncad|a:ncajyn: a:ncad* ‘გაჩერება, დადგომა’, *a:ncion* ‘ადვილი’.

ქართულს საფუძვლად უდევს უპრევერბო ფორმა *cojnx* (< *con*) ზმნიდან **cajyn*. შდრ. ოს. *caŋ-ax* ‘მშვიდი, ნელი’. ამოსაგალია ძვ. ირ. ფუძე *čya-* ‘დამშვიდება, მოსვენება’³, პრევერბიანი ფორმისათვის *a:ncajyn* კი — **ham-č(y)āna*.

¹ В. Абаев. Историко-этимологический словарь, I, гз. 190: ОЛФ, гз. 442.

² Г. Ахведиани. Сборник избранных работ, гз. 138; შ. ძიძიგური, დიალექტოლოგია, გვ. 236.

³ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, гз. 151—152 და 285.

შეიძლება ამ ფუძიდან არის ნაწარმოები აგრეთვე ქართ. ცდა (იცადა, დაუცადებელი) 'დგომა, გაჩერება, სვენება, ლოდინი' (ე. ი. მოსვენებულ, მშვიდ მდგომარეობაში ყოფნა). შდრ. ოს. *cađ[æg]*, ქართ. ცად < ოს. *cađ*.

ნპ. ნახშობა — 'ლაპარაკი', დანახშება, ენახშება, მონახშება 'მოლაპარაკება', სანახშო 'სასაუბრო' (რაჭ. კუთხური)¹.

ნასესხებია ოსურიდან *nyxas|nixas*² 'საუბარი', 'ადგილი სადაც საუბრობენ და თავს იყრიან სოფლის კაცები'. შდრ. სევსურული ფესონი, საფეხნო, ფეხნობა, ამოსავალი, ალბათ, სწორედ მეორე მნიშვნელობაა. შეადარეთ უბნობა — ნაწარმოები უბანიდან, საუბარი < საუბნარი, ლაპარაკი < ურაკპარაკიდან და სხვა. ოსურიდან ნასესხებია მალყ. *нѣхъ*.

საინტერესოა, რომ აქაც შიშინა ვარიანტი გვაქვს ქართულში — *nyxas* > ნახშობა.

ნ4. ნუსადია — „ბიძას ცოლა“ (საბა), 'ბიცოლა'.

ოს. დიგორ. *nostæ* 'რძალი', *fajnost|fajnostæ* 'მაზლის ცოლი' < **pati-snuša* 'ქმრის რძალი', *pati* 'ქმარი' + *nüst* 'რძალი', ძვ. ინდ. *snuša* 'რძალი', რუს. 'сноха', ჩებ. *snacha* 'რძალი'. ეს სიტყვა აშკარად ირანული წარმოშობისაა და გავრცელებულია ქართველურსა და კავკასიურ ენებშიც, აგრეთვე სომხურში; სადაც ის შესულია, როგორც ჩანს, სკვითურ-ალანური წრიდან. შეადარეთ ავარ. *nus*, არქინ. *nustur*, ჩან. *nuskul*, ჩერქებ. *нѣсе*, თუშ. *нѣс* 'რძალი', მეგრ. **ნოსა* და *ნისა*, კან. *ნუსა*, სომხ. *нѣс* 'რძალი'.

ა. ჩიქობავა თავის „ქანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ამ სიტყვის შესახებ აღნიშნავს: „ქართულში ნუსა არ იხმარება, მაგრამ შემონახულია ნაწარმოებ სახელში ნუსადია, რომელიც საბას განმარტებით „ბიძას ცოლის“ სახელია. სიტყვა არაბულია და აქედან არის, უშუალოდ თუ შუალოდ, შემოსული ჩვენს ენებში.

გვევე სიტყვა დაღესტნის ენებშიაც გამოჩნდება ხოლმე (მაგალითად, ხუნძურში), ალბათ, იმავე პირველწყაროდან — არაბულიდან მოდის. ხოფურში არაბულ ნუსას გამოდევნით ემუქრება თურქული გელინი//გჟელინი, არქაბულში იხმარება გამოთქმა კუტა ნუსა 'პატარძალი'³. აღსანიშნავია აგრეთვე გეოგრაფიული სახელი ნოსტე (გიორგი სააკაძის სამშობლო სოფელი ქართლში).

¹ ОИФ, გვ. 90.

² შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ქრესტომათია, ლექსიკონი.

³ ОИФ, გვ. 92; Историко-этимологический словарь, I, გვ. 417.

⁴ Oldřich Friš, Sanskrtska čitanka, II. Slovník, Praha, 1956, გვ. 337.

⁵ ა. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 39.

რომელიც ფონეტიკურად იდენტურია ოსური სიტყვისა *nostæ* 'რძალი'. შეადარეთ სემანტიკისათვის სოფლის სახელი გარე კახეთში პატარძელი < პატარძელი.

რატომ თვის ა. ჩიქობავა ამ სიტყვას არაბულიდან შემოსუ-
ლად, ძნელი გასაგებია; ალბათ, გულისხმობს არაბულ სიტყვას

نَسْ — *nisā'un* 'ქალები', نَسْ — 'ქალური' (نَسْ), მაგრამ სპეციფიკური მნიშვნელობა რძალისა, რომელიც ყველა აღნიშნულ კავკასიურ სიტყვაში გვაქვს, ისე როგორც ოსურსა და ქართველურში, არაბულ ფორმას არა აქვს.

შენიშვნა: საინტერესოა, ოსური ფორმა *nostæ* ხომ არ არის კავშირში რუსულ სიტყვასთან *невеста* 'პატარძალი', 'ახალწალი' (ხევს.), რომელსაც განმარტავენ ხან როგორც 'ახალმოყვანილს', ხან როგორც 'უცნობს' (*nava-ved* და *na-vid*, შდრ. 'молодыца'. იხ. *Преображенский, Эт. словарь, I, გვ. 529*).

ნწ. ობი, ობ-ობ-ა — „ბაბაჭუა“ (საბა).

ეს სიტყვა, ეტიქრობთ, მომდინარეობს ძველი ირანული ფორმიდან *vāb* 'ქსვა, ქსელი', *vāb* > -ობ-ი 'ქსელი', გაორკეცებული ფორმა ობ-ობ-ა¹. შდრ. სკვით. *wāb* 'ქსოვა', ძვ. ინდ. *vābh-*, გერმ. *weben*, ოს. *wafun*. შეადარეთ *Ababa*, *Hababa* სახელი ალანელი ქალისა (რომის იმპერატორ მაქსიმინის დედისა, იორდანე). ვ. აბაევის აზრით, სახელი მომდინარეობს *huvāba*-დან 'კარგი მქსოველი, ფეიქარი' (შდრ. **Auasa* = ირან. *Hutausa*, *hu > a*)².

ნწ. ორმო — თხრილი, მთხრებლი, ხარო, „მთხრებლი მიწისა“ (საბა).

ოს. *værm*, ფ. ირ. **varman*, ძვ. ინდ. *varman* 'თავშესაფარი, დაფარული ადგილი', უნგრ. *verem*³, ქართ. ორმო-ო (*va > o* ჩვეულებრივია ქართულისათვის).

¹ კ. შმიდტის აზრით, ქართული ბაბაჭუა-ს პირველი კონკონენტი *haba* წარმოადგენს თურქულიდან ნასესხებ სიტყვას 'შაშა', მსგავსად იმისა. როგორც ეს გვაქვს სიტყვაში დედაზარღლი, სადაც პირველი ელემენტი = ქართ. „დედა“-ს ხოლო *zard* ნასესხებია სომხურიდან *sard*. აღნიშნული მოსაზრება, ჩვენი ფიქრით, მოკლებულია დამაჯერებლობას, ბაბაჭუა მიღებული უნდა იყოს *ობობაჭუასაგან. იხ. *Studien zur Rekonstruktion der Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Wiesbaden, 1962, გვ. 94.

შეადარეთ აგრეთვე ძვ. ინდური *urna. vabhi* 'კარგი მქსოველი' (*resp.*) ობობა, იხ. *Albert Debrunner, Das altindische Wort für die Spinne, Corolla Linguistica. Festschrift Ferdinand Sommer, 1955. Wiesbaden, გვ. 20—25.*

² ОЯФ, გვ. 185.

³ В. Абаев, О некоторых осетинских элементах в грузинском, გვ. 438 და შემდეგ: ОЯФ, გვ. 86.

57. **ორტაბახი** — „გრილსა და მხურვალეს საშუალი“ (საბა).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა შეიძლება დაეუკავშიროთ ოსურ სიტყვას *ærttevagæ* 'ელვა', ზმნიდან *ærttīvyn: artyvd|ærttevun: arttīvd* 'ბრწყინვა, ელვარება, ნათება'.

სოლღური *ardēpāk* ('rt'yp'k 'ბრწყინვალეობა') **roxšn ardēpāk* = ოს. *roxs ærttevag* 'მოელვარე სინათლე'.

ამ სიტყვას, ოსურსა და მასთან ერთად სოლღურს, ვ. აბაევი ასეთ ეტიმოლოგიას უკეთებს: სოლღ. **ardēp* ('rd'yp 'ბრწყინვა') მომდინარეობს **āmr-dīp*-იდან 'ცეცხლებრი ბრწყინვალეობა' (ცეცხლ-ბრწყინვალე), ავ. *ātr* 'ცეცხლი', სოლღ. **tr*, ოს. *art + dīp = dēp*. ინდ. *dīp*- 'ელვარება, ვარვარი', პამირ. *dif-* : *dift* 'ანთება, გზება'. ვ. აბაევი არ ეთანხმება პ. რაიხელტს, რომელიც მეორე ნაწილს ამ სიტყვისას აიგივებს ირ. *tap*-თან 'გაცხელება' (ZII, II, 247), და ი. გერშევიჩს, რომელსაც სოლღური 'r'ē'yp-ი გამოჰყავს ფორმიდან **drafaya*¹ ჩვენი ფიქრით, ქართული ფორმა იძლევა საშუალებას მეორე ელემენტი დაუკავშირდეს *tap*-ს 'ცხელება'.

58. **ორძ-** — 'გაზრდა, გადიდება, აღმოცენება'.

„აღგაორძინო შენ ფრიად და დაგადგინო შენ ნათესავად და შეფენი შენგან გამოვიდენ“ (დაბ. 17₆).

„ხოლო ისმაელისთჳს აჰა-ესერა ვისმინე შენი, და ვაკურთხო იგი და აღგაორძინო იგი და განგამრავლო იგი“ (დაბ. 17₂₀).

„აღორძნდეს ქაბუკნი ესე. და იყო ესავ კაცი მეცნიერი ნადირობად, ხოლო იაკობ კაცი უმანკო და მყოფ სახლსა შინა“ (დაბ. 25₂₇).

„და წარვიდა მიერ და თხარა ჯურღმული სხუად და არა ჰლალვიდეს მისთჳს. და დასდვა მას სახელი ფართობა და თქუა: რამეთუ აწ განგვფართა უფალმან და აღგუაორძინა ჩუენ ქუეყანასა ზელა“ (დაბ. 26₂₂).

„ხოლო ღმერთმან ჩემმან ვაკურთხენ შენ და აღგაორძინენ და განგამრავლენ შენ და იყავ კრებულად ნათესავთა“ (დაბ. 28₃).

„რამეთუ მცირედ იყვნეს, რავდენ იყვნეს ჩემ წინაშე, და აღაორძინა სიმრავლედ და ვაკურთხა შენ უფალმან ფერჯსა ჩემსა“ (დაბ. 30₃₀).

„ჰრქუა მას ღმერთმან: მე ვარ ღმერთი შენი, აღორძნდო და განმრავლდი...“ (დაბ. 35₁₁).

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, с. 181.

„და უთხრა ღვინის მნებან მან ჩუენებაჲ იგი თვისი იოსებს და ჰრქუა: ძილსა შინა ჩემსა ვხედევდ და იყო ვენაჳი წინაშე ჩემსა, და ვენაჳსა მას სამნი ძირნი, და იგი აღმოსცენდა და აღმოორ-
დნდა მორჩი და მწვანე იყვნეს ტევანნი იგი ყურძნისანი“ (დაბ. 40₉).

„იოსებ, შვილი ჩემი, აღორძინებულნი, საშურელი ძმ ჩემი უმრწემსნი, ჩემდა მოიქეც“ (დაბ. 49₂₂).

„ხოლო ძენი ისრაელისანი აღორძინდეს და განმრავლდეს და ამრლუე იქმნეს და განძლიერდებოდეს დიდად ფრიალ...“ (გამოსელ. 1₇).

საბას მოყვანილი აქვს ფორმები ორძილი — აღორძინება. და ორძის — აღორძინდების. აღორძინება კი მას ასე აქვს განმარტებული: „აღორძინება არის უფროსის მიერ ძრვა და მოკლება უმცროხისა მიმართ“.

ჩვენ მიერ მოტანილი კონტექსტებიდან სავსებით ნათელია მნიშვნელობა ფუძისა ორძ-, ერთი მხრივ, ‘გაზრდა, გამრავლება, გავრცობა’ და, მეორე მხრივ, ‘აღმოცენება, გაზრდა’ (მცენარისა).

ჩვენ ვფიქრობთ, ძირი ორძ- მომდინარეობს ირანულიდან; ამოსავალია მისთვის varz-. შდრ. ავ. varə- ‘მომატება, გაზრდა’. აწმყო varəba, varədaya, varədaya, pfp. varəzda ‘გაზრდა, აღმოცენება, გამრავლება, გავრცობა’ და სხვა¹. შეადარეთ ძვ. ინდ. vardhati, vardhayati, vrddhāh, ახ. სპ. bālidañ, საშ. სპ. vālitau — varziñ. შდრ. ავ. varəba ‘გაზრდა, ნაზარდი’. მცენარის სახელი ვარდი, საშ. სპ. vāñ ‘ყვავილი’, სომხ. ნასესხები vard, ქართ. ვარდი, ახ. სპ. gul, შესაძლებელია შემოსული იყოს ჩრდილო-ირანულიდან — varz- ფორმით varz- > ორზ- > ორძ-. თუმცა, ერთი შეხედვით, ოსურში ეს ძირი არ ჩანს, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, შესაძლებელია ოსური ფორმა əvzæryñ ‘აღმოცენება, გამოჩენა, გაჩენა, გამრავლება’, ‘процветать’, ‘посеять корни’, ‘გაშლა, დაწყება’ და სხვ. ნაწარმოებია ფუძიდან, რომელიც შედეგია მეტათეზისა varz > vzar-ისაგან (ავ. varə- ‘მომატება, გაზრდა’). შდრ. საშ. სპ. varziñ.

პროფ. ვ. აბაევი და ჰ. ბეალი სხვა აზრის არიან ოს. əvzæryñ-ის შესახებ. ვ. აბაევი ფორმებს əvzæryñ : əvzærst,

¹ AirWb, გვ. 1368—1369.

ævzærd | ævzurun : ævzurst 'აღმოცენება, ამოსვლა, წარმოშობა, გამოჩენა, გამოყოფა' და სხვა მიიჩნევს მედიალურ შესატყვისად ზმნისა ævzaryu 'ამორჩევა' (a > æ-ში კანონზომიერი დასუსტებით). იგი არ ეთანხმება მილერს¹, რომელიც ამ ზმნას განიხილავს, როგორც დამოუკიდებელს და არც ა. ბეჯლის, რომელიც ævzæryu-ს უკავშირებს მის მიერ აღდგენილ ირანულ ფორმას *zar- | zray- 'მოძრაობა'².

ვ. აბაევის თქმით, აქტიურიდან მედიალურ მნიშვნელობაში გადასვლა საესებით ნათელია: 'отделяя — отделяться, всходить, происходить' და სხვა.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დაეუშვათ, რომ ოსური ზმნის ფორმაში ævzæryu ერთმანეთს დაემთხვა ორი ზმნა: ერთი მხრივ, მედიალური შესატყვისი ზმნისა ævzaryu 'არჩევა, გამოყოფა' (ævzæryu) და, მეორე მხრივ, æ-vzæryu < *vzæryu პროთეტიული æ-თი, რომელიც მომდინარეობს ძვ. ირ. varz- ფუძიდან 'ზრდა, მატება', რომელიც ქართულში ორძ-ის სახით არის დაცული და შეიძლება ოსურის (სკვითურ-ალანურის) უძველეს სახეს წარმოგვიდგენდეს (იქნებ მან იცვალა სახე სიტყვა warz-თან სუპერაციის გამო).

59. რანგი (კუთხ. რაჭ.), მეგრ. რ ა ნ გ ი, სვან. რ ა ნ გ — 'თაფლისაგან დამზადებული სასმელი', 'თაფლუჭი'.

მომდინარეობს ოსური სიტყვიდან rong. ამ სიტყვას ვ. აბაევი მიუძღვნა სპეციალური სტატია „Значение и происхождение слова rong“³, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი ამჟამად ოსურში ლეგენდად ქცეული სასმელის ისტორია და რომელიც აღმოჩნდა თაფლისაგან დამზადებული სასმელი: ქართ. 'თაფლუჭი', რუს. 'мёд', ძვ. ბერძნ. μέλι, გერმ. Met. საინტერესოა, რომ სპარსული სახელი ღვინისა māj 'ღვინო' მომდინარეობს სიტყვიდან madu 'თაფლი' 'თაფლის სასმელი' (რომელიც, როგორც ჩანს, უფრო ძველია, ვიდრე ყურძნის ღვინო და არიელთა უძველეს სასმელის სახელს წარმოადგენდა).

რაც შეეხება თვით ტერმინს rong, ვ. აბაევი იძლევა მის ეტიმოლოგიას. საინტერესოა ოსური სიტყვა ævrong 'ფხიზელი', სიტყვასიტყვით უ რ ო ნ გ ო (რონგდაულეველი < arang. ძველი ოს. ფორმა იყო rang (ზღრ. რანგი). ran-g-ში g- სუფიქ-

¹ В. Миллер, Осетинские этюды, III. გვ. 154.

² Transactions of the Philological Society, Hertford, 1953, გვ. 36. და 1956, გვ. 58.

³ ОЯФ, გვ. 348 — 353; აგრეთვე, О некоторых осетинских элементах в грузинском.

სია (< ძვ. ირ. -ka. შდრ. avg 'მინა', marg, fynk, færsk და სხვა). ფუძე ran- მომდინარეობს ძვ. ირ. *frāna ფორმიდან, ინდ. prāna 'სული', 'дых'. შდრ. სოლდ. *frān (β'rn), სემანტიკურად — სული. შდრ. ლათ. spiritus 'სული' 'სპირტი', გერმ. geistig 'სულიერი', სპირტული, *frānaka 'სული' -> rang > rong 'სულიერი, მათრობელა სასმელი' 'хмельной напиток' (ირ. fr > r კანონზომიერია ოსურისათვის)¹.

60. რუსხა — 'სინათლე, ნათელი'.

გვხვდება „თამარიანში“:

„ე გულის ნებო,

მზეო ინებო,

თამარ სჩანს შენდა

რუსხა მკლებულად“ (XII, 7₆).

ნ. მარი „თამარიანის“ თავისი გამოცემის ლექსიკონში ამ სიტყვას უკავშირებს სპარსულ رشخ-ს (roušan) 'ნათელი, ბრწყინვალე'; მაგრამ სიტყვის ფორმა რუსხ-ა აშკარად ოსურ წარმომავლობაზე მიუთითებს. შდრ. ოს. ruks|roxs² 'ნათელი, სინათლე' = ძვ. ირ. rauksna-, ავ. raoxñā- 'ნათელი, ბრწყინვალე', raok- 'ნათება, ბრწყინვა'³, ძვ. ინდ. rukṣa, ლათ. lux, რუს. лучь, ფალ. rōñ, ახ. სპ. roušan. შეადარეთ სკვით. Pwllgwyd 'ნათელა'.

61. სამხარი — საბას განმარტებით „ჭამადთა ჟამთა სახელი არს; ვინათგან ორთა ჯერთა. ჰამენ, შუადღე ჭამადი არს სამხარი, ხოლო მიმწუხრი ჭამადი სერობა“.

უკეთუ სამხარი არა შუადღე მიიღო, და უადრესად ჭამა, მესამე ანუ მეორე ჟამსა უწოდენ სადილსა და არა სამხარსა.

დილაზე მცირესა საჭმელსა ეწოდების საუზმე და სამხარისა შემდგომად ჭამდსა ზარმელი, და უკეთუ სერობისა შემდგომად ჭამადი მიიღო სერის კუდი ეწოდება“.

„ხოლო მათ მომზადეს ძღუენი მოსლვად იოსებისა სამხარად, რამეთუ ესმა, ვითარმედ ისადილებს მუნ“ (დაბ. 43₂₅).

ჩვენ ვფიქრობთ, სიტყვა სამხარი შესაძლებელია დავუკავშიროთ ოსურ სიტყვას sexwar⁴ 'სადილი'. ირონ. sixor⁵ მომდინარეობს ფორმიდან *sæwxwar 'დილის საჭმელი'. შდრ. æxsæwær 'ვახშამი' < *æxsævxwar 'სალამოს საჭმელი' = æxsæw | æxsæwæ

¹ ОЯФ, გვ. 348 — 353; აგრეთვე, Осетинские элементы в грузинском.

² Осетинско-русский словарь, გვ. 323; ОЯФ, გვ. 19.

³ LitWb, 1488.

⁴ ОЯФ, გვ. 279.

⁵ Осетинско-русский словарь, გვ. 339.

‘ღამე’ + xwar ‘საქმელი’ მსგავსად sæw ‘დილა’ + xwar ‘საქმელი’, ე. ი. ‘სადილი’. ოს. sexwar < *saxwar > სამხარ-ი.

მალყარულში ოსურიდან შესულია ფორმა šxur, ušxur, ašxur ‘ვახშამი’. შეიძლება ქართული ვახშამიც ალანურიდან მოდის. ჰაჰჰუ (დიალექტ. ჰაჰჰუ) ახშავ > ახშამ > ვ-ახშამ. შდრ. ქართ. სერი, სერობა.

62. სასუმლობა — ‘შვილება’, საბა ამ სიტყვისათვის ვრცელ განმარტებას იძლევა:

„შვილობასავით, რამეთუ კაცი მოკუდეს და ცოლი მისი დაშთეს უშვლოდ და იგი შეირთოს მოყუარემან მისმან და აგარაკიცა მისი მოიგოს, ვითარცა ყო ბოოს რუთისა, რომელსა ესასუმლა და არა ისასუმლა სხემან მისთანა სასასუმლომან, ე. ი. არა მის მკედრისა დედასა ეშვლოს და იგი ეუფლოს ყოველსავე“.

ოშკის ბიბლიაში (იხ. „წიგნი ძველისა აღთქმისანი“, ტ. I, ნაკ. II, რუთისი 4₄₆) საბას მიერ მოყვანილ ადგილებში სასუმლობის შესაბამისად ყველგან შვილება გვაქვს.

სიტყვა სასუმლობა, ჩვენი ფიქრით, ნაწარმოებია ფორმიდან სუმელ ‘შვილი’, რომელიც შეთვისებულია ოსურიდან. მას საფუძვლად უდევს ოსური სიტყვა syvæll-(on)¹ ‘ბავშვი, შვილი’. syvæll > სუმელ, -on სუფიქსური ელემენტი ოსურში. შეადარეთ სიტყვა უსუარი.

63. სახ-/ზახ- (სახ-ელ-ი, ზახ-ილ-ი, ძახ-ილ-ი).

მიუხედავად იმისა, რომ ძირს ზახ/ძახ- მოეპოვება პარალელუბი მონათესავე ქართველურ ენებში², ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ იგი შესაბამის ირანულ ფუძეს sah-, säh-. შდრ. ავ. säh³an-, sax³ar ‘სიტყვა, მოძღვრება’, ძვ. სპ. ზახ- ‘თქმა’, ძვ. ინდ. ჰას ‘ქება’, საშ. სპ. sax³an ‘სიტყვა’, ახ. სპ. suxun, suxan ‘სიტყვა’ და სხვა.

ჩვენი ფიქრით, იგივე ძირი zah- < sah- უდევს საფუძვლად ოსურ ზმნას zah³un ‘თქმა’, დიგორ. zah³un, ჯაჰ³un, მეორე მხრივ, ამავე ფუძეს ჩვენ ვხედავთ ქართულ სიტყვაში ზღაპარი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ძირი zah- > sah- ოსურმა ქართულიდან შეითვისა, მსგავსად სპარსული წარმოშობის მრავალი სიტყვისა, რომლებიც ოსურში ქართულის მეშვეობით შევიდა².

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 205—206; Осетинско-русский словарь, გვ. 356.

² ქანური ჯოხ-, მეგრ. ჯოხ-, სვან. უახ-ე; იხ. ა. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 437—38.

³ იხ. მ. ანდრანიკაშვილი, ფალაურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები, თსუ შრომები, ტ. 71, 1958, გვ. 1—8.

64. სვე — ‘ბედი, ბედისწერა’, სვიანი ‘ბედნიერი’.

საბას განმარტებით: „უმეცარნი და წარმართნი იტყვიან: სვე არსო მაიძულებელი ძალიო, რათა იძულებული მის მიერ აღესრულებოდეს ვარსკვლავთა ზედა შობისა მიერ“.

„გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“ (ლ. მრ. 22₁₄).

„არამედ ყოვლადვე და ყოველსა შინა საქმესა მისსა იყო ბედნიერ და სვიან, და მადლითა აღსავეს“ (დავ. აღმაშ. 35₂₉).

„...და შეარტყა წელთა ძლიერთა მახული, ეჭა, რაბამ სჯანად კმარებული, და შემოსა პორტირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა“ (დავ. აღმაშ. 36₃₅).

„მომართვნეს ასნი კლიტენი ასთავე საქურჴლეთანი; თაყვანის-ვეც და დავლოცენ დავლანი მათთა სვეთანი“ (ვ.ტყ. 487₂).

„წიგნი დავწერე: მეფეო, სვემცა არს თქვენი სვიანად!“ (ვ.ტყ. 463₁).

„ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა, მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“ (ვ.ტყ. 957₃).

„ესე ვინათგან ცნა ჴელმწიფემან და სუე-განდიდებულმან, მკლავმან აქილიანმან და გულმან მალნიტოანმან, მიეტევა სახედ მჴეცისა...“ (ისტ. აზმ. 11₂₂).

„მსგავსად სუისა და ეტლისა მათისა“ (ისტ. აზმ. 20₄).

„შევიდა სატანა გულსა სუე-უბედურისა რუსისა, სკვთრამე სახელდებულისა...“ (ისტ. აზმ. 40₁₄).

„თამარ სუე-სჯანისა ჴელმწიფისა იმატებენ ზარნი, ლაშქრობენ მოყმენი, არს მარჯუება, სიხარული, სიყუარული, შუება და ნადირობა მათთა და ბართა...“ (ისტ. აზმ. 45₁₁).

ჩვენ ვფიქრობთ, ქართული სიტყვა სვე/სუე შეიძლება დაუკავშირდეს ოსურ სიტყვას (დიგორულს) *fes* ‘ბედი’. შდრ. *fesgum* ‘სვიანი, ბედნიერი’. ოს. *fes* კანონზომიერი შესატყვისია ძვ. ირ. ფორმისა **paisa*- ‘წერა, წერილი’ ძირიდან *pais*- ‘წერა’ (შდრ. ოს. *fyssyn* ‘წერა’, *nyxyfyst* ‘ბედი’, სიტყვასიტყვით — ‘შუბლზე დაწერილი’) ¹.

ოს. *fes*, რომელიც შინაარსით ზუსტი შესატყვისია ქართული სიტყვისა წერა (ბედისწერა), მატერიალურად იგივეა, რაც ქარ-

¹ В. А б а е в, Историко-этимологический словарь, I, გვ. 469.

აული სუე. *fes* > *ეს-ე* > სუე (*fs* > *ვს-სათვის* შეადარეთ ქართ. *ესება* < *ოს. æfsis* 'სავსე'). შეადარეთ ირონ. ფორმები *fyssa:n* 'საწერი', *fyssaeg* 'მწერილი', *fyst* 'დაწერილი' და სხვა. *fys* ადვილად მოგვეცემდა ქართულ *ვს-ს*, რომელიც მეტათეზით გადავიდა *სტ-ში*.

65. სივცბა (სიმსივნე < სივ-სივ-ნ-ე).

გ. ახვლედიანს მიაჩნია მომდინარედ ოსური ზმნიდან *ræ-sijyu*. 'გასიება', *resyd* 'სიმსივნე', *sijyu: syd* 'жрнуть, мерзнуть' (დამზრალი), *ძვ. ინდ. śv-áyatī* 'გასიეება, გაძლიერება', *ავ. spa(y)*, *ლათ. inciens* < *en-cuiens* 'ფეხმძიმე'¹. შესატყვისობად ქართველურ ენებში ამ სიტყვისათვის მიჩნეულია სევანტური *ჰი-* (*li- šie, na-ši*), *მეგრ. šin-apa-*, ქართველური *ჰი-*².

66. სულუგუნი (დასავლ. კილოები), მეგრ. სულუგუნი — 'ყველის სახეობა'.

ვ. აბაევი უკავშირებს ოს. დიგორ. *sulugun* (*сyxt-ს*), რაც ნიშნავს 'сыре сывороткой, из сыворотки', *suly* 'сыворотка' + *gun*³ — სუფიქსალური ელემენტი.

67. ტეფ- (გან-ტეფ, გან-ტფა, გან-ა-ტფ-ო და სხვა. გვიანდელი *თბ-ბ-ა, თბ-ილ-ი* და სხვა) — 'თბობა'.

ქართული ძირი ტეფ- თავისი ფონეტიკური იერით ყველაზედ ახლოს დგას ამ ინდოევროპული ფუძის ოსურ ფორმასთან. შეადარეთ: *ძვ. ირ. tǎp-*, *ძვ. ინდ. tǎp-*, რუს. 'топить, теплый' და სხვა. ოს. *tavun | tavun* 'თბობა', *tævd* 'თბილი', მაგრამ *tæfsyn* 'გაცხელება' ('нагреваться, лихорадить'), *ჰი-tæf* 'სიცხე'⁴ (შდრ. *ძვ. ირ. tafs, tafsati* ე. წ. ინქოპტივური ფორმა). ოს. *æ* ქართულში ჩვეულებრივ გადმოდის როგორც *ე*, ხოლო სპირანტი *f* იძლევა კანონზომიერად *ფ-ს* ირანულიდან ნასესხებ სიტყვებში საერთოდ.

68. ტყე — 'მრავალხენი' (საბა).

„და წმინდა იყოს იგი და შეწუას და შეწკამდეს იგი ვითარცა თივასა ტყესა“ (ესაიაჲსი, 10₁₇).

„ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია“ (ე. ტყ. 78₂).

„სამ დღემდის მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი“ (ე. ტყ. 864₃).

¹ Л. Ахведяни, Сборник избранных работ, გვ. 202—203.

² K. Schmidt, Rekonstruktion, გვ. 132.

³ В. Абзев, О некоторых осетинских элементах в грузинском, გვ. 438 და შემდეგ.

⁴ ქართული სიტყვის 'თბილი'-ს კავშირზე ინდოევროპულ **tep-* ძირთან წინათაც მიუთითებდნენ (ნ. მარი, ა. შანიძე, ა. ჩიჭობავა და სხვები), მაგრამ უცნობი იყო ამ სიტყვის ქართულში შემოსვლის გზა; ჩვენი ფიქრით, იგი ირანულია და, კერძოდ, სკვითურ-ალანური.

შესაძლოა ქართ. ტყეს კავშირი აქვს ოს. qæd|ǰædǰ¹ ფორმასთან 'ხე, მორი, ტყე' (შეიძლება ქართ. ხეც ამ სიტყვიდან მოდიოდეს): qæd > qd-e > დყ-ე > ტყე. შეადარეთ ოსური გამოთქმები qæddag 'ტყიური, ველური', qædbyn 'ტყიანი'. შდრ. მეგრ. ტყა².

69. ურვათი (მოხევ. კუთხ.) — 'საქმროს მიერ საცოლის მშობლები-სათვის მიტანილი სასყიდელი'³.

მომდინარეობს ოსური სიტყვიდან iræd|ærwæd 'ქებინი' (калым, плата за невесту родителям, ძვ. რუს. 'нево'), ძვ. ოს. *urwæd < ავ. urwata- 'დადგენილება, წესი (რელიგიური), ჩვეულება', urvati 'მოლაპარაკება'. შდრ. ძვ. ინდ. vrata. ოსურიდან ნასესხებია ეს სიტყვა აგრეთვე ჩაჩნურში uɪɲɪ 'ქებინი'. იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ ეს სიტყვა ნასესხებია ოსურ-ალანურიდან სხვა კავკასიურ ენებში და არა პირიქით, ვ. აბაევი იმ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ ცოლის ასეთი გამოსასყიდი გავრცელებული იყო თითქმის ყველა ინდოევროპელ ხალხში: ბერძნებში, გერმანელებში, სლავებში, ირანელებში და სხვა⁴.

70. უხო — „გლებთ დიაცთ უპატიოსნესი“ (საბა), სიტყვა დედოფალთან საბას აგრეთვე მოცემული აქვს განმარტება უსო-სი — „გლებთა დიაცთა პატივისათჳს უწოდენ უსოს“.

ვ. აბაევი სტატიაში „ოსური ელემენტები ქართულში“ ამ სიტყვას უკავშირებს ოსურ us|osæ-ს 'ქალი', ძვ. ინდ. yōṣit 'ქალი'⁵. ოსურში ეს სიტყვა ქალისა და ცოლის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინია და მისგან მრავალი წარმოებულია გავრცელებული ოსურში: us 'ქალი, ცოლი, დედაქაცო', fydy us 'მამის ცოლი, დედინაცვალი', usy fyd 'სიმამრი' (ცოლის მამა), us ærxæssyn 'ცოლის შერთვა', us wazyn 'გაყრა', usag 'საცოლე', usbiræǰ 'კუდიანი' usgur 'საქმრო', usdon 'საქალებო, ჰარემი', usǰyn 'ცოლიანი', usrak, yrd 'ცოლის თხოვა' და სხვა⁶. შესაძლებელია აღნიშნულ ოსურ სიტყვას us|osæ უკავშირდება აგრეთვე ქართ. ასული, მეგრ. ოსური.

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 534.

² გ. კლიმოვი საერთო ქართველურისათვის აღადგენს ფორმას *ტყე(ნ), 'ტყე, ხე' მეგრ. ტყა(ლ)-ისა და ქან. ტყა, სვან. ტყენ ფორმათა დაკავშირების საფუძველზე. იხ. Этимологический словарь картвельских языков, გვ. 184.

³ ვ. თოფური, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 561.

⁴ Историко-этимологический словарь, I, გვ. 546 — 47.

⁵ მისივე, О некоторых осетинских элементах в грузинском, გვ. 438 და შემდეგ.

⁶ Осетинско-русский словарь, გვ. 345.

71. უსუარი — ‘ბავშვი 5 წლიდან ათ წლამდე’. განზარტება უსუ-
არი საბას მოცემული აქვს სიტყვა კაცთან:

„შვლსა მამალსა ძე და დედალსა ასული რომელთა სიბერე-
მდე ძესა ვაჟი და ასულსა ქალი (ეწოდების)... ვიდრე ხუთ წლამდე
ვაჟს ჩჩვლი და ქალსა ჩჩვლა ეწოდების, ხუთის წლით ვიდრე ათ-
წლამდე ვაჟსა უსუარი და ქალსა უსუარი...“ (საბა).

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა შეიძლება კავშირში იყოს ოსურ ფორ-
მასთან *syvæx|suvæx*¹ ‘საშო’ და მასთან დაკავშირებულ სიტყვათა
რიგთან ოსურში. შდრ. *syvæxçyū* ‘მუცელღებული, ორსული’,
*ævsymæx|ænsuæx*² ‘ძმა’, სიტყვასიტყვით ‘თანშობილი, ღვიძლი’
(единоутробный). შდრ. ძვ. სპ. *hāmata* ‘დედითერთი’, *syvæll(on)*³
‘ბავშვი’. ქართულ უსუარს საფუძვლად უნდა ედოს ღვიძლის
და, მაშასადამე, უფრო ძველი ფორმა *ænsuæx* > უსუარი > უსუ-
არი. ამ სიტყვასთან კავშირშია აგრეთვე, ჩვენი ფიქრით, ძველ
ქართულში დადასტურებული სასუმლობა ‘შვილება’.

72. ფართნი — ‘ფართოსავით’ (საბა).

აშკარად ნასესხებია ალანურ-ოსურიდან. ფორმათა სრული დამ-
თხვევა გვაქვს როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკური თვალ-
საზრისით. შეადარეთ, ოს. *fætæn*, ძვ. ირ. **paθana-* ‘ფართო, განი-
ერი’. შდრ. ბელუჯ. *patan*, სპ. *pahn, pahan*, ფალ. *pahan*, ქურთ.
pān, ორმ. *pan*, ავღ. *plan*, სოლდ. **paθan*, საქ. *phatana* ‘ფართო’,
ავ. *paθana-*, გერმ. *Faden* ‘*размах обеих рук, сажень*’, გუთ.
fa pa ‘ლობე’, ბერძ. *πετάγυσι* ‘ვშლი, ვავრცობ’ და ‘ფართო, ვრცე-
ლი’. შორეული მონათესავე ძვ. ინდ. *prath-*ისა ‘გაგანიერება —
გავრცობა’, ძვ. ინდ. *prathas-*, *prathana-* ‘სიგანე’ (ისე შეესაბამება
ძვ. ირ. *pathana-*ს, როგორც ძვ. ინდ. *prati* ძვ. ირ. *pati-*ის). შდრ.
ავ. *fraθah-* ‘სიგანე’, ლიტ. *platus* ‘განიერი’, გერმ. *Fladen* ‘*блин*’,
ბერძნ. *πλατύνε* ‘განიერი’⁴.

73. ფარსავი, ფარცავი — ‘საშუალ კეთილისა და ავისა’ (საბა).

ოსურში ეს სიტყვა წარმოდგენილია ფორმით *færssag*⁵ ‘გვერ-
დითი, გვერდით მდებარე, ფანჯარა’, *færssag læg* ‘*сторонний че-
ловек*’, ‘საშუალო წოდების ადამიანთა სახელწოდება’ (*средняк*).

¹ Осетинско-русский словарь.

² იქვე, გვ. 317.

³ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 205 — 206.

⁴ В. Миллер, Осетинские этюды, II, 47, 76; ОЯФ, 120, 46; Историко-этимологический словарь, I, გვ. 465.

⁵ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 453.

ამოსავალია ამ სიტყვისთვისაც ნიშნელობა fars-ისა 'გვერდი, მხარე'. მნიშვნელობის გადასვლა ცნებიდან მხარე, გვერდი > შუა, საშუალო სავსებით მოსალოდნელია და გასაგეცი, და ეს ხსნის როგორც მნიშვნელობას ოს. færssag læg-ისა 'საშუალო (წოდების) კაცი', ისე ქართული ფარსაგისა 'საშუალო კეთილისა და ავისა'. გ. ახლელიანი აღნიშნავს აგრეთვე ამ სიტყვის ჩვეულებრივ სასაუბრო მნიშვნელობას, როგორც «случаи хорошие или плохие, но неожиданны сторонние»¹.

74. ფარღული — „მარგალიტის ყელსაბამი“ (საბა).

განეკუთვნება ამავე სკვითურ-ალანურ-ოსურ-ქართულ ლექსიკურ შეხვედრათა რიგს. შდრ. ოს. færðgutæ 'მივი, ყელსაბამი', წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ფორმას სიტყვისა færðyḡ|færðug 'ძვირფასი ქვა, მივი'. ირანული სიტყვიდან parduka 'ქრელი'². *færðgutæ > færðud > ფარღულურ > ფარღული.

75. ფასი — 'სასყიდელი'.

„და სირცხვილისა თანა-მდებ იყვნენ და რომელნი იგი ქალაქებსა და საფასეთა მოსავ არიან“ (იობ. 7₂₀).

„ესე ყოველი მართალთა შეიკრიბონ და ფასი იგი მათი კემ-მარიტთა დაიყრან“ (იობ. 27₁₇).

„ხოლო მან ჰრკჷთა მათ: შენდობა იყავნ თქუნდა, ნუ გემინინ, ღმერთმან თქუნმან და ღმერთმან მამათა თქუნთამან მოგცა საფასსჷ ჭურჭერთა თქუნთა“ (დაბ. 43₂₃).

„ჩაეპარენით, ჩაედით, ჩქარად ნუ მიხვალთ მხლტომელნი, მოგყიდონ, ფასი მიეცით, რისაცა იყვნენ მნდომელნი“ (ვ. ტყ. 1133₄).

„შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა, თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა, თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა“ (ვ. ტყ. 1177₄).

„შესამოსელი შეპმოსეს დრაჰმისა ბევრ-ათასისა, შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუღებელი ფასისა“ (ვ. ტყ. 1013₄).

„დილასა ლარი ყველაი უჩვენა, გაახსნევინა, ტურფანი სეფედ გარდასხნა ფასიცა დაათვლევინა“ (ვ. ტყ. 107₂₂).

ძვ. ირ. pasu-, ი. ევრ. *peku-, ოსურში მოსალოდნელი იყო *fæs, მაგრამ გვაქვს fus > fys — ბაგისმიერის გავლენით. შდრ.

¹ Г. А х в л е д н а н и, Сборник избранных работ, I, გვ. 210.

² В. А б а е в, Историко-этимологический словарь, გვ. 452.

fyr < paru-, myd < inadu- და სხვა მრავალი; ქურთ. pez, pes, paz, pas, გურან. päisf, pas, ზაზა päis, ტალიშ. pas, ბელუჯ. pas, ავღ. psə 'ცხვარი', 'წვრილფეხა საქონელი', პამირ. შ. pis, püs 'გასაცვლელი, სათვალავი ერთეული' (=1 ცხვარს), პამირ. ვ. pus 'ცხვარი', 'საშუალო ზომის ცხვარი—ვაჭრობის ერთეული', პამირ. ს. pes, ფალ. pah, სოლდ. pas- (ps-), ავ. pasu-, ძვ. ინდ. paśu-, ლიტ. pekus 'საქონელი', გუთ. faihu 'ქონება, ფული', ლათ. pecus 'საქონელი', pecūlium 'ქონება', pecūnia 'ფული'¹. ქართ. ფასი მოდის ძვ. აღან. *fæs (fas) ფორმიდან.

76. ფერცხალი — „გვერდის წიბო“ (საბა).

უქვევლია, მომდინარეობს ოსური სიტყვიდან færsk 'ნეკნი', პამირ. ვახ. pürsk, პამირ. მუნჯ. pursiga, პამირ. იშკ. pərsəyē, სოლდ. parsak (prs'k), საკა pālsua და სხვ. ნაწარმოებია pars-იდან 'გვერდი, მხარე' -k სუფიქსით. ამოსავალი ირანული ფორმაა parsu. შდრ. სკვით. pars 'გვერდი', pars-panak (Παρσιπανακος) 'გვერდმაგარი' = ოს. fæjɲæg-fars, ქურთ. pārsū 'ნეკნი', სპ. pahlū (< *parθu < *parsu) 'გვერდი, ფლანგი, თან, გვერდით', პამირ. pərs 'ნეკნი', ავ. parəsu-, pərəsu 'ნეკნი', ძვ. ინდ. parśu- 'ნეკნი', pārsva- 'მხარე, გვერდი', ძვ. სლავ. прѣсъ, რუს. перся 'შეკრდი'².

როგორც ჩანს, ამ სიტყვასთან კავშირშია აგრეთვე ქართული ფირტვი (3. მეფ. 21, 34), ფილტვი, მისთვის ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო სპ. *parθu > ახ. სპ. pablu, შეიძლება, აგრეთვე, ამავე ძირისაა სიტყვა ფერდიც.

77. ფინთი — „შერყუნილი“ (საბა), 'ცუდი', ფინთ-ფუნთი — „მრავალფინთი“ (საბა).

ჩვენ ვფიქრობთ, იგი მომდინარეობს ოსური სიტყვიდან fyð | fud 'ავი, ცუდი' (მეტწილად რთულ სიტყვებში), 'ბოროტება, სიავე, უბედურება'. fyðdær — შედარებითი ხარისხი fyð-ისა, fyðæbon 'ტანჯვა' (ცუდი დღე), fyðaz 'ცუდი წელიწადი', fyðzaman 'ავი დრო', fyðgænæg 'ბოროტმოქმედი', fyðwag, 'ბოროტი', fyðzærdæ 'აეგულა, მტრული' და სხვა მრავალი (ანტონიმი fyð-ისა არის xorz, xærz), ძვ. ირ. *pūta- ნამყოს მიმღ. pū-დან 'ლპობა', 'დამპალი' (შდრ. ოს. æmbyjyn | æmbijun 'ლპობა'). შდრ. ძვ. ინდ. pūti 'დამპალი, ცუდი', ლათ. pūtidus 'დამპალი, საზიზღარი', ოს. fyð იხმარება ისეთივე ფუნქციით, როგორც ძვ. ირ. duš-, duž-³ დნ ქართ. ავ-ი.

¹ В. А Б а с в, Историко-этимологический словарь, I, გვ. 500 — 501.

² იქვე, გვ. 423, 133.

³ იქვე, გვ. 419—490.

78. ფიც-ხ-ი — (ფიც-ხ-ელ-ი, გან-ფიც-ხ-ებ-ა). ამოსავალი მნიშვნელობა ამ ფუძისა არის 'გახურება, გაცხელება', და შემდეგ გადატანით 'გაბრაზება, განრისხება, სისასტიკე, სიმკაცრე, სწრაფი' და სხვა (შდრ. რუს. 'горячий, горячность, вспыльчивость' და სხვა).

საბასთან ჩვენ გვხვდება ფიცხი — 'გამაგრებული', ფიცხელი — 'ძნელი, მაგარი', ფიცხლავ — 'გლესურად სწრაფად'.

ეს სიტყვები თანაბრად გავრცელებულია როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში.

„მეტყოდა ჩუენ კაცი იგი, უფალი მის ქუეყანისაჲ, ფიცხლად და შემსხნა ჩუენ საპყრობილესა, ვითარცა მსტუარნი ქუეყანისანი“ (დაბ. 42₃₀).

„და აჭირებდეს საღმობით ცხორებასა მას მათსა საქმითა მით ფიცხლითა...“ (გამოსვლ. 1₁₄).

„ხოლო მე განვაფიცხო გული ფარაოჲსი და არა გამოუტევოს ერი ჩემი“ (გამოსვლ. 4₂₁).

„რაჲმს-იგი განფიცხნა ფარაო არა გამოვლინებად ჩუენდა, მოწყვდა ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგვიპტისასა“ (გამოსვლ. 13₁₆).

„და ვითარ მისცნა სიტყუანი ფიცხელი და მას შინა დასცა ზარი მისი, და შეშინდა ნაქორ...“ (ბალაჰვარ. 115₃₄). (ბ)-შია „მიუგნა სიტყუანი ძლიერნი“.

ფუძეს ფიც-ხ- ჩვენ ვუკავშირებთ ოსურ ზმნას *fycyn|ficun* 'ხარშვა, დულილი, წვა, ცხობა' და სხვა. ირან. **pač-*, **pak-*, ი. ე. **pek-* 'წვა, ხარშვა', სპ. *puxtan: paz-*, ქურთ. *patin: piž⁻¹* და სხვა. ხ-ს განვითარება ც-ს შემდეგ ფუძეში ფიცხ- ქართულში გავრცელებული წმინდა ფონეტიკური მოვლენაა, შეადარეთ ვერც-ხ-ლი, ვარც-ხ-ნა, ჯვარც-ხ-მა და მისთანანი. გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე ე. წ. ომონიმურმა სუბერაციამ ფუძესთან ფიც-ი.

79. ფოსრონიკი — „დედათ ლხინთ გამრიგე დიაცი“ (საბა).

ჩვენი ფიქრით, რ განვითარებულია შემდგომ, ხოლო ამოსავალი ფორმა უნდა იყოს *ფოსონ-იკ-ი*, ხოლო ფუძე ფოსონ- შეიძლება დავუკავშიროთ ოსურ სიტყვას *fysym|fusun* 'მასპინძელი, სტუმრის მიმღები', *fysym kænyn* 'სტუმრობა, ღამის გათევა', რომელიც ვ. აბაევს გამოჰყავს ირანული ფორმიდან **pasumant-*

¹ Историко-этимологический словарь, I, გვ. 487.

fšumant- 'საქონლის პატრონი'. ვ. აბაევის აზრით, ეს სიტყვა ნაშთია იმ დროისა, როდესაც ყოფაში მესაქონლეობა იყო ძირითადი და სტუმარ-მასპინძლობა დაკავშირებული იყო საქონლის ყოლასთან და არა სახლთან, ე. ი. საქონლის პატრონი > მამასახლისი, მასპინძელი. შდრ. ავ. fšumant- 'საქონლის პატრონი', ძვ. ინდ. pašumant- 'საქონლით მდიდარი'. შდრ. ავ. vāstar 'მასპინძელი', სიტყვასიტყვით 'სადოვრის პატრონი'. ოს. სიტყვა fysym შეთვისებულია მრავალ კავკასიურ ენაში: აფხაზ. ჭ-р̄шма, აბაზ. pšuma, ადიღ. ხ̄შ̄მ̄, ყაბარდ. ხ̄შ̄მ̄ 'სახლის პატრონი', ინგუშ. fusæm, ჩაჩნ. husam 'თავმესაფარი', прича-вище¹.

80. ფრ- (ფრ-იად-ი, უ-ფრ-ო, უფროსი) — 'მრავალი, ბევრი, დიდად, ძალიან'.

ქართ. ფუძე ფრ- სიტყვებში ფრიადი, უფრო უკავშირდება ოსურში შემონახულ ფუძეს fyr|fur 'ძალიან ბევრი'. შედარებითი ხარისხის ფორმა fyr-ისა არის fylðær 'უფრო, მეტად'. მეტწილად იგი რთულ სიტყვებში გვხვდება: fyrzyrd 'მრავალსიტყვაობა', fyrxærd 'ღორმუცელობა, ბევრის ჭამა'. შდრ. ირან. paru-, ავ. pouru-, paru- ბევრი, ძალიან, მრავალრიცხოვანი, უხვი, ხშირი', ძვ. სპ. paru- 'ბევრი', ძვ. ინდ. puru-, ბერძნ. πῶλύς 'მრავალი', 'ბევრი', 'ბევრად', სპ. pur 'ძალიან', ქურთ. pær 'ძალიან', საქ. pharu.

„ფიცხელ იყო სიტყუაჲ ესე ფრიად წინაშე აბრაჰამისა ძისა მისისათჳს“ (დაბ. 21₁₁).

„ხოლო ძენი ისრაჲლისანი აღორძნდეს და განმრავლდეს და ამრღუე იქმნნეს და განძლიერდებოდეს დიდად ფრიად...“ (გამოსვლ. 1₇).

„და ესე პატიჲი ფრიად უსუბუქეს და უმოლხინე იყოს საუკუნეთა მათ სატანჯველთა განმზადებულთა“ (მამ. სწავლ. 129₃₃).

„უმცროსსა ძმასა მივეცი, უფროსსა დავეზიდენით“ (ვ. ტყ. 280₁).

„მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“ (ვ. ტყ. 81₂).

„მე გარდავსულვარ სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია“ (ვ. ტყ. 88₁).

81. ქად (ქად-ილ-ი, სი-ქად-ულ-ი, ქად-ებ-ა, ქად-აგ-ი).

ქადება — „ნათხოვის დაპირება“,

ქადილ-ი — „არს სიტყვით თვსსა სიკეთესა იტყოდეს“,

ქადაგ-ი — „მალლა მძახებელი სწავლისა“,

ქადაგება — „მალლის წმით სწავლება“ (საბა).

¹ Историко-этимологический словарь, I, გვ. 502.

² იქვე, გვ. 499.

საბას განმარტებანი სავსებით დასტურდება ძველი ქართული კონტექსტებით.

1) ქ ა დ - ე ბ - ა — 'დაპირება, აღთქმა'.

„ამას უქადებდა, რომელი იგი არა აქუნდა კელთა შუშანი-კისაგან...“ (მარტ. შუშ. 4₂₈).

„...და უქადებდა მათ საფასესა დიდსა და კეთილად პყრო-ბასა“ (ე. მცხ. 82₃₇).

„დალათუ დიდითა ქადებითა და ფერად-ფერადითა სატან-ჯველითა მოვსწყუდიდენით, უფროსად განმრავლდენ“ (ლ. მრ. 51₁₆).

2) ქ ა დ ი ლ ი — 'ტრაბახი, კვეხნა, მუქარა'.

გამომდინარეობს ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობიდან 'აღთქმა, დაპირება'. იგი უფრო ახალი ქართულისათვის არის დამახასიათებელი (დაქადნება, დაექადნა).

3) ს ი - ქ ა დ - უ ლ - ი (ს ა - ს ი ქ ა დ - უ ლ - ი) — 'დიდება, პატივი'.

„რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტესითა, და აქუნდა მას სიქადულად სანთელი ქალწულებისაჲ, და ზეთი მოწყალებისაჲ“ (გრ. ხანძთ. 12₁₁).

„რამათა შემდგომად სიკუდილისა მათისა ნაცვლად მათა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად შენთა სამწყსოთა“ (გრ. ხანძთ., გვ. იე₁₉).

4) მნიშვნელობა ქ ა დ - ის ა ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი მ ი - ქ ა დ - უ ლ - ი და ქ ა დ - ა გ - ი არის 'მალლად მვლობელი, მაუწყებელი, დალაღისი', ე. ი. ქ ა დ - ს ი მ ღ ე რ ა , თ ქ მ უ ლ ე ბ ა , ს ა გ მ ი რ ო ს ი მ ღ ე რ ა , დ ი დ ე ბ ა , ქ ე ბ ა = ოს. kad-æg.

უეჭველია კავშირი ოსურ სიტყვებთან kad|kadæ 'დიდება, პატივი', kadǵyu 'პატივცემული, ღირსეული, სახელოვანი', ægad 'ულირსი, უპატიო', ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, kad rǵ|kadæu-ǵæ 'ეპიკური სიმღერა, თქმულება, საგა, საგმირო სიმღერა', რომელიც სრულდება ფანდურის აკომპანიმენტით. ოს. ka|-ისათვის ამოსავლად ვ. აბაევი თვლის ირ. *kāta-ს, რომელიც წარმოადგენს, მისი აზრით, ლექსიკალიზებულ მიმღეობას ზმნიდან kay-, *čay-, რომელიც ოსურში არ არის შემონახული.

ინდ. ევრ. *k₀ei-¹ ამოსავალი მნიშვნელობით 'ყურება, ყურადღების მიქცევა', ავ. kāy- 'ღირსეულის მიზღვა', kāṣa 'საზღაურო' (სიტყვაში xratu.kāta- 'სიბრძნით ქებული'), ძვ. ინდ. čāyati 'ყურადღების მიაცრობა, პატივისცემა', čayate 'მიუზღავს, შურს იძიებს', ძვ. სლ. каятися, ძვ. რუს. каяти 'შურისძიე-

¹ J. Pokorny, Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Bern, გვ. 636.

ბა', სერბ. kajati 'შურისძიება', რუს. каяться, ძვ. სლავ. каяти. 'ლოდინი, იმედის ქონა', ბერძნ. τῶ, τειῶ 'ვაფასებ, პატივს ვცემ'. τῆμη 'პატივი, საზღაური'. ეგვიპტური გვხვდება ოსურ სიტყვებში cyt |citæ 'აარვი', æv-gīd 'попыка' kīnæ(kenæ) 'შურისგება', koj 'моина' (kad || koj ისე, როგორც ancad || æncōj, fællad || fællōj და სხვა).

kad ← *kāta

koj ← *kan(y)a-

kīnæ ← *kaina-

[æv]gīd ← [abi] kaita-

cyt ← *čīθa-

kad-ისაგან ნაწარმოებია kadæg 'გადმოცემა, გმირული სიმღერა'. ჰ. ბეილი უკავშირებს ამ სიტყვას აგრეთვე სომხ. *հկաս*-ს 'ყურადღება' და ინგუშ. kad-ს 'ჯილდო'¹.

ვ. აბაევს მიაჩნია, რომ ქართული ქა და გ ი შეიძლება შემოსულია არა ოსურიდან, არამედ საშ. სპარსულიდან kēdīg 'მისანი, მოგვი'.² მაგრამ არც ფონეტიკურად და არც შინაარსით არ შეიძლება დავაშოროთ ქართული ქა და გ ი ოსურ ფორმებს (ვოკალიზმი საშ. სპარსული სიტყვისა kēdīg სულ განსხვავებულია). შდრ. სომხ. *հկաս* = ირ. *nikata 'შეხედვა, ყურადღება, პატივისცემა'. *հկասիկ* 'ყურება, ხედვა, ყურადღების მიპყრობა, თვალის დადგმა, დათვალეობა, დაკვირვება, განსჯა'³.

ქარჯინა (რაჭ. დიალექტ.) — 'პური' (ნაცარში გამომცხვარი).

ოს. kærჟი | kærჟინ 'აური არა ხორბლისა' (ქერის, სვილის, სიმინდის). kær 'ქერი' + სუფიქსი -ჟი | -ჟინ, რომელიც უკვე აღარ არის პროდუქტიული ოსურში⁴. სვან. kærჟინ 'ნაცარში გამომცხვარი პური' (ოსური პური), რაჭ. ქარჯინა 'ნაცარში გამომცხვარი პური', ბალყ. kærჟინ, ყბარდ. kærჟინ 'пресный хлеб'⁵.

ნშ. ქაშაყი — 'თევზის სახე', сельдь.

ოს. kæsag | kæsalgæ 'თევზი', kæsagaxsæg, kæsagჟaw 'მეთევზე'; წარმომავლობა ცნობილი არ არის. უკავშირებდნენ უნგრ. keszeg-ს 'лещ', ხანტი (ოსტიაკ.). kašen, ვოგულ. kšsen 'лещ', ქართ. ქაშაყი.

პეტერსონმა სცადა ეტიმოლოგია ირანულ ნიდაგზე *kasāka, ძვ. ინდ. kašaku-kaša- 'წაელი' (ი. ევრ. *k₁ok' 'მჭრელი'), ჰ. ბეილი⁶

¹ H. Bailey, BSOAS, XIII, გვ. 3, 96.

² იხ. Историко-этимологический словарь, I, გვ. 565—66; აგრეთვე, О некоторых осетинских элементах в грузинском.

³ А. Худабашов, Армяно-русский словарь, II, გვ. 236.

⁴ Историко-этимологический словарь, 585.

⁵ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგია, 1954, გვ. 252-3.

⁶ H. Bailey, Asika, TPhS (1945), Hertford, 1946, გვ. 23.

უკავშირებს ავლან. დიალექტ: *kəʒə* 'თევზი', თუნცა დარწმუნებით თქმა არ შეიძლება. ოსურის შეხვედრა უნგრულ-ფინური ენების მონაცემებთან მიუთითებს იმაზე, რომ ოსურში სიტყვა სარმატული ეპოქიდან მოდის¹.

83. ქაშაგი — „მოზრდილი ტყვე“ (საბა).

ეს სიტყვა, როგორც ჩანს, მოდის სიტყვიდან *kæsmæg* 'ყაბარდოელი', ძველი სახელწოდება ადიღეური ტომებისა, რომელიც დაცულია რუსულ, ბიზანტიურ, არაბულ და ქართულ წყაროებში. შდრ. სვან. *kašæg* 'ჩრდილო კავკასიის ვაკე', ქართული ქაშაგი ტყვის სახელად იქცა ალბათ იმიტომ, რომ მთელ აღმოსავლეთში კავკასიიდან წამოყვანილი ტყვეები ქაშაგების ან ჩერქეზების სახელით იყვნენ ცნობილი და ქაშაგი 'ადიღე, ყაბარდოელი' იქცა ტყვის აღმნიშვნელ საერთო სახელად

84. ქერც-ლი (ქეცი, ქეცედი) — ქეცი 'თევზის ქიცი' (საბა).

„და ამათ ჭამდით ყოველთაგან, რომელნი არიან წყალთა შინა: ყოველსა რომელსა არს მათ თანა ფრთმ და ქეცი წყალთა შინა და ზღუასა შინა და მდინარეთა, მას ჭამდით“ (ლევიტ. 11₉).

„და ყოველსა რომელსა არა არს ფრთებ და ქეც წყალთა შინა, საძაგელ არს ესე თქუნდა“ (ლევიტ. 11₁₂).

ჩვენი ფიქრით, ეს სიტყვა შეიძლება დაუკავშირდეს ოსურ სიტყვას *kærc* | *kærcæ* 'ქურქი', *kærcxor* | *kærcxwar* 'ქურქის მასალა'. *c* შეესატყვისება ძვ. ირ. *ti*-ს და ძველი ოსური ფორმა აღდგება, როგორც **karti*, ავ. *kərti*- 'სამოსის სახე'.

მთელ რიგ აღმოსავლურ ირანულ ენებში იგივე ძირი გვაქვს 'ცხოველის ტყავის, ბეწვეულის' აღსანიშნავად. შდრ. პამირ. ვ. *karast*, *kərast*, *kröst* 'ქურქი', ქერქი', პამირ. მუნჯ. *kərast* 'ტყავი, ქერქი', პამირ. იშკ. *karast*, სანგ. *korost*, ავღ. *krästa* 'ნაბადი', სლავ. *kora*, *skora*, *škura*. შეიძლება ყველა ეს ფორმა არის დერივატი ინდ. ევრ. **k_oer-* **sk_oer-* ფუძისა 'ჭრა'. ოს. *kærc* (<**karti*) *kar*-ზმნასთან ისეთივე დამოკიდებულებაშია, როგორც *bærc* *baryn*-თან, *xælc* *xæryn*-თან და სხვა. ოსურიდან მოდის ჩაჩნ. *kerč* 'рукави длинными рукавами'. შდრ. *æŋærc* 'შიშველი' < *æ-kærc* 'უქურქო'². ვ. აბაევი უკავშირებს ქართ. (კუთხ.) ქერჩო-ს 'ქურქი', რაც უფრო გვიანდელი ნასესხები ჩანს.

85. ქული — „კაციის თავსახურავი“ (საბა).

„ვეფხის ტყავისა ქულივე იყო სარქმელი თავისა“

(ვ. ტყ. 85₂).

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 588.

² მისივე, ОЯФ, გვ. 86; Историко-этимологический словарь, I, გვ. 582.

შდრ. ოს. xud|xod 'ქუდი, ჩაჩქანი', ძვ. ირ. xauda-, ძვ. სპ. tigma-xauda- 'წვეტიანქუდიანი', სპ. xud 'плем'. გადაწყვეტით არ შეიძლება ითქვას იგი სპარსულიდან არის შემოსული თუ ოსურიდან.

საინტერესოა გადასვლა $x > \chi$, რაც შედარებით იშვიათად გვხვდება ირანულიდან ნასესხებ სიტყვებში. ამ სიტყვის $x\bar{o}$, ახ. სპ. xud, პართული ფორმა ქართულში შემოსულია სომხურის გზით ხოირის სახით (იხ. საშ. სპარსულ სიტყვებში). იქ $x > \chi$ -ს ადგილი არა აქვს. ჩვენი ფიქრით, ამ სიტყვასთან დაკავშირებულია აგრეთვე ხურვა, სა-ხურ-ავი ($x\bar{o} > xur$. შდრ. სომხურის *խյր* 'დიადემა, ტიარა').

საბას განმარტებით „ხურვა ესე არს სახლის სართულის დაფარება და კაცთ ქუდის დაბურვა და მისთანანი“.

ძველ ქართულში იხმარებოდა დაბურვა, დარქმა (სარქმელი). ახალ ქართულში ხურვამ უფრო ვართო მნიშვნელობა მიიღო: კარის დახურვა, საბნის დახურვა და სხვა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ფორმა ხოირი, რომელიც სომხურ *խյր* ფორმიდან მომდინარეობს, ეს უკანასკნელი კი ამოსავლად გულისხმობს საშ. ირანულ ფორმას $x\bar{o}$ < ძვ. სპ. xauda- ($\bar{o} > i$ სომხურისათვის დამახასიათებელი გადასვლაა).

86. შავი — „ყორნის ფერი“ (საბა).

აბაევის აზრით, მომდინარეობს ოსური სიტყვიდან saw 'შავი', (შდრ. სპ. siyāh, რომელსაც ფონეტიკურად არ შეეძლო მოეცა ქართ. შავი)¹.

ძალიან ხშირად ძველ ნასესხებში ოსურიდან სისინას ნაცვლად შიშინები გვაქვს (რაც თვით ოსურის დიალექტოლოგიით უნდა აიხსნას). შდრ. ავ. syāva- 'შავი', ძვ. ინდ. śyāva- 'მოშავო ყავისფერი'², ახ. სპ. siāh 'შავი', სკვით. Σιασχιος = ძვ. ინდ. śyavaka, სკვით. syāva 'შავი' > sāv (ოს. saw). ძალიან გავრცელებულია სკვითურ სახელებში.

Σιάσιος

Σιασχιος = syāva + ka

Σεσχιος

Σασχιος = saw + ag

¹ В. Абаев, О некоторых осетинских элементах в грузинском, 33-438 და შემდეგ.

² AirWb, გვ. 1631.

Σαυδάρται = ὀს. saw-dar-a-tæ ‘შავად მოსილნი’ = Μελάγχλαινοι — სარმატული ტომის სახელი.

Saurmag, Surmag — ქართველ მეფეთა სახელები ჩვენი ერის I საუკუნეში = saw ‘შავი’ + arm- ‘ხელი’ + -ag (სუფიქსი — ‘შავ-ხელა’. იხ. საკუთარ სახელებთან).

Σαυρομάται ‘სავრომატები’ (პეროდოტე), უფრო გვიან Σαρμάται ‘შავხელანი’ (პლინიუსი, ტაციტუსი) = ὀს. saw-arm-a-ta.

Βαγδθσαος = baxta-syāva (bağda-saw) ‘შავბელი’, ‘ბელშავი’ და სხვა¹.

87. ჩაფხატი — ‘ფეხსაცმლის სახე’ (კუთხ. მოხევ.—ს. მაკალათია, „ხევი“, 146).

ὀს. cæfxad ‘ნალი’, რომელსაც აბაევი² შემდეგ ეტიმოლოგიას უკეთებს: cæg + fad ‘რკალი, რგოლი ფეხისა’, cægfad > cæfxad (fx < xf < kf < gf).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ქართული ჩაფხუტი, ხომ არ მოდის ისიც ὀსურიდან *cæfxud < *cægxud ‘ჯაჭვის ქული’ cæg + xud = (ჯაჭვის ქული) > *cæfxut > ჩაფხუტი. შდრ. ὀს. xud ‘ქული’ (ბოტანიკ. ‘გვირგვინი’).

საინტერესოა ὀსური სიტყვები xotyxtæ ‘допехи’, xotyčyŋ ‘შეიარაღებული’, xotyxxæssæg ‘აბჯრის მტვირთველი’ და სხვა.

რა არის ამ სიტყვებში xot ელემენტი, ხომ არ არის იგივე xnt (xud) ‘საფარველი, ქული’?

88. ჩალ-გაჩალება — ‘გახურება, დაწყება, შედგომა’.

ὀს. cæğčyŋ : cæğč | cæğčduu : cæğč ძირითადი მნიშვნელობით ‘დაკვრა, რეკა’ (გაბერტყვა, გარეკვა, ჭედვა, განადგურება და სხვა).

აბაევის აზრით, დარტყმის ცნება უდევს საფუძვლად ყველა ამ მნიშვნელობას — ნამყოს მიმღეობის ფორმა cæğč გვიჩვენებს, რომ ძირი უნდა ყოფილიყო čæğ- (*čak-) და არა čæğč-. იგი უკავშირდება პამირის ზოგიერთ ენაში დადასტურებულ ზმნებს: პამირ. čak-, čok-, čuk- ‘დარტყმა, ცემა, კვრა’, იდგომანტიკისათვის მოტანილია სპ. zadān ‘ცემა, მუს. ინსტრუმენტზე დაკვრა’³ (ასევეა ქართ. დაკვრა, ცემა, ძნობა და სხვა). შდრ. ქართ. ‘ცეცხლის გაჩალება’, ‘ცეკვა-თამაშის გაჩალება’. იგი შეიძლება კავშირშია ავესტურ čakuš-თან ‘საცემელი, საკრავი, ჩაქუჩი’.⁴

¹ В. Абаев, ОЛФ, გვ. 184.

² მისივე, Историко-этимологический словарь, I, გვ. 294.

³ იქვე, გვ. 298—99.

⁴ В. Миллер, ОЭ, II, გვ. 184.

89. ჩონგა — (კუთხ. მოხევე.) 'დაჩეჩილი მატყლი, წრესავით დახვეული, მკლავზე წამოსაცმელად დართვის დროს'¹.

ეს სიტყვა უნდა მოდიოდეს ოსური სიტყვიდან *cong* 'ხელი' 'ტოტი'². შდრ. სპ. *çang* 'თათი' (ქართ. ქ ა ნ გ ი), *çangā*, ქურთ. *çing* 'ხელი, ფრთა', ზაზა *çingil* 'მხარი', ავღ. *caŋg* 'გვერდი', *cāng* 'ფრთა', *caŋgal* 'ხელი', ძვ. ირ. **çanğa*, ავ. *pəṣō*. *çingha* 'გაშლილი ბრკყალებით,' ოს. *cong* 'ხელი' ჩონგა = 'ხელზე დასახვევი, მკლავზე წამოსაცმელი'. შეიძლება არსებობდა ოს. ფორმა *congga* 'სახელო'.

90. ცალ-ი — „ორის ტოლისაგან ერთი“ (საბა).

ჩვენ ვფიქრობთ, ამ სიტყვას კავშირი უნდა ექონდეს ოსურ სიტყვასთან *cal* 'რამდენი, რაოდენი'. შდრ. *caldær* 'რამდენიმე', *calæm* 'რომელი' (რიცხვით)³.

ოს. *cal* ის ეტიმოლოგია ასეთია: *cy|ci* 'რა' + *wal* 'ოდენი', ე. ი. = ქართ. რ ა - ო დ ე ნ .

ჩვენ ვფიქრობთ, ფონეტიკურად იდენტური ქართული და ოსური სიტყვების დასაკავშირებლად არ არსებობს არც სემანტიკური დაბრკოლება: ცალ-ი = 'ერთეული, რაოდენობა'. ცალი — თუ მას უსწრებს რიცხვითი სახელი: ორი ცალი, ხუთი ცალი და სხვა, ნიშნავს ერთეულს (ე. ი. რაოდენობას, *штука*); ცალ-იდან არის ნაწარმოები ქართულში ცალკე, ე. ი. მარტოდ (*одиноко*), ცალიერი და სხვა⁴.

91. ცინ-|ცი- (გა-ცინ-ებ-ა, ი-ცინ-ის, და-ცინ-ვა, სი-ცი-ლი).

„და დავარდა აბრაჰამ პირსა ზედა თვისა და განიცინა გულსა თვისა და იტყოდა: უკუეთუ ასისა წლისასა ესუას და უკეთუ სარრა ოთხმეოც და ათისა წლისამან შეასრ“ (დაბ. 17 ო).

„აჰა-ესერა ვიცინი ყუედრებასა თქუენსა და არა ვიტყოდი, ვლადადებ და არავინაჲ არს საშჯელი ჩემი“ (იობ. 19 ო).

„და პირნი ქეშმარიტთანი აღავსნეს სიცილითა და ბავენი მათნი აღსარებითა“ (იობ. 8₂₁).

უეჭველია, კავშირშია ოსურ სიტყვასთან *cīn|cīnæ* 'სიხარული'. *cīn kæpyn* 'გახარება', *cīnziŋæd* 'სიხარული'.

¹ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, მოხვეური ლექსიკონი, გვ. 565.

² В. А б а е в, Историко-этимологический словарь, I, გვ. 313.

³ ი ქ ე ე, გვ. 28 ო.

⁴ ი. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ცალ- უკავშირდება ერთი მხრივ, დაღესტნურ ენათა ჯგუფის სიტყვებს (ცაჲ, ცეჲ, წაჲ=1), ხ.ლო ხეორე გზრივ, აფხაზურ-ადიღეურს (აფხაზ. ძალა); ქართველურ ენებში მას კანონზომიერი შესატყვისი არ მოეძებნება (იხ. ქართ. და კავკას. ენათა ბუნება და ნათესაობა, გვ. 291, 297). გ. კ ლ ი მ ო ვ ი ეკვის ქვეშ აღადგენს საერთო ქართველურ ფორმას *ცა- 'ერთი'. იხ. Этимологический словарь картвельских языков, გვ. 222.

ვ. აბაევი შესაძლებლად თვლის დაინახოს ოსურ სიტყვაში *ciŋ* რანული ძირი *čyā-*, ინდ. ევრ. **k_oye-* მნიშვნელობით 'განიცდიდე სიამოვნებას, განისუენებდე', ოს. *ciŋ*, მისი აზრით, ნაწარმოებია ირან ფორმიდან **čyaišna*, ისევე როგორც ოს. *xsiŋ* < ირ. *xšaišni-* დან¹.

ამ სიტყვას არა აქვს კანონზომიერი შესატყვისები მონათესავე ქართველურ ენებში და ეტიმოლოგია ქართულ ნიადაგზე არ უხერხდება. გ. კლიმოვი საერთო ქართველურისათვის აღადგენს ფორმას **cc-*ს სახით (ქართ. *ც*, მეგრ. *ძეც*, *ძიც*, *ჭან*. *ღიც*, *სვან*, *ცე*)².

ფ2. ციღვი — „დანა მოსაკეცი“ (საბა).

ჩვენ ამ სიტყვას ვუკავშირებთ ოს. *cyrğ|cirğ-*ს 'მჭრელი, მახვილი', *cyrğ kænyn* 'ლესვა', *cyrğag* 'ყოველგვარი მჭრელი იარაღი, მახვილი, ხანჯალი, დანა, ცელი, ნამგალი' და სხვა.

კანონზომიერად გამომდინარეობს ძვ. ირ. **tigra-*დან 'წვეტიანი, მახვილი' (*ti > ci*). შდრ. პამირ. *terğa*, *tirğ* 'მახვილი, მჭრელი', სპ. *tir* 'ისარი' (*tēz* 'მჭრელი'), საქ. *tīra*, სოლდ. **tirğ-* (*try-*), ავ. *tiyra-* 'მახვილი', *tiyri-* 'ისარი', ძვ. სპ. *tigra-* 'წვეტიანი' (*tigraxauda* = ოს. *ciŋxod*), ფუძეა *tig-* 'მახვილი'³.

ciŋ > ცირღი > ცირღვი > ციღვი.

ფ3. ცმელი — „ქონი გარდუმდნარი“ (საბა).

„და მოიღონ შესაწირავისა მისგან ცხოვრებისაჲსა ნაყოფად ღმრთისა ცმელი იგი გარდაბურვილი ქუსეტსა და ყოველი ცმელი მუცლისა“ (ლევიტ. 3₃).

„და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი, რომელ მათ ზედა არს, თირკუმელთა თანა მოჰკუეთის“ (ლევიტ. 3₄).

„ყოველი ცმელი მუცლისაჲ“ (ლევიტ. 3₁₄).

ცმელი < ცემ-ელი შეიძლება იგივე სიტყვაა, რაც ცხიმო (ცემ > ციმ > ცხიმო).

საბა ცმელის განმარტებას იძლევა სიტყვა ცხიმთან:

„ქონი არს ცხოელთა გუამთანი სიმსუქნე გარდადნობილი; ხოლო ცმელი იგივე ქონი გარდუმდნარი“ (საბა).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა კავშირშია ოსურ სიტყვასთან *сеш*, 'талый снег, сало на реке', რომლის წარმოშობა ცნობილი არ არის⁴. შდრ. მეგრ. ცემუ, ციმუ 'ნადული', ჭან. ციმუ 'ქონი'⁵.

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 312.

² Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 226.

³ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 325.

⁴ იქვე, გვ. 300.

⁵ გ. კლიმოვი საერთო ქართველურ ფორმად მიიჩნევს *ცმელ-ს, იხ. Этимологический словарь картвельских языков, გვ. 225.

94. ცოდ-ვ-ა. ცოდვალი—ცუდი, ბოროტი, „ავის მქნელი“ (საბა).

„ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქუ: კაცმან თუ ცოდოს წინაშე ღმრთისა არა ნეტსით ყოველთა მათგან ბრძანებათა ღმრთისათა, რომელ არა ჯერ-არს ყოფად, და ყოს ერთი რაჲმე მათგანი...“ (ლევიტ. 4₂).

„უკუეთუ მღღელთ მოძღუარმან მან ცხებულმან ცოდოს ესე ერისა ცოდვად და მოიბას ცოდვისა მისთვის, რომელ ცოდა, ჯბოჲ ზროხათაგან უბიწოჲ ღმრთისა წინაშე ცოდვისა მისთვის...“ (ლევიტ. 4₃).

შესაძლოა, ამავე ფუძიდანაა აგრეთვე ცთომა, ცთომილი, ცთუნება (ცოდ->ცლ->ცთ-).

„და ვიდრე-იგი ცთონასა მას შინა იყო მეფე იგი, ესუა მას ყრმაჲ წული, რომელ არა შობილ იყო ყრმაჲ ეგევითარი შეუნიერი მათ ჟამთა შინა“ (ბალაჰვარ. 9₁₂).

„რაი არს, ბალაჰვარ, ცთომილებაჲ შენი? ხოლო ბალაჰვარ პრქუა: მეფეო, არა ვარ მე ცთომილ, რამეთუ სიყრმით ჩემითგან ვამონებ ქრისტესა...“ (ბალაჰვარ. 15₃₁).

ცუდი — „ამაო გინა ბედითი“ (საბა). ცოდვა — ‘ავის ქნა’ (საბა).

იგი უკავშირდება ოსურ სიტყვას *cawd* (*caud'cyd*) ‘ცუდი, მდარე’, რომელიც წარმოადგენს ლექსიკალიზებულ ნამყოს მიმღეობას ზმნიდან *caawyn* ‘სვლა’, ე. ი. ‘წასული’. შდრ. რუს. ‘пошлѣн’, ლათ. *itus*¹. სიტყვები ცუდი, ცოდვა ძალიან ძველი ნასესხებებია ალანურიდან, ისინი დადასტურებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში. ამავე დროს, მათ კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში არ მოეპოვებათ.

შენიშვნა: ჩვეულებრივ *pxf* ოს. *caawyn* ზმნისა არის *cyd-|caud-*, მაგრამ ლექსიკალიზებულ ფორმებში ხშირად გვხვდება ძლიერი საფეხური სუსტის ნაცვლად. შდრ. *zoid* (*zyud*) ‘ჭკუა’, *amoud*, (*amyud*) ‘ბედი’ და სხვა. გ. კლიმოვი საერთო ქართველურისათვის აღადგენს ფორმას **kad-|kd-*².

95. ძრ-(ძრ-ვა) — ‘მოძრაობა’.

„იმაო, რა გითხრა, ძრვაცა არ ძალ-მიც ენისა,

ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა“

(ვ. ტყ. 881₂)

„შეაქცევს და ეუბნების საუბართა შეენიერთა,

¹ В. А ба сн, Историко-этимологический словарь, I, გვ. 293.

² **kad-|kd-* აღდგენილია სვანური კდ-|კად-ის მიხედვით — ‘ცთომა’. იხ.

Г. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 195.

მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის-ფერთა“
(ვ. ტყ. 893₂).

ნარგისათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია“
(ვ. ტყ. 1456₄).

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“
(ვ. ტყ. 1304₂).

„და იძრა და შეძრწუნდა ქუეყანა, და საფუძველნი მათათანი
შეშფოთნეს და შეიძრნეს“... (ფს. 17₈).

ძრვა = მიწის ძრვა -ს (საბა).

„ძრვისა და ქუხილისა გამოცხადება“ (ძვ. ქართ. ლიტ.
ქრ. 31₉).

„იანვარსა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღზნისა სავსებაჲ იყოს,
თუ იძრას — სიკუდილი დიად იყოს“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრ. 31₁₀).

ძარ-/ძერ- სიტყვებში: ძრ-ვ-ა, მო-ძრ-ა-ობ-ა, და-ვ-
ძარ, გან-ძრ-ევ-ა, მო-ძრ-ავ-ი, ი-ძრ-ვ-ის-ი და. სხვა,
ჩვენი ფიქრით, უკავშირდება ირანულ ზმნურ ფუძეს zar-|zray-
‘მოდრაობა’, ძვ. ინდ. jar-|-jray, რომელსაც ჰ. ბელი ხედავს
შემდეგ ირანულ სიტყვებში: ავ. zrayah ‘ზღვა, ტბა’, ძვ. სპ. dray-
ah- ‘ზღვა’, ფალ. zrēh, drayāp ‘ზღვა’, ახ. სპ. dīryā. ამავე ფუძეს
განაკუთვნებს იგი ოსურ ზმნას ævzærɣu ‘აღმოცენება, გაჩენა’¹:

რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო ეს ძირი უეჭველად
სკვითურ-ალანური გზით მომდინარედ ჩავთვალოთ; შესაძლებელია,
იგი საშ. ირანული დიალექტებიდან შემოსულიყო. მაგრამ შესაძ-
ლოა ეს სიტყვა ეკუთვნოდეს ისეთ სიტყვათა რიგს (უმთავრესად
ზმნური ფუძეებისას), რომლებიც ქართულმა შეითვისა ჩრდილო-
ირანულიდან, ხოლო ოსურმა აღარ შემოგვინახა ამ მნიშვნელობით.

მს. ძეწკვი — „წვრილი ჯაჭვი“ (საბა).

ჩვენი ფიქრით, სიტყვაში ძეწკვი უნდა გამოიყოს ფუძე წკ-
(<ცეკ). ეს სიტყვა დადასტურებულია ოსურში ფორმით ძეჯ ‘რგოლი,
რკალი, რკალისებური საგანი’. შდრ. qūscaǰ ‘საყურე’ (ყურის რგო-
ლი), caǰxad <caǰfad ‘ნალი’ (ფეხის რგოლი), žǰærcæǰ|æsqærcæǰ
‘რგოლი, რომლებიგანაც ჯავშანი (ჯაჭვის პერანგი) კეთდება’,
ძეჯცაჯ ‘წნელი, რომლისგანაც რგოლს აკეთებენ’ და სხვა. ამ
სიტყვას შესატყვისები მოეპოვება კავკასიურსა და უნგრულ-ფინურ
ენებში: ვეინახ. č’uǰ ‘რგოლი, საყურე’, ჩერქეზ. č’ūk’ ‘κρυφοκ’,

¹ H. Bailey, Indo-Iranian Studies, Transaction of the Philolo-
gical Society, 1953, გვ. 33 — 36.

ბალყ. ზჸკ 'კვანძი, კილო, რგოლი', სვან. ძაგ 'поднятник мельницы'. მეორე მხრივ, კომი ძიუგ 'крюк'¹, ძჰაგ 'კვანძი, კილო', უნგრ. czege. აბაევის აზრით, ეს ფუძე ირანულ ენებში არ ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლოა ეს იყოს სპ. كج 'ნახვრეტი, ჭუჭრუტანა'. ქართული ფორმა მიღებულია შემდეგნაირად: სე-ცეკ-უ > სე-წკ-უ > წე-წკ-უ > ძეწკუ².

97 ძნ- (ძნ-ელ-ი, ძნ-იად და სხვა).

„ხოლო ამიერითგან მიყუარს სიცოცხლე და მიძნავს სიკუდილი“ (ბალაჭვარ. 101₂).

„ანუ -მე ვერ გულ-პყრობილ ხარ მოწყალებათა მიმართ უფლისათა და გიძნავს მისლვაჲ წოდებასა მისსა...?“ (ბალაჭვარ. 152₁₈).

„მოვედით და მივკლათ მართალი იგი, რამეთუ განმადნებელ ჩუენდა არს“ (სინ. მრ. 56₂₂).

„ნუუკუე ვინმე ძნ იად მსმენელთაგანმან იკადროს და თქუას...“ (სინ. მრ. 202₃).

„მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჳირთა უფრო ძნელია“ (ვ. ტყ. 36₁).

„მიჯნურობა არის ტურთა, საცოდნელად ძნელი გვარი“ (ვ. ტყ. 24₁).

ძნელი — „გარჯით საქნელი“ (საბა). ძნ იად, ძნ იად ი, საძნო და სხვა. შეუძნ და, ძნ-ავს.

ვ. აბაევი უკავშირებს ოსურ სიტყვას ჰყინ|ჰინ იმავე მნიშვნელობით³. გ. ახვლედიანის აზრით⁴, ქართული ძნელი შეიძლება აეხსნათ ქართულ ნიადაგზე ძინ-ძნ-ძენ-ძირიდან გამოსვლით და მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი პირიქით—ქართულიდან ოსურში სესხების შესახებ, თუ არ ჩავთვლით ოსურ ჰყინ|ჰინ-ს ირანულიდან მომდინარედ (შდრ. ავ. ჰინაიტი 'ენებს').

ჩვენი ფიქრით, ქართული ძინ-ძნ-ძენ-ძირის ეტიმოლოგია არ არის გარკვეული, რა არის მისი ამოსავალი მნიშვნელობა?

ა. ჩიქობავა ამ ფუძის შესახებ შენიშნავს: „ქანურსა და მეგ-

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I. გვ. 295.

² ქართველოლოგიურ ლიტერატურაში (ნ. მარიდან მოყოლებული) ჯაჭვი მიჩნეულია ზანურ ფორმად ქართული ძეწკვისა. გ. კლიმოვი აღადგენს საერთო ქართველურის სახით ფორმას *ძეწუ, ხოლო ჯაჭვი მეგრულიდან შეთვისებულად მიაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, ჯაჭვიცა და ძეწკვიც ქართულია, შეთვისებული ირანულიდან სხვადასხვა დროს.

³ В. Абаев, О некоторых осетинских элементах в грузинском языке, გვ. 440.

⁴ Г. Ахвледиани, Сборник избранных работ, გვ. 139—140.

რულში ამ ფუძის შესატყვისი არა ჩანს, რომ ფუძის დაშლა გაგვიადვილოს; განყენებული წარმოებაც სი-გრძ-ე-ს ტიპისა (-ელ სუფიქსის არ მქონე) ცნობილი არაა. მაინც შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ -ელ აფიქსია; ნასახელარი ზმნებია ამის საფუძველი: შეუძნდა, უძნდა, ძნავს, ძნ-იაღ¹.

ფუძე ძნ- უქვევლია შეკუმშულია და ძინ ან ძენ-ისაგან მომდინარეობს, რომელიც ემთხვევა ოსურს და დამოუკიდებლადაც უნდა ხმარებულიყო სახელის მნიშვნელობით.

არის ფორმა ძნ-ივ, რომლისგანაც ა. ჩიქობავა თვლის მიღებულად ძნივად > ძნიაღ-ს. შდრ. ოს. დიგ. zinau-minau, ირონ. zyua-næ zyua 'ძლივძლივობით'; შეიძლება ძნივ > ძლივ > ძლივ-ს, ძლივ-ძლივობით. ოს. zyn|zin-ისათვის ამოსავალია ავესტური zyāna- 'ვნება, ზიანი' ან zyānā 'ზიანი', ინფინიტივი zyānāi 'ვნება'. ზმნის ფუძეა zyā-, ძვ. სპ. diyā- 'ვნება, ზიანის მიყენება', აწმყო zina, dina, dīn, pfp. dīta 'წართმევა, წაღება', 'გამოძალვა'².

ხომ არ არის ამასთან კავშირში მ-ძიმ-ე-ც 'ქვევით დამზიდველი' (საბა), მიღებული მ-ძინ-ე-საგან? შდრ. ოს. zyn fændag 'მძიმე გზა, ძნელი გზა'. შეუძნდა = დაუმძიმდა, რუს. тяжелею 'მძიმე, ძნელი'³.

98. ძუნძული — „სღვისა და სირბილის საშუალსა ძუნძული ეწოდების“ (საბა).

ოს. tyuzyn 'სწრაფვა, აჩქარება', დიგ. tuzmun — id.

tuz > თუნძ > ძუნძ-ული.

99. წევ- (და-წევ-ა, მი-წევ-ა, მ-წევ-არი, მო-სა-წევ-ელ-ი და სხვა).

ჩვენი ფიქრით, შესაძლებელია დაუკავშირდეს ოსურ ზმნას cæwyn : cyd | cæwun : cud 'სვლა, გამგზავრება' და სხვა. შეადარეთ caw 'შემთხვევა', cwan 'ნადირობა', cæwæt 'შთამომავლობა' და სხვა. ავ. šāv- šyav- : šuta-, ძვ. სპ. šiyav-, ძვ. ინდ. śyav-. უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური შეხვედრები გვაქვს ყველა ნაზმნარ ნაწარმოებ ფორმაში, რომ არაფერი ვთქვათ აშკარა ფონეტიკურ სიახლოვეზე. გადასვლა c > წ სავესებით შესაძლებელია და ბუნებრივი ოსურ ქართულ ბგერით შესატყვისობათა მიხედვით, მაგრამ გადასვლა ცვე- > წევ- შეიძლება აიხსნას აგრეთვე ომონიმიური სუპერაციით, რამდენადაც ძირი ცვე- უკვე გვექონდა ქართულში მნიშვნელობით 'დაცვა, ფარვა'.

¹ ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 37.

² AirWb, გვ. 1700—1701.

³ А. К а с а е в, Осетиноско-русский словарь, гв. 332.

„მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ჰინდოთა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი ამის სოფლისანი, ფრად სარგებელნი სულისანი“ (ბალაჰვარ. (ბ) 3_გ).

„მიიწევის ყრმაჲ ესე დიდებასა მეფობისასა, რომელ არავინ მიწევნულ არს ეგევითარსა მეფობასა და სიმაღლესა ქუეყანასა ჰინდოეთისასა“ (ბალაჰვარ. 9_ჲ).

„წიგნი წიგნსა ეწეოდა; დედოფალი ოდეს შობდა, მოციქული—მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა“, (ვ. ტყ. 323₁).

„ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი; წამოვე, წევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მღევარი“ (ვ. ტყ. 539₁₋₂).

100. წით-ელ-ი (წით-ხ) — „ცეცხლის ფერი“ (საბა).

„შე-რაჲ-მწუხრდის, სთქვთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წით ს ც ა ჲ...“ (მათე, 16₂).

გ ა ნ წ ი თ ნ ი ს ც ა ჲ...

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა. მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა“ (ვ. ტყ. 552₁).

„მეფემან ბრძანა: „მოკაზმეთ საწოლი უფლის-წულისა“! დაუდგეს ტახტი ოქროსა; წითლისა მალრიბულისა“ (ვ. ტყ. 1188₂).

„სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა ტევრები“ (ვ. ტყ. 1336₂).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა კავშირშია ოსურ-დიგორულ ფორმებთან c'etun : c'itt 'ნათება, განათება' და c'ita 'სხივი' (მცირე სინათლისა) = ირონ. ruxsy c'yrt¹. ზანურში გვაქვს ჭითა². წით-ს—წითლობს (საბა), ე. ი. 'განათებულია'.

101. ყვენ- (ყუნ-) ყვინი — 'თმა', საყვიენელი, 'სამართებელი', დაყვენა 'თმის გადაპარსვა'.

ეს სიტყვა შეთვისებულია ოსურ-ალანურიდან. ოს. qwyn | ḡun 'თმა, ბეწვი', ქართ. ყუნი. ქართულში დაყვენა-ს ანალოგიურად არის ნაწარმოები ზმნები პარსვა და ვარც-ხ-ნა, საშ. სპარ-

¹ ОЯФ, გვ. 446, 447.

² ამ სიტყვის შესახებ არნ. ჩიქობავა შენიშნავს: ჭით- კანონზომიერად შეესატყვისება წით-ს, ელ- ქართული დეტერმინანტი სუფიქსია; ჰან. მეგრულში მის ადგილს იკვრს -ა (იხ. შდრ. ლექსი, გვ. 234 — 35).

სული სიტყვიდან *vars* 'თმა' და 'რისვა'—სიტყვიდან რისვი 'მატყ-
ლი, ბეწვი'¹.

„მას დღესა დაჰყვნოს უფალმან საყუნველითა მით დამტრვა-
ლითა წიად მდინარესა მეცისა ასურასტანელთაჲსა თავი და თმაჲ
ფერტთაჲ, და წუერი დაჰყვნოს“ (ესაიასი, 7₂₀).

„დავეწო გვრგვინი ჩემი და დავსცე საყდარი ჩემი და დავი-
ყვნო თავი ჩემი და შევერთო რიცხუსა მონაზონთასა“ (ბალაჰ-
ვარ. 113₂₄).

„ხოლო ნეტარსა ევსტათისა და სხუათა მოყუასთა მისთა ბრძა-
ნა თავისა და წუერისა დაყუენაჲ...“ (ე. მცხ. 164₂₅).

102. ხაბიზგინი — 'ხაბიძგინი', „ხავიწივით რაიც“ (საბა). ხავი-
წი — „ფქვილი ერბოთი მგბარი“ (საბა).

ოს. *xəbɨzʒɨn* 'ხაჰაპური' (*широг с сыром*).

პირველი ნაწილი *xəbɨz* იგივეა, როგორც ჩანს, რაც ქართული
ხავიწი, მეორე ნაწილი *ʒɨn-|ɣɨn-* წარმოადგენს ოსურ სუ-
ფიქსს. შეადარეთ *fɨlʒɨn* 'широг с мясом' 'ხორციანი' (შეადარეთ,
ყველიანი, ლობიანი, ხავიწიანი).

ხაბიზგინი პირველად, აღბათ, ხავიწიან ნამცხვარს ნიშნავდა
და მერე გავრცელდა საჰაპურზეც.

103. ხავსი (ხას-ხასა, ხას ხას-ებ-ს)—მ-ხავსი (საბა).

ჩვენი დიქრით, მომდინარეობს ოსური სიტყვიდან *xos|xwasə*
'თივა, წამალი'. შდრ. საქ. *hvasa* 'ბალახი'², *xos* 1. თივა, 2. წამა-
ლი³ (ცალახი→წამალი).

104. ხეტიალი (დაეხეტება)—'უთაებოლო სიარული'.

ოს. *x·tɨn|xætun* 'სიარული, ხეტიალი⁴, მომთაბარეობა', *xætæn*
'ხეტიალი, მგზავრობა' (*пoчoд*), *xætɣə* 'მოხეტიალე, მომთაბა-
რე' და სხვა, *xætəɣ* 'მოხეტიალე, მომთაბარე', შდრ. ავ. *hād-* 'მი-
მართვა, სწრაფვა'⁵.

105. ხიდი — 'წყალზე გადასასვლელი საშუალება'.

„და ვითარცა მიიწნიეს ჯიდსა მას ციჯისასა, ჰრქუა პიტიახმ-
მან წმიდასა შუშანიკს...“ (მარტ. შუშ. 28₁₉).

¹ მ. ანდრონიკაშვილი, „პარსეა“, „ვარცხნა“ და „დაყვენა“ სიტყვების
წარმოშობისათვის, თსუ შრომები, ტ. 93.

² Осетинско-русский словарь, გვ. 382.

³ ОИФ, გვ. 58.

⁴ იქვე, გვ. 485; Осетинско-русский словарь, გვ. 390.

⁵ AirWb, გვ. 1802.

„და შთაყარეს დიდსა მას მდინარესა, ქუეშე ჯიღსა მას ქალაქი-
სასა, რომელსა ზედა აღმართებულ იყო პატიოსანი ჯუარი ჯიღი-
საჲ“ (აბო, 75₁₀).

„ხოლო დევნა უყვეს მთავართა სომხითისათა, მიუსწრეს ვიეთ-
მე ჯიღსა, და რომელთამე მოუსწრეს ფონსა და იწყუდინეს იწ-
როსა შინა“ (ლ. მრ. 38₁₅).

„და მიიწივნეს ქალაქად მცხეთად წიალ ჯიღსა ზედა, და დაად-
გეს მუნ“... (ლ. მრ. 54₁₁).

ოს. *xid|xed* ‘ხიდი’, უნგრ. *hid* ‘ხიდი’, ავ. *haetu*, სანსკრ. *setu*¹, ავ. *haetumant* — მდინარის სახელი „ჰილმენდი“, სიტყვა-
სიტყვით „*reich au Dämmen*“.

არის მოსაზრება, რომლის მიხედვით ხიდი ქართული სიტყვაა, ნაწარმოები ზმნისაგან ჯდომა — გადაჯდომა; ჯიდი, ე. ი. გადასაჯდო-
მი, გადასასვლელი, (გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური
კონსონანტური სისტემა, 1965, გვ. 21).

106. ხირაგა (კუთხ. ლეჩხუმ.) — ‘ვირის უნაგირი’ (ხისა).

გ. ახვლედიანის აზრით, იგი უნდა მომდინარეობდეს ოსური-
დან *xærgæ* ‘ვირი’.

ტერმინი ხირაგა ლეჩხუმურ ლექსიკონში² მ. ალავიძეს გან-
მარტებული აქვს, როგორც „სამუეხა ავეჯი, რომელსაც იყენებენ
ჯორების დასაჭედად“. გ. ახვლედიანი ამაზე შენიშნავს, რომ ბავ-
შობაში თვითონ იყო მოწმე, რომ შინაურობაში, როდესაც სპე-
ციალური მოწყობილობა არ ჰქონდათ ხარების დაჭედვის დროს, ხმა-
რობდნენ ხირაგას — ეს არის პრიმიტიული დასაკეცი ხის უნაგირი³.

107. ჯორცი — ‘სხეული’, ‘плоть’, ‘мясо’.

„და ჭამონ ჯორცი იგი მწუარი ცეცხლითა და უცომოჲ ვე-
ლის ყრდელისა თანა ჭამედ“ (გამოსვლ. 12₉).

„ველთა ღმრთისათა შევჰვედრებ სულსა ჩემსა და ველთა თქუ-
ენტა ჯორცსა ჩემსა“ (გრ. ხანძთ. 30₂₈)

ქართული სიტყვისათვის ამოსავალია, ჩვენის ფიქრით, სკვითურ-
ალანური **xorc* ‘საკეები’, ხორცი, ირან. **xarθi*, ‘საკეები’, ძირი-
დან *x'ar-* ‘ჭამა’, შდრ. ავ. *x'arθ'a*, ‘საკეები, საჭმელი’. ოსურში
წარმოდგენილია როგორც *xælc* ‘საკეები’⁴, *xæryn* ‘ჭამა’. შეადა-
რეთ ანალოგიურად ნაწარმოები ავ. *pitu*⁵ ‘საკმელი ჯორცი’, ძი-

¹ В. Абаев, О некоторых осетинских элементах в грузинском, გვ. 439 — 40.

² ქართველური ენების ლექსიკა, I, 1938, გვ. 163.

³ Г. Ахведиани, Сборник избранных работ, გვ. 200, შენიშვნა 3.

⁴ А. Касаев, Осетинско-русский словарь, გვ. 384.

⁵ AirWb, გვ. 905.

რიდან *pi*-pai- 'კვება, ჭამა' ჯდა ოს. fyd|fid 'ხორცი'¹, ფალ. pit. 'ჯორცი', piden 'ხორციელი'. ქართულის იდენტური ფორმით ეს სიტყვა გვხვდება მეგრულსა და ჭანურშიც. ამოსავალ არქეტიპს ქართულ-ზანური არეალისათვის გ. კლიმოვი აღადგენს *qorc-ის სახით და იქვე შენიშნავს, რომ დასაზუსტებელია ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა².

108. ჯიკა — (რაჭ. დიალექტ.) 'რძეში მოზედილი ყველიანი პური'.
ჯიგანა — „ავი პური“ (საბა).

ოს. zykka|zikka 'ფქვილისა და ახალი ყველის ფაფა', ნაწარმოებია, აბაევის აზრით, სიტყვიდან cyxt|cičd 'ყველი', რომელსაც ბავშვის ენაზე ეწოდება zykki (ე. ი. = ქართ. ფია, ფიფია). შდრ. მოხევ. აჯიჯიკა 'ერბოში მოხარშული ახალი ყველი',³ რაჭ. ჯიკა 'რძეში მოზედილი ყველიანი პური'.⁴

სკვითურ-ალანურ-ოსური წარმომავლობის საკუთარი სახელები

პირის სახელები. სკვითურ-ალანურ-ოსური პირის საკუთარი სახელები გვხვდება სხვადასხვა ხასიათის ქართულ წყაროებში: ეპიგრაფიკულ ძეგლებში, საისტორიო წყაროებში, დიალექტურ ლექსიკაში. მეტი წილი სკვითურ-ალანური წარმომავლობის სახელებისა, რომლებიც მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ბერძნული და არამეული დამწერლობით შესრულებულ წარწერებში დადასტურდა, ისე როგორც ქართულ ისტორიულ წყაროებში დამოწმებული სახელებისა, გაანალიზებულია ვ. აბაევის მიერ. მის მიერ სკვითურ-ალანური წარმომომბისად მიჩნეულია შემდეგი სახელები: ზევახ, იოდმანტან, ქსეფარნუგ, შარგას, ასფაგურ, ბევრაზურია, საურმაგ, ვახტანგ, ალდე, ალუდა, აფშინა, იახსარი და სხვა.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალიდან აღნიშნულ ნუსხას შეიძლება დავმატოს ქართულ საისტორიო წყაროებში, დიალექტურ ლექსიკაში და მეგრული წარმომომბის გვარებში დადასტურებული რამ-

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 488—489.

² Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 266.

³ ს. მაკალათია, „ხევი“, გვ. 108.

⁴ Историко-этимологический словарь, გვ. 403.

დენიმე სახელი. ქართული ონომასტიკონის უფრო საფუძვლიანი შესწავლა, ჩვენი ფიქრით, კიდევ გამრავლენს, რამდენიმე მსგავსი წარმოშობის პირისა და გეოგრაფიულ სახელს. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პირის სახელები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ე. წ. მეფეთა ნუსხიდან: გარდა უკვე აღნიშნული საურმაგისა, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ სახელები: აზო, არსუკ, არიკ, ქარძამ, ლაღამ, ასფაგორ და ზოგი სხვა. უმრავლესობა აღნიშნული სახელებისა განხილული იქნება ქვემოთ, საეციალურ თავში ირანული საკუთარი სახელების შესახებ. აქ ჩვენ წარმოვადგენთ ზემოხსენებული მეფეთა ნუსხის სახელებიდან მხოლოდ აზოს ანალიზს.

აზო — პირველი ქართველი მეფე მცხეთაში.

„და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა: აზოჲ ძე არან ქართლისა მეფისაჲ: და: მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად...“ (მოქც. ქართ. 709₂).

„და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა: აზოჲ, ძე არან ქართველთა მეფისაჲ“ (მოქც. ქართ. 709₃).

„ესე აზოჲ წარვიდა: არან ქართლად მამისა თჳსისა. და წარმოიყვანა. რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძძუტანი: და დაჯდა ძუელ მცხეთას...“ (მოქც. ქართ. 709₆).

ჩვენი ფიქრით, სახელი აზო შეიძლება დავუკავშიროთ მასთან ფონეტიკური თვალსაზრისით ყველაზე ახლოს მდგომ სკვითურ სახელს *Azōs*; ამის უფლებას გვაძლევს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ მეფეთა ნუსხაში დადასტურებული სკვითური წარმომავლობის სხვა სახელები ჩამოთვლილი წარმართი მეფეების სახელების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. შეადარეთ, *Azōs Oaxazax[κ]is* (TANAIS II, 448, 13 (225^p) და *Azax[κ]is Oaxazax[κ]is* (OLBIA, I², 86, 10).

მ. ფასმერის აზრით, აღნიშნული სახელისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ძველი ირანული **azā* ‘თხა’, აღდგენილი სანსკრიტული *ajā* ს ‘თხა’ და საშ. სპ. *azak*-ის ‘თხა’ საფუძველზე¹, რაც სავსებით შესაძლებელია, რამდენადაც სკვითური *z* (ირ. *z*) ბერძნულში ჩვეულებრივ *z*-თია გადმოცემული. აღნიშნულ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ლადისლავ ზგუსტაც².

ოვსთა სახელებიდან, რომლებიც ქართულ საისტორიო წყაროებშია დადასტურებული, აღსანიშნავია შემდეგი:

¹ იხ. M. Vasmer, *Iranier in Südrussland*, Leipzig, 1923, გვ. 31.

² L. Zgusta, *Die Personennamen*, გვ. 62; იხ. აგრეთვე, F. Justi, *IN*, გვ. 54.

ოვსი ქალების სახელები

1. ალდე — აფხაზეთის მეფის გიორგი XI მეუღლე. ბიზანტიელი ისტორიკოსები მას ალანს უწოდებენ, ხოლო ქართული წყაროები ოვსს. იგი წარმოადგენს ოსურ ეპოსში გავრცელებულ ქალის სახელს *Eldæ, Aldæ*¹.

2. ალთუნი — ოვსის ქალი, მეფე დავით VI მეუღლე.

„ამათ ჟამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რაჟეთუ ჯილდამან არა შვა შვილი. ამისთჳს ინება მეფემან მოყვანა, შვილიერებისა ძლით, ალთუნ, ნათესავით ოვსი, მეუღლედ, აღმთქმელმან, უკეთუ მიეცეს ყრმა-წული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს“ (ჟამთ. აღმწ. 236₂₀).

„და აქა შინა განიშორა საყუარელი თჳსი ალთუნ, ნათესავით ოვსი, რომელი ფრიად ქმნულ-კეთილ იყო“ (ჟამთ. აღმწ. 237₂).

როგორც ჩანს, ჩვენ აქ გვაქვს თურქული წარმოშობის სიტყვა *altun* 'ოქრო', პირის საკუთარ სახელად გამოყენებული ოსურში. შეადარეთ ოსური ქალის სახელი *Zærinæ* 'ოქრო', რუსული *Злата* და მისთანანი.

3. ბორენა (შორენა) — ოვსთ მეფის ასული, ბაგრატ IV მეორე ცოლი.

„და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთაისს შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფისა ასული, დაჲ დორღოლეღისა“ (მატ. ქართ. 295₄).

„და მოვიდა დედა მისი მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარიამ“ (მატ. ქართ. 314₉).

ბორენა ირანულში საკმაოდ გავრცელებული ქალის საკუთარი სახელია. პირველად იგი დადასტურებულია *Bōrān*-ის სახით (ხოსრო მეორის ასული) 631 წლის საშ. სპარსული მონეტის წარწერაში. უფრო გვიან გვხვდება ფორმები *Bōrbambišn*, *Būrān*, ბერძნ. (თეოფანესთან) *Βοράνη* და სხვა².

ეტიმოლოგია იუსტისთან მოცემული არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, ეს სახელი სკვითურ-ალანური წარმოშობისა უნდა იყოს. იგი, ალბათ, წარმოებულია ოსური სიტყვიდან *būr|bōr* 'ყვითელი', 'წაბლისფერი', შეადარეთ სკვითური საკუთარი სახელი *Bōræzioc* 'ვისაც წაბლა ცხენი ჰყავს'. *Borinæ* ოსურში შეიძლება ნიშნავდა 'წაბლისფერ

¹ ОИФ, გვ. 42.

² F. Justi, I N, გვ. 70.

ან ყვითელთმიანს'. შეადარეთ ხūr k'yzg 'ქერათმიანი, ოქროს-
ფერთმიანი' ¹ გოგონა'. წარმოების თვალსაზრისით შეადარეთ Zā-
rinæ — ქალის სახელი ოსურში, სკვით. Zarina — სკვითთა დე-
დოფალი (ქტესიოსი), ნაწარმოები სიტყვიდან zaraufa- 'ოქრო,
ოქროსი' ².

4. ბურდუხან — გიორგი III მეუღლე, ოვსთა მეფის ხუდდანის
ასული.

„და მოსცა ღმერთმან შვილი გვრგვინის ცოლსა თანა ბურდუ-
ხანს“... „ამას თუსსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მანამან, ასული
მეფისა ხუდდანისი, სახელითა ბურდუხან, ესე თვთ მზეა მზეთა
შუენებითა და მომფენაობითაცა...“ (ისტ. აზმ. 4₂).

„შემყრელმან შეიდთავე სამეფოთა მისთამან აწვა დედოფალთ
დედოფალი, ბედნიერი და სუანი ცოლი მისი ბურდუხან და
შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალეა თულთა მათთა,
და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვრგვინი ყოველთა კელმწიფეთა“.
(ისტ. აზ. 20₁₁).

„დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ... შვილი მეფეთ-მე-
ფისა გიორგისი... ცოლისაგან ბურდუხან ოვსთა მეფისა ასუ-
ლისა, რომელ ჰმატდა სიკეთესა დედათასა სხუთა ყოვლითა,
გარნა თამარის დედობითა, სძალი სხუა მისებრი მაშინ არა ეხილ-
ვა ქართლისა თემსა და შემდგომითი შემდგომად აქონ“ (ბას. ეზ.
116₁₁).

პირველ ელემენტად სახელისა ბურდუხან შესაძლებელია
გვქონდეს ოსური burdæu 'ქარიშხალი' (метеель). burd, აბავეის
თქმით, შესაძლებელია იყოს ნამყოს მიმღეობის ფორმა ზმნიდან
bur- (შდრ. læbūr-yn | læ-bor-un 'გლეჯა, მივარდნა') — შდრ. რუს.
'буря', ძვ. ინდ. bhur- 'მოძრაობა, ძგერა, თრთოლა' და სხვ., ლათ.
furo 'ვშფოთავ, ვდრტვინავ' ³. მეორე ნაწილად გვაქვს თურქული
xan(yu). სახელი burdæ ან burdæu შეიძლება ნიშნავდა 'მშფოთვა-
რე, ქარიშხალა' ან მსგავსი რამ. შეადარეთ ქართული სახელი
ბურდუქა, გვარი ბურდული.

5. ლიმაჩავ — 'დედაკაცი ლტოლვილი', როგორც ჩანს, ოვსი.

„ამათ ჟამთა გარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი,
დედაკაცი საკვრველი, სახელით ლიმაჩავ, და მან მოიტანნა
შვილნი მცირენი, ნათესავით ახასარფაკაიანნი, პირწმო ფა-
ჩეჯ(ა)ნ და უმრწამესი ბაყათარ...“ (ჟამთ. აღმწერ. 251₆).

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 271.

² ОЛФ, გვ. 190.

³ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 273.

ჩვენი ფიქრით, სახელს ლიმაჩავ შეიძლება მოეძებნოს ეტიმოლოგია ოსური ენის საფუძველზე, სახელდობრ, აქ გვეკონდეს ოს. სახელი *Limæncaw* 'საყვარლად, ლამაზად მოსიარულე' (*с приятной походкой*), სადაც პირველ ელემენტს წარმოადგენს ოს. *limæw* 'მოყვასი, მოყვარე' (< ძვ. ირ. *friman*, ინდ. *preman*, შეადარეთ სკვით. *φλιμαχαιος*, *λείμανος*, *λίμναχος* და სხვა, ქალის სახელი *λείμειη*)¹, ხოლო მეორეს *caw* (დიალექტ. *čaw*), ძირი ზმნისა *cæw-yw* 'სვლა' (ზღრ. *xos-čaw*, *bon-caw* და სხვა)².

ოვსი მამაკაცების სახელები

1. ბაყაძარ — ოვსი მეფეებისა და ბუმბერაზთა სახელი (ყველაზე ხშირად გვხვდება ოვსთა სახელად).

ა) ბაყათარ — ოვსი ბუმბერაზი და გოლიათი, მოკლული ვახტანგ გორგასალის მიერ.

„და მეორესა დღესა სხუა გამოვიდა ბუმბერაზი ოვსთაგან, რომელსა ერქუა ბაყათარ“ (ჯუანშ. 154₃).

„მოდგა ესე ბაყათარ პირსა მდინარისასა და ჳმა ყო ჳმითა მალლითა და თქუა...“ (ჯუანშ. 154₈).

„და ვერა ჰკრა ისარი, ორისა ისრისაგან მეტი, ბაყათარ ფარსა ვახტანგისსა, და ვერ ჰკუეთ ყოვლად. და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისსა, და გააგდო შიგა. და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუჯდა ზედა და უხეთქნა ჳრმალი მჳარსა ბაყათარისსა, და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“ (ჯუანშ. 155₁₀).

ბ) ბაყათარ — მთავარი ოვსი.

„მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“ (მატ. ქართ. 261₁₃).

გ) ბაყათარ — ლტოლვილი დედაკაცის ლიმაჩავის უმცროსი ვაჟი ახსარფაკიანი.

„...და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავით ახსარფაკიანნი, პირმშო ფარეჯან და უმრწამესი ბაყათარ...“ (ქამთ. აღმწერ. 251₇).

დ) ბაყათარ — მთავარი ოვსთა.

„...რამეთუ წინარნი თათართანი იყვნეს ქუენიფლეველი შალვა, და ოვსთა მთავარი ბაყათარ, და მუხნარს მდგომი თათარი ბანთანალუთ...“ (ქამთ. აღმწერ. 305₁₁).

¹ ОЯФ, გვ. 165; L. Zgusta, Personennamen, გვ. 163—164.

² В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 292 და 307.

„ამისთვის იშლებოდა ქუეყანა ქართლისა, და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო და აოჯრებდა ქართლსა, თრიალეთსა, განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ქირი დიდი მკვდრთა ქართლისათა“ (ქამთ. აღმწერ. 316₂).

სახელი ბაყათარ მონღოლური წარმოშობისაა. პირის სახელად იგი პირველად გვხვდება ოსური ენის უძველეს ძეგლში ე. წ. „ზელენჩუკის წარწერაში“ ბერძნული ასოებით Παζαμιαρ (-Bæqatær). ზოგად სახელად გავრცელებულია თანამედროვე ოსურშიც ხæğatyr | ხæğatær ‘მამაცი, გმირი, გოლიათი’, რომელიც საფუძვლად უდევს ხევსურულ სახელს ბაღათერა.

ეს მონღოლურ-თურქული სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ენებში როგორც ზოგადი, ისე საკუთარი სახელის სახით. შდრ. თურქ. და მონღ. bağatur, bağadur, რუს. бора-тырь, სპ. bahādur, საიდანაც ქართულში სახელი ბაღათერი გვაქვს. შდრ. აგრეთვე მეგრული გვარი ბაღათურია (თურქული გზით).

bağatur-ის გვერდით თვით მონღოლურ-თურქულში გვხვდება ფორმები baatur, batur, batyr; უკანასკნელი ფორმა დაცულია ოსურში ნართული ეპოსის გმირის Batraz-ის¹ სახელში, ხოლო ხევსურულში წარმოდგენილია ბათირას სახით.

2. დორღოღელი — ოვსთა მეფე, ბორენა დედოფლის ძმა.

„და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, და დორღოღელისა“ (მატ. ქართ. 295₆).

„და გამოიყვანა დორღოღელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა, და წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოჯრა განძა...“ (მატ. ქართ. 313₆).

„ამისა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოღელმან დისიძისა მათისა ბაგრატისა სევასტოსისათს, და ითხოვა დარბაზობა ბაგრატისაგან“ (მატ. ქართ. 313₉).

სახელში დორღოღელი შესაძლებელია გამოიყოს ფუძე დორღოღ-, რომელიც აიხსნება ოსურ ნიადაგზე, როგორც darğğ-un ‘გრძელთმიანი’, შეადარეთ ფორმები darğğzykku ‘გრძელნაწნავა’, darğğzak’e ‘გრძელწვერა’, darğğruxi ‘გრძელულვაშა’² და სხვა. darğğ ‘გრძელი’, ḡun- ‘თმა’ (დიგორული ფორმა). დაბოლოება ელ, თუ იგი ქართულ სუფიქსად არ მივიჩნიეთ, შესაძლებელია მიღებულია

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 245—246; ОЛФ, გვ. 428.

² Осетинско-русский словарь, გვ. 182.

დისიმილაციის გზით ოსური სუფიქსიდან -an (on) *darǧǧu-an* > დორლოლელი. შდრ. ირ. *darǧǧwyn*. არის მეორე შესაძლებლობაც: დორლოლელ-ში დაფინახოთ ოსური სიტყვა *dorgun* 'ქვასავით მაგარი, ქვისებრი'¹.

3. კავტია — ოვსი მთავარი (ლ. მროველთან).

„ხოლო ვიდრელა მირიან ჯერეთ იყო მუნ, გარდამოვლეს ოვსთა ფერომ და კავტია და განრყუნეს ქართლი“ (ლ. მრ. 68₁).

შეიძლება ჩვენ აქ გვექონდეს სახელი, ნაწარმოები ოსური სიტყვიდან *kʼævdæ* 'წვიმა, ავდარი'², *kʼævdæ* > კავდია > კავტია.

4. სათხე — ოვსი მეომრის სახელი (სათხე და უზურაბეგ).

„მაშინ წარვიდეს ქალაქსა ოვსნი ვაპრობად, და ვითარ მოიქცეს, იხილეს გლახაკი, და მისცეს ქველის საქმე ოვსთა, რომელსა უპირველესსა ეწოდა სათხისა და მეორესა უზურაბეგ, და რქუეს: „გლახაკო, ევედრე ღმერთსა, რათა დღეს ჩუენი და სურამელის ბეგას შვილის კრმალი ერთგან შეიყარნენ“, და ვითარ წარვლეს მცირედ, დახუდა ნადირობასა შინა მყოფი რატი მცირითა კაცითა, უსაკურვლო. მყის ზედა მოეტევნეს, აღიღო ფარი და დაუდგა სივიწრესა წყლის გასაფალსა და პირველ სათხეს უხეთქნა მუზარადსა, განუპო და ჩამოაგდო, და მოკუდა. მერმე უზურაბეგ მოუჯდა, ჰკრა მასცა მჯარსა ჯაქვანსა, განუკვეთა მჯარი, და ჩამოაგდო, და ყრმათა რატისათა მოაკუდინეს“ (ქამთ. აღმწერ. 298₁).

შეიძლება სათხისა თუ სათხეს იყოს გადმოცემა საკუთარ სახელად გამოყენებული ოსური სიტყვისა *sæwæxsið* 'ცისკარა' (утренняя заря, зарево): *sæwæxsið* > სახსით > სათხის || სათხეს (მეტათეზისით).

5. სოსლანი (დავით) — ოსი უფლისწული, თამარის მეუღლე (შთამომავალი ოსეთში გათხოვილ დავით აღმაშენებლის ასულისა).

„ამისთჳს მოიწია მწუხარება, რამეთუ მიიცივალა სოსლანი დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მვენე ვინმე გულოვანთაგანი, უხჳ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული“ (ისტ. აზმ. 100₄).

წარმოადგენს ნართული ეპოსის ერთ-ერთი გმირის სახელს. შდრ. ინგუშ. *Sosla*³.

6. უზურაბეგ — ოვსი მეომრის სახელი ჟამთააღმწერელთან. იხ. სათხესთან.

¹ Осетинско-русский словарь, გვ. 182.

² Историко-этимологический словарь, I, გვ. 631.

³ ОЯФ, გვ. 92.

ჩვენი ფიქრით, სახელი უზურაბეგ წარმოადგენს დამახინჯებულ ფორმას სახელისა Wyrzmaæg, დიგორ. Urzmaæg. ნართული ეპოსის სახელგანთქმული გმირის ეს სახელი დღესაც ძალიან გავრცელებულია ოსეთში¹. Wyrzmaæg > უზურმეგ > უზურბეგ (ბ-ს მ-ში გადასვლას ხელი შეუწყო ალბათ აღმოსავლური წარმოშობის სახელებში თურქ. ხეგ-ზე დაბოლოებული სახელების სიმრავლემ. შდრ. ოთარბეგ, როსტომბეგ და სხვა).

7. ურდურე—ოვსთა მედე.

„მას ჟამსა მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მედე ურდურე მოეკლა კვრიკე მეფესა. და მესისხლეობითა მოიკლა კვრიკე მეფე ნადირობასა შინა, ფიდრაზის გორთა, ოვსისა მონისა მიერ“ (მატ. ქართ. 297₇).

ამ სახელის ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის. მეორე ელემენტად შესაძლოა გვქონდეს dūr|dor 'ქვა', რას წარმოადგენს პირველი ელემენტი ძნელი გასარკვევია. შეიძლება აქ გვქონდეს urs 'თეთრი' ან wyr 'ენჭი, ხრეში, ქვიშა, რიყის ქვა'. შეიძლება აღდგენილ იქნეს სახელი *Wurduræg [g] 'ქვასავით მაგარი'. შესაძლებელია ფორმა Wurdur გვქონოდა რეალურად არსებული wiragdūr ფორმის გვერდით 'ენჭი², რიყის ქვა' (შდრ. ქართ. გვარები კენჭია შვილი, კენჭო შვილი).

8. ფარეჯან — ოვსთა მეფის ძე.

„ტაჩარ თანა-შეეწეოდა დავითს, და ოვსთა მეფის ძე, სახელით ფარეჯან, იგიცა ძლიერად შეეწეოდა დავითს“ (ჯამთ. აღმწერ. 294₉).

„ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა, იწყეს ოვსთა ოვრებად, ჯოცად, და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვსად დაიჭირეს ოვსთა“ (ჯამთ. აღმწერ. 296₁₃).

„დალათუ ფარეჯან ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა, არამედ აქუნდათ მტერობა ქართველთა (და ოვსთა)“ (ჯამთ. აღმწერ. 297₁₆).

„და მეფემან დავით მოსცა შვილი მისი და ყოველი სიმდიდრე, რომელი შეევედრა ოვსთა მთავრის ფარეჯანისა, რომელი იღვა ციხესა ატენისასა, რამეთუ ესე დაიმაღლა ყაენმან ყაზან“ (ჯამთ. აღმწერ. 299₂₀).

¹ ОЯФ, გვ. 428 და შემდგომ.

² Осетинско-русский словарь, გვ. 385, 388.

„ამათ ჟამთა გარდამოვიდეს ბერქას ყენისაგან ლტოლვილნი, დედაკაცი საკვრველი, სახელით ლიმაჩავ, და მან მოიტანა შვილნი მცირენი, ნათესავით ახასარუაკაიანნი, პირმო ფარეჯან და უმრწამესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფის წინაშე“ (ჟამთ. აღმწერ. 251₇).

ფარაჯანიანი — „მაშინ ეზრახნეს კახაბერის-ძესა რაქის ერისთავს კახაბერსა, ქუაბულის ძეთა, ფარაჯანიანთ სარგისს, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ, რომელნი ერჩიდესცა, და იქმნა განდგომილება ლიხთ-იმერით, და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელიმე რუსუდანის ძესა“ (ჟამთ. აღმწერ. 243₂).

- ჩვენი ფიქრით, სახელი ფარეჯან წარმოადგენს ტრანსფორმაციას ოსური სიტყვისა *færnǰyn* | *færngun* 'ფარნის მქონე, მაღლიანი, მაღლმოსილი' (благопристойный), შედგენილი სიტყვისაგან *faru* 'მაღლი, სიკეთე, დიდება, ბრწყინვალება' + სუფიქსი *-ǰyn* | *-gun*. *færnǰyn* > ფარნჯან > ფარეჯან.

აღსანიშნავია, რომ ვინმე ფარაჯანიანთ სარგისი დასახელებულია ჟამთააღმწერელთან ქართველ დიდებულებს შორის, რომლებიც დავით ლაშას ძის გამეფების მომხრენი იყვნენ. შეადარეთ: „მაშინ ეზრახნეს კახაბერის-ძესა რაქის ერისთავს კახაბერსა, ქვაბულის-ძეთა, ფარაჯანიანთ სარგისს, რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ...“ (ჟამთ. აღმწერ. 243₂).

შეიძლება ამ სახელთან ფარეჯან (<*Farnǰyn*) დაკავშირებული იყოს სახელი ფარნაჯომიც.

9. ფეროშ — ოვსი მთავრის სახელი ლეონტი მროველთან.

„ხოლო ვიდრელა მირიან ჯერეთ იყო მუნ, გარდამოვლეს ოვსთა ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი“ (ლ. მრ. 68₁).

თუ სახელი ფეროშ არ წარმოადგენს ირანული წარმოშობის სიტყვას *pērōš* 'გამარჯვებული', გამოყენებულს საკუთარ სახელად საშუალო და ახალ სპარსულში, შეიძლება იგი აიხსნას ოსურ ნიადაგზე, როგორც *færaz*, დიალექტ. *færaž*, ფუძე ზმნისა *færazyn* 'შეძლება, ატანა'. შდრ. *færazon* 'ამტანი, მომთმენი, დაულალავი'².

10. ქუჯი — ეგრისის ერისთავი, ფარნავაზის სიძე.

„მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თვისი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უჯლოს მცხეთოსის ძისა.... და არს ჩემთანა ხუასტავი დიდძალი“ (ლ. მრ. 22₁₀).

¹ История-этимологический словарь, I, გვ. 421.

² Осетинско-русский словарь, გვ. 402; Историко-этимологический словарь, I, გვ. 450—451.

„მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა და რქუა...“
(ლ. მრ. 22₁₅).

„და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა“ (ლ. მრ. 24₂₃).

„და ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისსა, მამის დისწულსა
თქსსა“ (ლ. მრ. 27₂₀).

„ხოლო ამას ბარტომ მეფესა არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი,
და სიცოცხლესავე მისსა მოეყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი,
სახელით ქართამ, რომელსა შესდგმიდა ფარნავაზიანობა, ფარნა-
ვაზის დისა ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა, საურმაგის
ასულისა ქუჯის ძის ცოლისაგან. და ამის ქართამისდა ეგრისით
მიეცა ასული თქსი ცოლად ბარტომ მეფესა, და აღელო ესე შვი-
ლად“ (ლ. მრ. 32₁₀).

სახელი ქუჯი წარმოადგენს, ჩვენი ფიქრით, თავისი შიშინა
ჯ-თი ოსურ დიალექტურ ფორმას სკვითური სახელისა *Κυζαῖος*,
ოს. *Κυζα* და *Κυζαε* სიტყვიდან *Κυζ* 'ძალი', შდრ. ძაღლიკა
(იხ. საკუთარ სახელებში).

11. ხუანხუა — ოვსი ბუმბერაზის სახელი.

„და ვითარ განთენდა, კუალად განვიდა მუნვე ამანასპ და აღი-
ხუნა ოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი, რომელსა
ერქუა სახელი ხუანხუა“ (ლ. მრ. 56₁₀).

ხუანხუა, როგორც ჩანს, წარმოადგენს ოსური სიტყვიდან
xox (დიგორ. *xuænx*) ნაწარმოებ ფორმას **Xuænxon* 'მთიელი'
(შეიძლება მთასავით მალალი). მოგვიანო ფორმაა *xæxon* = *xoxag*
'მთიული'.

12. ხუდდანი — ოვსთა მეფე, ბურდუხან დედოფლის (გიორგი
III ცოლის) მამა.

„ამას თქსსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მამამან, ასული მეფისა
ხუდდანი, სახელით ბურდუხან...“ (ისტ. აზმ. 114₂).

შეიძლება ნაწარმოებია ძირიდან ოს. *xud*, *xudyn* 'სიცილი, და-
ცინება', შდრ. *Xudæg* 'მოცინარი, სასაცილო', *xudæubyl* 'ლიმილით'
xudænzast 'მხიარული, მომღიმარი, ლიმილი'¹, *xud* + სუტიქსი
an, *xuddan* > ხუდდანი.

აღსანიშნავია აგრეთვე ფორმა ახასართაკაიანნი — ოსური
გვარსახელი ჟამთააღმწერელთან.

„ანათ ჟამთა გარდამოვიდეს ბერქას ყენისაგან ლტოლვილნი,
დედაკაცი საკრველი, სახელით ლიმაჩავ, და მოიტანნა შვილნი
მცირენი, ნათესავით ახასართაკაიანნი, პირმშო ფარეჯან და
უმრწამესი ბაყათარ“ (ჟამთ. აღმწერ. 251₇).

¹ Осетинско-русский словарь, гл. 440.

ახასარფაკაიანი წარმოადგენს, როგორც ჩანს, დამახინჯებულ ფორმას ოსური გვარსახელისა *Œxsærtægatae*, სადაც ოს. *t*, ქართული *თ* და *ფ*-ს ორთოგრაფიული აღრევის შედეგად, გადმოცემულია, როგორც *ფ*, ხოლო დაბოლოება ოსური გვარსახელებისა *tæ* შეცვლილია ქართული შესატყვისი -იან სუფიქსით. შდრ. ოს. *Axsærtæg* — ნართული ეპოსის გმირი, დამაარსებელი ნართების უძლიერესი გვარისა. შეადარეთ ქართული სახელები *ხსართან* და *აღსართან*. აგრეთვე სკვითური სახელი *Σατραχης* (სკვითთა მეფე, სოლდის ჩრდილოეთით, არიანე 4,4 № 8) = ძვ. ირ. *𐎧𐎱𐎠𐎵* ¹.

სკვითურ-ალანურ-ოსური საკუთარი სახელები ქართული დიალექტებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია ხევსურულში: *აღუღა*, *აფშინა*, *ბალათერა*, *ბათირა*, *ბაღა*, *აპარეკა* და სხვა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. *აღუღა* — როგორც ჩანს, წარმოადგენს გადმოცემას სკვითური სახელისა **Aλιθμᾶγος*, რომელსაც საფუძვლად უდევს სიტყვა *aluth* 'ლუდი', ოს. *æluton*, ქართ. *ლუდი*, დიალექტ. *აღუდი* (რაქულსა და თუშურში). -*ag* სუფიქსალური ელემენტია; *alutag* შეიძლება ნიშნავდა 'ლუდის მადუღებელს, მეღუდეს, ან ლუდის მსმელს' ².

2. *აფშინა* — წარმოადგენს უძველეს ფორმას ოსური სიტყვისა *æfsin* | *æfsinæ* 'დიასახლისი'. ის გარემოება, რომ ეს სიტყვა კაცის სახელად არის გამოყენებული მოწმობს იმას, რომ ოს. *æfsin* იხმარებოდა სახლის პატრონის, კაცის აღსანიშნავადაც, რასაც ადასტურებს სოლდურში დადასტურებული სიტყვა *afšim* 'მმართველი, მთავარი', რომელსაც აბაევი სკვითური წარმომავლობის სოციალურ ტერმინად თვლის, შეთვისებულად სოლდურში ³.

3. *ბალათერა* — წარმოადგენს, ჩვენი ფიქრით, ოსური სიტყვის *bağatyr* 'მამაცი, გოლიათი' გადმოცემას, ისე როგორც *ბათირა*. შდრ. ძველ ქართულ ძეგლებში ოგსის სახელი *ბაყათარი*.

4. *ბაღა* — შდრ. სკვით. *Baðægος* 'მჯღომარე', *Baðægus*, *baðyn* 'ჯღომა', ოს. საკ. სახ. *Badæg*; *bad-* 'ჯღომა' (ძვ. ირ. *upa-had*).

5. *აპარეკა* — ჩვენი ფიქრით, მომდინარეობს აგრეთვე ოსური ფორმიდან სიტყვისა *abyræg* | *abæreg* 'აბრეკი, ყაჩალი', საშ. სპ. **āparak*. შდრ. ფალ. *āpārtan* 'ძარცვა', *āpār* 'ძარცვა', სპარს. *āvāra* 'бродяга', ავარი, იავარი 'ნაღველი', ახ. ქართ. *აბრაგი* (იხ. სიტყვა *აბრაგთან*).

¹ ОЯФ, გვ. 92, 189.

² იქვე, გვ. 153.

³ Историко-этимологический словарь, I, გვ. 110—111.

სკვითურ-ალანური წარმოშობის სახელები საქმაო რაოდენობით გვხვდება, როგორც ჩანს, მეგრულშიც, რასაც მოწმობს მრავალი მეგრული წარმოშობის გვარ-სახელები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. **სართანია** — ჩვენი ფიქრით, მომდინარეობს სახელიდან ხსართან, რომელიც დამოწმებულია ჯერ კიდევ „აბოს წამებაში“ თავისი უძველესი სახით, ხოლო უფრო მოგვიანებით სახელში კახეთის და შარვანის მეფეებისა აღსართან (იხ. საკუთარ სახელებში). შდრ. სკვით. $\Xi\acute{\alpha}\rho\theta\alpha\nu\omicron\varsigma$ (T), ოს. $\text{A}E\text{z}\text{sart}(\text{au})$. ალბათ ამოსავალი ფორმა გვარისა სართანია არის ხსართანია ან ქსართანია.

2. **ალანია** — სახელიდან ალან (ეთნიკური სახელი), რომელიც ოსურში შემონახულია სიტყვაში allon , ძვ. ირ. aryana , airyana , ძვ. ისტ. ბერძნ. $\text{A}\lambda\alpha\nu\iota$, ლათ. alani . აბაევის აზრით, მეგრულში ტერმინი ალანი შემონახულია დღემდე; ის გადატანილია მემკვიდრეობით ალანთა ტერიტორიის ახალ მცხოვრებლებზე — ყარაჩაელებზე და, გარდა ამისა, ნიშნავს 'ყოჩაღს, გმირს'¹.

3. **ზარანდია** — ჩვენ ვფიქრობთ, ნაწარმოებია სახელისაგან Zarand . შეადარეთ სკვით. $\text{Z}\acute{\alpha}\rho\alpha\nu\omicron\varsigma$ (T), ძვ. ოს. zarand , ოს. zærand . შდრ. ძვ. ინდ. jarant , ავ. zarant 'ძველი, მოხუცი'².

4. **ტუსკია** — ნაწარმოებია სიტყვიდან $\text{tusk}^{\prime}\text{a}$ 'ეშვიანი, ტახი', რომელიც საკუთარ სახელად ყოფილა გამოყენებული სკვითურში. შდრ. სკვით. საკუთარი სახელი (ი) Թսսչիչ 'ეშვიანი, ტახი'. შდრ. ინგლ. tusk , სკვით. tusk 'ეშვი'³.

5. **ღემანჯავა** — ჩვენი ფიქრით, მომდინარეობს ზემოგანხილული სახელისაგან ღიმანჯავ, რომელიც წარმოადგენს გადმოცემას ოსური სახელისა Limancaw , დიალექტ. $\text{Liman}\acute{\alpha}\text{aw}$, ოს. ირ. c , z -ს ნაცვლად č , ž (ž) ჩვეულებრივია ოსური ენის ე. წ. დვალურ ანუ ჯავურ დიალექტებში. შდრ. ჯურუი 'ლაპარაკი' იალღუზიძესთან ჯურუი , თანამედროვე ჯავური žurju , cæru 'ცხოვრება', ჯავ. žæru .

6. **ფალავა** — ამოსავალია სახელი ფალა, რომელიც, ჩვენი ფიქრით, იგივე შეიძლება იყოს, რაც სკვითური Пафав (პანტიკაპ.), ზგუსტას აზრით, იგი მომდინარეობს სიტყვიდან σφαφα 'ძალლი'. შდრ. ჰეროდოტესთან დადასტურებული მიდიური სიტყვა σφαφα 'ძალლი'⁴.

¹ Историко-этимологический словарь, გვ. 45.

² ОЯФ, გვ. 190 (О языке южных осетин).

³ ОЯФ, გვ. 185.

⁴ იხ. L. Z g u s t a, Personennamen, § 179.

საშუალო ირანული სიტყვები ქართულში

შესავალი

ყველაზე საინტერესო ხანას ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობის ისტორიაში წარმოადგენს ე. წ. საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა. საქართველოსა და ირანს შორის იმ დროისათვის მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა იგულისხმება. გარდა ქართული საისტორიო წყაროებისა, ამაზე მიგვითითებს ბიზანტიელ და სომეხ ავტორთა ცნობები, არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები, ონომასტიკური მონაცემები და სხვა. საშუალო ირანული ენებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დასავლური ტიპის ორი დიალექტი: ე. წ. სასანური ფალაური, რომელზედაც ლაპარაკობდნენ სამხრეთ-დასავლეთ ირანში (ფარსში) და რომელიც სასანიდების დროს სახელმწიფო ენას წარმოადგენდა, და მეორე იდიომი, ცნობილი არშაკიდული ფალაურის სახელწოდებით, — პართელ მეფეთა ოფიციალური ენა. ირანისტიკულ ლიტერატურაში ისინი ცნობილი არიან სამხრეთ-დასავლური და ჩრდილო-დასავლური ირანული დიალექტების სახელით.

უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრდა უფრო მარტივი და მოსახერხებელი ტერმინები ამ ორი ენის აღსანიშნავად: არშაკიდული ფალაურისათვის — პართული, ხოლო სასანურისათვის — საშუალო სპარსული. ქვემოთ ჩვენც ამ ტერმინებით აღვნიშნავთ მათ.

პართული და საშუალო სპარსული სიტყვების გამოვლენა ქართულში გარკვეული ხასიათის სიძნელეებს ხვდება. ეს სირთულე, ერთი მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ თვით ამ საშუალო ირანული დიალექტების შესწავლის დონე არ არის თანაბარი. სასანური ეპოქის ძეგლები ჩვენამდე გაცილებით მეტი რაოდენობით არის მოღწეული, ვიდრე არშაკიდული ხანისა; ამიტომ ჩვენი წარ-

მოდგენა მასზე უფრო სრულია; მეორე მხრივ, სასანიანთა სპარსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ უფრო მეტი და ხელშესახები საბუთები მოგვეპოვება, ვიდრე არშაკიდული ეპოქისათვის. საქმეს ის გარემოებაც ართულებს, რომ საშუალო სპარსული ენა პართულის დიდ გავლენას განიცდის, რაც არშაკიდული ცივილიზაციის გავლენის შედეგია სასანურზე. გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, — რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური ტერმინები, იარაღის სახელწოდებანი, სამედიცინო ტერმინოლოგია, ზოგიერთი ყოველდღიური გამოთქმა და რამდენიმე ზმნა, — რომელიც ერთნაირად არის წარმოდგენილი საშუალო სპარსულსა და პართულში, ახალ სპარსულში შემონახულია პართული ფორმით და იქ ჩრდილო დიალექტებიდან შეთვისებულად ითვლება. ყოველივე ეს დიდ დაბრკოლებას ქმნის პართული და საშუალო სპარსული ელემენტების ქართულში შემოსვლის გზების დადგენის საქმეში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ორი დიალექტის ფონეტიკური თავისებურებების შესწავლა და მათი შეპირისპირება ქართულში დადასტურებულ საშუალო ირანული წარმომავლობის სიტყვებთან, საშუალებას იძლევა ქართულ ნასესხობებში გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა მივიჩნიოთ ან სამხრეთ-დასავლურ, ან ჩრდილო-დასავლურ წარმოშობისად.

ჩვენ შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში გაგვემიჯნა არშაკიდული და სასანიური ხანის ნასესხობები ქართულში და წარმოვადგინეთ ისინი ცალკე თავებში, თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგი პართული სიტყვა შესაძლოა მოხვდა საშუალო სპარსულ სიტყვებში და პირიქით, რამდენადაც ისინი ერთგვარად არიან წარმოდგენილი ორივე დიალექტში და მათი შემოსვლის გზის დადგენა თითქმის შეუძლებელია.

დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ამ მხრივ სომხურში დაცულ საშუალო ირანულ სიტყვებთან შეპირისპირებას, რომელშიც, როგორც ცნობილია, დიდი რაოდენობით და კარგად შემონახული ფორმით, შემორჩენილია პართული ლექსიკა და ქართულშიც მეტწილად პართული სიტყვები სომხური გზით შემოდის.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართულში დადასტურებულია პართული წარმოშობის ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სომხურში შემონახული არ გვაქვს. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიც არის ქართული შ ა რ ა ვ ა ნ დ ი, ე შ მ ა კ ი და ზოგი სხვა, რაც პართელთა საქართველოსთან უშუალო ენობრივ კონტაქტებზე მიუთითებს. ამას ამტკიცებს აგრეთვე ზოგიერთი ისტორიული ცნობა და არქეოლოგიური მონაცემები.

ირანსა და საპარტოველოს შორის
ისტორიულ-პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ
არშაკილევისა და სასანიელების ეპოქაში

ზოგიერთი ცნობა პართელათა და მოკიდევულების
შესახებ

რაიმე ხელშესახები პირდაპირი მითათება ან ისტორიული ცნობა ქართლის დამოკიდებულების შესახებ პართელთა სახელმწიფოსთან შემონახული არ არის. ქართული ისტორიული ტრადიცია არ იცნობს სახელწოდებას პართი, ან მის საშ. სპარსულ ექვივალენტებს ფაჰლავ, ფაჰლავან-იკ, სატომო და გეოგრაფიულ სახელად, რომელიც უშუალოდ ირანულიდან მოდიოდეს, იგი ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული არ გვაქვს¹. პართელები, ისე როგორც სხვა ირანული ტომები, სპარსელებად იწოდებიან. რაც შეეხება დინასტიურ სახელს არშაკუნიანი, რომელიც ლეონტი მროველთან გვხვდება, იგი გამოყენებულია მხოლოდ სომეხი არშაკიდებისა და სომხეთის ამ დინასტიის ქართველ ნათესავთა აღსანიშნავად. მიუხედავად ამისა, სავსებით მართებულია გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომელიც თავის შრომაში „საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები“ 313-ე გვერდზე აღნიშნავს: „...დაწყებული, ყოველ შემთხვევაში II საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენს ერამდე, როდესაც პართელთა ძლიერება ცალიან გაიზარდა და პართელებმა სელევიკიდებს მთელი რიგი გამანადგურებელი დამარცხებანი აგემეს და თავისი პოლიტიკური გავლენა სომხეთზე გაავრცელეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლისა და პართიის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ ინტენსიური გახდა. იმ დროს, პოლიტიკური პირობებიდან გამოსვლით, როგორც ჩანს, ქართლის მფლობელები პართიაში ეძებდნენ მოკავშირეს თავისი მეტოქის, არმენიის წინააღმდეგ.“

ამიტომ შესაძლებელია შემთხვევითი არ არის, რომ II ს. ძვ. წ. ა. ამბების გადმოცემისას, ქართული ისტორიული ტრადიცია

¹ ფორმა პართი (ბიბლიურ ტექსტებში და სხვაგანაც) ბერძნულიდან არის შეთვისებული, ხოლო პართევ-ელ-იკი — სომხურიდან; რაც შეეხება სიტყვებს ფალაურიენა და ფალავანი ისინი მოგვიანო ტექსტების კუთვნილებას წარმოადგენენ და ახალი სპარსულიდან არიან შემოსული ქართულში. იხ. ნ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, თბილისი, 1954, გვ. 28.

ქართლის მეფეს მიაწერს პრო-ირანულ ორიენტაციას და გვიხატავს მას სპარსელებთან ერთად სომხეთის მეფის წინააღმდეგ“. ავტორს მხედველობაში აქვს ქართლის ცხოვრების შემდეგი ადგილები: მეფობა ფარნაჯომისი (IV მეფე, ლ. მრ.), რომლის შესახებ ნათქვამია, რომ მან ააშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელითა ზადენ, „ხოლო ამისა შემდგომად შეიყვარა სჯული სპარსთა ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა საარსებით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა და იწყო ცხადად გმობად კერპთა“, ამისთვის ფარნაჯომს განუდგნენ ერისთავნი და სომეხთა მეფეს სთხოვეს მისი შვილი არშაკი (რომლის ცოლი ფარნავაზიანი იყო) მეფედ. ფარნაჯომმა მიმართა დახმარებისათვის სპარსელებს (აღბათ პართელებს). სომეხებმა და ქართველებმა აჯობეს და მოკვდა ფარნაჯომი ამ ბრძოლაში. ფარნაჯომის მომდევნო V მეფეა არშაკი (რომელსაც მელიქიშვილი თვლის სომეხ მეფეთა დინასტიურ სახელად), VI მეფე არტაგ ძე არშაკისა (არშაკუნიანი) და მისი მეფობის დროს, ლეონტი მროველის თქმით: „მოვიდეს ერისთავნი სპარსთანი, სპითა დიდითა, ძიებად სისხლისა ფარნაჯომისა და სპათა მათ სპარსთა, რომელ აწყუედელ იყვნეს ფარნაჯომისა თანა“. სპარსელებმა მოაოხრეს ქართლი, მაგრამ ვერც ერთი ციხე-ქალაქი ვერ წაიღეს, ხოლო არტაგის შემდგომ გამეფდა მისი შვილი ბარტომი (VII მეფე). შემდეგ ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „ხოლო აღზარდეს სპარსთა ძე ფარნაჯომისი მირვან“. ამ მირვანმა „შეკრიბნა სპანი ძლიერნი სპარსეთს“. მან დაამარცხა ქართველთა მეფე ბარტომი და მოკლა აგრეთვე მისი შვილობილი ქართამიც. VIII მეფეა მირვან, შემდეგ მისი შვილი არშაკი. როგორც დავინახეთ, პართელების ნაცვლად ყველა ზემოთ მოყვანილ ადგილას ლეონტი მროველს დასახელებული ჰყავს სპარსელები და სპარსეთი. ძალიან საინტერესო ცნობას გვაწვდის ლეონტი მროველი სპარსელთა სამეფო დინასტიის არშაკიდების შესახებ, რომელიც ეხმაურება სპარსულ ისტორიულ ტრადიციას არშაკიდთა დინასტიის დაარსების შესახებ. ლეონტი მროველის ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო ამისვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარსეთისა. რამეთუ რათგან შესრულ იყო ალექსანდრე და განერყუნა სპარსეთი, აქა ჟამადმდე არღარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა. მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აჟღან ბრძენი. მაშინ სომეხნი და ქართველნი იყვნეს მორჩილ აჟღან

ლანისი სპარსთა მეფისა, და ვიდრე ადერკის მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ, რაზომცა მრავალნი იყვნენ შვილნი მეფეთანი“ (ლ. მრ. 43₁₀).

სახელი აქლალან, რომელსაც ზემოთ მოყვანილ კონტექსტში მოიხსენიებს ლეონტი მროველი, ჩვენი ფიქრით, წარმოადგენს საშუალო სპარსულ ფორმას პართელ მეფეთა დინასტიური სახელისა პატრონიმიკული ფორმით Aršak-ān, რომელიც საკუთრივ პართულ და უძველეს ფორმას წარმოადგენს და რომელიც ბერძნულში Ἀρσάκης (Ἀρσάσις) ფორმით არის გადმოცემული. საშ. ირანული ფორმა ამ სახელისა, რომელიც, როგორც ჩანს, მოხსენიებული იყო სასანური ხანის ისტორიულ ქრონიკაში X^aatāy-nāmāk. სამწუხაროდ, ჩვენამდის მოღწეული არ არის, რადგან თვით ეს ძველი ცნობილია მხოლოდ არაბული თარგმანებითა და ახალი საარსული ვერსიით, რომელიც ფირდოუსის „შაჰნამე“-ში გვაქვს შემონახული. არაბული და მისგან მომდინარე არაბიზებული ფორმა ამ სახელისა არის Ašak, ხოლო მისგან პატრონიმიკული სახელი არის Aškān. ცნობილია, რომ პართელი მეფეები საკუთარი სახელის წინ ატარებდნენ დინასტიურ სახელს არშაკს (Arsakes). პართულად ეს დინასტიური ან პატრონიმიკული სახელი ჟღერდა, როგორც Aršak-ān, უფრო გვიან, სასანურ ეაოქაში კი, Aršayān || Ašayān.

ირანული ენების ისტორიული ფონეტიკიდან ცნობილია, რომ ურუხულები p, t, k ხმოვანთა შორის გამეღერდნენ და შემდგომში სპირანტიზაცია განიცადეს. ამ კანონის ძალით საშ. სპარსული k ფორმაში Aršakān უეჭველია გამოითქმოდა Ašayān || Ašayān. არაბებმა, რომელთაც არ გააჩნიათ ბგერა ḡ, გადმოსცეს იგი k (ك)-თი და მივიღეთ ფორმები ككاش და ككاش; ამასთან, დინასტიური (პატრონიმიკული) სახელი გაგებულ იქნა, როგორც საკუთარი სახელი Ašak-ის მამისა Aškān. არაბი მწერლების ტაბარისა და ბირუნის მიხედვით, Aškān-ი იყო მამა Ašak-ისა, რომელსაც Afḡūrān-საც უწოდებდნენ. თვით Aškān-ი კი იყო ძე Aš-ისა—გმირისა, ლეგენდარული Siyāvaxš-ის (სიაუშ) ერთ-ერთი შთამომავლისა¹. სხვა ავტორების მიხედვით Aškān-ის წინაპარი ისფანდიარი იყო, რომ-

¹ ეს სახელი Aš, როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს სომხურ ფორმას Աշխա, რომლითაც გადმოცემულია ლეონტი მროველის აქლალანი ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანში. იხ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953. გვ. 47₂₀, 48₂.

ლის მამა Aṣak-ი Dārās II (კოდომანის) შვილად გვევლინება, ზოგჯერ კი ისფანდიარის შვილიშვილის დარიოს I შვილადაც (ტაბარი, 704)¹. აქ, როგორც ვხედავთ, თავს იჩენს ტენდენცია ირანული ისტორიული ტრადიციისა—დაუკავშიროს ისტორიული ხანის შეფეთა (ამ შემთხვევაში არშაკიდების) წარმომავლობა ეპიკური თქმულებების ლეგენდარულ შეფეთებსა და გმირებს.

ქართული ფორმა აქლალანი და მეფენი აქლალანიანი, ჩენი ფიქრით, მიღებულია საშუალო სპარსული ფორმიდან Aṣa-
rān II Aṣrān 'არშაკის შთამომავალი, არშაკიანი' მრავლობითის ფორმით Aṣrānān 'არშაკიანნი, აშქანიდები' (შეადარეთ Dārāp i dārāpān kn, I₂). მართლაც, ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანში ქართულ აქლალანიანს შეესაბამება ფორმა Արշაკանի-ք (იხ. ქ. ცხ. სომხ. თარგმ., გვ. 63₃₋₉) 'არშაკიდები'.

საშუალო სპარსული ფორმიდან Aṣrānān სრულიად ადვილად მივიღებდით ქართულ აქლალან ფორმას, რამდენადაც მლს წინ, უქვევლია, უნდა გამჟღერებულიყო ქართულში, ხოლო ერთ სიტყვაში ორი ნ, სონორთა დისიმილაციის ძალით, ადვილად გადავიდოდა ლ-დ, რასაც სისტემატურად ვხედავთ ქართულში².

ის ფაქტი, რომ ლეონტი მროველის წყარო, რომელსაც თვით „სპარსთა ცხოვრებას“ უწოდებს, დაკავშირებულია „შაჰნამესთან“ დიდი ხანია ცნობილია და აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში (კ. პატკანოვი, კ. კეკელიძე, იუსტ. აბულაძე, მ. ჯანაშვილი, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი). მაგრამ საკითხის სირთულე იმანში მდგომარეობს, რომ გაირკვეს, რომელია უშუალო წყარო ლეონტისა: ფირდოუსის „შაჰნამე“, ახალი სპარსული ვერსია X^atāy nāmak-ისა, არაბული თარგმანი საშუალო სპარსული ტექსტისათუ ირანული ეპიკური თქმულებების ზეპირგადმოცემები, ძველთაგანვე შემონახული ქართულში? ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა მოსაზრებასა და ჰიპოთეზას აყენებდა. მაგალითად, კ. პატკანოვის³ აზრით, მემატიანემ გამოიყენა რაღაც ისტორიული კომპენდიუმი, რომელიც შაჰნამეს შემოკლებულ ვა-

¹ იხ. F. Justi, IN, გვ. 27.

² დასაშვებია აგრეთვე ამოსავლად მივიჩნიოთ საშ. სპარსული ფორმა: Aṣrānīkān > Aṣrānīyān > Aṣrānīyān. შდრ. ახ. ს. Aṣkānīyān اشكانيان და Sāsānīyān მიღებული Sāsānīkān > Sāsānīyān ფორმიდან.

³ К. Патканов, Вавские надписи и значение их для истории Передней Азии, ЖМНП, часть ССXXX, декабрь, 1863.

რიანტს შეიცავდა. კორნელი კეკელიძე¹ ფიქრობდა, რომ უკვე XI საუკუნეში უნდა არსებულიყო ქართული პროზაული თარგმანი „შაჰნამე“-სი, რომლითაც. ავტორი სარგებლობდა. მ. ჯანაშვილი თვლიდა, რომ მემატრიანე იყენებს იმ სპარსულ თქმულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო შაჰნამეს. მსგავს ჰიპოთეზას აყენებს პავლე ინგოროყვაძე². მისი აზრით, ავტორმა გამოიყენა ძველი ქართული ვერსია ირანული ეპიკური თქმულებებისა X^aatāy nāmāk.

აკად. აკაკი შანიძემ თავის მოხსენებაში „ლეონტი მროველის აქლან ბრძენი“ სახელი აქლან მიიჩნია პალეოგრაფიულ ნიადაგზე დამახინჯებულ ფორმად საშ. სპ. სიტყვისა Aždahāk, ავ. Ažidahāka, ახ. სპ. ჰაჰა (იგივე ბევრასფი ლეონტი მროველთან, „შაჰნამეს“ ზოაკი, ზააკი)³. ჩვენი ფიქრით, ასეთი მოსაზრება არ არის გამართლებული. თავი რომ დავენებოთ პალეოგრაფიული ხასიათის სიძნელეებს, კონტექსტითაც ბევრასფი, იგივე აქლანაკი, ლეგენდარული (მითიური) პერსონაჟია სპარსული ეპოსისა და ლეონტი მროველსაც იგი თავის ადგილას ჰყავს მოხსენიებული სპარსული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, აქლანაკი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არ შაკიდთა დინასტიის დამაარსებლის სახელია, რომელიც ისტორიული პიროვნება იყო. ლეონტი მროველი, როგორც ცნობილია, არ არღვევს თანამიმდევრობას, რომელსაც ადგილი აქვს სპარსულ ისტორიულ ტრადიციაში, და ცდილობს დაუკავშიროს საქართველოში მომხდარი ამბები გარკვეულ მოვლენებს, გადმოცემულს ე.წ. „სპარსთა ცხოვრებაში“.

ჩვენი ფიქრით, ლეონტი მროველი რამდენიმე წყაროთი სარგებლობდა. მას გამოყენებული აქვს როგორც საშ. სპ. X^aatāy nāmāk-ის არაბული ან ახალი სპარსული თარგმანი, ისე ირანული

¹ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1923, III; ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 187—231; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 252—262.

² პ. ინგოროყვაძე, ლეონტი მროველი, „ენიმკის“ მოამბე, X, 1941; ქართული ლიტერატურის ისტორიის შოკლე მიმოხილვა. მნათობი, 1939 №№ 4, 10—11. იხ. აგრეთვე, Г. Мелникшвили, К истории древней Грузии, სადაც დაწვრილებით არის განაილელი ზემოაღნიშნულ ავტორთა და სხვათა შეხედულებანი ამ საკითხზე და გამოთქმულია გარკვეული, ჩვენი ფიქრით, სრულიად ნართებული, მასაზრებანი ლეონტი მროველის ძველის ისტორიული ღირებულების შესახებ. იხ. გვ. 28—41 და სხვ.

³ აკად. ა. შანიძის აღნიშნული მოხსენება წაკითხული იყო 1964 წ. 4 აპრილს ძველი ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომაზე.

ნაციონალური ეპოსის საქართველოში გავრცელებული თქმულებანი ზეპირგადმოცემების სახით. ასეთი მოსაზრებისათვის საფუძველს იძლევა ლეონტი მროველის ძეგლში დადასტურებული ირანული პირის სახელები, განსაკუთრებით ირანული ეპოსის ძირითადი პერსონაჟების სახელები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით არიან წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში ეს სახელები თავისი ფონეტიკური ფორმით უახლოვდებიან საშუალო სპარსულსა და უძველეს პართულ ფორმებს, ხოლო მეტწილ შემთხვევაში არაბული და ახალი სპარსული ფორმით არიან წარმოდგენილი, თუმცა ამ შემთხვევაშიაც ისინი მთელ რიგ თავისებურებებს ამჟღავნებენ „შაჰ-ნამესა“ და მის ქართულ ვერსიებში დადასტურებულ საკუთარ სახელებთან შედარებით. ამ სახელთა დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია პირის საკუთარ სახელებთან (თავი IV). აქ ჩვენ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სახელი, დამოწმებული ლეონტი მროველთან, წარმოდგენილია პართული ფორმით (ვაშტაშაბ, სპან დიატ) და შესაძლებელია გამოდგეს, სხვა პართული წარმოშობის სიტყვებთან ერთად, ქართულ-პართული ისტორიული ურთიერთობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად. უნდა ვიფიქროთ, რომ ირანულ ეპიკურ თქმულებათა ზეპირგადმოცემები ქართულში უძველესი დროიდან არსებობდნენ, შესაძლებელია ისინი არშაკიდთა ერის წინაღობინდელნიც იყვნენ, ყოველ შემთხვევაში პართელთა ირანში ბატონობის ხანიდან (შეადარეთ ქართული ზღაპარი თრიტიონო=ავ. Θραῖταιον). პართია-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საბუთია, ქართულ ისტორიულ ტრადიციაში შემონახული ცნობების გარდა, არქეოლოგიური მონაპოვრები მცხეთა-არმაზის ტერიტორიაზე (მონეტები, წარწერები და სხვა)¹. მართალია, ქართლისა და პართიის პოლიტიკურ-ისტორიული ურთიერთობის ამსახველი ხელშესახები საბუთები ჯერჯერობით ნაკლებად არის აღმოჩენილი, მაგრამ, სხვაც რომ არაფერი გვექონდეს, მართოდენ ენობრივი მონაცემებიც იკმარებდა ამ ურთიერთობის ნათელსაყოფად.

საქართველოს დამოკიდებულების შესახებ
სასანიანთა სპარსეთთან

სასანიური ხანის ირანთან საქართველოს დამოკიდებულების შესახებ ცნობები უფრო მეტია და მნიშვნელოვანი. ცნობილია,

¹ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, მ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I, თბილისი, 1955.

რომ უკვე არდაშირ I შეძლო დაეპყრო პართელთა სამეფოში შემავალი ყველა ოლქი, გარდა მიდიისა (ატროპატენა) და არმენიისა, ხოლო მისმა მემკვიდრემ შაბურ I (242—272), რომელიც წარმატებით იბრძოდა რომის წინააღმდეგ, კვლავ შემოუერთა არმენია ირანის სახელმწიფოს. სასანიდებს ემორჩილებოდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაწილი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონებისა (სამეფო მახელონებისა და ჰენიოხებისა). შაბურ პირველი ირანის მოსარკე ქვეყნებსა და ხალხებს შორის ასახელებს კავკასიის ქვეყნებსაც: იბერიას (ფალ. Vyr̄šn და ბერძნ. Ἰβερια), მახელონიას (Sigan) და ალბანეთს (პართ. Ardān, სასან. Artān). ამ ცნობის მიხედვით, იბერია შაბურ I დროს განიხილებოდა, როგორც სასანიდების იმპერიაში შემავალი ქვეყანა¹.

Ka'ba-i Zardust-ის წარწერაში შაბურ პირველი თავისი იმპერიის დიდებულთა ჩამოთვლის დროს ასახელებს იბერიის მეფეს ამაზასპს (პართ. xmnzsp Vyr̄šn MLK, სტრ. 28, სასან. amčsp vlvčan, MLK, სტრ. 30, 31, ბერძნ. Αμαζασπιου του βασιλεως της Ἰβεριας). ამაზასპი დასახელებულია იმ პირთა შორის, რომლებმაც ხელისუფლება შაბურ პირველის დროს მიიღეს.

თუმცა არდაშირ პირველის დროს სასანიდებს ჯერ არ ჰქონდათ დაპყრობილი არმენია და ატროპატენა და მითუმეტეს იბერია, მეგობრული კონტაქტები სასანიდებსა და იბერიას შორის ივარაუდება უკვე არდაშირ I დროიდან, როგორც ამას მოწმობს არმაზის ხევის პიტიახშთა ნეკროპოლის გათხრების დროს აღმოჩენილი ვერცხლის თასი მამაკაცის პროფილით და სასანური პუნქტირული წარწერით, რომელშიაც მოხსენიებული არიან პირველი სასანიდები პაპაკი და არდაშირი და მათი პიტიახში: აქვე მოხსენიება რომელიღაც ქვეყნის სახელი (შესაძლოა იბერიისა)². გ. მელიქიშვილი თავის შრომაში „К истории древней Грузии“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირველი სასანიდების დროს შესაძლებელია ირანსა და იბერიას შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა და პირდაპირი საფრთხე ირანის იბერიაზე ბატონობისა ჯერ კიდევ არ არსებობდა. შექმნილი პირობების გამო

¹ André Maricq, Recherches sur les Res Gestae Divi Saporis, Bruxelles, 1953, გვ. 3, 4; Martin Sprengling, Third century Iran, Sapor and Kartir, Chicago, 1953. ამ შრომებში არის მითითებული ლიტერატურაზე ამ საკითხის გარშემო, მოგვყავს მელიქიშვილით, გვ. 388.

² Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мухети — древней столице Грузии, ВДИ, 1948, № 2, გვ. 55—56.

ქართლის მმართველები თავისთვის სასარგებლოდ თვლიდნენ და-
კავშირებოდნენ სასანიდურ ირანს რომის წინააღმდეგ. ქა'აბა ზარ-
ლუშტის წარწერის მიხედვით ამაზასპი გვევლინება არა როგორც
ირანის ძალით დაპყრობილი დამარცხებული ქვეყნის მეფე, არა-
მედ როგორც იმპერიის ერთ-ერთი უმაღლესი დიდებულთაგანი,
რომელსაც მაღალი ადგილი უჭირავს კარის იერარქიაში¹. ქართუ-
ლი ისტორიული ტრადიციითაც ამაზასპი გვევლინება ირანული
ორიენტაციის მეფედ, ლეონტი მროველის მიხედვით „მტერ ექნა
იგი სომეხთა, და შეიყვარა სპარსნი“. იგი ებრძვის სპარსელებთან
ერთად ბერძნებს, სომეხებს, ოსებსა და ეგრისის ერისთავებს.
„მაშინ ამაზასპ მოუწოდა სპარსთა, და მოვიდეს სპარსნი ძლიერნი.
და შეკრიბნა ქართველნიცა, რომელნი დარჩომოდეს. მაშინ ოსთა
და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე, და შეკრბეს ივინი და ერის-
თავნი ქართლისანი განდგომილნი, და მოვიდეს ესე ყოველნი წი-
ნაშე სომეხთა მეფისა“ (ქ. ცხ. 57).

ერნსტ ჰერცფელდი ფიქრობდა, რომ პაიკულის წარწერაში
მოხსენიებული პიტიახში ააპაკი (bit(a)xš) სასანიანთა გვარის
პრინცია, რომლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია შაბურ პირვე-
ლის უმცროს შვილთან, რომელიც ბავშვობისას დაქორწინდა
აბეშურაზე, ასპარუკის ასულზე და მემკვიდრეზე, რომელიც
არშაკიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო
საქართველოში. სომხური წყაროები (მოსე ხორენელი) მას
ეძახის მიჰრანს². ლეონტი მროველთან ჰერცფელდის მიერ
მოთხრობილი ამბავი შემდეგნაირად არის გადმოცემული:
„ამას ასთავურს არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი“, რო-
დესაც ქართლის ერისთავნი შეიკრიბნენ სათათბიროდ მცხეთას
მეფეან სპასპეტთან, მან ასეთი წინადადება წამოაყენა: „აწ ესე
არს განზრახვა ჩემი, რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსთასა მორ-
ჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ მისგან ძე
მისი მეფედ ჩუენდა, და ვევედრნეთ რათა შერთოს ცოლად ძესა
მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასთავურისი...“, „მაშინ დაემოწმნეს
ყოველნი ერისთავნი ზრახვასა მეფეან სპასპეტისასა, და წარგზავნეს
მოციქულნი წინაშე სპარსთა მეფისა, და მოაქსენეს ესე ყოველი,
რომელი განეზრახა. ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად

¹ Г. Мелкишвили, К истории древней Грузии, გვ. 394.

² E. Herzfeld, Paiculi, Monument and Inscription of the Early History of the Sasanian Empire, Berlin, 1924, ლექსიკონი, გვ. 229—230.

ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობლობა ხაზართა და ოვსთა და კუალად გამოიკითხა გუარნათესაობა ასფაგურის ასულისა, და უთხრეს ნათესაობა ნებროთიანთა და არშაქუნიანთა და ფარნავაზიანთა. კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება ქართველთა. რამეთუ თვთცა უკეთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ, რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხეთისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუხით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა. აღუსრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა. და მოვიდა მცხეთას და მიეგება მათეან სპასპეტი და ყოველნი ერისთავნი ქართლისანი. მაშინ მოიყვანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშულდით, რომელსა ერქუა აბეშურა, და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თვსსა, რომელი მუნ თანა ჰყვა შვდისა წლისა, ნაშობი მჭევლისა, რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან. ესე მირიან იგი არს, რომელმან ჟამსა სიბერისა მისისასა იცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ, და იქმნა აღმსარებელ წმიდისა სამებისა და თაყუანისმცემელ ჯუარისა პატიოსნისა“ (ქ. ცხ. 63—64). ეს მირიანია მეოცდაოთხე მეფე მირიან, ძე სპარსთა მეფისა, ხოსროიანი, რომელსაც ლეონტი მროველი უწოდებს აგრეთვე მირიანს, ქასრე არდაშირ სასანიანის ძეს (იხ. ქ. ცხ. გვ. 64).

საქართველოსა და სასანიანთა სპარსეთს შორის III საუკუნის დამლევისათვის ქ. შ. უკვე მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ივარაუდება. აქედან მოყოლებული სპარსელები თანდათან ფეხს იკიდებენ საქართველოში; 368 წელს, შაბურის შემოსევის შემდეგ, ქართლის მეფე სპარსეთის მეფის ვასალია და მისი პიტიანების მეთვალყურეობის ქვეშ განაგებს სახელმწიფოს. მე-5 საუკუნისათვის სპარსელები კიდევ უფრო ძლიერდებიან მთელს ამიერკავკასიაში, ხოლო მე-6 ს-ში (532 წ.) საქართველოში მეფობას აუქმებენ და თავიანთ მმართველობას ამყარებენ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში ქართველი მეფე მოხსენიებული არ არის და ქვეყნის უზენაესი განგეობა სპარსელი მოხელეების (მარზპანების) ხელშია¹.

¹ „საქართველოს ისტორია“, გვ. 70; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 227.

დასავლეთ-ირანული ენები ძველთაგანვე ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: 1. ე. წ. სამხრეთ-დასავლური (ფარსის პროვინცია); 2. ჩრდილო-დასავლური (ერთმანეთის მონათესავე, სამხრეთ-დასავლურისაგან განსხვავებული, სხვა პროვინციათა ენები). ძველ ირანულ ეპოქაში ჩრდილო-დასავლური ჯგუფის ძირითადი წარმომადგენელი მიდიური ენა არ არის საკმაო სისრულით ცნობილი და წერილობითი ძეგლებით დადასტურებული. საშუალო ირანული ეპოქისათვის წერილობითი ფიქსაცია გააჩნია მხოლოდ მიდიურთან ახლოს მდგომ პართულ ენას, რომელიც აქამენიდების პროვინციის Parthava-ს ენას წარმოადგენს¹.

ცნობილია, რომ 250 წლის მახლობლად ძველი წელთაღრიცხვით სელევკიდების იმპერიას გამოეყო ორი დიდი პროვინცია — ბაქტრია და პართია. პართელთა სახელმწიფომ, რომელიც აღმოცენდა შუააზიელი ტომების Dakh-ების აჯანყების საფუძველზე, დიდი როლი შეასრულა ისტორიაში. ამ აჯანყების ერთ-ერთმა ბელადმა არშაკმა დააარსა პართიაში არშაკიდების დინასტია, რომელიც სათავეში ედგა პართელთა სამეფოს ხუთი საუკუნის განმავლობაში. პართიის მეფეები წარმატებით ებრძოდნენ სელევკიდებს და ბერძნულ-ბაქტრიულ სახელმწიფოს, ხოლო I საუკუნისათვის ძვ. წ. ა. თავეისი მმართველობა მათ მთელს ირანზე და მესოპოტამიის დიდ ნაწილზე გაავრცელეს. იმ დროს, როდესაც პართელები ასპარეზზე გამოჩნდნენ, ისინი მოსახლეობდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე მაზენდარანსა და ხორასანის პროვინციებში².

ლინგვისტური თვალსაზრისით, პართული წარმოადგენს ჩრდილო-დასავლური ჯგუფის დიალექტს და არსებული დოკუმენტების მიხედვით იგი გვევლინება ისეთ ენად, რომელმაც განვითარების მნიშვნელოვანი გზა გაიარა და საშუალო ირანულ სტადიაზე იმყოფ-

¹ W. Henning, *Mitteliranisch*. გვ. 92:

² ამ დროისათვის პართია გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელიც წარმატებით უწევდა კონკურენციას აზიაში რომს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ პართია ბატონობდა მსოფლიო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს გზებზე, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა.

ფება. ძველ ირანულ საფეხურზე პართული წერილობითი ძეგლებით დადასტურებული არ არის. იგი არც თანამედროვე ირანულ დიალექტთა შორის ჩანს. პართულ ენაზე შემონახული ძეგლები მოიცავს პერიოდს I საუკუნიდან III საუკუნემდე ახ. წ. ა. პართული ენის ცნობილი სპეციალისტი ა. გილენი მათ სამ ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფში შედიან ე. წ. ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც განეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ სამ საუკუნეს (უმთავრესად მას მხედველობაში აქვს სასანიდ მეფეთა წარწერების პართული ვერსიები, მაგრამ დღეს ამას დაემატება აგრეთვე ავრომანის პერგამენტი, ღურა-ევროპოსა და ნისას ოსტრაკონები და ზოგი სხვა ადრინდელი ძეგლი პართულით). მეორე სერიის ტექსტები განეკუთვნება III საუკუნის ბოლოს და მოიცავს მთლიანად IV საუკუნეს. ისინი წარმოადგენენ მანიქეველურ ტექსტებს, შექმნილს თანამედროვე ხორასანისა და მაზენდარანის პროვინციებში, სადაც იმ დროს მანიქეველები მოღვაწეობდნენ. ეს იყო ოფიციალური პართულის ქრობის პერიოდი, როდესაც მანიქეველებმა დაიწყეს წერა მათთვის უფრო თანამედროვე ხალხურ პართულზე (*parthe populaire*). მესამე რიგის ტექსტები განეკუთვნება ე. წ. დენავართა სექტას (*Dēnavar*), ე. ი. 600 წელს ახ. წ. ა. არ არის გამორიცხული, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები პართულზე VIII საუკუნეშიც იქმნებოდა და მის შემდეგაც, მაგრამ 600 წლის შემდეგ დადასტურებულ ძეგლებში პართული უკვე მკვდარ ენას წარმოადგენს¹. დათარიღებული მანიქეველურ-პართული ძეგლები არ მოიპოვება; არსებული მასალა გამოავლენს განვითარების ორ განსხვავებულ ფაზას. მანი დაიბადა 215—216 წელს ბაბილონის სამხრეთში. მაშინ ეს პროვინცია პართიის მფლობელობაში შედიოდა, რომელიც ათი წლის შემდეგ სასანიდთა იმპერიით შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებები, რომელთაც თვით მანის მიაწერენ, უმთავრესად არამეულად არის დაწერილი (გამონაკლისია ე. წ. *Šābuhrayān*-ი, რომელიც საშ. სპარსულ ენაზეა დაწერილი). პართულად არ არის დაწერილი არც ერთი ნაწარმოები, რომელიც მანის მიეკუთვნებოდეს. მიუხედავად თავისი პართული წარმოშობისა, მანი პართულად არ წერდა. ზოგიერთი მანიქეველური ძეგლი მოიხსენიებს ენას *pahlavānīy izvān* 'ფალაური ენა', მაგრამ გილენი გაურბის ამ ტერმი-

¹ A. Ghilain, *Essai sur la langue parth, son sistem verbal d'après les textes manichéens du Turkestan oriental*, Louvain, 1939, იხ. შესავალი.

ნის ხმარებას, რადგან ფალაური მცდარად საშუალო სპარსული-სათვისაც იხმარებოდა. იგი უარყოფს აგრეთვე ტერმინს არშა-ქიდული, რამდენადაც პართული ენა დადასტურებულია არშა-ქიდების შემდეგდროინდელ მანიქეველურ ძეგლებშიც. იგი არჩევს ტერმინს პართული. ვ. ჰენინგის მიერ უარყოფილია აგრეთვე ე. ჰერცფელდის წინადადება, ეწოდოს მანიქეველურ პართულს საშუალო მიდიური ენა, რადგან ეს ენა, ჰენინგის აზრით¹, ნამდვილად პართულია, რომელსაც აღმოსავლურ-ირანული დიალექტების გავლენის საგრძნობი კვალი ამჩნევია, რასაც მოწმობს, გარდა პართულ ლექსიკაში დადასტურებული აღმოსავლურ-ირანული დიალექტური ფონეტიკური ფორმით არსებული სიტყვებისა, ე. წ. ინდურ-ბუღდისტიური ელემენტები, რომლებიც მხოლოდ აღმოსავლურ-ირანული დიალექტების მეშვეობით შეიძლება შექრილიყო პართულში². ვ. ჰენინგის სიტყვით დაჰელმა ფარნებმა, რომლებიც პართიაში შეიჭრნენ და დაიპყრეს იგი, შეითვისეს პართელთა ენა საკუთარი, უეჭველია აღმოსავლურ-ირანული დედა ენის ნაცვლად; მომდევნო საუკუნეებში, როდესაც მათი ჰეგემონია მთელ ირანზე გავრცელდა, მათ იქ გაავრცელეს მათ მიერ ადაპტირებული პართული ენა, როგორც სახელმწიფო და ადმინისტრაციული ენა. თავისთავად ცხადია, პართული ვერ დარჩებოდა ფარნულის გავლენის გარეშე, განსაკუთრებით კი გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა მეტყველებაში. ამის აშკარა მოწმეა პართულიდან სომხურში შესული ზოგი სიტყვა, რომელიც თავისი ფორმით მხოლოდ აღმოსავლურ-ირანული დიალექტების კუთვნილებას წარმოადგენს³.

ასეთ სიტყვებად ჰენინგი მიიჩნევს სომხურ სიტყვებს kari 'ძალიან', სოლდ. k'ბყ და margarē 'ჯადოქარი' = სოლდურ mārkarē-ს საკუთრივ პართ. mārēgar ფორმის საპირისპიროდ. გარდა ამისა, აღმოსავლურ-ირანული ტიპის სიტყვები მოიპოვება მანიქეველურ პართულშიც, მაგალითად, hand 'ბრმა' საპირისპიროდ დასავლური ფორმისა kōr, nixrēs 'გაკიცხვა' — დასავლური დიალექტებისათვის უცნობი სოლდურისათვის დამახასიათებელი ბგერათცვალებით (nixrasnaya-დან), izγōl 'სმენა', საპირისპიროდ niγōš-ისა და fraγōš-ისა (I<ξ-საგან), širgāmag 'შეგობარი' (ე. ი.

¹ W. Henning, *Mitteliranisch*, გვ. 94.

² ჰრ. ბართოლომე ხმარობდა ტერმინს საშუალო პართული, მაგრამ რამდენადაც პართული მხოლოდ საშუალო ირანულ სტადიაზეა დამოწმებული, მას აღარ ჰირღება საშუალოს დამატება.

³ შდრ. R. Gauthiot, *MSL*, XIX, 1915, გვ. 125, 29.

‘კეთილის მსურველი’) დასავლურისათვის უცხო *šir*-ით ‘კარგის მნიშვნელობით და სხვა¹.

მაგრამ, გარდა ამ პირდაპირი წყაროებისა, არის ცნობები, რომლებიც მანიქეველური პართულისა და ე. წ. არშაკიდული ფალაურის იგივეობაზე მეტყველებენ. სახელდობრ, მანიქეველური მისიის ისტორიიდან ცნობილია, რომ მანის მიერ მისი მოწაფე *Mār Ammō* (რომელიც შემდეგში აღმოსავლური მანიქეიზმის დამაარსებლად გვევლინება) წარგზავნილი იყო *Abar-šahr*-ში იმის გამო, რომ მან პართული—*pahlavāniy*—წერა და ენა იცოდა.

ტურფანში (ჩინეთის თურქესტანი) აღმოჩენილმა საშუალო ირანულის ძეგლებმა საშუალება მისცეს შეცნოებებს დაედგინათ მათში ორი განსხვავებული დასავლური დიალექტი. ზოგიერთი მათგანი დაწერილი იყო იმ ენაზე, რომელიც დადასტურებულია სასანიდ მეფეთა წარწერების ფალაურ (*pahlavik*) ვერსიებში. პართული ენის ძეგლებიდან აღნიშნული წარწერების გარდა ცნობილია პართული მონეტები ვალკაშ I დროიდან 5—77 ჩ. წ., ტურფანის მანიქეველური ძეგლები, ავრომანში (ირანის ქურთისტანში) ნაპოვნი დოკუმენტებითა და აგრეთვე მრავალრიცხოვანი სომხური ნასესხობებით პართულიდან. პართულად არის მიჩნეული აგრეთვე ე. წ. ოსტრაკონები (თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, გამოყენებული საწერ მასალად) დურა-ევროპოსიდან და ნისადან (თურქმენისტანი). პართიზმის კვალს ატარებს და სპეციალურ ლიტერატურაში პართულიდან თარგმნილად ითვლება აგრეთვე საშ. სპარსული ლიტერატურის ზოგი ძეგლი. პართული ენის შესასწავლად ძირითად წყაროდ მათ შორის გვევლინება ტურფანში აღმოჩენილი მანიქეველური ტექსტები, რომელთა შესწავლამ გამოავლინა პართული ენის გრამატიკული წყობის ძირითადი თავისებურებანი საშუალო სპარსულთან შედარებით. მაგრამ მანიქეველური პართული ტექსტების ნაწილი წარმოადგენს თარგმანს საშუალო სპარსული ენიდან, რომლებიც შესრულებულია ხორასანისა და ჩინეთის თურქესტანის მანიქეველურ თემებში. ამ ტექსტების თარგმნითმა ხასიათმა, ისე როგორც მანიქეველური საზოგადოების შერეულმა შედგენილობამ ენობრივი თვალსაზრისით, ამ ტექსტების ლექსიკასა და სინტაქსს, ბუნებრივია, თავისი კვალი დააჩნია². ერთ-ერთი

¹ W. Henning, *Mitteliranisch*, გვ. 93—99.

² იქვე, გვ. 94, 303. *Mār Ammō*-ს მიეწერება პოეტური ძეგლები მანიქეველური ჰიმნების სახით.

უძველესი პართული ტექსტია ე. წ. „ავრომანის პერგამენტი“, რომელიც I საუკუნეს განეკუთვნება ჩვენს ერამდე. სამწუხაროდ, იგი არ არის მდიდარი ენობრივი მასალით. 23 ირანული სიტყვიდან, რომელთაც ეს დოკუმენტი შეიცავს, თხუთმეტი საკუთარი სახელია¹. ავრომანის შრიფტთან ახლოს მდგომი დამწერლობით შესრულებულია აგრეთვე ე. წ. ნისას ოსტრაკონები, რომელთა რიცხვი 3000-მდე აღწევს, ისინი ეკუთვნიან I საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მსგავსი ოსტრაკონები აღმოჩენილია აგრეთვე ღურა ევროპოსში, რომელთაც აკუთვნებენ III საუკუნეს ჩვენი ერით².

ზოგიერთი ცნობა დიალექტური დამოკიდებულების
შესახებ დასავლეთ ირანულ ენებს შორის
(პართული და საშუალო სპარსული)

ტურფანის მანიქეველურ ძეგლებში ორი დიალექტური სახესხვაობის არსებობა აღნიშნული იყო ჯერ კიდევ კ. ზალემანის მიერ 1908 წელს გამოქვეყნებულ შრომაში *Manicheische Studien* (*ЗБОАИ Т. VIII, № 10, 1908, გვ. 149*). შემდეგ ფ. ანდრეასისა და ო. მანის შრომებში ფორმულირებული იყო ზოგიერთი მნიშვნელოვანი დიფერენცია საშ. სპარსულსა და პართულს შორის. ყველაზე სრული გამოკვლევა სამხრეთ და ჩრდილო-დასავლურ საშუალო ირანულ დიალექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ეკუთვნის პ. ტედესკოს³.

აღნიშნულ გამოკვლევაში დადგენილი ფონეტიკური და გრამატიკულ-ლექსიკური დიფერენციებიდან ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფონეტიკური ხასიათის სხვაობებს საშუალო სპარსულსა და პართულს შორის ძველი ირანული ფონემების გადმოცემისას. მათზე გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი სქემა:

¹ ავრომანის სამი პერგამენტიდან, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმმა 1913 წელს შეიძინა, ორი დაწერილია ბერძნულად, ხოლო მესამე—პართულად. ერთ-ერთ ბერძნულ პერგამენტს ახლავს აგრეთვე პართული მინაწერი. ეს დოკუმენტები თავისი შინაარსის მიხედვით წარმოადგენენ ხელშეკრულების ტექსტებს საცენახე მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

² იხ. И. Дьяконов и В. Лившиц, *Документы из Нисы, 1960*, აგრეთვე, Johannes Harmata, *Die parthische Ostraka aus Dura Europos*.

³ P. Tedesco, *Dialektologie der westiranischen Turfantexte*, MO, XV, 1921.

ძველი ირანული	საშუალო ირანული	
ავესტა და ძველი სპარსული	პართული	საშუალო სპარსული
ავ. <i>𐬀𐬵</i> ძვ. სპ. <i>ss</i>	<i>hr</i>	<i>s</i>
ავ. <i>puθra</i> 'ვეი'. ძვ. სპ. <i>pussa</i>	<i>puhr</i>	<i>pus</i>
ავ. <i>z</i> ძვ. სპ. <i>d</i>	<i>z</i>	<i>d</i>
ავ. <i>zāna</i> 'ცოდნა'. ძვ. სპ. <i> dāna</i> <i>zardaya</i> 'გული', * <i>drd</i>	<i>zān, zird</i>	<i>dān, dil</i>
ავ. <i>𐬵</i> ძვ. სპ. <i>𐬵</i>	<i>ž</i>	<i>z</i>
ავ. <i>𐬵iv</i> 'სიცოცხლე' ძვ. სპ. <i>𐬵iv-</i>	<i>živandag</i>	<i>zindāγān</i>
ძვ. სპ. <i>č</i>	<i>č, ž</i>	<i>z</i>
ძვ. სპ. <i>št</i>	<i>št</i>	<i>st</i>
ძვ. სპ. <i>dv</i>	<i>b</i>	<i>du (d)</i>
ძვ. სპ. <i>duvar</i> 'კარი'	<i>bar(a)pān</i>	<i>dar</i> 'კარი'
	'კარის შტველი'	და სხვა

აღნიშნული ფონეტიკური დიფერენციები, ზოგიერთ სხვა სემანტიკურ და მორფოლოგიურ ხასიათის ნიშნებთან ერთად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შესაძლებელია გამოგვადგეს პართული სიტყვების გამოსავლენად ქართულში და მათ გასამიჯნავად საშუალო სპარსული სიტყვებისაგან. მორფოლოგიური დიფერენციებიდან აღსანიშნავია განსხვავება ჩვენებითი ნაცვალსახელების სისტემაში, ფუძის საწარმოებელ აფიქსებში, გრამატიკულ მაჩვენებლებსა და ლექსიკაში. მაგალითად: პართ. *im* = საშ. სპ. *ēn* 'ეს' (ჩვენებითი ნაცვალსახელი), პართ. *hō* = საშ. სპ. *(h)ān*-ს 'ის', აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი *ēft* = საშ. სპ. *ih*-ს (ძვ. ირ. **iya*-ჭა-a-დან). იზაფეტის ნაწილაკად პართულში გამოყენებულია *čē* საშ. სპ. *i*-ს საპირისპიროდ. აწმყოს ფუძე ზმნისა *kartaŋ* 'კეთება' პართულში წარმოდგენილია *kar*-ის სახით ნაცვლად საშ. სპ. *kun*-ისა, ხოლო *თქმის*, *ლაპარაკის* აღსანიშნავად ზოგად ფორმად პართულში გამოყენებულია *vāž* (<*vāč*), საშ. სპარსულში დამკვიდრებულ *ფጶჰ* ფორმის საპირისპიროდ და სხვა.

ჩვენთვის, ფონეტიკურთან ერთად, მნიშვნელოვანია უმთავრესად განსხვავებანი ფუძის საწარმოებელ აფიქსებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ ელემენტებს შორის¹.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ცნება „პართული ენის“ ქვეშ იმალება, როგორც ჩანს, ძრავალი საშ. ირანული დიალექტი, რომლებიც ხორასანისა და შუა აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებობდნენ. სასანიდების დროიდან ამ რაიონ-

პართული ენის ბგერითი სისტემა შემდეგი სახით
უნდა წარმოვიდგინოთ (გილენის მიხედვით).

ხმოვნები და დიფთონგები: a ā, i ī, u ū, e ē, o ō
ai ay, āy au av, āv.

თანხმოვნები: ნახევარხმოვნები: y, v

ლიქვიდები: r, l

ნახალები: n m

გუტურალები: { ხშულები: k g
 { სპირანტები: x γ

პალატალი აფრიკატები: č ʃ

დენტალები: { ხშულები: t d
 { სპირანტები: θ

ლაბიალები: { ხშულები: p b
 { სპირანტები: f β

სიბილანტები: s z š ž

ასპირატები: h.

პართული ბგერების გადმოცემისათვის სომხურსა და ქართულში

პართული სიტყვების შეპირისპირება ქართულში შეთვისებულ ფორმებთან, ერთი მხრივ, და ამავე სიტყვების სომხურში შემონახულ ფორმებთან, მეორე მხრივ, ჩვენი ფიქრით, ბევრ რამეს გაარკვევს, როგორც პართული ბგერების ქართულში გადმოცემისა, ისე მათი შემოსვლის გზების საკითხში.

ცნობილია, რომ პართული ლექსიკა ყველაზე კარგად შენახული ფორმით და შეიძლება უფრო სრულად (რიცხობრივი თვალსაზრისით), ვიდრე ჩვენამდის მოღწეულ პართულ ძეგლებში, დაცულია მრავალრიცხოვან სომხურ ნასესხობებში პართულიდან, რომელთა შესწავლის მნიშვნელობა საშუალო ირანული დიალექტების კვლევისათვის, კერძოდ პართულისათვის, ჯერ კიდევ ჰ. ჰიუბშმანმა დაასაბუთა თავის შრომებში *Armenische Grammatik*, I, 1897, და *Persische Studien*, 1895. მისი აზრით, სომხური ფორმები საუკეთესოდ წარმოგვიდგენენ

ბის მოსახლეობა თანდათანობით სამ. სპარსულზე გადავიდა, თუმცა პართულმა საგრძნობი გავლენა მოახდინა სამ. სპარსულზე, რასაც მოწმობს მრავალრიცხოვანი ნასესხობები სპარსულში ჩრდილო-დასავლური დიალექტებიდან. მაგ., სპარსულში და ტაჯიკურში პართული ფორმით არის წარმოდგენილი სიტყვები *šahr* (ძვ. ირ. *xšāhira*) 'სახელწიფო', *čahr* (<*čihra*) 'სახე, გვარი, ნოდგმა', *puhr* (<*pušra*) 'ვაჟი', *frazān* 'ბრძენი' და სხვა მრავალი.

სპარსულ წარმოთქმას და ფალაური ლექსიკონი, დაცული ისეთი კარგად შემონახული ფორმით, როგორც ეს სომხურშია, არ არის არც თვით სპარსულში და არც რომელიმე სხვა წყაროში. ჰიუბშმანის შემდეგ, ტურფანის მანიქეველური ტექსტებისა და პართული ენის სხვა ძეგლების შესწავლის შედეგად, ჰ. ჰიუბშმანის მოსაზრებანი მთლიანად დადასტურდა და შემდგომი განვითარება მიიღო ა. მეჟეს, ე. ბენვენისტის, ქრ. ბართოლომეს, პ. ბეილის, ვ. ჰენინგის, ი. გერშევიჩისა და სხვათა შრომებში, რომლებიც განუწყვეტლივ იყენებენ თავის შრომებში სომხურ მონაცემებს როგორც პართული, ისე სხვა აღმოსავლური საშ. ირანული დიალექტების კვლევისას. მაგალითად, ა. მეჟე, ჯერ კიდევ თავის შრომაში *Sur les mots iraniens empruntés par l'arménien*, MSLP, t. XVII, აღნიშნავდა: „ჰიუბშმანმა თავის შრომაში განიხილა უმრავლესობა მრავალრიცხოვანი ნასესხობებისა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია სასაზღვრის წინააღმდეგ ებოქისათვის. ამ ნასესხობების შესწავლამ ჰ. ჰიუბშმანის მიერ ბევრი რამ გაარკვია სპარსული ენის ისტორიულ ფონეტიკაში, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ჰ. ჰიუბშმანი აქვეყნებდა თავის *Persische Studien*-ს (1895 წ.), ბევრი რამ უცნობი იყო ირანული ენების ისტორიული დიალექტოლოგიიდან (ჩრდილო და სამხრეთ-დასავლური დიალექტების ურთიერთდამოკიდებულებიდან)“. ა. მეჟეს თქმით, ყოველი დამახასიათებელი ფონეტიკური ნიშანი მანიქეველური პართულისა შესატყვისს პოულობს სომხურის ძველ ნასესხობებში ირანულიდან. ამასთან ერთად, სომხური ლექსიკის ირანული ნაწილი ხშირად სპარსული (ე. ი. სამხრეთ-დასავლური) ფორმებით არ გვხვდება და საკმარისია თვალი გადავაფლოთ ჰ. ჰიუბშმანის *Armenische Grammatik*-ს და მაშინვე დავრწმუნდებით იმაში, რომ ორიგინალები ნასესხობათა მეტი წილისა არ არის დამოწმებული მაზდენური ფალაურის ტექსტებში, ე. ი. სამხრეთ-დასავლურში. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორიც არის სომხ. *mišt*, ავ. *mišti* 'მუდმივად', *karmir* 'წითელი', რომელიც ჰიუბშმანს, ირანული იერის მიუხედავად, საეჭვოდ მიაჩნდა, აღმოჩნდა სოლდურში (იხ. A. G., 167) — შდრ. სოლდ. *krm'yr* 'წითელი'. ამის გამო ა. მეჟე სვამს კითხვას, ზოგიერთი სომხური სიტყვა, რომელსაც ირანული იერი აქვს, მაგრამ არ მოეპოვება შესატყვისი არც ერთ ირანულ დიალექტში, ხომ არ არის ნასესხები ამ ჩრდილო დიალექტებიდან, რომელთა ძველი ფორმები ასე მცირედ არის ცნობილი? მას ისეთი სომხური სიტყვები, როგორიც არის *հրասպրակ*, *հրաժարև*, *հրասախ*, *խոյր*, *դևսպակ*, *դևսպან*

და სხვა, ისე როგორც ბერძნული წარმოშობის ზოგი სიტყვა, პართულიდან მიაჩნია შესულად სომხურში¹.

ირანულიდან სომხურში შესულ სიტყვებს სპეციალური შრომები მიუძღვნა ე. ბენვენისტმა². ერთ-ერთ უკანასკნელ თავის სტატიაში ამ საკითხის გარშემო *Mots d'emprunts iranien en armenien* (BSLP, 53, 1957—58) ე. ბენვენისტი აღნიშნავს: „ხშირად საკმარისია ირანული ლექსიკა გამდიდრდეს ახალი სიტყვებით ან გაირკვეს მნიშვნელობა რომელიმე სიტყვისა, რომ იმავე წუთს რაიმე სიტყვა სომხურშიაც აიხსნას“. ბენვენისტი ზოგიერთ ისეთ სიტყვასაც, რომელიც პ. ჰიუბშმანს მკვიდრ სომხურად მიაჩნდა, ირანულიდან შეთვისებულად თვლის, მაგალითად, *arg* 'ფასი' (*arž*-ის გვერდით), *ērag* 'სწრაფი', *meg* 'ღრუბელი', *mez* „urina“, *gan* 'დარტყმა' და სხვა. ბენვენისტის აზრით, ამის საბუთია, ერთი მხრივ, წარმოდგენილი ბგერების ინდოევროპული ხასიათი და, მეორე მხრივ, ამ სიტყვების არსებობა საშუალო ირანულ დიალექტებში — პართულში, სოლღურში, ოსურში და სხვა. როგორც დავინახეთ, სომხური ენა თავიდანვე იღვა ირანისტების ყურადღების ცენტრში, მას გვერდს ვერ უვლიდა საშ. ირანული ენების ვერც ერთი მკვლევარი. ზოგჯერ სომხურის გვერდით ქართულიც მოიხსენიებოდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ აღენიშნათ: ირანული სიტყვები ქართულში მხოლოდ სომხური გზით არის შემოსულიო. ეს ტრადიცია მოდის პ. ჰიუბშმანისა და ა. მეფესაგან, მას აგრძელებს ე. ბენვენისტიც და სხვა ევროპელი ირანისტებიც (გამონაკლისია პ. ბელის ზოგიერთი შრომები). დაახლოებით ასე ფიქრობდა ნიკო მარიც, რომელიც შესანიშნავად ფლობდა როგორც სომხურ, ისე ქართულ მასალას. მისი აზრით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ყველა ფალაური სიტყვა ქართულში სომხურიდან იყო შეთვისებული. კიდევ უფრო შორს მიდიოდა თავის მსჯელობაში ჰრ. აჭარიანი. პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ქართულში დაცულ ფალაურ სიტყვებს სომხურთან შეპირისპირებით და ხაზგასმით აღნიშნა ქართულში სომხურისაგან დამოუკიდებელი, ფალაურიდან შეთვისებული ლექსიკის არსებობის შესაძლებლობა, იყო ილია აბულაძე³. თავის

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ამ სიტყვებიდან ქართულშიაც არის დადასტურებული: ურაკბარაკი, ფარსახი, ხორი, დესპანი და სხვა, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება მსჯელობა.

² იხ. *Revue des études arméniennes*, IX; *Trans. Phil. Soc.*, 1945; JA, 1851, გვ. 226.

³ თუქცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია აბულაძე ეთლიანად ჰრ. აჭარიანის მონაცემებს ეყრდნობა და ახალი ლიტერატურა სომხურში ირანულიდან შესული ლექსიკური ელემენტების შესახებ არ აქვს გამოყენებული.

შრომაში, „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში“, 1944 წ., ილია აბულაძემ წამოაყენა სავსებით მართებული დებულება: „სომხურიდან რომ ყოველთვის ვერ გამოვიყვანთ ქართულში შემოსულ ფალაურ სიტყვებს, ამას ისეთი სიტყვებიც მოწმობენ, როგორიცაა, მაგ., ნიში, ნიშანი, პილო, მიპრაკანი, გუმბათი... მგონია ესეც საკმაოა იმისათვის, რომ მთლიანად ვერ გავიზიაროთ აკად. პრ. აპარიანის მოსაზრება ფალაური სიტყვების ქართულში შემოსვლის შესახებ, თითქოს ესენი მარტოოდენ სომხურით შემოსულიყვნენ ქართულში. ფალაურს სომხურზე ლექსიკის მხრით დიდი გავლენა აქვს მოხდენილი, ისიც უშუალოდ, რადგან ამას გეოგრაფიული არეც და სხვა ისტორიული ვითარებაც უწყობდა ხელს, მაგრამ უკანასკნელი გარემოება არც ქართულისათვის არის გამორიცხული. მართალია, ისტორიული ქართლი და მისი მოსახლეობა გეოგრაფიულად უშუალო შეხებაში არ იმყოფებოდა ფალაური ენის მომხმარებელ სპარსეთთან, მაგრამ პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ქართლს ირანთან ძველად მჭიდრო ჰქონია, რასაც ისტორიულ გადმოცემებთან ერთად ბოლო დროის არქეოლოგიური გათხრები და კერძოდ მცხეთა-არმაზის გათხრების დროს მოპოვებული არმაზის სამარხების წარწერებიც მოწმობენ“¹. ილია აბულაძემ დაწვრილებით განიხილა ე. წ. ირანულიდან მომდინარე სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვები, აგრეთვე პ. ჰიუბშმანის, ა. მეფესა და პრ. აპარიანის შეხედულებანი მათ შესახებ, რაც შემდეგში მდგომარეობს: ფალაურიდან სომხურში შესულ სიტყვებში შეკუმშულია სიტყვის შიგნითა ხმოვნები და დიფთონგები, ხმოვნები *h*, *hL* გადადის *l*-ში, ხოლო დიფთონგები *h>h* და *h-s*, *sh>h-s*, *hL>hL-s*, მაშინ როდესაც სხვა ენებიდან სომხურში შესულ სიტყვებში მსგავს მოვლენას აღვილი არა აქვს. ქართულში იმავე სიტყვების ხმოვან-შეუკუმშავი ფორმების არსებობა ჰიუბშმანმა ახსნა იმ გარემოებით, რომ ქართული ენა, რომელსაც *l* არ გააჩნია, ცვლის მას *h* და *hL* ხმოვნებით. პ. ჰიუბშმანის დაკვირვება უფრო დააზუსტა ა. მეფემ. მისი აზრით, *h-s* და *hL-s* დაკარგვა და დიფთონგთა შეკუმშვა სომხურში უნდა მომხდარიყო ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის გასულს, ხოლო ქართული, სადაც ეს სიტყვები ხმოვან-შეუკუმშავად არის. დაცული, ასახავს სომხურის მდგომარეობას II საუკუნემდე; ამასთან, ა. მეფეს აზრით, ფალაურიდან მომდინარე ხმოვან-შეკუმშული სიტყვების მხოლოდ ნაწილი წარმოადგენს უძველეს ნასეს-

¹ იხ. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბილისი, 1944, გვ. 084—085.

ხობას და, პირველ ყოვლისა, ის სიტყვები, რომლებიც ქართულში შეუქუმშავად არიან დაცული¹. ილია აბულაძე სამართლიანად დაასკვნის, რომ აღნიშნული მოვლენისათვის ასეთი საგანგებო ყურადღების მიქცევა შემთხვევითი არ არის, რადგან ეს ბგერები (ხმოვნები) წარმოადგენენ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წყაროსა და მსესხებელი ენის (ქართულისა და სომხურის) ფორმებს შორის, რაც გვაფარაუდებინებს, რომ შეიძლება ასეთი სიტყვები ერთმანეთისაგან ჰქონდეს ამ ენებს ნასესხები². ილია აბულაძე აქ ფრთხილად გამოთქვამს მოსაზრებას ქართულში საშ. ირანულიდან დამოუკიდებელი სესხების შესაძლებლობის შესახებ. ჩვენ ეს დებულება უფრო გარკვევით წამოვაყენეთ ჩვენს საკანდიდატო შრომაში 1946 წელს³, სადაც აღვნიშნავდით, რომ სომხურისაგან დამოუკიდებლად უმთავრესად სასანური ხანის საშუალო სარსული სიტყვები შემოდინან ქართულში, თუმცა არ არის გამორიცხული სესხება სომხურის გარეშე არშაკიდული ფალაურიდანაც (პართული). ილია აბულაძეს ფალაურიდან ნასესხები სიტყვები გაუდიფერენცირებლად აქვს წარმოდგენილი (უმთავრესად აჭარიანის მიხედვით). ბევრი სიტყვა, რომელიც მას უცნობი წარმოშობის სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვად მიაჩნია, დიდი ხანია სეციალურ ლიტერატურაში ირანულად არის აღიარებული. ზოგიერთი მათგანი ჩვენს მიერაც არის ეტიმოლოგიზებული (იხ. ქვემოთ).

ე. წ. სომხურ-ქართული საერთო ხმარების ირანულიდან მომდინარე სიტყვებად ილია აბულაძე შემდეგ სიტყვებს მიიჩნევს: ა მ ბ ო ხ ი, ა პ ა რ ა ნ ი, ა ს პ ა რ ე ზ ი, ა ვ ა ნ ი, ბ ა გ ი ნ ი, ბ უ ნ ი, ბ უ ნ ე ბ ა, გ უ ნ დ ი, ბ ე ვ რ ი, დ ა ჰ ჰ ა ჰ ე ტ ი, მ ა ზ დ ე ნ ი (ძენ ი მაზდენ), დ პ რ ი ო ნ ი (= դսլ[ქ]ուն), ზ ო რ ვ ა, ჟ ა მ ი, ზ ო რ ა ვ ა რ ი, ა ზ რ ა პ ე ტ ი, ჰ ა მ ა რ კ ა რ ი, უ რ ა კ პ ა რ ა კ ი, ჰ რ ო ა რ დ ა გ ი, მ ა ტ ი ა ნ ე, მ ე ჰ ე კ ა ნ ი, მ ო გ ვ ი, მ ო გ უ პ ე ტ ი, ნ ა ვ ა ს ა რ დ ი, ნ ი შ ი (ნჷანი), შ ე ნ ე ბ ა, ო ს ტ ა ნ ი, პ ა ტ ი ვ ი, პ ა რ ე გ ა ვ ე ტ ი, ს ა ზ ე პ უ რ ო, ს პ ა რ ა ზ ე ნ ი, ს პ ა ს პ ე ტ ი (სპარაპეტი), შ ტ ა ხ ს ი (ստախ[ս]), ვ ა ნ ი, ვ ა რ დ ი, ტ ა ძ ა რ ი, ტ ა ნ ჯ ვ ა, პ ი ლ ო — ს უ ლ 39 სიტყვა. ამ სიტყვებიდან 8 სიტყვა—ა პ ა რ ა ნ ი, ა ვ ა ნ ი, დ ა ჰ

¹ A. Meillet, Esquisse d'une grammaire comparée de l' Armenien classique, Second édition, Vienn, 1936, გვ. 23.

² ი. აბულაძე, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა, გვ. 083.

³ მ. ანდრონიკაშვილი, ირანული წარმოშობის სიტყვები ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში (V—XI სს.), თბილისი, 1946, დაბეჭდილია თეზისები.

ჭაპეტი, დპრიონი, მეჭეკანი, მოგუპეტი, ნავასარ-
 დი და მაზდენი—წარმოადგენს; სომხურ-ქართული გარკვეული
 ტექსტების კუთვნილებას და სხვაგან ქართულში არ იხმარება.
 ჩვენი ფიქრით, მხოლოდ ამ სიტყვების შესახებ ითქმის დაბეჯი-
 თებით, რომ ისინი სომხურიდან არიან შემოსული ქართულში.
 ფორმიტაც ისინი სომხური სიტყვების ზედმიწევნით ტრანსკრიფ-
 ციას წარმოადგენენ, როგორც ამას თვით ილია აბულაძე აღნიშ-
 ნავს¹. დანარჩენი სიტყვებიდან ნაწილი ზუსტად ემთხვევა როგორც
 სომხურს, ისე საშუალო ირანულ ფორმებსაც. ასეთებია: ამბოხი,
 ასპარეზი, ბაგინი, გუნდი, ჟამი, ჰამარკარი, მატია-
 ნე, ოსტანი, პათივი, პარეგავტი, სპარაზენი, ვანი,
 ვარდი, ტანჯ (14 სიტყვა). დანარჩენი სიტყვები გამოავლენენ
 მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ფორმას ფონეტიკური თვალსაზრი-
 სით. ხმოვნების სფეროში ეს გამოიხატება, როგორც ზევით იყო
 აღნიშნული, იმით, რომ ქართულში საშ. ირანული ხმოვნები შეუ-
 კუმშავად არის გადმოცემული, მაგალითად, სომხ. *բնիկ*, ქართ.
 ბუნიკი, ფალ. *bñik*, სომხ. *բնուխիւն*, ქართ. ბუნება, ფალ.
bñ, სომხ. *բիւր*, ქართ. ბევრი, ფალ. *bēvār*, სომხ. *բշան*, ქართ.
 ნიშანი, ფალ. *nišān*, სომხ. *սպիտակ*, ქართ. სპეტაკი, ფალ.
spēt და სხვა.

არა ნაკლებ მანიშნებელია განსხვავებები თანხმოვანთა გადმო-
 ცემისას, სახელდობრ, აღსანიშნავია შემდეგი: 1. ქართულში ხში-
 რად იქარგვის ჰ ყველა პოზიციაში, მაშინ როდესაც სომხური
 ინარჩუნებს მას: *հրովարտակ* — როარტაგი < საშ. სპ. *fravartak*,
 სომხ. *Հաղարտակ* — აზრაპეტი < *hazarapat*, *սხպուհ* — ზე-
 პური < *vispuhr* და სხვა; 2. ქართულში წარმოადგენილია სისინა
 აფრიკატი *č*, *č* სომხური შიშინა აფრიკატი *č*-ს საპირისპიროდ:
 სომხ. *տաճար* — ტაძარი < ძვ. ირ. *tačara*, საშ. სპ. *tazar*; 3. სომ-
 ხური *r*-ს ნაცვლად, რომელიც საშუალო სპარსული *z*-საგან მომდი-
 ნარეობს, ქართულში გვაქვს *z*. შდრ. სომხ. *սպարապետ* = ქართ.
 სპაპეტი < პართ. *spāb(a)pat*; 4. კომპლექსი *fr* სომხურში წარმო-
 გენილია *hr*-ს ან ოდენ *h*-ს სახით, ქართულში გვაქვს ფრ. შდრ. *հրա-
 ման* — ფარმანი < *framān*; 5. სომხურში ფალაურიდან შეთვისებულ
 სიტყვებში ადგილი აქვს მეტათეზისს *xš* > *šx*: *xšahr* > *աշխարհ*,
vaxš > *վաշխ*, *staxša* — *ստաշխ*. შდრ. ქართულში ვახში, სტახ-
 ში, სადაც მეტათეზისს ადგილი არა აქვს. ამ მოვლენებზე დაწერი-

¹ ი. აბულაძე, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა, გვ.
 085—87.

ლებით ქვემოთ იქნება საუბარი ირანულ, სომხურ და ქართულ ფორმათა ფინექტიკური შეპირისპირების დროს.

ილია აბულაძე ცალკე განიხილავს აგრეთვე ისეთ "ფალაურ სიტყვებს, რომლებიც „ქართულში არის, მაგრამ აღნიშნულ ძეგლში შესაბამისი სომხური სიტყვების შესატყვისად არ იხმარება“. ასეთი სიტყვებია: აზატი — *აჟათ*, ამპარტავანი — *ამერართასან*, არძანიგი — *არძან*, ბოროტი — *ბორით*, ბერვალი — *ბერქარ*, განძი — *განძ*, კერპი — *ქერაქ*, ამარი — *ამარ*, უნარი — *უნარ*, მანკი — *მანსქ*, სამანი — *სამანს*, ტომი — *თიჩა*, ლაშქარი — *ლახარ*, ჭაბუკი — *ჯაყილქ*, შნო — *შნარ*, ქერ — *ებრ*-ი.

უცნობი მომდინარეობისად არის მიჩნეული შემდეგი სიტყვები: ანგარება — *აგარსქ*, ახოვანი — *აქაქხანს*, ავაზაკი — *აქაგაქ*, კირთი — *ქერქილქან* (წურთილება), ამბავი — *ამარაქ*, ამბორი — *ამაროქ*, ჭეშმარიტი — *ჯამარქა*, შფოთი — *ჯიქიქ*, პატიეი — *აქათიქ*, სენაკი — *სანსაქ*, ზარი — *ჯარ*, კაპანი — *ქაყან-ჟ*, კაზმვა — *ქაყმსქ*, კარგი — *ქარაქ*, ხაშმი — *ქაშაქ*, ოხჭანი — *ქაქანან*, აზნაური — *აჯნაქ* და სხვა. აღნიშნული სიტყვებიდან გარკვევით ირანულია: ავაზაკი, ანგარება, ახოვანი, ბანაკი, ზვარაკი, კირთი, ამბავი, ამბორი, ჭეშმარიტი, შფოთი, პატიეი, სენაკი, ზარი, ხაშმი, აზნაური. უმრავლესობა მათგან საშუალო ირანული დიალექტების კუთვნილებას შეადგენს და, უნდა ვიფიქროთ, პართული წარმოშობისაა (ახოვანი, ბანაკი, ზვარაკი, ამბავი, ამბორი, ჭეშმარიტი, შფოთი, პატიეი, ზარი, ხაშმი). ზოგი მათგანი ჩრდილო-ირანული (სკვითურ-ალანურ-ოსური) წარმოშობისა ჩანს (ავაზაკი, სენაკი, აზნაური). იმ სიტყვებიდანაც, რომელთაც ილია აბულაძე ქართულიდან სომხურში შესულად თვლის, მთელი რიგი ფორმები ირანულ წარმომავლობას ამჟღავნებს: გოვარი, გვარი, უნჯი, მუშაკი, გზება (გუზ-) და სხვა.

ილია აბულაძეს სომხური და ქართული სიტყვების შეპირისპირების საფუძველზე მოჰყავს ზოგიერთი შესატყვისობა ხმოვანთა და თანხმოვანთა სფეროში¹, რომლებიც შესაძლებელია მოკლედ ასე გადმოვიცხადო:

I. ხმოვნები. მისი აზრით, რაიმე საგანგებო ცვლილება სომხურ ხმოვნებს ქართულში არ ატყვია (თარგმანების მიხედვით).

¹ იხ. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, გვ. 012—019.

1. *ხ*-სა და *ი*-ს გადიფთონგებას სიტყვის თავში ქართულში ადგილი არა აქვს (*ხ > ქ*, *ი > იო*).
2. სიტყვის შიგნით *ხ > ე*-ს, იშვიათად *ი*-ს, ხოლო *ქ > ე*-ს.
3. თანხმოვანთგამყარი *ღ* მეტწილ შემთხვევებში ქართულში არ გადმოიცემა; იშვიათად *ღ > უ, ი, თ*-ს.
4. *ჩ* გადმოცემულია ყოველთვის *ი*-თი.
5. *ჩი* (= ბერძნ. *ა*-ს) გადმოცემულია ქართულში *ოვ*-ით.
6. *ჩ* ხმოვანი ყოველთვის *უ*-თია გადმოცემული, გარდა პატრონიმიკული სუფიქსისა *ჩიჩი*, რომელიც ზოგჯერ *-ჩი*-ით არის წარმოდგენილი.

II. დიფთონგები. დიფთონგების გადმოცემისას მეტი სხვადასხვაობა გვაქვს.

1. *აი* (ay) სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული ქართულში პოზიციის მიხედვით. სიტყვის შიგნით გვაქვს აი (ფაქტობრივად), სიტყვის შიგნითვე *აი* დიფთონგის წინ კი ე (ჭუმბეკი), ხოლო სიტყვის ბოლოს გადმოიცემა როგორც ა (აბდილა, ბარლაჰა, ბარაკადრა).

2. *აი* (თანხმოვნის წინ *აი*, ხმოვნის წინ *აი*) ქართულში გადმოიცემა *უ*-თი, *აი*-თ (საპაკანუშ, ვროინ).

3. *აი* (an) გადმოცემულია ქართულში, როგორც ავ ყველა პოზიციაში (სუკავ-, ქარანდავ-, ავან-, ნავასარდ-, არშაკავან-, პარეგავტა სხვა). მაგრამ *აი*-ს წინ ზოგჯერ გადმოიცემა ა-დ (ვარძაორი), თანხმოვნის წინ კი ზოგჯერ *აი > აი*-ს (ტარონი < *თარან*).

4. *აი* (eu) ქართულში გადმოცემულია, როგორც *-ევ* (პართევ-ი, ბაგრევანდი).

5. *აი* (iu) ქართულში გადმოცემულია *ივ*-ის სახით (დივცაზნი, სივნიეთი).

6. *აი* (ya) ქართულში გადმოცემულია *აი*-ს სახით (მატიანე, ატიანი), IX—X სს.-ში ე-თი (ამარენი, ეკლეცი, ჭუმბეკი), იშვიათად როგორც ეა (ვატენან).

7. *აი* და *აი* როგორც ვა, ვი (ბაგავანი, დვინი).

III. თანხმოვნები.

ილია აბულაძის აზრით, ცვლილებები თანხმოვანთა სფეროში ძალიან მცირეა¹. ავტორი სულ რამდენიმე მოვლენას აქცევს ყურადღებას, სახელდობრ:

1. სომხური *ჩ* ყოველთვის გადმოცემულია ქართული *ლ*-თი.

¹ ჩვენი ფიქრით, თანხმოვანთა სფეროში მომხდარი ცვლილებები გაცილებით ნაკლებ სრულად არის წარმოდგენილი, ვიდრე ხმოვანთა და დიფთონგთა სფეროში და საფუძვლიან შეესაბამება საკიროებს ამ მხრივ.

2. ზოგჯერ სომხური მქლერები ქართულში გადმოცემულია ყრუ თანხმოვნებით და პირიქით. მაგალითად, $\varphi > \text{ს}$ (არტავასტ).
 $\mu > \text{ზ}$ (დიდიანოზ).
 $\varphi > \text{ტ}$ (არტავასტ).
 $\sigma > \text{დ}$ (კავადი, მაჰმედი).
 $\rho > \text{დ}$ (ბარაქადრა).
 $\chi > \text{გ}$ (კამსარავანი).

3. სომხური შიშინა თანხმოვანი ქართულში გადმოცემულია სისინათი: $\gamma > \text{ს}$ (ასტიშატი $< \text{Աստիշատ}$).

4. სომხური $\sigma > \text{ქართ. თ}$ (Տրդատ > თრდატ), სომხ. $\varphi > \text{ქართ. კ}$. (დიმაქსენი $< \text{Դրմաքսեն}$).

5. სომხური ζ ქართულში გადმოცემულია ზოგ პოზიციაში მეტწილად თავკიდურსა და სიტყვის შიგნით; სიტყვის ბოლოს, როგორც წესი, იკარგვის (დაჭკაპეტი, მეჭეკანი, ჰრაშაკერტი, ბარლაშა, ვაჰანი, ჰამარკარი, მაგრამ ნერსე, შაჰუ და სხვა).

6. სიტყვის ბოლოს იკარგვის μ , აგრეთვე შიშინა γ -ს წინ (ვალაშ $< \text{Վաղաշ}$) და სხვა¹.

ქვემოთ ჩვენ გამოვიყენებთ ილია აბულაძის ამ საყურადღებო დაკვირვებას პართული, სომხური და ქართული ფორმების შეპირისპირებისას და შევავსებთ ზოგიერთი ახალი მონაცემებით, განსაკუთრებით თანხმოვანთა სფეროში, რამდენადაც ჩვენ მიერ პართული წარმოშობისად მიჩნეული ქართული ლექსიკური ელემენტები ამის შესაძლებლობას იძლევა. არსებითი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვახდენთ ამოსავალი საშუალო ირანული ფორმების დიალექტურ კლასიფიკაციას, ე. ი. გავმიჯნავთ ე. წ. სამხრეთ-დასავლურ ანუ სამ. სპარსულ სიტყვებს ჩრდილო-დასავლური ანუ პართული სიტყვებისაგან და შევეცდებით გამოვაყვლინოთ ქართულ და სომხურ ფორმებში საინტერესო განსხვავებანი ირანული ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

სომხურ-ქართული ბგერითი შესატყვისობანი პართულიდან
 ან ვაეზში შემოსული სიტყვების მიხედვით

ქართულში და სომხურში გვხვდება საკმაო რაოდენობით ისეთი საშუალო ირანული სიტყვები, რომლებიც ორივე ენაში სავსებით იდენ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ არასწორი კვალიფიკაციაა (წარმომავლობის თვალსაზრისით) მოცემული სიტყვებისათვის, მაგალითად, ირანული სიტყვა *հրաշխեր* მიჩნეულია სემიტურად, ხოლო ირანული სიტყვები: *արჯარ*, *հասակ*, *აჰაქ*, *ჩარ* და ზოგი სხვა გამოცხადებულია სომხურად.

ტური ფორმით არიან წარმოდგენილი. მაგალითად: ავაზაკი — აქაყაკი < ირ. ā-vaza, ავაზანი — აქაყანი < āvazan, (ჰ)ამბავი — ჰამპავ < hambav, ამბოხი — ამპოქს < hambōh, ანაზდი — ანაზდი (აკ) < anazd, ბანაკი — ბანაკი < banak, ბაგინი — ბაგინი < bagin, გუნდი — გუნდი < gund, დესპანი — დესპანი < dēspān, ვანი — ვანი < vahan, ვარდი — ვარდი < vard, ვაშტი — ვაშტი < vašt, ზუარაკი — ზოლარაკი < zōhrak, (ჰ)ამარი — ამარი < hamār || amar, ჟამი — ჟამი < žam, პასანიკი — პასანიკი < pasanik, პატივი — პატივი < pativ, პატივი — პატივი < pativ, (ჰ)ასაკი — ჰასაკი < hasak, დაშნი — დაშნი < dašn, ასპარეზი — ასპარეზი < asprēs, ოსტანი — ოსტანი < ōstan, სპარაზენი — სპარაზენი < spārazēn, ტანჯი — ტანჯი < tanj, პარეგავტი (პალეკარტი) — პარეგავტი < *pari. gaud- და სხვა.

იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემა აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისინი უშუალოდ არიან შემოსული ქართულში თუ სომხურში მეშვეობით. ქართულსა და სომხურს ამ შემთხვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ საშუალო-ირანულ ბგერათა გადმოსაცემად. თუ დავუკვირდებით აღნიშნულ სიტყვებს, შევამჩნევთ, რომ პირველ მარცვალში ყველგან ა ხმოვანი გვაქვს, ორ ან მეტ მარცვლიან სიტყვებში მეორე და მესამე ხმოვანი არის ან ა, ან i (ე) (გამონაკლისია ამბოხი და ზუარაკი).

ხ მ ო ვ ა ნ თ ა გ ა დ მ ო ც ე მ ა

ქართული და სომხური ხმოვნების შეპირისპირებიდან ირკვევა, რომ სომხურში *ქ, ხ, ი* შეკუმშულია თითქმის ყოველთვის პირველ მარცვალში.

1. ქართ. ე = სომხ. *ქ-ს* < საშ. ირან. ē.
 სპეტაკი — სპეტაკი < spēt(ak),
 ვეშაპი — ვეშაპი < vēšap,
 ბევრი — ბევრი < bēvār,
 ვერაგი — ვერაგი < *vērag.
2. ქართ. ი = სომხ. *ქ* < საშ. ირ. i.
 კისაკი — კისაკი < kisak,
 პიტიახში — პიტიახში < patixšāh,
 პილენძი — პილენძი < birinj.
 ნიშანი — ნიშანი < nišān.

3. ქართ. უ=სომხ. *ը*<საშ. ირ. *u*.
 ბუნაკი — *բնակ* < *bunak*,
 დუმაკი — *դմակ* < *dumak*,
 გურაპანი — *գրապան* < **gurapān*,
 მუშაკი — *մշակ* < **mušak*,
 ბუნიკი — *բնիկ* < *bunik*,
 ბუნება — *բնութիւն* < *būn(ih)*.
4. ქართ. *ռ*=სომხ. *ռ*-ს<საშ. ირ. *ō*.
 ამბოხი — *ամբոխ* < *hambōh*,
 მოგუი — *մոգ* < *mōγ*,
 ზორ-ვა — *զոր* < *zōhr*,
 პოხვა — *փոխ* < *pīh* (*puh*),
 როარტაგი — *հրաշարտակ* < *fravartak*.
5. ქართ. ე=სომხ. *է*-ს<საშ. ირ. *ē* (*ai*).
 ზეპური — სომხ. *սիսուր* > *vispubr*.
6. ქართ. ე=სომხ. *է*-ს, საშ. ირ. *ē*.
 პატნეზი — სომხ. *պատնէշ*.

შენიშვნა: ერთმარცვლიან სიტყვებსა და მრავალმარცვლიან სიტყვების მომდევნო მარცვლებში შეკუმშვას ადგილი არა აქვს: ე=*է*-ს, ი=*ի*-ს, უ=*ու*-ს. შეადარეთ სიტყვები: ქერპი — *կերպ*, დეტი — *դէտ*, მე-ვეპ-ე — *վէպ* და სხვა. აგრეთვე პატნეზი — *պատնէշ*, ასპარეზ — *ասպարեզ*, პალეკარტი — *պարեգատ*, დალიჭი — *դահլիճ*, პატიჟი, პატივი, პასანიკი და სხვა.

დიფთონგების გადმოცემა

ქ-ით შედგენილი დამავალი დიფთონგები

სომხ. *այ* და *იქ* ზოგ პოზიციაში ქართულში გადმოცემულია მარტივი ხმოვნებით *ა* და *ო*.

1. *այ* სიტყვის ბოლოს ქართულში გადმოცემულია *ა*-თი (შდრ. საკუთარი სახელები *აზდილა*, *ბარლაჰა*, *ბარაკადრა* და სხვ. ილია აბულაძესთან). სიტყვის თავში, სამწუხაროდ, *այ* ჩვენს მასალაში არ გვხვდება (საშ. საარსულში *ai* დიფთონგი გადავიდა *ē*-დ). სიტყვის შიგნით სომხურში *ა* > *այ*-დ (შდრ. *ձայն* 'ხმა' = ქართ. *ძნობა* < *ძან* - || *ძალ* - < საშ. ირ. *zan*, *zatan* 'დაკვრა', 'ცემა'). უფრო ხშირად სომხ. *այ* > ქართ. *აე*. შდრ. *պայման* — *პაემანი* < *paymān*, *պայքար* — *პაეკრობა* < *paykār* და სხვა. სომხ. *այ* > ქართ. *ე*: *ասյր* — *სერი* (ილ. აბულაძესთან *այ* > *აე* ფადტაქარან).

2. სომხური დიფტონგი *იყ* (თანხმოვნის წინ *oi*, ხმოვნის წინ *oy*) ქართულში წარმოდგენილია, როგორც *ო* და *ოი*, *ოე*.
- ამბორი — *համբոյր* < hambōd,
 მოგვი — *մոյգ, մոյք* < mōk,
 ხორი — *խոյր* < xōd (შდრ. ი. აბულადესთან ვნოინ, ვროინ),
 კაპოეტი — *կապոյտ* < kapōt.
3. *აუ* (aū) ქართულში გადმოდის, როგორც *ავ*.
- ამპარტავან — *ամբարտասան* < *hampartavan,
 პალავანდ — *պարասւանդ* *paḍband,
 ნავასარდ — *նաւասարդ* < navasard,
 არშაკავანი — *Արշակւան* < Aršakāvān.
 გავალაკი — *գահաւորակ* < gahvarak,
 ავაჯი — *աւաջ* < avāž (< avāč).
4. დიფტონგი *ი* გადმოცემულია ქართულში, როგორც *ევ*.
- პართეველი — *պարթև* < parṭav,
 ბაგრევანდი — *Բագրեւանդ* < Bagrēvan.
5. დიფტონგი *იუ* (iū) გადმოცემულია ქართულში იგ-ით და ეგ-ით.
- დევი — *դիւ* < dēv,
 პატივი — *պատիւ* < pativ.

აღმავალი დიფტონგები

1. დიფტონგი *ხა* ქართულში იძლევა *ია*-ს და *ე*-ს.
 მათიანე — *մատիան* < matyan (< matdan),
 მანიაკი — *մանիակ* < maniyak,
 ატიანი — *ատեան* და სხვა.
2. დიფტონგი *ილა* = ქართ. ვა-ს, ზოგჯერ ვა > ო-ს.
 ბაგავანი — *Բագուան* < Bagavān,
 ზვარაკი — *զուարակ* < zōhrak.
3. დიფტონგი *ილი* = ქართ. ვი.
 დვინი — *Դուին*.

არის შემთხვევა, როდესაც სომხურ *ა*-ს ქართულში უბირის-ბირდება ი ხმოვანი.

ვიგრი — *վաղր*, სკრ. vyaghra-, ახ. სპ. bahr.

პართული თანხმოვნები ქართულში და სომხურში

საშუალო ირანული, ამ შემთხვევაში პართული, ყრუ ხშული თან-ხმოვნები *p t k* ქართულში და სომხურში შეტწილად გადმოცემუ-ლია აბრუპტივებით *პ ტ კ, ყ თ ჭ, პოზიციის მიუხედავად.*

1. სიტყვის თავში პართ. p=ქართ. პ, სომხ. պ-ს.

პალავანდი — *պարավանդ* < paðband,

პასანიკი — *պասանիկ* < pasanik,

პატივი — *պատիւ* < patiṣ,

პატივი — *պատիժ* < patišt,

პატნეზი — *պատնէշ* < patnēš,

პაჰრაკი — *պահակ* < pahrak.

2. სიტყვის თავში პართ. t=ქართ. ტ-ს, სომხ. տ-ს.

ტაბასტაკი — *տապաստակ* < tapastak,

ტალავარი — *տաղավար* < tālvar.

ტანჯვა — *տանջ* < tanj.

3. პართ. k=ქართ. კ-ს, სომხ. կ-ს სიტყვის თავში.

კერპი — *կերպ* < karp,

კაპოტი — *կապոտ* < kapōt,

კირთი — *կիրթիկ* < kirt,

კუშტაბანი — *կտապանակ* < kuštapān.

4. პართ. p=ქართ. პ, სომხ. պ სიტყვის შიგნით და ბოლოს.

დესპანი — *դէսպան* < dēspān,

ურაკპარაკი — *հրապարակ* < frāpaðak,

ვეშაპი — *վշապ* < vēšāp,

ზეპური — *սիսուհ* < vispuhr,

აპკა — *ապակ* < āpāk.

5. პართ. t=ქართ. ტ-ს, სომხ. տ-ს სიტყვის შიგნით და ბოლოს.

ამპარტავანი — *ամբարտավան* < hampartavan,

ვაშტი — *վաշտ* < vašt (vart),

მატაკარანი — *մատակարար* < matakðar,

პატივი — *պատիժ* < patišt,

პატივი — *պատիւ* < patiṣ,

პატნეზი — *պատնէշ* < patnēž.

6. პართ. k=ქართ. კ-ს, სომხ. կ-ს სიტყვის შიგნით და ბოლოს.

მატაკარანი — *մատակարար* < matakðar,

დიასკაპანი — *դաստակապ* < *dastakap(an),

პაჰრაკი — *պահակ* < pahrak,

ჰასაკი — *հասակ* < hasāk,

ტაბასტაკი — *տապաստակ* < tapastak და სხვა.

განსხვავებას სომხურსა და ქართულ ფორმებს შორის ყრუ ხმულების p t k-ს გადმოცემისას ქმნის მჟღერი ხ m-ს წინ სომხურში ქართული აბრუპტივის საპირისპიროდ და, პირიქით, მჟღე-

რი ფ ქართულში სიტყვის ბოლოს და ხმოვანთა შორის სომხ
 ლ-ს საპირისპიროდ. შუადარეთ: ქართ. ამპარტავანი — სომხ.
ամբարտավան. მეორე მხრივ, ქართ. ვარშამავი — სომხ. *վար-*
շամակ, ქართ. როარტავი — სომხ. *հրուարտակ*. ხმოვანთა შორის
 სიტყვის შიგნით: ქართ. ოსტიგანი — სომხ. *ոստիկան* < *ostikān*,
 ქართ. ტაბასტაკი — სომხ. *տաստասակ*¹.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, რომლებიც სომხურ-
 რისა და ქართულის ფონეტიკური ურთიერთობის ფარგლებს არ
 სცილდება, აღსანიშნავია ზოგი ცვლილება, რომელიც ასახავს დია-
 ლექტურ დიფერენციებს პართულსა და საშუალო სპარსულს შო-
 რის და სხვადასხვა ამოსავალ ფორმებს გვევარაუდებინებს ქართუ-
 ლისა და სომხურისათვის. ამის მაგალითად შესაძლებელია გამო-
 გვადგეს შემდეგი მოვლენები:

1. პართული p, საშ. სპარსული ḥ (სიტყვის შიგნით ḫ-ს წინ)
 ქართულში გადმოცემულია როგორც ḥ, ხოლო სომხურში რო-
 გორც ḥ.

ქართ. აბჯარი — სომხ. *աճար*, *աճան* = პართ. *apəčar* (*aβčār*),
 საშ. სპარსული *aβčār*, *aβzār* (ძვ. ირ. **aβi. čāra*na-).

2. პართული p = ქართ მ-ს, სომხ. *ph*-ს (თავკიდურში). ქართ.
 პილო, სომხ. *փիլ* = პართ. *pīl*. ქართ. პოხ-ვა, სომხ. *փոխ* 'სესხი'
 პართ. *pulh* (< *pī*ში).

3. პართული ḫ = ქართ. ჩ (ჯ) და სომხ. ḫ-ს.

ქართ. საჩ-, საჯ- (სჩ-, რჩ-, შჩ-, სჯ-, რჯ-, შჯ-. რჩული, რჯუ-
 ლი, სჯული, სჯა, რჩა და სხვა) = სომხ. [*սս*]ჯა *სწორი, ღირ-*
სეული, ჯამსი, შესაფერისი < პართ. *sač*-იდან.

4. პართ. ḫ (*ž*) = ქართ. ზ, სომხ. *z*.

ქართ. პატნეზი — სომხ. *պատնէշ* = პართ. *patnēž*, საშ. სპარს.
 **patnēz*.

5. თავკიდური ირანული (პართული) p სომხურში წარმოდგენი-
 ლია, როგორც *h*, ქართულში, როგორც ფ:

ქართ. ფართო — სომხ. *հարթ* = პართ. *parθ* ან *farθ* (ავ. *pəraθu*-).

6. თავკიდური პართ. *fr* ქართულში გადმოცემულია როგორც
 ფრ, სომხურში როგორც *hr*:

ქართ. ფარმანი — სომხ. *հրաման* < პართ. *framān*.

¹ ილია აბულაძეს აღნიშნული აქვს ზოგიერთი თავისებურება სომხური საკუ-
 თარი სახელების გადმოცემისას ქართულში. მაგ., სომხ. *տ* = ქართ. *თ*-ს სიტყვის
 თავში. *Տրդատ* = თრ და ტ, ხოლო სომხ. *տ* = ქართ. *დ*-ს სიტყვის ბოლოს სახელ-
 ში *Կառատ* = ქართ. კაე და დი, *զմ* = *st*-ს *Արտաւազդ* არტავასტ და სხვა.

ქართ. ფ რ ი დ ო ნ ი — სომხ. *Հրիդոն* = პართ. Frētōn (ავ. Θraēta onā-).

ქართ. ფ ა რ ს ა ხ ი (<ფრასახი) — სომხ. *հրասախ* = პართ. fra-sax და სხვა.

7. პართული კომპლექსი hr (ძვ. ირ. ზრ-საგან) სიტყვის შიგნით და ბოლოს ქართულში გადმოცემულია ან hr(r)-თი, ან rx-თი.

ქართ. პ ა ჰ რ ა კ ი — სომხ. *պահակ* = პართ. pahrak (<paθra),

ქართ. მ ა რ ხ ე ა — სომხ. *պահ-ել* = პართ. parh (*<paθra),

ქართ. ზ ე პ უ რ ი — სომხ. *սիպուհ* = პართ. vispuhr (visō. puθra),

ქართ. ზ ო რ ვ ა — სომხ. *զոր* = პართ. zōhr (zaoθra) და სხვა.

8. პართული შიშინა აფრიკატები j ǰ (ǰ) გადმოცემულია ქართულში სისინა სპირანტიით ზ და აფრიკატებით ძ, ც, სომხურში კი შიშინა აფრიკატიტ ძ.

ნ ა ძ ვ ი — *ნոძ* < პართ. nōč (ძვ. სპ. naučaina-), პ ა ტ რ უ ც ა გ ი — *պատրսւճակ* < პართ. patrōčak, ტ ა ძ ა რ ი — *տաճար* < პართ. tačar (ძვ. სპ. tačara-), ა რ ძ ა ნ ი გ ი — *արձանիկ* < პართ. aržanik.

9. ირანული (პართული) თავკიდური კომპლექსი vi გადმოცემულია ქართულში როგორც უ — სომხური վ ს საპირისპიროდ.

ქართ. უ ნ ა ს ი — სომხ. *վնաս* = პართ. vinās.

10. f ირანულ თავკიდურ კომპლექსში fr (=სომხურ hr-ს) ქართულში გადმოცემულია, როგორც უ:

უ რ ა კ პ ა რ ა კ ი — *հրապարակ*.

აღსანიშნავია ქართულში, სომხურ ფორმებთან შეპირისპირებისას:

1. სონორთა დისიმილაციური შენაცვლების შემთხვევები:

პართული r ქართულში გადმოდის ნ, ლ-დ:

ქართ. მ ა ტ ა კ ა რ ა ნ ი — სომხ. *մատակարար* < პართ. māta-kdār,

ქართ. პ ა ლ ა ვ ა ნ დ ი — *պարաღანი* < პართ. pādband,

ქართ. ბ ე რ ვ ა ლ ი — *բուրվար* < პართ. *bōbvar,

2. მეტათეზისი tr > rt: ა რ ტ ო შ ა ნ ი — *ատრიღან* < ātur-ōšan.

3. ქართულში და სომხურში განსხვავებული ხმოვნები გვაქვს. ქართ. ე = სომხ. ილ-ს.

ქართ. ბ ე რ ვ ა ლ ი (<*bervar-იდან), სომხ. *բուրվար* = პართ. bōb 'სული, სუნი'.

ქართულში bur-ის her-ით შენაცვლება გამოწვეულია ალბათ ქართულ სიტყვა ბ ე რ ვ ა ს თ ა ნ და სა ბ ე რ ვ ე ლ თ ა ნ დაკავშირების გამო.

4. ქართულ ფორმებში ზ სისტემატურად იკარგვის სიტყვის ბოლოს m-ს წინ.

ქართ. ტომი — სომხ. *տոմ* < პართ. *tōhm*,

ქართ. სამანი — სომხ. *սահման* < პართ. *sahman*,

ქართ. შნო — სომხ. *շնորհ* < პართ. *šnōhr* (ავ. *šnaoθra-*),

ქართ. ნერსე — სომხ. *Ներսէս* < პართ. *Nērseš* (*Nairyosaθha*).

5. სიტყვის თავში და რ-ს წინ ჰ-ს არსებობა ქართულში ფაქულტატურია. შეადარეთ მირკანი და მიჰრაკანი, ამბავი და ჰამბავი, ამბორი და ჰამბორი, ასაკი და ჰასაკი, ჰამარკარი, მაგრამ ამარი და სხვა. ჰ-ს შემონახვა უფრო მწიგნობრული გზით შემოსულ სიტყვებშია სავარაუდებელი, უფრო ბუნებრივი კი ქართულისათვის არის ჰ-ს დაკარგვის ტენდენცია ყველა პოზიციისაში, რაც უფრო მოგვიანო ძეგლებში განხორციელებულია კიდევ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქართულში დადასტურებული, თუნდაც ფონეტიკურად სომხურის სავსებით იდენტური ფორმები საშუალო ირანული წარმომავლობის სიტყვებისა, ამ ენებში ყოველთვის იდენტური მნიშვნელობით ერთმანეთის შესაბამისად არ იხმარება. ხოლო მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც ქართულს პართულიდან აქვს შეთვისებული, სომხურში ან სრულიად არ გვხვდება, ან იქ სხვა ფორმით არის წარმოდგენილი ფონეტიკური და ზოგჯერ მორფოლოგიური თვალსაზრისით, მაგალითად, განსხვავებული სუფიქსით: ქართ. შჯული, საჯ- = სომხ. *սյատյաձ*, ქართ. მემარაგე = სომხ. *մարգարէ*, ქართ. ანაზღაღ = *անազղ(ակ)*, კუშტაბანი = *կշտապանակ* და სხვა.

ილია აბულაძეს ზემომოყვანილი შრომის 90-ე გვერდზე ცალკე აქვს გამოყოფილი ფალაური სიტყვები, რომლებიც ქართულში არის, მაგრამ აღნიშნულ ძეგლებში არ იხმარება სომხურის შესატყვისად. შეადარეთ: სომხური *աղատ* = ქართ. აზნაური, *ամբարտաւան* = უშჯულო, *արժան* = ღირსი, *բորոս* = კეთროვანი, *բուրլար* = საცეცხური, *դანձ* = საუნჯე, *կերպարանակիք* = ხატი, *համար* = აღრაცხვა, *հნար* = ღონისძიება, *խորամանկութիւն* = მზაკუვარება, *սահման* = საზღვარი, *տոմ* = ნათესავი, *շնորհ* = მაღლი¹.

¹ ამ უკანასკნელ სიტყვას შნო ჰ. ფოგტი და აკ. შანიძე უკავშირებენ ქართულ სიტყვებს შუენ-იერ-ი, შუენ-ება (იხ. Hans Vogt, *Armenien et caucasique du Sud*, NTS, B. IX, 1938, გვ. 330; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1949, გვ. 124). მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ქართული სიტყვა შნო უმკველია ამოსავლად სომხურ (ან პართულ) *šnōrh* ფორმას გულისხმობს. ამზე მიუთითებს სიტყვის სემანტიკური სიახლოვის გარდა ფონეტიკური ფორმაც; ქართ. შუენ- ფუძე არასოდეს არ იკუმშება შნ-დ.

ჩვენი ფიქრით, ეს უკანასკნელი გარემოება იმითაც აიხსნება, რომ ფალაური სიტყვების ქართული და სომხური ფონეტიკურად იდენტური ფორმებიც კი, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, შინაარსით ერთმანეთს არ ფარავენ და ამიტომ სომხური ან ქართული ძეგლების მთარგმნელები მათ ერთმანეთის სანაცვლოდ ყოველთვის ვერ გამოიყენებდნენ (ბოროტი—კეთროვანი, კერპი—ხატი, ამპარტავანი—უშჯულო და სხვა).

ზოგადი ცნობები საშუალო სპარსული ენის ანუ
ხასანური ფალაურის შესახებ

ირანულ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიის მიხედვით საშუალო სპარსული ენა, ან, როგორც მას უწოდებენ, სასანური ფალაური, წარმოადგენს სამხრეთ-დასავლური წრის დიალექტურ ტიპს. ა. მეილეს თქმით, „ძველი სპარსული, სასანური ფალაური და ახალი სპარსული სალიტერატურო ენა წარმოადგენენ რამდენიმე ნიუანსით განსხვავებულ სამ ერთმანეთის მომდევნო მდგომარეობას ერთი და იმავე სამხრეთ-დასავლური სპარსული დიალექტისა, რომლის შედარებით ზუსტი ლოკალიზაცია შეიძლება შირაზის რაიონში, სადაც დღესაც არსებობს პერსეპოლისისა და პასარგადეს ნანგრევები“¹. სპარსული ენა ბელუჯურთან ერთად შეადგენს ირანული ენების სამხრულ შტოს. ვ. ჰენინგის მიხედვით, სამხრულ-დასავლური ირანულის სახელით ცნობილია ენა, რომელიც სასანიდებმა წარწერებისათვის გამოიყენეს, როგორც საკუთარი დედა ენა, რომელიც ფარსის პროვინციის დედაქალაქის ისტახრ-პერსეპოლისის დიალექტს წარმოადგენდა; იგივე ითქმის მწერლობაზედაც, რომელიც ფალაურის სახელწოდებით არის ცნობილი (pahlavik) და მანიქეველურ საშუალო სპარსულზეც, რომელიც სამეფო სახლის ენა იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი სპარსულიც აქამენიდების რეზიდენციის პერსეპოლისის ენა უნდა ყოფილიყო და ეს სამი ენა — ძველი სპარსული, სასანური ფალაური და მანიქეველური საშუალო სპარსული — დიალექტოლოგიურად ჰომოგენური იქნებოდნენ², თუმცა შეინიშნება მცირეოდენი სხვაობა, ერთი მხრივ, ძველ სპარსულსა და, მეორე მხრივ, საშ. სპარსულის სხვადასხვა ფორმებს შორის, მაგალითად, ნაცვალსახელთა სისტემაში³.

¹ A. Meillet, Vp, შესავალი, გვ. 4.

² W. Henning, Mitteliranisch, გვ. 97.

³ P. Tedesco, Dialektologie der westiranischen Turfantexte, გვ. 248.

პართულთან შედარებით საშუალო სპარსული წარმოდგენილია უფრო მრავალრიცხოვანი ენობრივი ძეგლებით, რომლებიც შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

1. ეპიგრაფიკული ძეგლები; 2. ე. წ. ფალაურ-ზოროასტრული ლიტერატურა (რელიგიური და საერო ხასიათის ძეგლები); 3. მნიქველური საშუალო სპარსული ძეგლები.

სასანური ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლებიდან აღსანიშნავია სასანიდ მეფეთა წარწერები, რომელთაგან ზოგიერთის გაშიფრვა შეუძლებელია სათანადო სიზუსტითა და ყველა დეტალის გათვალისწინებით. ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი თავისი შინაარსით აღნიშნული წარწერებიდან არიან პაიკულის წარწერები; ნაპოვნი ქურთისტანში, ყასრ-ე შირინის ჩრდილოეთით, და ნახშირუსტამში, ქააბე-ზარდუშტის სახელით ცნობილი შენობის აღმოსავლეთ კედელზე.

პაიკულის წარწერა შესრულებულია ორ ენაზე — პართულსა და საშუალო სპარსულზე; იგი მოთავსებულია ოთხკუთხა კოშკის ოთხივე გვერდზე ნერსეს რელიეფურ პორტრეტთან ერთად. წარწერის ფრაგმენტები რესტავრირებული და გამოქვეყნებულია ე. ჰერცფელდის მიერ 1924 წელს¹ და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პართული და საშ. სპარსული დიალექტების შესწავლის საქმეში. ე. წ. ზოროასტრის ქააბას წარწერა აღმოჩენილ იქნა 1936 წელს ჩიკაგოს აღმოსავლეთის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ მ. ერიხისა და ფ. შმიდტის ხელმძღვანელობით და გამოქვეყნდა მ. შპრენგლინგის ტრანსკრიფციით *American Journal of Semitic Languages and Literatures*-ში, 1937 წ. ავტორი წარწერას ნერსეს აკუთვნებდა.

ორიენტალისტთა XX კონგრესის საზეიმო სხდომაზე ბრიუსელში ა. კრისტენსენს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ წარწერა შაბურ I უნდა ეკუთვნოდეს. შემდგომში ვ. ჰენინგმა თავის სტატიაში ამ წარწერის შესახებ დაასაბუთა ფაქტი, რომ წარწერა შაბურ პირველს ეკუთვნის². წარწერა შეიცავს შაბურ პირველის რომთან ომების ამბავს და იმპერატორ ვალერიანის დატყვევების აღწერას. ეს ნაწილი, ძალიან დაზიანებული, დაწვრილებით არის გარჩეული ვ. ჰენინგის მიერ. გარდა ამისა, წარწერაში ჩამოთვლილია ცეცხლის დაგზებანი სამეფო სახლის წევრთა და სახელმწიფოს სხვა დიდ-

¹ E. Herzfeld, Paiculi, Monument and Inscription of the Early History of the Sasanian Empire.

² W. Henning, BSOS IX, გვ. 223—49.

ბულთა სულგებისათვის. ამ უკანასკნელთა შორის მოხსენიებულია აგრეთვე ქართლის მეფე ამაზასპიცი (იხ. ქვემოთ).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცნობილია შემდეგი სასანური წარწერები:

1. სამენოვანი წარწერა არდაშირ პირველისა ნახშირუსტამის რელიეფზე (საშ. სპარსული, პართული და ბერძნული).

2. წარწერა ნახშირუსტამისა რელიეფზე.

3. ორენოვანი წარწერა შაბურ პირველისა ჰაჯიაბადში (ე. წ. შაბურის ბრძანება).

4. საშუალო სპარსული წარწერა შაბურ პირველის მონუმენტზე (შაბურის ქალაქში).

5. საშუალო სპარსული წარწერა Mōbadh kartēr Hōrmizd-ისა ნახშირუსტამის კლდეზე (95 სტრიქონი), ერთ-ერთი ყველაზედ ვრცელი და საინტერესო წარწერა, რომლის ავტორი გვამცნებს თავისი წმინდა ცხოვრებისა და სასარგებლო სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც იგი ასრულებდა მეფეების: შაბურ პირველის, ორმუზდ პირველის, ვაპრამ პირველის და ვაპრამ მეორის დროს (თანამდებობით, როგორც ჩანს, მღვდელთმთავარი).

6. საშუალო სპარსული წარწერა რელიგიური შინაარსისა. მასში ნახსენებია შაბურ I და ვარაპრან I და II, ნახშირუსტამის კლდეზე (77—79 სტრიქონი).

7. ორენოვანი წარწერა ნერსესი პაიკულში: 47 სტრიქონი საშ. სპარსული, 44 — პართული (პერსეველდით, ნერსეს ბრძანება).

8. საშუალო სპარსული წარწერა, გამოკვეთილი ვაპრამ I რელიეფზე შაბურში, ფარსში, წარმოგვიდგენს ნერსეს, მისი მამისა და პაპის სახელებსა და ტიტულებს.

9. საშუალო სპარსული წარწერა შაბურ II-ისა, ორი შაბურის გამომხატველ რელიეფის მარჯვნივ თავი ბუსტანში, წარმოგვიდგენს შაბურ II, მისი მამისა და პაპის სახელებსა და ტიტულებს.

10. საშუალო სპარსული წარწერა პერსეპოლისისა, დათარიღებული შაბურ II მეფობის მეორე წლით, აქამენიდთა სასახლის პორტალზე, 12 სტრიქონი.

11. პერსეპოლისის მეორე წარწერა, საშ. სპარსული, 11 სტრიქონი.

12. სერია დერბენდის მცირე წარწერებისა, შესრულებული სასანიანთა ბატონობის უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

13. წარწერები სინაგოგაზე დურა-ევროპოსში.

საკმაო რაოდენობით მოიპოვება წარწერები სასანურ ქურქელსა, მონეტებზე და გემებზე, რომლებიც წარმოგვიდგენენ დიდ რაოდენობით პირის საკუთარ სახელებსა და ტიტულებს რამდენიმე სტერეოტიპულ ფორმულასთან ერთად. სასანური ფალაურის ძეგლებია აგრეთვე სირიულიდან ფალაურად ნათარგმნი ფალაური ფსალმუნის ნაწყვეტები V საუკუნისა, შემონახული VI საუკუნის ხელნაწერის სახით, მანიქეველური ძეგლები ტურფანისა და ეგვიპტური პაპირუსების ფრაგმენტები ფაჰმიდან (VII—VIII საუკუნისა ჩ.წ.ა.). ამ ძეგლებზე დაკვირვებისას შეინიშნება ფალაური დამწერლობის განვითარება სასანური წარწერებიდან, სადაც ასოები არ გადაებმიან, გვიანდელი ფალაური ხელნაწერების ხელრთულ კურსივამდე, რომელსაც წიგნურ ფალაურს უწოდებენ (Buchpechlevi).

თეოლოგიური ხასიათის ზოროასტრული ლიტერატურა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, განეკუთვნება გვიან სასანურ ხანას ან, უპირატესად, შეთხზული და რედაქტირებულია სასანიდების შემდგომ პერიოდში. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ფარსელ თეოლოგთა ლიტერატურული აქტივობა ჩვენი ერის IX საუკუნეში.

ამგვარი ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი ნაწარმოებები:

1. სასანური ავესტა და მისი კომენტარი „ზენდი“, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენამდის მოღწეული, მაგრამ შინაარსი პირვანდელი 21 ნასკისა გადმოცემულია Dēnkar-ის VIII და IX წიგნებში.

2. Dēnkar-ი და Bundahišn — კომპილაციური ხასიათის თხზულება, რომლებშიც რეზუმირებულია სასანური ავესტისა და „ზენდის“ ნაწილები და მოცემულია მსჯელობა კოსმოგონიის, ლეგენდარული ისტორიის, კოსმოლოგიისა და ბუნების ისტორიის საკითხებზე.

3. საშ. სპარსული ტრაქტატი სახელწოდებით Dāstān i mēnōk i xrat, ორიგინალური თხზულება, შექმნილი სასანიდთა უკანასკნელ საუკუნეში, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სასანიდთა შემდეგდროინდელი რედაქციით.

4. Ardā Virāf nāmak, რომლის შინაარსი, ყოველ შემთხვევაში. სასანური წარმოშობისაა.

5. Mādikān i hazār dāstān — ნაწარმოები ვინმე ფარუხმარდისა, წარმოადგენს ფრაგმენტებს სასანური სამართლის წიგნიდან.

სასანიდთა ეპოქის უკანასკნელ საუკუნეში შეიქმნა მდიდარ ლიტერატურა მორალისტური ხასიათისა (პრაქტიკული და თეო-

რიული მორალი). ამ ტიპის ნაწარმოებებში, რომელთაც Andarz-ები ან Pandnāmak-ები ეწოდებათ, გადმოცემულია ბრძნული აზრები და ქცევის წესები, რომლებიც ხშირად რომელიმე ისტორიულ ან ლეგენდარულ პიროვნებას მიეწერება. ჩვენს განკარგულდებაშია რამდენიმე ნაშთი ამგვარი ნაწარმოებებისა სასანიანთა შემდეგდროინდელი ხანიდან. მათ შორის აღსანიშნავია ანდერძი ბრძენი Ōšuar-ისა (ანტიკური ხანის ლეგენდარული პიროვნება), Andarz Xusrō i kavābān (ანდერძი ხოსრო პირველი ქაეადის ძისა), ანდერძი Āturpati Mahraspandān-ისა (გამოჩენილი ქურუმთმთავრისა, შაბურ II დროს), panduāmak i zardušt, ანდერძი Vazurgmīhr-ისა (არაბულსპარსული წყაროების ბუზურჯმიძრი, ხოსრო I ლეგენდარული ბრძენი ვეზირი IX ს.) და სხვა.

საინტერესო ცნობებს სასანიდთა ეპოქის უმაღლესი კლასის გართობა-თამაშობის შესახებ იძლევა საშუალო სპარსული ტრაქტატი Xusro i kavābān u rēbāk-e (ხეასრო ძე ქაეადისა და მისი ბიჭი, პაეი) და ცნობილი და მეტად პოპულარული პატარა ისტორიული რომანი Kār-nāmak i Artaxšēr i Pāpakān სასანიდთა დინასტიის დამფუძნებლის შესახებ, რომელიც თარიღდება აგრეთვე სასანიდთა ეპოქის უკანასკნელი საუკუნით, მაგრამ შემონახულია სასანიდთა შემდეგდროინდელი რედაქციით.

სასანიური ლიტერატურა, შემონახული არაბულსპარსულ ტრადიციაში. აქამენიდების დროიდან სპარსულ სამეფო კარს ჰქონდა ოფიციალური ქრონიკები; ფიქრობენ, რომ ეს „სამეფო ანალები“ თავმოყრილი იყო ავტორის ან ავტორების მიერ X^oātāy-nāmak-ში (მეფეთა წიგნი), რომელიც შედგენილ იქნა სასანიდთა ეპოქის ბოლოსათვის, ალბათ, დაზღვიგერდ III დროს. თ. ნოლდეკემ დაგვანახვა, რომ ეს ფალაური ქრონიკა წარმოადგენდა ძირითად წყაროს არსებული უძველესი არაბული და სპარსული ვერსიებისათვის ისლამდელი ირანის ისტორიისა¹. ხვადამაქის არაბულ თარგმანებს შორის ყველაზე ცნობილია თარგმანი იბნ-ულ მუყაფასი (გარდაიცვალა 760 წ. ჩ. ა.), გამუსლიმანებული ზოროასტრელი საარსელისა, ერუდიტი და აქტიური ავტორისა, რომელმაც ფალაურიდან არაბულად თარგმნა ბევრი სხვა წიგნიც (მათ შორის „ქი-

¹ საშუალო სპარსული სათაური ამ წიგნისა არაბულად გადმოცემულია, როგორც kitab siyar muluk'ul 'ad jam (წიგნი ცხოვრებისა სპარსელი მეფეებისა) ან უბრალოდ Siyar'ul mulūk (მეფეთა ცხოვრება), სპარსულად *Sāsiyāmah* (მეფეთა წიგნი).

ლოლა და დამანა“). სამწუხაროდ, დაკარგულია არა მარტო ფალაური ხეაღაძე-ნამაკი, არამედ იბნ-ულ მუყაფას თარგმანიც. ასევე არ შემონახულა სხვა თარგმანები და რემინისცენციები სასანური ქრონიკისა, რომელთა არსებობის შესახებ გვამცნობენ შემდეგდროინდელი არაბი ავტორები, განსაკუთრებით Hamza Isfāhānī (ანალები შედგენილია 961 წელს).

სამაგიეროდ, ჩვენს დრომდე მოაღწია იბნ-მუყაფას ხელიდან გამოსულმა თარგმანმა მეორე ფალაური წიგნისა, რომელსაც Ayēn-nāmag-ი ეწოდება (ხარისხთა ანუ გარიგების წიგნი). იგი მოგვითხრობს იმ თავისებურების შესახებ, რომელიც ახასიათებდა სახელმწიფო ორგანიზაციასა და საზოგადოებას ირანში სასანიდთა ეპოქაში და იძლევა საინტერესო ცნობებს მაღალი წრეების სხვადასხვა ვარჯიშობა-გართობათა შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე ე. წ. „ტანსარის ეპისტოლე“, რომლის ფალაური ორიგინალი აგრეთვე დაკარგულია და შემოკლებული, ახალი სპარსული ვარიანტი იბნ-მუყაფას არაბულ თარგმანს ეყრდნობა. ეს ძეგლი წარმოადგენს ისტორიულ-პოლიტიკურსა და მორალისტურ ტრაქტატს, მიწერ-მოწერის ფორმით დიდ ხერპატ ტანსარსა და ტაბარისტანის მეფე გუშნასპს შორის. იგი თარიღდება ხოსრო პირველის დროით. ამავე რიგის ძეგლებია Pešīnag-yāmāgh (სიძველეთა წიგნი), Tāgnāmah (გვირგვინის წიგნი), Mazdāk-nāmagh (მაზდაკის ისტორია), Vahrām čōbēn nāmagh (ბაჰრამ ჩუბინის წიგნი) და სხვა მრავალი.

ფალაურ ზოროასტრულ ხელნაწერთა მართლწერა ისტორიულია და საშუალო სპარსული ენის ნამდვილ ფონეტიკურ ვითარებას არ გადმოსცემს; იგი უფრო წინარე-სასანურ ბგერით მდგომარეობას ასახავს. მხოლოდ მწერლების დაუდევრობის წყალობით გაპარული ცალკე სიტყვები-ღა იძლევიან საშუალებას გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ სასანური დროის წარმოთქმის შესახებ.

მანიქეველური ტექსტები, წარმოშობილი სხვა სარწმუნოებრივ წრეებში, მოწყვეტილნი ზოროასტრულ ტრადიციას, ფონეტიკური ანბანით არიან დაწერილი და ამიტომ საშუალო სპარსული ფონეტიკის უფრო გვიანდელ სტადიას ასახავენ, ვიდრე გაცილებით უფრო გვიანდელი ზოროასტრული ხელნაწერები, რომლებიც ძველ ორთოგრაფიულ ტრადიციას იცავენ. ამავე მიზეზის გამო მანიქეველური ძეგლები მორფოლოგიურ ფაქტებსაც უკეთ გადმოსცემენ. გვიან სასანური ხანის საშუალო სპარსული ენის ბგერით მდგომარეობას უკეთ ასახავენ აგრეთვე ე. წ. „ფაზენდითა“ (ე. ი. ზენდურის ანბანით) და „ფარსით“ დაწერილი ტექსტები. პირველი მათა

განი წარმოადგენს ხმოვანთა, ნიშნების მქონე ავესტური ანბანით ფალაური ტექსტების ტრანსკრიფციას, ხოლო მეორე — არაბული ანბანით. ამ საშუალებას მიმართავდნენ ტექსტების გაგების გასაადვილებლად.

დამხმარე წყაროები საშუალო ირანული ენების
შესასწავლად

საშუალო ირანული ენების შესწავლის საქმეს, განსაკუთრებით დასავლური დიალექტებისას, ძალიან ართულებს თავისებური ფორმა დამწერლობის სისტემისა. იმ მიზეზის გამო, რომ მრავალი ნიშანი ფალაური ანბანისა სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული, ადგილი აქვს მრავალრიცხოვან შეცდომებს ამა თუ იმ სიტყვის წაკითხვაში. მეორე მხრივ, უმრავლესობა ყველაზე უფრო ხმარებული ჩვეულებრივი სიტყვებისა შენიღბულია არამეული იდიოგრამებით, რომლებიც ზოგჯერ ირანული დეტერმინანტული დაბოლოებებით არიან აღჭურვილი, რაც, რა თქმა უნდა, დიდად უშლის ხელს საშუალო სპარსული წარმოთქმის ნამდვილი სურათის დადგენას. საიმედო კრიტერიუმებს ამ მხრივ შეადგენენ უცხო ენებში შეთვისებული საშუალო სპარსული სიტყვები. მათი ტრანსკრიფცია სომხური, ბერძნული, სირიული, ებრაული, ქართული და სხვა შრიფტებით, საშუალებას იძლევა უფრო გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ საშუალო ირანული ეპოქის ფონეტიკური ვითარების შესახებ.

სარწმუნო მონაცემების თითქმის არარსებობა ბევრათა ევოლუციის შესახებ ორივე დასავლურ საშუალო ირანულ დიალექტში განსაკუთრებით საგრძნობია პართული ეპოქისათვის, რადგან მეტიწილი ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც საშუალო ირანულს ახასიათებს, სწორედ ამ დროს განხორციელდა (მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან ფონეტიკურ პროცესებს, როგორიც არის ყრუ ხშულთა p t k და ნახევარ ხშულ $ç$ -ს გამეღვრება ხმოვანთა შორის, $ç$ -ს გადასვლა h -დ, $ð$ -ს y -ად ქცევა და სხვა, ადგილი ჰქონდა სწორედ ამ ხანაში). ტექსტებში, რომლებიც III საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდებიან (სასანური წარწერები, მანიქველური ფრაგმენტები), ისინი უკვე დასრულებული ჩანან.

პიუბშმანმა თვალსაჩინო ვახადა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება სომხური ენის მონაცემებს ფალაურის, განსაკუთრებით არმაკიდული ფალაურის, შესწავლის საქმეში. მისი თქმით, სომხურში ნასესხები სიტყვები საუკეთესოდ წარმოგვიდგენენ სპარსულ წარმოთქმას და ფალაური ლექსიკონი, დაცული ისეთი კარ-

გად შენახული ფორმით, როგორც ამას ადგილი აქვს სომხურში, არ არის არც თვით სპარსულში და არც რომელიმე სხვა წყაროში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული ენის მონაცემებსაც, სადაც ირანული, კერძოდ საშუალო სპარსული, ლექსიკა ასეთივე კარგად შემონახული ფორმით არის წარმოდგენილი თანხმოვანთა სფეროში, როგორც სომხურში, ხოლო ხმოვანთა გადმოცემის თვალსაზრისით ქართულში სომხურთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა აღინიშნება.

ფონეტიკური შესატყვისობანი საშუალო სპარსულსა და ქართულს შორის

საშუალო სპარსული ხმოვნების გადმოცემა ქართულში

საშუალო სპარსული ენის ხმოვანთა სისტემა წარმოგვიდგება შემდეგი სახით: *a ā, i ī, u ū, ē* (ძვ. სპ. *ai*-დან), *ō* (ძვ. სპ. *au*-დან). გარდა ამისა, ნიბერგი აღნიშნავს არასრულ ხმოვანს *ə*-ს სახით, რომელიც ენაცვლება *ē*-ს და წარმოადგენს ნაშთს ძველი ირიბი ბრუნვისა, იგი გვხვდება უმთავრესად კომპოზიტთა წევრებს შორის (მღრ. *xšāp̄rəbār, marzəpān* და სხვა).

ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ქართულსა და ირანულ ხმოვნებს შორის არის ის, რომ ქართული ენა ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს არ არჩევს.

1. საშ. სპარსული *a* ქართულში გადმოიცემა *ა*-თი თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. *arzanīk* 'ღირსი, ღირსეული, მნიშვნელოვანი' = ქართ. *არზანიგი* 'ღირსი, ღირსეული, ხარისხი'.

საშ. სპარს. *aspanj* 'თავშესაფარი, სასტუმრო' = ქართ. *მ-ასპინძელ-ი* 'სახლისა და ლხინის უფალი' (საბა).

საშ. სპარს. *asprēs, aspras* 'სარბიელი, მოედანი' = ქართ. *ასპარეზი* 'მოედანი, მიწა'.

საშ. სპარს. *axʾān* < (ძვ. ირ. *ahūvant-*) 'სასიცოცხლო ძალის მქონე, ძლიერი, წარმოსადგეი' = ქართ. *ახოვანი* 'შენე, ძლიერი', 'ტანად დიდი და ძლიერი'.

შეადარეთ აგრეთვე *საკუთარი სახელები* თავკიდური *ა*-თი:

Aparvēr — ამბარეზ.

Anāk — ანაკ.

Anōšruvān — ანუშარვან.

Artaxšēr	—	არდაშირ.
Asparug	—	ასფარუგ.
Arvand	—	არვანდ.
Artag	—	არტაგ.
Artavazd	—	არტავაზ.
Aršak	—	არშაკ და სხვა.

2. საშ. სპარსული *a* გადმოცემულია ქართული *a* ხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. tazar 'სასახლე' = ქართ. ტაძარი.

საშ. სპარს. āpak[ēnak] 'მინა' = ქართ. აპკაჟ „თხელი რამე კანი“ (საბა).

საშ. სპარს. takōk 'ღვინის თასი' = ქართ. ტაკუკი „მომცროსი ჭურჭელი საღვინე“ (საბა).

საშ. სპარს. patrōk 'სანათი, სანთელი' = ქართ. პატრუკი 'სანთელი, ფილთა'.

საშ. სპარს. x^hāstak 'სიმდიდრე, ქონება' = ქართ. ხვასტაგი 'სიმდიდრე, ქონება'.

საშ. სპარს. tanj 'ტანჯვა, წამება, გაქირვება' = ქართ.

ტანჯვა 'წამება'.

საშ. სპარს. tau 'ტანი, სხეული' = ქართ. ტანი 'სხეული' და სხვა.

საკუთარი სახელები:

Bayōāt	—	ბაგრატი.
Bahrām	—	ბარამ.
Barzabōd	—	ბარზაბოდ.
Bahrtam	—	ბარტამ.
Baxtdāt	—	ბახტიად.
Bēvārasp	—	ბევრასფ და სხვა.

3. საშუალო სპარსული *ā* გადმოცემულია ქართულში *a*-თი. თავ-
კიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. āhōk 'ლაქა, სირცხვილი' = ქართ. აუგი 'სირცხვილი'.

საშ. სპარს. ālak 'მხარე, გვერდი' = ქართ. ალაგი 'ადგილი'.

საშ. სპარს. āpak[ēnak] 'ბროლი, მინა' = ქართ. აპკაჟ, აპკი 'თხელი კანი'.

საშ. სპარს. āzvar 'ხარბი, შურიანი, მხიარული' = ქართ. აზარ 'აზარვით, მხიარულად'.

საკუთარი სახელები:

Aḏarnarsēh — აღარნარსე, აღარნასე.

Arzōk — არზუკ და სხვა.

4. საშუალო სპარსული ā სიტყვის შიგნით და ბოლოს გადმოცემულია ქართულში ა-თი:

საშ. სპარს. hamxānak (ახ. სპ. هخام 'თანამოსახლე, მეზობელი') = ქართ. ამხანაგი.

საშ. სპარს. hangārtan 'თვლა, აღრიცხვა' = ქართ. ანგარება, ანგაპრება (ანგაპარი) 'სიხარბე', „უსამართლოდ შემკრებელი“ (საბა).

საშ. სპარს. arzanīk 'ღირსეული, მნიშვნელოვანი' = ქართ. არზან(ი)გი, არზანგი 'ღირსება, ხარისხი'.

საშ. სპარს. nišān 'ნიშანი' = ქართ. ნიშანი და სხვა.

საშ. სპარს. vičār (gužār) 'ახსნა, განმარტება' = ქართ. გუჯარი 'სიგელი, ახსნითი'.

საშ. სპარს. ziyān 'ზიანი, ნაკლი' = ქართ. ზიანი.

საშ. სპარს. ātāk, ādāk 'ფუძე, მიწა' = ქართ. იატაკი 'ძირი, ფსკერი'.

საშ. სპარს. nižāt (ახ. სპ. nižād) 'გვარი, ტომი, მოდგმა' = ქართ. ნიჯადი „სხვათა ტომში შემწე“ (საბა).

საშ. სპარს. spāh 'ჯარი, ლაშქარი' = ქართ. სპა 'ლაშქარი' და სხვა მრავალი.

საკუთარი სახელები:

Mihrān — მირიან, მიპრან.

Hamazāsp — ამაზასპი.

Anāk — ანაკ.

Baxtdāt — ბახტიად და სხვა.

5. საშუალო სპარსული a, ā გადმოიცემა ქართულში ე-თი:

ა) თავკიდურ მარცვალში:

საშ. სპარს. karp 'ფორმა, სხეული' = ქართ. კერპი 'წარმართთა ღვთაება'.

საშ. სპარს. pas 'ბოლო' = ქართ. ფეს-ჰი 'ძირი' (მცენარისა), 'ბოლო' (სამოსლისა).

საშ. სპარს. čašmdit 'თვლით ნახული' = ქართ. ქეშმარიტი 'ნამდვილი'.

საშ. სპარს. ramak 'ჯოგი' = ქართ. რემაკი 'ჯოგი, ფარა'.

საშ. სპარს. spand 'წმიდა' = ქართ. წმედ-, წმენდ-ა.

საკუთარი სახელები:

Narsēh—ნერსე, Dārūk—დეროკ.

b) საშ. სპარსული a, ā გადმოცემა ქართულში ი-თი ბოლომარცვალში:

საშ. სპარს. handarz 'რჩევა, დარიგება' = ქართ. ანდერძი
„მოკვდავთაგან დარიგება“ (საბა).

საშ. სპარს. frazān 'ბრძენი, მეცნიერი' = ქართ. ბრძენი
„დიდად ჭკვიანი“ (საბა).

საშ. სპარს. spāhpat 'მხედართმთავარი' = ქართ. სპაჰპე-
ტი, სპასპეტი 'სარდალი, მხედართმთავარი'.

საკუთარი სახელი გოდერძი— Gōdarz.

6. საშ. სპარსული i გადმოცემულია ქართულში ი-თი სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. nišān 'ნიშანი' = ქართ. ნიშანი-ი.

საშ. სპარს. xʷāhišn 'სურვილი, თხოვნა' = ქართ. ხვაიშან —
ხვაიშნობა 'შუამდგომლობა, თხოვნა'.

საშ. სპარს. *nižāt (ახ. სპ. nižād) 'ტომი, გვარი' = ქართ.
ნიჯადი 'მეშველი ლაშქარი'.

საშ. სპარს. *nihātak 'დადებული' = ქართ. ნიადაგი.

საშ. სპარს. ziyān = ქართ. ზიანი, იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. mizd 'საზღაური, ჯილდო' = ქართ. მიზდი
'საზღაური, გადასახადი'.

საშ. სპარს. *duščihr 'უშნო, ულამაზო' = ქართ. დუხჭირო.

საკუთარი სახელები:

Mihr—მირ, მირიან.

Burzmihir—ბურზმირ, ბურზმილ.

*Arčihr—არჩილ და სხვა.

7. საშუალო სპარსული ī გადმოცემულია ქართულში ი ხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. grīv 'საზომი ერთეული' = ქართ. გრივი
'მარცვლეულის საზომი'.

საშ. სპარს. niš 'ნიშანი, სასწაული' = ქართ. ნიში 'ნიშანი,
სასწაული'.

საშ. სპარს. pil 'სპილო' = ქართ. პილო 'სპილო'.

საშ. სპარს. rōčik 'დღიური' = ქართ. როჭიკი 'დღიური,
ჯამაგირი'.

საშ. სპარს. tōzīk tōzīk 'ზეიმის სახე' = ქართ. ტოზიკი 'უს-
ჯულოთ დღესასწაული'.

საშ. სპარს. *ōstikān* 'მოურავი, მწე' = ქართ. სა-ოსტიგინ-ე 'სატრაპეზო'.

საშ. სპარს. *ruspik* 'ქაჯი, ფურია' = ქართ. როსპიკი 'მე-დავი'.

საკუთარი სახელები:

Ardašir — არდაშირი.

Afrīdūn — აფრიდონი.

8. საშუალო სპარსული *i*, *ī* ქართულში გადმოცემულია *ე* ხმოვნით:

საშ. სპარს. *pīr* 'მოხუცი' = ქართ. ბერი 'მოხუცი'.

საშ. სპარს. **pirinz* (ახ. *birinj*) = ქართ. პილენძი.

საშ. სპარს. *patīrak* 'შემთხვევა' = ქართ. ფათერაკი.

საშ. სპარს. *zinhār* 'უშიშროება' = ქართ. ზენაარი 'ფიცი, აღთქმა'.

საკუთარი სახელი: *Pēšgīn* — ბეშქენ და სხვა.

9. საშუალო სპარსული *a* თავიიდურ პოზიციაში განიცდის ე. წ. პრეოტიზაციას და გადმოცემულია ქართულში როგორც *ია*:

საშ. სპარს. *āvār* = ქართ. იავარი.

საშ. სპარს. *ādāk* = ქართ. იატაკი.

საშ. სპარს. *Harburz* (*Alburz*) = ქართ. იალბუზი.

საკუთარი სახელები:

Ērēč (*Ērēz*) — იარედ.

Arvand — იარვანდი.

შეადარეთ ალმაგ — იალმაგი, ალლუზ — იალლუზი და სხვა.

ასეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე *ē*-ს გადმოცემისას სიტყვის შიგნით სიტყვაში დიასპანი, დესპანი = საშ. სპარს. *dēspān*-ს. შეადარეთ ქართული სიტყვები დეკეული და დიაკეული, ხარება და მხიარული, დიალექტური ფორმები აქანებს და აქიანებს, აქენებს და აქიანებს.

10. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საშ. სპარსული *a* ქართულში წარმოდგენილია *ი*-ს სახით, მაგალითად შემდეგ სიტყვებში:

საშ. სპარს. **vagr* = ქართ. ვიგრი 'ვეფხვი, ლეოპარდი'.

ზღრ. სომხ. *vagr*, სკრ. *vyaghra*.

საშ. სპარს. *aspanj* 'სასტუმრო, თავშესაფარი' = ქართ. მ-ას-პინძ-ელ-ი.

საშ. სპარს. *patixsāh* = ქართ. პიტიახშ-ი.

საშ. სპარს. *šamšir* = ქართ. შიმშერი 'ხმალი' და სხვა.

11. საზ. სპარსული u ქართულში გადმოცემულია უ ხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საზ. სპარს. *gund* 'ჯარი, ლაშქარი' = ქართ. გუნდი 'გროვა, ჯგუფი'.

საზ. სპარს. *puz-ak* 'ფეხი, ღერო, ბუნი' = ქართ. ფუძე.

საზ. სპარს. *kurpak* || *kulpak* 'ქოხი, სენაკი' = ქართ. ქულბაგი 'ფარდული', 'სავაჭრო, საფარდული, დუქანი'.

საზ. სპარს. *gumartak* 'ნაცვალი, წარმომადგენელი' = ქართ. გუმარდი 'წარმომადგენელი'.

საზ. სპარს. *guvālak* 'ტომარა, ჩანთა' = ქართ. გულაგი 'შთასადებელი'.

საზ. სპარს. *kurtak* 'მოკლე ტუნიკა' = ქართ. კურტაკი 'პერანგი' (ჯაჭვისა).

საზ. სპარს. *kunduruk* 'საკმეველი' = ქართ. გუნდრუკი 'საკმეველი'.

საკუთარი სახელები:

Burz — ბურზო.

Burzmihr — ბურზმირ.

Gušnāk — გუშნაკ.

Gurgēn — გურგენ და სხვა.

12. საზ. სპარსული u გადმოცემულია ქართულში უ- ხმოვნით სიტყვის შიგნითა და ბოლოკიდურ პოზიციაში:

საზ. სპარს. *hūn* 'საფუძველი' = ქართ. ბუნი, ბუნება.

საზ. სპარს. *sapūk* = ქართ. სუბუქი 'შჩატე'.

საზ. სპარს. *šāpūk* 'სწრაფი, მოხერხებული' = ქართ. კაბუკი 'ახალგაზრდა, ყმაწვილკაცი'.

13. საშუალო სპარსული u, u ქართულში გადმოცემულია u ხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საზ. სპარს. *burz* 'სიმაღლე' = ქართ. ბორცვი 'გორაკი'.

საზ. სპარს. *kūsān* 'მემუსიკე, მომღერალი' = ქართ. მ-გოსან-ი.

საზ. სპარს. *ruspik* 'ქაჯი, ფურია' = ქართ. როსპიკი, როსკიკი 'მეძავი'.

საზ. სპარს. *kāšāk*, *kūšk* 'ციხე-სიმაგრე' = ქართ. კოშკი 'ციხე'.

საკუთარი სახელები:

Gurgsār — გორგასალი.

Dārūk — დეროკი.

Xusrav — ხოსრო და სხვა.

14. ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო სპარსული u ო ადამოცემულია z-ით:

საშ. სპარს. zūr 'სიცრუე, ტყუილი, სიავე' = ქართ. ძკრი 'ბოროტი, ავი'.

საკუთარი სახელი Guroēbandak — გ ჯ რ ო ბ ა ნ დ ა კ.

15. საშუალო სპარსული ē (ძვ. სპარსული ai, ავ. aē) ადამოცემულია ქართულში ე ხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. hēšm (hēšm-ak) 'მრისხანე, ცოფიანი' = ქართ. ე შ მ ა კ ი 'ბოროტი სული, დემონი'.

საშ. სპარს. spēt, spētak 'თეთრი' = ქართ. ს პ ე ტ ა კ ი 'წმიდა, თეთრი'.

საშ. სპარს. vēšap 'ურჩხულის სახელი' = ქართ. ვ ე შ ა პ ი 'ურჩხული'.

საშ. სპარს. bēvār '10.000' = ქართ. ბ ე ვ რ ი '10.000, მრავალი'.

საშ. სპარს. dēspān 'მეფის მოციქული' = ქართ. დ ე ს პ ა ნ ი 'ელჩი'.

საკუთარი სახელები:

Pērōz — პ ე რ ო ზ.

Pēšgīn — ბ ე შ ქ ე ნ.

Aparvēz — ა მ ბ ა რ ვ ე ზ.

Gurgēn — გ უ რ გ ე ნ.

Vēžan — ვ ე ჟ ა ნ.

Zarrēn — ზ ა რ ე ნ და სხვა.

გვაქვს შემთხვევა, როდესაც საშ. სპარსული ē ადამოცემულია სიტყვის შიგნით ია-თი: dēspān = დ ი ა ს პ ა ნ ი, იხილეთ ზევით პრეოტიბზაციის შემთხვევებთან.

16. საშუალო სპარსული ō (ძვ. სპ. au, ავ. ao) = ქართ. ო-ს სიტყვის შიგნითა და ბოლოს:

საშ. სპარს. bōstān 'ბაღი' = ქართ. ბ ო ს ტ ა ნ ი.

საშ. სპარს. mōy 'ქურუმი' = ქართ. მ ო გ ვ ი 'ქურუმი', 'ზოროასტრელი'.

საშ. სპარს. tōzīk 'პიკნიკის სახე' = ქართ. ტ ო ზ ი კ ი 'უშულოთ დღესასწაული' (საბა).

საშ. სპარს. tōhm 'გვარი, მოდგმა' = ქართ. ტ ო მ ი 'ნათესავი, მოდგმა'.

საშ. სპარს. āšōft 'აღელვებული, მღელვარე' = ქართ. შ ფ ო თ ი 'ღელვა, ბრბო'.

საშ. სპარს. rōčīk 'დღიური' = ქართ. რ ო ქ ი კ ი 'დღიური ლუკმა'.

საკუთარი სახელები:

Barzabd — ბარზაბოდ.

Burzōē — ბურზო.

Guīrōēbandak — გურო-ბანდაკ.

Gōderz — გოდერძი და სხვა.

17. საშ. სპარსული ო გადმოცემულია ქართული უ- ხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. საარს. patrōčak 'ყოველდღიური საზრდო, ცხვარი, საქონელი' = ქართ. პატრუცაგი 'მოწერილობა, ხელითწერილი'.

საშ. სპარს. takōk 'სალვინე ქურქელი' = ქართ. ტაკუკი 'მცირე სალვინე' (საბა).

საკუთარი სახელები:

Anōšruvān — ანუშირვანი.

Arzōk — არზუკ.

Hōrmizd — ურმიზდი.

Ōstam — უსტამი.

18. ხმოვანთა რედუქცია საშ. სპარსულიდან შეთვისებულ სიტყვებში:

a) ხმოვანი a, ā შეკუმშულია თავკიდურ მარცვალში:

საშ. სპარს. frazān 'ბრძენი, სწავლული' = ქართ. ბრძენი (<*ფრძენი), აგრეთვე ბრძან-ება.

საშ. სპარს. *sāxbar 'სიტყვა, თქმულება' = ქართ. ზღაპარი (ზახბარი < სახბარი) 'მოგონილი ამბავი'.

საშ. სპარს. zār 'გლოვა, ტირილი, ვაება' = ქართ. ზრუნვა.

b) ხმოვანი a შეკუმშულია ბოლოკიდურ მარცვალში:

საშ. სპარ. āpak 'წყლისებური, გამჭვირვალე, მინა' = ქართ. აპაკაჲ, აპკი 'თხელი გარსი'.

საშ. სპარს. hanjaman 'კრებული' = ქართ. ანჯმანობა 'შეკრება, საჯაროდ გამოცხადება'.

საშ. სპარს. bēvār '10.000' = ქართ. ბევრი '10000, მრავალი'.

საშ. სპარს. dāštan 'დაშტნობა' და სხვა.

საშ. სპარს. jamanīdan 'წასვლა' = ქართ. ჯმნა 'წასვლა, განშორება'.

c) ხმოვანი i, ī შეკუმშულია თავკიდურ მარცვალში:

საშ. სპარს. gilāh 'ტირილი, ჩივილი, ვაება' = ქართ. გლახ! (შორისდებული), გლახაკი 'საწყალი, უბედური'.

d) ხმოვანი i, I შეკუმშულია ბოლოკიდურ მარცვალში:

საშ. სპარს. arzanīk 'ღირსეული' = ქართ. არზანგი, არძანგი 'ხარისხი'.

e) ხმოვანი u, ū შეკუმშულია თავკიდურ მარცვალში:

საშ. სპარს. zūr 'ტყუილი, სიცრუე' = ქართ. ცრუ (<ძრუ< <ძურ-უ).

საშ. სპარს. zūr-ak||-ax 'სიტყვა, თქმული' = ქართ. ზრახვა 'საუბარი, განზრახვა'.

საშ. სპარს. gūvalak 'ტომარი' = ქართ. გვალაგი 'შთასადებელი'.

საშ. სპარს. gurusi 'სიმშილი' = ქართ. გუსნ <გრუსნ 'სიმშილი' (შეპჯუსნეს).

f) ხმოვანი u, ū შეკუმშულია შუა და ბოლოკიდურ მარცვალში:

საშ. სპარს. kundurūk 'საკმეველის სახე' = ქართ. გუნდრუკი 'საკმეველი'.

19. ძალიან ხშირია მონაცვლეობა av (af) > o, რომელიც დამახასიათებელია ქართულისათვის და ირანულიდან შეთვისებულ სიტყვებშიც იჩენს თავს:

საშ. სპარს. drafš 'დროშა, ალამი' = ქართ. დროშ-ა.

საშ. სპარს. xʷārbar 'საკვები, მარცვლეული' = ქართ. ხორბალი (<ხვარბალი).

საშ. სპარს. xʷāstak 'სიმდიდრე, ქონება' = ქართ. ხოსტაკი (ხვასტაგი) და სხვა.

20. ზოგიერთ შემთხვევებში შეინიშნება თავკიდური ხმოვნის დაკარგვა, რაც შედარებით გვიანდელი ამბავია. ამის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს საშ. სპარსული vinās, რომელიც ქართულში წარმოდგენილია უნასის სახით, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ ნასის სახით — 'გონჯი, ულამაზო'. აგრეთვე საშ. სპარს. frapābak 'შოედანი, საკრებულო', სომხ. հրապարակ, რომელსაც ძველ ქართულში ურაკპარაკის სახით ვხვდებით, ახალ ქართულში კი მისგან მივიღეთ ფორმა ლაპარაკი.

საშუალო სპარსული თანხმოვნების გადმოცემა ქართულში

საშუალო სპარსულ თანხმოვანთა სისტემა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

- I. ყრუ ხშულები: p t k
- II. მეღერი ხშულები: b d g
- III. ყრუ სპირანტები: f x
მეღერი სპირანტები: β δ γ
- IV. პალატალური აფრიკატები: č ǰ^v
- V. ნახევარხმოვნები: y v
- VI. ლიქვიდები: r l
- VII. ნაზალები: n m
- VIII. სიბილანტები: s z š ž
- IX. ასპირატი: h¹

I. საშუალო სპარსული ყრუ ხშული თანხმოვნების გადმოცემა ქართულში.

საშუალო სპარსული ყრუ ხშულები p t k დაცულია ქართულ ნასესხობებში იმავე პოზიციაში, სადაც საშუალო სპარსულში, მეტწილად თავკიდურში და s, r-ს შემდგომ:

1. საშუალო სპარსული ყრუ ხშული p თავკიდურ პოზიციაში გადმოცემულია ქართული აბრუპტივით პ:

საშ. სპარს. pasēnāk 'შემდგომი, თანამდგომელი' = ქართ. პასენაკი 'მეფის წინაშე მდგომი ხელჯოხიანი მანდატური' (ჩუბინ.).

ზღრ. საშ. სპარს. pasēn 'მომდევნო, მიმყოლი', სომხ. պասանակ 'აბჯრის მტვირთველი'.

საშ. სპარს. passax^v 'პასუხი' = ქართ. პასუხი.

საშ. სპარს. patrōk 'სანთელი' = ქართ. პატრუქი 'პატრუქი, ფილთა'.

საშ. სპარს. patrōčāk 'დღიური საზრდო, ცხვარი' = ქართ. პატრუცაგი 'წყალობის წიგნი, მიწერილობა მეფისაგან მეფესთან' (ჩუბინ.).

საშ. სპარს. pīl 'სპილო' = ქართ. პილო 'სპილო'.

საშ. სპარს. pērahān(ak) 'პერანგი, შემოსაცმელი' = ქართ. პერანგი 'კვართი'.

ზღრ. აგრეთვე საკუთარი სახელები:

Pānagušnāsp — პანაგუშნასპ.

Pērōz — პეროზ.

2. საშ. სპარსული p s-სა და r-ს შემდეგ ქართულში გადმოცემულია პ თანხმოვნით:

¹ ჩვენ ვეყრდნობით პ. ნიბერგის ტრანსკრიფციას, წარმოდგენილს მისი საშუალო სპარსული ენის (ფალაურის) სახელმძღვანელოში, იხ. H. Nyberg, Hfsb, I—II.

a) საშ. სპარს. spēt, spētak 'თეთრი' = ქართ. სპეტაკი 'თეთრი, წმიდა'.

საშ. სპარს. spāh 'ჯარი, ლაშქარი' = ქართ. სპა 'ლაშქარი'.

საშ. სპარს. spāhpat 'მხედართმთავარი' = ქართ. სპასპეტი, სპაძეპეტი, იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. aspanj 'სასტუმრო, თავშესაფარი' = ქართ. მასპინძელი „სახლისა და ლხინის უფალი“ (საბა).

საშ. სპარს. aspras, asprēs 'ცხენთა სარბიელი, მოედანი' = ქართ. ასპარეზი 'მოედანი, სარბიელი'.

საკუთარი სახელები;

Hamazāsp — ამაზასპ.

Pānagušnasp — პანაგუშნასპ.

Spanddāt — სპანდიატ და სხვა.

b) საშ. სპარს. karp 'ფორმა, სხეული' = ქართ. კერპი 'წარმართთა ღვთაება'¹.

c) საშ. სპარსული p ხმოვნის შემდგომ და ხმოვანთა შორის გადმოცემულია ქართული მ-თი:

საშ. სპარს. tāpak 'ტაფა' = ქართ. ტაპაკი 'ტაფა, თაბახი'.

საშ. სპარს. āpak 'მინა, ბროლი' (āp-იდან — 'წყალი') = ქართ. აპკაჲ, აპკი „თხელი რამ კანი“ (საბა).

3. რიგ შემთხვევებში საშ. სპარსული p გადმოცემულია ქართულში, როგორც ყრუ ფშვინვიერი ფ:

a) საშ. სპარს. p = ქართ. ფ-ს თავკიდურ პოზიციებში:

საშ. სპარს. puzak 'ფეხი ღერო' (ხის) = ქართ. ფუძე 'ძირი, საფუძველი'.

საშ. სპარს. pas-ēn 'შემდგომი, ბოლო' = ქართ. ფეს-უ 'ძირი, ბოლო'.

საშ. სპარს. pārđak 'ფარდა, რიდე' = ქართ. ფარდაგი 'ფარდა, ხალიჩა'.

ქართ. pahr, საშ. სპარს. pas 'ფარი' = ქართ. ფარი, იმავე მნიშვნელობით. შდრ. სომხ. պահ.

¹ მაგრამ საშ. სპარს. kurpak = სომხ. կրպակ — ქართულში წარმოდგენილია, როგორც ქულბაგი, რაც იმას მოწმობს, რომ იგი შედარებით გვიან არის ნასესხები საშ. სპარსულიდან, ამასთან, დაბლოება -ak > -აკ გვიჩვენებს, რომ ახალი სპარსული کُرپاک არ შეიძლება ამოსავალი იყოს მისთვის; როგორც ჩანს, საშ. სპარსულშივე გვქონდა მოგვიანო ფორმა kurbag, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ფორმას.

საშ. სპარს. part 'ვალი' გადასახადი', შდრ. სომხ. պարթ-ք
=ქართ. ფარდ (ფრდა, მო-ფარდ-ული, სა-ფარდ-ული).

საშ. სპარს. patīrak 'შემთხვევა, შეხვედრა' = ქართ. ფათე-
რაკი 'შემთხვევა, ხიფათი, უბედურება'.

შეადარეთ აგრეთვე საკუთარი სახელი Parsamana — ფარს-
მანი.

ბ) საშ. სპარსული p გადმოცემულია ქართულში
ჟ თანხმოვნით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. āpak 'ბროლი, მინა' = ქართ. აფსკა (აპკა) 'აპკი'.

საშ. სპარს. tāpak 'ტაფა' = ქართ. ტაფა, იმავე მნიშვნელობით.

4. საშუალო სპარსული p გადმოცემულია ქართულში სონორი
მ თანხმოვნით:

ა) თავკიდურ პოზიციაში საშ. სპარს. p = ქართ.
მ-ს შემდეგ სიტყვებში:

საშ. სპარს. pahr 'დაცვა, ფარვა' = ქართ. მარხ- 'მარხვა,
შენახვა, დაცვა' (სიტყვა შემოსულია, როგორც ჩანს, პარ-
თულიდან. შდრ. სომხ. պահել).

საშ. სპარს. part 'ვალი, გადასახადი' = ქართ. მართ-, მარ-
თებს 'ვალად აქვს'.

ბ) საშ. სპარს. p-ს ქართული მ-თი გადმოცემის
შემთხვევა გვაქვს აგრეთვე s-ს შემდგომ:

საშ. სპარს. sp = ქართ. წმ-ს სიტყვებში წმედ-წმიდა || წმენდ-
წმინდა.

საშ. სპარს. spanid 'წმინდა, ნეტარი' = ქართ. წმედ-||წმენდ-
(წმენდს, წმინდა) 'წმინდა, ნეტარი, მართალი', საბას თქმით
წმიდა ითქმის „მხოლოსა ღვთისა ზედა და რომელნი ღმერთმან
წმიდა ყვნა მსახურნი და სათნო-ყოფელნი მისნი“.

5. საშუალო სპარსული p გადმოცემულია ქართულში, როგორც
მეღერი ბ:

ა) თავკიდურ პოზიციაში p = ბ-ს:

საშ. სპარს. pīr- 'მოხუცი' = ქართ. ბერი 'მოხუცი'.

საკუთარი სახელები:

Pēšgēn — ბეშქენ.

Pahlavān — ბაჰლავანი.

ბ) სიტყვის შიგნით:

საშ. სპარს. sapūk 'სუბუქი, ადვილი' = ქართ. სუბუქი 'მჩატე'.

საშ. სპარს. tāpak 'ტაფა' = ქართ. ტაბაკი.

საშ. სპარს. kurpak = ქართ. ქულბაგი.

საშ. სპარს. čapūk = ქართ. კაბუკი.

6. საშუალო სპარსული t გადმოცემულია ქართულში აბრუპტივით ტ თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. tan 'სხეული' = ქართ. ტ ა ნ ი 'სხეული, ფიგურა'.

საშ. სპარს. tanj 'წამება, შევიწროება' = ქართ. ტ ა ნ ჯ - ვ ა ,
იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. tazar 'სასახლე' = ქართ. ტ ა ძ ა რ ი 'სასახლე',
'საყდარი'.

საშ. სპარს. takōk 'სალვინე თასი' = ქართ. ტ ა კ უ კ ი 'მცირე
სალვინე'.

საშ. სპარს. tōhm 'გვარი, მოდგმა' = ქართ. ტ ო მ ი 'მოდგმა',
'ნათესავი', 'გვარი'.

საშ. სპარს. tōzīk 'პიკნიკის სახე' = ქართ. ტ ო ზ ი კ ი 'უსჯუ
ლოთა დღესასწაული'.

საშ. სპარს. tāčīk, tāyčīk 'არაბული' = ქართ. ტ ა ი ქ ი , ტ ა ი
ქ ი კ ი 'არაბული', 'არაბული ცხენი'.

საშ. სპარს. tapak 'ტაფა' = ქართ. ტ ა პ ა კ ი 'ტაფა', 'თაბახი'.

7. საშუალო სპარსული t გადმოცემულია ქართული ტ-თი s, r,
x-ს შემდგომ სიტყვის შიგნით:

a) საშ. სპარს. st = ქართ. ს ტ -ს.

საშ. სპარს. bōstān 'ბაღი, ყვავილნარი' = ქართ. ბ ო ს ტ ა ნ ი
'ბაღი, მტილი'.

საშ. სპარს. dastavar, dastūr 'მრჩეველი, უმაღლესი მოხელე
მეფის კარზე, ქურუმი' = ქართ. დ ა ს ტ უ რ ი 'მოხელე, ნდო
ბით აღქურვილი პირი, ვეზირი'.

საშ. სპარს. ōstikān 'მოურავი' = ქართ. ო ს ტ ი გ ა ნ ი , ს ა - ო ს -
ტ ი გ ნ - ე 'სატრაპეზო'.

საშ. სპარს. sastik 'ძლიერი მტკიცე, მკაცრი' = ქართ. ს ა ს -
ტ ი კ ი 'ძლიერი, მკაცრი, შეუბრალებელი'.

საშ. სპარს. x'āstak 'ქონება, სიმდიდრე' = ქართ. ხ ვ ა ს ტ ა გ ი ,
ხ ო ს ტ ა კ ი 'ქონება, სიმდიდრე'.

საკუთარი სახელი Ōstam — უსტამ.

b) საშ. სპარს. rt = ქართ. რ ტ -ს:

საკუთარი სახელები:

Artak — არტაკ.

Artavazd — არტავაზ.

Bahrtam — ბარტამ.

c) საშ. სპარს. xt = ქართ. ხ ტ -ს.

Baxyāō — ბახტიად.

8. საშუალო სპარსული *x* გადმოცემულია ქართულში, როგორც დ სიტყვის შიგნით სახმომავნათა შორისო მდგომარეობაში და *r, n*-ს შემდგომ:

საშ. სპარს. *gumārtak* 'ნაცვალი, წარმომადგენელი' = ქართ. გუმარდი 'წარმომადგენელი'.

საშ. სპარს. *āyatkār* 'ხსოვნა სახსოვარი' = ქართ. იადგარი 'მოსახსენებელი'.

საშ. სპარს. *nipart* 'შემოვლა' = ქართ. ნაეარდი.

საშ. სპარს. *nihātak* 'დადებული, საფუძველი' = ქართ. ნიადაგი 'მიწა', 'ფუძე'.

საშ. სპარს. *nižāt* 'გვარი, მოდგმა' = ქართ. ნიჯადი 'სხვათათემში შემწე, მეშველი ლაშქარი'.

საშ. სპარს. *partak* 'ფარდა, რიდე, ხალიჩა' = ქართ. ფარდაგი 'ფარდა, ხალიჩა'.

საშ. სპარს. *part* 'ვალი' = ქართ. ფრდა, მო-ფარდული — (შდრ. პარტახტი 'სახადი') 'გაყიდვა, გამყიდველი'.

საშ. სპარს. *kartak* 'ნაკვეთი' = ქართ. ქარდაგი 'მიწის ნაკვეთი, სათიბი'.

საშ. სპარს. *xurt* 'მცირე ნაწილაკი' = ქართ. ხურდი 'ნაგლეჯი, ნამცეცი'.

საშ. სპარს. *xʾat* 'თვის' = ქართ. ხვადი 'მამრი, მამალი'.

9. საშუალო სპარსული *k* თავკიდურ პოზიციაში გადმოცემულია ქართულში აბრუბტივით *q*:

საშ. სპარს. *karp* 'სხეული, ფიგურა' = ქართ. კერპი 'წარმართთა ცრუ ღმერთი'.

საშ. სპარს. *kubast* 'სამოსლის სახე' = ქართ. კუბასტი 'სამოსელი, თავსაბურავი'.

საშ. სპარს. *kalanb* 'კომბოსტო' = ქართ. კალნაბი 'კომბოსტო'.

საშ. სპარს. *kōšāk* 'ციხე, კოშკი' = ქართ. კოშკი 'ციხე'.

საშ. სპარს. *kurtak* 'საომარი სამოსელი' = ქართ. კურტაკი 'ჯაჭვის პერანგი', 'ვარმე', 'ესე არს სამოსელი მეომრისა, საჩინო, ჯაჭუთა გარეგან' (საბა).

10. საშ. სპარსული *k* გადმოცემულია ქართული *q*-თი სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. *Mihrākān* 'მითრას დღესასწაული' = ქართ. მირკანი 'თვის სახელი, მარტი'.

საშ. სპარს. *dāhkān* 'მეათედი' = ქართ. დრაჰკანი 'ფულის ერთეული'.

სიტყვის ბოლოს k = კ-ს:

საშ. სპარს. takōk 'საღვინე კურქელი' = ქართ. ტაკუკი 'მცირე საღვინე'.

საშ. სპარს. sēnakpān = ქართ. სენაკაპანი.

საშ. სპარს. tōzīk 'პიკნიკის სახე' = ქართ. ტოზიკი 'უსჯულოთ დღესასწაული'.

საშ. სპარს. xāstak 'ქონება, სიმდიდრე' = ქართ. ხოსტაკი 'ქონება, სიმდიდრე'.

საშ. სპარს. spētak 'თეთრი' = ქართ. სპეტაკი 'თეთრი'.

საშ. სპარს. sastīk 'ძლიერი' = ქართ. სასტიკი 'ძლიერი, უღმობელი, შეუბრალებელი'.

საშ. სპარს. kōšak = ქართ. კოშკი.

საშ. სპარს. āpak = ქართ. აპკი და სხვა.

საკუთარი სახელები:

Anak — ანაკ.

Arzōk — არზუკ.

Dārūk — დეროკ.

11. საშ. სპარსული k წარმოდგენილია ქართულში, როგორც მძღერი გ სიტყვის შიგნით და ბოლოს.

ა) საშ. სპარს. k = გ-ს n, r-ს შემდგომ:

საშ. სპარს. hangār 'თელა, აღრიცხვა' (ავ. haukārθa-) = ქართ. ანგარება, ანგაპრება 'სიხარბე', „უსამართლოდ შემკრებლობა“ (საბა).

საშ. სპარს. dānk 'მარცვალი', 'მცირე საზომი ერთეული' = ქართ. დანგი „სამის კერატის წონა“ (საბა).

საშ. სპარს. nstīkān 'მეურვე' = ქართ. ოსტიგანი.

ბ) საშ. სპარს. k = ქართ. გ-ს სიტყვის ბოლოს:

საშ. სპარს. ālak 'მხარე, ნახევარი' = ქართ. ალაგი 'გზა, მიმართულება, ადგილი'.

საშ. სპარს. hamxānak 'თანამოსახლე' = ქართ. ამხანაგი 'შეგობარი, ახლობელი'.

საშ. სპარს. āhōk 'ლაქა, ნაკლი' = ქართ. აუგი 'სირცხვილი'.

საშ. სპარს. arzānik 'ღირსი, ღირსეული' = ქართ. არზანიგი 'ღირსება, ხარისხი'.

საშ. სპარს. gūvālak 'ტომარი, შთასადებელი' = ქართ. გევალაგი 'შთასადებელი'.

საშ. სპარს. hēšmak 'მრისხანე, ბრაზიანი, ცოფიანი' = ქართ. შმაგი 'ხელი'.

საშ. სპარს. nihātak 'დადებული, საფუძველი' = ქართ. ნი ა-
და გ ი 'მიწა, საფუძველი'.

საშ. სპარს. *nāvak 'საარსებო საშუალება' = ქართ. ნო ვ ა გ ი,
ს ა ნ ო ვ ა გ ე 'საკვები'.

საშ. სპარს. *perahānak = ქართ. პ ე რ ა ნ გ ი, იმავე მნიშვნე-
ლობით.

საშ. სპარს. patrōčak 'დღიური საზრდო, საქონელი' = ქართ.
პ ა ტ რ უ ც ა გ ი 'ხელნაწერი, გრაგნილი'. შეადარეთ სომხუ-
რიდან ნასესხები ფორმა პ ა ტ რ უ ქ ა კ ი (საბა).

საშ. სპარს. fravartak 'ხელნაწერი' = ქართ. რ ო ა რ ტ ა გ ი
'ხელნაწერი, გრაგნილი'.

საშ. სპარს. sādak 'უბრალო, მარტივი' = ქართ. ს ა და გ ი,
იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. kurpak 'ფარდული, დუქანი' = ქართ. ქ უ ლ ბ ა გ ი
'ფარდული, დუქანი'.

საშ. სპარს. kartak 'ნაკვეთი' = ქართ. ქ ა რ და გ ი 'მიწის ნაკვე-
თი, სათიბი'.

საშ. სპარს. čarwak 'თეთრზე შავით დაწინწკლული ცხენა' =
ქართ. ქ ა რ მ ა გ ი.

საშ. სპარს. xāstak 'ქონება, სიმდიდრე' = ქართ. ხ ვ ა ს ტ ა გ ი
'ქონება, სიმდიდრე' და სხვა.

12. საშ. სპარს. k გადმოცემულია ქართულში ყრუ ფშვინვიერი
ქ-თი:

a) თ ა ვ კ ი დ უ რ პ ო ზ ი ც ი ა შ ი k = ქ-ს:

საშ. სპარს. kantak 'გამოკვეთილი' = ქართ. ქ ა ნ და კ ე ბ ა
'სკულპტურა'.

საშ. სპარს. kārvan 'ქარავანი' = ქართ. ქ ა რ ა ვ ა ნ ი.

საშ. სპარს. kurpak = ქართ. ქ უ ლ ბ ა გ ი.

b) ზ ო გ ი ე რ თ შ ე მ თ ხ ე ე ვ ა შ ი და ბ ო ლ ო ე ბ ი ს k გა-
დ მ ო ც ე მ უ ლ ი ა ქ ა რ თ უ ლ შ ი, რ ო გ ო რ ც ხ:

საშ. სპარს. gilak 'ტირილი, ვაება' = ქართ. გ ლ ა ხ! -- შორის-
დებული და მისგან წარმოებული გ ლ ა ხ ა კ ი.

საშ. სპარს. zūrak 'თქმული, ტყუილი' = ქართ. ზ რ ა ხ-, ზ რ ა ხ-
ვ ა 'საუბარი, განზრახვა'.

II. საშუალო სპარსული მფლერი ხშულებების გად-
მ ო ც ე მ ა ქ ა რ თ უ ლ შ ი.

საშუალო სპარსული მფლერი ხშულები ხ d g (ხმოვანთა შორის
და სონორთა შემდგომ β δ γ სპირანტები) გადმოცემულია ქარ-
თულში მფლერი ხშულებით ბ დ გ.

1. საშ. სპარსული ხ = ქართ. ბ-ს თავეიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. bēvār '10000' = ქართ. ბ ე ვ რ ი '10000, მრავალი'.

საშ. სპარს. burz 'მაღალი' = ქართ. ბორცვი 'გორაკი'.
საშ. სპარს. bōstān 'ბაღი, ყვავილნარი' = ქართ. ბოსტანი
'მტილი'.

საშ. სპარს. būn 'ბუნება' ფრს. = ქართ. ბუნი, ბუნება.

საკუთარი სახელები:

Baydāt—ბაგრატი (სომხ. *Բագրատ*).

Baypuhr—ბაკური (სომხ. *Բակուր*).

Barzabōd—ბარზაბოდ:

Bahrām—ბარტამ.

Baxtdāt, Baxtyād—ბახტიად.

Bēvārasp—ბევრასფი.

Burzmihr—ბურზმირ და სხვა.

2. საშ. სპარსული ხ სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. kalanb, karanb = ქართ. კალნაბი 'კომბოს-
ტო'.

საშ. სპარს. x'ārbar 'საკვები მარცვლეული' = ქართ. ხორბა-
ლი, ხვარბალი.

საშ. სპარს. tablak 'დოლი' = ქართ. ტაბლაკი და სხვა.

3. საშ. სპარსული d გადმოცემულია ქართულში მედერი დ-თი
თავიიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. dastavar 'ვეზირი, მრჩეველი, ქურუმი' = ქართ.
დასტური 'მოხელე, მრჩეველი'.

საშ. სპარს. dēv 'დემონი, ბოროტი სული' = ქართ. დევი
'ემმაკი, ბოროტი სული'.

საშ. სპარს. dram 'ფულის ერთეული' = ქართ. დრამა 'ფუ-
ლის ერთეული'.

საშ. სპარს. dandān 'კბილი' = ქართ. დანდალი 'პირის მახე'.

საშ. სპარს. *dahkān ან darhkān 'ფულის ერთეული' =
= ქართ. დრაჰკანი „ფლური, ოთხი დრამის წონა
ოქრო“ (საბა).

საშ. სპარს. dānk 'მარცვალი' = ქართ. დანგი „სამის კერა-
ტის წონა“ (საბა).

საშ. სპარს. drafš 'დროშა, ალამი' = ქართ. დროშა.

საკუთარი სახელი Dārūk — დეროკ.

4. საშ. სპარსული d გადმოცემულია ქართულში მედერი დ-ს
სახით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. handarz 'რჩევა, დარიგება' = ქართ. ანდერძი.

საშ. სპარს. kundurūk = ქართ. გუნდრუკი 'საკმეველი'.

საშ. სპარს. *mizd* 'საზღაური' = ქართ. მიზდი 'საზღაური, გადასახადი'.

საშ. სპარს. *xōd* 'ქუდი, თავსაბურავი' = ქართ. ქუდი.

საშ. სპარს. *gund* 'ჯარი, არმია' = ქართ. გუნდი 'ჯგუფი, გროვა'.

საკუთარი სახელები:

Barzabōd — ბარზაბოდ.

Gōdarz — გოდერძი.

Gurōēbandak — გურობანდაკ.

dux 'ასული' — დუხტი (*Gnranduxt*, *Mirānduxt* და სხვა).

Tirdāt — თრდატ.

Mihrdāt — მირდატ.

Ōhrmazd — ურმიზდი და სხვა.

5. საშ. სპარსული *d(ō)* გადმოცემულია ქართულში, როგორც რ:

საშ. სპარს. *čašmdit* 'თვალთ ნახული' = ქართ. ქეშმარიტი 'ნამდვილი' (სომხ. *չմարիտ*).

საშ. სპარს. *frapānak* 'მოედანი, საკრებულო' = ქართ. ურაკ-პარაკი 'მოედანი, გზაჯვარედინი' (სომხ. *հրապարակ*).

საშ. სპარს. *hambōm* 'კოცნა' = ქართ. ამბორი 'კოცნა' (სომხ. *համբոյր*).

საშ. სპარს. *xōm* 'ქუდი' = ქართ. ხოირი (სომხ. *խոյր*).

საკუთარი სახელი *Bāyrdāt* — ბაგრატის (სომხ. *Բայրատ*).

6. საშ. სპარსული *g* გადმოცემულია ქართულში მედერი *g*-ს სახით თავიკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. *ganj* 'განძი, საუნჯე' = ქართ. განძი 'საუნჯე'.

საშ. სპარს. *gilak* 'ვაება, ტირილი' = ქართ. გლახ! 'ვაა'.

საშ. სპარს. *griv* 'მარცვლეულის საზომი' = ქართ. გრივი.

საშ. სპარს. **gurvālak* 'ტომარი' = ქართ. გუალაგი 'შთასადებელი'.

საშ. სპარს. *gōhr*, *gōhar* 'გვარი, მოდგმა, კეთილშობილი, მარგალიტი' = ქართ. გოვარი, გუარი.

საშ. სპარს. *grōh* 'ჯგუფი, გროვა, მასა' = ქართ. გრო 'გუნდი, ჯგუფი'.

საშ. სპარს. *gumārtak* 'ნაცვალი, წარმომადგენელი' = ქართ. გუმარდი 'წარმომადგენელი'.

საშ. სპარს. *gurusn*, *guzn* 'სიმშილი' = ქართ. გუსნ 'შიშხილი' (შეპეუსნეს).

საკუთარი სახელი Gōdarz — გოდერძი.

7. საშ. სპარსული g(γ) გადმოცემულია ქართულში მეღერი გ-ს სახით სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. yagund = ქართ. ი ა გ უ ნ დ ი 'ლალი, ძვირფასი ქვა წითელი ფერისა'.

საშ. სპარს. mōγ 'ქურუმი' = ქართ. მ ო გ ვ ი 'ქურუმი, ზოროასტრელი'.

საშ. სპარს. čōpēγān 'თამაშის სახე, პოლო' = ქართ. ჩ ო გ ა ნ ი 'პოლოს თამაში'.

საშ. სპარს. vagr 'ვეფხვი, ლეობარდი' = ქართ. ვ ი გ რ ი.

საშ. სპარს. bagīn 'საკურთხეველი' = ქართ. ბ ა გ ი ნ ი 'საკურთხეველი, ბომონი'.

III. საშუალო სპარსული პალატალური აფრიკატების ჯ-სა და ქ-ს გადმოცემა ქართულში.

1. საშ. სპარსული č გადმოცემულია ქართულში, როგორც ჩ თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. čapūk 'სწრაფი, მოხერხებული' = ქართ. ჩ ა უ ქ ი 'ცქვიტი და შემძლე'.

საშ. სპარს. čōpēγān 'ცხენბურთი, პოლო' = ქართ. ჩ ო გ ა ნ ი 'ცხენბურთი, პოლო'.

საშ. სპარს. čaxr 'ჩარხი, ბორბალი' = ქართ. ჩ ა რ ხ ი.

საშ. სპარს. č = ქართ. ჩ-ს სიტყვის შიგნით:

საშ. სპარს. vačak 'შილი' (ცხოველისა) = ქართ. ვ ა ჩ ე (საკ-სახ.), საშ. სპარს. *Arčihr = ქართ. ა რ ჩ ი ლ.

2. საშ. სპარსული č გადმოცემულია ქართულში აბრუპტივით ქ თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. čālak 'კუნძული, ხმელეთი' = ქართ. ქ ა ლ ა კ ი.

საშ. სპარს. čašmdīt 'თვალთ ნახული, თვალსაჩინო' = ქართ. ქ ე შ მ ა რ ი ტ ი 'ნამღვილი'.

საშ. სპარს. čapūk 'სწრაფი, მოხერხებული' = ქართ. ქ ა ბ უ კ ი.

საშ. სპარს. čarmak 'თეთრი ცხენი' = ქართ. ქ ა რ მ ა გ ი.

3. სიტყვის შიგნით საშ. სპარს. č = ქართ. ჭ-ს:

საშ. სპარს. vāčār 'საქონელი, ბაზარი' = ქართ. ვ ა ქ ა რ ი 'გამყიდველი'.

საშ. სპარს. rōčik 'დღიური' = ქართ. რ ო ჭ ი კ ი 'დღიური საზრდო'.

საშ. სპარს. tāčik = ქართ. ტ ა ი ჭ ი კ ი, ტ ა ი ჭ ი.

4. საშ. სპარსული ჯ გადმოცემულია ქართულში სისინა აფრიკატით ც სიტყვის შიგნით:

საშ. სპარს. patrōčak 'დღიური საზრდო, ცხოველი' = ქართ. პ ა ტ რ უ ც ა გ ი 'ეტრატი, წერილი მეფისა მეფესთან'.

საშ. სპარს. *gūrčik 'ქურციკი' = ქართ. ქ უ რ ც ი კ ი — იდენტ. მნიშვნელობით.

5. საშ. სპარს. ჯ გამდოცემულია ქართულში მჟღერი სისინა აფრიკატით ძ სიტყვის შიგნით:

საშ. სპარს. nōč 'ნაძვის ხე' (ძვ. სპარს. naučaina-) = ქართ. ნ ა ძ ვ, შდრ. სომხ. ზ ი ძ.

საშ. სპარს. tazar (ძვ. სპ. tačara-) 'სასახლე' = ქართ. ტ ა ძ ა რ ი 'სასახლე, საყდარი' (სომხ. տաճար).

6. საშ. სპარსული ჯ გადმოცემულია ქართულში მჟღერი შიშინა აფრიკატით ჯ:

საშ. სპარს. apəčār 'იარალი, ინსტრუმენტი' = ქართ. ა ბ ჯ ა რ ი 'საქურველი, იარალი'.

საშ. სპარს. vičār 'ახსნა, განმარტება' (ახ. guzār) = ქართ. გ უ ჯ ა რ ი 'სიგელის სახე'.

7. საშ. სპარსული მჟღერი პალატალური აფრიკატი ო გადმოცემულია ქართულში მჟღერი აფრიკატითვე ჯ:

ა) ო = ჯ-ს თაყვიდურ პოზიციის: ძალიან იშვიათია თვით საშუალო სპარსულში (საკ. სახ. Jamasp — ჯ ა მ ა ს პ ი, ო ო ო < jahika) ქართულში მაგალითები არ გვაქვს.

ბ) საშ. სპარსული ო გადმოცემულია ქართულში მჟღერი აფრიკატი ჯ-ს მეშვეობით სიტყვის შიგნით მეტწილად n, r-ს შემდგომ:

საშ. სპარს. hanjāman 'კრებული' = ქართ. ა ნ ჯ ა მ ა ნ ი, ა ნ ჯ მ ნ ო ბ ა.

საშ. სპარს. tanj 'ტანჯვა, შვევიწროება' = ქართ. ტ ა ნ ჯ ვ ა 'გვემა, წამება'.

საშ. სპარს. arj (ავ. < arəjah-) 'ღირსეული, მნიშვნელოვანი, თა-სეული' = ქართ. ა რ ჯ- ს ი ტ ყ ვ ა შ ი მ-ა რ ჯ-უ-ე, მ-ა რ ჯ-უ-ე ნ-ა. შდრ. სომხ. ալ მ ა რ ჯ ვ ე ნ ა, სადაც დაქარგულია რ ო-ს წინ.

8. საშ. სპარსული ო გადმოცემულია ქართულში, როგორც სისინა მჟღერი აფრიკატი ძ:

საშ. სპარს. *ganj* 'საუნჯე' = ქართ. განძი 'საფასე, საუნჯე'.

საშ. სპარს. *aspanj* 'სასტუმრო, თავშესაფარი' = ქართ. მასპინძელი, გეოგრაფიული სახელი ასპინძა.

საშ. სპარს. **pirinj* 'ბრინჯაო, სპილენძი' = ქართ. პილენძი. ქალაქის სახელი *Ganjak* = ქართ. განძაკი.

9. საშ. სპარს. *z* (< ძვ. სპ. *j*) გადმოცემულია ქართულში მეღერძის ფ-თი სიტყვის შიგნით:

საკუთარი სახელი *Vēžan* — ვეჟან, აგრეთვე მამეჟან.

10. საშ. სპარს. *z* (< ძვ. სპარს. *j*) გადმოცემულია ქართულში მეღერძის შიშინა აფრიკატით ჯ:

საშ. სპარს. *nižāt* 'მოდგმა' = ქართ. ნიჯადი 'სხვათა ტომში შემწე'.

საშ. სპარს. *dōžax* 'ჯოჯოხეთი' = ქართ. ჯოჯოხეთი, იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. *žatak* 'ნაცემი, მცირე, დაღეული' = ქართ. ჯადაგი 'ჯღანი'.

IV. საშუალო სპარსული ყრუ სპირანტების *f*, *x*-ს გადმოცემა ქართულში.

1. საშ. სპარსული *f* გადმოცემულია ქართულში ბაგისმიერი ფშინვიერი ფ-ს სახით თავკიდურ პოზიციაში:

საკუთარი სახელები:

Farnavaz — ფარნავაზ.

Farrux — ფარუხ.

სიტყვის შიგნით *f* = ფ-ს თანხმოვანთა კომპლექსებში:

a) საშ. სპარს. *āšoft* 'მღელვარე' = ქართ. შფოთი 'მღელვარება, ბრბო'.

საკუთარი სახელი *Frēdūn* — ფრიდონ.

b) საშ. სპარსული *f* გადმოცემულია ქართულში მეღერძის ხშული ბ-თი (< ფ-საგან):

საშ. სპარს. *frazān* 'მეცნიერი, ბრძენი' = ქართ. ბრძენი (< ფრძენ).

საშ. სპარს. *frazān* = ქართ. ბრძენ (< ფრძან) 'ბრძანება, განკარგულება'.

c) საშ. სპარსული *f* კომპლექსში *fr* გადმოცემულია ქართულში როგორც ჰრ/რ (სომხურის მსგავსად) თავკიდურ პოზიციაში: საშ. სპ. *fravartak* = ქართ. როარტაგი, სომხ. *հրավարտակ* და სხვა.

d) საშ. სპარს. fr = ქართ. ურ-ს:

საშ. სპარსული *frapānak* 'თავშესაყარი ადგილი, ღოედანი' = ქართ. ურაქპარაკი 'მოედანი' (შდრ. სომხ. *հրապարակ*).

e) საშ. სპარს. af = ქართ. ო-ს:

საშ. სპარს. *drafk* 'დროშა, ალამი' = ქართ. დროშა, იმავე მნიშვნელობით.

2. საშ. სპარსული ყრუ სპირანტი x გადმოცემულია ქართულში ყრუ სპირანტითვე ხ.

a) თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. *xāhišn* 'სურვილი, თხოვნა' = ქართ. ხეაიშანი, ხეაიშნობა 'თხოვნა, შუამდგომლობა'.

საშ. სპარს. *xāstak* 'სიმდიდრე, ქონება' = ქართ. ხეასტაგი 'ქონება, სიმდიდრე'.

საშ. სპარს. *xāršak* 'შვის მხურვალეობა' = ქართ. ხორშაკი 'მხურვალე ქარი, გვალვა'.

საშ. სპარს. *xārbār* 'საკვები მარცვლეული' = ქართ. ხეარბალი 'სურის მარცვალი'.

საკუთარი სახელები:

Xusrav — ხოსრო.

Xārānzau — ხეარამზე, ხეარანძე.

b) საშ. სპარსული x = ქართ. ხ-ს სიტყვის შიგნით:

საშ. სპარს. *vaxš* 'ზრდა, პროცენტი' = ქართ. ვახში 'ვალი'.

საშ. სპარს. *patixšah* (ან *patixšāy*) = ქართ. პიტიახში 'ერისთავი'.

საშ. სპარს. *duxšt* 'ასული' = ქართ. დუხტ (საკ. სახელებში გურანდუხტ, მირანდუხტ, საგდუხტ და სხვა).

3. საშ. სპარსული x გადმოცემულია ქართულში ყრუ ფშვინვიერით ქ:

საშ. სპარს. *xōb* 'ქუდი, თავსაბურავი' = ქართ. ქუდი 'თავსაბურავი'.

4. ძველი სპარსული ზ-ს შესაბამისად (=ირ. s-ს) საშ. სპარსულში გვაქვს h. მონაცვლეობა *hr > hr* დამოწმებულია ჩ.წ.ა. I საუკუნეშივე.

ქართულში საშ. სპარსული h (>ზ-საგან) გადმოცემულია, როგორც h (იშვიათად x), მეტწილ შემთხვევაში კი დაკარგულია:

საშ. სპარს. gāsvārak, პართ. gāhvarak 'აკვანი, საწოლი' = ქართ. გ ა ვ ა ლ ა კ ი 'ბალდახინი', 'ესე არს მეფეთა თავსზეით საფარებელი ნაქსოვთაგან' (საბა). შდრ. ახ. სპარს. gāhvārah და სომხური գահավորակ.

საშ. სპარს. hr < *hr-საგან გადმოცემულია ქართულში, როგორც ჰრ, რ/ლ:

a) საშ. სპარ. hr = რ, ლ-ს.

საშ. სპარს. zōhr 'მსხვერპლი' = ქართ. ზ ო რ - ვ ა 'მსხვერპლის შეწირვა წარმართ ღვთაებათა და კერბთა მიმართ' (სომხ. ვიზ).

საშ. სპარს. vispuhr 'უფლისწული, სამეფო სახლის შვილი' = ქართ. ზ ე პ უ რ ი, სა ზ ე პ უ რ ო 'კეთილშობილი, რჩეული'.

საშ. სპარს. pāhr (pār) 'ფარი' = ქართ. ფ ა რ ი.

საშ. სპარს. duščihr = ქართ. დ უ ხ ჭ ი რ ი.

საკუთარი სახელები:

Burzmihr — ბ უ ზ მ ი რ, ბ უ ზ მ ი ლ.

Zarmihr — ზ ა რ მ ი ლ.

*Arčihr — ა რ ჩ ი ლ.

*Dār(aβ)čihr — დ ა რ ჩ ი ლ.

b) საშ. სპარს. hr = ქართ. ჰრ-ს:

საშ. სპარს. pāhrak 'მცველი' = ქართ. პ ა ჰ რ ა კ ი.

საკუთარი სახელები:

Mihr, Mihrān — მიჰრ, მიჰრან || მირ, მირიან, თვის სახელი. Mihrakān — მიჰრაკან || მირკან.

c) საშ. სპარს. hr = ქართ. რხ-ს:

საშ. სპარს. pāhr (< pār) 'დაცვა' = ქართ. მ ა რ ხ ვ ა 'შენახვა, დაფლვა'.

V. საშუალო სპარსული ნახევარხმოვნების ყ და ვ-ს გადმოცემა ქართულში.

1. საშ. სპარსული ყ (ძვ. ირ. ყ) ქართულში გადმოცემულია ი ხმოვნის მეშვეობით თავიიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ:

საშ. სპარს. yātkār 'ხსოვნა, სახსოვარი' (< āyatkā) = ქართ. ი ა დ გ ა რ ი 'სახსენებელი'.

საშ. სპარს. yagund 'იაგუნდი' = ქართ. ი ა გ უ ნ დ ი 'ძვირფასი ქვის სახელი, იაკინთი'.

2. საშ. სპარსული ყ, რომელიც საშ. სპარსულში თავიიდურ პოზიციაში გადავიდა j-დ (სასანური ეპოქის პირველ ნახევარში), ქართულში წარმოდგენილია აგრეთვე ჯ-ს სახით:

საშ. სპარს. *javšān* 'საქურველი' (<ავ. *yaoxšna-*) = ქართ. ჯ ა ვ შ ა ნ ი 'საქურველი'.

3. საშ. სპარსული *v* (u-ს კონსონანტური ქსახეობა = ახ. სპ. b-ს) ქართულში გადმოცემულია *ვ*-თი თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. *vān* 'სადგური, სამყოფელი' = ქართ. ვ ა ნ ი (ახ. სპ. *bān*).

საშ. სპარს. *vāčār* 'საქონელი' = ქართ. ვ ა ქ ა რ ი (ახ. სპ. *bāzār*).

საშ. სპარს. *vagr* 'ვეფხვი, ლეოპარდი' = ქართ. ვ ი ვ რ ი (ახ. სპ. *babr*).

საშ. სპარს. *vaxš* 'ზრდა' = ქართ. ვ ა ხ შ ი 'პროცენტი', 'ვალი'.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

Varaz — ვ ა რ ა ზ .

Vačak — ვ ა ჩ კ .

Vēžan — ვ ე ჟ ა ნ .

Vardān — ვ ა რ დ ა ნ .

4. საშ. სპარსული *v* = ქართ *ვ*-ს სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. *axšān* 'სასიცოცხლო ძალა' = ქართ. ა ხ ო ვ ა ნ ი 'შენე'.

საშ. სპარს. *bēvār* '10.000' = ქართ. ბ ე ვ რ ი '10.000, მრავალი'.

საშ. სპარს. *grīv* 'მარცვლეულის საზომი' = ქართ. გ რ ი ვ ი .

საშ. სპარს. *dēv* 'დემონი' = ქართ. დ ე ვ ი 'დემონი'.

საშ. სპარს. *nāvāk* 'საარსებო საშუალება' = ქართ. ნ ო ვ ა გ ი , ს ა ნ ო ვ ა გ ე 'საქვები'.

საშ. სპარს. *karvān* 'ქარავანი' = ქართ. ქ ა რ ა ვ ა ნ ი .

საშ. სპარს. *šahravand* 'ბრწყინვალე' = ქართ. შ ა რ ა ვ ა ნ დ ი 'ბრწყინვალეობა, გვირგვინი'.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

Aparvēz — ა მ ბ ა რ ვ ე ზ .

Anōšarvān — ა ნ ო შ ა რ ვ ა ნ .

Arvand — ა რ ვ ა ნ დ .

Artavazd — ა რ ტ ა ვ ა ზ .

Rēv — რ ე ვ და სხვა.

5. არის შემთხვევები საშ. სპარსულში თავკიდურ პოზიციაში *v* > b-სი (გვიან სასანურ ხანაში). ეს მოვლენა არ არის ასახული ქართულში.

6. თავკიდურ პოზიციაში vi (va) საშ. სპარსულში წარმოდგენილია გუ-ს სახით, რაც ასახულია აგრეთვე ქართულ ნასესხობებში და საკუთარ სახელებში:

საშ. სპარს. vičār (> gužār) 'ახსნა, განმარტება' = ქართ. გუჯარი 'სიგელი, ახსნითი'.

საკუთარი სახელები:

Gurgēn (სომხ. *Վրկեն*) — გურგენ.

Guroēbandak — გურობანდაკ.

Gušnak — გუშნაკ (ავ. vərəšna).

Vahrām — ვუარამ.

Gurgsar — გორგასალი.

Vaspuhrākan — ვუასპურაგანი და სხვა.

7. საშ. სპარსული β (ძვ. სპ. b, p) ქართულში გადმოცემულია, როგორც ვ:

საშ. სპარს. βpār (< ā- pār) 'წალემა, წყყენა' = ქართ. ავარი 'ნადავლი'.

საშ. სპარს. nāpard (nipart) = ქართ. ნავარდი.

საშ. სპარს. staβr 'მტკიცე, მკვრივი' = ქართ. სტავრა 'მტკიცე, მკვრივი' (ახ. სპ. sitabr).

VI. საშუალო სპარსული ლიქვიდების r, l-ს გადმოცემა ქართულში.

საშ. სპარსული r გადმოცემულია ქართულში რ-თი ყველა პოზიციაში, თუ არ ჩავთვლით შემთხვევებს სონორთა დისიმილაციის საფუძველზე მიღებულ r > l-სი, რაც ქართულის თავისებურებას შეადგენს.

1. საშ. სპარსული r = ქართ. რ-ს თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. razm (ავ. rasman-) 'ჯარის ნაწილი, გუნდი' = ქართ. რაზმი, იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. ramak 'ჯოგი, გუნდი' = ქართ. რემაკი 'ცხენის ჯოგი'.

საშ. სპარს. rōb, rōy 'სპილენძი' = ქართ. რვალი 'სპილენძი'.

საშ. სპარს. ruspik 'ფურია, ქაჯი' = ქართ. როსპიკი, როსპიკი 'მეძავი'.

საშ. სპარს. rōčik 'დღიური' = ქართ. როჭიკი 'დღიური' და სხვა.

2. საშ. სპარსული r სიტყვის შიგნით და ბოლოს გადმოცემულია ქართულში, როგორც რ (ლ):

საშ. სპარს. handarz 'რჩევა, დარიგება' = ქართ. ანდერძი 'მოკვდავთაგან დარიგება'.

- საშ. სპარს. *asprēs* 'ცხენთა სარბიელი' = ქართ. ასპარეზი 'მოედანი'.
- საშ. სპარს. *arzanīk* 'ღირსეული, მნიშვნელოვანი' = ქართ. არზანიგი 'ღირსება, ხარისხი'.
- საშ. სპარს. *pīr* 'მოხუცი' = ქართ. ბერი 'მოხუცი, მონაზონი'.
- საშ. სპარს. *burz* 'მაღალი' = ქართ. ბორცი 'გორაკი'.
- საშ. სპარს. *frazān* 'ბრძენი, მეცნიერი' = ქართ. ბრძენი.
- საშ. სპარს. *grīv* 'მარცვლეულის საზომი' = ქართ. გრივი, იმავე მნიშვნელობით.
- საშ. სპარს. *gōhar* 'კეთილშობილი, მარგალიტი' = ქართ. გოარი, გვარი 'გვარი, შთამომავლობა, მოდგმა'.
- საშ. სპარს. *grōh* 'ჯგუფი, მასა' = ქართ. გრო 'გროვა, ბრბო'.
- საშ. სპარს. *gumart(ak)* 'ნაცვალი, წარმომადგენელი' = ქართ. გუმარდი 'წარმომადგენელი'.
- საშ. სპარს. *vičār* 'ახსნა' = ქართ. ვიჯარი 'სიგელი'.
- საშ. სპარს. *drafš* 'დროშა, ალამი' = ქართ. დროშა 'ბაი-რალი'.
- საშ. სპარს. *zahr* 'შხამი, მაკვდინებელი' = ქართ. ზარი 'შიში'.
- საშ. სპარს. *zinhar* 'ფიცი, თავშესაფარი' = ქართ. ზენარი 'ფიცი, ალტკმა'.
- საშ. სპარს. *āpār* 'წაღება', წაყვანა' = ქართ. იავარი, ავარი 'ნადავლი'.
- საშ. სპარს. *āyatkār* 'მოგონება, ხსოვნა' = ქართ. იადგარ: 'სახსენებელი'.
- საშ. სპარს. *karp* 'ფორმა, სხეული' = ქართ. კერპი 'სათაყვანო, წარმართული ღვთაება'.
- საშ. სპარს. *marzəpān* 'საზღვრის მცველი' = ქართ. მარზაპანი 'წარმომადგენელი'.
- საშ. სპარს. *patrōčak* 'დღიური საზრდო, საქონელი' = ქართ. პატრუცაგი 'წერილი'.
- საშ. სპარს. *partak* 'ფარდა, რიდე' = ქართ. ფარდაგი 'ხალიჩა, ფარდა'.
- საშ. სპარს. *kartak* 'ნაკვეთი' = ქართ. ქარდაგი 'მიწის ნაკვეთი, სათიბი' და სხვა მრავალი.
3. საშ. სპარსული *r* = ქართ. ლ-ს სონორთა დისიმილაციის შედეგად:

საკუთარი სახელები:

Zarmihr — ზარმილ (<ზარმირ), Burzmihr — ბუზმილ (ბუზმირ), *Arčihr — არჩილ (არჩირ), *Dārčihr (Dāraβčihr) — დარჩილ (დარჩირ).

შენიშვნა: ცნობილია, რომ ძველ ირანულს (ძველ სპარსულსა და ავესტას) არ ჰქონდა ფონემა l. საშუალო სპარსული l მომდინარეობს, ერთი მხრივ, ინდოევროპული l, r-საგან, მეორე მხრივ, ძველი სპარსული rd[rθ-საგან.

4. ქართულში ორივე წარმოშობის l გადმოცემულია ლ-ს სახით.

a) თავკიდურში საშ. სპარს. l = ქართ. ლ-ს:

საშ. სპარს. laškār 'ჯარი, არმია' = ქართ. ლაშქარი 'ჯარი'.

საშ. სპარს. lāl 'წითელი' = ქართ. ლალი 'ძვირფასი ქვა წითელი ფერისა'.

b) საშ. სპარს. l = ქართ. ლ-ს სიტყვის შიგნით:

საშ. სპარს. ālag 'მხარე, ნახევარი' = ქართ. ალაგი 'გზა, ბილიკი, ადგილი' (ძვ. ირ. arda, ავ. arəda).

საშ. სპარს. guvālak 'ტომარი, გუდა' = ქართ. გვალაგი 'შთასადებელი' (შდრ. ქართულივე გვარდაკი, გვადრაკი და გვადრუცი).

საშ. სპარს. pīl 'სპილო' = ქართ. პილო 'სპილო'.

საშ. სპარს. čālak 'კუნძული' = ქართ. ქალაკი 'კუნძული'.

საშ. სპარს. gīlak 'ჩივილი, ტირილი' = ქართ. გლახ! 'შორისდებული „გაჲ“ და გლახაკი.

საშ. სპარს. kalanb, karānb 'კომბოსტო' = ქართ. კალნაბი 'კომბოსტო' და სხვა.

VII. საშუალო სპარსული სონორების n, m-ს გადმოცემა ქართულში.

საშ. სპარს. n, m, (გარდა დისიმილაციის შემთხვევებისა) გადმოცემულია ქართულში სონორებითვე ნ, მ.

1. საშ. სპარს. n გადმოცემულია ქართულში, როგორც ნ თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. nāpard (nipart) 'გარშემოვლა' = ქართ. ნაგარდი 'ხლდომა, თამაში, ირგვლივ შემოვლა'.

საშ. სპარს. nāz[ik] 'ნაზი, სათუთი' = ქართ. ნაზი, იმავე მნიშვნელობით.

საშ. სპარს. nāzū 'ნაძვი' (ძვ. სპ. naučaina-) = ქართ. ნაძვი (შდრ. სომხ. նոճ).

საშ. სპარს. *nihātak 'საფუძველი, დადებული' = ქართ. ნიადაგი 'საფუძველი, მიწა'.

- საშ. სპარს. nišan 'ნიშანი, სასწაული' = ქართ. ნ ი შ ა ნ ი, იმავე მნიშვნელობით.
- საშ. სპარს. nāvak 'საარსებო საშუალება' = ქართ. ნ ო ვ ა გ ი, ს ა ნ ო ვ ა გ ე 'საკვები' და სხვა.
2. საშ. სპარს. n წარმოდგენილია ქართულში ნ-თი სიტყვის შიგნით და ბოლოს:
- საშ. სპარს. (h)angār 'შეკრება, აღრიცხვა' = ქართ. ა ნ გ ა რ ე ბ ა 'სიხარბე'.
- საშ. სპარს. handarz 'რჩევა, დარიგება' = ქართ. ა ნ დ ე რ ძ ი 'მოკვდავთაგან დარიგება' (საბა).
- საშ. სპარს. *ašpanj 'სასტუმრო, თავშესაფარი' = ქართ. მ-ა-ს-პ-ი-ნ-ძ-ელ-ი 'სახლისა და ლხინის უფალი' (საბა).
- საშ. სპარს. arzanik 'ღირსეული, მნიშვნელოვანი' = ქართ. ა რ ზ ა ნ ი გ ი 'ღირსება, პატივი'.
- საშ. სპარს. būn 'ბუნება, ხასიათი' = ქართ. ბ უ ნ ი, ბ უ ნ ე ბ ა.
- საშ. სპარს. ganj 'საუნჯე' = ქართ. გ ა ნ ძ ი 'საუნჯე'.
- საშ. სპარს. kunduruk 'საკმეველი' = ქართ. გ უ ნ დ რ უ კ ი 'საკმეველი'.
- საშ. სპარს. kūsān 'შემუსიკე' = ქართ. მ გ ო ს ა ნ ი 'მომღერალი'.
- საშ. სპარს. dānk 'მარცვალი' = ქართ. დ ა ნ გ ი 'მცირე საზომი ერთეული'.
- საშ. სპარს. ziyān 'ნაკლი, ვნება' = ქართ. ზ ი ა ნ ი 'ვნება'.
- საშ. სპარს. pērahān(ak) 'პერანგი, კვართი' = ქართ. პ ე რ ა ნ გ ი.
- საშ. სპარს. kalanb|karaub 'კომბოსტო' = ქართ. კ ა ლ ნ ა ბ ი 'კომბოსტო'.
- საშ. სპარს. marzəpān 'საზღვრის მცველი' = ქართ. მ ა რ ზ ა პ ა ნ ი 'შეფის ნაცვალი'.
- საშ. სპარს. mātdān > mātyān 'დედანი, ტექსტი' = ქართ. მ ა ტ ი ა ნ ე.
- საშ. სპარს. sēnākpān 'მესაწოლე' = ქართ. ს ე ნ ა კ ა პ ა ნ ი 'მესაწოლე'.
- საშ. სპარს. tanj 'წამება' = ქართ. ტ ა ნ ჯ ვ ა 'გვემა, წამება'.
- საშ. სპარს. šēn (ავ. šayana-) 'საცხოვრებელი' = ქართ. შ ე ნ ი 'სოფელი', შ ე ნ - ე ბ - ა 'აგება'.
- საშ. სპარს. xʰāhišn 'სურვილი, თხოვნა' = ქართ. ხ ვ ა ი შ ა ნ ი 'თხოვნა, შუამდგომლობა'.

3. საშ. სპარს. n გადმოცემულია ქართულში ნარნარი რ-ს სახით ერთ შემთხვევაში (დისიმილაციის შედეგად):

საშ. სპარს. zamistān 'ზამთარი' = ქართ. ზამთარი (< *ზამ-თან-იდან). შეადარეთ არაბული majnun და ქართ. მიჯნური, სადაც მსგავსი დისიმილაცია გვაქვს nn < ნ-რ.

4. საშუალო სპარსული m გადმოცემულია ქართულში მ-ს სახით თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. marzəpān 'საზღვრის მცველი' = ქართ. მარზაპანი 'შეფის ნაცვალი'.

საშ. სპარს. مزه 'ჭურჭი' = ქართ. მზგვი 'ზოროასტრელი, ჭურჭი'.

საშ. სპარს. mizd 'საზღაური' = ქართ. მიზდი 'საზღაური, გადასახადი, ქირა'.

საშ. სპარს. mātdān, mādān 'ტექსტი, დედანი' = ქართ. მატდიანი 'წიგნი, ისტორია'.

საშ. სპარს. Mihrākan 'თვის სახელი' = ქართ. მიჰრაქანი, მირქანი.

საკუთარი სახელები:

Mihr — მირ.

Mihrān — მირიანი.

Mihrdāt — მირდატ და სხვა.

5. საშუალო სპარსული m გადმოცემულია ქართულში მ-თი სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. hamxānak 'თანამოსახლე' = ქართ. ამხანაგი 'მეგობარი'.

საშ. სპარს. haujaman 'კრებული' = ქართ. ანჯამანი 'კრებული'.

საშ. სპარს. gumārtak 'ნაცვალი, წარმომადგენელი' = ქართ. გუმარდი 'ნაცვალი, წარმომადგენელი'.

საშ. სპარს. dram = ქართ. დრამა.

საშ. სპარს. hēšm(ak) 'ბოროტი სული, დემონი' = ქართ. ეშმაკი.

საშ. სპარს. razm 'ჯარი, არმია' = ქართ. რაზმი 'ჯარის ნაწილი'.

საშ. სპარს. ramak 'ჯოგი' = ქართ. რემაკი 'ცხენის ჯოგი'.

საშ. სპარს. tōhm 'გვარი, მოდგმა' = ქართ. ტომი 'მოდგმა, ნათესავი'.

საშ. სპარს. šamšēr 'ხმალი' = ქართ. შიმშერი 'ხმალი'.

VIII. საშუალო სპარსული სიტყვები, ნაკვთვ-
გადმოცემა ქართულში.

1. საშ. სპარსული ს გადმოცემულია ქართულში, როგორც ს
თავიიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. sādāk 'მარტივი, უბრალო' = ქართ. სადაგი
'მარტივი, უბრალო'.

საშ. სპარს. sēnak 'დერეფანი, ოთახი, საკანი' = ქართ. სე-
ნაკი 'მცირე საკანი'.

საშ. სპარს. spāh, spāhpat, spāhsālar 'ჯარი, არმია' = ქართ.
სპა 'ჯარი, ლაშქარი', სპაჰეტი, სპასალარი 'ჯა-
რის უფროსი'.

საშ. სპარს. spetak, spēt 'თეთრი' = ქართ. სპეტაკი 'თეთრი'.

საშ. სპარს. stafr 'მტკიცე, მკვრივი' = ქართ. სტაფრა 'ქსო-
ვილის სახე'.

საშ. სპარს. sapūk 'სუბუქი' = ქართ. სუბუქი 'მჩატე-
ადვილი'.

2. საშუალო სპარსული ს გადმოცემულია ქართული ს-თი სი-
ტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. aspanj 'სასტუმრო, თავშესაფარი' = ქართ. მ-ა-ს-
პინძ-ელ-ი 'სახლისა და ლხინის უფალი' (საბა).

საშ. სპარს. bōstān 'ყვავილნარი' = ქართ. ბოსტანი 'ბაღი,
მტილი'.

საშ. სპარს. kūšan 'მემუსიკე' = ქართ. მგოსანი 'მომღერალი'.

საშ. სპარს. gurush 'სიმშილი' = ქართ. გურსნ (შეპგურსნეს)
'სიმშილი'.

საშ. სპარს. dastawar 'მრჩეველი, მინისტრი' = ქართ. დას-
ტური 'მრჩეველი'.

საშ. სპარს. pasanik 'თანამდგომი, კარისკაცი' = ქართ. პასე-
ნაკი 'თანამდგომელი'.

საშ. სპარს. kubast 'სამოსის სახე' = ქართ. კუბასტი 'სა-
მოსის ან თავსაბურის სახე'.

საშ. სპარს. ōstikan 'მეურვე, ინტენდანტი' = ქართ. ოსტი-
განი, საოსტიგნე 'სატრაპეზო'.

საშ. სპარს. passax 'პასუხი' = ქართ. პასუხი.

საშ. სპარს. ruspik 'ფურია, ქაჯი' = ქართ. როსპიკი, როს-
კიპი 'მეძავე'.

საშ. სპარს. pas 'ბოლო, შემდგომი' = ქართ. ფესვი 'ძირი,
ბოლო'.

საშ. სპარს. x^aastak 'ქონება, სიმდიდრე' = ქართ. ხვასტაგი
'ქონება, სიმდიდრე'.

3. საშ. სპარსული s გადმოცემულია ქართულში აბრუპტივით წ
თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. spand, ავ. spanta- 'წმინდა' = ქართ. წმედ-
წმენდ-, წმიდა, შდრ. წიგნი = ლათ. signum, წკალა = ლათ. skala,
წრფ-ელ-ი = სომხ. սուրբ (ნ. მარის მიხედვით), ქორწ-ილი =
სომხ. հարս 'სძალი'. შესაძლებელია აგრეთვე საშ. სპარსული
x^aastan არის ამოსავალი ქართული ზმნისათვის ხვეწნა, ისე
როგორც ქართული ზმნა ხვეჭა მომდინარეობს საშ. სპარსული
სიტყვიდან x^aēš 'თავისი', x^aēš kartan 'მითვისება, მოხვეჭა'. არ
არის სავალდებულო ფორმებიდან წმედ- || წმენდ-, წმიდა || -
წმინდა ამოსავლად მივიჩნიოთ წმედ-, ხოლო ნ განვითარებულად,
შესაძლებელია პირიქითაც იყოს, მიუხედავად იმისა, რომ წერილო-
ბით ძველებში დადასტურებულია წმედ, წმიდა. spand >
*სპენდ > *წპენდ > წმენდ — წმედ. p > მ ნ-ს გავლენით, ხოლო
თვით ნ დაიკარგა სონორთა დისიმილაციის საფუძველზე (შდრ.
განწმი(ნ)დნა > განწმიდნა — განწმენდს > განწმედს და სხვა).

4. საშუალო სპარსული k გადმოცემულია ქართულში შიშინა
შ-თი თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. kamšēr 'ხმალი' = ქართ. შიმშერი 'ხმალი'.

საშ. სპარს. ā-šōft 'მღელვარება, ბორგვა' = ქართ. შფოთი
'მღელვარება, არეულობა, ბრბო'.

საშ. სპარს. šahravand 'ბრწყინვალეობა, მეფური' = ქართ. შა-
რავენდი 'სხივი, გვირგვინი'.

საშ. სპარს. šēn 'საცხოვრებელი' (šay-'ცხოვრება', ავ. šaya-
na-) = ქართ. შენ-ი, შენ-ე ბა 'აგება'.

5. საშ. სპარსული k გადმოცემულია ქართულში შ-თი სიტყვის
შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. niš, nišān 'ნიშანი, სასწაული' = ქართ. ნიში,
ნიშანი 'სასწაული'.

საშ. სპარს. šašmdit 'თვალთ ნახული' = ქართ. ქეშმარი-
ტი 'ნამდვილი, მართალი'.

საშ. სპარს. x^aāhišn 'სურვილი, თხოვნა' = ქართ. ხვაიშან,
ხვაიშნობა 'თხოვნა, შუამდგომლობა'.

საშ. სპარს. javšān 'საჭურველი' = ქართ. ჯავშანი 'საჭურ-
ველი, საფარი'.

საკუთარი სახელები:

Auūšarvān — ანუშარვან.

Aršak—არშაკ.

Ardašir—არდაშირ.

Pesgīn—ბეშქენ.

6. საშ. სპარსული ξ წარმოდგენილია ქართულში სისინა ს-თი:
საშ. სპარს. *vaxš* 'სესხი, პროცენტი'=ქართ. ვასხი 'სესხი'.

7. საშ. სპარს. *z* (ძვ. ირ. *z*) გადმოცემულია ქართულში, როგორც ზ თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. *zōhr* 'მსხვერპლი'=ქართ. ზორვა 'მსხვერპლის შეწირვა კერპთა მიმართ'.

საშ. სპარს. *zahr* 'მაკედინებელი შხამი'=ქართ. ზარი 'შიში'.

საშ. სპარს. *zamistiān* 'ზამთარი'=ქართ. ზამთარი 'ზამთარი'.

საშ. სპარს. *zyān* 'ვნება, ნაკლი'=ქართ. ზიანი 'ვნება'.

საშ. სპარს. *zumuruxt* 'ზურმუხტი'=ქართ. ზურმუხტი.

საკუთარი სახელები:

Zarmīhr—ზარმილ.

Zarrēn---ზარენ და სხვა.

8. საშ. სპარს. *z* (=ძვ. ირ. *z*) გადმოცემულია ქართული ზ-თი სიტყვის შიგნით და ბოლოს:

საშ. სპარს. *marzəpān* 'საზღვრის მცველი'=ქართ. მარზაპანი 'მეთის ნაცვალი, წარმომადგენელი'.

საშ. სპარს. *mizd* 'საზლაური'=ქართ. მიზდი 'საზლაური, გადასახადი'.

საშ. სპარს. *tōzīk* 'პიკნიკის სახე'=ქართ. ტოზიკი 'უსჯულოთ დღესასწაული'.

საშ. სპარს. *āvāzak* 'მტაცებელი, მძარცველი'=ქართ. ავაზაკი 'ყაჩაღი'.

საკუთარი სახელები:

Artavazd—არტავაზ.

Armazd—არმაზი.

Barzabōd—ბარზაბოდ.

Burzōe—ბურზო.

Varāz—ვარაზ და სხვა.

9. საშ. სპარსული *z* გადმოცემულია ქართულში, როგორც ძ, მღერი შიშინა აფრიკატი:

საშ. სპარს. *handarz* 'რჩევა, დარიგება'=ქართ. ანდერძი 'მოკვდავთაგან დარიგება' (საბა).

საშ. სპარს. *frazān(ak)* 'სწავლული, მეცნიერი'=ქართ. ბრძენი 'მეცნიერი, დიდად ჰყვანი'.

საშ. სპარს. barzīn 'შალალი' = ქართ. ბარძიმი 'შალალფე-
ხიანი სასმისი'.

საშ. სპარს. zūr 'სიცრუე' = ქართ. ძვრი. 'ავი, ბოროტი'.

საშ. სპარს. azīr, zīr 'ფსკერი, ქვედა ნაწილი' = ქართ. ძირი
'ფუძე, ფსკერი'.

10. საშუალო სპარსული z გადმოცემულია ქართულში, რო-
გორც ც:

საშ. სპარს. zūr 'ტყუილი, სიცრუე' = ქართ. ცრუ 'მატყუა-
რა' (* <ძრუ < *ძუ-რ-უ).

საშ. სპარს. burz 'შალალი, მალლობი' = ქართ. ბორცვი
'გორაკი'.

ქართ. ც-თია გადმოცემული აგრეთვე საშ. სპარსული z (=ძვ.
ირ. ჳ-ს) სიტყვებში: gūrčik — ქურციკი, patrōčak — პატრუ-
ცაგი და სხვა.

11. საშ. სპარსული ž (< j-საგან გადმოცემულია ქართულში,
როგორც ჟ თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. žam 'დრო, საათი' = ქართ. ჟამი 'დრო, საათი'.

12. საშ. სპარსული ž (< j-საგან) გადმოცემულია ქართულში ჯ-ს
სახით:

საშ. სპარს. nižād 'ზოდგმა, თემი' = ქართ. ნიჯადი „სხვათა
თემში შემწე, მეშველი ლაშქარი“ (საბა).

საშ. სპარს. gužār 'ახსნა, განმარტება' = ქართ. გუჯარი
'საბუთის სახე, დიდი სიგელი'.

IX. საშუალო სპარსული ასპირატი h-ს გადმოცე-
მა ქართულში.

საშუალო სპარსული h ქართულში გადმოცემა ჰ და ხ თან-
ხმონებით, მეტწილ შემთხვევებში კი იკარგვის.

1. საშ. სპარსული h გადმოცემულია ქართულში ჰ-თი თავ-
კიდურში:

საშ. სპარს. hambōn 'კონა' = ქართ. ჰამბორი 'ამბორი'.

საშ. სპარს. hambav 'ყოფა' = ქართ. ჰამბავი, ამბავი
'ყოფა, ამბავი'.

2. h დაკარგულია ქართულში თავკიდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. hēšmak = ქართ. ეშმაკი.

საშ. სპარს. handarz = ქართ. ანდერძი.

საშ. სპარს. hanjaman = ქართ. ანჯამან.

3. საშ. სპარსული h დატულია სიტყვის შიგნით და გადმოცე-
მულია ქართულში ჰ-თი ფაქულტატურად:

Mihr. Mihrakān—მიჰრ, მიჰრაქან || მირ, მირქანი;
საშ. სპარს. darhkan=ქართ. დრაჰქანი 'ფულის ერთეული'.
(ან შეიძლება ქართულში რ განვითარებულია, შდრ. dāhkān—
მეათელი).

4. მეტწილ შემთხვევებში h დაკარგულია სიტყვის შიგნით და
ბოლოს ისე, როგორც სიტყვის თავში:

საშ. სპარს. nihātak 'დადებული, საფუძველი'=ქართ. ნი-
დაგი 'ფუძე, ფსკერი, მიწა', ნიადაგ 'შუღამ, ყოველ-
თვის'.

საშ. სპარს. pērahānak 'პერანგი, ქვედა საცვალი'=ქართ. პე-
რანგი 'კვართი'.

საშ. სპარს. tōhm 'გვარი, მოდგმა'=ქართ. ტომი 'ნათესავი,
მოდგმა'.

საშ. სპარს. patixšāh 'შმართველი'=ქართ. პატიახში, პი-
ტიახში (<პატიხშია).

საშ. სპარს. x'āhišn 'სურვილი, თხოვნა'=ქართ. ხვაიშანი.

საშ. სპარს. spāh 'ჯარი, არმია'=ქართ. სპა 'ლაშქარი, ჯარი'.

საშ. სპარს. spāhsālār 'ჯარის უფროსი'=ქართ. სპასალა-
რი 'მხედართმთავარი'.

5. საშუალო სპარსული h=ქართ. ღ-ს ან ხ-ს p-ს წინ:

საშ. სპარს. spāhpat 'მხედართმთავარი'=ქართ. სპაჰპეტი
და სპასპეტი 'მხედართმთავარი'.

6. h იკარგება hr კომპლექსიდან (ძვ. ირ. ზრ იხ. ზემოთ):

საშ. სპარს. pāhr=ქართ. ფარი.

საშ. სპარს. zōhr=ქართ. ზორვა.

საშ. სპარს. šahrāvand=ქართ. შარავანდი.

საშ. სპარს. vispuhr=ქართ. ვეპური და სხვა.

7. საშ. სპარსული hr(rh)=ქართ. რხ-ს.

საშ. სპარს. pāhr > pārhr=ქართ. მარხვა.

8. საშ. სპარსული x^h ყოველთვის გადმოცემულია ქართულში
როგორც ხუ, ხვ თავიჯდურ პოზიციაში:

საშ. სპარს. x^hat 'თვით'=ქართ. ხვადი 'მამალი, მამრი'.

საშ. სპარს. x^hāhišn 'თხოვნა, სურვილი'=ქართ. ხვაიშანი.

საშ. სპარს. x^hāhišn = ქართ. ხვაშიადი (<x^hāhiš> *ხვა-
იშ-ად-ი> ხვაშიადი).

საშ. სპარს. x^hāstak 'ხვასტაგი, სიმდიდრე'=ქართ. ხვას-
ტაგი, მაგრამ ზოგჯერ x^hā > ხო-ს, x^hāstak = ხოსტაკი.

საშ. სპარს. x^haršak 'მზის მხურვალეობა'=ქართ. ხორშაკი,
ხვასრო = ხოსრო, ალბათ, თვით ქართულ ნიადაგზე.

პართული წარმომავლობის სიტყვები ქართულში

1. აბჯარი—'საქურველი, იარალი'.

„არა დაპყრობად ქუეყანისა მოვიდეს არამედ აბჯრისა და საქურველისა წილ“ (მოქც. ქართ. 712₄).

„ნუ იქმნები შენ მკედარ ჩუკენ, აბჯრის დამაბნეველ, ნუ იქმნები მუშაკ მცონარ და მოწყინე“ (მამ. სწავლ. 13₂₂).

„ოდეს ცნის, ვითარმედ მარცხენით კერძონი იგი საბრჯენი შეუსწავლიან, მოუქდის მარჯუენით კერძოსა მას აბჯარსა მისსა და მსგავსითა იწყის ბრძოლად მისა, რომელი მას არა შეუსწავლიედ“ (ბალაპვარ. 67₂₉).

„...არარაჲ არს უსარგებლესი აბჯარი და უმკუეთელესი მახული მტერთა მიმართ, ვითარცა აღსრულებაჲ დღესასწაულისაჲ“ (ბალაპვარ. 121₂₀).

„ელვა აბჯრისა მათისა—ვითარცა ელვა ცისა...“ (ლ. მრ. 3₃₀).

„ხელთა აიღეთ აბჯარი“ (ვ.ტყ. 91₃).

„ჩაიცივა ტანსა აბჯარი“ (ვ.ტყ. 225₄).

„მათი აბჯარი შუბია“ (ვ.ტყ. 1607₃).

საბას განმარტებით აბჯარი „ზოგადი სახელი არს ყოველთა საცვამთა ჯაჭვთა და მისთანათა“.

საშ. სპარსული *apəčār, apəžār*¹ 'იარალი, ინსტრუმენტი, მოწყობილობა'. ნიბერგის მიხედვით საშ. სპ. *afčār*² მომდინარეობს ძვ. ირ. *apīčara*-დან (ტ.ფალ. *აქčār*), ახ. სპ. *اچار, اچار*, არაბ. *ah-zār*, სომხური ნასესხობანი კი *ančar* და *ančan*³ 'საშუალება, წამალი', მისი აზრით, მომდინარეობს ძვ. ირ. **აქი*. *čārana*-დან, ხოლო *āčar* < *āčārana*-დან.

შენიშვნა: ტელეგდი აღნიშნავს, რომ ძველი სპარსული p-ს ნორმალური ეკვივალენტი ფალაურ დამწერლობაში ხმოვანთა შორის არის *ṭ(ṭ)*, რომელიც ნიბერგის წიგნშივე ტრანსკრიბირებულა p-თი, ხოლო ახალი სპარსულის f შედარებით ახალი მოვლენაა (1000 წ. ქ. შ. შემდეგდროინდელი), რასაც, მისი თქმით, მოწმობს მანიქეველური ძეგლების *afzār* და *al-Muwaffak*-ის ფარმაკოლოგიაში დაცული არაბული ფორმები.

¹ S. Telegdi, Essai sur la phonétique des emprunts iraniens en araméen talmudique, JA, t. CCXXVI, № 2, 1935, გვ. 224.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 3.

³ ჯ. *Աճառյան*, I, გვ. 170.

ქართული აბჯარის-ათვის ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ არშაკ. ფალ. apəčār ან მისი შედარებით გვიანდელი ფორმა *apžār, რომელიც თვით ირანულში არ შემონახულა. გადასვლა ž > ʒ ჩვეულებრივია ქართულში ნასესხებ ირანულ სიტყვებში. ეს სიტყვა, თუმცა პირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და დაახლოებით მის თანამედროვე ძეგლებში გვხვდება, უფრო ადრე უნდა იყოს შემოსული, არშაკიდული ეპოქის ბოლოს.

2. ავაზაკი.

„ესრეთ წერილ არს: — სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდოს. ხოლო თქუნენ ვითარცა ქუაბი ავაზაკთაჲ გიყოფიეს...“ (ე. მცხეთ. 89₂₉).

„შენ ჰემმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე...“ (აბო, 78₂₅).

„...და ავაზაკისა თანა ყოველთა მორწმუნეთა წმიდაჲ ჯუარი, თვის მიანიტა წინამძღურად“ (გრ. ხანძთ., გვ. ოზ₁₁).

„და ავაზაკი შეიყვანა და დაამკვდრა მუნ შინა“ (მამ. სწავლ. 102₁). „არასადა ვინ ვაჭართაგანმან დაუტევის სავაქროჲ თვისი, შე-თუ სადამეემთხვის განსაცდელი ავაზაკთა მიერ, ვინა ზღუასა შინა, და წარწყმიდის სავაქროჲ და მონაგები თვისი...“ (მამ. სწავლ. 107₃₁).

ამოსავალ ფორმად ამ სიტყვისათვის უნდა მივიჩნიოთ, ჩვენი ფიქრით, არშაკიდულ-ფალაური ფორმა ā-vaz-ak, სიტყვის ძირია vaz- ‘წყევანა, წაღება’, შდრ. ავ. vazaitē, სკრ. vahati, ფალ. vazitan, ახ. სპ. vazīdan. ā პრეფერბს წარმოადგენს (მთ-, მი- და სხვ): -ak სუფიქსია ფუძის საწარმოებელი. āvāzak ნიშნავს ‘წყევანი, წამლები, მტაცებელი, ყაჩაღი’. ავესტაში გვხვდება ადიექტივი vaza-, რომელიც ნიშნავს ‘წამლებს, წამყვანს, მტაცებელს, მძარცველს’, vazō.və:θ.wya-¹ ‘ჯოგის ქონების მიმტაცებელი, მძარცველი...’ ანალოგიურად არის ნაწარმოები ფალ. āpār-ak, ახ. სპ. āvārah > āvārak²-იდან ‘ქურდი, ყაჩაღი, მაწანწალა’. შდრ. ავარი, იავარი და პარვა (მპარავი).

სიტყვა ავაზაკი ქართულში სომხურიდან შეთვისებულად ითვლებოდა, ხოლო თვით სომხურში უცნობი წარმოშობის სიტყვად არის მიჩნეული. აქარიანი აღნიშნულ სომხურ სიტყვას აახლოებს ფალაურ bačak, hazag ფორმებთან, რაც ფონეტიკურად

¹ AirWb, გვ. 1386—89.

² P. Horn, GrnpEt, § 216.

არ არის გამართლებული (აუხსნელია თავკიდური ა- და ირ. ხ-დან სომხ. და ქართ. v-ს მიღება თავკიდურში)¹.

3. ავაზანი — „წყლის სადგური“ (საბა).

„მოაბ, ავაზანი სასოებისა ჩემისაჲ; იღუმეად წარვიმართო სლვაჲ ჩემი, და მე უცხო თესლნი დამემოროჩილნეს“ (ფს. 59₁₀).
გარიანტშია სიავი.

„და მიიყვანეს ყრმანი იგი ავაზანად“ (მიმოდასლვ. მოციქულთა, 34₁₁).

„...და.... ედგა თორნესა ავაზანი დიდი; და მას ზედა დაქლიან კაცნი და შთადინ სისხლი იგი მათი მას ავაზანსა და აღმოიღებედ მას სისხლისაგანსა და სუმედ და მიიხუნედ კაცნი იგი მომწყდარნი დასხნეს მას ავაზანსა“ (მიმოდასლვ. მოციქულთა, 33₂₆).

შდრ. სომხური *ալսպան* ‘ტბა, გუბე’, აღნიშნულ სომხურ სიტყვას აპარიანი უკავშირებს ახ. სპარსულ *آب-ان*-ს, არაბ. *ان, ان, ان* და ქართულ აბაზანას. მას ამოსავლად მიაჩნია ფალაური **āpān* (*āp* ‘წყალი’ + *āna* ‘შემცველი’), სპარს. *ان-آ* და სხვა².

ჩვენ ვფიქრობთ, ქართული ავაზანი-ი და სომხ. *avazan*, როგორც ამას გვიჩვენებს ფონეტიკა, მომდინარეობენ არა სასანურ-ახალი სპარსულიდან, არამედ ჩრდილო-ირანული დიალექტური წრიდან (ან სოლდურ-პართულიდან ან სკვითურ-ალანურიდან). ისინი შეიცავენ არა *āp*- (წყალი) ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვას *ābdān*, *ābān*, არამედ ფუძეს *vaz*- მნიშვნელობით ‘დინება’ (შდრ. ძვ. ინდ. *vah*-, ავ. *vaz*-, რუს. *воз*, გერმ. *wagen* და სხვა). შდრ. ძვ. ინდ. *vāhati* ‘დის’, ავ. *vazaiḍyāti* ‘დის’, ოს. *a-vazyn* ‘დაგუბება’, სოლდ. *āwāz āp* ‘გუბის წყალი’, სოლდ. *āwāz* (’w’zh), *āwazī* (’wzy’) ‘ტბა, გუბე’ (Henning, BSOS, II, 471), საშ. ირ. **ā-vāzān* < ძვ. ირ. **ā-vāz-āna* ‘საგუბარი, სადინარი, წყალსაცავი’³.

4. აზნაური—‘კეთილშობილი’, ‘თავისუფალი’.

„მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (მარტ. შუშ. 42₆).

„ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა: და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული“ (გრ. ხანძთ., გვ. იბ₃₇).

¹ ლ. Ա ճ ա յ ա ն, Արմ. բառ., I, გვ. 789.

² იქვე, გვ. 790.

³ В. А Б а о в, Историко-этимологический словарь, I, гв. 85—86.

„აღღა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისა...“ (გრ. ხანძთ., გვ. იგ₃)

„სადა უკუე იყენენ მაშინ მსაჯულნი იგი სიცრუვისანი, რომელნი ბჭობდეს შეპოვნებით და მიიღებდეს ქრთამსა და განამრავლებდეს ცრუთა! სადა იყენენ მონანი გინა აზნაური!“ (მამ. სწავლ. 94₃).

„და პრქუა მათ: კაცი ვინმე აზნაური წარვიდოდა შორსა სოფელსა მოღებად თავისა თვისისა მეუფებისა და მოქცევად“ (ლუკა, 19₁₂).

„ვითარცა ხიტყვს პავლე, ვითარმედ: „არა არს მონება და აზნაურება, რამეთუ ყოველნი... ერთ ხიყვნეთ ქრისტე იესუმს მიერ“ (ხანმეტ. ტექსტ. ძვ. ქართ. ისტ. ქრ. 36₃).

„...რამეთუ ჩუენ შორის არავინ არს უაღრეს მოყუსისა თვისისა პატივითა და სიმდიდრითა და სიაზნაურითა, და არცა ვინ უაღრეს არს ჩუენ შორის მოყუასსა თვისსა სიგლახაკითა და ნაკლულეგანებითა და შეურაცხებითა“ (ბალაჰვარ. 98₈).

„...ნუ განვსცემთ აზნაურებასა ჩუენსა ვნებათა მიმართ, მოვითმინნეთ ტკივილნი წუთიერნი, რამეთუ ჟამი ესე ქირისაა არს, ხოლო საუკუნოა იგი — განსუენებისა“ (ასურ. მოღვაწ. 33₃).

„ხოლო იგი პრომნი ათასნი მგედარნი, რომელნი აზონისაგან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვაჰსენეთ, იგინი განყვნა ჰევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მგნედ იყვნეს. და უწოდა მათ სახელად აზნაური“ (ლ. მრ. 25₂₁).

„და იყო კლარჯეთს ერისთავი არზოკ მეფისა აზნაურეთთაგანი“ (ლ. მრ. 48₄).

„ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულელისა. რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაური და ყოველი ერი ქართლისა“ (ლ. მრ. 135₂₈).

„და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაური“ (მატ. ქართ. 267₄).

„ვითარ წარცდეს ამას შინა ეამნი რაოდენნიმე იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩვეულება ქართლისა აზნაურთა“ (მატ. ქართ. 274₁₄).

„ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაური მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადავე და სოფლებადცა იწყეს შთამოსლვად და დასხდომად“ (დავ. აღმაშ. 324₁₈).

„რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდე-კართასა, სადა — იგი იყვნეს მაშინ აზნაური ბაგრატიისნი...“ (სუმბატ-დავითის-ძე 385₃₁).

ფუძე სიტყვისა აზნაური არის აზნ- (შდრ. უ-აზნ-ო), რომელიც ფონეტიკურად სომხ. *ազն*-ის იდენტურია. სხვა ქართველურ ენებში ამ სიტყვას შესატყვისი არ მოეპოვება. ამოსავალ ფორმად ჩვენ მივიჩნევთ ძვ. ირ. ფუძეს **ā-znā*-ს, სადაც თავკიდური *ā*-პრეფერბს წარმოადგენს, შდრ. სკრ. *ā-jnā*-. ძირი *znā*-, ძვ. ინდ. *jnā*-ს მიხედვით, ჩრდილო-ირანულში უნდა გვექონოდა 'ცოდნის' მნიშვნელობით¹. ძველ სპარსულში *znā*-ს შესატყვისად გვაქვს [x] *šnā* (*šn* < *žn*-საგან და წინ განვითარებულია x)². ეს იგივე ძირია, რაც ბერძნული *γν-γνσθω* (ლათ. [g]noscō, რუსული *знать* და სხვა). შდრ. ფალ. *āznāk* (ძვ. სპ. **ā[x]šnāka*-დან) 'ცნობილი', ახ. სპ. *ცნаш* — *საშ*³ 'ცნობილი, ნაცნობი, მოკეთე'.

**āznā*-ს მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო 'ცნობილი, განთქმული'. აზნაური სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობაც უნდა ყოფილიყო 'ცნობილი, ჩინებული, წარჩინებული', უ-აზნ-ო 'უცნობი, უჩინო'.

შეადარეთ ანალოგიურად ნაწარმოები რუსული *знатный, знать* (ძირი *зна-* საერთოა რუსულსა და ირანულში).

ირანული ფუძე *ā-znā*-, ნასესხები ქართულსა და სომხურში, გაფორმებულია ადგილობრივი ადიექტური სუფიქსებით: ქართ. აზნ-(ა)-ურ, სომხ. *ազն/լ* 'წარჩინებული', 'კეთილშობილი', 'აზნაური'.

ქართული აზნაურის სომხ. *ազն*-თან კავშირზე და მის ირანულ წარმომავლობაზე წინათაც მიუთითებდნენ (მ. ბროსე, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე)⁴.

ამ სიტყვის დღემდე ცნობილ ეტიმოლოგიათა შორის (აზნ- ძირს უკავშირებდნენ ბერძნ. *ἐπιγινωσκω*-ს, ფალ. *azg*-ს, ხეთ. *sin*-ს და სხვა)⁵

¹ როგორც ცნობილია ინდო-ირანული ენების შედარებითი გრამატიკიდან, სან-სკრიტის j, h ბგერებს ავესტური უპასუხებს z-თი, ხოლო ძვ. სპ.—ž-თი (n-ს წინ).

² A. Meillet, Vp, გვ. 69.

³ P. Horn, GrnpEt, გვ 8.

⁴ იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 191.

⁵ ა. შანიძე, რეცენზია აპარიანის საკუთარ სახელთა ლექსიკონზე *Словарь армянских личных имен*, ИАН Арм. ССР, V, 1944.

ყველაზე საგულისხმოა *āznā*-ს დაკავშირება ირანულ სიტყვასთან *zāna* 'გვარი, ტომი, მოდგმა', რასაც ი. ჯავახიშვილიც მიიჩნევდა დასაშვებად, მაგრამ მას სამართლიანად აფიქრებდა თავკიდური *z*-ს საკითხი (*azana*), რომელიც, აღნიშნული ეტიმოლოგიის მიხედვით, აუხსნელი რჩება.

ასეთი დაკავშირებისათვის საფუძველს ქმნიდა, ალბათ, სომხ. *ազն*-ის მნიშვნელობაც—'გვარი, ტომი, მოდგმა'. მაგრამ სიტყვა **āznā*-ს მსგავსი შინაარსი არ არის გამორიცხული ჩვენი ეტიმოლოგიითაც—'ცნობილი', 'ნაცნობი', 'მოკეთე', 'ნათესავი', 'ტომი', 'გვარი', შდრ. სკრ. *ṅnāti* 'ნათესავი', *ṅnā* 'ცოდნა' ძირიდან, აგრეთვე ახ. სპ. *آشنā āšnā* 'მოკეთე, ნათესავი'.

აზნაური თავისუფალის გაგებით მეორეულია ისე, როგორც სპარსული *āzāt* 'კეთილშობილი' შემდეგ ნიშნავს 'თავისუფალს'. ჰ. ბეილი ამ სიტყვას აწარმოებს *zān*:- *zn*- ძირიდან 'გაჩენა', *ā-zn-ya* 'დაბადებული დიდ სახლში', ე. ი. კეთილშობილი, ავ. *āsna*, მასვე მოჰყავს საშ. სპ. *āznāvar* ('*zn*'wl)¹.

5. ჰამბავი, ამბავი — 'ყოფა, მდგომარეობა, ცნობა, ისტორია'.

„და ჰამბავი მოჭდა ვითარმედ ბალდადი აგარეანთა დაიბყრესო“ (მოქც. ქართ. 726₁₆).

„ხოლო ჩუენი ყოფათი წმიდასა ამას აღგილსა საბაწმინდას და ჰამბავი ყოველი მანვე მოსე მოგაქსენოს“ (გრ. ხანძთ., გვ. 4დ₁₇).

„არა უწყია, ვითარ რომელნიმე იქადიედ პირველთა მეფეთა ცხოვრებასა თხრობად, და რომელნიმე ჰამბავთა და ზღაპართა მთავართასა ზედა ზუაობენ და იქადიედ...“ (მამ. სწავლ. 19₆).

„და განჭდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა“ (მათე, 9₁₆).

„და ჰამბავი განჭდა მისთჳს ყოველსა მას გარემო სოფლებსა“ (ლუკა, 4₁₆).

„რომელთა შორის არა იყო შეთქმულებაჲ, რომელნი მე არა მიხილვან და ჰამბავთა გან დაუწყუედელთა და განუქარვებელთა, რომელთა შინა ვერ ეგების შეთქმულებაჲ სიშორისაგან აღგილთაჲსა...“ (ბალაჰვარ. 150₂₈).

„და ვითარ მიეახლნეს ერთისა დღისა სავალსა მივიდა წინა ამბავი, ვითარმედ მეფე ცოცხალი არის...“ (ლ. მრ. 46₂₄).

¹ ძველი ირანული პროტოტიპია **āznābara*- „bearer of nobility“; საშ. სპ. ფორმა დადასტურებულია *Dātastān i dēnik*-ში. იხ. H. Bailey, *Arya II*. BSOAS, vol. XXIII, part I, 1960, გვ. 17; *Trans. of the Phil. Soc.*, 1959, გვ. 95.

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან მაკედონი, ძე ნიქტანებისი, მეგვპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“ (ლ. მრ. 17₃).

„და მისაზე ქუეყანა ქართლისა აღწერეს, და წარიღეს საბერძნეთს და ამბავი მოიწია, ვითარმედ ბაღდადი დაიპყრეს აგარის ნათესავთაო“ (სუმბატ. 376₁).

ამბავი — „ვეფხისტყაოსანში“:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ (2₁).

მბობა (< ამბვობა *ამბავობა):

„მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“ (906₆).

„ნუ ელი მაგა ამბისა მბობასა“ (234₁).

„ვერ იყვნეს ვერას ამბისა მბობელნი“ (642₂).

სიტყვა ამბავის პირვანდელი მნიშვნელობა, როგორც ამას სიტყვის ეტიმოლოგია მოწმობს, უნდა ყოფილიყო 'ყოფა, ყოფილი, მომხდარი'. შდრ. ძვ. ირ. ham. bav-¹ 'გაჩენა, წარმოშობა, მოხდომა', hambava- 'მომხდარი, ყოფილი', სკრ. s̥bhav- 'გაჩენა, წარმოქმნა, ყოფნა', s̥bhava 'მდგომარეობა, ყოფა, ამბავი'. საშ. ირანული ფორმა ამ სიტყვისა უნდა ყოფილიყო *hambav (შდრ. ზმნა hambavihend)², საიდანაც გვაქვს ქართული ამბავი, ჰამბავი და სომხური համբավ³ 'ამბავი', რომელიც უცნობი წარმოშობისად ითვლება. შდრ. ქართ. ამბავი და ყოფა — „რა ამბავში ხარ, რა ყოფაში ხარ“. ham. bava- სიტყვასიტყვით 'თანაყოფილი'⁴.

6. ამბობი — 'კოცნა, მოხვევა'.

„და თაყვანის სცეს და ამბობის უყუეს ფერჯთა მისთა წმიდათა“ (ე. მცხ. 90₃₀).

„და ვითარცა მოვიდა მთავარი ამბობის უყო ხატსა მას ცხოველსა“ (ს. ზ. 164₃₁).

„და მომცა ამბობებთა და საუკუნო და წარვიდა წიალ იორდანესა“ (მოქც. ქართ. 741₇).

¹ AirWb, გვ. 932.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 99.

³ ჯ. Ահառյան, III, გვ. 73.

⁴ ე. ბენვენისტი თავის შენიშვნაში Emprunts iraniens en arménien (Trans. of the Phil. Soc., 1945, გვ. 69–70) ექვს გამოსთქვამს სომხ. hambav-ის შინაარსობლივი კავშირის შესახებ ძვ. ირ. ham.bav-თან, თუმცა ფორმის მიხედვით წმინდა ირანული სიტყვა ჩანსო.

„...და გამოსლვასა ბერთა ჰამბორის-ყოფაჲ მისცა და ეგრეთ წარემართა ხანძთად კერძო“ (გრ. ხანძთ., გვ. ობ₇₈).

„და ვითარცა იხილა იგი მეფემან, აღდგა მსწრაფლ და დავარდა წინაშე მისსა, თაყუანის-სცა და ამბორის-უყოფდა ფერჯთა მისთა“ (ბალაჰვარ. 119₂₅).

„და აღდგეს მშვდობისა დატევებად და მოიკითხეს, და ტირილით ამბორის უყოფდეს ურთიერთას“ (ბალაჰვარ. 89₂₇).

„დაუტევა ამბორის ყოფაჲ საუკუნო და წარვიდა წიალ იორდანეს...“ (ლ. მრ. 47₂₄).

ამბორი ‘კოცნა, მთხვევა’, სომხ. *համբույր*¹ ‘ამბორი, კოცნა’, ირ. *hama. buda-*, ავ. *hamabaōdah* (*ham- + bud-*), სკრ. *sambudh-* ‘შეგრძნობა, შეცნობა, შემჩნევა’, ფალ. *ham.bōd*² (*bōd* ‘სული, გრძნობა, გონი, სუნი’), ავ. *baōdah-*, *baōdi*, ახ. სპ. *ی- bōi*, *būi*, *bū*, სომხ. *Համբույր* < ფალ. არშაკ. *hambōd* = ქართ. ამბორი, შდრ. ახ. სპ. *بوسیدن* ‘კოცნა’ და *انبوان*, აგრეთვე ოს. *ambu-lyu* ‘ყნოსვა, შეგრძნება’.

7. **ამბოხი** — 1. ‘ბრბო, ხალხი’. 2. ‘შფოთი, მღელვარება’.

„და მივიდოდა წმიდისა მისთანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ...“ (მარტ. შუშ. 28₁₈).

„და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჭედრ მიმოდასდევნინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა“ (მარტ. შუშ. 28₁₇).

„ბირებითა ეშმაკისაჲთა იქმნა უწესო ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმა დისიძე თჳსი“ (ს. ზ. 173₂₈).

„მე კაცი ვარ უცხოჲ და ქრისტეს მოსაფი, ხოლო ვიყოფები ქუაბსა ამას შინა მცირესა განშორებული მსოფლიოთა ამბოხთაგან“ (ასურ. მოლვაწ. 99₃₇).

„და გარე მოდგომილნი შფოთებით ამბოხებდეს ჳმათა უშუერთა განმტევებელნი, რათამცა შეაშინეს ბერი და განიოტეს მიერ“ (ასურ. მოლვაწ. 43₁₈).

„...და ნაცვლად საყოფლისა მის მყუდროჲსა და დაწყნარებულისა მიიქეც სამკვდრებელთა მათ ამბოხოანთა...“ (მამ. სწავლ. 120₂₉).

ფალ. *hambōh* ‘სიმრავლე, კრებული, არეულობა’, ახ. სპ. *انبوه* ‘სიმრავლე, კრებული, ხალხი’, სომხ. *ամբուխ*³ ‘ხალხი, ბრბო, გან-

¹ *Հ. Ա ճ = ո յ ա ն*, III, გვ. 73.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 37.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 202.

გაში, არეულობა', თალმუდ. אַמבֹּחֵי 'ამბოხი, არეულობა', ოს. *ambūxyn, ambyxt*¹ 'ყვირილი, ღრიალი, შფოთი'.

✓ 8. ამპარტავანი — 'ამაყი, ქედმაღალი, მედიდური, ზუავი'.

„და ვითარ ეშმაკისა ბირებითა, ცთუნებული იგი ზუავი და ამპარტავანი ენაჲ განუქურნა“ (ს. ზ. 174₁₄).

„ხოლო მან სრულიად საღმრთოჲ შიში განაგდო ამპარტავნებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერის-კაცსა ანჩელსა“ (გრ. ხანძთ., გვ. 23₁₃).

„და აღვიდა იგი საკურთხეველად მძლე ამპარტავნებისა სენთა“ (გრ. ხანძთ., გვ. ნბ₂₁).

„იყო ვინმე მეფე ერთი ქუეყანასა პინდოეთისასა... ლალ, ამპარტავან და შუენიერ ხილვითა...“ (ბალაჰვარ. 3₁₅).

„ნუმცა არს სახე და ხილვაჲ შენი კნინი და შეურაცხი, და ფერი პირისა შენისაჲ ყვთელა და გონებაჲ შენი მზუაობარ და ამპარტავან...“ (მამ. სწავლ. 77₁₅).

„სილაღე ესე ამპარტავნებისაჲ არს საცთური ეშმაკისა“ (ლ. მრ. 34₁₃).

სომხ. *ამპարտավან* 'ამპარტავანი, ამაყი, თავხედი, მედიდური'. აქარიანი ამ სიტყვას უკავშირებს ირანულ *an.bar*-ს 'ავსება', საიდანაც, მისი აზრით, ფალაურში უნდა გვექონოდა **an-bartavān*. შდრ. ახ. სპ. *انبارداه* — *anbārdah* 'სავსე, გაბერილი, ამპარტავანი'².

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვაც არშაკიდული ფალაურიდან უნდა იყოს შემოსული. ამოსავალია *ham.pār- *hampārtāvan*.

9. ანაზღად — 'უცბად, მოულოდნელად'.

„გარნა ფრთხილმან ამან სულმან ყოვლად არა აუწყა, რათა არა განაქრთეს ანაზღადათისა მის საქმისათჳს...“ (ასურ. მოღვაწ. 74₁₇).

„ანაზღად მოყმე გამოჩნდა“ (ვ. ტყ. 204₁).

„მართ ანაზღად გილაღატებს“ (ვ. ტყ. 1081₃).

„ანაზღად გვიცნობს, გაკრთების“ (ვ. ტყ. 1376₃).

„ანაზღად ცხენი გაქუსლეს“ (ვ. ტყ. 1414₁).

„მართალ ხართ, თუმცა რისხვანი ჩემთვის იანაზღდენითა“ (ვ. ტყ. 755₄).

¹ S. Telegdi, გვ. 229.

² В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 140.

³ Անառյախ, Արմ. բառ., I, გვ. 199.

ანაზდ, ვფიქრობთ, მომდინარეობს ფალაური ფორმიდან an-azd 'უცოდინრად, უეცრად, უცბად'. შდრ. ძვ. სპარსული azdā 'ცნობილი' (naiy azdā abava... 'ცნობილი არ იყო მისთვის, არ იცოდა').

an- უარყოფითი ნაწილაკია = ქართ. უ-ს. ქართ. უცები, უეცარი ზუსტი შესატყვისია anazd-ისა. შდრ. სომხ. *անսაղასկ* 'გაუგონარი, შეუსმენელი'¹.

10. არტოშანი — 'ცეცხლი, ცეცხლის ტაძარი, ცეცხლთაყვანისმცემლობა'.

„საწყალობელ იქნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ ყო ჰემ-მარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი“ (მარტ. შუშ. 5₁₆).

შდრ. სომხ. *ատրიუსან* 'ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი' (Feuer-Tempel)². ამ სიტყვის ეტიმოლოგია ზუსტად გარკვეული არ არის.

ჰიუბშმანის აზრით, ātrūšān შედგენილი სიტყვაა. პირველი კომპონენტი დავას არ იწვევს, ეს არის ფალ. ātur 'ცეცხლი', მეორეს შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ფრიდრიხ მიულერი ვარაუდობს, რომ აქ საქმე გვაქვს ირ. āturšāh-თან. ჰიუბშმანი ფალაურისათვის აღადგენს ფორმას āturōšān (ōšān 'ადგილი, სახლი')³.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ამ სიტყვისათვის შემდეგი ეტიმოლოგია: ავესტაში 'ცეცხლისათვის' გვაქვს ფორმა ātarš (Nom-sing)⁴, ფალ. ātaxš, ātaxšan. ātarš, ātaršān (არშაკ. ფალ. ფორმა) შეიძლება გვექონოდა ცეცხლისა და შემდეგ ოვით ცეცხლთაყვანისმცემლობის აღმნიშვნელ ტერმინად („შუშანიკის წამებაში“ ეს სიტყვა ამ უკანასკნელი გაგებით იხმარება). -ān სახელთა საწარმოებელი სუფიქსია, ძვ. ს. -ānჲ. ერთმანეთის გვერდით იხმარება ფალ. ფორმები šab, šabān 'ღამე', niš, nišān, nōš, nōšān, žam, žamān და სხვა. ასევე შეიძლება ყოფილიყო atarš და ataršān, aturšān, რომლისაგანაც წარმოდგა ქართული და სომხური ფორმები.

11. ზაგინი — 'ტაძარი, თაყვანისსაცემელი, სამსხვერპლო', „ბომონი წარმართთა ან ჰურიათა“ (საბა).

„განარისხეს იგი ზაგინებსა მათსა და კერპებითა მათითა აშურებდეს მათ“ (ფს. 77₆₈).

¹ А. Худашов, Армяно-русский словарь, გვ. 45.

² H. Hübschmann, AG. I, გვ. 110.

³ ჯ. Առասոյաս, Ա. ք., I, გვ. 603.

⁴ AirWb, გვ. 312.

„და ჰურიათა თანაცა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსა-
ხურებასა ვხედვედი“ (ე. მცხ. 85₇).

„და დასცეს ხმ იგი კილამოჲ: რომელი დგა კარსა ზედა ბაგინისასა: რომელი განაშუენებდა: ადგილსა მას რამეთუ გარდა-
ერთხნეს რტონი მისნი: ყოველსა მას სტოვასა ბაგინისასა“
(მოქც. ქართ. 786₁₄).

„რომლისათჳსცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა და შევიდა
ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაულისა, და დაყო მუნ თუე
ერთი, და განიციდიდა ძალსა ამის ქუეყანისასა“ (ლ. მრ. 88_კ).

ძვ. ირ. *bagaina*- ნაწარმოებია სიტყვიდან *bagā*- ‘ღმერთი’ (ძვ.
სბ. *bagā*-, ავ. *baγa*-, სკრ. *bxaga*-). ძველ სპარსულში იგი მიდიური-
დან ნასესხებ სიტყვად ითვლება¹. შეადარეთ ფალ. *bag*, მრ. *ba-
gān*², სომხ. *բագին*—*Altar*, *բիմու*³ ‘კერპი’; ნ. მარი და ჰ. აჭარიანი
ქართულ ფორმას სომხურიდან შემოსულად მიიჩნევენ⁴.

12. ბუნაკი (ბუნაგი) — 1. ‘სამყოფელი, სადგომი’. 2. „პირუტყ-
ვის სადგომი“ (საბა).

„ყნ რნ ჭამოს ცომოვანი მოისპოს იგი კაცი ერისა მისგან
ძეთა იშლისათა გარეშე მოსრლთა მათ მწირთა და შიშუშლთა
ბუნაკთა მთ მონათავან...“ (გამოსლვ. 12₁₉).

„და დაიბუნაგეს ავაზაკთა მთასა გარე, და დაემკვდრა მის-
თანა სული უწყალოებისაჲ“ (მამ. სწავლ. 292₁).

ამ სიტყვისათვის ამოსავალია ფალ. *bunak* || *bunag*⁵, ახ. სბ. *ბუნაკ*⁶
‘სამყოფელი, საცხოვრებელი’, ავ. *buna*, სომხ. *բუნակ*⁷ ‘სამყო-
ფელი, სადგომი’, ძვ. ინდ. *budhna*-. *bun* ‘ძირი, ფსკერი’⁸. შდრ.,
ოს. *byn|bun*.

13. ბანაკი — ‘ლაშქრის სადგომი’.

„სადა იგი არს სადგური და საბანაკჳ ძეთა მაგოვისთაჲ, რო-
მელ არიან ხაზარნი...“ (აბო, 64₃₁).

„და იყო, რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემო-

¹ A. Meillet, Vp. გვ. 12.

² H. Nyberg, Hfsb. II. გვ. 29.

³ H. Hübschmann, I. გვ. 114.

⁴ ჯ. *Առաքյալ*, I, გვ. 854.

⁵ C. Salemann, Man. St., გვ. 63.

⁶ Б. Миллер, Перендеко-русский словарь, гв. 73.

⁷ А. Худабашев, Армяно-русский словарь, гв. 214.

⁸ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, гв. 278.

ქსენებულსა, ქმნეს ტალავარი მახლოზელად ბორცუსა მას...“ (ს. ზ. 154₁₇).

„არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა...“ (გრ. ხანძთ. 31₆).

„რამეთუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმრთისა საყდართა საშინელთა“ (გრ. ხანძთ. 31₅).

„სძლო თრდატ და ჯელად შეიპყრა და აოტეს ბანაკი გუთთა“ (ლ. მრ. 43₁₄).

„ბანაკი ანგელოზთა უფლისათა გარემოადგეს მოშიშთა მისთა და იქსნეს იგინი“ (ფს. 37₇).

შდრ. სომხ. *բանակ*, ახ. სპ. და ფალაური *hān* ‘სახლი, სახურავი’ (შდრ. ქართ. ბანი), ქურთული და ბელუჯური ნასესხები *bān*¹, ძვ. სპ. *āvahana* (*vahana* ‘სამყოფელი’)².

14. ბეჭედი — 1. ‘საბეჭდავი ნიშანი’, 2. ‘სათითე’.

„და ჯაჭვი იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა და დაჭბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თუსითა“ (მარტ. შუშ. 29₃₆).

„ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მომიღებებს და ქრისტეს ტოზიქსა ეტოზიკობ, რამეთუ ქრისტეს ბეჭდითა აღბეჭდილ ვარ“ (ე. მცხ. 80₂₃).

„და რაჟამს მიიწია, კადნიერად დასწერა ჯუარი კარსა მას და თვტუა დაიბეჭდა ჯუარი“ (აბო, 73₇).

„ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა სხუადცა მოვივსენოთ და ეგრეთ დავიბეჭდოთ სიტყვაჲ“ (ს. ზ. 180₂₉).

„ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი: არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა“ (გრ. ხანძთ., გვ. ლთ₁₃).

„და მისცა ბეჭედი ჯელისა მისისაგან, რომელსა იყო თუალი ფრიად ნათელი“ (ჯუანშ. 111₂₁).

„წარავლინა ერთი ვინმე შინაურთა მსახურთა მისთაგანი და წარასცა მძივი იგი, რომელი ჰკიდაენ ყელსა მეფისასა, რაჟთა მისცეს მას საფიცი მტკიცე და დაუბეჭდოს მძივითა მით და სახელდებითა ღმრთისაჲთა, რაჟთა უშიშად მოვიდეს მისა“ (მამ. სწავლ. 294₄).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ორივე მნიშვნელობით:

„ფრიდონ ნახნა საჭურტლენი და ბეჭედნი მისნი დაჰსხნა“ (619₁).

¹ P. Horn, *GrupEt*, გვ. 40.

² *AirWb*, გვ. 333.

„ერთი აილო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა:“

„ესე კმა ნიშნად, სავსე ვარ სხვად ხელის შესაბამითა“ (385₃).

„ბეჭედი ჩემი აცვია, მას გვედრებ მოსატანელად“ (1111₄).

„აჰა თითი და ბეჭედი, და დანა მაჭვს სისხლიანი“ (1118₄).

„ბეჭედი თურთ თითი მოჭკვეთა, ქვესკნელთ მიწასა გარია“ (1116₂).

ამ სიტყვის ეტიმოლოგია ქართულ ნიადაგზე არ ხერხდება. თუ სიტყვის მეორე ნაწილს დავეუკავშირებთ ქედ-ვას, რაც სემანტიკურად არც ისე დამაჯერებელია, აუხსნელი რჩება ელემენტი ბეჭედი, რომლისოდეს სიტყვა არც ერთ ქართულ ძეგლში არ გვხვდება. გაუმართლებელია ბეჭედის დაკავშირება მეგრულ-ჭანურ მაწკინდთანაც, რომლის შესატყვისი ძირია წინდ- (დაწინდვა, საწინდარი). მისი პირვანდელი მნიშვნელობა ნიშანი, დანიშვნა უნდა იყოს, ქედვას მასთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს¹. უაღრესად საინტერესოა, რომ ქართულ ბეჭედთან ძალიან ახლოს დგას აკუსტიკურადაც და შინაარსითაც (ემთხვევა თითქმის ყველა ნიშანსით ქართული სიტყვის ძირითად მნიშვნელობას) რუს. печать ‘ბეჭედი’, печатать ‘დაბეჭდვა’, запечатлеть ‘აღბეჭდა, გამობეჭდა’, впечатление ‘შთაბეჭდილება’ და სხვ. ვფიქრობთ, ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის, ორივე ეს ფორმა ქართული და რუსული საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ირანული და კერძოდ ჩრდილო-ირანული (სკვითური) შეიძლება იყოს უპირველესად ყოვლისა. არ არის გამორიცხული, აგრეთვე, რომ იგი ქართულიდან შესულიყო რუსულში.

ეს სიტყვა მოიპოვება გერმანიკულ ენებშიც (შდრ. გერმანული Petschaft, შუა-ზემო გერმ. Petschat, ბოჰემ. pečet, ძვ. სლავური pečati), სადაც იგი სლავურიდან შეთვისებულად ითვლება.

თუ ამოსავალ მნიშვნელობად ქართული ბეჭედისათვის მივიღებთ ბეჭედს — სათითეს, მაშინ შესაძლებელია იგი დაუკავშირდეს სპარსულ სიტყვას *بچيد*-ს ‘გრეხილი, ხეული, რკალი, სამკაული, სამაჯური’ (შდრ. *кольцо, о́пруч*) ზმნიდან *بچيد* ‘ბრუნვა, ტრიალი, ხევა, გრეხა’ და სხვა, როგორც ამას მაქარ ხუბუა ციქრობდა². შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამოსავლად

¹ ა. ჩიქობავა. ჭანურ-ვეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 178. ქ. შმიდტის აზრით, ქართულ-ანერა ფორმა უნდა აღდგეს *სახედ-ის სახით, ხოლო სჯანურა, *masxad* ძველი ნასესხებია ზანურიდან. ია. Rekonstruktion, გვ. 97—98.

² მაქარ ხუბუა, სპარსული ბავისპიერები ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. წიგნბე, IV, № 10; I. Vullors, I, გვ. 390.

მაშინ უნდა მივიჩნიოთ არა ახალი სპარსული ფორმა, არამედ საშუალო სპარსული (რადგან ბექედი ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში გვხვდება), სახელდობრ, pēčitan ზმნის (მნიშვნელობით 'ბრუნვა, ტრიალი') ნამყოს მიმღეობის ფორმა pēčitan ხან pēčitak 'ხეული, რკალი'.

უფრო საფიქრებელია აქ გვეკონდეს საშუალო ან ძველი ჩრდილო-ირანული დიალექტური ფორმა, სადაც ამ სიტყვას საბექდავის მნიშვნელობაც აქონდა.

რკალი > ბექედი > სათითე > საბექდავიანი სათითე > თვით საბექდავი > ბექედი. ასე უნდა წარმოვიდგინოთ ამ სიტყვის სემანტიკური განვითარების ისტორია¹.

15. გუნდი — „ჯარი ექუსი ათასი“ (საბა).

„და სხვანი ყოველნი სწორად განყვნა სამად გუნდად“ (გრ. ხანძთ., გვ. ლ^ზ₄₄)

„რამეთუ სივერაგით ებრძოდეს საუცრად სიმძაფრითა სასტიკითა ხილვითა ვითარცა გუნდი მკედართაჲ“ (გრ. ხანძთ., გვ. მ₅).

„მას: ეამსა აღიძრა მეფეჲ გუნდებითა“ (მოქც. ქართ. 710₂₁).

„რომელი დივანსა მეფისასა არა დაწერილ არნ და რიცხუსა მკედართასა არა შერაცხილ არნ, არავისგან ბრალისა თანა-მღებ იქმნის, გან-თუ-აშორის თავი თუსი გუნდისაგან მკედართაჲსა“ (მამ. სწავლ. 107₂₀).

„ხოლო შენ, შეილო ჩემო, ნეფსით თუსით განუკუთნე თავი შენი მეუფესა მას ზეცისასა და შეერთე მსახურებად მისა გუნდსა ანგელოზთასა...“ (მამ. სწავლ. 120₁₄).

ფალ. gund 'ჯარი, არმია'², ახ. სპ. گند, არაბ. جنج 'ჯარი, რაზმი', სირ. gudda 'ბრბო, გუნდი', მანდ. gunda, სომხ. գուճդ 'გუნდი, რაზმი, ჯარის ნაწილი'.

ლაგარდი ამ სიტყვას უკავშირებს აფ. vq̄v-a-ს⁴ 'ჯოგი', ჰიუბშმანი-სკრ. vrnda-ს 'გუნდი, ჯოგი, ჯარი'⁵.

16. გურიწვა, მ-გურიწ-ავ-ი — 'ტირილი, მოთქმა, მოტირალი'.

„ისმინეთ დედანო, სიტყუა ღუთისა და შეიწყნარენ ყურთა თქუნთა სიტყუანი პირისა მისისანი, და ასწავეთ ასულთა თქუნ-

¹ მაქს ფასმერი რუსულ печатъ-ს აკავშირებს ზმნასთან печь. იხ. M. Vasmer, Russisches Etymologisches Wörterbuch. გვ. 35.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 140.

³ H. Hübschmann, AG, II, გვ. 508.

⁴ ჯ. Ահապախ, II, გვ. 302.

⁵ H. Hübschmann. P. St., გვ. 39E.

თა გურინვა, და დედაკაცმან მოყუასსა თჳსსა გოდება“ (იერემია, 20₉).

„დღეს აღუდგინნის მაქებელნი შესხმით და სხალე აღუდგინნის მ გ უ რ ი ნ ა ვ ნ ი ტყებით“ (ბალაჭვარ. 8₃).

შდრ. ავ. გარ-ქება, სიმღერა, ტირილი, გოდება'. აწმყოს ფუძეა *gar-*, ძვ. ინდური *gar-*, *grati*, ავ. გარ-ქება, ქების სიმღერა' (სახელის ფორმა). გამოთქმა *domanə. garo* 'ქების, ლოცვის სახლი'¹, საშ. სპარსული *gristan, griy, girinītan* 'ტირილი'², ახ. სპარს. *giristan*,³ ბელუჯ. *greag, giräg*, ოს. *qarǰar*⁴; ფუძე *giri-*. *guri-* წარმოდგენილია აგრეთვე ქართულ სიტყვაში გურინი, გვრინი, რომელსაც საბა განმარტავს როგორც „საგლოელი ვმაჲ“. ხევსურულ დიალექტში გვრინი ეწოდება მთიბლურ სიმღერას, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ე. წ. „ხმით ნატირაღს“ — მიცვალებულის სიმღერით დატირების ლექსს⁵. ამავე ფუძის ფონეტიკური ვარიანტია, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სიტყვებში კრინი (კრინტი) 'ხმა', კრინვა — „დიელ წმის ამოდება“ (საბა), და, შესაძლოა, სიტყვა კრიმანქულში: კრინ-მაქული < კრინ-ვაქ-ული < ფალ. **grin-vāč-* 'ტირილის, კენესის ხმა'. შდრ. აგრეთვე კრკინვა და გვრინვა..

17. გუშაგი — „ციხის დარაჯი“ (საბა).

„ვეფხისტყაოსანში“:

„გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან“ (1397₄).

„გუშაგთა ხმა ჯარვით გაადიდიან“ (1391₄).

„გუშაგთა ესმას აბჯრისა ჩხერება“ (1398₁).

ეს სიტყვა ფორმით საშ. სპარსულია, ოღონდ არც ფალაურ და არც ახალ სპარსულ ტექსტებში დამოწმებული არ არის. იგი გვხვდება ეგვიპტის არამეულ პაპირუსში ფორმით — *gōšakꜣni*, სადაც ის ირანულ ნასესხებს წარმოადგენს < ფალ. **gōšak*. ძვ. ირ. *gauršaka-*. შეიძლება იგი ნაწარმოებია ზმნიდან *gōšitan*⁶ 'ყურის გდება'. შდრ. ავესტური *gaoš-*, ოს. *qnsuǰǰosun* 'ყურის გდება,

¹ *AirWh.* გვ. 511—512.

² *H. Nyberg. Hfsb.* II. გვ. 83

³ *P. Horn, GrnplEt.* გვ. 204. 915.

⁴ *B. Aბაოვ, ОИФ.* გვ. 68.

⁵ თ. თარიაური, ხევსურული მთიბლური სიმღერა „გვრინი“, მიმომხილველი, II. 1951. გვ. 24.

⁶ იხ. *Л. Мсерианц, Страсбургский египетский, арамейский папирус и его значение для иракской филологии.*

სმენა', *ჭიასც* 'მსმენელი, ყურისმგდებელი', სკვითური საკუთარი სახელი *Γῠσασვი*¹.

18. დიასპანი — 'მოციქული, ელჩი'.

„და წარმოჰმართა სა დ ი ა ს პ ა ნ ო ჟ თ ა ცხენითა მონაჟ თუსი“ (მარტ. შუშ. 5₂).

„ხოლო ხეალისა დღე მოვიდა რეცა დ ი ა ს პ ა ნ ი და უქადაგა მეფესა, ვითარმედ სპანი ბერძენთანი შემოვიდეს კონსტანტინეპოლედ“ (ჯუანშ. 113₂).

შდრ. ფალ. *dēspān*² — *bagdēspān* 'მეფის მოციქული, შიკრიკი, სწრაფლმსროლი', არაბ. *dūsfān* — *داسفان* „nuntius“, სომხ. *դաս-ჟან*³ 'მოციქული, ელჩი', ძვ. ირ. **dahyu(s)pāna-* (შდრ. მარზპანი და მსგავსად ნაწარმოებნი).

19. დანაკი — „ზომიერი დანა“ (საბა).

„...და მოილო ცეცხლიცა ჯელითა თუსითა და დ ა ნ ა კ ი და წარვიდეს ორნივე ზოგად“ (დაბ. 22₆).

შდრ. სომხ. *դանակ*³ 'დანა, ჯაყვა' < საშ. სპ. **dānak*, ახ. სპ. *dana*.

20. დალიჭი — 'დერეფანი, კარიბჭე'.

„ტახტი, გინა სახლზე წამოსაჯდომელი“ (საბა).

„ხოლო იგინი მივიდეს და სცემდეს მახვლითა ქედსა მისსა წინაშე და ლ ი ჭ ს ა მას და ვერარას ავნებდეს მას“ (მარტ. კონსტ. კახ. 78₂₈).

„და რაჟამს მოიწია ჟამი იგი, გამოვიდა ბრძანებაჟ ჯელმწიფისა მისგან წოდებად ჩინებულთა მათ ტაბლასა მას წამებისასა და წარდგომად და ლ ი ჭ ს ა მას საშინელსა განჩინებასა სიკუდილისასა...“ (მარტ. გობრონ. 83₁₆).

შდრ. სომხ. *դահլիճ*⁴ 'კაბინეტი, განცალკევებული ოთახი, რომელშიც ინახება განძეულობა და იშვიათობანი', ახ. სპ. *داهليز*. — მრ. *داهليز*⁵ 'კორიდორი, ვესტიბიული, შესასვლელი' (გრძელი გასავალი ქიშკრიდან ეზოში), პართ. *dahlīč*, ძვ. სპ. *davaršim*⁶ 'портник', 'კარიბჭე'.

¹ B. A. G a e v, *ОИФ*, გვ. 166.

² H. H ü b s c h m a n n, *AG*, I, გვ. 140: A. Meillet, *Sur les mots iraniens empruntés par l'arménien*, *MSL*, XVII, გვ. 146.

³ A. X y d a n a s h e v, გვ. 302.

⁴ იქვე, გვ. 301.

⁵ S. Haïm, *New Persian-English dictionary*, Tehran, 1934—36, vol 1, გვ. 366.

⁶ A. Meillet. *Sur les mots iraniens empruntés par l'arménien*, *MSL*, XVII, 243w-259 (1—9).

21. დაშნი — 'მართალი, კეთილი, მშვიდი'.

„განკრძალული, გინა მორჩილი, გინა ზავის მყოფელი“ (საბა).

„არავის უფროდს უკმს სიმართლით სლვაჲ, ვითარ მეფესა, და არცა ვინ შემძლებელ არს დაშნი თა სიტყუათა თქუმად ერისა მიმართ, ვითარ მეფე, რომელი სიმართლისა მშჯავრითა ვიდოდის ერსა შორის, ხოლო არავის ეკმარებიან დაშნი სიტყუანი, ვითარ ორთა კაცთა, უკუეთუ ვინმე იყოს ერსა ზედა უწყალო, მოსისხლე, შემკამელ, ესე ვითარსა უკმან დაშნი სიტყუანი, რაჲთა მღვანითა მით ჰფარვიდეს ბოროტსა მას“ (ბალაჰვარ. 136₁₁₋₁₈).

ამ კონტექსტიდან დაშნის მნიშვნელობა არის 'მართალი, კეთილი, მშვიდი'.

„მკნენი დაეცნეს თავვედებითა და ამპარტავნებითა, და დაშნი მძლელ გამოჩნდეს სიმდაბლითა, ვითარცა გოლიად და დავით და მეზუერენი“ (მამ. სწავლ. 73₁₉).

„ხოლო შენ, შვილო ჩემო, ნუ შესცვალე სიყუარულსა ღმრთისასა ცოლისა სიყუარულად, დაღათუ ასული არს აზნაურთაჲ და დაშნი და ნანარი და მოყუარე კეთილისაჲ და ტომთაგან პატიოსანთა გამოსრული“ (მამ. სწავლ. 121₂₃).

„ვისმე არა უყუარდეს მდაბალი და დაშნი, არამედ ამპარტავანსა და ზუაფსა, რამეთუ უცხო არს იგი საქმეთაგან მისთა“ (მამ. სწავლ. 304₁).

ბალავარიანში გვხვდება აგრეთვე უფროობითი ხარისხის ფორმა უდაშნეს.

„პრქუა ბალაჰვარ: ამისთჳს, რამეთუ იცოდეს ადგილი სიტყჳსა მათისაჲ, და ოდესმე დააცადიან მხილებაჲ მათდაცა მიმართ, რომელნი უდაშნეს და უფროდს სამართლის და სიტყჳს შემწყნარებელ იყვიან მამისა შენისასა“ (48₂₅).

შდრ. საშ. სპარს. *dašn*¹ 'მარჯვენა', ავ. *dašina*, სკრ. *dakšina*, ბერძნ. *δεξιός*, ოს. *dæsnj|dæsnj*², რუს. *десница*, ინდ. ევრ. ფუჟე *deks*-იდან. შდრ. აგრეთვე სოლდ. *ბჷny*, ძვ. სლავ. *десн* 'მარჯვენა', ლიტ. *dėszine* 'მარჯვენა ხელი', ლათ. *dexter* 'მარჯვენა'.

ეს სიტყვა სომხურშიც არის ნასესხები და იქ მისი გავრცელების არე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ქართულში. იგი გამოყენებულია მრავალი წარმოებულის ფუძედ, შეადარეთ *რჯან* 1. 'პირობა, შეთანხმება, კონტაქტი' და სხვ. 2. 'სასიამოვნო' (მოსასმენად), *რჯანაჟქრ* 'მომლაპარაკებელი, შემთანხმებელი', *რჯანასილორ* 'სასიამოვნო, თა-

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ 50.

² В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 360.

ნახმა, წმინდა, ნათელი, ტანადი', *ყაჯასკასლირიქსან* 'ჰარმონია, თანხმობა, მრავალი ხმის შეწყობა', *ყაჯასქიე* 'მოკავშირე'¹ და სხვა. ძნელია თქმა, ეს სიტყვა უშუალოდ არის შემოსული ირანულიდან თუ სომხურის მეშვეობით, რადგან ფონეტიკურად სამივე ენაში იდენტურ ფორმაში გვაქვს დაცული. ისმის კითხვა, როგორ განვითარდა მნიშვნელობიდან მარჯვენა, ის მნიშვნელობანი, რომლებიც ამ სიტყვას ქართულში და სომხურში აქვს. საქმე ის არის, რომ ხნდოვერობულ ენებში *daks- ფუძიდან ნაწარმოებ სიტყვებს აქვთ ორი ერთმანეთთან მკიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობა: ერთი მხრივ, მარჯვენა (მარჯვენა ხელი, მარჯვენა მხარე, სამხრეთი) და, მეორე მხრივ, მარჯვე, მოხერხებული, მართალი, კეთილი, სასიამოვნო და სხვა².

ცნობილია, რომ ძველთაგანვე მარჯვენა მხარე დაკავშირებულია ბედნიერებასთან, გამარჯვებასთან, მოხერხებასთან, მარცხენა კი — უბედურებასთან, მარცხთან. შეადარეთ სოლდ. ბ'ჰny 'მარჯვე, მოხერხებული, ხელისშემწყობი', ძვ. ინდ. dakṣina 'მარჯვე, მოხერხებული, ხელისშემწყობი, მარჯვენა მხარე', ავ. dašina- 'მარჯვენა, მარჯვენა მხარე, სამხრეთი, მარჯვე, ხელისშემწყობი, ბედნიერი', ბერძნ. δεξιός 'მარჯვე, მოხერხებული, ჭკვიანი, ბედნიერი', მეგრული 'ხელოვნება', ოს. dæsnī 'მარჯვე ოსტატი, მცოდნე, ჯადოქარი', ლათ. dexter 'მარჯვენა, ბედნიერი, მოხერხებული' და სხვა (იხ. Абаев, *op. cit.*). და შნ - ი ქართულში ქრისტიანობის ეპოქაში ნიშნავს 'ქრისტეს მარჯვნივ მდგომს, მართალს, ნეტარს'.

შენიშვნა: სომხური *ყაჯას*-ის კავშირზე აღნიშნულ საშ. სპარსულ სიტყვასთან მიუთითებდნენ მიულერი, ზალემანი, ჰიუბშმანი, რასაც აჭარიანი აღნიშნავს თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სიტყვა dašn-ის ქვეშ (ტ. IV, გვ. 407).

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, გაუგებრობის, მექანიკური შეცდომის შედეგია, როდესაც ილ. აბულაძე ბალაფარიანის თავისი გამოცემის შესავალში (გვ. 034) აღნიშნავს: „და შნი „მორჩილ-თანახმასა“ და „მშვიდ-მოზავეს“ ნიშნავდა ძველ ქართულში, ამასვე ნიშნავს ის ჩვენ ტექსტშიც. ასეთი მნიშვნელობა კი მოაქვს მას ფალაურიდან: dašn — „Vertrag, Vereinbarung“, და მიუთითებს „Nyberg, Hilfsbuch, II, გვ. 173, ჰრ. აჭარიანის მიხედვით — VII, 1935, 119 -- 120“. მაგრამ აღმოჩნდა, რომ 173-ე გვერდზე

¹ А. Худашев, Армяно-русский словарь, I, გვ. 305.

² შეადარეთ ქართული მარჯვე, რუს. правая рука, правая сторона და правый, правдоный, праведный და სხვა.

ნიბერგის ლექსიკონში ასეთი მნიშვნელობით არის სიტყვა *pañi* და არა *dañi*; აჰარიანის ლექსიკონშიც *dañi* არის IV ტომში, გვ. 407, და არა VII-ში, გვ. 119—120.

22. ღუმაკი — 'კული, ღუმა'.

„კუღური და ღუმაკ-კუეთილი ნუ შეიწირვინ“ (დაბ. 23₁).

ზღრ. ძვ. ირ. **duma-ka-*, ავ. *duma-* 'კული', სომხ. *դմակ*¹, ფალ. *dum*, *dumb*, *dumbak*, *dunb*, *dunbak*, ოს. *dymæg*/*dumaxæg*² 'კული, ღუმა', ქურთ. *duw*, *dunk*, ბელ. *dumınag*, იალნობ. *dum*, სოლდ. **ḍum* (*ḍawm*), **ḍum̄bāk*, საქ. *dumaa-*. გავრცელებულია კავკასიურ ენებშიც.

23. ევადაგი — 'ჩამომავლობა, მოდგმა, გვარი'.

„და შეათოთხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი: სახელით რიფსიმე...“ (მოქც. ქართ. 711₆).

ქელიშურ ვარიანტშია:

„და მე. იე სა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთაგანი ავადაგი რისა სხელი რიფსიმე“ (მოქც. ქართ. 711₁₇).

ამოსავალი ამ სიტყვისათვის უეჭველია საშ. სპარსული ფორმა **apādahak* (უფრო ძველი **apādahak* — ზმნიდან *apa-dātan* 'დატოვება'). მნიშვნელობა *apādahak*-ისა არის 'დანატოვარი, ნაშთი, ნაშეირი, შთამომავალი'. შეადარეთ ახ. სპარსული ზმნა *آداد* 'დატოვება' და აქედან ნაწარმოები *آد* 'ძირი, ფესვი, ჩამომავლობა, წყარო', *آد* 'ძე' (ვაჟი)³.

24. ვანა — 'სამყოფელი, სადგომი, მონასტერი'.

„და ვიჯშენ მისგან და წარვედ სწრაფად ვანად ჩემდა“ (მარტ. შუშ. 32₁₆).

„...და მოვიღეს იგინი ვანად თუსა ქრისტწანობით და სათნოდ“ (ე. მცხ. 83₂₆).

„...შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანე განუზზადეთ“ (აბო, 57₁₆).

„და სავანე ყავ ჩუენ თანა...“ (ს. ზ. 182₁).

„მას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობლად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა“ (გრ. ხანძთ., იგ₁).

¹ H. Hübschmann, AG, I, 144.

² В. Абаев, Историко-этимологический словарь, гл. 381.

³ об. Borhān-e Qāte', IV. 2244, об. შენიშვნა 11.

„უკუეთუ სცე მშიერსა პური შენი და უცხოვ შეიყვანო ვანად შენდა და მოისპო უკეთურებაჲ შენი შენგან, მაშინ შეგიწყნაროს შენ და შეიწიროს ლოცვაჲ შენი“ (მამ. სწავლ. 25₁₀).

შდრ. სომხ. *ქაზ* 'სამყოფელი. სადგომი', თალ. *hān* და *hān*, ახ. სპ. *hān* (შდრ. *ان* 'აივანი', ძვ. ირ. *adhi. hāna*¹).

შეადარეთ აგრეთვე ახ. სპ. *است* 'განდეგილი', სადაც პირველ კომპონენტს ქართული 'საივანეს' მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ხოლო კომპოზიტის მეორე წევრი *است* ნიშნავს 'ოაყვანისმცემელი, პატივისმცემელი, მსახური, მონა' და სხვ.².

აჭარიანის აზრით, სომხ. *ქაზ* ირ. *vahana*-დან ნოდის (ავ. *vah-* ძირიდან) — 'ყოფა, ცხოვრება', სკრ. *vas-*, *vasana-* ისე, როგორც ძვ. სპ. *āvalhana-* უდევს საფუძვლად სომხ. *ააზნ*-ს.

აღნიშნულ სიტყვას *vas-* ძირს უკავშირებენ ლაგარდი, მორდტმანი, მიულერი და სხვები. იგივე ლაგარდი და მიულერი შესაძლებლად თვლიან სომხ. *ქაზ*-ის სკრ. *vana-* სთან დაკავშირებასაც, ტყე, როგორც 'საივანე ადგილი'. ჰიუბშმანი სომხ. *ქაზ*-ს უახლოებს ახ. სპ. *hān*-სა და გერმ. *wohnen*-ს³.

25. ვარდი — 'ყვავილი, ვარდი'.

„და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა“ (მარტ. შუშ. 46₂₀).

„თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფნი. მცენარენი სულნელნი. ვარდნი შუენიერნი. ფინიკნი კეთილნი და ზეთის-ხილნი ნაყოფსავსენი“ (გრ. ხანძთ., გვ. თ.₄)

„...ეგე ეკალი: რომელი შენსა გარემოჲს არს: ყოველივე იქმნეს ვარდ: ბეწამულ სულნელ შენ მიერ“ (მოქც. ქართ. 747₁₁).

„სიონისა ნიაემან ნინო ვითა ვარდი მოჰფინა და მან სურნელყო ქუეყანა იგი ქართლისაი“ (მოქც. ქართ. 780₃₄).

„აწ იხილეთ-ლა, ვითარ-იგი ეკალმან გამოიღის ვარდი, რომელმან მეფენი განაკვრენის ფერისა და სურნელებისა მისისაგან და ბრწყინვალედ შუენიერებისა“ (მამ. სწავლ. 191₁₁).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ჯერ ვარდი არ დაგქნობია“ (38₁).

„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა“ (84₁).

„ია მოზგე, ვარდი ყარე“ (131₂).

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 60.

² GrirPl, II, გვ. 60.

³ *ԱՅՏՈՂԱՆ*, Արմ. բար., VI, გვ. 537.

შდრ. ავ. *varəda*¹ 'მცენარე' ძირიდან *varəb* 'ზრდა' (შდრ. რუს. *растение*), სკრ. *vardh-* 'ზრდა', ძვ. სპ. **varda-*, ფალ. *vard*. შდრ. საკუთარი სახელი *Vardake* და *Varta* სირიულიდან უკან ნასესხები ფალაურში, ახ. სპ. *كرد*² 'ვარდი, ყვავილი', არაბ. *ارو* 'ვარდი', სირ. *ܐܪܘܝܐ* 'ვარდი', თალმულ³. *𐎠𐎢𐎡𐎢* მანდ. *ܐܪܘܝܐ* სომხ. *վարդ*⁴ 'ვარდი'.

26. ვარშამაგი, საბასთან ვარშამაგი — 'თავსახვევი'.

„და დაპბურა მათ ვარშამაგები, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს“ (ლევიტ. 8₁₃).

„და დაპბურა ვარშამაგი თავსა მისსა და დასდვა ვარშამაგსა მას ზედა წინაშე პირისპირ პეპელი იგი ოქროსაჲ განწმენილი იგი წმიდაჲ, ვითარცა უბრძანა ღმერთმან მოსეს“ (ლევიტ. 8₉).

„თავსა თქუენსა არა აღიჯადოთ ვარშამაგი და სამოსელი თქუენი არა დაიპოთ...“ (ლევიტ. 10₆).

შდრ. პართ. *varšamak* > სომხ. *վարժամակ*⁵ 'ხელსახოცი, ცხვირსახოცი, ზეწარი, სახვევი'. ხვარაზმულში დადასტურებულია *w's'myk* 'თავზე მოსახვევი' (*voile de tête*), სოდლ. *w'smy*⁶, სპარს. *مٚسٚس* *bāšām*, *مٚسٚس* *bāšāme* (*vāšāme*) 'რიდე', რომელსაც ქალები თავზე იხვევენ, 'თავშალი'. იგი გვხვდება სპარსულ „ვისრამიანში“ ფორმით *vāšāme*⁷. ქართული სიტყვა ვარშამაგი მნიშვნელობით უფრო უდგება ხვარაზმულსა და სპარსულს, ვიდრე სომხურს და თავისი ფორმით უფრო გვიანდელ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. არ არის სავალდებულო უეჭველად სომხური მეშვეობა დავუშვათ, როგორც ჰიუბშმანი და ბენვენისტი ფიქრობენ.

27. ვაშკარანი — „ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა შთასადებელთა“ (საბა).

¹ H. Reichelt, *AE*, 83. 489.

² P. Horn, *GrnpEt*, 927.

³ S. Telegdi, 83. 444.

⁴ H. Hübschmann, *I*, 83. 244.

⁵ А. Худабашев, *Армяно-русский словарь*, II, 83. 409.

⁶ E. Benveniste, *Mots d'emprunts iraniens en arménien*. BSLP, t. 53, fas. I, 1957—58.

⁷ *Borhāne Qāte'*, I, 221, IV, 224.

„დაპბეჟღე უმჩულოებათა ჩემთა ვაშკარანსა შინა, დაისწავენ იგინი, რომელნი უნებლებით გარდაჯდეს“ (იობ. 14₁₇).

„და პრქუა მათ: ნურაჲ გაქუნ გზასა ზედა, ნუ ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ“ (ლუკა, 9₃).

„პრქუა ძმათა თუსთა: „კუალად მომეცა მე ვეცხლი ჩემი და აჰა იგი ვაშკარანსა ჩემსა არს“ (დაბ. 42₂₃).

„სადა არს, რომელმან-იგი დაპბეჟღა საფასესა თუსსა და შეკრა ვაშკარანი ჯელითა თუსითა“ (მამ. სწავლ. 222₁₃).

ამ სიტყვის ეტიმოლოგია ცნობილი არ არის. შესაძლებელია ეს იყოს ძვ. ირ. maškādāna- ან vaškādāna-, რომელმაც მოგვეცა სომხურში *վաշկարան* ($\bar{v} > r$).

საშ. სპარს. *vaškadān > სომხ. Vaškarān, ახ. სპარსულში არის ფორმა *مشکانه*, რომელიც ნიშნავს საკრავის (ბარბითის) სახეს. ნიზამი განჯევის „ხოსროვ ო შირინში“:

چو بر گشتی نوای مشکانه
ختن گشتی زبوی مشک خانه

maškādāne — აქ ‘გუდა-სტვირს’ უნდა ნიშნავდეს¹, ხოლო ამის მიხედვით საშ. სპარსული maškādān საერთოდ — ‘გუდას, ტომარას’ (ტყავის შთასადებელს).

სუფიქსი *dān*- გადმოსცემს დაახლოებით ქართულ სა- ე-ს სიტყვებში: საშაქრე, სამარილე, საკალმე და სხვა. შდრ. ჩაი-დანი, ყავადანი, კალამდანი. სომხურში საშ. სპარსული *d* ხმოვანთა შორის გადადის *r*-დ, შეადარეთ მატაკარანი, სომხ. *matakarar* < საშ. სპ. *mātakdār*-იდან.

28. ვაშტი — ‘მოლაშქრე’, „მსახურნი გინა ჯარი“ (საბა).

„გან-თუ-ხვიდოდი შენ წყობად მტერთა შენთა და იხილო მუნ ვაშტი და მჭედრები და გუნდები... ნუ გეშინინ მათგან“ (დაბ. 20₁).

შდრ. სომხ. *վաշտ*² < პართ. *vašt*, ავ. *varət-*, ძვ. ინდ. *vartate*, ფალ. *vaštan*, *vartītan*, ახ. სპ. *gardānīdan*, *gašlau*, ახ. სპ. *گشتی* ‘პატრული, დარაჯი’ *گراڭدان* ‘ბატალიონი’³ (*گراڭدان*).

ვაშტი, როგორც ჩანს, არშაკიდული ფალაურიდან არის შემოსული სომხურსა და ქართულში, ქართულში შესაძლოა სომ-

¹ Borhān-e Qāte', IV, გვ. 2014.

² Ա ճ ա ո յ ա ն, Ա. Բ., VI, გვ. 551.

³ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 424.

ხური გზით. ნნიშვნელობის განვითარებისათვის შდრ. ტ რ ი ა ლ ი, ბ რ უ ნ ვ ა, ს ა ბ რ უ ნ ე ბ ე ლ ი — რ გ ო ლ ი > ჯ გ უ ფ ი, გ უ ნ დ ი. შდრ. რუს. прыг; прыжок.

29. ვერაგი — 'ემმაკი, ცბიერი, გაუტანელი'.

„რამეთუ რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა...“ (აბო, 58_გ).

„ეგრეთვე მეუფეო უფალო ღმერთო, განკურნე ყრმაჲცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეშმაკისაჲთა“ (ს. ზ. 171₁₀).

„...რომელსა იტყუით, რამეთუ უწყით სიმრავლე სპარსთა, ბერძენთა და ვერაგობა წყობისა მათისა და სიმარჯჟე ზღვათა შინა ნაგებითა“ (ჯუანშ. 113₃₃).

ფალ. *vēræg, სომხ. վերագ¹ 'მტერი, მეტოქე, მოწინააღმდეგე'.

იგი უცნობი წარმოშობის სიტყვად ითვლება, სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვათა რიგს ეკუთვნის.

აქარიანი მას სთვლის მიღებულად სომხ. վախրագ-იდან 'ველური', ლაგარდი უკავშირებს სკრ. vira-ს, ლათ. vir-ს (სომხ. վիրակ 'კაცი').

მაცთუნებელია ამ ქართული და სომხური სიტყვების დაკავშირება რუს. враг-თან (ძვ. ворог, ворожить 'მაგიური ქმედება').

ამ სიტყვას უკავშირებენ აგრეთვე სკრ. uraga-ს 'გველი', ლათ. pragus 'ჯოჯოხეთის ღმერთი'.

30. ვეშაპი — 'თევზია დიდი ზღვასა შინა უკიანესა, რომელმან იონა შთანთქა' (საბა).

„და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაჲთა შემუსრა“ (აბო, 71₂₁, ფს. 75₁₃).

„კულად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაქსა“ (გრ. ხანძთ., გვ. 49₁₀).

„ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი რომელ არს ზღუასა შინა“ (მოქც. ქართ. 770₁₂).

შდრ. ავ. Višāpa (aži-ს 'გველის' ეპითეტი), შეადარეთ აგრეთვე aži Dahaka და aži Srvara (გველის სახის ურჩხულთა სახელები), ავ. Višāpae (შხამის მფრქვეველისა)²; ფალ. višāp, სომხ. վիշապ³ 'ვეშაპი, ურჩხული, დრაკონი'.

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, Արմ. բառ., VI, გვ. 683.

² GrirPh, I, გვ. 148; AirWb. გვ. 1473.

³ Ա ճ ա ո յ ա ն, Արմ. բառ., VI, გვ. 677.

ავ. *višāpa*-ს სომხური სიტყვა *վիշապ* პირველად ჰიუბშმანმა¹ დაუკავშირა, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად; *aži. višāpa*-ს სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს ქართ. გველ-ვეშაპი (*aži* 'გველ' ნიშნავს).

საინტერესო ფაქტია, რომ სამი ირანული მითოლოგიური ურჩხულის აღმნიშვნელი სახელწოდებიდან (*Aži. višāpa*, *Aži. Dahiāka*, *Aži. Srvara*) ურჩხულის აღმნიშვნელ ზოგად სახელად სპარსულში იქცა *Aži. Dahiāka*, ხოლო ქართულში *Aži. Višāpa*². შდრ. სპარსული *šāp* და *šāp* 'ურჩხული, გველშაპი'. თვით სახელში *višāpa* გამოიყოფა პირველი ნაწილი *viša*, რომელიც შხამს ნიშნავს, ავ. *viša-*, სკრ. *viṣa-*.

მეორე ნაწილს მკვლევართა უმრავლესობა უკავშირებს *āpa*-ს 'წყალი, სითხე', ე. ი. ვიშაპა ნიშნავს 'შხამის მთხვევლს'³. აღნიშნული ეტიმოლოგია ჩვენ ყველაზე მართებულად მიგვაჩნია.

ბართოლომეს აზრით, მეორე ელემენტს წარმოადგენს *sāpa*, *sāp* 'სუნი, გემო' (*višsāpa* > *višāpa*). ნ. მარი სიტყვა ვეშაპს უკავშირებდა სირიულ *yušpā*-ს და ქალღველი ღმერთის *Teišba*⁴ სახელს.

მ. ი. ვიგრი — 'ლეოპარდი, ჯიქი'.

ამ სიტყვის შესახებ საბასთან ვკითხულობთ: „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია: ვახტანგს აქუნდა ფარი ვიგრისაჲ — წმიდა ბასილი სწერს: ლომი, ვიგრი და ვეფხიო. აწ ვიგრის ტყავს ზღვის თევზის (კორკოდის) ტყავს უქმობენ და ვმელთა ცხოელიც არს. მისი ტყავი ვგრევე ძვალთ მოლურსმულია“⁵.

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 148.

² ა. კრისტენსენი თავის ნაშრომში *Essai sur le démonologie iranienne*, 1941, ირ. *višāpa*-ს შესახებ აღნიშნავს: „სიტყვა *Višāpa*, რომელიც აფხაზში მხოლოდ ერთხელ გვხვდება (*Nirangistan*), არის, როგორც ჩანს, საკუთარი სახელი, რომელიც აღნიშნავს რომელიღაც დემონს გველის სახისა. ისე ჩანს, რომ ამ დრაკონს ირანელთა წარმოდგენაში ეჭირა უფრო მნიშვნელოვანი ადგილი, ვიდრე ამას აფხაზური ტრადიცია წარმოგვიდგენს, რადგან სომხურ ფოლკლორში, სადაც ეს სიტყვა ნასესხებია ჩრდილოდასვლურ ირანული დიალექტიდან, *višāp*-ს უჭირავს მთავარი ადგილი ეშაპეულ არსებათა შორის...“ (იხ. აგრეთვე, E. Bonvenciste, *L'origine du višap arménien*, *Revue des études arméniennes*. VII. 1927 გვ. 7—9).

³ GrirPh, I, გვ. 148.

⁴ H. Marr, *Армяно-сирийские словарные заметки*, ЗВО, XIII, გვ. 033, 034; მისივე, *Надпись Руем II*, ЗВО, XXV, გვ. 44—46; მისივე, *Виды и быт населения на Афон*, ЖМНП, გვ. 1—24.

⁵ საბა, სიტყვის კონა, გვ. 204.

„ქართლის ცხოვრებაში“, სახელდობრ ჯუანშერთან, სათანადო ადგილები ასე იკითხება:

„და აღჯდა ტაიქსა შექურვილსა ჯაგშინთა, და აღილო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახვლი...“ (ჯუანშ. 154₁₈).

„და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა, და განავლო ფარსა ვითარ წყრთა ერთი, რამეთუ იყო სიმსხო ლახურისა ვითარ მკლავი კაცისა“ (ჯუანშ. 175₁₄).

საინტერესოა, რომ ხევსურულში ეს სიტყვა დაცულია მიგრის¹ სახით:

„გადმოდის საძელეზედა თავუჩინარი ჯარიო,
ელია წმიდას დაქუჩდა ქუჩუმიანი ფარიო,
დასცნიან გათენებისას ქმოსტსა და როშკას ცანიო,
როშკის-გორელთა ციხეთა ჩაიცვეს მიგრის ტყავიო“².

„ქართლის ცხოვრების“³ ლექსიკონში ვიგრი განმარტებულია როგორც 'ზღვის თევზი', „წმელთა ცხოველიც არს“ (საბა). ჩვენს ფიქრით, ვიგრი პირველ რიგში „წმელთა ცხოველია“ და ყურადღება უნდა გამახვილდეს საბას შენიშვნაზე: „წმიდა ბასილი სწერს: ლომი, ვიგრი და ვეფხიო“.

ვიგრი ფალაურიდან შეთვისებული სიტყვაა, მისი საშ. სპარსული ფორმა იქნება *vagr 'ვეფხვი, ლეოპარდი'. შეადარეთ სომხური վագր⁴ 'ვეფხვი', სკრ. vyaghrā- 'ვეფხვი'. ეს სიტყვა ინდურიდან შესულა ფალაურში, ფალაურიდან სომხურში და ქართულში.

ახალ სპარსულში ეს სიტყვა დადასტურებულია بابر⁵-ის სახით, რომელიც ამოსავლად ფალაურ vagr-ს გულისხმობს :vagr > bagr > bāyr > bābr. პ. ჰორნს ფალაურისათვის დადასტურებული აქვს აგრეთვე მოგვიანო ფორმა bapr⁶.

¹ ვ > მ-სათვის შეადარეთ ქართ. მახრაკი, მარხაკი და ვახრი=ფალ. vāzr-ს.

² ა. შანიძე, ხევსურული პოეზია, I, 1931, გვ. 5. იხ. აგრეთვე სიტყვა მიგრის ეტიმოლოგია ა. შანიძის გამოკვლევაში „სინური ნრავალთავი, 664 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, სინური ნრავალთავი, 1959, გვ. 345.

³ ქართლის ცხოვრება (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ტ. I, 1955 წ., გვ. 439.

⁴ Н. Н. Шихманн. АГ, I, გვ. 242; *Անույան*, VI, გვ. 500.

⁵ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 59.

⁶ Н. Ягелло, Большой персидско-арабско-русский словарь, Ташкент, გვ. 212.

ახ. სპარსულში გვაქვს აგრეთვე გამოთქმა *بیر بیان*¹ 'სამხედრო სამოსელი ლეოპარდის ტყავისა, მეფის საომარი სამოსი'.

ეს სიტყვა დადასტურებულია შანანმეს ქართულ ვერსიებში ბაბრის, ბაბრაბისა და ბაბრაბიანის ფორმით.

1. ბაბრი

„ტუსი წარბშეკვრით იბრძოდა, გულოვანი, ვითა ბაბრი“ (3808₂).

2. ბაბრაბი

„ვისი, ფირან, ომან, ბარამ, ჯაქვ-ბაბრაბი ტანთ ჩაიცვეს“ (922₂).

„სამამ შეჯდა სამანდზედა, ბაბრაბითა შეეკაზმა“ (1052₃).

3. ბაბრაბიანი

„მოისვენა და ჩაიცვა პაპისა ბაბრაბიანი“ (1974₁).

ამ სიტყვათა საესებით სწორი განმარტება მოცემულია იუსტ. აბუ-ლადის მიერ დასახელებულ ლექსიკონებში².

რაც შეეხება ფალაური *vaxr*-ისა და ქართ. ვიგრის ხმოვანთა შესატყვისობას — ფალ. *a >* ქართ. *ი* — ასეთი ზოგი სხვა შემთხვევაც შეინიშნება. შეადარეთ ფალ. *aspauj* = ქართ. მასპინძელი.

შ2. ზეპური — 'კეთილშობილი'.

„მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (მარტ. შუშ. 42₆).

ხაზეპურო — 'ღვთის მიერ ამორჩეული'.

„და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად-წმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა. და ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და რქუა: „ჰ, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათოჯს“ (ლ. მრ. 38₃).

ავ. *visōpuθra*-³ 'გვარის შვილი' (Sohn des Clan), *vis* 'საუფლო სახლი, პალატი (Herrenhaus), სოფელი, თემი' (სკრ. *viš-* 'შხარე, ქვეყანა' ლათ. *vicus*) + *puθra*- 'ძე, წული, ვაჟი'⁴.

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 42.

² შანანმეს ანუ ზეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I და II ტ., ლექსიკონები, I, გვ. 795, II, გვ. 569.

³ Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 1455.

⁴ H. Reichelt, AE, გვ. 491.

საშ. ირანული *vispuhr* 'გვარის შვილი, სახლის შვილი', მანიქ. 𐭠𐭣𐭥𐭩 'ბატონის შვილი, უფლისწული'¹, ფალ *vāspubrak* 'უფლისწული, სამეფო დინასტიის ან წარჩინებული გვარის წარმომადგენელი'.

ნიბერგის² აზრით, ეს უკანასკნელი ფორმა მომდინარეობს **vaispuθraka*-დან (*vās* < *vais*), რომელიც წარმოადგენს **vis. puθra*-ს ე. წ. *vrddh*-ის (მონაცვლეობა *i/ai*). სომხ. *սկսուհ*³ 'დიდებული, წარჩინებული, კეთილშობილი, აზნაური'.

აქარიანი სომხურ ფორმას *սկսուհ*-ს თვლის მიღებულად **visyapuθra*-დან: *վսկսուհր* > *վսկսուհ* > *սկսուհ*.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს არშაკიდული ფალაური სიტყვაა, შემოსული ქართულში სომხური გზით. (*v*)*sepurh*⁴ > ზეპური-ი (შდრ. სალტე > ზალტე და მისტანანი).

ჰპ. ზორცა — 'მსხვერპლის შეწირვა' (უპირატესად წარმართულ ღვთაებათა და კერასთა მიმართ).

„უზორვიდე ს იგინი ეშმაკთა და არა შეწირვიდეს ღმრთისა“ (ფს. 2₁₇).

ვარიანტში: „შესწირვიდე ს ეშმაკთა მიმართ და არა ღმრთისა“.

„რამეთუ ცმელსა ნაზოპრევთა მათთასა შკამდით და ჰსუემდით თქუენ ღვნოსა ნაგებთა მათთასა...“ (გალობა, 2₃₈).

ვარიანტში: „რომელთა-იგი ცმელსა ნაზორევთა მათთასა შკამდით...“

„და დასთხიეს სისხლი უბრალოჲ სისხლი ძეთა და ასულთა მათთაჲ, რომელთა იგი უზორეს კერპსა მას ქანაანისასა“ (ფს. 105₃₈).

¹ C. Salemann, *Man. Stud.*, გვ. 126.

² H. Nyberg, *Hfsb*, II, გვ. 236.

³ *Առաքյալ*, VI, გვ. 186.

⁴ ამ სიტყვის შესახებ A. Meillet შრომაში „*Sur les mots iraniens empruntés par arménien*“ (MSLP. T XVII) ვენიშნეს: „ნ. ზარა სამართლიანად თვლიდა სომხურ *sepurh*-ს „noble“ ირანულ ნასესხებად. დაბოლოება *puhr* ნამდვილად ჩრდ.-დასავლური ფორმაა, ოღონდ პირველი ტერმინი გაზრკვეულია, რადგან შეუძლებელია იქ დავინახოთ *vis* — როგორც ეს უნდა ნ. მ. რს. მისი გარკვევა შეუძლია სხოლოდ ჩრდ.-დას. დიალექტის შემდგომ შესწავლას“. გვ. 243—250. იხ. H. Март, *Этимология двух терминов армянского церковного строя* *սկսուհ*-**sepurh*-ի и *ზոկսարաք*, *ЗБО*, IX, 1899, გვ. 165—170.

ი. ჯავახიშვილის აზრით, ეს ტერმინი ქართულს უშუალოდ სპარსულიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული ისე, როგორც სომხურს. „ქართული სამართლის ისტორია“, III, გვ. 972.

„მაშინ დღესა ერთსა შეიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით წარმავალნი დედაქალაქად სამეფოდ მცხეთად მოვაპრებად საცმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“ (ლ. მრ. 54_გ).

„მიპხედე წმიდათა მათ ღმრთისათა, პავლეს და ბარნაბას, რომელნი არა ხოლო თუ კაცთა დიდებით აღიღნეს, არამედ ღმრთად აღიარნეს იგინი, ნათესავმან უცებთამან, და უნდა ზორვად მათდა მცირედ მეცნიერებითა მათითა“ (მამ. სწავლ. 169_ჟ).

„ბომონი ნუ რაჲ აღდგაა იოვანე? ანუ გუნდრუჟი აკურთხაა? ანუ საკლველ-მე რაჲ და შესაწირავ? ანუ ეგრე ნუ არქუაა... უზორე კერპთა? — არამედ გონიერებითა მის აზნაურებასა ასწავებდა...“ (სინ. მრ. 207_ჟ).

„და იწყო მოყვანებად კერპთმსახურთა პარტივითა დიდითა, და აღიღნა კერპნი მათნი და თაყუანის-სცა წინაშე მათსა; და უზორა და ეზიარებოდა დღესასწაულთა მათთა“ (ბალაძეარ. 4_ჟ).

ქართული სიტყვისათვის ზორ-ვა ამოსავალია საშ. სპარსული *zōhr* 'მსხვერპლი', ფაზ. *zōr* 'წმიდა წყალი' (სანსხვერლო სასმელი), რომელიც თავისთავად მომდინარეობს ავესტური სიტყვიდან *zaōhrā-*¹ 'მსხვერპლი, შესაწირავი, ძღვენი, სანსხვერლო სასმელი, წმინდა წყალი' = სკრ. *hōtra-* 'მსხვერპლი, სანსხვერპლო ძღვენი', *hotar-* 'ქურუმი'², სომხ. *դոհ* (ფალ. კომპლექსი *hr* ქართულში გვაძლევს რ-ს, სომხურში რ-ს), ქართ. ფარი = სომხ. *սար* < ფალ. *parh-* იდან, ზეპური = *ძსպուհ* და სხვა³.

საინტერესოა, რომ ქართულში ნაზორევის გვერდით დაცულია ფორმა ნაზოპრევი, როგორც ეს ზოგიერთ საკუთარ სახელში გვაქვს — მიპრ // მირ, მიპრაკანი // მირკანი და მისთანანი. ცნება მსხვერპლისა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ფუძიდან არის ნაწარმოები და ზოგჯერ ერთი ენის შიგნითაც, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა შესაწირავი, ძღვენი, სანსხვერპლო სასმელი, ნამცხვარი, საქონელი, სიტყვა, მოქმედება და სხვა.

საბას განმარტებით, ზორვა ნიშნავს კერპთა მიმართ შეწირვას. მართლაც, ზემომოყვანილმა კონტექსტებმა დაგვანახვა, რომ საბას დაკვირვება სწორია და ზორვა თითქმის მხოლოდ კერპთა და წარმართულ ღვთაებათა მიმართ მსხვერპლის შეწირვის აღსანი-

¹ H. Hübschmann. AG, I, გვ. 151 § 335.

² O. Bühtling, R. Roth, Sanskrit-Wörterbuch. გვ. 1665.

³ მ. ანდრონიკაშვილი, ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, 11, 1926, გვ. 194.

შნავად იხმარება ძველ ქართულში; მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მდგომარეობა მეორეულია; ძველად ზორვა ზოგადად მსხვერპლის შეწირვას ნიშნავდა და იხმარებოდა ქართული შეწირვის პარალელურად. მისი მნიშვნელობის ერთგვარი დაეწროება გამოიწვია ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ სიტყვა მსხვერპლის შემოსვლამ, და, რაც მთავარია, იმან, რომ ზორვა ირანულიდან მომდინარე სიტყვაა და დაკავშირებული იყო ქრისტიანობამდელ ქართულ რელიგიურ სისტემებთან (ისე როგორც წმინდა, მართალი, ეშმაკი): ზორვასტრიზმი, მითრიაზმი, მანიქველეობა და სხვა. ამიტომ მიიღო მან ზემოაღნიშნული დამამცირებელი ელფერი. სომხურში, მაგალითად, სადაც იგივე სიტყვა გვაქვს *զոր*-ის სახით, მას ზოგადად 'მსხვერპლის' მნიშვნელობა აქვს, როგორც სახელის, ისე ზმნის ფორმასაც. შდრ. *զոր* 'მსხვერპლი, შესაწირავი, ძღვენი', *զորակ* 'მსხვერპლად შეწირვა', *զորասպարძ* 'ქურუმი, მღვდელი, მსხვერპლის შემწირავი', *զորասնոյ* 'საკურთხეველი' და სხვა¹.

პქ. ზუერი — 'ბაჟი, გადასახადი'.

ერთი შეხედვით ზორ- ფუძე მხოლოდ ზმნაში გვაქვს (ზორვა, ნაზმნარი სახელი — ნაზოპრევი), მაშინ როდესაც სომხურში და თვით საშ. სპარსულში ის უპირატესად სახელის ფორმით არის დადასტურებული, ქართულშიც უნდა გვექონოდა ზორ-ი, რომელიც ხმოვანთა მონაცვლეობის საფუძველზე ზუერი-ის სახით არის წარმოდგენილი. ზუერი ნიშნავს 'ხარკი, ბაჟი, გადასახადი, გასაღებელი', რომლის სემანტიკური კავშირი ზორვასთან სავესებით გასაგებია. *ო, უ || უე, უა ძვ.* ქართულისათვის მეტად დამახასიათებელია (შდრ. კურთხ—კურთხი, ყურბ—ყურები, ღუმელი—ღუმელი, გორი—გუარი, ღუწა—ღუაწლი და სხვა). ზუერიდან ნაწარმოებია სა-ზუერი-ე და მე-ზუერი-ე, რომელიც ასე ხშირად გვხვდება ოთხთავში და მასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში; ზუერი 'ხარკი ბაჟი, გადასახადი, გასაღებელი'.

„რამეთუ თქუმულ არს: სახარკოსა ხარკი, საზუერესა ზუერი და მოვალესა ფასი მისი“ (ბალაჰვარ. 163₁₃).

„ამისა შემდგომად გამოვიდა და იხილა მეზუერი, სახელით ლევი, სამჯდომარჲ საზუერესა ზედა, და პრქუა მას“ (ლუკა, 5₂₇).

„და იყო მუნ კრებული დიდი მეზუერეთაჲ და სხუათაჲ რომელთა ინაჲედგა მათ თანა“ (ლუკა, 5₂₉).

¹ А. Худашов, Армяно-русский словарь, гл. 393.

„ღრტკნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რაჲსათჳს მე ზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰშჳამთ და ჰსუამთ?“ (ლუკა, 5₂₀).

„მონანი — მისთჳს, რომელმან ხატი მონისაჲ შეიმოსა, რაჲთა მონებასა ჩუენსა აზნაურებითა პატივ-სცეს; მესათხველენი — მისთჳს, რომელმან მესათხველენი თევზთანი მონადირე კაცთა ყვნა; მე ზუერენი — მისთჳს, რომელმან მე ზუერენი მახარებელად გამოაჩინა“ (სინ. მრ. 32₁₂).

„...შთაჯდის მე ზუერჲ და აღმოჯდის მახარებლად: შთაჯდის მეძაჲ და აღმოჯდის, ნელსაცხებელსა შესწირაჲ“ (სინ. მრ. 78₁₇).

„...დალათუ მე ზუერჲ ხარ, გინათუ ვინმე მეძაჲ ხარ, შეინანე და ესევედ ცხოვრებასა, რამეთუ იტყჳს: მე ზუერენი და მეძაჲ ვინა-გიძლუნ სასუფეველსა ღმრთისასა“ (სინ. მრ. 87₁₂).

„ფარისეველნი დაიშაჯებიან და მე ზუერენი ინატრებიან“ (სინ. მრ. 92₁₈).

ჰჳ. ზუარაკი — იგივე ფუჲე zōhr, zōr- წარმოდგენილია ქართულ 'სიტყვაში ზუარაკი = საშ. სპარსული *zōhrak- 'სამსხვერპლო' (ცხოველი).

საბას ლექსიკონში გვხვდება ზუარაკი და ზუარა (შდრ. ხევსურული ზორა); პირველი საბას განმარტებული აქვს, როგორც ნასუქარი', ხოლო მეორე — 'შეწირული ოთხფეხი', ზროხა სიტყვის ქვეშ კი საბა შემდეგს გვეუბნება:

„ზროხა ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა. ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ჯარი და დედალსა ფური, ხოლო შეილთა მათთა ჯბო, ნასუქარსა ჯბოსა ზუარაკი, რომელ არს ჟოჲორაკი... წელიწადზე მეტსა საქარესა მოზუერი და საფურესა დააკეული... შეწირულსა ზუარა“ (საბა).

აღნიშნულ სტატიაში საბასთან ჩვენ მოცემული გვაქვს 5 სიტყვა, რომელიც ერთსა და იმავე ზორ- ფუჲეს შეიცავს სხვადასხვა ვარიაციებით. ეს სიტყვებია: ზუარ-აკი, ზუარ-ა, მო-ზუერ-ი, ჟო-ჟო-აკ-ი < *ზორ-ზორ-აკიდან და ზროხა, რომელიც შესაძლებელია აგრეთვე განვიხილოთ, როგორც მომდინარე საშ. სპარსული ფორმიდან zōhrīhā. იგივე zōhr + -īhā კრებითობის, კოლექტიურობის მაწარმოებელი სუფიქსი (-īhā, -hā), ე. ი. 'სამსხვერპლო საქონელი'. zōhrīhā > ზროხა სავსებით მოსალოდნელი გადასვლაა, მითუმეტეს, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ქართველურ ნიადაგზე, რამდენადაც ვიცით, არ ხერხდება.

„მოიყვანე აპრონ და ძენი მისნი და სამოსელი მათი და ზეთი იგი ცაებისაჲ და ზუარაკი იგი ცოდვისაჲ და ორნი იგი ვერძნი და ლანკლაჲ იგი უცომოთაჲ“ (ლევიტ. 8₂).

„და მოიბა ზუარაკი იგი, რომელ არს ცოდვისათჳს, და დაასხნეს აპრონ და ძეთა მისთა კელნი თავსა ზედა მის ზუარაკისა ცოდვისასა“ (ლევიტ. 8₁₄).

„ზუარაკი იგი და ტყავი მისი და ყოველი ჯორცი მისი და თუშნიერი მისი დაწუეს ცეცხლითა გარეშე ბანაკსა მას, ვითარცა უბრძანა ღმერთმან მოსეს“ (ლევიტ. 8₁₇).

„და ვითარცა აღესრულნინან დღენი იგი სუმისა მათისანი, მიაგლინის იობ და განწმიდნის იგინი და აღდგის განთიად და შეწირის მათთჳს მსხუერპლი რიცხუსაებრ მათისა და ზუარაკი ერთი ცოდვათათჳს სულთა მათთაჲსა...“ (იობ. 1₆).

„ხოლო მათ ყვეს სიხარული და მხიარულებაჲ, დასწყუედდეს ზუარაკებსა და დაჰკლვიდეს ცხოვარსა. რაჲთა ჰამდენ ჯორცსა და სუმიდენ ღჯნოსა და იტყოდეს... „ზუარაკნი თქუენნი და ზროხანი, რომელნი იქმოდინან ქუეყანასა თქუენსა, ჰამდენ ბზესა აღრეულსა ქრთილსა“ (ესაიასი, 30₂₄).

„გარე-მომადგეს მე ზუარაკებ ჰრავალ და კუროთა (პოხილთა) მომიცვეს მე“ (ფს. 21₁₂).

„არა შევიწირავ მე სახლისა შენისაგან ზუარაკთა, არცა არვისა შენისაგან ვაცთა“ (ფს. 49₉).

„არა ვჰამ მე ჯორცსა ზუარაკთა შენთასა, არცა სისხლსა ვაცთა შენთასა ვსუამ მე“ (ფს. 49₁₃).

„მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესაწირავი და საკუერთხი; მაშინ შეიწირნენ საკუერთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი“ (ფს. 50₂₁).

„საკუერთხი ტუინოანი შეეწირო შენდა ვერაქებითურთ და საკუმეველით, შეეწირო შენდა ზუარაკები და ვაცები“ (ფს. 65₁₆).

„შეპრისხენ შენ მგეცთა ლერწმისათა; კრებული ზუარაკთა და დიაკეულთაჲ შორის ერისათა, რაჲთა მოდრკენ იგინი, რომელნი გამოცდილ არიან ვეცხლითა“ (ფს. 67₃₁).

„არამედ თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლახაკებისაჲთა შე-მცა-წირულ ვართ ჩუენ ვითარცა საკუერთხნი ვერძთანი, ზუარაკთანი და ვითარცა ბევრეულნი კრავთა მართებულთანი“ (გალობა, 7₁₄).

„არა ჰნებაეს მას მრავალი [სა]ნოაგე... არა ითხოვს შენგან ჯბოსა ზუარაკად, ვითარცა-იგი აბრაჰამ მდიდარმან წინა-უყო“ (მაშ. სწაელ. 173₃₇).

სიტყვა ზ ვ ა რ ა კ ი *ჟილარაქ*-ის ფორმით სომხურშიაც არის წარმოდგენილი მნიშვნელობით 'junger Stier, ნაყოფ', ძველი ალექსანდრიის წიგნებში იგი შეესატყვისება ბერძნულ *Μοσχάρων, Μοσχός*, სირიულ *ezwarxā*-ს 'taurus naagnus'¹. სომხურშიც და სირიულშიც ეს სიტყვა უცნობი წარმოშობისად ითვლება. ჰიუბშმანი ფიქრობდა, რომ სირიულში შესაძლებელია იგი სომხურიდან იყოს ნასესხები ან ორივეში სპარსულიდან, რაც, რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია და მოსალოდნელი. ოღონდ საშ. სპარსულისათვის, სადაც ის ამ ფორმით დადასტურებული არ არის, უნდა აღდგეს ფორმა *zōhrak, რომელმაც ქართულში კანონზომიერად მოგვცა ზ ვ ა რ ა კ ი, რომელსაც ენაცვლება ზ უ ა რ ა კ ფორმა, და, რადგან მონაცვლეობა ზ ო რ - | ზ უ ა რ - ქართულისათვის არის დამახასიათებელი, შესაძლებელია სომხურში სწორედ ქართულიდან არის შესული, ხოლო სომხურიდან, თავის მხრივ, როგორც ჰიუბშმანი ფიქრობს, სირიულმა შეითვისა, მითუმეტეს, რომ სომხურში ეს სიტყვა იშვიათად და უფრო კონკრეტული მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე ქართულში, არა გვაქვს მისგან აგრეთვე წარმოებულები. თვით ძირი ამ სიტყვისა zōhr სომხურში zoh-ის სახით არის დაცული.

მ6. კისაკი — 'ქისა, პარკი, საფულე'.

„და უკუეთუ კისაკი ოქროსაჲ უც, შიშუელ არს სასოებისაგან და მინდობისა ღმრთისა“ (მამ. სწავლ. 192₂).

სომხ. *քսակ*² k'sak 'ქისა, ჯიბე', ახ. სპარსული *کيس* 'ქისა, პარკი, საფულე', ახ. ქართ. 'ქისა'.

სიტყვა წარმოშობით არაბულად ითვლება და ძალიან გავრცელებულია წინა აზიისა და კავკასიის ენებში. შდრ. არაბ. *kis*, საარს. *kisā*, თურქ. *kise, kese* 'ტომარა, პარკი, ჩანთა', ავარ. *kese* 'ქისა, ჯიბე', დარგ. *kisa*, ჩაჩნ. *kisa*, კაბ. *kisā* 'ჯიბე', რუს. (დიალექტ.) *киса* 'вопель, мошна', აქვე *кисет*, პოლ. *kisa*, ოსური *kysæ, kyssæ|kisæ*.

ჩვენ ვფიქრობთ, ქართულში და სომხურში ფალაური ფორმაა დაცული, რომელიც თავისთავად არამეულიდან მოდის.

მ7. კუართი — 'ჯუბა, გინა პერანგი' (საბა).

„განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფს. 21₁₉ ა).

„დიდითა ძალითა შებმა-უყო სამოსელსა ჩემსა; ვითარცა საყელს კუართისა ჩემისაჲ გარე-მომადგეს მე“ (იობ. 30₁₈).

¹ იხ. H. Hübschmann, AG, I, გვ. 303.

² А. Худобашев, Армяно-русский словарь, II, 497.

„რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთიცა; და რომელი მოგიღებდეს სამოსელსა შენსა, კ უ ა რ თ ს ა ც ა შენსა ნუ აყენებ“ (ლუკა, 6, 28).

ეს სიტყვა გავრცელებულია მრავალ ენაში, მათ შორის შუა აზიისა და კავკასიის ენებში. ირანული ენებიდან: სოლდურში — *kwrō'k*, *qwrty* 'პერანგი', ძალნ. *kūrta*, სპარსული *kurta* 'tunika interula', *kūrdī*, *kūrdīn* 'შალის სამოსელის სახე', ქურთული *kurtek* 'კაბა', ტაჯიკ. *kurta*, პამირ. შულნ. *kurt*, *kurči*, პამ. ვახ. *kurti* 'პერანგი', ოსური *kyræt*, *kuræt* 'ბეშმე'; თურქულ ენებში: *körtö* 'დალიანდაგებული ხალათი ქალისა', *kürtü* 'მოკლე კაბა'; კავკასიურში: ლეზგ. *kurt* 'მოკლე ქურქი', ლაკური *khurtu* 'ბეშმე', მეგრ. *k'urta* 'ნიფხავი'. ირანულის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჰესიოხეს გლოსა *χόρτυ* 'პართული სამოსელი'¹.

შლრ. ავ. *karati-*, ძვ. ინდ. *kuratu-* 'პერანგი', ძვ. სპ. **krtta-* 'გამოკრილი'.

38. მარ-, ამარი — „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება მნიშვნელობით — 'რიცხვი, რაოდენობა, სათვალავი'.

„მუნ დებულთა საქურქლეთა ამარიმცა ვით დათვალეს“ (ვ. ტყ. 1053).

უარყოფითი ფორმით უამარი:

„ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია“ (ვ. ტყ. 1320).

ძველ ქართულში ამარის გვერდით არსებობდა ჰამარიც, როგორც ამას მოწმობს საბას ლექსიკონში დატყული ჰამარ-ობა 'აღრიცხვა' და მე-ჰამარ-ე-ობა, დადასტურებული „იოვანე დამასკელის ცხოვრებაში“, სადაც ვკითხულობთ: „და ყოველივე, რომელი სხუათათჳს უღონო და ძნიად სათარგმანებელ არნ აღუყსნინ და განცხადებულად წარმოუდგინებნ მათ: ვიდრემდის ღრმატიკოსობაჲ და რიტორობაჲ, ქუეყნის მზომელობაჲ და მეჰამარეობაჲ, ვარსკულავთმრიცხველობაჲ და ფილოსოფოსობაჲ“ (იოვან. დამასკ. 148₁₆). ნაკვლევი ლექსიკის შესახებ ძეგლის გამომცემელი კ. კეკელიძე² მე-ჰამარე-ობას განმარტავს, როგორც 'აღრიცხვა', 'არითმეტიკა'. ფორმა ჰამარი, რომელიც გამოყენებულია ფუძელ ნაწარმოები ფორმებისათვის ჰამარ-ობა და მე-ჰამარ-ე-ობა, უეჭველია მომდინარეობს საშ. სპარსული სიტყვიდან *hamār* 'რიცხვი,

¹ В. А Басев, Историко-этимологический словарь, გვ. 613.

² Грузинская версия арабского жития св. Иоанна Дамаскина, издам и снабдил исследователем К. Кекелидзе, ХВ, III, вып. II, СПб., 1915.

რაოდენობა' (ძვ. ირ. *ham. māra-); შესაძლოა, შეთვისებულია სომხურის მეშვეობითაც, სადაც აგრეთვე hamar გვაქვს. რაც შეეხება ამარ-ს, ძნელია გადაწყვეტით ითქვას, რომელი ირანული ფორმა უნდა ვიგულისხმობთ მისთვის ამოსავლად, საშ. და ახალი სპარსული amār (ძვ. ირ. ā. māra-¹) თუ იგივე hamār, რამდენადაც თავკიდური ჰაე ს დაკარგვა ირანულიდან მომდინარე სიტყვებში ქართულისათვის დამახასიათებელია. შეადარეთ სიტყვები: მარაგო, მარადღე, მრავალი.

საინტერესო ფორმასთან გვაქვს საქმე უ-მარა-ს შემთხვევაში, რომელიც საბას ლექსიკონშია დაცული მნიშვნელობით 'ურიცხვი'. იგი წარმოადგენს უარყოფით ფორმას სიტყვიდან მარა, რომელიც მარადღეში გვაქვს და ძველი ირანული ფორმაა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სიტყვა უძველეს ქართულ ძეგლებში დადასტურდა, რადგან, თუ იგი მოგვიანო ძეგლების კუთვნილებაა მხოლოდ, იგი შეიძლება შეთვისებული იყოს ახალი სპარსულიდან და მისთვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ. ახ. სპარსული ას-ამავე კონტექსტში საინტერესოა აგრეთვე გამოთქმა ცისმარედღე.

შეადარეთ აგრეთვე საშ. სპ. amār 'ურიცხვი, (a-mārā-დან), სადაც a- უარყოფითი ნაწილაკია², ახ. სპ. اس آ 'აღრიცხვა, აღრა-ცხვა, подсчет'.

მე. მარაგი — 'რიცხვი, რაოდენობა'. შდრ. ახ. ქართული 'მარაგი'.

„და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათსსა წილი ზის რომელ ასო არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა“ (სინ. მრ. 238₁₁).

ამოსავალია საშ. ირ. marag, marak 'რიცხვი'; დაბოლოება -ag (-ak-იდან) საშ. ირანულის მოგვიანო ხანაზე მიუთითებს. ეს სიტყვა საშ. სპარსულში გვქონდა amār hamār ფორმების პარალელურად მსგავსი მნიშვნელობით (სახელური წარმოება -ak- სუფიქსით).

მარაგი — გამოთქმებში ზრახვაჲ მარაგითა, მე-მარაგე, მარაგება 'სათვალავი, ასტროლოგიური ცხრილი, ჰოროსკოპი'.

„დავისწავენ მუნ... ზრახვაჲ მარაგითა და მარაგი ზრახვითა“ (კვპრიანეს ცხოვრ. A 95, 758 a)³.

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 3; Б. Михлер, გვ. 38.

² იქვე, გვ. 44.

³ მოგვყავს ილია აბულაძის მიხედვით, იხ. ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, შესავალი, გვ. 035.

მარაგება — 'აღრიცხვა, გამოთვლა (ვარსკვლავებისა ზრახვით), ვარსკვლავთმრიცხველობა, ასტროლოგია'.

„მაშინ იწყო რაქის მარაგებად წინასწარ ცნობისათჳს, თუ განემარჯუებისა, რასა-იგი ეძიებენ, და ჰრქუა მეფესა: აჰა ესერა სათუალავი გუაუწყებს, ვითარმედ არა ვიქცეთ თჳნიერ განმარჯუებისა, და ჰყოლილთაჲცა ვჰხედავ, რომელნი მოიწვევიან ჩუენდა, და ახლოს არს ესე“ (ბალაჰვარ. 94₁₅).

40. მემარაგე — 'ვარსკვლავთ მრიცხველი, ასტროლოგი'.

„და შეკრიბა სიმრავლე ვარსკულავთმრიცხველთა და ფილოსოფოსთაჲ და მემარაგეთაჲ, რაჲთა აუწყონ, თუ რაჲ წინა-უც ძესა მისსა“ (ბალაჰვარ. 9₃₄ (ბ)).

(ა) რედაქციაში გვაქვს: „...და შეკრიბა სიმრავლე ვარსკულავთ მრიცხველთაჲ, რაჲთა იხილოს საქმე ყრმისაჲ მის“ (ბალაჰვარ. 9₃₄).

როგორც ზემოთ მოყვანილი კონტექსტებიდან დავინახეთ, მარაგ-ის სპეციალური ასტროლოგიური მნიშვნელობითაც იხმარება ძველ ქართულში. შეადარეთ ქართ. „ვარსკვლავთმრიცხველი“ და საშ. სპარსული *axtarmār* ასტროლოგი, ახ. სპ. اخترشمار — *ax-taršumār*.

აღნიშნულ საშ. სპარსულ სიტყვაში კომპოზიტის მეორე წევრი წარმოადგენს აწმყოს ფუძეს და შეესატყვისება ქართ. 'მრიცხველს', ხოლო სახელური წარმოება *marag*, როგორც ამას ქართული მარაგ-ი გვიჩვენებს, ნიშნავდა 'სათვალავს', 'ასტროლოგიურ ცხრილს', 'ჰოროსკოპს'.

ილია აბულაძე „ბალაჰვარიანის ქართული რედაქციების“ თავისი გამოცემის შესავალში ამ სიტყვის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „სომხურიდან შემოსულად იყო მიჩნეული ნ. მარის მიერ მოკლე ბალავარიანის მემარაგე, რომლის სომხური შესატყვისი *marqarē* სოგდურიდან სესხებულად მიუჩნევია კ. ზალემანს (*ИАН*, 1913, 1119—30), მაგრამ ფალაურის შუამავლობითო, ა. მეფესა და რ. გოთიოს დაკვირვებით. ამ ფორმით ეს სიტყვა არ იპოვება ვრცელში. იგი აქ ზმნის სახით გვხვდება: მარაგება, ისიც მისი სრული მნიშვნელობით: „მაშინ იწყო რაქის მარაგებად წინასწარ ცნობისათჳს...“ როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, მარაგება ხდება იმ მიზნით, რომ წინასწარ შეიტყონ, რა შედეგი ექნება გადადგმულ ნაბიჯს, გაუმარჯვდება, ე. ი. წარმატება ექნება, თუ არა. ამ წინასწარ ცნობას კი ადამიანი თურმე სათვალავის მეოხებით აღწევს. მაშასადამე, მოსაგლის შესატყობად რაღაცის გათუალვა, ანუ დანახვა-გამოთვლა წარ-

მოებს. მარაგება ძირად მარაგს გამოჰყოფს, რაც შეუკუმშველადაცა და შეკუმშულადაც არის წარმოდგენილი წარმოქმნილს მე-მარ(ა)გ-ე-ში, რომელსაც მოკლე ბალავარიანის ნუსებში ვხვდებით. მარაგ სხვაგანაც იხმარება. „კჷრნიანეს ცხოვრების“ წიგნის ერთ ადგილას (A 95,578a) ვკითხულობთ: „დავისწავენ მუნ...ზრახეაჲ მარაგითა და მარაგო ზრახვითა“¹.

პროფ. ილია აბულაძის შენიშვნები სავსებით სანართლიანია, როგორც ფუძის გამოყოფის თვალსაზრისით, ისე მნიშვნელობის დადგენის მხრივაც. ოღონდ ჩვენ გვინდა დავუმატოთ შემდეგი: „რალაცის გათუალვა, ანუ დანახვა-გამოთვლა“, რომელზედაც ილია აბულაძე მიუთითებს, არის ვარსკვლავებზე დაკვირვება, ვარსკვლავთმრიცხველობა, ასტროლოგია. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ არედაქციის „ვარსკვლავთმრიცხველს“ ბრედაქციაში შეესატყვივება სინონიმური წყვილი „მემარაგე და ვარსკვლავთმრიცხველი“.

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ შედარება „ბალავარიანის“ ქართული რედაქციების ტექსტისა არაბული ვერსიების რიზენისეული თარგმანის ტექსტის სათანადო ადგილებთან სავსებით ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მარაგო ნიშნავს 'სათვალავს', ასტროლოგიური გაგებით 'ჰოროსკოპს': ქართული ტექსტის მე-მარაგ-ის შესატყვისად იქ გვაქვს 'звездочет', ხოლო გამოთქმა „установить гороскоп“ შეესაბამება, როგორც ჩანს, ქართულ მარაგებას. შეადარეთ:

„და შეკრიბა სიმრავლე ვარსკულავთ მრიცხუველთა და ფილოსოფოსთაჲ და მემარაგეთაჲ, რაჲთა აუწყონ, თუ რაჲ წინა-უცქესა მისსა“ (ბალაჰვარ. ბ, 9_ა).

„Потом царь собрал мудрецов и звездочетов, чтобы установить гороскоп мальчику“.

სამწუხაროდ, არაბულ ვერსიაში არ არის დასაწყისი ფრაზისა, რომელიც შეესაბამება ქართულ კონტექსტს, სადაც გვხვდება სიტყვა მარაგება: „მაშინ იწყო რაქის მარაგებად...“ და სხვა. რაც შეეხება ფრაზის დასასრულს „...და ჰრქუა მეფესა: აჰა ესერა სათუალავი გვაუწყებს...“ და სხვა, — იგი ქართულის ზუსტი შესატყვისია:

„И сказал ему Ракис: В числене указывает, что мы не вернемся с этого пути не достигнув. И я вижу успех, и вижу я пленных и вижу их недалеко отсюда“².

¹ ი. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 0.35.

² Повесть о Варлааме и Иодсафе, перевод В. Р. Розена, М.- Л., 1947, გვ. 102₁₉.

არაბულ ვერსიაში რომ გვექონოდა აღნიშნული დასაწყისი ფრაზისა, იქ უეჭველად გვექნებოდა მარაგების შესატყვისად *числеть*.

რაც შეეხება ქართული მე-მარ/ა/გ-ე-ს სომხურ *մարգարէ*-სთან კავშირს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფორმა სომხურიდან შემოსულად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, მიუხედავად შინაარსობლივი მსგავსებისა, რადგან აღნიშნული ქართული და სომხური სიტყვები ამოსავლად სხვადასხვა ირანულ ფორმებს გულისხმობენ: ქართული სიტყვის ფუძეა მარაგ-, რომელიც საშ. სპარსული *marag*-იდან მომდინარეობს, ხოლო სომხურისათვის აქარიანს სავსებით სამართლიანად მიაჩნია ამოსავლად ფალ. **margar*, აღდგენილი სოლდური სიტყვების *markrāy*, *mārkārāk*-ის მიხედვით¹.

სომხურისათვის ამოსავალი საშ. სპარსული *margar* (რომელიც, ანტ. მეფეს მიხედვით, მომდინარეობს ძვ. ირანული *maqra. kara*-დან 'სიტყვის მოქმელი, წინასწარმეტყველი') და საშ. სპარსულივე **mar-ag*, რომელსაც ქართული ეყრდნობა, განსხვავებული არიან ფუძის მაწარმოებელი სუფიქსებით -*gar* (-*kar*) და -*ag* (-*ak*). ქართულმა საშ. სპარსულიდან შეითვისა 'სათვალავის, ასტროლოგიური ცხრილის' აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო 'ასტროლოგი, მრიცხველი' აწარმოა საკუთარი საწარმოებელი აფიქსებით მე-ე, როგორც ეს ირანულიდან ნასესხებ სიტყვათა მრავალ შემთხვევაში გვაქვს დადასტურებული (შეადარეთ მ-ასპინძ-ელი, მ-ართ-ალი, სანოვაგ-ე და სხვა). სომხურში კი შემონახულია, ჩვენი ფიქრით, იმავე ძირიდან ნაწარმოები საშ. სპარსული **margar*, რომლისათვისაც ამოსავალ ძველ ირანულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ძვ. ირ. **mā-rakara*- 'მთვლელი, აღრიცხვის მოქმედი, ასტროლოგი', რომელიც საფუძვლად უდევს აგრეთვე ზემოთ აღნიშნულ სოლდურ ფორმებსაც. ასეთი დაშვება, ჩვენი ფიქრით, არა ნაკლებ შესაძლებელია სემანტიკური თვალსაზრისით, ხოლო ფონეტიკურად უფრო გამართლებული, ვიდრე მეფეს მიერ ამოსავლად მიჩნეული *maqra. kara*-². ამრიგად, ქართულში დადასტურებული სიტყვების მარაგი, მე-მარაგ-ე, მარაგ-ება-ს მეშვეობით შუქი ეფინება თვით ამოსავალ საშ. ირანული სიტყვების ეტიმოლოგიასაც და სომხურში იქიდან ნასესხებ სიტყვას *մարգարէ*-საც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ქართულ ენასაც აქვს საშ. ირანული ლექსიკის შესასწავლად სომხურის გვერდით.

¹ *Աճ ու յան*, Ա. Բ., IV, 893—896.

² A. Meillet, BSLP, t. 19, p. 65.

41. მარადღე (მარადღ, მარად, მარადის) — 'ყოველთვის, ზუღამ, მარადღამს'.

„...რამეთუ მარტულნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტესისა, ვითარცა დავით იტყჳს: მარადღე ქრისტესსთჳს მოგვკუდები“ (გრ. ხანძთ. 246₃₀).

„...რამეთუ ყოველი ესე ხილული აჩრდილ და წარმავალ არს, ხოლო 'შენ მარადღე ეძიებდ უხილავსა მას“ (ბალაჰვარ. 154₂₁).

„...რამეთუ ვერ დაუთმობდი ხილვად ჭირთა და განსაცდელთა, რომელნი შეემთხუეოდეს მარადღ ძმათა ჩემთა ქრისტიანეთა...“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 205₂).

„ხოლო მან ჰრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ყოველი ჩემი შენი არს“ (ლუკა, 15₂₁).

„გიხაროდენ, მარიამ მიმადღებულო, ვენაჟო მარადის შუენიერო“ (სინ. მრ. 6₁₀).

„იყავენ მარადის შიში ღმრთისა გონებასა შენსა“ (მათ. სწავლ. 13₂₂).

ამ სიტყვაში მარადღე პირველ ელემენტად გვაქვს მარა-, რომელიც ყველაზე ახლო ძველ ირანულ *mār*-სთან დგას და აითქომ 'მესაძლოა ყველაზე ძველ ნასესხებს წარმოადგენდეს განხილული სიტყვებიდან, რადგან საშ. სპარსულში ეს ფუძეც, სხვა ძველ ირანულ ფუძეთა მსგავსად, ბოლომოკვეცილი სახით არის წარმოდგენილი. შეადარეთ: *mār*, *axtarmār*, *mār-ag*, *šumār* და სხვა. მნიშვნელობის განვითარებისათვის: მარა — 'რიცხვი, რაოდენობა > დიდი რიცხვი, მრავალი > ყველა, ყოველი', აქედან მარადღე 'ყოველდღე, მუდამ'.

42. მრავალი — 'დიდი რაოდენობით, ბევრი', საბას განმარტებით „ორიღამ ათასამღე“.

„სძალო და მჭევალო ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი“ (მარტ. შუშ. 40₁₀).

„...და გყო შენ მამად ნათესავეთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა“ (ე. მცხ. 85₃₉).

„რომელსა ეგრევე ყოველი სიმრავლჳ ქალაქისა ჰხედევდა...“ (აბო, 76₉).

„...ესევეთარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყჳსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა...“ (ს. ზ. 152₁₅).

...და შეკრბა ურიცხვი, ვითარცა თივანი ველთანი და ფურ-
ცელნი ხეთანი სიმრავლითა“ (ლ. მრ. 43₃₄).

მრავალი, ჩვენი ფიქრით, მომდინარეობს ფორმიდან *მარა-
ვალი, რომელსაც იგივე მარა ირ. *māra* უდევს საფუძვლად, რო-
მელიც მარადღეში გვაქვს. შესაძლებლად მიგვაჩნია დაფუძვით
არსებობა ფუძისა მარაგ- (მარავს-ს 'თელის, აღრიცხავს'),
რომლიდანაც მ- თავსართისა და -ალ ბოლოსართის მეშვეობით
ნაწარმოებია ფორმა *მ-მრავ-ალ (მ- თავსართი დაქარგულია ფუ-
ძისეულ მ-ს წინ, ხოლო შეკუმშვა ფუძისეული ა-სი გამოწვეულია
-ავ სუფიქსის დართვით).

ამ სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის: რიცხვი, რაოდენ-
ობა > მრავალი; შეადარეთ სიტყვა ბევრი, რომელიც ძვ. ქართულ-
შიც და ირანულშიც თავდაპირველად 10.000-ს ნიშნავდა: გარკვე-
ული დიდი რიცხვი > ბევრი, მრავალი.

შეადარეთ აგრეთვე ახალი სპარსული *مر*, რომელსაც, გარდა ზო-
გადი მნიშვნელობისა 'რიცხვი, რაოდენობა, სათვალავი', აქვს კიდევ
გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა, სახელდობრ, იგი აღნიშნავს
თელის დროს ყოველ 50 საგანს, 5 ათეულს.

მრავალ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ სპეციალურ ლიტე-
რატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითად,
ნ. მარი თავის ფრანგულ ენაზე გამოსულ ქართული ენის გრამა-
ტიკაში¹ ამ სიტყვას აიგივებს ბევრთან და თელის მას რედუ-
ცირებულ ძირად მარ-მარ;|ბარ-ბარ, ხოლო მეორე თავის შრომაში
არაბულ რიცხვით სახელთა წარმოშობის შესახებ² *māra-val*-ს
მიიჩნევს მიღებულიად **mār-var*-იდან, დიალექტური ფორმით
bre-vel (<**ber-ber*-იდან) და უკავშირებს არაბულ *va-fr*-ს 'მრავ-
ალრიცხოვანი'.

ბევრი და მრავალი სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებია
და მათი გაიგივება, როგორც ამას ნ. მარი ცდილობდა, საფუ-
ძველს მოკლებულია: პირველ მათგანს სრულიად აშკარა ირანული
ეტიმოლოგია აქვს, იგი დადასტურებულია თითქმის ყველა ირანულ
ენაში და ფართოდ არის ხასხასები სხვა ენებშიც; სიტყვა
მრავალის ფუძე კი მომდინარეობს ირ. ძირიდან *mār*, რომელსაც
ბევრის პროტოტიპთან (ავ. *h₂ǵvarā*—10000) გენეტური კავ-
შირი არა აქვს.

¹ N. Marr et M. Brièr, *La langue Géorgienne*, Paris, 1931.

² Н. Марр, К вопросу о происхождении арабских числитель-
ных. ЗВО V, гв. 620, ИР IV, 237—39.

13. მარხვა — 1. 'მარხულობა' (აკრძალვა, ნოც).

„და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით“ (მარტ. შუშ. 26).

„მაშინლა დააცადა ფიცხელი იგი მარხვაჲ და გაჰქსნა ენაჲცა თვისი უტყუებისაგან...“ (აბო, 66₂₀).

„და ევლოგიაჲცა დადევას ადგილსა მას სამარხოსა მისისასა“ (ს. ზ. 178₂).

„რაჲმს იმარხვიდე შენ, ჭკაცო, საზრდელი იგი, რომელი მოგმზადოს შენ ღლისა მისთვის, მისგან ნაწილი უყავ გლახაკთა და ესრეთ იმარხვიდე, რადთა გლახაკი შეიწყალოს და გამოზარდოს საზრდელითა შენითა, რომლითა იზარდები“ (მამ. სწავლ. 25₁₋₂).

„რად სარგებელი არს შენდა, უკუეთუ იმარხვიდე და ხედვიდე გლახაკთა მშვიერთა და არა გამოზარდნი!“ (მამ. სწავლ. 25₉).

„არა გასმიესა, რადენნი კეთილნი აღთქმულ არიან მმარხველთათჳს“ (მამ. სწავლ. 25₂₄).

2. 'შენახვა (შენახვა გულში, დახსომება), დაცვა'.

„რამეთუ მრავალ ჰყავ შენ წყალობაჲ სიტკბოებისა შენისაჲ, უფალო, რომელ დაუმარხე მოშიშთა შენთა“ (ფს. 30₂₀).

„და ეგრძევე ვამცნებ შედგომითი შედგომად შეილთა ჩემთა. რადთა დაიმარხოვნ წმიდაჲ ესჲ მოძღურებაჲ“ (გრ. ხანძთ., გვ. ოგ₇₀).

„იწყე, რომელ არს ქელთა ქუეშე შენსა, საგანძურთაგან განპარვად, რომელი ხოლო შეუძლო: ოქროჲ და თუალეები პატიოსანი და ანთრაკი რჩეული და ყოველი ჭურჭელი პატიოსანი, და წარეც იგი ქუეყანასა მას უცხოსა, რომელსა-იგი მიიყვანნიან მეფენი მათნი შემდგომად განძარცუვისა და განძებისა მათისა, რადთა მუნ გემარხვიდის ყოველი“ (ბალაჰვარ. 41₃₀).

„...ზე ვარ მეგობარი შენი, რომელმან დავიმარხე კეთილი შენი მცირედი და აწ აღნადგინებითურთ მიგაგო შენ“ (ბალაჰვარ. 39₁₁).

„...რომელნი შემძლებელ არიან თანამოგზაურ ყოფად დაქსნად ღღესა მას განკითხვისასა და მცირედი იგი აღნადგინებითურთ დაუმარხვან“ (ბალაჰვარ. 40₁₅).

„აწ რად სწორებაჲ არს დამმარხველისაჲ წარწყმედელისა თანა, გინა აღმაშენებელისაჲ დამარღუეველისა თანა, და მოთმინისაჲ უთმინოჲსა თანა“ (ბალაჰვარ. 47₃₃).

3. 'დაფლვა, დასაფლავება'.

„ხოლო ჯუარნი ამასვე ქალაქსა შინა დამარხულ არიან, არამედ ადგილი მათი არავინ უწყის“ (ლ. მრ. 48₂₉).

„მსწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას და მუნ დაჰმარხეთ, სადა ნათელ ვილე“ (ე. მცხ. 94₁).

ქართული მარხ- ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლებელია დაეუკავშიროთ საშ. სპარსულ ფუძეს pāhr, pāhr(ak) (არშაკიდული ფორმა, რომელიც ნასესხებია აგრეთვე საშ. სპარსულში).

შეადარეთ ავესტური pāhri- (ინფინიტივის ფორმა ძირიდან pā[y]) ‘დაცვა’, სკრ. pāti-, ბერძნ. πᾶμα ‘სახურავი’, გუთ. fodr ‘ქარქაში’, ავ. pāhri-¹ ‘ფარი’, ძვ. სპ. *pāssa- (ძვ. ირ. <pāhri-); სასანურ ფალაურსა და ახალ სპარსულში გვაქვს pās² ‘ფარი’; სომხურში *սահ* და *սաս*³. პირველი მოდის არშაკიდული ფალ. ფორმიდან pāhr — მისი მნიშვნელობებია ‘დაცვა, შენახვა, მარხვა, თხიზლობა’, ხოლო მეორე — სასანურ ახ. სპარსულ pas-ს ეყრდნობა.

ქართული მარხ, ჩვენი ფიქრით, მიღებულია იმავე არშაკიდული ფალაური pāhr-იდან მეტათეზის გზით pārh > pārx > მარხ.

მეტათეზისი xr, hr > rx, rh დამახასიათებელია თვით სპარსულისთვისაც⁴. შდრ. ახ. სპ. čarx < čahr-იდან ‘ჩარხი’, საშ. სპ. surx > suxr-იდან ‘წითელი’ და სხვა.

ირანული თავკიდური p-ს მ-თი გადმოცემის თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე სომხური *սարս-ք*, რომელსაც ჰიუმბმანი ირანულიდან ნასესხებად მიიჩნევს, და ქართული მართ- ძირის ურთიერთობა (მ-მართ-ებს-ში), რომელთაც ნ. მარი ერთმანეთს უკავშირებს⁵. შეადარეთ აგრეთვე წმედ- და ირ. spānd < spənta-.

44. მატაკარანი — „მზარეულთუხუცესი“ (საბა).

„ხოლო ისმაიტელთა მათ ვაჰართა მიჰყიდეს იოსებ ეგვტეს პეტეფრეს, საჭურისსა მატაკარანსა“ (დაბ. 37₂₆).

საშ. სპარ. mātakdār⁶ ‘ინტენდანტი’, სომხ. *մատակարար* ‘მოურავი, რწმუნებული, მნე, ეკონომი’.

45. მოგვი — „ჩექმა“ (საბა).

¹ H. Reichelt, AE, გვ. 459.

² GrirPh, I, II, გვ. 58.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 217.

⁴ GrirPh, I, II, გვ. 53.

⁵ Н. Марр, Армянский термин арқ-ау, ИАН, 1920. გვ. 106; შდრ. აგრეთვე, სომხ. *սահակարս-ք* და სასან. ფალ. pasəpāu; Telegdi, გვ. 251.

⁶ H. Bailey, Zoroastrian problems, 100, A. I, BSOAS, XI, გვ. 797; Iranistik, გვ. 42.

⁷ А. Худашев, Армяно-русский словарь, II, гв. 126.

„მაშინ ამოიღო დაშნა მოგვისაგან, ჰკრა აშკომობილსა ყიასა, ჩანს თუ მწვავედ ეტკივნა და წამსავე პირიდალმე წამოაგდო...“ (ამირ. დარეჯ. 92₃₅).

„ვითა შეუტევე, მოგვსა შიგან დაშნა ეპყრა, ამოიღო და გულსა დაიცა და ეგრე მითხრა — წენ ამისგან უფროსსა ვერას მიზამო“ (ამირ. დარეჯ. 104₁).

„რა მოიწყრომა ცოტა ხანი გამოჯდა; მოგუისაგან კლიტე ამოიღო ზარდსა მიუგდო, ეგრე უბრძანა...“ (ვისრამ. 147₂₂).

შდრ. საშ. სპარს. *mōk* 'ფეხსაცმელი', სომხ. *moγk, moγeγ¹*, არაბ. *mauk, mauzaj*, თალმუდ. *מִוֶּק, מִוֶּזַי* 'ფეხსაცმელი', თურქ. *mükim, mükim, hüküm* 'ქალის ფეხსაცმელი'², შდრ. ახ. სპ. *موزه* 'ფეხსაცმელი, ჩექმა', საშ. სპ. **mōčak* 'ფეხსაცმელი'. ძირი *Vmuk-*, *mauk-* ძველ ირანულში აღნიშნავდა 'ჩაცმას' (პრევერბით *pat-*. შდრ. ავ. *paiti.šmuxta-*, ფალ. *patmōčān* 'სამოსელი', ხოლო პრევერბით *fra-* 'გახდა, გაძარცვა'), ზორ. ფალ. *patmōk-*, *patmōč-*, *patmōxtan-* 'to wear'³ 'ტარება' (სამოსისა). ხოტანური *pa-mj-s-*: *pāmōta- pamyā-* 'to wear cloths', *pa-mūha-*, 'clothe'.

მნიშვნელობა *mauk-*: *muk-* ისა იცვლება პრევერბების მიხედვით. მნიშვნელობა 'ჩაცმისა' გვაქვს ზორ. ფალ. *mōk. mōč, mōčak* 'ფეხსაცმელი', ბუდჰისტური სანსკრიტი *moca- maucika- mocika-* 'ხარაზი', სომხ. *moγk, moγeγ, močak*, ქართ. მოგვი. ახ. სპარსული *mozah*, არაბ. *mauq, mauzaj*, ბერძნ. *μαυαζ*. საწინააღმდეგო ცნება გვაქვს ორმურის *mōč-*: *mōk-* ში 'გახსნა, მოხსნა', მუნჯანი *muč-*: *mučd* 'გახსნა, გახდა, გაშვება', ძვ. ინდ. *mok-*, *muk-* 'ახსნა' (to loose), ლიტ. *mukū, mūkti*.

პრევერბიანი ფორმები ავ. *paiti.šmuxta-* 'შემოსვა', ფალ. *fra-muxtau* 'გახდა' (უმეტესად ფეხსაცმელზე), ოსური *ramoγun*, ირონ. *raemūγun* 'გლეჯა, ამოგლეჯა', დიგ. *nimoγun, nimoγd.* ირონ. *ny-maγun, ny-muγd* 'გაცემა, ლალატი'. ძვ. ინდურში ეს ზმნა იხმარებოდა პრევერბებით *prati-*, *ā-* და *pra-*, ხოტან. *mušša* 'შძარცველი, ყაჩაღი', ძვ. **muš-ya* ძირიდან *mauš-*: *muš* 'გაძარცვა, გაქურდვა'. ძველ ინდურში *mošati, mušnati*⁴.

46. მკობა, სამკაული — 'მორთვა, მოსართავი'.

¹ H. Hübschmann, AG, I, 196.

² S. Telegdi, გვ. 247.

³ H. Bailey, Arya, II. BSOAS. vol. XXIII. part I, 1960, გვ. 30.

⁴ იქვე.

ჩვენ ვფიქრობთ, ირანული ძირი muk-, mauk- საფუძვლად უდევს აგრეთვე ქართულ სიტყვას მ-კ-ობ-ა, სა-მკ-ა-ულ-ი. შდრ. ძვ. ქართ. შეიმკო, აღიმკო, რომელთაც 'ჩაცმის' მნიშვნელობაც ჰქონდათ.

„სიმართლმ შემემოსა და შევიმკვე სამართალი ვითარცა სამოსელი“ (იობ. 29₁₄).

„და შევპმოსო მას სამკაული შენი და გვრგვნი შენი მივსცე მას სამკაულად“ (ესაიასი, 22₂₁).

„მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“ (მარტ. შუშ. 152₂₂).

47. მოს-გ-ა, სამოსელი — 'ჩაცმა, ტანსაცმელი'. ამავე mōk ძირის პალატალიზებული ვარიანტი mōč- > mōz- || mōz-.

ჩვენი ფიქრით, იგი წარმოდგენილია ქართულ მოს-ვა-ში, სამოს-ელ-ში.

„და შეჰმოსა მათ სამოსელი და შეარტყა სარტყელები და შეასხა მათ ჯამლები და გარდასდვა მათ ზედა სამკრწ“ (ლევიტ. 8₇).

„და ესრეთ აღდგა იობ, დაიბო სამოსელი თვისი და აღიპარსა თმაჲ თავისა თვისსაჲ“ (იობ. 1₂₀).

„მოაქცია გლოვაჲ ჩემი სიხარულად ჩემდა, განმძარცუა მე ძაძაჲ და შემემოსა მე სიხარული“ (ფს. 29₁₂).

„სიმართლმ შემემოსა და შევიმკვე სამართალი ვითარცა სამოსელი“ (იობ. 29₁₄).

„აწ რომელმან-ესე მოიყიდა, არა ლიტონი კაცი არს, ჳ ჰურიანო, რამეთუ კაცთა ბუნებაჲ ცოდვასა დამონებულ იყო; არამედ არცა ღმერთი შიშუველი კაცობისაგან, რამეთუ ჳორცნი ესხნეს, ჳ მანიქეველო. უკუეთუმცა არა შემემოსა მე, არცამცა მიჯსნა მე, არამედ მუცელსა ქალწულისასა განაჩინა და დაშჯილი იგი შეიმოსა“ (სინ. მრ. 44₆).

„იხარებდინ სული ჩემი უფლისა მიმართ, რამეთუ შემემოსა მე სამოსელი ცხოვრებისაჲ, ვითარცა სიძესა დამადგა მე გვრგვნი და ვითარცა სძალი შემემოსა მე სამკაულითა...“ (სინ. მრ. 84₆₋₆).

„განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვიდრემდე შევიმოსო იგი“ (ქება, 5₃).

48. მუჰრაკი — 'დოკუმენტი, ბრძანება' (ბეჭდიანი ბრძანება).

„ამისა შემდგომად შევიდოდა (იონა) ქალაქსა მას შუენიერსა და დიდსა და უქადაგებდა ბრძანებასა მას პატივისასა, ვითარცა მუჰრაკითა სამეუფოჲთა მოსასრველსა მას ბრძანებასა, ...და იტყოდა, ვითარმედ: შემდგომად სამისა დღისა ნინევეჲ დაქცევად არს“ (სინ. მრ. 107₃₀).

ამ სიტყვის მართებული განმარტება და მისი წარმომავლობის გარკვევა მოცემულია აკაკი შანიძის ნაშრომში „სინური მრავალთავი და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (სინ. მრ. 227—328).

შდრ. პართული *muhrak* ‘ბეჭდიანი’ (დოკუმენტი), სომხ. *մուրհակ*¹ ‘ხელწერილი, ვექსილი, პირობის წერილი’, ახ. სპ. *مهر*² ‘ბეჭედი’, *مهر* ‘ბეჭდის დამდები’, სკრ. *mudra* > ფალ. *mutrak*, *mudrak*, *mōdr* > *muhr*, ბელუჯ. *murdān murdānagh*³ და სხვა, თალმულ. *𐭪𐭣𐭥𐭥* „*obsignatio, literae obsignatae*“, არაბ. *muhrak* „*charta polita*“, ფალ. *muhrak* ‘დოკუმენტი’ ნაწარმოებია *muhr*-იდან „*cachet*“⁴.

49. **უამი** — ‘დრო, საათი’.

„უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჭურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაქნი და წყალნი მავნებელნი...“ (მარტ. შუშ. 39₂₁).

„მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უუამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა...“ (მარტ. შუშ. 41₃₂).

„მას უამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს მეჯადაგენი და მეჯალმენი...“ (ე. მცხ. 88₁₈).

„ვითარცა შემწუხრდა დღე იგი და იყო უამი პირველი ღამისაჲ მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარე, ვითარცა ღამპარი ცეცხლისაჲ, რომელი მყოვარ-უამ დგა ადგილსა მას“ (აბო, 75₉₂).

„და წარვიდა და მიიწია ცხედრად უამსა მეექუსესა და მეცხრესა უამსა შექვედრა სული თვისი ჯელთა ღმრთისათა, რომლისა სურვიელ იყო მარადის“ (ს. ზ. 176₃₄).

„ეგრძთვე წმინდანი მამანი შემოკრბეს უამსა მას დროჲსა დღისა მისისასა პატივად ნეტარისა მის მოხუცებულისა...“ (გრ. ხანძთ., გვ. ოვ₄).

„... და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა სამ უამით განვიდრე მეცარედ უამადმდე“ (ლ. მრ. 29₁).

„რამეთუ ვართ ჩუენ უამიერნი, რაითა მცირედ ვილუაწოთ და საუკუნოდ განვისუენოთ“ (მამ. სწავლ. 4₄).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 167; A. Худанашев, II, გვ. 172.

² Б. Миллер, გვ. 545.

³ Borhān-e Qāte‘, IV, გვ. 2022.

⁴ S. Telegdi, გვ. 247. შდრ. Bartholomae, Zum sas. Recht 3, 40, აგრეთვე, Junker, IF, 35. 273 და შემდგომ.

„რამეთუ ღმერთი სახიერ და მოწყალე არს, შეუნდვის შეცოდებანი და აცხოვნნის ჟამსა ჭირისასა მოსაენი მისნი“ (მამ. სწავლ. 5₁₁).

„ვეფხისტყაოსანში“:

„კმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო“ (318₂).

„ვით ბინდსა ჟამი დილისა“ (321₂).

„ჟამი გვახლავს სიბერისა“ (508₂).

„ჟამი და დრო“ (859₁),

„ჟამი ვერ ვბოვე კითხვისა“ (1147₁),

„წავიდეთ, ჟამია, ვართ მოსწრაფენი“ (1445₄).

„სალამოსა გავე ჟამსა“ (1125₁),

„ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“ (1665₂),

„სალამო-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი“ (219₁).

ფალაური *zamāu*, *zamānak*¹ 'დრო', მანიქ. 𐭆𐭏𐭓 𐭀𐭎𐭓𐭀, 'დრო, ხანა', 𐭆𐭏𐭓² 'დრო, საათი', ახ. სპ. *زمان*, *زمانه*³ 'დრო, ხანა, სეზონი, საათი', არამ. *z'mau*, *zimna*, სირ. *zāfna* < *zāwana*⁴, ებრაული ნასესხები არამეულიდან *z'mān*, არაბ. *زمان*⁵ 'დრო, ეპოქა', სომხ. *ժամանակ* 'დრო, ჟამი, საათი, საუკუნე', *ժամ* 'ჟამი, საათი, დრო' და სხვ.⁶

ამ სიტყვის წარმომავლობა უცნობია. იგი მკვიდრია როგორც სემიტური, ისე ირანული ენებისათვის. პ. ჰიუბშმანი მის ირანულ წარმომავლობას კითხვის ქვეშ აყენებს. მაგრამ პ. ნიბერგი (მარკვეარტთან ერთად)⁷ მას ნამდვილ ირანულ სიტყვად მიიჩნევს და აწარმოებს ძვ. ირ. *jamāna*-დან, რომელიც, მისი აზრით, ფართოდ არის ნასესხები სემიტურ (და არასემიტურ) ენებში.

შენიშვნა: საინტერესოა, რომ ეს სიტყვა თავკიდური *ž*-თი დადასტურებულია მხოლოდ სომხურსა და ქართულში. აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ სომხურსა და ქართულში გვხვდება *žam*- გაუვრცობელი ფორმით *žamān*-ის გვერდით (ქართულში მხოლოდ ჟამ). როგორც ჩანს, იგია სწორედ უძველესი დადასტურებული ფორმა ირანული სიტყვისა. თუ მართალია მარკვეარტი და ამოსავალი ძვ.

¹ GrirPh, II, გვ. 6.

² C. Salemann. Man. Stud., გვ. 79, 81.

³ S. Haïm, I, გვ. 1017.

⁴ H. Nyberg, II, გვ. 252.

⁵ A. Belot, გვ. 295.

⁶ H. Hübschmann, AG, I, გვ. 156.

⁷ J. Markwart, U. J. VII, 91.

ირ. სიტყვა არის **jamāna*, მის გვერდით უნდა დაეუშვათ აგრეთვე ფორმა *jam(a)*-ც, რომლიდანაც მივიღეთ პართული ფორმა. *žam*-სა და *žamān*-ს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც *niš*-სა და *nišān*-ს შორის გვაქვს; პ. ბეილის აზრით, *jamāna*-ნიშნავს 'მსვლელობა, მოძრაობა' ძირიდან *gjuu*- || *jam*-.

50. **პალავანდი** — 'ბორკილი', საბას განმარტებით „დუშაყი“, აცხენთ ფეხთ სახლათი თასმა“ (ჩუბინ.)¹.

„იხილე უფლისა მოძღურებაჲ: ნუ ჰფუცავ ყოვლადვე: რაჲსა ჰფუცავ? რაჲთა არა ფიცსა ზედა შეჰპალავანდო თავი თჳსი“ (სინ. მრ. 210₁₃).

პალავანდი გვხვდება აგრეთვე დაბადების ტექსტში:

„ხოლო რაქელ მოიხუნა კერპნი იგი და ქუეშე შესხნა პალავანდთა აქლემთასა და დაჯდა მათ ზედა“ (31₃₄).

აქ პალავანდი ნახმარია უფრო უნაგირის ან გადასაფარებლის მნიშვნელობით (შდრ. პალანი).

საშ. სპარსული *pādbānd* < **pādabanda* 'ფეხის შესაკრავი',² სომხური ნასესხები საშ. სპარსულიდან *սպարասնդ*³ 'ხელის ან ფეხის ბორკილი', ახ. სპარსული *دبند* 'ბორკილი'. ქართული პალავანდი, როგორ ჩანს, სომხური *սպարასնդ*-იდან მოდის, აარავანდი > პალავანდი-ი, და არა უშუალოდ საშ. სპარსულიდან (საშ. სპ. *د* > სომხ. *r*, ქართ. *ლ*.), თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იგი შემოსულიყო რომელიმე აღმოსავლურ-ირანული წარმოშობის დიალექტური ფორმიდან, სადაც *د* > *l*-ს გვაძლევს. შრდ. *malax* და *madax* = სომხ. *marax* 'კალია' (მეგრ. მალახია). რაც შეეხება ფარმანდი-ს, ჩვენ ვფიქრობთ, იგი ისევე ადვილად მიიღება ფორმიდან პარავანდი || ფარავანდი > ფარმანდი, როგორც ახ. სპარსული *دبند*-იდან.

51. **პასანიკი, პასენაკი** — „წინაშე მდგომელი“ (საბა), „მეფის წინაშე მდგომი ხელჯობიანი მანდატური“ (ჩუბინ.).

„... ოდეს პასანიკმან ჯუარსა ზედა სამშჳქუალსა: დასცა კუერი მჳედლისაჲ ისრუსალემს“ (მოქც. ქართ. 765₁).

„...ხოლო ოდეს დამსჳქუალეს უფალი, პასენაკმან კუერითა დაჰკრა სამსჳქუალთა“ (ლ. მრ. 60₂₆).

¹ იხ. ა. შანიძე, სინური ნრავალთავი, გვ. 329—30.

² H. Hübschmann, A(†, I, გვ. 227.

³ Ա ճ ա ո յ ո ՚, Արմ. բառ., V, 1931, გვ. 967.

შდრ. მანიქ. 𐭀𐭎𐭏𐭎¹ 'კარისკაცი' (Gefolgsman), სომხ. *պատանիկ*² 'აბჯრის მტვირთველი, მსახური', საშ. სპარსული სიტყვიდან *pasēn*³ 'მომდევნი, შემდგომი, მიმყოლი', ახ. სპ. *پسین* 'შემდევ'.

ა2. პაჰრაკი — 'მცველი, მსახური, მონა'.

„და მოიყვანეს პაჰრაკად თანაწარმავალი სკომონ ვინმე კვრინელი, მომავალი ველით...“ (მარკ. 15₂₁).

სომხურში: *«ი ռնչէին պահակ զՍիւնն կէսրեսայի որ ընդ այն արսյանէլ եկևոյլ յապարակէ...»*

„პრქუა კაცმან მან: მე არა ვარ პაჰრაკი ეშმაკისაჲ, ხოლო უკეთუ მკითხო, თუ რომელთა კაცთაგანი ვარ, გითხრა შენ“ (ბალაპეარ. 99).

შდრ. პართ. *pāhrak*⁴ 'მცველი', ავ. *pāhra-*, სომხ. *պարհակապահ-ք* <ფალ. *pāhrakpān* „Wache, Besatzung“, თალმუდ⁵. 𐭀𐭎𐭏𐭎𐭕 „chef de la police“. შდრ. ახ. სპ. *pahra*, 'დარაჯი, ღამის დარაჯი', ავღანური *pahra*, *pahradar*, სომხური *պահակ* 'დარაჯი, გუშაგი, ზედამხედველი' და სხვა.

ა3. პალანი — „აქლემის კურტანი“ (საბა).

„ხოლო რაქელ მოიხუნა კერპნი იგი და ქუეშ შესხნა იგ⁶ პალანთა აქლემისათა და დაჯდა მ⁷თ ზ⁸ა“ (დაბ. 31₃₄).

შდრ. ახ. სპარსული *سaddle*⁹ 'უნაგირი, კეხი' (*saddles, dorsers*), *вьючное седло*, შდრ. ახ. ქართ. 'საპალნე', საშ. სპარსული **pālān*.

ა4. პატნეზ — „მებრძოლთა ციხისა და მისთანათას საფარად მიწა, ანუ რაჲცა მოუტანონ ასაღებლად“ (საბა).

ჩუბინაშვილის ლექსიკონში 'острог, укрепление, вал'.

„... ნუ მოჰკვეთ შ¹⁰ნ ხესა ხილისა გამომღებელსა პატნეზად: შესაცველად გამოსაპყრობელად მისა...“ (დაბ. 20₁₄).

¹ C. Salemann, *Man. Stud.*, გვ. 113.

² Ա ճ ա ո յ ա ն, *Արմ. բառ.*, V, გვ. 960.

³ H. Nyberg, *Hfsb.* გვ. 220.

⁴ H. Hübschmann, *AG.* I, გვ. 217.

⁵ S. Telegdi, გვ. 251; ტელეგდი შენიშნავს, რომ არშაკ. ფალ. *pahrak* გადავიდა სასანურ ფალაურშიც, სოლდურშიც. მაგრამ საშ. სპ. დიალექტური ფორმები *pās* და *pāsarpān*, ტ. ფ. 𐭀𐭎𐭏𐭎𐭕 ახ. სპ. *pāsbān* დატულია ნა-სესხები ფორმის გვერდით.

⁶ Jouson, გვ. 214; Б. Миллер, *Персидско-русский словарь*, გვ. 88.

სომხ. *պատնէ*¹ “ზღუდე, სიმაგრე, სანგარი”.

პ. აქარიანს² მოჰყავს თირიაქიანის მოსაზრება, რომლის მიხედვით სომხური *պատնէ* მომდინარეობს ავესტური ფორმიდან — *paiti-niša .zətar*. პ. ბილი აქ ხედავს ძვ. ირ. ძირს *paiš-* “შეკერა, გამაგრება”³.

პბ. პატრივი — ‘დიდება, ღირსება, ხარისხი, წოდება’.

„დიდებითა და პატრივითა გზრგზნოსან ჰყავ იგი“ (ფს. 8₆).

„რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატრივისა მოღებისათჳს, არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ...“ (მარტ. შუშ. 4₂₁).

„ხოლო მან ფრიად განიხარა და დაჰმარხა იგი დიდითა დიდებითა და პატრივითა...“ (ე. მცხ. 94₁₄).

„მე პატრივისა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტეს-მიერა, გზრგზნი ცხოვრებისა და უხრწნელებისა და პატრივი საუკუნოთა ცათა შინა“ (აბო, 69₃₅).

„და სურვილით მოწლედ მოიკითხნეს და შემსგავსებული პატრივი წინაუყუევს“ (ს. ზ. 170₁₂).

„ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატრივითა პატრივ სცა და ადგილსა კეთილსა დაამკვიდრა“ (გრ. ხანძთ., გვ. კბ₁₄).

„და ეგრევე სახედ პატრივ-უყო ძემან მეფისამან, და მოიკითხა იგი სიხარულით და უბრძანა მზარდულსა, რაჟთა ადგილსცეს და განვიდეს მათგან“ (ბალაჰვარ. 30₉).

„უკუეთუმცა მარადის და ყოველსა ჟამსა ვიგსენებლით ცოდვათა ჩუენთა გონებათა შინა ჩუენთა, არარამანძცა საქმემან ამის სოფლისამან შემიდლო ჩუენ მიღრეკად მისა მიმართ, არცა ამპარტავნებამან და არცა სიმდიდრემან, ვერცა ჯელმწიფებამან, და არცა პატრივმან“ (მამ. სწავლ. 77₂₂).

„ვეფხისტყაოსანში“:

„პატრივი ჰქონდა ინდოთა ქალისა“ (1557₁).

„სდებს პატრივისა ინდოთ მეფეს“ (1514₄).

„მაკოცეს პატრივით ვითა მშობელთა“ (337₄).

„მწადიან გნახო პატრივით“ (1428₄).

პატრივის ცემა:

„პატრივს-მცემდეს მზისა დარად“ (338₁).

„აწ მოლი ასრე პატრივ-გცე, ვითა ძმამან და მშობელმან“ (315₄).

¹ А. Худабашев, Армяно-русский словарь, გვ. 324.

² Անշոյան, Արմ. բառ., V, გვ. 922.

³ H. Bailey, *Argu II*, BSOAS, vol. XXIII, part 1, 1960, გვ. 24.

პ ა ტ ი ვ ი — ‘ხარისხი, წოდება’:

„და იყო დღე შობისა ფარაოჲსი დღესა მესამესა და იყო სუმაჲ დიდი ყოველთა მონათა მისთაჲ. და მოეკენა პ ა ტ ი ვ ი ღ ჯ ნ ი ს მ ნ ი ს ა ო მ ი ს და პ ა ტ ი ვ ი მ ე პ ო რ ე თ მ ო ძ ლ უ რ ი ს ა ო მ ი ს შ ო ვ რ ი ს მ ო ნ ა თ ა მ ი ს თ ა“ (დაბ. 40₂₀).

„...მე კუალად მოვედ ჩემსავე ამას პ ა ტ ი ვ ს ა, ხოლო იგი დამოეკიდა ძელსა და მოკუდა“ (დაბ. 41₁₃).

პ ა ტ ი ვ ი — ‘ღირსება’:

„ჭრკუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რა-მეთუ მე მამაკაცი არა ვიცი? და-ლა-მე- ვადგრეა მერმე ქალწულად, ანუ მიმეღოს ქალწულებისა იგი პ ა ტ ი ვ ი“ (სინ. მრ. 4₁₁).

პ ა ტ ი ო ს ა ნ ი:

„თაყუანის სცა პ ა ტ ი ო ს ა ნ ს ა ჯ უ ა რ ს ა და მოიკითხა წმიდა შუშანიკ“ (მარტ. შუშ. 94₇).

„...ვითარცა საკუმეველნი სულნელნი და ნელსაცხებელნი პ ა ტ ი ო ს ა ნ ნ ი არავინ შთაასხის კურკელსა ღნიოშსა...“ (ბალაჰვარ. 164₁₀).

„დღეს დაადგის გვრგვნი შემკობილი ქვათაგან პ ა ტ ი ო ს ა ნ თ ა თ ა ვ ს ა მ ი ს ს ა და ხვალე დაუცის ღაწვ მისი სამარესა შინა“ (ბალაჰვარ. 8₁).

„და არა დავითმინო კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა... და წარძღუანებითა ჯუარისა. მის პ ა ტ ი ო ს ნ ი ს ა თ ა, რომელი არის წინამძღურად... ვიძიოთ შური ოვსთა ზედა“ (ჯუანშ. 148₁).

პ ა ტ ი ვ ი, რომელიც სომხურშიაც იმავე სახით გვაქვს დაცული *պատիւ*, უცნობი წარმოშობის სიტყვად ითვლება. სოლდური მონაცემების საფუძველზე *ptšy*, *ptvay* (*ptyw*) და სხვა. პრ. აპარიანი აღადგენს ფალაურ ფორმას **pativ*, რომელსაც, მისი აზრით, სომხური ეყრდნობა. აპარიანსვე მოჰყავს სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებანი ამ სიტყვის დაკავშირებისა ივ. სპარსულ *pātv-*თან ‘დაიფაროს, დაიცვას’ (რაბინინი), ძვ. ირანულ *patibā-*სთან, სკრ. *pratibha-* (მიუღერი და სხვ.), მაგრამ დამაჯერებელ შთაბეჭდილებას არც ერთი მათგანი არ სტოვებს¹.

უეჭველია ანგარიში უნდა გაეწიოს სოლდურ ფორმებს — *ptšyw* ‘*craint, respect*’ და *patyβn* ‘*faveur*’².

¹ *Ա. Ն ա ո յ ա ն, Արմ. բառ., V, 33. 908.*

² *E. Benveniste, Grammaire sogdienne, 33. 280.*

ი. გერშევიჩის მოცემული აქვს სოლდ. *ptvay-*ს ეტიმოლოგია < **patibaya* ‘*fear*’ (‘შიში’). იხ. *Gershevitch. A Grammar of manichean Sogdian, Oxford, 1954. §§ 176. 521.*

რადგან საშ. სპარსულ ძეგლებში ეს სიტყვა დადასტურებული არ არის, საფიქრებელია, იგი ჩრდილო-ირანული წარმოშობისა იყოს და ქართულში და სომხურშიც ამ გზით მოდიოდეს (არშაკიდულ ფალაურსა და სოლდურს ბევრი შეხვედრები აქვთ).

ნწ. პატრიო — 'სასჯელი, წამება', „უპატრიოდ, მოჭირვებით პურობა“ (საბა).

„ამის კაცისა პატრიო მე არა რაჲ ჯელმეწიფების, არცა აღბმაჲ ძელსა არცა პურობილებაჲ...“ (ე. მცხ. 81₂₄).

„...უკუეთუ ვინ-მე ცვალოს წესი პირველი და ყრმაჲ მოიყვანოს ყოფად მონასტერსა ამას, პატრიოელ იყოს იგი ფრიად...“ (გრ. ხანძთ., გვ. კზ₈₃).

„და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შეილნი იგი შენნი. ვიდრე არა შეინდოთ დედუფლისა მის გან უსამართლოდ გაპატრიებულისა მჭევლისა მის ღმრთისა“ (გრ. ხანძთ., გვ. ნშ₁₄).

„არამედ მრავალ-მოწყალემან არა შეცოდებათა ჩუენთა ოდენი პატრიო მოგუაგო, და ამით კნინითა პატრიოთა გუწუართნა“ (ლ. მრ. 96₂₇).

„და ძელსა დამოვჰკიდნე გუამნი თქუენნი, ხოლო უკუეთუ შეიცვალოს ძლევაჲმან, შეიცვალოს პატრიოჲმანცა“ (ბალაჰვარ. 113₃₃).

„აწ უკუე თუმცა ენება ღმერთსა ამისთჳს ხოლო პატრიოელ ყოფაჲ შენი, ჰპოემცაა სიტყუსგებაჲ წინაშე მისა?“ (მამ. სწავლ. 28₂₃).

„ვეფხისტყაოსანში“:

„მით პატრიო ეოცების“ (140₄).

„რათგან ვერ შეგცვლის პატრიო“ (297₄).

„ნაცვალსა პატრიოსა მიგცემსო ზენა“ (523₃).

„ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატრიოდ ნურად გგონია“ (242₁).

„პატრიოთა და ჰირთა მალვად“ (369₁).

„ნაწერი მის პატრიო-გარდახდილისა“ (1359₃).

და პატრიება — 'მოწვევა, მოწოდება, მოხმობა'.

„ხოლო მათ ფრიად განიხარეს და ერთობით დიდითა და პატრიებითა, მოღვაწეებისა მის საქმედ დაადგინეს“ (გრ. ხანძთ. მვ. ლგ₄).

„ამანვე მეფემან დაჩი და პატრიოთა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე“ (ჯუანშ. 140₁₄).

დაბატოება მოწვევის მნიშვნელობით განვითარდა დაძალებიდან (იძულება თხოვნით).

საინტერესოა, რომ საბა პატიე სიტყვას პატიე სიტყვას უპირისპირებს და ერთად განმარტავს მათ: „პატიე — კეთილის მიპყრობა სიტყვით და საქმით (21,22 გამოსვლათა), ხოლო პატიე წინაუკმო: უპატიუროდ და შეჭირვებით პყრობა“¹, ე. ი. მისთვის ეს ორი სიტყვა ანტონიმებს წარმოადგენს.

ეს სიტყვა პატიე ი ჩვენ დაუჟეაწირეთ საშ. სპარსულ ფორმას *patist, patišt* ‘ზრდოლა, წინააღმდეგობა’, რომლისთვისაც ნიბერგი აღადგენს ძველ ირანულ ფორმას **patišta*-².

პატიე, ისე როგორც პატიე, სომხურთან საერთო ხმარების სიტყვაა და უცნობი წარმოშობისად ითვლება.

წდრ. სომხ. *պատիտ* ‘სასჯელი, წამება, ტანჯვა’³. ამ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის პ. აქარიანს მოჰყავს სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებანი, რომელნიც ამ სომხურ სიტყვას ამა თუ იმ ირანულ ფორმას უკავშირებენ; მაგალითად, პატკანიანისა და ტერ-ავაქიანის აზრით, იგი ეყრდნობა ფალაურ *paiddāhišn*-ს (ახ. სპ. *pādāš*), ბართოლომე აღადგენს ძველ ირანულ ფორმას **patiža*- და სხვა.

ვ. აბაევის აზრით, ამ სიტყვასთან შეიძლება კავშირში იყოს ოსური *fædis|fædes* ‘განგაში, დევნა’⁴.

პ7. პატიმარი — ‘ტუსალი, ტყვე’.

„და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შიგა თმოგვსასა“ (სუმბატ დავითის-ძე, 382₂₄).

„...და მათნივე შვილნი კლარჯთა მეფეთანი რომელნი დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა“ (სუმბატ დავითის-ძე, 382₂₈).

„წავედით და მივედით მას ციხესა, სადა სხედს პატიმრად ბადრი იამანის ძე და ნოსარ ნისრელი“ (ამირ. დარეჯ. 30₁₀).

„დაიწყეს მათ პატიმართა ყივილი ვითა—კარი გაგვიღეო“ (ამირ. დარეჯ. 30₂₂).

„მერმე მოვიდა საპატიმროსა კარსა, ჰკრა წმალი და გატეხა კარი იგი და გამოასხა პატიმარნი იგი“ (ამირ. დარეჯ. 70₇).

„ოდითგან შენდა მოშორებულ ვარ, შენმან მზემან ვითარცა ვეშპისა პირსა ყოფილვარ პატიმრად და გული უშენობისა ჰირითა ამივისა“ (ვისრამ. 246₃₃).

¹ საბა, სიტყვის კონა, 1949, გვ. 510.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 108.

³ Ա ճ ա ո յ ա ն, Արմ. բառ., V, გვ. 902.

⁴ В. Абаев, Историко-этимологический словарь, гв. 429.

„მე წუხელის შენისა პ ა ტ ი მ რ ო ბ ის ა გ ა ნ მიჭირვებული, მტი-
რალი, გულითა შეეგებუეწე ღმერთსა...“ (ვისრამ. 166_გ).

„იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პ ა ტ ი მ ა რ ი ა.
მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია“
(ვ. ტყ. 1320₁).

„აწ შემინდეგ, ვერა გნახე, შორს ამისთვის წაგიარე,
გზა-გზა ყოფნა აღარა მცალს, პ ა ტ ი მ რ ა დ ა ი გ ი მ თ ვ ა რ ე“
(ვ. ტყ. 1322₂).

როგორც ზემოთ მოყვანილი ძველი ქართული ძეგლების კონ-
ტექსტების განხილვიდან აშკარად ჩანს, ძველ ქართულში პ ა ტ ი მ ა რ
სიტყვას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ჰქონდა, სახელდობრ, ‘ტყვე,
ტუსალი, ციხეში მყოფი’, პ ა ტ ი მ რ ო ბ ა — ‘ტყვეობაში’ ყოფნა’, სა-
პ ა ტ ი მ რ ო — ‘სატუსალო’.

საბას თავის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებული აქვს რო-
გორც „შეუკრავად პყრობილი“.

ახალ ქართულშიც ამ სიტყვას მნიშვნელობა არ შეუცვლია.
პ ა ტ ი მ ა რ - ის ეტიმოლოგიის ცდა მოცემული აქვს იუსტინე აბუ-
ლაძეს „ვისრამიანის“ ლექსიკონში¹. სიტყვა პ ა ტ ი მ ა რ ს იგი ასე
შლის: „ბ ა - (ირანული - ი თ) და ტ ი მ ა რ ‘დაცვა, თვალყურის ჭერა,
წვალება, წუხვა’, ე. ი. ‘დაცული, დამწყვდეული, შეწუხებული,
შევიწროებული’“.

ამ სიტყვას აშკარად ირანული იერი აქვს. ოღონდ ფონეტიკუ-
რი სახის მიხედვით იგი უნდა მივაკუთნოთ არა ახალ სპარსულს,
არამედ საშ. ირანულს და საკმაოდ ძველი ეპოქისას. მასში ადვი-
ლად გამოიყოფა ცნობილი ძვ. ირანული ზმნისწინი pati-, შდრ. ავ.
paiti-, ძვ. სპ. patiy-, საშ. სპ. pat- და სიტყვის ძირი mar- (და არა
ტიმარ-, ახ. სპ. تيمار, როგორც ამას იუსტ. აბულაძე ფიქრობს).

ქართული სიტყვისათვის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ საშ.
სპარსული ფორმა patimar (მოგვიანო padimar), ძვ. ირ. *patimara-,
რომელიც გვხვდება ჰაუგის მიერ გამოცემულ ფალაურ-ფაზენდის
ლექსიკონში. აღნიშნული ლექსიკონის XIX თავს ეწოდება, ჰაუგის
ტრანსკრიფციით, *haba è nōzdahōm padimar*, ე. ი. „ქარი XIX, პა-
ტიმარი“, უკანასკნელს ჰაუგი თარგმნის, როგორც *crime and crimi-
nals*. თვით ტექსტში შესატყვისი პარაგრაფია: *padimar < patimar*².

¹ იხ. „ვისრამიანი“, ლექსიკ., ტფილისი, 1939. გვ. 377.

² M. H a u g, *Essay on Pahlavi, II, Pahlavi-pasend Glossary*, თავი XIX.

აღნიშნული ფალაური ფორმა ფონეტიკურად სავსებით იდენტურია ქართული სიტყვისა და მნიშვნელობითაც უდგება მას: პ ა ტ ი მ ა რ ი - დამნაშავე > დასჯილი > ტუსალი¹.

მხ. პკურება, საპკურებელი — 'სხურება, სასხურებელი', უსუპი.

„და დაკლან ჯბოჲ იგი წინაშე უფლისა და შეწირონ ძეთა აპრონისათა მღდელთა სისხლი იგი მისი და მოაპკურონ სისხლი იგი მისი გარემო საკურთხეველსა მას...“ (ლევიტ. 15).

„და დააწოს თითი მღდელმან მან სისხლსა მას და აპკუროს სისხლისა მისგანი შვდ გზის თითითა თვისითა წინაშე ღმრთისა კრეტსაბმელსა მას თანა წმიდასა“ (ლევიტ. 46).

„და აპკუროს სისხლისა მისგან, რომელ არს ცოდვისაჲ, კედელსა საკურთხეველისასა“ (ლევიტ. 59).

საპკურებელი:

„მასხურე მე საპკურებელითა შენითა და განვწმიდნე, განმბანე მე და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე“ (ფს. 509).

ბ-ვარიანტშია — „მასხურო მე უსუპითა...“.

„იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანაჲ მათთჳს, რომელნი-იგი სხურებითა მით ბანად არიან და განწმედად არიან საპკურებელითა მით ცნობისაჲთა და ძალითა მით ვნებისა მისებრ, რომელსა-იგი უსუპითა და ლერწმითა ასუეს“ (სინ. მრ. 831).

ფუძე ზმნისა პკურება და, მაშასადამე, საპკურებელი-საც არის სიტყვა *apakiapik* 'წყლის, სითხის' მნიშვნელობით, რომელიც მომდინარეობს ირანული სიტყვიდან *ap* 'წყალი', შდრ. აპკა.

აპკურებს გაკეთებულია ასხურებს ზმნის ანალოგიით: სხმა — სხურება. ზმნა (ა) პკ-ურ-ება ისევე იწარმოება აპაქისაგან, როგორც ლაგება — ალაგებს ალაგიდან, მბობა — ამბობს ამბავიდან (ა-მბ|ავ|ობს — ამბობს, თავკიდური ა-გაგებულია ქცევის ნიშნად, ხოლო აგ — თემის ნიშნად).

მ9. პოხ-ვა, პოხილი — 'ნოყიერი, მადლარი, ნაყოფიერი'.

„მაშინ იყოს წკმაჲ თესლსა ქუეყანისა შენისასა, და პური ნაყოფისა ქუეყანისა შენისაჲ იყოს მადლრიჲ და პოხილ: და ძოვდეს საცხოვარი შენი მას დღესა შინა ადგილსა პოხილსა და ფართოსა“ (ესაიაჲსი, 3023).

¹ ავ. ზმნური ფუძე *mar*- 'შემჩნევა, დაკვირვება, თვალთვალი' ზმნისწინით *paiti*- ნიშნავს 'მოგონებას, გახსენებას' (იხ. AirWb, 1143), მაგრამ ნაწარმოებს *paitimara* შესაძლოა ჰქონდა მნიშვნელობა 'ის. ვისაც თვალთვალი სჭირდება'.

„გარე-მომადგეს მე ზუარაკებ მრავალ და კუროთა პოხილთა ნომიცვეს მე“ (ფს. 21₁₃).

ა- ვარიანტშია კუროთა მართებულთა:

„მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი და მთაჲ პოხილი“ (ფს. 67₁₆).

„და ზროხანი მათნი პოხილ არიან“ (ფს. 143₁₄). ბ-შია „და ზროხანი მათნი ზრქელ არიან“ (ფს. 143₁₄, ბ).

განპოხება — განოყიერება, გასუქება, გაძღობა, დაკმაყოფილება¹.

„...რამეთუ „სთქუ სოფელი წყალობით აღეშენოს“, „და ველნი შენნი აღიესნენ სიპოხითა. განპოხო შენ შეუენიერებაჲ უდაბნოჲსაჲ და სიხარული ბორცუთა შეიმოსონ...“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 246_ჟ).

„ხოლო მან განიხარა ხილვაჲ ნეტართაჲ მათ და ჰრქუა მათ: „თქუენ ხართ სიწმინდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შეუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთის ხილნი ნაყოფ-სავესენი, ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერე ჩემი და ამალდა სიხარული ჩემი ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 245_ჟ).

„ესრეთ რაჲ შუა წარჲდა სიმრაველს წელთაჲ, სიბერიითა კეთილითა განპოხნეს და ფუფუნებულ და ჩხვლ იქმნეს საღმრთოთაჲ ცნობითა“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 237_ბ).

„არამედ შემდგომად არამრავალთა წელთა აღესრულა მამაცაჲ ამათ ნეტართაჲ და წინაჲ ღმრთისა მიიცვალა სიბერიითა კეთილითა განპოხებულთა“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 221_ჟ).

ძირი პოხ- დადასტურებული ძველ-ქართულ სიტყვებში: პოხვა, პოხილი, გან-პოხ-ება, პოხ-იერ-ი და სხვ. მომდინარეობს, ჩვენი ფიქრით, საშ. სპარსული სიტყვიდან *pīh* (*puh*) 'ცხიმი, ქონი, სიმსუქნე', შდრ. ახ. სპარსული *pīh* 'ცხიმი¹, ქონი'. ავ. *pitu-*, ძვ. ინდ. *pitu-*, ბერძნ. *πίτων*, ინდ. ეგრ. **pi-*, *pay-*, ძვ. ირ. *pīṣu-*, ბელუჯ. *pīṣ*, ვახ. *pīx*, სომხ. *բիս* 'სესხი', მეორე მხრივ, ავ. *pīvah-* 'ცხიმი', ძვ. ინდ. *pīvas-* 'ქონი, ცხიმი'. *pīvara* 'მსუქანი', ლათ. *pinguis*, გერმ. *feist*, *fett* 'მსუქანი, ცხიმიანი', ოსურ. *fīw|fēv* 'ცხიმი, ქონი', ქურთ. *pīv*, ბელუჯ. *pīṣ*, ფალ. *pīg*, *pīk*, საკ. *pīy*².

ჩვენ ვფიქრობთ, ქართ. პოხ და სომხ. *բիս* ერთი წარმოშობის სიტყვებია. მნიშვნელობა სომხური სიტყვისა 'სესხი' არ არის მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ 'ქონი, ცხიმი' გაგე-

¹ *Borhān-e Qāte*, I, გვ. 450.

² *Историко-этимологический словарь*, გვ. 477.

ბულია, როგორც 'ზედმეტი, ქარბი, ზედნადები, პროცენტი'. შეადარეთ სპარსული *charb* (>ქართ. ქარბი), სპარსულში ეს სიტყვა ნიშნავს 'ქონს, ცხიმს'.

60. საჩ-(სჩის > რჩის, შჩის, რჩული, ურჩული, დარჩილი, მერჩული, შჩული და სხვა).

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, გზასა ცოდვილთასა არა დადგა, საჯდომელსა ურჩულთასა არა დაჯდა“ (ფს. 1₁).

„არამედ რჩულსა უფლისასა არს ნებაჲ მისი, რჩულსა მისსა ზრახვენ იგი დღე და ღამე“ (ფს. 1₂). ბ-შია შჯული და უშჯული.

„რამეთუ შენ, ღმერთი, არა ეგრე ხარ, ვითარმცა გინდა ურჩულოებაჲ; არა დაიმკვიდრონ შენ თანა უკეთურთა“ (ფს. 5₃).

„არცა დადგენ ურჩულონი წინაშე თუალთა შენთა: მოიძულენ შენ ყოველნი მოქმედნი ურჩულოებისანი“ (ფს. 5₆).

„უკუეთუ თქუენ იკითხავთ შჩულსა და ესე არა გულისხმა-გიყოფიეს, აწ ამის გამო ებრძანო თქუენი პყრობილებაჲ...“ (სინ. მრ. 239₁₂).

„უკუეთუ არა, ნანდვლვე დაიჯსნეს მამათა ჩუენთა მოცემული იგი შჩული...“ (სინ. მრ. 239₃₅).

„... მეჲს ჯორცნი მისნი დაირღუეს და ცხორების მოყუარჲ იგი დაეცა და უშჩულო იქმნა ცუდად“ (სინ. მრ. 121₁₀).

საჯ- (საჯა, მსაჯული, სჯული, განსჯა, დასჯა).

„მისაჯე მე, ღმერთო, და საჯე შჯაჲ ჩემი თესლისაგან არაწმიდისა, კაცისა ცრუჲსა და მზაკუვარისაგან მივსენ მე“ (ფს. 42₁).

„ამისათჲს არა დადგენ უღმრთონი სარჯელსა, არცა ცოდვილნი ზრახვასა მართალთასა“ (ფს. 1₅).

„ამისათჲს არა აღდგენ უღმრთონი სასჯელსა, არცა ცოდვილნი ზრახვასა მართალთასა“ (ფს. 1₅, ბ.).

„აწ, მეფენო, ესე გულისხმა-ჰყავთ და განისწავლენით ყოველნი მსაჯულნი ქუეყანისანი“ (ფს. 2₁₀).

„დასაჯენ იგინი, ღმერთო; დაეცნენ იგინი ზრახვათა მათთაგან“ (ფს. 5₁₁).

„საჯენ იგინი, ღმერთო; დაეცნენ იგინი ზრახვათა მათთაგან“ (ფს. 5₁₁, ბ.).

„და აწ შენ ესრეთ ხარ ჩემ თანა, ვითარცა სხუანი ერისა ჩემისანი, რამეთუ, უკუეთუ ვინმე ბოროტი რაჲმე გიყოს, თანა-მაც,

რამათა გისაჯო მისგან; და ეგრეთვე შენ, უკუეთუ სხუასა ვისმე უყო, თანა-მაც, რამათა გისაჯო თავისა შენისაგან და უსაჯო თავსა ჩემსა შენგან და მერმე სახლსა შენსა და შვილთა შენთა, რამეთუ წარსწყმიდენ“ (ბალაჰვარ. 5₂₆).

შჯა:

„... და არავინ მიიღოს სიტყუაჲ საშჯელისაჲ თვნიერ განმართლებისა ცხადად, და არა აქუს ძღვეაჲ საშჯელსა შინა თვნიერ მსაჯულისა“ (ბალაჰვარ. 5₃₁).

შჯულიერი — ‘კანონიერი, კანონის შემსრულებელი’:

„ხოლო სხუათა ქუეყანათა არიან კაცნი მართალნი, რომელნი შჯულიერად იტყუან თავთა თვსთა ენითა მათითა და ქადაგებენ წესიერებასა, და მრავალნი საქმენი წარწყმდებიან მათ შორის“ (ბალაჰვარ. 47₉).

მოსაჯული — ‘მომჩივანი’:

„არცა მსაჯული მოვიმადლე და ვერცა მოსაჯული დავაჯერე“ (ბალაჰვარ. 152₃₈).

„რამეთუ მე ფრიად განვარისხე ღმერთი შემოქმედი ჩემი და, მრავალნი მოსაჯულნი წარვაგლინენ წინა ჩემსა, რომელნი შურის-გებასა ითხოვენ ღმრთისაგან ჩემ ზედა“ (ბალაჰვარ. 152₃₈).

მშჯავრი — ‘განსჯილი, განაჩენი, გადაწყვეტილება, ბეობა’:

„და მერმე იცი სამართალი მშჯავრისა ჩემისაჲ და შჯაჲ ქურივთაჲ და ნუგეშინის-ცემაჲ ობოლთაჲ და წყალობაჲ გლახატთაჲ და ხაშმთაჲ...“ (ბალაჰვარ. 108₂₄).

„მიუგეს და ჰრქუეს კერპთ მსახურთა მათ: ძეო მეფისაო, ვითარ იყოს მშჯავრი შენი ჩუენ ზედა საქმეთათჳს პირველთა, რომელნი ვქმნენით ბრძანებითა მამისა შენისაჲთა...“ (ბალაჰვარ. 145₁₉).

ჩვენ ვფიქრობთ, აღნიშნული სიტყვებისათვის (შჩული, სჯული, რჯული და მისთანანი) ამოსავალია საშ. საარსული ფუძე sač- ‘იყო შესაფერისი, ჯამსი, წესიერი, ღირსი, საქირო’ და სხვა. შეაღარეთ საშ. სპარსული sačēt ‘ჯამს, ეგების, აუცილებელია, ღირსია. საქიროა’ და სხვა, sačakvar ‘ღირსეული, შესაფერისი, ხამსი, წესიერი’, და სხვა¹. ქართულში sač- პირველად გადმოვიდა, როგორც ხაჩ- და ხაჯ-, ხოლო ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მივიღეთ, ერთი მხრივ, შჩის—შჩული და რჩის—რჩული, ხოლო მეორე მხრივ, შჯის—შჯული და რჯის—რჯული და სხვა. ზემოთ მოყვანილია ძველ

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 198—199.

ქართულში დადასტურებული ფორმები. მნიშვნელობისათვის სჯის "შესაფერისს, ღირსეულს მიუზღავს"; სჯული, გან-სჯ-ილი 'რაც ღირსეულია, აუცილებელი, ჯამს' და სხვა მნიშვნელობათა შემდგომი დიფერენციაცია ქართულ ნიადაგზეა მომხდარი. ახალ სპარსულში საშ. სპარსული *sz-* იღებს *sz-*ის სახეს. შეადარეთ *سزید* — *زاد* 'ჯანს, ეგების, ღირსია, საჭიროა' და სხვა. *سز*-*szāz*: 1. საზღაური, სასჯელი, მისაგებელი, ჯილდო', 2. 'ღირსი, ღირსეული', *سز* *ه* 'როგორც საჭიროა, შესაფერისია' და სხვა¹. შდრ. სომხ. *սյսպսյահ* 'ღირსი, ხამსი, სწორი'. პრევერბიანი პართულიდან შეთვისებული ფორმა, სადაც *s>š*-ს *z*-სთან ასიმილაციის შედეგად.

61 ტაბასტაკი — 'ხალიჩა, საფენი'.

„და ტაბასტაკ-დაგებულთა მათ და სამეუფოაჲსა ტაბლისა ზედა მსხდომარეთა დაადგრა ზე...“ (სინ. მრ. 208_გ).

საშ. საარს. *tapastak > taḥastak* 'ხალიჩა', სომხური *տասպաստակ* 'ხალიჩა, კილოფი, საფენი, სუფრა' და სხვა, ახ. სპ. *تپسته* 'ფოჩებიანი ხალიჩა'².

62. ტალავარი — 'საჩრდილობელი' (ლუკა, 9₃₃)

ტალავრობა — „ესე არს პასექიდან მეერგასისე დღე“ (საბა).

„და იყო განშორებასა მას მათსა მისგან ჰრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ, და ვქმნეთ სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა, რამეთუ არა იცოდა: რასა იტყოდა“ (ლუკა, 9₃₃).

„ბრწყინვალე არს ჩუენდა კრებაჲ ესე დღისაჲ ამის, საყუარელნო; ბრწყინვალე არს დღესასწაული ჳეშმარიტისაჲ ამის ტალავრობისაჲ უფროჲს ძუელისაჲ მის: ბრწყინვალე არს კარავი ესე ჩუენი უფროჲს პირველისა მის; არა ფურცელთაგან ხეთაჲსა შექმნულ არს, რომელთა წარმავალი საჳმელი გამოაქუს, არამედ საღმრთოთაგან წესთა შემკულ არს, რომელსა სულიერი და წარუვალი საზრდელი აქუს; არა საწუთროჲ ტალავარი არს, არამედ საუკუნოჲ კარავი არს...“ (სინ. მრ. 191_გ).

„ხოლო ეგრეთცა ჳელ-ყვეს და იწყეს შჳნებად მცირჳ ტალავარი და ადგილი რაჲმე მონასტრისაჲ და დაყენეს მუნ არამცირედნი დღენი“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 222₂₇).

წარმოშობით სიტყვა ტალავარი პართულია. გვხვდება მანიქეველურ პართულ დოკუმენტებში ფორმით *tlw'r*, *t'lw'r*-

¹ Borhān-e Qāte'. II, გვ. 1137.

² იხ. ა. შანიძე, სინური მრავალთავი. გვ. 331.

tālvar¹ აღნიშნავს 'დარბაზს, სასახლეს'. ე. ბენვენისტის აზრით, აქედან მომდინარეობს სომხ. *սահլար* 'კარავი, საჩრდილობელი, ქოხი' და სხვა. შესატყვისი ბერძ. *σκηυή*-სი, ებრ. *suknāh*-ისა ('კარავი ფურცელთაგან ხეთასა შექმნილი'), დღესასწაული ტალავრობისა — სომხურშია *tawn tařavaraharac -տան սահլարահարաց* сенопочитание, скитовишня². ასეთივე უნდა ყოფილიყო მნიშვნელობა საშ. ირ. *tālvar*-ისა, აგრეთვე სპარსული *tālār*-ისაც — 'une constructions léger en bois, destinée à recevoir et héberger des hots de passage'. ბენვენისტის აზრით, ფორმით სომხური *tařavar* ჰგავს სიტყვას *sařavart* 'ჩაჩქანი' (**sal-vart*-იდან, შდრ. ირ. **sāra . vrti*, ავ. *sāra . vara*-), მაგრამ პართული ფორმის მიხედვით აქ საქმე გვაქვს უფრო ძველ l-სთან, ვიდრე დისიმილირებულ r-სთან. *tāl*, როგორც ჩანს, ხის სახელია, როგორც მაგალითად სკრ. *tāla* 'პალმა ხე', ოს. *talm* 'ხის სახელი', მაგრამ ირანულში მას უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა 'ტოტებისა' (*branchage*), რომელიც აქამდე არ არის დადასტურებული³. ეს სიტყვა ახალ სპარსულშიც არის წარმოდგენილი, შეადარეთ, ახ. სპარსული *tālār*⁴ 'დარბაზი, მისაღები დარბაზი' და სხვა, უბრალოდ 'სალონი'. სპარსელი ლექსიკოგრაფები განსაზღვრავენ *tālār*-ს როგორც 'ხის სახლს, დაფუძნებულს სვეტებზე'. გურანი *tālār*, გილაკი *tālār*, შეადარეთ ახ. ქართ. თალარი.

ხევსურულში ტალავარი — ზოგადი სახელია ტანისამოსისა: საფარველი > ტანის საფარველი > სამოსელი.

63. ურაკპარაკი — „საჩინო წარსავალი ადგილი, გინა უბანი, გინა თეატროთა ზედა წარჩინებულთა სადგომი“ (საბა).

„განვედ ურაკპარაკად, მებოძირთა გზისათა და იკითხე მისთვის და იძიე იგი უბანთა ქალაქისა გინა დაბისათა...“ (მამ. სწავლ. 173₄₁).

„...რამეთუ უყუარნ მათ შორის შესაკრებელთა და ურაკპარაკთა. თაყუანის-ცემამ, რამეთამცა აუცნეს კაცთა“ (მათე, 6, 6).
ძე.შია „შესაკრებელთა შორის და უბანთა“.

¹ W. Henning, *Mir. Man.*, III, Gloss. BSOAS, XI, 1943, გვ. 73.

² ასე ეწოდება დღესასწაულს, რომლის დროს ისრაიტელები, იკონებენ რაკარავში თავის ყოფნას ეგვიპტეში წასვლისას, აწენებენ კარავს ტოტებისაგან და ცხოვრობენ შიგ 7 დღის განმავლობაში (ლევიტ. 23₄₁); A. Жудашев, *Армяно-русский словарь*, II, გვ. 451.

³ E. Benveniste, *Mots d'emprunts*, გვ. 67, 68.

⁴ *Borhān-e Qāte'*, გვ. 462.

სომხურშია: „*ղի սիրեն ի ժողովուրդս և յանկիւնս հրասարակաց կալ յազոյթս որպէս զի երևեսցին Մարդկան.*“

„ხოლო ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცნენ თქუენ კრებულებსა და შორის ურაკპარაკთა მათთა გგუემდენ თქუენ“ (მათე, 10₁₇). ძე-ში: შესაკრებელია.

შდრ. სომხ: „*Հոյշ լինիլիք ի մարդկանէ զի մատնեսցեն զձեզ յատնանս. և ի ժողովուրդս իւրեանց տանջեցեն զձեզ.*“

სომხურ სიტყვას *հրասարակ*¹ აპარიანი აწარმოებს ფალაური **frapābak*-იდან (*fra*+**pābak*- ავ. *pābaka*-, *pāba*- 'ფეხი'). შეიღარეთ საშ. სპ. *pāyak* 'გზა, სავალი' (სიტყვასიტყვით 'საფეხო').

დე-ლაგარდის აზრით, აქ საქმე გვაქვს ახ. სპარსულ სიტყვასთან *فاروار*-*farvāra* 'ხაზინა, საუხუჯე, ქართ. საგანძური'. შდრ. ქართ. შესაკრებელი.

ჩვენი ფიქრით, აპარიანის მოსაზრება უფრო ახლოა სიმართლესთან ფორმითაც და შინაარსითაც. იგი ეყრდნობა, როგორც ჩანს, ა. მედეს შრომას „*Sur les mots iranniens empruntés par l'arménien*“ (MSL, Paris, t. XVII).

64. უნასი — 'ცოდვა, ბოროტება, ავი, ბოროტი, ცოდვილი'.

„ამას ჯერსა შეღამიწყნარეთ მე ამას უნასსა ზედა“ (გამოსვლ. 10₁₇).

„ხოლო რომელნი შებყრობილ იყვნეს უნასთათჳს და კაცი-კლვისათჳს, ბრძანა მათთჳს, რადთა მიეცეს სავმარი საფასეთაგან მისთა, რომელი კმა, ეყოს ფართოებით საბყრობილესა შინა...“ (ბალაჰვარ. 135₃₃).

„ძიდა მოაბადის შიშისაგან ფიცხლა დაიმალა, მით რომელ ყოვლისა ფათერაქისა და უნასისა-ჰოქმედი იგი იყო“ (ვისრამ. 149₃₈).

შდრ. პართული *vinās*² 'ცოდვა, ბოროტება, სიავე', ძვ. ირანული **vināsa*-, სკრ. *vināśa*- 'დაღუპვა, წარწყმედა', საშ. სპ. *wn'h*³, ახ. სპარს. *gunāh*! گناه 'ცოდვა, დანაშაული'⁴, არაბ. *إثم*, სომხ. *վնաս* 'ცოდვა, დანაშაული'⁵.

¹ Անույան, Արմ. բառ., IV, გვ. 431.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 243.

³ A. Meillet, Sur les mots iranniens empruntés par l'arménien. MSL, t. XVII, გვ. 1—2.

⁴ Б. Миллер, Персидско-русский словарь, I, гв. 427.

⁵ H. Hübschmann, AG, I, гв. 249.

68. ფართო — 'განიერი, თავისუფალი', ფართობა — 'შუება, ლხინება'.

„ქირსა ჩემსა ვხადე უფალსა, და ისმინა ჩემი და გამომიყვანა მე ფართოდ“ (ფს. 117₆).

„ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართობით შემწყნარებელი მათი“ (ს. ზ. 153₂₁).

„...რამეთუ მრავალ გზის მწუხარებაჲ ფრიადი მოაწიის კაცსა ზედა, რაჲთა მით დასცეს, და მრავალ გზის—სიხარული და ფართობაჲ“ (მამ. სწავლ. 18₉).

„და უკუეთუ ამით ვერ შეუძლის ვნებად მისა, მაშინ მისცის მას სიმდიდრე და ფართობაჲ, და აღამაღლის და მისცნის მას საცთურად მონაგებნი მრავალნი, რომელი არს უძლიერეს ყოველთა ვნებათა“ (მამ. სწავლ. 18₁₇).

„არა გასმიესა, ძმაო, რავედენ გზის მოიწევცს მტერი შენ ზედა ამისგან, რამეთუ გპოის შენ მრავალ გზის შუებასა და ფართობასა და მრავალ გზის იწროებითა და მწუხარებითა და განსაცდელითა“ (მამ. სწავლ. 18₂₈).

„გზაჲ იგი ცხორებად მიმყვანებელი იწრო და საჭირველ არს, ხოლო გზაჲ იგი, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, ვრცელ და ფართო არს იგი“ (მამ. სწავლ. 48₂₅).

„და ამით და ესევეითარითა მახვლითა განსწონნ გულსა მისსა და ამით დააბრკოლებნ ძიებისაგან სწავლისა, და ფართობასა შეახედვებნ“ (ბალაჰვარ. 67₂₃).

„და მი-მცა-უშუეს შუებათა და გულის-თქუმათა მიმართ და ფართობით ცხორებად, და ესევეითარითამცა მოიმძევლნეს გულნი კაცთანი, არამცა ლოცვითა და მარხვითა...“ (ბალაჰვარ. 73₂₁).

„და ესრე სახედ იწროება უჩნს სულსა მართალსა აქაჲ ესე ცხორებაჲ მერმისა მის თანა დიადებისა, ვითარცა ყრმამან რაჲ დაუტევის სიიწრე საშოხსაჲ და იხილის ფართობაჲ და ნათელი სოფლისაჲ“ (ბალაჰვარ. 153₃₈).

„ხოლო გონებამან შეაყენა იწროებასა და კირით ასწავა ცხორებაჲ და მიუხუნა გულის-თქუმანი და ამხილა ვნებაჲ და ტანჯვად მომავალი სიფართოთ და შუებით ცხორებათა ზედა“ (ბალაჰვარ. 68₂₈₋₂₉).

სკრ. pr̥thuḥ 'განიერი, ფართო, ვრცელი', pr̥thah 'სიფართოე', ავ. pərəθu.fraθō 'სიგანე', pərəθu.fraka 'შორს გავრცელებული', pərəθu.ainika 'ფართოფრონტიანი', ბერძ. πλατύς, ი. ევრ. *plth-¹

¹ AirWb. გვ. 893—899; H. Reichelt, AE. გვ. 459.

ჰანს ფოგტი ფიქრობდა, რომ ქართული ფორმა ფ ა რ თ -ო და სომხური ხარჭ-, რომელთა სიახლოვეს ჰუბშმანი ექვის ქვეშ აყენებდა აზრობრივი სხვაობის გამო, განეკუთვნებიან იმავე ინდოევროპულ ფუძეს, რომელსაც ბერძნ. *παρῶς* 'განიერი' და უნდა მოდიოდნენ საერთო წყაროდან. ეს წყარო კი ისეთი უცნობი ინდოევროპული ენაა, სადაც ადგილი ჰქონდა ი. ე. რ-სა და ლ-ს აღრევას, მაგრამ პ. ფოგტი რატომღაც უგულვებელპყოფს ინდურ-ირანულს, სადაც გარდა იმისა, რომ ადგილი აქვს ინდ. ევრ. რ-სა და ლ-ს აღრევას, ინდ. ევრ. *prth-* ის ეკვივალენტებად გვევლინება ძვ. ინდ. *prthuh*, ავესტ. *parəθm-*, რომელიც ფონეტიკურად ყველაზე ახლოა ქართ. ფ ა რ თ ო ს -თ ა ნ ¹. სომხური, ირანულიდან ნასესხები, ფორმა არის *հարթ* (*hart'*), როგორც ქართულში, ისე სომხურში ეს სიტყვა შეთვისებული უნდა იყოს ჩრდილო-ირანული დიალექტებიდან, რადგან ძველი ირანული (მარცვლოვანი) *r* მხოლოდ ამ დიალექტებში იძლევა *ar* ჯგუფს. სპარსულში იგი გვაძლევს *nr-*ს ან *ir-*ს, შდრ. *vrka-* 'მგელი', ახ. სპ. *gurg*, ახ. სპ. *huzurg* 'დიდი' ძვ. ირ. *vazrka-* დან და სხვა ².

ნვ. ჰასაკი — 1. 'ხანი'. 2. 'შეხედულება, გარეგნობა, სახე'.

1. ჰასაკი — 'წლოვანება':

„რამეთუ ყოველივე წინასწარმეტყველი რაჟამს ჰასაკსა თჳსსა მოიწიოს, მაშინლა მადლსა მას წინასწარმეტყუელობნ, და რომელსამე უკუანადსკნელ ჟამთა მოეცის, ხოლო ესე იოვანე ექჳსის თჳსა რაჟამს იღვალა მუცელსა შინა, წესსა მას შჯულისასა იზარდებოდა იგი...“ (სინ. მრ. 207₈).

„ვთქუ, ვითარმედ: ჰასაკი ჩემი დაბერდეს, ვითარცა ხმ და ნაკისკუდისაჲ მრავალ ჟამ ვცხონდე“ (იობ. 29₁₈).

„და ვითარ მოხუცებულ იყო, იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოცდახუთისა წლისა, ჟამთა ოდენ ჰასაკისა მისისათა აღდგა დევნულებაჲ დიდი ქრისტიანეთა ზედა ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრ. 74₄₁).

„ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდელობისაჲ, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათჳს ჰასაკისა მისისა...“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრ. 101₁₉).

„და იყო ჰასაკი თა ვითარ ათოთხმეტისა წლისა...“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრ. 171₅).

¹ A. Meïe, Введение в сравнительное изучение индо-европейских языков, 83. 181.

² Hans Vogt, Arménien et caucasique du sud, Norsk Tidsskrift for Sprogvidenskab, Bind IX, 1938, 83. 331.

„და ვიხილე კაცი ერთი ჰასაკოვანი და მოხუცებული...“
(ქართ. ენ. ისტ. ქრ. 298₃₄).

2. ჰასაკი — ‘შესახედაობა, გარეგნობა, სახე, ტანი’ (рост):

„ვინ თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თუსსა წყრთა ერთ?“ (მათე, 6₂₇, ლუკა, 12₂₅).

„და უნდა ხილვამ იესუდსი, ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკით იყო იგი მცირე“ (ლუკა, 19₃).

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორციითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“
(ქართ. ენ. ისტ. ქრ. 241₁₂).

„ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნებითა ქებულ იყო“
(გრ. ხანძთ. 248₆).

ზოგჯერ ძნელია კონტექსტის მიხედვით გავიგოთ—ლაპარაკია სიმალღებზე (рост) თუ წლოვანებაზე (возраст), მაგალითად, „ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ ლექსიკონში გამოთქმა „გრძელნი ჰასაკითა“ განმარტებულია, როგორც ‘მაღალი ტანისა’, რაც, ჩვენი ფიქრით, შეცდომაა, რადგან აქ ლაპარაკია ხნოვანებაზე (ადამიანის ტანზე გრძელი ქართულში არ ითქმის, თუ არ დაცინვით).

„და ვითარცა იხილა შეფემან მცოცვანებაჲ იგი მათი შუენიერი, რამეთუ იყენეს გრძელნი ჰასაკითა, შუენიერნი სიტყვთა და მდაბალნი გონებითა, ითხოვდა მათგან ლოცვისა ყოფასა მისთჳს“ (ქართ. ლიტ. ქრ. 175₁₁). კონტექსტში ზემოთაც და ქვემოთაც ლაპარაკია მოხუცებზე, მათ მშვენიერ ქალარაზე, „რამეთუ იყენეს გრძელნი ჰასაკითა“ ნიშნავს დიდი ხნისა, მრავალი წლისა და არა მაღალი ტანისა.

ჰასაკი, ასაკი სომხურთან საერთო სიტყვაა და უცნობი წარმოშობისად ითვლება, შდრ. სომხური հասակ ‘ასაკი, წლოვანება, სიმალღე, ტანი’.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა საშ. ირანული წარმოშობისაა და შესულია სომხურში პართულიდან. მისი ახალი სპარსული ექვივალენტია ل سا آ ‘მსგავსი’ (სახისა, შეხედულებისა) გამოთქმებებში ل سا پیل پیلāsā ‘სპილოსებური’ (სპილოს სახისა), ل سا سیرāsā ‘ლომის მსგავსი’ (ლომის სახისა)¹.

¹ Borhān-e-Qāte, I, გვ. 39—40. შენიშვნა 1.

-āsā სუფიქსის ფორმით სიტყვის ბოლოს ერთვის სახელს და მსგავსებაზე მიუთითებს: მსგავსი > სახე, შესახედაობა, ოდენი. ამოსავალი მნიშვნელობა ასაკისა უნდა იყოს სწორედ სახე, შესახედაობა, ტანადობა და შემდეგ — წლოვანება, ხანი (შდრ. *рост — возраст*). საინტერესოა, რომ ოსურში არის სიტყვა *as-წლოვანების (возраст)* აღსანიშნავად, რომელსაც ვ. მილერი უკავშირებდა აღნიშნულ ახ. სპარსულ სიტყვა-სუფიქსს -āsā.

სემანტიკა ოსური *as|asæ*-სი არის 'величина, рост, возраст', იხმარება აგრეთვე თანდებულის ფუნქციით მნიშვნელობით 'равный по величине, возрасту': *хоху jas* 'მთისოდენა', *ūjas* 'იმოდენა, იმისოდენა', 'მისი სწორი, ამდენი, ოდენი', *cas* (<*cæjas*-იდან) 'რამდენი', 'რა რაოდენობით', *asæj-læg*, *zondæj-syvællon-* (*ростом — мужчина, умом — младенец*), *as læg* 'მოზრდილი მამაკაცი', 'взрослый мужчина', *mysty jas* 'თავის ოდენა'¹. ვ. აბაევს ვ. მილერის დაკავშირება ოს. *as* ისა სპარსულ *ās*, *āsā*-სთან დამაჯერებლად არ ეჩვენება, იმის გამო, რომ *āsā* სპარსულში სუფიქსია და სუფიქსისაგან დამოუკიდებელი სიტყვის მიღება უფრო ძნელი დასაშვებია, ვიდრე პირიქითო. სემანტიკაც. მსგავსი > სიდიდე, რაოდენობა, წლოვანება, არ არის დამაჯერებელი მისთვის. საქმე იმაშია, რომ სპარსული სუფიქსი და აღნიშნული ოსური თანდებული ერთი და იგივეა წარმოშობით; ოღონდ ოსური ახ. სპარსულიდან არ მომდინარეობს. სპარსული *āsā* კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ფალაური *hāsāk*, *āsāk*-ისა (შდრ. *āšnā* < *āšnāk*, *burnā* < *burnāk* და მისთანანი). მნიშვნელობით 'მსგავსის' მიღება ადვილია ცნებიდან 'სიდიდე, ოდენობა' ოდენი- (სიდიდით, ტანით, სახით) = 'მსგავსი, ტოლი, შესაფერისი'. რაც შეეხება ქართული, სომხური და ოსური ფორმების ურთიერთობას, აქ მნიშვნელობათა სრული იდენტობა გვაქვს. ჰასაკი — ისე, როგორც *as* ოსურში, ნიშნავს, ერთი მხრივ, სიდიდეს, სიმაღლეს და, მეორე მხრივ, წლოვანებას, ხანს. შდრ. ქართ. *ასაკოვანი* და ოს. *as læg* 'мужчина в зрелом возрасте'. ამის გამო ოსური *as* უნდა შევეუბირისპიროთ არა ახალ სპარსულ სუფიქსებს -ās āsā, არამედ ამ სუფიქსებისათვის ამოსავალ საშ. ირანულ სიტყვას *hāsāk*, რომელიც შემონახულია სომხურსა და ქართულში.

¹ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, гл. 75.

საშუალო სპარსული სიტყვები ქართულში

1. ალაგი — 'მხარე, კუთხე, ადგილი'; ძვ. ქართულში — 'გზა, ბილი-
ჯი'. „ფართო ყვენ სლვანი ჩემნი ქუეშე ფერგთა ჩემთა, რაჲთა არა
მოუძღურდენ ალაგნი ჩემნი“ (ფს. 17₃₇).

„შვილნი უცხოთანი განკედეს და კელობდეს ალაგთა მათ-
თაგან“ (ფს. 17₄₆).

„სიტყუაჲ მისი სანთელი არს აღნთებული, ბრწყინვალე, განმა-
ნათლებელი ყოველთა განყენებულთაჲ და მისგან გამოვალს ნათელი
განმანათლებელი ალაგთა მათ მორწმუნეთასა“ (მამ. სწავლ. 188_ა).

„მისგან ბრწყინავს სული და ვალს იგი დაუბრკოლებელად
ალაგთა მათ, სავსეთა მშკლობითა, და მიიწევს იგი ქუეყანასა
მას მამულსა“ (მამ. სწავლ. 193₂₆).

უალაგო:

„ხამსა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს,

ოდენ სიტყვა უმეცრული უალაგოდ დაიყბედნეს?“
(ვ. ტყ. 758₂).

„განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი
მისნი“ (მათე, 3₃, ლუკა, 3₄).

ქართული სიტყვა ალაგი მომდინარეობს საშუალო სპარსული
სიტყვიდან ārak || ālak¹ 'მხარე, გვერდი, მიმართულება', ტურფ.
ფალ. arax, ავ. arəbāh² 'მხარე, ნახევარი, ნაწილი, ხვედრი'. შდრ.
სკრ. ardha- 'ნაწილი', ოს. ærdæx³ 'მხარე, ნახევარი', ardæxæj 'აქე-
დან', eirdæxæj 'საიდან', მანიქ. საშ. სპ. 𐭠𐭣𐭥⁴ 'მხარე'.

ფონეტიკურად ქართული ფორმა ფალაურის იდენტურია:
ალაგ — ālak (k > Ʒ — გვიანდელი გამოთქმის შედეგია).

ჩვენ ვფიქრობთ, არ არსებობს სემანტიკური ხასიათის დაბრკო-
ლებაც ამ ორი სიტყვის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

ამ სიტყვის ახალი ქართული მნიშვნელობა 'ადგილი' ადვილად
შეიძლება გამოვიყვანოთ ფალაური მნიშვნელობიდან 'მხარე', 'გვერ-
დი'. ხოლო ძველი ქართული მნიშვნელობა გზისა აგრეთვე დაუბრ-
კოლებლივ დაუკავშირდება ცნებას 'მხარე, მიმართულება' > გზა.

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 30.

² Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 193—194.

³ В. Миллер, Осетинско-русско-немецкый словарь; В. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, гв. 172—173.

⁴ C. Salemann, Man. Stud., გვ. 40.

შესაძლებელია ორივე მნიშვნელობა: 1. ადგილისა, 2. გზისა, ამ სიტყვას ქართულში ძველთაგანვე ჰქონდა¹.

2. ამხანაგი — 'მეგობარი, ტოლი, სწორი, თანამგზავრი'.

„ამხანაგი მისი შექირვება იყო და ნადიმი:— მგზავრობა“ (ვის-რამ. 125,10).

„მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერეულად, სააშვიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ (ვ. ტყ. 17,)-

„აგრე უთხრა: „ამხანაგო იყავ მანდა, მომიცდიდე, წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“ (ვ. ტყ. 256,).

„მას ღამესა ერთგან იყვნეს შევნიერნი ამხანაგნი“ (ვ. ტყ. 668,).

„ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გაჰმარჯვებოდეს, ამხანაგთათვის ეჯობნოს, ვინც ამას თანა-ჰხლებოდეს“ (ვ. ტყ. 1052,).

ამხანაგობა:

„ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს“ (ვ. ტყ. 764,).

„ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა“ (ვ. ტყ. 1477,).

„ერთმანერთსა, თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს, ამხანაგობდეს, ლალობდეს, იქით და აქათ დკებოდეს“ (ვ. ტყ. 79,)-

სიტყვა ამხანაგი ახ. სპარსულში შემონახულია *خانه-ساز* ფორმით და ნიშნავს უმთავრესად 'მეზობელს', *ham-xānah* 'თანამოსახლე' (сосжитель).

ქართული სიტყვა ფორმის მიხედვით საშ. სპარსულიდან უნდა მოდიოდეს, მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელ ძეგლებში გვხვდება.

¹ ჰ. ფოგტი (იხ. *Arm. et. cauc. du sud*, გვ. 337) სიტყვა ალაგ-ში გამოყოფს ძირს ლაგ-, ისე როგორც ზმნაში *v-a-lag-eb*. და უკავშირებს მას ინდოევროპულ ფუძეს **legh-*. მაგრამ ზმნა ლაგება ნაწარმოებია, ჩვენი ფიქრით, სიტყვა ალაგიდან და არა პირიქით, ისე როგორც ამბობს, მბობა ნაწარმოებია სიტყვიდან ამბავი (ამბავობს<ამბვობს<ამბობს, ალაგებს>ალაგებს, ე. ი. 'აბინავებს', შედარეთ რუსული *повесть—повествовать, место—помещать* და სხვა). მითუმეტეს, ზმნა 'ლაგება, ალაგებს' ძველ ქართულში არ არის დადასტურებული, იგი ქართული სათვის ახალი წარმოებაა. ინდოევროპული **legh-* ფუძე, ბერძნ. *λέγω*, ლათ. *lectus*, სლავ. *loqъ* და სხვა შეიძლება მართლაც გვაქვს ქართულ ლოგინ-ში, მაგრამ ალაგ-თან მას კავშირი არა აქვს.

² Б. Милер, *Персидско-русский словарь*, გვ. 595.

მისთვის ამოსავალია საშ. სპ. *ham-xānak, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს 'თანამოსახლეს': ham 'თანა' + xānak 'სახლი'.

ეს სიტყვა ხევსურულ დიალექტში დაცულია ამხანიგის სახით და ნიშნავს 'თანამგზავრს, თანამყოფს, ახლობელს'.

3. ანგარება, ანგაპრება — 'სიხარბე', ანგაპარი 'ხარბი'.

„რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთადას გამოვლენ... ანგაპრებანი, უკეთურებანი, ზაკუვანი...“ (მარკ. 7₁₁, 22 და ც).

„ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქუენნი ყოვლისაგან ანგაპრებისა“ (ლუკა, 12₁₅. და ც).

სომხურ ოთხთავში შესაფერის ადგილას გვაქვს *აფსარიძე*.

„და რომელსა ენებოს სლვად გზასა წარსაწყმედელისასა, რომელ არს ძკრის-გსენებაჲ და მანკიერებაჲ, შური, სიძვაჲ და ანგაპრებაჲ, რომელ არს კერპთ-მსახურებაჲ, და რისხვაჲ, და სმენაჲ მოყუსისაჲ და ზაკუვაჲ“ (მამ. სწავლ. 45₂₁).

„შ უბადრუკებასა ბოროტსა, რამეთუ მრავალ გზის არცა თუ ერთი დანგი ვინმე წარავის მისთჳს და ესრეთ მციოედ ანგაპრებაჲ და ყოველთა უძკრესი კერპთ მსახურებაჲ, ვითარ არა უწყინ, ეგრეთ აღასრულის“ (ასურ. მოღვაწ. 134₂₀₋₂₃).

„პრკუა მას ბალაპვარ: მეგობარი იგი პირველი ანგაპრება არს, რომელსა შეიკრებს კაცი...“ (ბალაპვარ. 39₂₆).

ბ-ში გვაქვს „ვეცხლის მოყუარებაჲ“.

ანგაპარი:

„არა არნ იგი გულ-მწყრალ, არცა ანგაპარ, არცა ამპარტავან, არცალა ყოვლითურთ საეკუელ არნ უჯეროდასა გზასა“ (ბალაპვარ. 74₂₇)

„...ანგაპარისა მაგისთჳს გონებისა შენისა არლარა მიეიხუენ ორნი იგი აგარაკენი ჩემნი...“ (ასურ. მოღვაწ. 204₂₈).

ამავე ძირიდან არის ანგარიში. შდრ. „ვეფხისტყაოსანში“:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიში-მიუწოთომელი“ (75₁).

„მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა:

ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ ა!“ (1273₃).

„ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს;

თვენი ესხნეს ორანილა, ამაღ სულთქვამს, ამაღ იშობს“ (185₁).

ქართული ფორმა ანგაპრება მომდინარეობს საშ. სპარსული სიტყვიდან (h)angārtan 'თვლა, აღრიცხვა', ძვ. ირანული, ავ- hankārayami; hankārəma¹ 'დათვლილი, შეგროვილი'. ზმნა ham.

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 97.

kārayati ძირიდან kar-, სკრ. kal- 'თელა', ფაზ. angārdan, angird 'შეჯამება, შეგროვება'.

ახ. სპარსული angāstan, angārīdan¹. სომხურში გვაქვს ორი ფორმა: *ազար* (ძველი) და *անգարիք*.

რაც შეეხება ქართ. ანგარიშს, იგი მომდინარეობს საშ. სპარსული ფორმიდან *(h)angārīšn (შდრ. ვარჯიში და varzišn), ახ. სპ. انگاری 'გამოანგარიშება, გამოთვლა'.

ქართულ ფორმებში ანგაპრება, ანგაპარი — ზედმეტია სიტყვის შიგნითა შ რ-ს წინ, რომელმაც, როგორც ჩანს, თავი-ღური მდგომარეობიდან გადმოინაცვლა სიტყვის შიგნით. თავი-ღური შ, ჩვეულებრივ, ქართულში ვერ ძლებს გარდა მწიგნობრული გზით შემოსული სიტყვებისა (ჰამბორი, ჰამბავი, ჰასაკი, ჰამო და სხვა).

ანგაპარი, ჩვენი ფიქრით, მიღებულია პანგარ-იდან. ზედმეტი ა აქაც გაჩნდა არ-ზე დაბოლოებული სიტყვების ანალოგიით.

ალბათ, ასეთივე წარმოშობისაა სომხ. სიტყვაში *ազარ*, რომელიც, ჩვენი ფიქრით, **ანგარ*-ისაგან უნდა მომდინარეობდეს; hr და rh კომპლექსებში სომხურში ხშირად იკარგვის r. შდრ. *մհհსկահ* და სხვა.

4. ანდერძი — „მოკვდავთაგან დარიგება“ (საბა).

„შერმე მოილო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისა და წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა...“ (ს. ზ. 173₁₃).

„ხოლო ესევეთარი რაჲ ტკბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყოფადი წინაჲსწარმოუსწავა...“ (ს. ზ. 170₈).

„...რომლისა თჳსცა გარდაცვალებისა ჟამსა ანდერძ ეყო გურგენ კურაპალატსა ვითარმედ...“ (გრ. ხანძთ., გვ. ლგ₁₅).

„და მოგსმენიბ ანდერძი მამისა ჩემისა...“ (ლ. მრ. 42₂₇).

„და ნუთუცა გონებასა აქუნდეს მას ჟამსა მას მონაგებთა თჳსთა ანდერძისა განგებისათჳს, რომელი-იგი ქუეყანასა დაეფლა მისისა უწყებისათჳს“ (მამ. სწავლ. 98₁₄).

„რამეთუ მრავალნი მყის წარიტაცნის სიკუდილმან და არა აუფლის სიტყუსაცა ერთისა აღმოთქუმად, არცა ტირილად და არცაღა ანდერძისა ყოფად“ (მამ. სწავლ. 296₂₂).

ამავე ძეგლში გვხვდება ფორმით ანდერზი:

„და ნუმცა ხართ პასუხობასა უსაზომო და სულიერებისა სიტყუსა მოწყინე და ნუმცა სიტყუათა ზედა ლალობისა და განცხრო-

¹ GrirPh, II, გვ. 257.

მისათა მხიარულ არიან პირნი თქუენნი და წიგნთაგან სწავლისა და მამათა ან დერჯისა მწუხარე და უსმ“ (მამ. სწავლ. 271₁).

შენიშვნა: ხევსურულში დაცულია ფორმა ან დრეჯი ‘გადმოცემა’.

„ვეფხისტყაოსანში“:

„გასრულდა ჩემი ან დერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა“
(807₁).

„მისცა ან დერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა“ (808₁).

„ან დერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად“
(827₄).

„დაჯდა წერად ან დერძისად, საბრალოსა საუბრისად!“
(788₁).

ქართულში ეს სიტყვა შემოსულია საშუალო სპარსულიდან; ამოსავლად უნდა ვიგულისხმოდ ფალ. handarz¹ ‘რჩევა, დარიგება, მოწერილობა, ბრძანება’, ძვ. ირანული *ham. darəza-, ავ. ham. darəz-², ფაზ. andarz, ახ. სპ. andarz چراند, ტურფ. ფალ. *ndrz, სომხ. *անդերձ*- „testament“.

ქართულშიც და სომხურშიც, ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა შემოსულია სასანური ფალაურიდან.

ნ. აპკაჟ—‘აფკა, აფსკა’, „თხელი რამ კანი“ (საბა).

„დღენი ჩემნი წარკდეს მყრალობასა შინა და განსთქდა აპკაჟ გულისა ჩემისაჟ“ (იობ. 17₁₁).

შდრ. სომხ. *ապակ* ‘მინა, ბროლი’ (*ապակի*. ჯ. *Աճառյան*, *Ա. Բ.*, გვ. 419), ძვ. ირანული *āpaka, āp ‘წყალი’, სპარს. ābginā³ ‘მინა, ბროლი’, ფალ. āpakēnak⁴, სოლდ. *āpakēn, āp⁴kēnak-, āp⁴kēč (‘pkyn’k) ‘ბროლი’; ამოსავალი მნიშვნელობაა ‘წყლისებური, წყალსავით გამჟვირვალე’. შდრ. სპარს. āb-i xūšk ‘მინა, ბროლი’ (მშრალი წყალი), ოსური avg|avgჟ ‘მინა, ბროლი’, avğyn|avgin ‘მინისა’⁵.

გ. ასპარეჯი — 1. ‘სტადია, უტევანი’, 2. ‘მოედანი, იპოდრომი’.

„და შესლულ იყვნეს ვითარ ოც და ხუთოდენ ასპარეჯ ანუ ოც და ათ, ხედვიდეს იესუს, რამეთუ ვიდოდა ზღუასა მას და მოეახლა ნავსა მას“ (იოვანე, 6₁₉, c*დ*-ში უტევანი გვაქვს).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 100.

² AirWb, გვ. 698.

³ Borhān-e Qāte‘, I, გვ. 11.

⁴ H. Hübschmann, AG, გვ. 203.

⁵ В. Абаев, Историко-этимологический словарь, გვ. 84.

სომხ. *և վարեսլ իրրև ասպարէղ քասն և հինգ վամ երեսուն տասանէին դ՛յո.*

„და იყო ბეთანია მახლობელ იერუსალიმსა ვითარ ათხუთმეტ ასპარეზ ოდენ“ (იოვანე, 11₁₈, *cd* — უტევანი).

և էր ჩხქმანჩო ძსիბ ქს՛մ իրրև ասպարսիք հնգետասան. ասպարէղ.

„ვითარცა-იგი რომელნი ასპარეზსა ცხენთასა ერთი-ერთსა უსწრობენ და განსცხრებიედ, და სარგებელი ვერაჲ პოიან მათ მოსწრაფედ მორბედებითა მათითა...“ (მამ. სწავლ. 26₁₈)¹.

გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ მეორე მნიშვნელობით.

„ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა, არცა და ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოუერთვიდა“

(ვ. ტყ. 100₂).

„სროლასა და ასპარეზსა აქებდიან“ (ვ. ტყ. 337₄).

„მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნილა უკუთქმანია. გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია!“

(ვ. ტყ. 67₃).

ეს სიტყვა სომხურშიც იმავე მნიშვნელობით იხმარება *ასპარეზ*
1. 'stadium' (stadion — როგორც საზომი). 2. 'არენა, მოედანი' (ბერძნული *ἵπῳδρείον*), 'ბრძოლის ველი' და სხვა.

როგორც სომხური, ისე ქართული სიტყვისათვის ამოსავალია საშ. სპარსული *asprēs, aspras*².

ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე სირიულში *ܐܦܪܝܢܐ* 'იპოდრომი'.

საშ. სპარსული სიტყვა კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის პირველი წევრია *âsp* 'ცხენი', ხოლო მეორე კომპონენტად გვევლინება ებრაული და არამეული *ris*, თალმუდ *רִישׁ* 'სტადია, სიგრძის საზომი' (*aspa + ris || ras* 'ცხენთა სარბიელი', 'მოედანი')³.

7. აუგი — 'ნაკლი, სირცხვილი'.

„და აუგი თჳსი გულისხმა ყო“ (გრ. ხანძთ., გვ. 50₈₃).

„... და ამის სიტყუასა შინა აუგისა სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა“ (გრ. ხანძთ., გვ. 56₇).

„...არამედ მამამან მისმან აუგისან ყო უეამოდ შესწრაფებითა“ (გრ. ხანძთ., გვ. 56₈).

¹ გვხვდება აგრეთვე 'სარბიელის' მნიშვნელობით „ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებში“ „უშალად მენეთა მათ თანა მოწამეთა ღუაწლსა მიისწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ წარიტაცა და გზგვრითა პატივცემულთა შორის იპოვა...“ (ასურ. მოღვაწ. 188 21. 25).

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 104.

³ S. Telegdi, გვ. 255.

„და ჭეშმარიტად მიჩუენენ აუგნი ამის სოფლისანი“ (ბალაპვარ. 43₃).

„და დაეინახე აუგი საქმეთა ჩემთაჲ, რომელთა განვეშორე“ (ბალაპვარ. 45₂₄).

„...და გიჩუენენ აუგნი მისნი, რამეთუ მეძაჲ არს და სიყუარულსა ერთისა თანა არა დაადგრების“ (ბალაპვარ. 85₃).

„რომელმან ჯუარს-აცუა თავი თჳსი შრომითა და სიწმიდითა, და სნეულ არს იგი შურიტა, ნარჩევ და აუგოიან არს იგი წინაშე ღმრთისა“ (მამ. სწავლ. 72₉).

„მოდლუარმან თუ უღებ-ყოს მოწაფე თჳსი, ვერ ისწაოს წესი მისი, რომელსა ეშინის დაფარულთაგან, ნუ მოიგებნ აუგთა დაფარულთა“ (მამ. სწავლ. 72₃₀).

„აწ უკუეთუ სიკუდილი მათი ჩუენ თანა საქებელ არს, აუგნი მათნი მოიპოვენ, და უკუეთუ საგმობელ არს, განეშორე და სიმდაბლე მოიპოვე...“ (მამ. სწავლ. 73₂₄).

აუგი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“:

„თქვა: „ღიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს
გულსა,

აუგი და მოყინება არად შესწონს ყოლა კრულსა“;
(1093₂).

„თუ დავმალავთ, დავმგლავნდებით, მეფე ჩვენი ამაყია,
პირველ—მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია“ (1233₄).

„გული მივეც თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად“
(371₁).

„თავს უთხრა: „მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგოიანსა“,
(191₁).

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჭგმობ კაცსა აუგოიანსა, ცრუსა და ღალატოიანსა“
(798₂).

ნ. მარი „გრ. ხანძთელის ცხოვრებაში“, გვ. XIII, ამოსავლად სიტყვისათვის აუგი უჩვენებდა ახ. სპარსულ ფორმას $\bar{a}h\bar{u}$ — $\bar{a}h\bar{u}$. ამის მიხედვით ახალ სპარსულად მიიჩნევს ამ სიტყვას ილია აბულაძე¹.

ფორმით სიტყვა აუგი საშუალო სპარსულია. მისი გვიანდელ ძეგლებში დაცვა მის ახალ სპარსულ წარმოშობაზე არ მიუთითებს, როგორც ეს ბევრ სხვა შემთხვევაშიც გვაქვს. ახ. სპარ-

¹ „მამათა სწავლანი“, X და XI სს.-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955 წ., შესავალი, გვ. XVI.

სული ფორმიდან $\bar{a}h\bar{u}$ - ჩვენ გვაქვს ქართული სიტყვა ავი $\bar{a}h\bar{u}$ > აჰ-ი > ავ-ი (ჰ ჩავარდნილია ხმოვნებს შორის).

საშუალო სპარსული ფორმისათვის აუგი ამოსავალი არის ფალ. $\bar{a}h\bar{o}k$ 'აუგი, სირცხვილი, ლაქა', $\bar{a}h\bar{o}k\bar{e}n\bar{i}t\bar{a}u$ 'აუგიან ყოფა, შერცხვენა', მანიქ. $\bar{a}h\bar{o}k$ ¹, სომხ. *ահոկ*², ახ. სპ. ah 'ნაკლი, მანკი, შეცდომა'.

ყველაზე ახლოს ქართულ აუგთან არის მანიქეველური ფორმა $\bar{a}h\bar{u}g$, რომელიც, როგორც ცნობილია, უკეთესად გადმოსცემს საშ. სპარსულ წარმოთქმას და სასანური ხანისა უნდა იყოს.

სომხ. *ահոկ* უფრო ადრინდელია და შესაძლოა არშაკიდული ფალაურიდან მომდინარეობდეს.

ხ. აზარ (< აზვარ), აზარვით — 'მხიარულად, შურისძიებით, ეინ-მოკვლით'.

„...და იხილნა ყოველნი მხიარულად და აზარვით, რამეთუ სავსე იყუნეს შურითა ოვსთათა“ (ჯუანშ. 98₁₇).

ჩვენ ვფიქრობთ, ამოსავალი სიტყვისათვის აზარ < აზვარ არის ფალაური $\bar{a}zvar$ ³ 'ხარბი, შურიანი, მხიარული', $\bar{a}z$ - 'შური, სურვილი, სიხარული, კმაყოფილება', ავ. $\bar{a}zi-$, ახ. სპარსული $\bar{a}z$ ⁴ 'სურვილი, შური, სიხარბე, ვნება' და სხვა. მეორე ელემენტი — სუფიქსი $-var$, ძვ. ირ. *bara-* 'შქონე, -ოსან-, -ოვან-ი'.

ჟ. ანჯამან (ანჯმნობა) — 'ბჭობა, თათბირი'. საანჯმნო ყოფა — 'სახალხოდ გამოცხადება, გახმაურება'.

„და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოზისათჳს და ვერაჲ დაამტკიცეს სიტყვაჲ მათი“ (გრ. ხანძთ., გვ. მმ₂₁).

„... და ვერა შემძლებელი იყო თჳსა მას სენსა საანჯმნო ყოფად“ (გრ. ხანძთ., გვ. ნე₂).

ამოსავალია საშ. სპარსული $hanj\bar{a}man$ 'კრებული, კრება', ავ. $hanj\bar{a}mana$ 'კრებული'⁵, ახ. სპ. $انجمان$ ⁶ — $anj\bar{u}man$ 'კრებული, საზოგადოება, კრება, ყრილობა, ბრბო' და სხვა, სირ. ܚܢܙܡܢܐ , არაბული $hinzaman$, სომხ. *ანჯამან*⁷ 'კრება'.

¹ C. Salemann, Man. St., გვ. 40.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 94; *Ահառյան, Արմ. բառ.*, I, გვ. 205.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 28.

⁴ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 17.

⁵ AirWb, გვ. 1770.

⁶ P. Horn, GrnpEt, გვ. 26.

⁷ *Ահառյան, Արմ. բაռ.*, გვ. 374.

10. მასპინძელი — „სახლისა და ლხინის უფალი“ (საბა).

„...ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ (აბო, 57₁₃).
ხშირია ამ სიტყვის ხმარება „ვეფხისტყაოსანში“:

„ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“
(729₄).

„პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მქისი“
(1071₂).

„ყმა გარდასვა მასპინძელმან, არ ლაფალმან, ავმან,
უქმან“ (730₁).

„ფრიდონის პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა“
(1464₃).

„უთხრა, თუ: „ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა“
(1386₁).

მასპინძლობა, მასპინძელობა:

„არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არიფობასა“.
(1556₁).

„ქვავს შევიდეს მხიარულნი, ასმათ რასმე მასპინძლობდა“
(1363₄).

„უმასპინძლებდეს ავთანდილს, ვითა მზახალი
მზახალსა“ (101₂₂).

„ვაკრის ცოლთა ვუმასპინძლე მხიარულად, ამოდ,
დურად“ (1127₁).

„ასმათს უც ხორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა-კვე-
თასა“ (1497₂).

ფალაური *aspān* 'დასასვენებელი ადგილი, სასტუმრო, თავშესაფარი', ტურფ. ფალ. *ispin*, ახ. სპ. *سپن* — *spān*, სომხ. *աս-պն* 'მასპინძელი, სახლის პატრონი', თალმუდ. *אִשְׁפָּן* 'ქარვასლა, ღამის გასათევი', სირ. *אִשְׁפָּן* 'špz' და სხვა.

პორნს¹ მოჰყავს აგრეთვე ამ სიტყვის ნასესხები ფორმები: თურქ.

ispenje, სერბ. *spenja*, ბულგ. *ispenč*.

მასვე მოჰყავს ლაგარდის ეტიმოლოგია, რომელიც ამ სიტყვას უკავშირებს სპარსულ *asp*-ს 'ცხენი'. ლაგარდის ეს მოსაზრება, რომელიც ლენცმა გაიზიარა, შეუწყნარებლად მიაჩნია ნიბერგს², რადგან არამეული ფორმები ამ სიტყვისა გულისხმობენ ამოსავლად, მისი აზრით, ირანულ **uspinj*-ს ან *ispinj* ფორმებს.

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 156.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 23.

ნიბერგი ფიქრობს, რომ აქ საქმე გვაქვს ირანულ *uspanč*-თან (მღრ. სკრ. *svanč*), შესადარებლად მოჰყავს აგრეთვე ფალაური *spanjanakih* 'თავის შეფარება, დაბანაკება'.

ჩვენი ფიქრით, გეოგრაფიული სახელი *ასპინძა* შესაძლოა დაუკავშირდეს სიტყვას *მასპინძელ-ი*, მაშინ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო 'სადგური, თავშესაფარი'.

შენიშვნა: აჭარიანის აზრით, სომხ. ფორმა *ասպնჯასკან*¹ მიღებულია საშ. სპ. *aspinjakan*-იდან, ისე როგორც სირიული *ašpizkanā*. ჰ. ნიბერგსაც ამოსავლად სომხური ფორმისათვის მიაჩნია * *aspinj*.

11. *არზანიგი, არძანიგი, არძანგი* — 'ღირსება, ხარისხი'. საბას განმარტებით — *არძანგი, არძანიგი* და *არზანიგი* „სამივ საქდომელსა პატივისა ეწოდების კაცთათჳს ღირსებისაებრ მათისა“. საინტერესოა აგრეთვე შედარებითი ხარისხის ფორმა *ურზანიგიე*.

„იგი ვინმე უცალო არს წიგნის კითხვასა, იგი ჩემსა ვიდრემდე ურზანიგიე არსა?“ (მამ. სწავლ. 265₁₉).

„იგი ვინმე განისუენებს, იგი ჩემსა ურზანიგიე არსა?“ (მამ. სწავლ. 265₂₂).

„და მას ვისმე ზეწარი ასხენ, იგი ჩემსა რაჲთა ურზანიგიე არს სამოსელსა?“ (მამ. სწავლ. 265₂₄).

„და მას ვისმე პა/ტი/ვ-სცემენ, იგი ჩემსა არა ურზანიგიე არს პატივისა“ (მამ. სწავლ. 265₂₈).

„ხოლო შეიღთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა“ (ლ. მრ. 2₂).

ამოსავალია ფალ. *arzānik*² 'ღირსი, ღირსეული', ფაზ. *arzāni*, ახ. სპ. *arzāni* 'ღირსება, ხარისხი'.

სომხ. *արժան, արժանի*³ 'ღირსი, ღირსეული'.

შენიშვნა: სომხური ფორმა თავისი *z*-თი მიგვეითითებს არშაკული ფალაურიდან სესხებაზე, ქართულის საპირისპიროდ, რომელიც ამოსავლად სასანურ ფორმას გულისხმობს.

12. *ახოვანი* — 1. 'გმირი, მებრძოლი, მოწამე' 2. 'წარმოსადეგი', „ტანად დიდი და ძლიერადი“ (საბა).

„ეგრეთვე, რომელნი იგი გულს-მოდგინებით მონაწილე ყოფილ

¹ ჯ. *Աճ ա ղ յ ա ն*, *Արմ. բառ.*, I, გვ. 561.

² H. Nyberg. Hfsb, II, გვ. 168.

³ H. Hübschmann, ΔG, I, გვ. 93.

იყენეს შრომათა მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მენესა მიპვედრიდეს ქრისტესა“ (მარტ. შუშ. 42₆).

„ესე ვითარსა ჟამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდად ესე მოწამე“ (აბო, 58₂₄).

„...და მივიდა სოფელსა მას ცხოველთასა. ვითარცა მენე ახოვანი მოღვაწე ქრისტესი“ (გრ. ხანძთ., გვ. მგ₁₅).

„სადა არს ძლიერი იგი და ახოანი, რომელი ძლეულ არს და დაცემულ და მიწასა შერეულ?“ (მამ. სწავლ. 221₃₂).

„ჯერ არს/ კსენებად წმიდისა მღვდელ-მოდღურისა და უბიწ/ოასა/ და ახოვანისა მოწამისა...“ (ასურ. მოღვაწე. 188₃).

„რამეთუ მეფე ხარ თუთმპყრობელი და ახოვანი, ნებთა შენითა მიგიცემია თავი შენი მონად მტერთა შენთა“ (ჯუანშ. 130₁₀).

შდრ. სომხ. *ախոխան* ‘მენე, მებრძოლი, მეტოქე, მოწინააღმდეგე’. ეს სიტყვა აქარიანს უცნობი წარმოშობისად მიაჩნია¹.

ჩვენ ვფიქრობთ, ამოსავალია მისთვის ფალ. *axʷān*², ძვ. ირ. *ahv-* *vant-* ‘ძლიერი, ცოცხალი, სიცოცხლისუნარიანი’, ავ. *ahv-*, *ahva-*, *ahva-*³ ‘ძალა’, ფალ. *axʷ* ‘სასიცოცხლო ძალა’, ე. ი. ქართ. მხნე.

13. ბევრი — 1. ‘10.000’, 2. ‘მრავალი’.

„ეტლნი ღმრთისანი ბევრ-წილ არიან და ათასეულნი წარუ-მართებენ მას“ (ფს. 67₁₈).

„არა სადა უვარ ვყო მე სახელი მისი; დაღათუ ბევრეული ოქროსა და ვეცხლისა მომცენ მე“ (აბო, 67₁₂).

„და შეწვენადცა მათი უხილავად საჭურველ იყო თქუენდა უფროდს ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრთა მკედართა“ (გრ. ხანძთ., გვ. ლბ₅₁).

„სიტყვსაებრ მოციქულისა. „დაღაცათუ გესხნენ ბევრ „მზარდულ. არამედ არა მრავალ მამა“ (გრ. ხანძთ., გვ. ობ₇₁).

„ხოლო კაცნი ჰმატან მასშინა ურთიერთას, ვითარცა რაჲ მარგალიტი, რომელიმე ღირს ასის ბევრის და რომელიმე ორის დანგის“ (ბალაჰვარ. 46₂₄).

„ვითარცა-ლა შორის ასისა დრაჰკნისა და ბევრეულისა ტალანტისა ფრიად არს, ეგრეთვე თანა-ნადებთა კაცთასა ჩუენდა მიმართ და თანა-ნადებთა ჩუენთა ღმრთისა მიმართ ფრიად არს“ (მამ. სწავლ. 34₂₀).

„რამეთუ სატანჯველნი იგი საუკუნენი ვერ ესწორებიან ბევ-

¹ *Ահառյաւ, Արմ. բառ.*, I, გვ. 64.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 7.

³ AirWb, გვ. 283.

რეულსა ტალანტსა, რომელსა ასითა დრაჰკენითა მოვიყიდით“
(მაშ. სწავლ. 34₂).

„ვეფხისტყაოსანში“:

„კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით
გიხმობენ,

აწვე თავსა არ ეწვევი, ფათერაკსა შეგასწრობენ“ (434₃).

„მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!“
(694₄).

„სულთქმა ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს“ (731₃).

„ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან
საამან“ (449₄).

„რაგვარა თუ მანდა გეხმე, ვინც ვჰპატრონობ ბევრსა
ერსა“ (401₃).

„მოვიდაო იგი მოყმე, რომე ერთი ბევრსა სრვიდა“
(1618₄).

„გვარად უცხონი ყვავილნი, ფერიტა მეტად ბევრითა“
(1061₃).

„ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“
(33₄).

„ჭირი ბევრჯელ ვაათასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი“ (547₃).

ბევრის ბევრი:

„ქალსა ცრემლი გადმოსცვივდა ას-ნაკეცი, ბევრის-
ბევრად“ (272₁).

ბევრ-ათასი:

„ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათა-
სისა“ (44₂).

„შესამოსელი შეჰმოსეს დრაჰკენისა ბევრ-ათასისა“
(1013₃).

„როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრ-ათასისა“
(1222₁).

უძველესი ფორმა სიტყვისა ბევრი დაცულია ავესტაში. ავ.
baevərə '10.000', ფალ. bēvar '10.000', ახ. ს. bīvār- بویار¹ '10.000'.
სიმრაელის აღსანიშნავად იხმარება ოსურშიც, დიგ. bewræ², ქურთ.
birü 'ბევრი, ძალიან, მეტი', სომხურში բիր³ '10.000', 'ბევრი,
ურიცხვი':

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 60.

² В. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, გვ. 262.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 121.

შენიშვნა: ახ. ქართული დიალექტური ფორმა ბრეული მიღებულია ძვ. ქართ. სიტყვისაგან ბევრეული ჰაპლოლოგიის გზით და არა ბევრისაგან: ბევრეული > ბრეული. 1

ნ. მარის აზრით, ბევრი იაფეტური სიტყვაა, რომლის თავდაპირველი სახე უნდა ყოფილიყო *mewr-a| → bewr-a||mevri, რომელიც აღნიშნავდა ძირითადად 'ბევრს, მრავალს', ხოლო სპეციალურად '10.000-ს'.

ამ უკანასკნელი (გეორგიული) მნიშვნელობით გადავიდა იგი აღმოსავლელ და დასავლელ არიოფეროპელებთან უშუალოდ ირანულში baevār-ს სახით, იონიელთა მეშვეობით კი — დასავლეთში (Μάριασ, Μάριασ და სხვა) 2. უფრო გვიან ნ. მარი აღნიშნავს, რომ სიტყვა ბევრი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კომპოზიტი be (=10) + var (=1000). მაშასადამე, სიტყვის ძირითად მნიშვნელობად მიჩნეულია '10.000'.

მრავალი და ბევრი ნ. მარს ერთ და იმავე სიტყვად მიაჩნია და ახალი ქართული დიალექტური ფორმები ბრეული და ბრეული გამოჰყავს მრავალი დან 3.

როგორც ვხედავთ, მარი ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს თავის ორ სხვადასხვა შრომაში.

ჩვენ ვფიქრობთ, ძვ. ქართულის, ირანული ენებისა და სომხურის მონაცემების მიხედვით, შეიძლება ამოსავალ მნიშვნელობად მივიჩნიოთ ავესტაში დადასტურებული '10.000', ხოლო ახალ ირანულ ენებში და ახალ ქართულში მისგან განვითარდა მნიშვნელობა ზოგადად 'მრავლისა'.

14. ბერი — 1. 'მოხუცი', 2. 'მონაზონი'.

1. „აღმალღდეს, ვითარცა მარტორქისა, რქაჲ სიბერე ჩემი ზეთითა და პოხიერებითა“ (ფს. 91₁₁).

„არამედ შემდგომად არამრავალთა წელთა აღესრულა მამადცა ამათ ნეტართაჲ და წინაშე ღმრთისა მიიცივალა სიბერიითა კეთილითა განპოხებული“ (ს. ზ. 150₃).

„რამეთუ სიბერიისა პატიოსნებაჲ არა მრავალი ჟამი არს. და არცა რიცხუ დღეთაჲ აღრაცხილ. ხოლო მცოვანებაჲ არს გონიერებაჲ კაცისაჲ და ჰასაკ სიბერიის ცხორებაჲ უბიწოჲ.“ (გრ. ხანძთ., 33-ე მ.)

„და ამცნო შეფემან, რომელნი განჰყვებოდეს ყრმასა მას, რადთა წინმავალთა წარავლენდენ და, უკუეთუ ჰპოვებდნენ კაცთა ბერთა,

¹ N. Marr et M. Brier, La langue géorgienne, Paris, 1931.

² H. Marr, Надпись Сардура II, 1916, გვ. 33.

გინა სნეულებითა შეპყრობილთა, გზისაგან კიდე-განიყვანებდნენ...“ (ბალაპეარ. 22₂₆/ბ/).

„ხოლო მე ასული ვარ ბერისა ერთისა გლახაკისაჲ“ (ბალაპეარ. 54₆/ბ/).

„და ვმა-უყო ჭაბუკმან მან ბერსა მას“ (ბალაპეარ. 54₆/ა/).

„მაშინ ვმა-უყო ჭაბუკმან დედაბერსა“ (ბალაპეარ. 54₁₃/ბ/).

2. „კითხვა ძმამან ბერსა: ვითარ შემძლებელ ვიქმნე წინა-აღმდგომად მრავალ-მეტყუელებასა და შეკრძალვად ენისა ჩემისა?“ (მამ. სწავლ. 316₂₆).

„მას ჟამსა იყო ვინმე ბერი ხანძთას მარტო-მყოფი“ (გრ. ხანძთ., გვ. ზ₁).

შენიშვნა: მონაზონის მნიშვნელობით ხმარება სიტყვა ბერისა შედარებით გვიანდელია და მეორეული.

„მატიანე ქართლისაჲ“-ში ბერნი ნახმარია „ქალაქის უხუცესთა“ მნიშვნელობით:

„იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რამეთუ მის ჟამისა პირველ მომკუდარ იყო ტფილელი ამირა ჯაფარ“ (299₆).

„და ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს, და მოვიდეს სხუანი მკმობელნი ბერნი ტფილელნი“ (მატ. ქართ. 299₁₃).

„წარემართა ტფილისად და მიეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა...“ (299₁₄).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება 'მოხუცის' მნიშვნელობით.

„ვაზირი ბერი სოგრატი თვით მასთანავე მჯდომია“ (57₃).

„იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი“ (828₃).

„მე ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე“ (562₃).

„აქა მოსვლითა გაყმდების, კაციმცა იყოს ბერები“ (1066₁).

ბერება:

„გაქრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად“ (784₃).

„ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?“ (37₁).

ქართული სიტყვისათვის ბერი ამოსავალია საშ. სპარსული pīr 'მოხუცი', pīrīh 'სიბერე', pīrak 'მოხუცი ქალი, დედაბერი'.

ახ. სპარსული *پير* — *pīr*: 1. 'მოხუცი, ხნიერი, ბებერი'. 2. 'რელიგიური სექტის დამაარსებელი ან მეთაური, წმიდანი. მოძღვარი, მღვდელი, ქურუმი' და სხვა.

ქურთული და ავღანური ნასესხები *pīr*, ბალუჯ. *pirik*, 'პაპა'¹.

ამოსავალი მნიშვნელობაა ირანულისათვის — 'უპირველესი, უწინარესი, ძველი, უხუცესი'. შდრ. ფალ. *pīrār* 'გასული წელი' < ძვ. სპარსული *p(a)ruviya-yāra*² (ძვ. სპ. **piry*, **pirvy* < *pr*viya*, არიული **prvya*).

ნ. მარი თავის შრომაში „Древнегрузинские одошисцы“ ამ სიტყვას სპარსულიდან შეთვისებულად თვლიდა: „ბერი, მისი აშკარა სპარსული ექვივალენტით *پير*, მე მივაკუთვნე ნასესხებთა რიგს“³.

15. ბორცვი — 'მალლობი, გორაკი'.

„განარისხეს იგი ბორცუებსა ზედა მათსა და კერპებითა მათითა აშურებდეს მას“ (ფს. 77₆₈).

„ქმნეს ტალავარი მახლობელად ბორცუსა მას“ (ს. ზ. 154₁₉).

„უამსა (თვსსა) ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ფრიაღ შუენიერი“ (ს. ზ. 178₁).

„გამობრწყინდა მზე სიმართლისაჲ და დაადვნა მთანი და ბორცუნი მალალნი...“ (მამ. სწავლ. 69₁₇).

ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ფალ. *burz*, *burzak* 'სიმაღლე, მწვერვალი'. შდრ. *burzišn*, *burzitan* 'ამაღლება', ახ. სპარსული *burz* 'სიმაღლე', *Elburz* < *Hara-barəza* 'იალბუზი' (ელბურზი-დან), ავესტური *berəz*, *barəz* 'მალალი', სკრ. *brhant*, სომხ. *barჷr* 'მალალი'⁴.

ეს სიტყვა მოიპოვება აგრეთვე სხვა კავკასიურ ენებში, კერძოდ ჩაჩნურში (შდრ. ინგუშ. ბოარზ, ჩაჩნ. ბორც || ბარც = ბარც, ბარზ 'გორაკი, ბორცვი', წოვ. ბორც⁵, რაც მხოლოდ საერთო ირანული

¹ GrirPh, II, გვ. 28.

² P. Horn, GrnpEt, გვ. 78.

³ H. Marp, Древнегрузинские одошисцы, გვ. 106.

⁴ P. Horn, GrnpEt, § 19^a, გვ. 46.

⁵ თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, გვ. 578; „ენიმკის“ მონაბე, V—VI, 1940.

წყაროდან მომდინარეობაზე მიუთითებს, საფიქრებელია, ჩრდილო-ირანულზე.

16. ბოსტანი—'ბალი, მტილი'.

„ვითარცა-იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოების ყოვლადვე ადგილ-თა სულმყრალთა მწინკულევეანთა და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელთა...“ (მამ. სწავლ. 151₂₉).

გეოგრაფიულ სახელად:

„და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე. და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი...“ (ლ. მრ. 8₂₀).

„ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი...“ (ლ. მრ. 9₄).

ფალ. სასან. bñi-tñu 'ბალი, ბალნარი', ტურფ. ფალ. bñ-ñistān¹ (პართული ფორმა), სოლდ. βωνστνυη 'ბალი, პარკი', ახ. სპარსული bōstān- بوستان 'ყვავილების ბალი', თალმულ. 𐭠𐭣𐭥𐭥𐭥, სირ. 𐭠𐭣𐭥𐭥𐭥, სომხ. բուստան.²

ქართული ბოსტანი შესაძლოა შემოსულია ან სასანური ფალაურიდან, ისე როგორც სირიული და თალმუდის არამეული ფორმები, ან ახალი სპარსულიდან, ხოლო სომხური უეჭველია ამოსავლად პართულ ფორმას გულისხმობს.

ეტიმოლოგია ამ სიტყვისა ასეთია: ფალ. bñb || bñy, ავ. baiby 'სურნელება' + სუფიქსი -stān, ერთად — 'სურნელოვანი ადგილი'.

შდრ. ავ. baioñibara-, barō-baioñ- 'სურნელოვანი', სომხ. բուսել 'სურნელების ფრქვევა'.

17. ბრძანება — „თქმა უაღრესისა მიერ“ (საბა).

„მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ“ (მარტ. შუშ. 4₂₉).

„მე გითხრა შენ კეთილად. ხოლო გამორჩევაჲ არა შენი არს, არამედ ვითარცა უფალმან გიბრძანოს“ (ე. მცხ. 85₁₈).

„და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტის-მსახურისა იონთა მეფისა“ (აბო, 66₆).

„და უბრძანა, რათა აზიარონ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა“ (ს. ზ. 176₂₁).

„ხოლო მე თანამაც დედაო ბრძანებისა შენისა სმენაჲ და ზრუნეაჲ ყოველთა ამათ შენთა საურავთაჲ“ (გრ. ხანძთ., ლე₄₇).

¹ S. Telegdi, გვ. 234.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 122.

„ვეფხისტყაოსანში“:

„ავთანდილ ბრძანებს ლაშქართა ყოვლგნით მის თანა
წვევასა“ (1566₆).

„ერთსა ბრძანებს დედოფალი, მართ სიტყვასა ვითამ
ათსა“ (1632₃).

„მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო, ჯეროთ ვარდი არ დაგქნო-
ბია“ (38₁).

„როსანს შევჰროთოთო, — დულარდუხტს მეფესა უბრძა-
ნებია...“ (1240₁).

„გებრძანა „შეყრა მწადიან საყვარელისა შენისა“
(1477₁).

„არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელ-
მან“ (43₁).

„მისალამეს, „ფატმან, — მითხრეს, — ბრძანებაა ღმრთისა
სწორთა“ (1172₁).

ბრძან-, ჩვენი ფიქრით, მომდინარეობს ირანული ძირიდან fra-
zān 'შეცნობა, გაგება'. კაუზატიური მნიშვნელობით — 'ცნობება,
გაგებინება, ბრძანება' (შდრ. სანსკრიტული pra-jān ან ā-jñā- 'შეც-
ნობა, გაგება', კაუზატივში — 'ბრძანება'): ირ. fra.zān >
*ფრძან > ბრძან.

სიტყვა შეთვისებული უნდა იყოს არა სპარსული (სამხრეთ-და-
საელური) ჯგუფის ენებიდან, სადაც ბრძანება ნაწარმოებია,
თუმცა ანალოგიურად, მაგრამ სხვა ძირიდან (ირ. fra-mā-, ფალ.
framān, framūtan, ახ. სპ. farmūdan, farmān, ქართ. ფარმანი,
ფირმანი, სომ. *Բրաման*), არამედ რომელიღაც ძველი ან საშუალო
ირანული დიალექტიდან, სადაც სანსკრიტის მსგავსად ბრძანება
zān- 'ცოდნა' ძირიდან იყო ნაწარმოები.

18. ბრძენი — „დიდად ქვეიანი“ (საბა).

„კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყვოთ, გარნა ნუ დაგი-
ჯერებდეს, თუმცა მე მისა ცოლაღლა ვიყავ“ (მარტ. შუშ. 14₇).

„მაშინ დაუტევე მე პირველი იგი, კაცთა კელოვნებითა შეთხზუ-
ლი შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნე-
ბაჲ“ (აბო, 69₃).

„წეს არს თქუენ მიერ ღირსი პასუხი, რაჲთა ბრძენთა მო-
წაფეთა ბრძნისა მოძღურისა მიმართ ღირსითა სიტყვთა ძღუენი
გულსმოდგინებისაჲ შესწიროთ“... (გრ. ხანძთ., გვ. 1₁₇).

ბ რ ძ ე ნ ი — „ვეფხისტყაოსანში“:

„ბ რ ძ ე ნ ი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“
(33₁).

„რაცა გითხრა, მომისმინე, ბ რ ძ ე ნ ი გეტყვი, არა ხელი“
(663₁).

„უსამ იყო ქარავენისა უხუცესი, კაცი ბ რ ძ ე ნ ი“ (1030₁).

„ინდოთ მეფე თაყვანსა სცემს ლალი, ბ რ ძ ე ნ ი, არ მახმუ-
ლი“ (1559₁).

„ხარმკა ბ რ ძ ე ნ ა დ მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და
ცნობილი“ (48₁).

„ბ რ ძ ე ნ თ ა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-
ქმნათად“ (319₁).

ბ რ ძ ე ნ ო ბ ა :

„ბ რ ძ ე ნ ი! ვინ ბ რ ძ ე ნ ი, რ ა ბ რ ძ ე ნ ი! ხელი ვითა იქმს
ბ რ ძ ე ნ ო ბ ა ს ა!“ (886₁).

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბ რ ძ ე ნ ო-
ბ ის ა“ (790₁).

ჩვენ ვფიქრობთ, სიტყვა ბ რ ძ ე ნ ი მომდინარეობს საშ. სპარსუ-
ლი სიტყვიდან frazānak 'ბ რ ძ ე ნ ი, მეცნიერი', frazānakh 'ცოდნა,
მეცნიერება'¹, ახ. სპ. فرزان — فرزانه, საშ. სპ. frazān > ფ რ ა-
ძ ა ნ > ფ რ ძ ა ნ > ბ რ ძ ე ნ - ი.

აღნიშნულ ახალ სპარსულ ფორმებს ქართულ ბ რ ძ ე ნ ს მაკარ
ხუბუაც უკავშირებდა. მაგრამ, ამ სიტყვისათვის რომ ამოსავალია
საშ. სპარსული frazān და არა ახ. სპარსული ფორმები, ამას ამტკი-
ცებს, გარდა ფონეტიკური სიახლოვისა საშ. სპარსულთან, ის გარე-
მოებაც, რომ იგი უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება (V ს-დან).

შენიშვნა: ბ რ ძ ა ნ და ბ რ ძ ე ნ სიტყვებს შორის ისეთივე სე-
მანტიკური კავშირი არსებობს, როგორც არაბ. حَسْب-სა 'განკარგუ-
ლება, ბ რ ძ ა ნ ე ბ ა' და حَكْم-ს 'ბ რ ძ ე ნ ი, ფილოსოფოსი, ექიმი' შო-
რის. ეს ორივე სიტყვა ნაწარმოებია حَكْم ზმნიდან².

შეადარეთ აგრეთვე სკრ. ἦν ἰσχυρὸς 'ცოდნა' და ἦν ἰσχυρὸς 'ბ რ ძ ა ნ ე ბ ა'.

19. ბუნება — 1. 'თვისება, ხასიათი'. 2. ფύσις, Natura. 3. 'ნამ-
დვილი; ძირითადი'.

¹ H. Nyberg, Hfsb, II. გვ. 74.

² A. Belot, Vocabulaire arabe-française, გვ. 130. იხ. აგრეთვე, შ. ან-
დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმო-
ლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 390.

„რომელი იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი“, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა ესე მე“ (მარტ. შუშ. 4₂₈).

„ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყუ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს...“ (მარტ. შუშ. 13₁₀).

„...რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მკამელ...“ (აბო, 34₃₁).

„რამეთუ უზეშთაეს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინვალეებით წარმატებაჲ ცხორებისა შენისაჲ“ (ს. ზ. 182₃).

„სიტყვათა შენთა პატივი ჩუენთჳს ზეშთა ბუნებათა არს...“ (გრ. ხანძთ., გვ. თ₈₀).

„სიმრუდე კირჩხიბისა ბუნებით არს, ხოლო სიმრუდე შენებითა შენითა არს“ (მამ. სწავლ. 148₁₀).

„და ბუნებაჲ ქუეყნისა კუალად იქცეს აგებულებასავე თჳსსა პირველსა“ (მამ. სწავლ. 124₁₁).

„ხოლო ბუნება ჩუენი ესე არს, რათა კეთილის-მყოფელისა ჩუენისათუის დავდვათ სული ჩუენი“ (ჯუანშ. 131₃₄).

„ვეფხისტყაოსანში“:

„კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა
ფრფენითა“ (22₄).

„რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა, ბუნება-ზიარსა,
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურთა რამე მხნე არსა!“
(1109₁).

შდრ. ავესტური *buna*, სანსკრ. *budhna*- 'საფუძველი, ნიადაგი', ფალაური *bun*¹ 'საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაზი, ფესვი', ახ. სპარსული *بُن*—*bun*² 'ძირი, ფუძე, საძირკველი, ნიადაგი', სომხური *բուն*, *բնութիւն*³ 'ბუნება' (ფძთც, *natura*).

ქართული ეყრდნობა საშ. სპარსულ ფორმას, სახელდობრ რომელ დიალექტს ძნელი სათქმელია, ყველგან ეს სიტყვა ერთი ფორმით არის დაცული ძველიდან ახალ სპარსულამდე.

შეადარეთ აგრეთვე ქართული სიტყვები ბუნი (ბუნ-თურქნი „მოქც. ქართ.“) და ბუნაგი, რომლებშიაც იგივე ძირი *bun-* გვაქვს შემონახული.

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 38.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 73.

³ H. Hübschmann, AG, გვ. 123.

შენიშვნა: ნ. მარი ქართულ ფორმას ბუნება თვლის უშუალო ნასესხებად და ამ სიტყვის დაკავშირება შესაძლებლად მიაჩნია სანსკრიტულ *budhna*-სთან, მაგრამ იგი რატომღაც გვერდს უვლის ირანულ ფორმებს და სკრ. *dhu*-დან *n*-ს მიღება დამაბრკოლებლად ეჩვენება¹.

20. ბარძიმი — ეკლესიის სამსახურებელი ქურჭელი ზიარებისათვის, „ფერჯიანი მალალი სასმისი“ (საბა).

„...რომლისა თანაცა იპოოს ბარძიმი იგი მოკუეღინ“ (დაბ. 44₁).

„რაისასა მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაჲ?“ (დაბ. 44₁).

„და ბარძიმი იგი ვეცხლისა შთაუდგთ ძაძასა მას უმრწემისასა და სასყიდელიცა იფქლისა ამისაჲ...“ (დაბ. 44₂).

„... და მისცა ვეგარის ოცდაათი ლიტრა ოქროჲ ეკლესიათა მათოჯს სავმრად, ბარძიმი ოქროჲსა და ფეშხუემი და სხუაჲ ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა...“ (ასურ. მოლვაწ. 111₃₃).

„მერმე მოილო მამასახლისმან მტუერი წმიდისა მის საფლავისა და შთაყარა ბარძიმსა შინა და ასუა თვთ სტეფანოზს და ცოლსა და შვილთა მისთა და მყის მოეგნეს გონებასა ცოფნი იგი...“ (ასურ. მოლვაწ. 205₁₅).

შესაძლებელია აქ გვექონდეს საშ. სპარსული **barz-in* ‘მალალი’ (ქურჭელი).

შდრ. ახ. სპ. *بز* *barz*² ‘სიმაღლე’, სომხ. *բարձր*³ ‘მალალი’, *բարձ* ‘ბალიში’. სპარსული *bālīš* < *barzīšn*-იდან.

21. განძი — ‘უნჯი, საუნჯე’.

„და განძსა წერილ არს ყოველი ჭეშმარიტებით“ (გრ. ხანძთ., გვ. ოფ₅₁).

„და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი...“ (ლ. მრ. 15₁₈₋₂₃).

„განძი ოქროჲსა არა არს ჩუენ თანა, და ქურჭელსა მსოფლიოსა მოსწრაფედ შევიკრებთ“ (მამ. სწავლ. 164₄).

ს ა გ ა ნ ძ უ რ ი — ‘ხაზინა, საჭურჭლე’.

„მაშინ ჰრქუა მას კაცმან მან: მე გაუწყო, რაჲ-იგი ჯერ არს შენდა ყოფად: იწყე, რომელ არს ჳელთა ქუეშე შენსა, საგანძურთა განგარვად, რომელი ხოლო შეუძლო: ოქროჲ და თუალები პატიოსანი და ანთრაკი რჩეული...“ (ბალაჰვარ. 41₂₂).

¹ Н. Марр, Из пирпейской Гурни, ИР, IV, гв. 17—19.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 66.

³ А. Худашев, Армяно-русский словарь, гв. 227.

„და მრავალ გზის დავაცარიელენ საგანძურნი ჩემნი ტადართათჳს კერპთაჲსა და მსახურთა მისთა...“ (ბალაჰვარ. 108₃).

ილია აბულაძე ამ სიტყვას ახ. სპარსულიდან შემოსულად თელის (ან ყოველ შემთხვევაში სომსურიდან) იმ მიზეზის გამო, რომ იგი IX საუკუნემდე ქართულ მწერლობაში არ გვხვდება¹.

შღრ. ფალ ganj^v ‘საუნჯე, საფასე, განძი’, სოლდ. ҕнзҕр, ახ. სპ. گنج — ganj^v ‘განძი, საუნჯე’. სომხ. գանձ ‘განძი, საუნჯე’, სკრ. ნასესხები ganja-, ბერძნ. γαντζα, არამ. ginza, gezza, არაბ. kanz, არამ. gznr’, სირ. gz’, ელეთანტ. ganza⁴.

3. ნიბერგს ეს სიტყვა უცნობი წარმოშობისად მიაჩნია. იგი ერთნაირად გავრცელებულია სემიტურ და ირანულ ენებში.

ამავე სიტყვიდან არის ნაწარმოები სხვადასხვა წყაროდან მომდინარე და სხვადასხვა დროის ქართულში არსებული სიტყვები:

განზანაკი (ფალ. *gauzauak), განჯინა (ახ. სპ. ganjinü).

შესაძლებელია ამ სიტყვას დაუკავშირდეს ქართული უნჯ-იც (უნჯ-ება, სა-უნჯ-ე—თავკიდურში არამეულში შეიძლება გვქონოდა ხ, რომელიც ქართულში დაიკარგა: *hunj > нун), რომელიც უფრო გავრცელებულია უძველეს ქართულ ძეგლებში.

ფალაურში გვაქვს სიტყვა, რომელსაც ბართოლომე გადმოგვცემს ტრანსკრიფციით, როგორც khaujinak ან khazinak. ასევე შეიძლებოდა თავკიდური ფალ. ք გადმოგვეცა, როგორც han(hanjinak)⁵. არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, კავშირი სომხ. հանք-თან ‘მოსავლის აღება’, հուռք ‘კალო’.

საფიქრებელია, არშაკიდულ ფალაურში გვქონოდა ფორმა хунj- ან hinj, რომელმაც მოგვცა ქართული უნჯი.

22. გლახაკი — 1. ‘ჩაგრული, ცოდვილი, საწყალი’. 2. ‘ნათხოვარი’.

„გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე“ (ლუქა, 16₂₀).

„ქურივმან ამან გლახაკმან უფროჲს ყოველთა შემოწირა ფასის საცავსა ამას“ (მარკ. 14₃₃).

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“ (მათე, 5₃).

¹ „მამათა სწავლანი“, შესავალი, გვ. XVII.

² H. Nyberg, Hfsb, II. 33. 77.

³ H. Hübschmann, AG. I. 33. 126.

⁴ A Meillet, Vp, 33. 74.

⁵ Chr. Bartholomae, Zur Kenntniss der mittelliranischen Mundarten, Heidelberg, 1916, I, 33. 30.

„გლახაკნი, უცხონი და ბრმანი და მკელობელნი შემოიყვანენ აქა“ (ლუკა, 14₂₁).

„რადსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა“ (იოვან. 12₆).

„ამან გლახაკმან ჳმა-ყო უფლისა მიმართ...“ (ფს. 33₇).

„შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“ (მარტ. შუშ. 43₂₇).

„...ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა... შიშითა განილევინ...“ (აბო, 58₁₈).

„უძლურთა მკურნალო, ჳირვეულთა შემწეო, ღელვა-გუემულთა ნავთსაყუდლო, გლახაკთა სიმდიდრეო...“ (ს. ზ. 182₉).

„რადთა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ჴედა...“ (გრ. ხანძთ., გვ. იე24).

„...და ნუ ჳმიზეზობ და იტყჳ, ვითარმედ: არაჲ მაქუს მიცემად გლახაკთა“ (მამ. სწავლ. 78₂₉).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, როგორც ძველი გლახაკი, ისე მოგვიანო ხანის გლახა.

1. გლახაკი:

„ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახკნი არ ითხოვდეს“ (1664₂).

„გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“ (158₄).

„გლახაკთათვის საბოძვარსა საჭურჭლესა ერთგან ჳყრიდეს“ (1640₄)

2. გლახა:

„გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჳროთა ყოველგნით ჳკრებენ“ (1067₉).

„ღედლოფალსა ძღვენსა ვუძღვნით, მდიდარი თუ გლახა ვინა“ (1123₉)

ამავე ფუძისაა შორისდებული გლახ- და ვა-გლახ:

„ტიროდეს და იჳირვოდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული“ (197₄).

„შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს“ (743₂),

„გულმან, გლახ, რა ჳმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!“ (942₂).

„მე, გლახ, რა მომილხენია“ (1055₉).

„მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჳთა სხვაცა დამერთო ჴედაო“ (1285₉).

„ვაგლახ მეო, რა გაიმბე ფათერაკად, მცთარმან,
შმაგად!“ (631₁).

„პაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!“ (1145₄).

„ვაგლახ თქვენსა ვერა-მჭვრეტსა“ (1444₄),

„ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა“ (255₄).

„ვითა სიცილი ტირილსა, ვაგლახი მიჯობს
მღერასა“ (235₄).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება აგრეთვე ვაგლახი დან ნაწარ-
მოები ფორმა მევაგლახაკი (ხელოვნური ფორმა):

„მე დაერჩე... თავისა მევაგლახაკად“ (1565₃).

ჩვენი ფიქრით, ქართულ სიტყვებს გლახაკი, გლახა,
გლახ- (ვა-გლახ)-ს საფუძვლად უდევს საშუალო სპარსული ფორმა
gilak || gilah ‘ტირილი, ჩივილი, ვაება’¹.

ფაზ. gilah < *girzak < grzaka, ავესტური garəz-, garəzaiti-
‘ჩივილი’, სკრ. garh- garhate ‘ჩივილი’, სპარსული گراخ — gilah ‘ჩი-
ვილი, ტირილი, მოთქმა, ოხვრა, ყვედრება, მღურვა, კიცხვა’.
გლახ-აკი — ე. ი. ‘მოჩივანი, მტირალი, საბრალო, საცოდავი,
ღარიბი, მათხოვარი’.

საშ. სპ. gilah > glax > ქართ. გლახ-აკ-ი, სუფიქსი -აკ
შესაძლოა ქართულში დაერთო. შდრ. სახლ-აკი, წიგნ-აკი და სხვა.

საფიქრებელია, რომ სოციალური ტერმინი გლახი ც წარ-
მოდგება სიტყვისაგან გლახ-ი, გლახა, რომელიც თავდაპირვე-
ლად ფონეტიკურ კორელატს (ვარიანტს) წარმოადგენდა გლახ-
ისა, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიიღო.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა კონტექსტი ლეონტი
მროველთან, სადაც გლახი წარჩინებულის საპირისპიროდ
არის ნახმარი. ფარსმან ქველის სიკვდილის გამო აქ ნათქვამია:
„მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყემა ყოველთა ზედა ქარ-
თველთა წარჩინებულთგან ვიდრე გლახადმდე“ (ლ. მრ.
53₉).

23. გრივი — ‘მარცვლეულის საზომი’.

„ანუ არა სამისა გრივისა ფეტუსათუს და ხუთთა თხათათუს
მოსრულ ხარა მოკლვად ჩემდა ზ უგუნურო“ (გრ. ხანძთ., გვ. 28₁₆).

„და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტუ და ხუთნი თხანი
და წარავლინა ხანძთად...“ (გრ. ხანძთ., გვ. 23₁₆).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 81.

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 208.

ფალ. griv (grīb)¹ 'მარცვლეულის საზომი', ახ. სპარსული **گرīb** — garīb,² არაბ. **جرب**³ მიწის საზომი=144 მარდს. აგრეთვე მარცვლეულის საზომი. სირიული **ܩܪܝܘܢ**, სომხ. **գրիւ**⁴ 'მარცვლეულის საზომი'.

24. გულაგი — 'ტომარა', „შთასადებელი“ (საბა).

„მაშინ გამოვიდეს და აღიღეს ქუეყნით პატიოსანი გუამი მისი და შთადევს იგი გულაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ“ (აბო, 74₂₅).

შდრ. ფალაური ***guvālak**, ახ. სპ. **گوال**⁵ — **guvāl** 'ტომარი, პარკი ბოხჩა'. არაბიზირებული ფორმა **جوال** = ქართ. **ჯვალო**, სირიული **ܩܪܝܘܢ** 'ტომარი', 'პარკი', თალმუდური **ܩܪܝܘܢ** 'ტომარი', (sacus, mantica, sarcina). შდრ. აგრეთვე ოს. **gollag** 'ტომარა', ბელუჯ. **gwāla(g)**⁶, **gaval**.

შენიშვნა: ფალაურ ფორმას ***guvālak** ტელეგდი⁷ აღადგენს თალმუდის არამეულში დაცული **ܩܪܝܘܢ**-ს და ახალ სპარსული **guvāl**-ის მიხედვით. უძველესი საშ. ირანული ფორმის აღსადგენად უაღრესად საინტერესოა ქართული სიტყვები **გვარდაკი** || **გვადრაკი** და **გვადრუცი**, სადაც საშ. სპარსული **rd** კომპლექსი ჯერ აო გადასულა I-დ.

25. გოვარი, გუარი — 'შთამომავლობა'; 'წარმომავლობა, ბუნება'; 'ხასიათი', 'ხარისხი' და სხვა.

„...რამეთუ მრავალი კაცთაგანნი ამპარტავან და ზუაფ არიან განლაღებული ძმათა თჳსთა ზედა და იქაღიან გოვარსა და ტომობასა ქუეყანისა ნათესაეთასა და იტყვიან: მე იგი ვინმე ვარ და მისი შვილი ვარ...“ (მამ. სწავლ. 105₄).

„ვინ უკუე შემძლებელ არს მიწდომად გოვარსა უპატიონესსა უფროდს ქრისტეანობისა, ანუ ვინ შემძლებელ არს სახელისდებად თავისა თჳსისა მამად უფროდსა ქრისტესა? არა ყოველნი

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 131.

² Б. Миллер, გვ. 422.

³ X. Баранов, Арабско-русский словарь, I.

⁴ *Աճառյառն, Արմ. բառ.*, II, გვ. 356.

⁵ Borhān-e Qāte', გვ. 1121.

⁶ ეს სიტყვა გავრცელებულია სხვა კავკასიურ ენებშიც: დარგ. **gavlag**, ანდ. **gvala**, ჩანხ. **galaj** 'ტომარი' და სხვა. იხ. В. Абаев, Историко-этимологический словарь, გვ. 522.

⁷ S. Telegdī, გვ. 236.

ერთობით ვიტყვთ: „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“ (მამ. სწავლ. 106₁₂):

„აწ უკუე, რომელი იქადის ძმასა თჳსსა ზედა გოვრითა ქუეყანისაჲთა და იქადრებს მისა სიტყუად, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? და არს იგი ქრისტეანე მისებრვე და ამაჲ მისი მადლითა, და იგი უვარ-ჰყოფს მას და იქადის მამასა ქუეყანისასა დაღეუდასა“ (მამ. სწავლ. 106₁₆).

„თუით გუარად ადამისითგან სახელოვანი ხელმწიფე იყო, სახედ მიწასა ზედა სულიერი მზე, ყოვლითა ფერითა საქაბუკოითა-ცა სრული“ (ვისრამ. 53₂₈).

„აწ რათგან გული დამიბნელე და უიმედო მყავ, ბარე შენისა გუარისაგან ნუ კიდევან-მიქმ; ასული შენი შემრთე, რომელ ნაყოფი თესლისაებრ იქმნას, და ასული შენი შენებრვე არს“ (ვისრამ. 7₆).

„შაჰროს ქმარი ყარან იყო, მაგრამ შაჰრო უფრო გუარიანი იყო ყარანისაგან. ჯიმშედ მეფე, რომელ ადამს აქათ მეხუთე ჯელ-მწიფე ყოფილა, შაჰრო მისი ნატამალი იყო“ (ვისრამ. 63₃).

„ჰე ყოვლისა სიხარულისა დასაბამო! ღმერთსა ყოვლითურთ უკლებობა შენდა უბოძებია, გუარად ყოველთა დედოფალთა უფროსი ხარ და საყუარლობისა საქმითა ყოველთა გრძნეულთა ოსტატი“ (ვისრამ. 83₁₈).

„ათასითა კურთხევითა ღმრთისაგან კურთხეულმცაა გუარი შენი და მშობელი შენნი, რომლისაგან შენებრი გამოვა“ (ვისრამ. 84₁₃).

ილია აბულაძეს ეს სიტყვა მკვიდრ ქართულად მიაჩნია და სომხურ *գարի*-ს ქართულიდან ნასესხებად თვლის¹, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. სიტყვა გოვარი-გუარი-გვარი — ნასესხებია საშ. სპარსულიდან ქართულშიაც და სომხურშიც, რასაც ამტკიცებს სრული იდენტობა, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური საშუალო და ახალ სპარსულ სიტყვასთან *gōhr*²—*gōhār*, რომელმაც ქართულში კანონზომიერად მოგვცა გოარი > გოვარი > გუარი > გვარი³.

ძველი ირანული ფორმა უნდა ყოფილიყო **Gaušra*-, შდრ. სკრ.

¹ ილია აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან. 1. გოვარი — გუარი. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IV, 1952 წ., გვ. 313—369.

² H. Bailey, *Arya I*, BSOAS, vol. XXI, part 3, 1958.

³ H. Nyberg, *Hfsb*, II, გვ. 81.

gōtra- 'family'. ჰ. ბელი ამ სიტყვას აწარმოებს ძირიდან gav- 'აღმოცენება, წარმოშობა'.

ახ. სპარსული گوه (gōuhar) და گ 1. 'არსი, ბუნება, მატერია, წარმომავლობა, ელემენტი', گوه 'კეთილშობილი, გვარიანი',¹ ფალ, gōhrik, სომხ. գաւար 'პროვინცია, ოლქი, ქვეყანა, მამული, სამშობლო' (საგვარეულო || ფუძე > სამშობლო), საშ. სპარსული gōhar 'ბუნება, მატერია, არსი, წარმოშობა, რასა, გვარეულობა, შთამომავლობა' და სხვა. 2. 'ძვირფასი ქვა, მარგალიტი, თვალი პატიოსანი (თ ვ ა ლ ი პ ა ტ ი ო ს ა ნ ი—კეთილშობილი)'².

26. გრო — 'გროვა, გუნდი'.

„და იხილნა გრონი მძოვართანი მიმავალნი“ (ბალაჰვარ. 94₂₆).

„...და იყო შორის მათსა კაცი ერთი, რომელსა ეკიდა ძუალები მკუდართაჲ საბლითა რაჲთამე ძუელითა, და წინა-უძლოდა გროთა მათ“ (ბალაჰვარ. 94₂₇).

შდრ. საშ. სპარსული grōh³ 'გუნდი, ჯგუფი, სიმრავლე' (Kn 3₁₇), სომხური ნასესხები grōh⁴ 'ხალხი, ერი', აგრეთვე 'თავდასხმა, შემოსევა', ახ. სპ. gurōh⁵, ბელუჯ. grōf, ძვ. ირანული *gravaθva-, შდრ. ოსური გოურ|გურ 'ბრბო, მასა' (вал)⁶, ქურთ. kurah, შესაძლოა აგრეთვე რუსული гурьба. ახალ ქართულში გვაქვს გროვა (ზმნა და გროვება). შესაძლებელია ახალი ქართული დიალექტური ფორმა ჯგრო დაუკავშირდეს გრო-ს. იგი ალბათ მიღებულია კონტამინაციის შედეგად სიტყვა ჯოგთან.

შენიშვნა: საბას განმარტებით გრო არის 'მარტო ფრინველთაგანი ერთი', რაც პირდაპირ საწინააღმდეგო აზრს შეიცავს სიტყვა გრო-ს (გროვისას); ალბათ, აქ რაღაც შეცდომაა, გრო- ფრინველთა გუნდს უნდა ნიშნავდეს და არა ცალკე, ერთ ფრინველს.

27. გუმარდი — 'ნაცვალი, წარმომადგენელი'.

„და იგი მთიოლნი. გომარ და დ დადგინენს. და სხე ვინმე კცი დაიდგინენს... მთვრად. წანარეთისა ჳეესა და მორჩლებად დასდვენ მისი“ (მოქც. ქართ. 723₂₉).

¹ Borhān-e Qāte', III, გვ. 1812—13.

² Pahlavi-Pāzend-Engl. gloss.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 84.

⁴ А. Худабашев, Армяно-русский словарь, I, გვ. 2.

⁵ I. Vullers, II, გვ. 987.

⁶ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 531.

ზეადარეთ საშ. სპარსული gumārtak¹ 'სანდო, სანაცვლო, შემცვლელი, დანიშნული, წარმომადგენელი' (Beauftrager, Statthalter, Kn, 13). როგორც ჩანს, არსებობდა მიმღებობის უსუფიქსო ფორმაც gumārt ზმნიდან gumārtan gumār- 'მინდობა, დავალება'.

წდრ. ახ. სპ. gumāstan, gumār 'დანიშვნა, დადგენა, დავალება', گامگ 'მოურავი, ნდობით აღჭურვილი აირი, აგენტი, წარმომადგენელი, ზედამხედველი, ნაცვალი, მსახური' და სხვა².

შწ გუნდრუკი — „საკმეველი სუნელი“ (საბა).

„აქუნდა ოქროჲ ყუთელი: მური მსწრაფლ მქურნალი: წყლულისაჲ: და გუნდრუკი: სულჰამოჲ“ (მოქც. ქართ. 762_g)

იხ. აგრეთვე ლ. მროველთან (ქართ. ცხოვრ. 98_g).

შდრ. საშ. სპარსული *kundurūk, ახ. სპ. كندر, كندر, كندر³ 'საკმეველი', كندر 'საცეცხლური', სანსკრ. kunduru, kunduruka, სომხ. կնդրուկ 'საკმეველი, გუნდრუკი'⁴.

29. გუჯარი — „საბუთის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინია, გარკვეულ ეპოქაში იგი სიგელს უდრის და მასთან ერთად მეფეთა მიერ ნაბოძებ საბუთების საზოგადო სახელადაც გვევლინება“⁵.

„და რა გუჯარი დაწერეს, აღწერეს ნათესავი თჳსი, რათა ოდეს მოვიდენ ბერძენნი, მით გუჯრითა მოიძიენენ ნათესავნი მათნი“ (ჯუანშ. 231₆₋₇).

„და მათ დაუტევეს ქუეყანა ესე, და დაფლნეს განძნი მათნი; რომელნიმე წარჰყვეს და რომელნიმე დადგეს, და შეიტანნეს ყოვლისა საგანბურისა გუჯარნი“ (ჯუანშ. 231₆).

„ხოლო მან წარმოსცა ორი გვრგვნი და გუჯარი მირსა და არჩილს, და მოსწერა მათ თანა, ვითარმედ: „თქუენი იყო მეფობა, სიმკნე და სიბრძნე ქართლსა შინა“ (ჯუანშ. 239₁₄).

„...ვითარცა ესე მოგვთხრობს ჩუენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით“ (ჯუანშ. 240_g).

„ხოლო მე გვრგვნი იგი ჩემნი და გუჯარნი ტყვისანი მარტოდ დავსხენ“ (ჯუანშ. 236₁₇).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 86.

² Borhān-e Qāte', III, გვ. 1834.

³ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 409.

⁴ H. Hübschmann, AG, I, გვ. 172.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთაშეცოდება ანუ დიპლომატიკა, გვ. 26—28.

ჩვენ ვფიქრობთ, ქართულ სიტყვას გუჯარი საფუძვლად უდევს სპარსული *gužār. შდრ. ფალაური vičār-¹ 'ახსნა, განმარტება, გადაწყვეტა', vičārišn 'ახსნა-განმარტება'.

შეადარეთ სანსკრ. vičārayati 'მოსაზრება, მოფიქრება, გამოცდა, გასინჯვა', vičāra- 'მოფიქრება, გამოძიება, გამოკვლევა', ავ. kar- (kārya) 'განზრახვა', ახ. სპარსული گزارش, گزارش 'ახსნა, განმარტება, აღწერილობა, ცნობა, მოხსენება' და სხვა, گزارش 'ამხსნელი, განმმარტებელი, აღმწერელი'.

სემასიოლოგიურად ფალ. vičār (გამოთქმაში gužār) და ახ. სპარსული guzār უახლოვდება ქართულ ტერმინებს გახსნითი (შდრ. საგახსნითე ბეჭედი) და ახსნითი, რომლებიც აგრეთვე იურიდიულ საბუთთა აღმნიშვნელ ტერმინებს წარმოადგენენ (მათ შესახებ დაწერილებით იხ. ი. ჯავახიშვილის „სიგელთამცოდნეობაში“)².

30. გოვჯაკი — 'საწყაული'.

„და ქმნა სასანოვაგე იგი კურქელი ტაბლისაჲ მის: პინაკები იგი და ფიალები და ფეშხუნები და გოვჯაკები“ (გამოსვლ. 38₁₆).

ჩვენი ფიქრით, ქართ. გოვჯაკი წარმოადგენს საშ. სპარსულ ფორმას ახ. სპარსულ گزاک-სი³ 'თიხის დოქი', 'ქოთანის', საშუალო სპარსულში უნდა გვეკონოდა *kovz-ak.

ახ. ქართული კოვჯი იმავე სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. შდრ. აგრეთვე გოჯა, გოჯაური 'საღვინე კურქელი', სვანური ყოშ, ხევსურული კოში, სომხ. kuž, რუსული ковш, кувшин, ოს. k'ūs k'os⁴ 'ჯამი, თასი'. ზოგადი მნიშვნელობაა 'სითხის ამოსადები კურქელი' — 'დოქი, სასმისი' (აზარფეშა), 'კოვჯი' და სხვა.

საინტერესოა, რომ სვანურში და ხევსურულში შემონახული გვაქვს, როგორც ჩანს, დიალექტური ფორმა (შესაძლოა, ჩრდილო-ირანული), რომელიც ახლოა რუსულთან და საერთო წყაროზე მიუთითებს (სკვითური).

31. მგოსანი — '(ჩასაბერავ) საკრავზე დამკვრელი, მემუსიკე მესალამურე, მომღერალი'.

საბას განმარტებით:

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 241—42; Chr. Bartholomae, Mit. ir. Mund.

² ი. ჯავახიშვილი, ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები, მიმოძიებელი, I, 1926, გვ. 70—73. მისივე, „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, თბილისი, 1926, გვ. 26—28.

³ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 423.

⁴ В. Абаев, Историко-этимологический словарь, გვ. 641; აგრეთვე, გვ. 638 და 591—592 სიტყვასთან kæxç|kæxçæ.

1. „ვაენი და ქალნი კეთილად მომღერალნი ჯმითა სამუსიკოთა ებანთა და ბარბითთა ზედა“.

2. „მეგოდებენიცა გლოის მგოსნად ითქნიან“.

„და მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა და იხილა მგოსნები და ერი კრებული და შფოთი“ (მათე, 9₂₁, 13₃₀, და ე).

„ხოლო მეფესა ჰყვა ქალი ქმნულ-კეთილი, ასული მეფისაჲ ტყუედ წარმოღებული, და სხუანიცა ქალნი შემგოსნენი და მეჩანგენი“ (ბალაჰვარ. 124, ბ.).

მგოსანნი გლოვისანი:

„ხოლო მოციქულმან გამოასხა ყოველი იგი ერი და მგოსნები, და არავინ უტევა მუნ. გარნა ქურივი იგი და მცირენი საკუთარნი მისნი, და მიიქუა ჯელთა ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა, და დაასვენა ცხედარსა მას ზედა, სადა იდვა ყრმა იგი“ (ლ. მრ. 40₂₃).

„მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთგან ვიდრე გლახადმდე. და იტყუებდეს ყოველნი თავთა თჯთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და აჯსენებდიან სიმჯნესა და სიქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა, და იტყოდიან ესრეთ: „ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგჳძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ჳსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენებად ნათესავთა უცხოთა“ (ლ. მრ. 53₁₀).

შენიშვნა: სიგრძე ზემოთ მოყვანილი ციტატისა გამოწვეულია იმით, რომ კონტექსტი შესანიშნავად განმარტავს მნიშვნელობას გამოთქმისა მგოსანნი გლოვისანი.

სიტყვა მგოსანი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“:

„მგოსანი და მოშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა“ (119₁).

„ვით იადონი მგოსანი...“ (1355₂)

„მგოსანი მოდგეს...“ (1464₁).

სიტყვა მგოსანი სომხურში დაცულია ყოსასან-ის¹ სახით 'მემუსიკე, მომღერალი'. საფიქრებელია, ეს სიტყვა ქართულშიც და სომხურშიც შემოვიდა საშუალო სპარსულიდან, თუმცა თვით საშ. სპარსულში იგი დადასტურებული არა გვაქვს. აქარიანი ამ სიტყვას უკავშირებს ახ. სპარსულ საკუთარ სახელს Kūsān ან Kōsān (სახელი ერთი მომღერლისა ვისრამიანში Kūsān i navāgar)², სპ.

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, Ա. Բ., II, გვ. 328.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 131.

کوسان 'მუსიკოსი, მომღერალი და დამკვრელი'. ქართული 'ვისრამიანის' შესაბამის ადგილას აქვს მართლაც მგოსანი¹ „ამღერებდეს მეტრიბთა და მგოსანთა ჳმა-მალლად ჳამოითა ჳმითა“ (ვისრამ. 45_{ჟგ}).

„მგოსანმა სიმღერა თქუა ვისისა და რამინის მიჯნურობასა ზედა“ (ვისრამ. 173_{ჟგ}).

ჩვენი ფიქრით, შესაძლებელია ეს სიტყვა დავუკავშიროთ სპარსული მუსიკალური ინსტრუმენტის სახელს کوس² 'литавры, барабан,' რომელიც ქართულშიც გვაქვს შემონახული ქოსის სახით. -ān მაწარმოებელი სუფიქსია, რომლის დართვით ფუძეზე შესაძლოა მივიღოთ მნიშვნელობა როგორც საკრავის, ისე დამკვრელის. ფალაურში მაშინ ამ სიტყვას უნდა ჳქონოდა სახე *kiis-ān-ისა, რომელიც ქართულსა და სომხურში ადვილად გადმოვიდოდა გუსანის სახით, ხოლო ქართულში მას დაემატა თავსართი მ-ს სახით.

ჳჳ გუსნ, შეჳგუსნეს — 'შემშია', 'მოშივდათ'.

„და წარ-თუ-უტევნე იგინი უზმით სახიდ თჳსა, შეჳგუსნეს მათ გზას, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან“ (მარკ. 8₃, c).

„და უკუეთუ განუტევნე უზმანი ვანად მათა, დაჳჳსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან“ (მარკ. 8₃, d₂).

სომხურში სათანადო ადგილას გვაქვს: *նւնկէ արձակեմ զգոսս հօթիս ի տունս իւրեանց նքիցէն ի ճանապարհ.*

ჩვენ ვფიქრობთ, ქართულ სიტყვაში შე-ჳ-გუსნ-ეს — წარმოდგენილია სპარსული ფუძე gurasn- || gusan-, gūšn- 'სიმშილი'.

შდრ. ახ. სპარსული گرسنگي 'სიმშილი', گرسنه და گشنه 'მშიერი'. არის აგრეთვე ქართულ სიტყვასთან უფრო ახლო მდგომი ფორმები گشنه 'მშიერი', گشنه³ 'სურვილი, მადა'. შეადარეთ აგრეთვე, گسنگي, گسن⁴ 'სიმშილი' და სხვა. თუმცა შესაძლოა ქართ. გუსნ მიგველო gurasn ფორმიდანაც: gurasn > *grusn > gusan, შეჳგრუსნეს > შეჳგუსნეს — 'მოშივდათ, მადა გაეღვიძათ'.

ჳჳ. დასტური — 'მოხელე, ნდობით აღკუთრვილი პირი, ვეზირი'.

„ხოლო მეფესა ეჩინა მსახურად ძისა თჳსისა და მზრდელად კაცი ვინმე ერ/თ/გული და დასტური წინაშე მისსა, რომელსა სახელი ერქუა ზადან“ (ბალაჳვარ. 75₁₂)

¹ „ვისრამიანი“, ლექსიკონი, 1962, გვ. 741.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 212.

³ იქვე, გვ. 421.

⁴ И. Ягелю, Персидско-русский словарь, გვ. 1314.

„და წარავლინნა დასტურნი თჳსნი მრავალთა გზათა და თჳთ წარემართა გზასა ერთსა, რომელ უფროჲს საგონებელ იყო წევნად ბალაჰვარისა“ (ბალაჰვარ. 94₁₁).

დასტურობა — 'ნდობა, რწმუნება'.

„...შენ უწყვი სადგური ჩემი წინაშე მეფისა და ადგილი ჩემი მის თანა, და არა დამადგინა მსახურებასა შენსა ზედა, გარნა დასტურობისა და ერთგულობისა ჩემისათჳს წინაშე მისა...“ (ბალაჰვარ. 75₁₈).

„არავინ არს უდასტურეს კაცისა მთხოვნელისა, რამეთუ არავინ აქუს, გარნა ღმერთი, ამისათჳს მოიყიდე იგი წყალობითა“ (ბალაჰვარ. 162₃₆).

დასტურად — 'ნამდვილად, ჭეშმარიტად'.

„რამეთუ ცოდვანი, დასტურად ვიცი, მქონან, ხოლო წყალობასა ღმრთისასა და შენდობასა ვერღა გულ-პყრობილ ვარ, ვიდრე არა შევემთხვო ღმერთსა დღესა მას განკითხვისასა“ (მამ. სწავლ. 284₂₂).

„მთხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვსტან დასტური, რომელ უბრალო ხარ“ (მატ. ქართ. 277₁₄).

„უბრძანა და გაგზავნა მოციქული, და მისგან აუწყა ზავი დასტური“ (მატ. ქართ. 280₁₇).

დასტური — 'ნდობით აღჭურვილი პირი, მოსელე'.

„... მიავლინენ დასტურნი და მიითუაღენ ქალაქნი შენნი, რომელნი მიგვენ შენ და კეისარსა“ (ჯუანშ. 184₆).

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა დასტური იხმარება მხოლოდ 'ნამდვილის, ჭეშმარიტის' მნიშვნელობით, მეტწილად ქორის ანტონიმად:

„პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არვინა გეყავს შენად სწორად, მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაკორად“ (130₂).

„ვერა მეცნა ეგზომ გრძელად ვერ ქორი და ვერ დასტური, ველთა ცრემლი ასოვლებდა, თვალთა ჩემთა მონაწერი“ (592₃).

„ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი. არ რამე ქორითა, არ დაგმორჩილდეს, დამქოლუე შავისა ქვისა ყორითა“ (1290₂).

„ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად; მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად“ (463₃).

დასტურობა:

„მე ვერღა გავძელ მისისა ამბისა ვერ-დასტურობა, გამოვიპარე საძებრად: მწვიდა ცეცხლისა მურობა“ (996₃).

ამოსავალია საშ. სპარსული *dastavar* 'მსაჯული, მოსამართლე, უმაღლესი ხარისხის მოხელე სასანიანთა სამეფო კარზე' (დიდი ვეზირის მსგავსი თანამდებობა¹). გამოთქმაში შესაძლოა ყოფილიყო *dastūr*-იც, მანიქეველურ ფალაურში სწორედ ასე გვაქვს (იხ. ქვემოთ).

ახ. სპარსული *داستور* — *dastūr*²: 1. 'პირველი მინისტრი, მრჩეველი, სენატორი'. 2. 'ნიმუში, მოდელი, წესი, საფუძველი, ადათი, დაშვებული, საში'. 3. 'ცეცხლ-თაყვანისმცემელთა მთავარი ქურუმი'. სოლდური *دستور*³, 'მოხელე', მანიქ. *dastūr* 'ქურუმი', თალმუდის არამეულში *דַסְטוּר*, *דַסְטוּר*⁴ და სხვა.

ამოსავალ ძველ ირანულ ფორმად მიჩნეულია **dastabara*, რომლის პირველი კომპონენტია *dasta-*. რიგს მკვლევრებისას (ჯ. დარმსტერტი, თ. ნოლდეკე, პ. ჰორნი და პ. ნიბერგი) იგი გამოჰყავს ავესტური სიტყვიდან *დასთა*- 'ამბავი, ისტორია' (ძირიდან *daiss*, შდრ. ახ. სპ. *dāstān*, *dastān*), სხვები კი (მაგალითად, ფ. მიულერი, რიუკერტი) მას უკავშირებენ ძველ ირანულ სიტყვას *dasta* 'ხელი'.

ჩვენ ვფიქრობთ, მეორე შეხედულება უფრო გამართლებულია. ამას გვიკარნახებს ანალოგიურად ნაწარმოები ქართული ტერმინები *მო-ხელე*, *ხელმწიფე*, *ხელოსანი* (რომელიც ხევსურულში ხატის მსახურს აღნიშნავს ისე, როგორც *დასტური*, შდრ. *დასტურ-ხელოსნები*. *დასტური* და *ხელოსანი* იქ სინონიმურ პარალელებს წარმოადგენენ).

§4. *დევი* — 1. 'ავი სული, ეშმაკი', 2. 'მ-დევი-ი' (ზღაპრების პერსონაჟი *ჯინი*).

„მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნ“ (მარტ. შუშ. 13₂₃).

„...და დასხნა წუნდას შინა კაცნი მჯეცნი, ნათესაენი დევთანი, და უწოდა სახელად ქაჯატუნი, რომელი ითარგმანების დევთა სახლად...“ (ლ. მრ. 27₁₅).

„ვეფხისტყაოსანში“:

„აგრე კვალ-წმიდად წარხდომა კაცისა ვითა დევისა“ (98₁).

„ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს“ (654₁).

¹ H. Nyberg, Hfsb, II. გვ. 50.

² Б. Мухер. Персидско-русский словарь, გვ. 219.

³ C. Salemann. Man. Stud., გვ. 68.

⁴ S. Telegdi. გვ. 240.

„დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწვოდა“... (655₁).
„ქვაბნი წაუხმან დევთათვის, სახლად აქვთ დევთა
სახლები“ (690₁).

სიტყვა დევი — ‘ემმაკის, ბოროტი სულის’ მნიშვნელობით (ქრისტიანული გაგებით) — შედარებით იშვიათად გვხვდება უძველეს ქართულ ძეგლებში. იგი უფრო მოგვიანებით ვრცელდება, როგორც ჩანს, ახალი სპარსულიდან შემოსული უკვე სპეციფიური ზღაპრული გიგანტის, ქვაბთა მცხოვრების მნიშვნელობით, და ძალიან გავრცელებულია საერო ლიტერატურასა და ფოლკლორში.

სომხურში, პირიქით, იგი იხმარება ქართ. ‘ემმაკის’ (ქრისტიანული გაგებით) მნიშვნელობით (*հսկսակ* — ‘ანგელოზის’ საპირისპიროდ).

დევის ირანული ეტიმოლოგია ასეთია: ძვ. ირ. *daiva-*, ავ. *daeva-*¹ ‘დემონი, ემმაკი, ბოროტი სული’, სკრ. *dēva-* ‘ღმერთი’, ლათ. *deus, divus*, ლიტ. *dēvas*, საშ. სპ. *dēv*² ‘ბოროტი სული, დემონი’, ახალი სპარსული *دا* — *div*³: 1. ‘ემმაკი, მღვვი, დემონი, ბოროტი სული’ 2. ‘გიგანტი, გოლიათი’, სომხ. *դև*⁴ ‘ავი სული, დემონი’, სირ. *daiva* ‘დემონი’.

ჰნ. დილეგი — ‘სატუსალო, საპყრობილე’.

„...ვიდრემდის დაწუნეს ჯორცნი იგი წმინდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან სადილეგო“ (აბო, 75₄).

„ყოველსა რომელსა ჰსუროდის მერმეთა მიმართ კეთილთა, მას ესრეთ შეურაცხიეს ყოფაჲ ჯორცთა შინა, ვითარცა იწროსა დილეგსა“ (ბალაჰვარ. 168₈).

ი. ჯავახიშვილი ამ სიტყვის შესახებ „აბოს წამებაში“ შენიშნავს: „ამ სიტყვის აგებულება ცხადპყოფს, რომ სწორედ იმ დაწესებულების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომელიც დილეგისათვის განკუთვნილი იქნებოდა, ამიტომ დილეგი საპყრობილის აღმნიშვნელი კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეს საბას აქვს, არამედ პყრობილის, ანუ პატიმრისა“⁵. იგი თვლის ამ სიტყვას

¹ H. Reichelt. AE, გვ. 446.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 58.

³ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 234.

⁴ H. Hübschmann, AG, I, გვ. 140.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 508.

არაბ. *سكن*-ის 'საკანის' მსგავსად არაბთა ბატონობის ხანაში წინოსულად.

„ბალავარიანი“-დან ჩვენ მიერ მოყვანილი კონტექსტი აშკარად გვიჩვენებს, რომ დილეგი საპყრობილეთა და არა პყრობილი, როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა „აბოს წამებაში“ დადასტურებულ სადილეგოს მიხედვით. სიტყვა დილეგი ილია აბულაძემ¹ დაუკავშირა სომხურ *դիլակ*-ს 'სიმაღლე, -ამაღლებული ადგილი, ციხე', აღნიშნულ სომხურ სიტყვას კი აქარიანი² უკავშირებს სპარს. *دلو*-ს 'აღმართი, ხევი, რგოლი'. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი დაკავშირებისათვის არსებობს ფონეტიკური და სემანტიკური ხასიათის დაბრკოლება.

ქართული ფორმის მიხედვით ფალაურში უნდა გვექონოდა, თუ ეს სიტყვა იქიდან არის შემოსული, **dilak*. საგულისხმოა ამ მხრივ ოსური სიტყვა *dʰilag*³ 'ქვედა'.

არ არის გამორიცხული, რომ ეს სიტყვა ჩრდილო-ირანული (ალანური) გზით შემოსულიყო ქართულში: ქვედა, ქვეშითა, მიწის ქვეშა > ორმო, საპყრობილე (შდრ. რუს. *подвал*, ქართ. ქვევრი).

36. დრამა — 'ფულის ერთეული'.

„მოდღვარმან არა გამოსცის ხარკი დრამისაჲ“ (მათე. 17₂₄).

„...და მიაწიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოველითა კეთილითა აღავსნა“ (გრ. ხანძთ., გვ. ვგფ).

„და აყრიდეს თავსა დრამასა და დრაჰმანსა და აღწევნულითა წმითა შეასხმიდეს ქებასა...“ (ჯუანშ. 104₁).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიტყვა შემოსულია ქართულში ფალაური გზით, რადგან ფონეტიკურად იგი ყველაზე ახლო ფალაურთან დგას.

შეადარეთ ფალ. *dram*⁴ < *drahm*-იდან, ახ. სპარსული — *درام*⁵ *diram*: 1. 'ვერცხლის მონეტი, ფული, დრამა', 2. 'წონის ერთეული = 16 კარატსა და 3,12 გრამს'.

არაბული *dirham* < **draxm* = ბერძნ. *δραχμή*-ს, სომხურში, ისე როგორც ქართულში, გვაქვს *դրამ*⁶ 'დრამა'.

¹ *Ի. Աբուլაძის, „Պղնձի քարի ստուգ բանաբանը, ИАН Арм. ССР. № 1-2, 1944.*

² *Ահառյան, Արմ. բան., II.*

³ *В. Абаов, Историко-этимологический словарь, გვ. 354.*

⁴ *Н. Nyberg, Hfsb, II, გვ. 58.*

⁵ *Б. Михлер, Персидско-русский словарь, გვ. 215, 216.*

⁶ *Н. Hübschmann, AG, გვ. 145.*

დ რ ა მ ა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“:

„უხვად გასცეს საბოცნარი, მარგალიტი, ვითა დ რ ა მ ა“ (686₁).

„წონა ძლიე ჩანთქის დ რ ა მ ი ს ა...“ (923₄).

„დამიზდებულნი დ რ ა მ ი თ ა“ (1062₃).

„ქალაქს ნასყიდი დ რ ა მ ი თ ა“ (1217₃).

37. დანდალი — „ლაგამი თუ პირის მახე“ (საბა).

„შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭდეურითა და განულო დ ა ნ დ ა ლ ი ყბასა მისსა“ (აბო, 62₈—ეზეკ. 29₁₄).

ფალ. dandān ‘კბილები’, ავ. dantān (Vimito . dantānō), სკრ. dantā-, ახ. სპარსული dāndān داندان¹ ‘კბილი, პირი’.

სომხურში გვაქვს *դանդან*² ‘კბილები, ღრძილები’ და სიტყვა *դანდანადან*³ ‘ლაგამი’.

ქართულ დ ა ნ დ ა ლ ს ნ. მარი სომხურიდან შეთვისებულად მიიჩნევს ბიბლიის თარგმანის მეშვეობით. მისი აზრით, ქართული დ ა ნ დ ა ლ ი წარმოადგენს სომხ. *դანდანადან*-ის პირველი ნაწილის გადმოცემას³.

38. დრაჰკანი — ‘ფლური’, „ესე არს ოთხი გრამის წონა ოქრო“ (საბა). გვხვდება ოთხთავში: მათე, 18₂₉, 20_{9,10}; მარკ. 12₁₈; ლუკა, 7₁₁, იოვ. 125 და სხვა.

„ხოლო რიცხვით იყო ბექედსა ამას შინა დ რ ა ჰ კ ა ნ ი სამასი ხუთითურთ“ (ს. ზ. 180₆).

„...უკუეთუმცა თვისი გესუა შენ და ზედა-ედვა შენი ასი დ რ ა ჰ კ ა ნ ი, და თვისსა მის შენისა მოვალისაჲ სხუასა ზედ-ედვა მცირედი რაჲმე ვალი...“ (მამ. სწავლ. 33₂₄).

„...და მომცა - უწოდე თვისსა მას შენსა, რომელსა ზედა-ედვა ასი დ რ ა ჰ კ ა ნ ი და არქუმცა მას ვედრებით...“ (მამ. სწავლ. 33₂₅).

„და აყრიდეს თავსა დ რ ა მ ა ს ა და დ რ ა ჰ კ ა ნ ს ა, და აღწევნულითა ვმითა შეასხმიდეს ქებასა...“ (ჯუანშ. 104₁).

„უძღურთა მისცა საწედრები და ქაბუკთა სამ-სამი დ რ ა ჰ კ ა ნ ი, და განუტევნა“ (ლ. მრ. 109₁).

„ვეფხისტყაოსანში“:

„დ რ ა ჰ კ ა ნ ი ასჯერ ასია“ (471₁).

„დ რ ა ჰ კ ა ნ ი ს ა ბევრათასისა...“ (1013₃).

¹ P. Horn, GrapEt, გვ. 128.

² H. Hübschmann, AG. I, გვ. 134.

³ H. Marr, Агрографические материалы по грузинским рукописам, I, გვ. 19.

ახ. სპ. *داهگان* 'ათეული, დეკადა', *داهگان-انی* *dahgāni* 'ოქროს მონეტი', 'ათეული', სომხ. *դահկան* 'დრამა, დინარი'.

3. ჰიუბშანი¹ ამ სომხურ ფორმას უკავშირებს ახ. სპარსულ *dah-gān*²-ს 'ათეული' და აწარმოებს *dah*-იდან 'ათი', *dahyak* 'მეათედი'. შესაძარებლად მოჰყავს ლათინური *denarius* (< *den*-იდან). ქართულ ფორმაში *რ* განვითარებულია ალბათ *დრამა*-სთან ანალოგიით (ისინი მეტწილად ერთად იხმარებიან).

39. დანგი — „სამის კერატის წონა“ (საბა); „წვრილი სპილენძის ფული“ (ბალაჰვარ. ლექს.).

„ანუ არა ორი სირი ერთის დანგის განისყიდების“ (მათე, 10₂₉, *de* და *c*).

„ამენ გეტყვ შენ: ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე დანგისა კოტორი“ (მათე, 5₂₈, *de*).

c — „ვიდრე არა მისცე შეურაცხი იგი დანგიცა“.

„ხოლო კაცნი ჰმატან მას შინა ურთიერთას, ვითარცა რაჲ მარგალიტი, რომელმე ღირს ასის ბევრის და რომელმე ორის დანგის“ (ბალაჰვარ. 46₂₈).

„ჲ უბადრუკებასა ბოროტსა, რამეთუ მრავალ გზის არცა თუ ერთი დანგი ვინმე წარაგის მისთვს და ესრეთ მცირედ ანგაჰრებაჲ და ყოველთა უძკრესი კერბთ მსახურებაჲ, ვითარ არა უწყინ, ეგრეთ აღასრულის“ (ასურ. მოლვაწ. 134₂₁).

ფალაური *dānk*³ (< ძვ. ირ. **dānaka*- 'მარცვალი') 'წონის ერთეული', ახ. სპარსული *dāng*⁴ 'ღირჰემის მეექვსედი', *dānā* 'პურის მარცვალი', თალმულ. არამ. *𐤃𐤍𐤎* 'დინარის მეექვსედი', მანდ. *𐫆𐫇𐫈* 'obolus', სირ. *𐫆𐫇𐫈* 'ღირჰემის მეექვსედი', სომხური *դանդ* 'წვრილი ფული'.

40. დაშტნობა — 'მდინარობა'.

„და დედაკაცი ვინმე იყო დაშტნობასა ზედა ათორმეტ წელ“ (მარკ. 5₂₅, *c*).

„და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომელი იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა გუემულ ათორმეტ წელ“ (*de*).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 1674.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 232.

³ The Frahang i Pahlavik ed. H. F. J. Junker. Heidelberg, 1912. გვ. 114.

⁴ I. Vullers, I, გვ. 80.

⁵ S. Telegdi, გვ. 239.

⁶ H. Hübschmann, AG, I, გვ. 91.

სომხურში გვაქვს იგივე სიტყვა ფორმით: *դաշտան, դաշտանիկ*¹, ახალ. სპარსულში *daštan* — ‘menstrua, patiens muher’, ავესტური სიტყვიდან *daxštavaiti* ‘menstruierend’².

41. **დროშა** — ‘ალამი’, „მწყობრთ ნიშანი, ფერად-ფერადი გუნდთა საცნობელი“ (საბა).

„და აღიესნეს მთანი იგი დროშათა: და ერიოთა: ვა ყუავილითა“ (მოქც. ქართ. 751₁₁).

იგივე ადგილი ლეონტი მროველთან: „მაშინ მყის უკვე წარვიდა წმიდა ნინო ხილვად არმაზისა. და აღიესნეს მთანი იგი დროშებითა და ერიოთა, ვითარცა ველნი ყუავილითა“ (89₄).

საშ. სპარსული *drafš* ‘დროშა’, ახ. სპარსული *دراش* ‘დროშა, ალამი, სინათლე, ბრწყინვალება’³, ავესტ. *drafša-* ‘დროშა, ალამი’, სკრ. *drapsa-* ‘წვეთი’, სომხური *դրաշ*⁴ ‘დროშა’, სირ. **דרש** ‘დროშა’, მანდ. **דרש** ‘ჯვარი’.

პ. ჰორნს ამ სიტყვის ძირითად და თავდაპირველ მნიშვნელობად მიაჩნია ‘სინათლე, ბრწყინვა’.

ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე ფორმები *დრაუჟი*, *დრაუჯი*, რომლებიც უეჭველია სომხურ მეშვეობას გულისხმობენ.

დროშა „ვეფხისტყაოსანში“:

„ავმართე დროშა მეფისა“ (404₁)

„ინდოთა დროშა“ (1607₁).

„დროშა არაბთა მეფისა“ (1607₂).

„ნავი მეკობრე დროშითა“ (1037₃).

42. **ეშმაკი**, **ეშმა** — ‘ბოროტი გენია, ავი სული, სატანა’.

„ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“ (მარტ. შუშ. 26₈).

„ხოლო ქრისტმან უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი“ (ე. მცხ. 89₁₇).

„...და შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოსა ზედა ეწყებოდა მტერსა მას ეშმაკსა“ (აბო, 66₁₈).

„... და ბჭე სასუფეველისაჲ, შემაერთებელი ანგელოზთა და დამცემელი ეშმაკთაჲ“ (ს. ზ. 175₂₂).

„რამეთუ მავნებელი იგი ეშმაკი ზარგანჯილი ივლტოდა ლოცვათაგან ნეტარისა გრიგოლისათა“ (გრ. ხანძთ., გვ. 69₂₈).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 135.

² Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 677.

³ P. Horn, GrnpEt, გვ. 123.

⁴ H. Hübschmann, AG, I, გვ. 147; AirWb, 771.

„და კუალად ვეღლტოდით კაცთ-მოთნებასა და მაჩუენებლობასა, რამეთუ მაჩუენებლობაჲ ფიცხელი ვნებაჲ არს და იგი არს პირველი საქმე ეშმაკისაჲ, რამეთუ მით დასცა აღამი“ (მამ. სწავლ. 9₁₄).

„განიშორე შენგან ტყუილი და ვერ მიგეახლოს შენ მაჩუენებლობაჲ, რამეთუ ტყუილი საქმე არს ეშმაკისაჲ“ (მამ. სწავლ. 9₅).

„...და მოუქდა უჩინო იგი მტერი ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა“ (ლ. მრ. 66₂).

შენიშვნა: ქართულში ეს სიტყვა ორი სახით არის წარმოდგენილი: ძველ ტექსტებში, როგორც ზევით დავინახეთ, ეშმაკის სახით, ხოლო შედარებით მოგვიანო (საშ. ქართულ) ძეგლებსა და მთის კილოებში ეშმას სახით (მაგ. ხევსურული „გაბურთ ეშმა“, ბ. გაბურის ტექსტები).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ეშმაკიც და ეშმაც.

ეშმაკი:

„მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიციურვე და სიბილწეო“ (118₂).

„აწ, თავმან ჩემმან, მას მოგჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!

მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“ (574₂).

„ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კუერთხი ეშმაკთა ძირისა! (1196₁).

ეშმა:

„ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა, ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა“ (110₃).

„შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე, რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე“ (131₁),

„აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია, რას გარგებს მოკელა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია“ (965₂).

ისმის კითხვა, რომელია უფრო ძველი ფორმა — ეშმაკი თუ ეშმა. თუ გამოვალთ იმ თვალსაზრისიდან, რომ ეშმაკი ქართუ-

ლი მწერლობის უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება, ვიდრე ეშმა. უნდა დავეუშვათ, რომ ეშმაკი საშუალო სპარსული ფორმაა, ხოლო ეშმა — ახალი სპარსული (დაბოლოება $ak > ak > \bar{a}$ — ახ. სპ.ში). მაგრამ ის გარემოება, რომ ეშმაკი და ეშმა — 'დემონის', 'ავი სულის' მნიშვნელობით მხოლოდ ავესტურში გვაქვს, ხოლო საშ. და ახ. სპარსულში იგი მხოლოდ 'რისხვის, ცოფის, ბრაზის' მნიშვნელობით იხმარება, შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ ეშმა ძველი ირანული ფორმაა და არა საშ. სპარსული, სახელდობრ, ავესტური $aešma = daeva$ — 'ავი სული, დემონი'. შეადარეთ, ავესტური $aešma^1$ 'ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე', აგრეთვე $= daeva$ -ს (საშ. სპ. $dēv$) 'დემონი, ავი სული'.

სიტყვის ძირად მიჩნეულია $aeš$ 'მღელვარება, სწრაფი მოძრაობა' (ინდ. ევრ. * $eisa-$, ძვ. ინდ. $išate iṣyate$, ბერძნ. $ισχυος$ 'ძლიერი სურვილი, ვნება, მღელვარება', ლათ. ira).

ფალაურში გვაქვს $hešm, hišm^2$ 'რისხვა, ცოფი, ბრაზი', ახ. სპარსული $خشم = xišm$ 'ცოფიანი, მრისხანე'.

აღსანიშნავია, რომ სომხურში, სპარსულის მსგავსად. 'ავი სულის' აღსანიშნავად ყოველთვის $իլ$ გვაქვს.

43. ხაშმი — „სენია ჯორჯთ დამარღუშველი“ (საბა).

ნ. მარის აზრით, ეშმაკთან დაკავშირებულია სიტყვა ხაშმი 'ციების სენი'. გურიაში და ხაშმა ნიშნავსო 'გააცხელა' (ან 'გააცია'), ე. ი. 'ეშმაკი შეუხდა', 'ეშმაკი ჩასახლდა მასში'. ამასთანავე დგას, მისი აზრით, სომხ. $հաշմ$ $անդախ$ 'მახინჯი'³.

სიტყვა ხაშმი, რა თქმა უნდა, იმავე ძირისაა, რაც ეშმაკი, ოღონდ ფორმის მიხედვით მისი დაახლოება უფრო გამართლებულია ახ. სპარსულ $خشم$ -თან ($xešm$ მნიშვნელობით 'ავი', 'ბოროტი'). შდრ. ავი და ავადობა, ავადმყოფობა.

ძველ ქართულ ძეგლებშიაც გვხვდება სი-ხაშმ-ე 'სნეულეების' მნიშვნელობით. მაგალითად, ეფრემ ასურის თხზულებაში „მონაზონთა მიმართ და მარტოდ მყოფთა“ გვხვდება ასეთი ადგილი:

„მკურნალმან რაჲ დააყენის სნეული წყურიელი წყლისა გრილისა სუმად, არა თუ სძულნ მას იგი სნეული და მით არა უფლის მას სუმად გრილი წყალი, არამედ გულს-მოდგინედ მოსწრაფე არნ განკურნებასა მისსა და მისთჳს დააყენის სუმად, რაჲთა არა

¹ H. Reichelt, AE, I, გვ. 414.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 107.

³ H. Mapp, ИАИ, 1919, გვ. 404—405.

გრძელად სიხაშმედ გარდაეჭეს მას საღმობაჲ მისი და იქმნეს იგი უძვრეს პირველისა“ (მამ. სწავლ. 192_გ).

ხაშმი — ‘ასო-დაზიანებული’, ‘ასონაკლული’¹.

„და მერმე იცი სამართალი მშჯავრისა ჩენისაჲ და შჯაჲ ქურიგ-თაჲ და ნუგეშინის-ცემაჲ ობოლთაჲ დ/ა/ წყალობაჲ გლახაკთაჲ და ხაშმთაჲ და ტვრთვაჲ უძლურებისა მათისაჲ...“ (ბალაჰვარ. 108_ჟ).

თუმცა უნდა ითქვას, კონტექსტის მიხედვით აქ აუცილებელი არ არის ასონაკლული ვიგულისხმოთ შექველად, შესაძლოა აქ იყოს სნეული, უძლურიც.

ასეთი განმარტება ქართული სიტყვისა ხაშმი --- გამოწვეულია, ალბათ, სომხური გამოთქმის *համ անդան* ‘მახინჯი, ასონაკლული’ გავლენით. ნ. მარიც და ი. აბულაძეც, როგორც ჩანს, თეპრობენ. რომ ეს სიტყვა ქართულში სომხური გზით შემოვიდა.

44. შმაგი — ‘ხელი, გადარეული, გაცოფებული’.

შედარებით გვიანდელი ნასესხებია, რაზედაც მიგვითითებს როგორც ამ სიტყვის ფორმა, ისე მნიშვნელობა. შესაძლოა იგი ახალი სპარსულიც იყოს *خشم* ‘განრისხებული, გაცოფებული’ — ყოველ შემთხვევაში საშ. სპარსული ეპოქის უკანასკნელი წლებისა. შდრ. საშ. სპ. **hešmag* (*hešmak-iš*), შმაგი ძალიან ხშირად იხმარება „ვეფხისტყაოსანსა“ და მისი ეპოქის სხვა ძეგლებშიაც.

1. „ვეფხისტყაოსანში“:

„შმაგი უფრო გააშმაგოს“ (215_ჟ).

„თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა“ (234_ჟ);

„ვითა შმაგი, შევკრთი ღია...“ (350_ჟ).

„შმაგი უფრო გა-ვე-შმაგდი“ (587_ჟ).

„წა, უკუდეგ! ავი, შმაგი“ (759_ჟ).

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“ (22₁).

„უჭკუოსა, შმაგსა, რეტსა“ (1106_ჟ).

„ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი“ (352_ჟ).

„შმაგო, ენა ვით იხმარე“ (757_ჟ) და სხვა.

45. ვასხი — ‘სესხი, ვახში’.

„ივასხის ცოდვილმან და არა მიაგის, ხოლო მართალსა ეწყალინ და მისცის“ (ფს. 36_{ჟ1}).

¹ ილია აბულაძე, ბალაგარიანის ქართული რედაქციების ლექსიკონი. გვ. 215.

„მარადღე ეწყალინ მართალსა და ავასხის და ნათესაეი მისი კურთხეულ იყოს“ (ფს. 36₂₀).

„არასადა ვინ ვაქართაგანმან დაუტევის სავაქროჲ თჳსი, შე-თუ სადამე-ემთხვის განსაცდელი ავაზაკთა მიერ, გინა ზღუასა შინა, და წარწყმიდის სავაქროჲ და მონაგები თჳსი, არამედ კჳლადცა ივასხის და შეჯდის ნავსა... რაჲთამცა უკუ-მოილო აღნადგინები თჳსი“ (მამ. სწავლ. 107₂₀).

„მდიდართა — უვახშოდ ვასხებაჲ და გლახაკთა მოწყალებაჲ, ქველის საქმე...“ (მამ. სწავლ. 126₁₀).

ამ სიტყვის მნიშვნელობა გაარკვია ივ. ჯავახიშვილმა თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“. ქართული ნათარგმნი თხზულებების სათანადო ბერძნულ, სომხურ და ლათინურ თხზულებათა შეწამება-შეპირისპირების მეოხებით მან დაადგინა, რომ სე ს ხ ი და ვასხი ძველს ქართულში ერთსადიმავეს ნიშნავდა. მანვე აღნიშნა, რომ ქართული ვახში და ვაჭში ერთმანეთის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს და სპარსული *vaxš-*იდან უნდა იყენენ ნასესხები¹.

ჩვენი ფიქრით, ერთსა და იმავე სიტყვის ვარიანტებს წარმოადგენენ აგრეთვე ვასხი და ვახშიც. ორივე ამოსავლად გულისხმობს ირანულ ფუძეს, ოლონდ სხვადასხვა დროის ნასესხობებია, სხვადასხვა ირანული დიალექტური წრიდან. საინტერესოა, რომ ვასხი მეტწილად ზმნის ფუძედ არის გამოყენებული. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ვასხი ქართულში შემოსული იყო თავდაპირველად ჩრდილო-ირანულიდან, სადაც მას ექნებოდა, უეჭველია, სახე ვახს-ისა — *vaxš* (შდრ. ოს. *xsar*, *æxsar* ირ. *xšairā-*დან), ხოლო მეტათეზი ვახს > ვასხ — მოხდა ქართული სე ს ხ ი ს ანალოგიით, ორი სხვადასხვა წარმოშობის სიტყვის დამსგავსებით (ომონიმის პრინციპის მიხედვით). ამას ხელს უწყობდა ფონეტიკურთან ერთად შინაარსობლივი მსგავსებაც (ქართული სე-სხ-ი იმავე ძირისაა, ალბათ, რაც სხვილი, უსხი, ისე როგორც ირანულში, ქართულშიც გაზრდა — გამსხვილება არის შინაარსობლივად ამოსავალი ცნებისათვის სე ს ხ ი, ვახში).

რაც შეეხება ვახშს, იგი წარმოადგენს ზუსტ გადმოცემას ფალ. *vaxš-*ისა² ‘ზრდა, სარგებელი, მოგება, ვახში’, *vaxšitan* ‘გაზრდა, აღმოცენება’, *vaxšīšn* ‘ზრდა’.

ავესტაში *vaxša-*³ ნიშნავს ‘ზრდას, მატებას’, სანსკრ. *ukṣate*.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 456.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 332.

³ H. Reichelt, AE. გვ. 484.

გუთ. wahsjan 'ზრდა', სომხური *վաչ* 'ანგარება, სარგებელი, მოგება, პროცენტი' და სხვა. ირ. xč სომხურში ჩვეულებრივ განიცდის მეტათეზისს და იქცევა xh-დ. შდრ. xčahr > სომხ. *աչխար*¹.

46. ვახში — 'სარგებელი, პროცენტი'.

„...და ნაცვლად ლოცვისა და ღმრთის მსახურებისა იწყის ხოლო გონებად უკეთურებისა და განზრახვად უსამართლოებისა, და მოღებისა და მიცემისა უნდოდ, კაცთა მონაგებთა მიტაცებად და სულისა სარგებელსა დაჭირვებად და რიცხუად ვახშისა აღნადგინებთასა“ (მამ. სწავლ. 121₁₆).

„მდიდართა — უვახშიოდ ვასხებაჲ და გლახაკთა მოწყალებაჲ“ (მამ. სწავლ. 126₉).

ფალაური სიტყვიდან vaxč 'მოგება, სარგებელი, პროცენტი'.
შეადარე ვახში.

47. ვაჭარი, სავაჭრო, ვაჭრობა, მოვაჭრება.

„და იხილა მუნ შინა სავაჭროჲ დაგებულნი და ჰყიდდეს...“ (ე. მცხ. 89₂₆).

„შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტიანეთ...“ (აბო, 70₁₈).

„თქუნ, ბრძენთაგან ნეტარნი და უვიცთაგან უცნაურნი... კეთილთაებრ ვაჭართა საწუთროჲთა მომსყიდველნი...“ (გრ. ხანძთ., გვ. 28).

„არასადა ვინ ვაჭართაგან მან დაუტევის სავაჭროჲ თვისი, შე-თუ სადამე-ემთხვის განსაცდელი ავაზაკთა მიერ...“ (მამ. სწავლ. 107₂₀).

„და უკუეთუ იხილოს, ვითარმედ შესძინა სავაჭროსა თვისსა მარხვითა მით სარგებელი მრავალი...“ (მამ. სწავლ. 27₁).

„მაშინ დღესა ერთსა შეიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დედა-ქალაქად სამეფოდ, მცხეთად, ვაჭრობად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა; მოვაჭრებად სავაჭროთა რათამე“ (ლ. მრ. 54₉).

„ვეფხისტყაოსანში“:

„არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი“ (1121₂).

„გგონივარ ვინმე ვაჭარი“ (1262₁).

„მოზალდადენი ვაჭარნი“ (1031₁).

„შუკათა მოდგეს ვაჭარნი“ (1461₁).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 243.

დიდ-ვაჭარი:

„რა შემოვლენ დიდ-ვაჭარნი“ (1069₁).

„ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა წაუძღვების“ (1123₁).

ვაჭრობა:

„იგი ყმა ვაჭრობს“ (1062₁).

„არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი“ (1121₂).

„ივაჭრონ რა, ან გაყიდონ“ (988₁).

ვაჭრული:

„სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაწესა“
(1256₂).

„მე მარტო შევალ ვაჭრულად“ (1400₂).

საშ. სპარსული *vāčār* 'ბაზარი', *vāčārakān* 'ვაჭარი', *vāčārakānīh*¹ 'აღებ-მიცემობა', ძვ. სპარსული *abāčārīš*, *abičārīš*² 'საძოვარი',

ახ. სპარსული *بازار* — *bāzār*³ 'ბაზარი, ვაჭრობა', *bāzārīgān* 'ვაჭარი', სომხური *Վաճառ* 'საქონელი', *վաճառական*⁴ 'ვაჭარი'.

48. ზამთარი — „ზამთარი სამი თთუშ არიან: ტირისდენი, აპანი და სურწყუნისა“ (საბა).

„და განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს...“ (მათე, 16₃).

„არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა“ (მათე, 24₂₀, იოვან. 10₂₂, მარკ. 24₂₀ და სხვა).

„ჰე საყუარელნო, განვიღუძმთ ძილისაგან უდებებისა, რამეთუ ზამთარსა ბოროტსა მოუცავთ და მტერი ჩუენი უხილავი მარადის კართა ჩუენთა ზედა დგას, რაჲთამცა ცხოველნივე შთამნთქა ჩუენ“ (მათ. სწავლ. 271₃₃).

„და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრჯეს“ (ჯუანშ. 205₁).

„რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათეე პირველთა საქმეთაებრ იქმოდინ, და ზამთრის წარვიდიან“ (დავ. აღმაშ. 320₆).

„რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარინ თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თიფა...“ (დავ. აღმაშ. 332₁).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 242.

² GrirPh, II, გვ. 11; A. Meillet, Vp, გვ. 162, 227.

³ P. Horn, GrupEt, § 166.

⁴ Աճ առ յ ա ն, Ա. ք. VI, გვ. 523.

„ვეფხისტყაოსანში“:

„ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს“ (1066₃).

„ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზრვიდა“ (1020₄).

„ზამთარი ვარდთა გაახმობს“ (1347₁).

„შისა ზამთრის გაგვამციენებს“ (956₁).

საშ. სპარსული zamistān ‘ზამთარი’¹ (Mx. 44₁₇, 19, 87₁₁), პერსონიფიციკრებული დემონის მნიშვნელობით (Mx. 44₅, 52₁₁, 53).

საშუალო სპარსულში გვხვდება აგრეთვე zam ‘ზამთრის’ მნიშვნელობით, ახალ სპარსულში zam — ز ‘სიცივე’ (zamistān სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ‘ზამთრის, სიცივის დრო’).

შდრ. ახ. სპარსული زمستان — zamistān² ‘ზამთარი’.

ავესტაში გვაქვს zyam-, zəm-³, ძვ. ინდ. him-, ‘ზამთარი’. შეადარეთ აგრეთვე რუსული зима.

საშ. სპ. zamistān > ქართ. ზამთან > ზამთარ-ი.

შესაძლებელია აგრეთვე დაეუშვათ საშ. სპარსულისათვის ფორმა zamtar- შედარებითი ხარისხის ფორმა zam-იდან ‘სიცივე, ზამთარი’. ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ეტიმოლოგია, რომელიც სიტყვა ზამთარს შლის za-(სე-ზა ‘წელი’) + mtar ელემენტებად, სადაც მეორე ელემენტის მნიშვნელობა გაურკვეველია⁴.

49. ზარი¹ — ‘შიში, საშიშარი’.

„და იყო იგი წარმართი ფრიად და დიდი სამეუფოა/თა/ და აურაცხელ სიმრავლითა ერისაჲთა, ზარ და საშინელ-ყოველთა ზედა კაცთა, მძლე მტერთა მიმართ“ (ბალაჰვარ. 3₁₈).

„...და აწ ასე ჯერ-არს შენდა, რაჲთა მაცადო ამას საქმესა ზედა, რომელსა ვდგა, ვიდრე ზარი და სირცხული არს-ლა ქედსა ჩენსა ზედა...“ (ბალაჰვარ. 102₂₈).

„და ვითარცა ბერი იგი იხილა, კუალად შეჰზარდა ხილვად მისი და იწყო კითხვად მოყუასთა თჳსთა მისთჳს“ (ბალაჰვარ. 24₃).

ზარ - განჯდილი — ‘შეშინებული, შიშდაცემული’.

„...რომელი — ესე იხილა რაჲ ლუკიანე, ზარ-განჯდილი და შეშინებული დაეცა პირსა ზედა თჳსსა და მდებარე იყო ვითარცა მკუდარი“ (ასურ. მოღვაწ. 160₃).

¹ H. Nyberg, Hfsb, გვ. 253.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 261.

³ AirWb, გვ. 1699.

⁴ ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 43—44; П. Чарая, Об отношении абхазского языка к флотическим, МЛЯ, IV, 1912. გვ. 35—37; აგრეთვე, K. Schmidt, Rekonstruktion, გვ. 110; Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 86.

„აღდგა კაცი ესე განცუფრებული და ზარ-ტეხილი და მივი-
და მრავლითა სირცხულითა და ცრემლითა და ქუვილითა გული-
სადათა და დასხნა დედაკაცსა მას ჯელნი“ (ასურ. მოღვაწ. 208₃₆).

„ხოლო მან მრქუა: „მოიდრიკე თავი ქუეყნად“, და ტირილად
იყო ზარისა მისგან“ (ლ. მრ. 114₁₀).

„და ხედვიდა საკვირველებასა მიუწდომელსა და ენითა გამო-
უთქმელსა, ვითარღა იყო ზარის აღსაქდელი იგი შიში მე-
ფეთა, მთავართა და ყოელისა ერისა წინაშე კერბთა მათ წარ-
მოდგომილთა“ (ლ. მრ. 87₇).

„და შეიქმნა ჯმა ზარის-საქდელი, ზრზინეა, და ყივილი, და
კლეა“ (ლ. მრ. 113₇).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ზარ-მაც თქმად ენით“ (557₃).

„ზარი მლევს მე ამისისა თხრობისა“ (125₁).

„ვის ზარი დალევდის მისგან შიშისა“ (334₃).

„მეტმან ზარმან გამაშმაგა“ (585₁).

„მით აეხვნეს სპანი ზარსა“ (318₂).

„თვალთა ახმადცა ზარ-ედვა“ (870₁).

„ზარ-აღებულ“ (1356₃).

ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლებელია ქართული სიტყვა ზარი
‘შიშის’, ‘საშიშის’ მნიშვნელობით დაეუკავშიროთ საშ. სპარსულ
სიტყვას zahr-¹. შეადრეთ აართ. zahr ‘შხამი’, ტურქ. ფალ. zahr,
ახ. სპარსული زهر-zahr² ‘შხამი, საწამლავი’, ‘დარდი, ნალვე-
ლი, რისხვა, აღშფოთება’. შეადრეთ ახ. სპ. زهر ‘ნალველი’. ძველ
ირანულ ფორმას აღადგენენ, როგორც jaxra-³ ძირიდან jan- ‘ცემა,
კვლა’, ე. ი. ‘მომაკვდინებელი, სასიკვდილო’⁴, თალმუდ. נרן
‘poison, venin’, სირ. נרן, მანდ. נרן ‘საშიში, საზარელი←
მომაკვდინებელი’.

50. ზარი² — ‘ხმა, ძახილი, სიმღერა, გოდება, ზარის რეკა, ცემა’.

„ვეფხისტყაოსანში“:

„ზეიმი და ზარი იყო“ (73₃).

„ზარი მის ყმისა გაყრისა გახდა“ (1021₁).

„ჰკრეს ტაბლაცსა, გახდა ზარი“ (1178₃).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 251.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 263.

³ P. Horn, GrnPEt, § 663.

⁴ H. Hübschmann, P. St., გვ. 71.

ახ. სპარსული *زار* 'ტირილი, გოდება, ჩივილი', 'ხევწნა-მუ-
დარა', *زار* 'ტირილი, გოდება, კვნესა, ხევწნა, ჩივილი', *زار*
'მტირალი, მოქვეითინე, მოგოდებელი, მოზარე'.

შდრ. სკრ. *jar, jarate* 'ხმაური, ძახილი'¹, ავლ. *žaral* 'ჩივილი',
ოსური დიგ. *zarun*, ირ. *zaryn* 'სიმღერა' (ზმნა), *zar, zaræg* 'სიმ-
ღერა', *zarag*² 'მომღერალი'.

ტირილისა და სიმღერის სემანტიკური კავშირისათვის შეადარეთ
მგოსანი 'მომღერალი' და მგოსანი გლოვისანი 'მო-
ტირალნი'.

ამავე სიტყვასთან არის, ჩვენი ფიქრით, კავშირში ქართული
ზრუნ-ვა (ზრუნი) 'გოდების ბანი' (საბა). ზრუნ- > ზარ-უნ-.

„მომხედენ და შეგესემინ ჩემი, რამეთუ შევწუხენ ზრუნვასა
ჩემსა და შევძრწუნდი“ (ფს. 54₃).

„ამისათჳს შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა
გონებაჲ ჩემი...“ (აბო, 56₉).

„ხოლო მე თანამაც დედაო, ბრძანებისა შენისა სმენაჲ და ზრუნ-
ვაჲ ყოველთა ამათ შენთა საურავთაჲ“ (გრ. ხანძთ., გვ. ლე₁₇).

„ესე ანასტო და ქმარი მისი იყუნეს უშვილო და ზრუნვი-
დეს ფრიალ“ (ლ. მრ. 57₁₉).

ზრუნ-ის ამოსავალი მნიშვნელობაა — 'მოთქმა, წუხილი', შემ-
დეგ გადატანით — ზრუნ-ვ-ა (შდრ. რუს. *печья, печаль*).

ზრუნავს, ე. ი. 'სწუხს რისთვისმე, ან ვისთვისმე'.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება გამოთქმა მოზრუნვება (მისა-
მძიმრების მნიშვნელობით):

„მოუზრუნვეს მათ ცოლ-ქმართა“ (1625₁).

51. ზახ-ილი, ზახ-ება — 'ძახილი, ყვირილი, ყვილი'.

„ვითარცა მკეცი მძუნვარც ყიოდა და იზახდა ვითარცა ცო-
ფი“ (მარტ. შუშ. 151₇).

„რამეთუ იტყუელვედ ქელთა მათთა და ჳმითა მალლითა ღაღა-
დებენ და იზახებედ, და ოხრისა მათისაგან იელტიედ ყოველნი...“
(მამ. სწავლ. 13₉).

„მაშინ მირვან გარდაჯდა ცხენისაგან, მივიდა ქუეითთა თანა
თჳსთა, და წარუძღუა წინა ქუეითთა, ზურგით შემოადგინნა მკე-
დარნი, და მოვიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვი-
თარცა ვეფხი სიმჳნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“ (ლ. მრ. 28₁₀).

„ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ლომისა ძუი-
ხასსა, რომელი იზახებენ ყოველთა ზედა ოთხფერკთა...“ (ლ. მრ. 77₈).

¹ В. Миллер, Осетинско-русский словарь, гв. 143.

² В. Абаев, ОЯФ, 68.

„ვეფხისტყაოსანში“:

„დამიძაბუნეს, სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდა,
ენადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდილოდა“ (603₄).

„იზახდიან, მოთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა.
ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა-ზმასა“
(223₄).

„ხმა-მალლად ხმობდეს, იზახდეს: მოგვეშორდეს
სალმობანია,
აქამდის რისხვა-მალაღმან აწ მოგვეცნა წყალობანია“ (1621₃).

„ყმა გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მტრქვეველი,
ედებს, ეზახის, უყივის, დღებერ ღამეთა მთეველი“ (864₂).

„ხმა დამივარდა, შეიქნა ზახილი, მოსაწვევარი;
წამოვე, წევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მღევარი“, (559₁).

„ღვეთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა“ (655₁).

ზახილს უმთავრესად 'ყვირილის, ყივილის, ხმამალლა ხმობის' მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში. მხოლოდ სასხვისო ქცევაში— უზახის, ეზახის — ნიშნავს 'დაძახებას', 'მოხმობას'.

ამოსავლად ქართული სახ-|| ზახ- ფუძისათვის ჩვენ მივიჩნევთ ძველ ირანულ ძირს sah-ს (ისე როგორც სახ-ელ-ისათვის), მნიშვნელობით 'წოდება, დარქმევა'. შდრ. სკრ. ჯჰს- 'ქება', ძვ. სპარსული ზახ 'თქმა, წოდება' (დაწვრილებით იხილეთ სახ-ელთან), ოს. зәхуу 'თქმა', зәхәм 'ეთქვათ' (ნამყო zaxta)¹.

ზახ-ის მოგვიანო ფორმას ძახ-ს პარალელები მოეპოვება სხვა ქართველურ ენებშიაც. ა. ჩიქობავას თავის „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“² მოჰყავს ასეთი სქემა:

ჭან. ჯოხ//ოხ
მეგრ. ძახ//ჯოხ
ქართ. ძახ.

შესაძლოა ეს ძირი ნასესხებია ჩრდილო-ირანულიდან.

52. ზენაარი, ზენარი, შორისდებულად ზენაარ.

„ვეფხისტყაოსანში“:

„ზენაარ, სულთა ნუ გამყრი“ (398₂).

„ზენაარ, დამხსენ სიცოცხლე“ (583₃).

„ქმა ზენაარი ზენარად“ (926₃).

¹ В А ба е н, Русско-осетинский словарь, გვ. 444.

² ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 437—438. კ. შმიდტის აზრით, ქართ. sah-el-ი მომდინარეობს *zax-el-ისაგან saxe-სთან ანალოგიის შედეგად, რაც ჩვენ დამაჯერებლად არ გვეჩვენება: ძველი ქართულის მ-ზედვით გვაქვს ჯერ სახ-|| ზახ- და შემდგომ ძახ-. იხ. K. Schmidt, Rekonstruktion, გვ. 131.

„ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო“ (1045₂).

„კრულია ზენაარი ყოვლისავე მამაციისა“ (1216₄).

„ყოვლთა მისცეს ზენაარი“ (1612₁).

„ვერ გავუტეხ ზენაარსა“ (736₃).

„მას ზენაარსა არ გავსტეხ“ (852₁).

„მან გატეხა ზენარისა რად შემართა“ (846₃).

„ღიღითა ზენართა და ფიციითა“ (413₃).

ზენარობა — „კვლაცა ჰკითხა ზენარობით“ (238₁).

ეს სიტყვა ერთნაირი ფორმით გვხვდება საშუალო და ახალ სპარსულში, ამიტომ ძნელია განსაზღვრა, საიდან შემოვიდა ქართულში. მართალია, შედარებით გვიანდელ ძეგლებში გვხვდება, მაგრამ ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და მისი ეპოქის სხვა ძეგლებში გვხვდება არა ერთი ფალაური სიტყვა, რომელიც ქართული ლიტერატურის ადრინდელ ძეგლებში დადასტურებული არა გვაქვს.

შედარეთ საშ. სპარსული zīnhār¹, რომელსაც ნიბერგი თარგმნის როგორც Sicherheit. Kārnamak-ში არის ასეთი ადგილი: Sāsān hač Pāpak pašt n zīnhār x'āst (Kn. I₁₆) „სასანმა პაპაკისაგან ფიცი და ზენაარი ითხოვა“.

ჰ. ნიბერგის აზრით, ფალ. zīnhār² ამოსავლად გულისხმობს ფორმას *zīvān-hār < ძვ. ირ. *jīvanahāra- „Schutz für das Leben“.

ახ. სპარსულში გვაქვს ფორმით زینهار და زینهار zīnhār, zīnhār², რომელთაც შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. 'ფრთხილად! უფრთხილდი! უყურე!'. 2. 'უშიშროება, მფარველობა, თავშესაფარი, შებრალება, შეწყალება'.

ნვ. ზიანი — 'ენება, დანაკლისი, წაგება'.

„ვეფხისტყაოსანში“:

„დაბრუნებითა გვეცემის ზიანი“ (1034₂).

„ეგონა სამისო რამე ზიანი“ (1278₃).

„აროდეს გვიზამს ზიანსა“ (798₁).

„სიცოცხლე უჩნდა ზიანად“ (827₄).

ზიანიც ეკუთვნის ისეთ სიტყვათა რიგს, რომლებიც საშ. და ახ. სპარსულში ერთნაირი სახით არიან წარმოდგენილი და ძნელია გარკვევა, საიდან შეითვისა ქართულმა.

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 256.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 256.

საშ. სპარსული ziyān¹ 'ვნება, დანაკლისი, წაგება, ნაკლი, დანაკარგი', ახ. საარსული زیان ziyān² იმავე მნიშვნელობით. აგესტაში zyāni- zyānā- „Schädigung“³, თალმუდ. זיאן⁴, 'დანაკლისი', სომხ. *ղխան*.

54. ზრახვა — 1. 'ლაპარაკი, საუბარი'

„ზრახვასა მას მათსა... თავადი იესუ მიეახლა მათ...“ (ლუკა, 24₁₃).

„და ესენი ზრახვიდეს ურთიერთას“ (ლუკა, 24₁₄).

„მგრძთვე ნეტარი ესე ჰაბო არცა და ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის, გარნა ღმერთსა ხოლო ზრახვენ წმიდასა შინა ლოცვასა თვისსა“ (აბო, 189₂₄).

„ჰტქუა მას: ნუ ჟამითო-ჟამად, არამედ დაუცხრომელად დღე და ღამე იყავნ ზრახვაჲ შენი“ (ბალაჰვარ. 523₃).

„და სხუასაცა მრავალსა ზრახვიდეს ამას და ესევეითარსა სიტყუასა“ (ბალაჰვარ. 77₉).

„იხილა რაჲ ნეტარმან შიო, გამოვიდა და, ვითარ კაცთა, ესრეთ ღმობიერად ზრახვიდა“ (ასურ. მოღვაწ. 114₂₀).

2. 'ფიქრი, თათბირი, მოლაპარაკება, განზრახვა'.

„რასა-ეგე ზრახავთ გულთა თქუენთა“ (ლუკა, 5₁₂).

„რადსათვს თქუენ ბოროტსა ზრახავთ გულთა შინა თქუენთა“ (მათე, 9₄).

„... მტერისა მის მანქანაჲსა მზაკუევარებანი, რომელ იზრახნა ჩემთვის, განვბასრნე...“ (აბო, 195₁₈).

ზრახვა — „ვეფხისტყაოსანში“ იხმარება მხოლოდ 'დაბრალების, საყვედურის, მხილების' მნიშვნელობით (შდრ. ახ. ქართ. დაძრახვა, საძრახვისი):

„ლომმან მივჰმართე ხატაეთს, ვერვინ მიზრახავს
ბრდლობასა“ (420₃).

„რად მიმეცო ამა კირსა?“, ბედსა ამას უზრახვიდა“
(860₄).

„ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა“
(61₄).

ამ მნიშვნელობისთვისაც ამოსავალია ზრახვა 'ლაპარაკი, საუბარი'. შდრ. ახალი ქართული გამოთქმა უძძრახად ყოფნა

¹ H. Nyberg, Hfsb, გვ. 256.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 1700—1701.

³ AirWb, გვ. 1700—1701.

⁴ S. Telegdi, გვ. 242.

‘უმძრახად ვარ’, ე. ი. არ ველაპარაკები. შდრ. ხევსურული აძრახლომა ‘გამოლაპარაკება’.

ამოსავლად ქართული სიტყვისათვის ზრახ-ვა ჩვენ მივიჩნევთ საშ. ირანულ (საფიქრებელია, ჩრდილო-ირანულ) ფუძეს zūr-. zūrak > *zūrah > zrax (ზრახ). შეადარეთ ოსური zuryn ‘ლაპარაკი’ (ნამყო — zyrda)¹.

ა. ჩიქობავა ფიქრობს, რომ ზრახ- ფუძე წარმოადგენს პირვანდელ სახეს ფუძისა სახ-//ზახ- (ზახელი, სახელი). მისი სიტყვით: „ჩანს ზმნაში რ უფრო გვიან დაიკარგა: ზრახ > ზახ, სახელში იგი უფრო ადრე უნდა იყოს დაკარგული“².

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ერთი მხრივ, სახ-//ზახ- და, მეორე მხრივ, ზრახ-, თუმცა ორივე ერთი ირანული წყაროდან მომდინარეობენ, ისინი ამოსავლად ორ სხვადასხვა ფუძეს გულისხმობენ და ერთმეორისაგან მომდინარედ მათი აღიარება მართებული არ უნდა იყოს; აი რატომ: ჯერ ერთი, სახ-ელი და ზახილი უძველეს ქართულ ძეგლებში წარმოდგენილია ზრახ- ფუძის გვერდით და არა მისი სახით და, მეორეც, ასახსნელია რ-ს დაკარგვა ზრახ-ში. გარდა ამისა, ამ ორი ფუძის სიტყვებს შორის არის ისეთი ნიშანდობლივი სემანტიკური ხასიათის განსხვავება, რომელიც უფრო მათ სხვადასხვა წარმოშობაზე მიუთითებს, ვიდრე ერთიანობაზე.

თითქმის ყველა ენა ასხვავებს ერთმანეთისაგან ძახილსა და ლაპარაკს, საუბარს. შდრ. რუს. звать, звание, названье ‘სახელი’ და говорить, გერმანული Sagen და Sprechen და სხვა. ჩვენთვის კი განსაკუთრებით საყურადღებოა ოსური зæгъун, დიგ. ჯæგუნ ‘თქმა’ და zuryn ‘ლაპარაკი’, სადაც იგივე ორი სხვადასხვა ირანული ფუძეა გამოყენებული ამ ორი ცნების გამოსახატავად, რომლებიც ქართულსაც უდევს საფუძვლად.

ნა. ზლაპარი — ‘მოგონილი, შეთხზული ამბავი, ჩმახი, სიცრუე’. იხმარება ხშირად ქეშმარიტის ანტონიმად.

„რამეთუ არა მეცნიერებისა ზლაპართ შეუდექით და გაუწყეთ თქუენ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი ძალი და მოსლვა, არამედ თვთ ვხედვედით მისსა მას სიმდიდრესა“ (პეტრ. სამოციქ. კათ. ეპისტ. 1₄).

„მაშინ დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ხელოვნებით შეთხზუ-

¹ В. Агаев, ОЯФ, გვ. 383.

² ა. ჩიქობავა, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, გვ. 33.

ლი სჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ...“ (აბო, 19₁₄).

„და ქეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე-მიიქცენ და ზღაპრებსა მიექცენ“ (აბო, 180₂₀).

„უკუეთუ გუნებავს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, თავთა ჩუნთა განრინებაჲ და აღდგინებაჲ დაცემათაგან, უკუე მოსწრაფე ვიყუნეთ წიგნთა კითხვად სულიერთა, რამეთუ იგი უმჯობეს და უსარგებლეს არს ჩუნდა ჭამასა მავნებელთა საქმელთასა, რომელ არს ცუდის მეტყუელებაჲ და უბანთა ზედა ზღაპრობად შექრებასა, რომელსა შინა სარგებელი არაჲ არს“ (მამ. სწავლ. 76₂₀).

„ვეფხისტყაოსანში“:

„მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა, რას აქმნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!“
(1141₂).

„არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა კირი ზედა-ზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი“
(1184₃).

„დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა, მახია.
აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია!“
(715₄).

„ანდიბან მოგვმან, გრძნებითა მბოგვმან,
მისნობით ქელ ჰყო ზაკვით ზღაპრობა!“
(აბღულმესიანი, 79₂).

„თვით მე ზღაპრესა, ცუდ ფელამბერსა
ღმრთისა არ მართლად მქადაგებელსა“...
(აბღულმესიანი, 82₈).

შეადარეთ აგრეთვე მუცლით მე ზღაპრე 'ვანტროლოგი'. ამოსავლად ზღაპარისათვის ჩვენ მივიჩნევთ საშ. ირანულ სავარაუდებელ ფორმას *zaxbar 'თქმულება'. zax- || sax- იგივე ფუძეა, რაც სახ-ელსა და ზახილში გვაქვს, მნიშვნელობით 'თქმა, დახება' + სუფიქსი -bar, ძვ. ირ. bara. შეადარეთ რუსული сказ-ка. zaxbar > ზახბარ > ზღაპარ-ი.

zax- || zax- მიგვითითებს ამ სიტყვის ჩრდილო-ირანულ წარმომავლობაზე, შდრ. ოსურ. zaxyn [zaxta] 'თქმა'.

თქმა და სიტყუე რომ ერთი და იმავე ძირიდან შეიძლება იყოს ნაწარმოები, ამის შესანიშნავი მაგალითია ქართული სიტყუა და ტყუილი (აქ ერთმანეთს უპირისპირდება ცნება ნამდვილად არსებულისა და მოგონილის, თქმულისა მხო-

ლოდ). მნიშვნელობის ასეთსავე დიფერენციაციას აქვს ადგილი ირანულ ძირში zūr-. ჩრდილო ირანულში ეს ძირი გამოყენებულია 'ლაპარაკის' მნიშვნელობით, შდრ. ოს. zuryñ 'ლაპარაკი', საკ. სახელი ბეერაზორი 'მრავალსიტყვიანი', ხოლო სპარსული ჯგუფის ენებში zūra ნიშნავს 'სიტყუეს', ძვ. სპარსული zūrakara-¹ 'მატყუარა', საშ. სპ. zūr 'სიტყუე', 'ტყუილი', რომლისაგანაც მიღებულად ვთვლით ჩვენ სიტყვა ცრუს: zūr > ქართ. ძურ (ძკრ), ძურ-უ > ძრუ > ცრუ. შეადარეთ ყური და ყრუ.

ნ6. ზურმუხტი — „მწვანე თვალია პატიოსანი“ (საბა).

„გარემოს მისსა მოიქმოდა აგურითა და კირითა, ხოლო ქუდნი კართანი და სარკმელთანი იაკინთისა და ზურმუხტისანი შექმნა“ (ჯუანშ. 107₂).

„ვეფხისტყაოსანში“ — „ზურმუხტისა ბუდებითა“ (1319).

„და იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაქვ ოქროსი... და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი...“ (ლ. შრ. 89₁₀).

სიტყვა ზურმუხტი თავისი ფორმის მიხედვით აშკარად საშ. ირანულია.

შდრ. ფალ. *zmuruxt > სომხ. *զմուխտ* 'ზურმუხტი', სანსკრ. marakata, პრაკრ. maragada > ბერძნ. *μαράχιδις*, *μάραχιδις*; სემიტურ ენებში: ბაბილონ. barraktu, ებრ. *בַּרְקָה*, ფინიკ. baraqt, სირ. bārka.

ეს ძირი, როგორც ჩანს, სემიტური წარმოშობისაა, სადაც ძირი brq- ნიშნავს 'ბრწყინვას'.

სემიტურიდან ნასესხებია პრაკრიტში *aśma maragada*-ს სახით ('ბრწყინვალე ქვა'), საიდანაც იგი შეითვისა ბერძნულმა².

ბერძნული ფორმა საფუძვლად უდევს ირანულ (ფალ. *zmuruxt, ახ. სპარს. *زمرز*) და არაბულ *زمرز* ფორმებს.

შენიშვნა: ბერძნულ *μαράχιδις*-ში *σ* შეიძლება განვითარებულია *μ*-ს წინ ისე, როგორც ეს ძველი სპარსული საკუთარი სახელის Bardiya-ს გადმოცემის შემთხვევაში გვაქვს. პეროდოტესთან ეს ძველი სპარსული სახელი გადმოცემულია *Σμάρπιδις*-ის სახით (ესქილესთან *Μάρπιδις*)³. ასევე, ინდურ *maragada*-ს ან სემიტურ *barraktu*-ს შეეძლო მოეცა ბერძნული *σ-μαράχιδις*. ე. ბუაზაკი ბერძნულ

¹ A. Meillet, Vp, გვ. 68.

² E. Boisacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque, Paris, 1933, გვ. 609.

³ A. Meillet, Vp, გვ. 29 და 53.

ჟორმას შემდეგნაირად აწარმოებს: პრაქრ. *ašma. maragda* > *σμαμαραγῶν* > *σμαραγῶν*.

ბ7. იაგუნდი, იაკინთი — ‘ძვირფასი თვალი წითელი ფერისა’.

„და წარმოიღეს ხარკი პინდოთა მეფისაგან; მუშკი ლიტრა ათასი, ამბარი ეგნომივე; ალვა ნავი ათი, თუალები იაკინთი და ზურმუხტი ნავი ერთი, და მის თანა საფირონი თჯოთსახე...“ (ჯუანშ. 188₁₀).

„ვეფხისტყაოსანში“:

„იაგუნდი ეგრეცა სჯობს“ (298₃).

„სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი“ (771₃).

„იაგუნდისა მრთელისა“ (1438₃).

„იაგუნდითა წითლითა“ (1439₂).

„ქარვად შექმნეს იაგუნდნი“ (282₄).

აბ. სპარსული *ანგ* და *انگ* ‘იაგუნდი, ლალი’, *انگازرق* ‘ბივრილი, აკვამარინი’, *انگزرز* ‘ტოპაზი’¹, *انگسرخ* ‘ლალი’ (წითელი იაგუნდი), *انگسبز* ‘საფირონი’.

შეადარეთ აგრეთვე *انگ* ‘წითელი ღვინო’, პართული *f'kwud*², ბერძნ. *ἀγγύμιος* > იაკინთი, რუს. *янго*.

ბ8. იავარი, ავარი — ‘ნადავლი, ალაფი’.

„...და იავარ იქმნენ სახლნი თქუენნი, და ტყუედ მიეცნენ შვილნი თქუენნი“ (ბალაჭვარ. 113₃₉).

„აწ უკუე გუეშინის, ნუუკუე ქელთ იგდოს და გუეუფლოს შჯული მისი და მას /შინა/ მოგუედგმის სამართლით თავს-დებაჲ სისხლთაჲ, რომელ დავსთხიენით ბრძანებითა შენითა, და მონაგებნი, რომელნი იავარ-ყვეენით მშჯავრითა, თანა-გუაც გარდაქდაჲ მათი“ (ბალაჭვარ 143₄).

„მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენა ყოველივე, იავარ-ყვენა ყოველნი ციხენი და ქალაქნი...“ (ლ. მრ. 15₁).

„ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატიულნი სასმურნი და სამწდონი პატროსანნი, კარაენი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აახუნეს იავარად და წარვიდეს“ (დავ. აღმაშ. 319₉).

¹ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гл. 601—602.

² W. Henning, BSOS, IX, 89.

„ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი იავარად მოხმულნი თჳსნი“ (დავ. აღმაშ. 330₇).

„თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარ-ყვნა, და წარმოილო ნატყუენავი მათი ურიცხჳ“ (დავ. აღმაშ. 339₇).

„მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“ (დავ. აღმაშ. 351₂₀).

„ვეფხისტყაოსანში“:

„იავარ-ვყავ საქონელი“ (1103₃).

„იავარ-მყო, ამფხვრა სრულად“ (1174₃).

ავარა:

„შეკრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოისრნეს ბერძენნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი“ (მატ. ქართ. 285₆).

„და წარიღეს ავარი დიდძალი და განძი სამეფო, რომელი ჰქონდა თანა“ (მატ. ქართ. 288₂).

„გააქციეს ფადლონ და აუწყუდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხჳ“ (მატ. ქართ. 296₂₅).

„და წარმოიღეს გიორგისთა ავარი, და ეზომ განდიდნა ბრძოლა იგი, რომელ სიელტოლა ეგულებოდა ბასილი მეფესა“ (სუმბატ. დავითის ძე, 383₁₈).

„წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეფო ყოველი სრულიად, რომელი აქუნდა“ (სუმბატ. დავითის ძე, 384₁₇).

ფალაური āvār¹ ‘ძარცვა, ყაჩაღობა’, ფახენდ. āpār, āpāradan ‘პარვა’, ბელუჩ. āvār, ავღ. āvār, მანდ. āvār, სომხ. ավար ‘ნადელი’, ახ. სპარსული اروا ‘უსამართლობა, ჩაგვრა, ტირანია’, ‘ნანგრევები, ნამსხვრევები, ნაოხარი, დანგრეული’².

პ. ნიბერგს ფალაურისათვის მოჰყავს ფორმა āpār ‘ძარცვა, აოხრება’ (ფაზ. āpār, ნერ. āpāhārā). მისი აზრით, āpār მიღებულია *āppar-ისაგან, რომელსაც იგი აწარმოებს ირ. *āpa-pāra-საგან³.

ჩვენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია პ. ჰორნის ეტიმოლოგია, რომელიც ამ სიტყვას bar- ძირიდან აწარმოებს (ā + √ bār), ფალაური āpār, āparišn ‘ძარცვა’⁴, āpartan, āpartan. ‘აოხრება, გავრანება’. შდრ. ქართ. ავაზაკი (ā + √ vaz ‘მოტაცება, ძარცვა’).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 162.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 14.

³ P. Horn, GrnpEt, გვ. 13.

⁴ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 4.

59. იადგარი — ‘მოსახსენებელი, სახსოვარი’, „საქსენებელი“ (საბა).

„რამეთუ აწ არს ხანძთას ჳელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი“ (გრ. ხანძთ., გვ. ლთ₁₂).

ავესტური *yāta-* ‘ხსოვნა’, ფალ. *yāt*¹ ‘ხსოვნა, მოგონება’, ახ. სპ. ახ. ‘ხსოვნა’, *كرد* — *كرد* ახ. ‘ხსოვნა, სახსოვარი, ძველი’², მანიქ. *𐭎𐭏𐭓𐭏𐭎* ‘ხსოვნა, სახსოვარი, მოსახსენებელი, მოსაგონებელი’³.

შენიშვნა: კ. ზალემანს მოჰყავს ნ. მარის საინტერესო შენიშვნა ამ სიტყვის შესახებ ქართულში, რომელიც მას დახმარებია მანიქეველური ფორმის თარგმნისას: „სპარსულიდან ქართულში ნახსენებები იადგარი, გარდა მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა ‘ხსოვნა, მოგონება’, ძველ საეკლესიო ტერმინოლოგიაში აღნიშნავს სპეციალურ ჰიმნთა კრებულს წმინდანთა სადიდებლად, ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა მანიქეველურ ძეგლებშიც“ (Man. Stud. 52).

60. კალნაბი — ‘კომბოსტო’.

„ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა“ (გრ. ხანძთ., გვ. კა₁₄).

შდრ. ახ. სპარსული *کرنب* *karnab*⁴ ‘კომბოსტო’, *كرم*, *كل* ‘კომბოსტო’, ბერძნ. *καράμπη*, სირ. *karabbe*, სომხ. *կարամբ*⁵, არაბული *كرنب*⁶ ‘კომბოსტო’.

ქართულში და სომხურში შემოსულია საშ. სპარსულიდან **ka-ranb* ან *kalanb*⁷.

61. კოშკი — „წურილი და მაღალი ციხე“ (საბა).

„ოდეს ვიხილჳ ასულმან: აზიათარისმან: სიღონია წმინდაჲ ნინოჲ: თავსა ციხისასა: პირველ: მცხეთისასა კოშკსა მას მაღალსა

¹ P. Horn, *GrupEt*, გვ. 250.

² M. Гаффаров, *Персидско-русский словарь*, გვ. 911.

³ C. Salemann, *Man. Stud.*, გვ. 52.

⁴ *GričPh*, II, გვ. 59; Б. Михлер, გვ. 404.

⁵ H. Hübschmann, *AG*, I, გვ. 162.

⁶ A. Belot, გვ. 692.

⁷ ი. ჯავახიშვილის აზრით, ქართული *კალნაბისათვის* ამოსავალი არა ბერძნულიდან სპარსულში შესული ზემოთ მოყვანილი ფორმები, არამედ *kal-nab*, სადაც *kal* (იგივე ქართული კავლი) = ლათინურ *caulis*-ს, ხოლო მეორე ელემენტი *nab* = ლათ. *napus*-ს. იხ. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, II, გვ. 178—185.

ბრინჯთა მათ ქუეშჳ ბრატმან მეფისა საგრილთა და სასუენებელთა ჯღა“ (მოქც. ქართ. 767₆).

„და დადგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცედ“ (ლ. მრ. 20₂₆).

„...სადა იყუნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მას აღეშენნეს“ (ლ. მრ. 90₁₁).

საშ. სპარსული kōšak ‘სასახლე’, ახ. სპ. کوشک¹ ‘სასახლე, ციხე, პავილიონი, კიოსკი’, არაბ. ḡausak ‘სასახლე’, თალმუდ. קִוֶּשֶׁק ‘ციხე’, ‘სიმაგრე’, სირ. קִוֶּשֶׁק ‘pinna’². პ. ჰორნის აზრით, ამოსავალია საშ. ირ. gōšak, სპარს. gošā ‘კუთხე. ყურე’³.

შენიშვნა: ს. ტელეგდის ამოსავლად მიაჩნია თავიკიდური k, და მოწმებული ფალაურში, ახალ სპარსულსა და თალმუდურში, ხოლო სირიულში წარმოდგენილი მღეერი გ მეორეული უნდა იყოს, არაბული ფორმა კი გ-თი, მისი აზრით, სირიულიდანაა შეთვისებული. ეს სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული მრავალ ენაში.

შდრ. ქურთ. kōšk, ოს. k’ūska⁴, თურქ. köşk, ევროპ. kiosk, უბიხ. k’wask.

62. კერპი—„...წარმართთა ცრუ ღმერთი, გინა ჯელით ქმნილი“ (საბა).

„განარისხეს იგი ბაგინებსა მათსა და კერპებითა მათითა აშურეს მას“ (ფს. 77₆₈).

„...და მსახურებდეს კერპთა ცრუთა ჯელით ქმულთა...“ (ე. მცხ. 87₁₁).

„...და სიმყრალჳ იგი კერპთ-მსახურებისაჲ განგუაშორა...“ (აბო, 61₁₁).

„და თანა ჰყუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და გაიმ“ (მოქც. ქართ. 709₉).

„...და არა ხედავ მას, არამედ გარე მიიქცევ პირსა შენსა მისგან, ვითარცა ვინ გარე მიიქციის პირი თვისი ქვისა კერპისაგან“ (მამ. სწავლ. 11₁₃).

მეკერპე:

„ანუ არა ვასმიანა სასწაულნი, რომელნი ქმნენს კონსტანტეს-ზე მეფისა წარძლუანებითა ჯუარისათა, ანუ რომელნი ქუეყანასა ბერძენთასა იქმნენს სასწაულნი ივლიანეს-ზე მეკერპისა მეფისა?“ (ჯუანშ. 160₂₀).

„...და შეკრბეს სხანი ბერძენთანი და ივბიმიანოს აჩინეს მეფედ, ხოლო მან არა თავს-იდვა ვიდრემდის არა დამუსრნეს კერპნი და აღმართნეს ჯუარნი...“ (ჯუანშ. 160₂₂).

¹ В. Миллер, Переиленко-русский словарь, гл. 412.

² S. Telegdi, гл. 254.

³ P. Horn, GrapEt, § 221.

⁴ В. Абаев, Историко-этимологический словарь, гл. 643.

„და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედი თჳსსა. ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა“ (ლ. მრ. 25₁₀).

„და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“ (ლ. მრ. 26₁₁).

„და მან (საურმაგ) შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა“ (ლ. მრ. 27₁₃).

„ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან ალაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელითა ზადენ, და ამართა ზადენს“ (ლ. მრ. 29₂).

ფალაური -karp¹ 'ფორმა, ფიგურა, გარეგნობა', ავესტური kəhrp- (Nom. sg. kərəfš)² 'სხეული, ფორმა', სომხ. կարպ³ 'ფორმა, სახე, შეხედულება', შდრ. ახ. ქართული კერპი, ჯიუტი, შეუსმენელი.

63. კუბასტი — საბას განმარტებით 'ლეჩაქი'.

ეს სიტყვა გვხვდება

1. „საქმე მოციქულთაჲში“:

„და გარემოადგეს მას ქურიეები იგი ყოველი, ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა ყოველსა, რომელსა იქმოდა, მათ თანა რაჲ იყო ტაბითა“ (9₃₉).

2. „შუშანიკის მარტვილობაში“:

„მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეტქა...“ (20₁₉).

„და კუბასტნი შუშანიკისნი და ჯორცნი წულილ-წულილად დაებცარნეს ძეძუსა მას...“ (27₁₈).

3. „ამირან დარეჯანიანში“ (კუბასტის სახით):

„დედოფალმანცა მის დიაცისა ძღვნობილი კუბასტი ჩაიცვა და ორნივე ერთგან დასხდეს“ (121₂₁).

მოყვანილი კონტექსტებიდან ირკვევა, რომ კუბასტი არა მარტო 'თავსაბურავის' მნიშვნელობით იხმარებოდა, არამედ გარკვეული ტიპის სამოსელის აღსანიშნავადაც. საშუალო და ახალ სპარსულში ეს სიტყვა არ გვხვდება. ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლებელია ეს ქართული სიტყვა დაეუკავშიროთ ავესტურ გამოთქმას *akabastam.

¹ H. Nyberg, Hfsb, II, 33. 121—122.

² AirWb, 33. 454.

³ H. Hübschmann, AG, I, 33. 168.

aka ნიშნავს “შესაკრავს, საკინძს”, ხოლო basta ნამყოს მიმ-
 ლეობის ფორმაა ზმნიდან band “შეკვრა, შეხვევა” და სხვა. მთლიან-
 ნად გამოთქმა ნიშნავს ‘საკინძით შეკრული ან შესაკრავი’. მისი საშუ-
 ალო ირანული ფორმა უნდა ყოფილიყო *akbast ან kubast, რომ-
 ლის გადმოცემას წარმოადგენს ქართული კუბასტი. *kubast > ავ.
 aka-basta¹, ალბათ, სამოსლის გარკვეული ტიპის აღსანიშნავად
 იყო გამოყენებული, შესაძლებელია აგრეთვე აქ გვექონდეს ახ. სპ.
 külahband-ის² ანალოგიური *küllahbast ‘თავსაკრავი’.

64. კურტაკი, საკურტაკე ჯაჰვი — ესე არს სამოსელი მეომრისა,
 საჩინო ჯაჰუთა გარეგან“ (საბა).

„ჯაჰვი მეცვა საკურტაკე“; (ვ. ტყ. 558₄).

ფალ. *kurtak, სოლდ. kwrb'k, qwrty ‘პერანგი’, ქურთ. kur-
 tek, ახ. სპარსული كرتك, كرتك ‘მოკლე ტუნიკა ტანზე შემოჭე-
 რილი კირასის მსგავსად, მოკლე სახელოებით’ (იდაყუებამდე), იგივე
 ძირია, რაც ქართული კუართი; იხ. კუართთან.

65. ლალი — ‘წითელი იაგუნდი’, ‘წითელი’.

„კჟულად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავლით-კერძო
 ქედსა ზედა მას ტბაჲ, აღრეული ლალითა“ (ს. ზ. 160₂).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ბროლი და ლალი გასრულვარ“ (139₂).

„ლალი ქარვად გადიქცია“ (659₂).

„ნაკეთად სარო, ფერად ლალი“ (973₃).

„მართ ვითა ლალსა მზისაგან, მას ფერი ეზარდებოდა“
 (1352₃).

„ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის“ (1140₃).

„თვალნი ლალისა ქვისანი“ (1560₃).

არაბ. სპარსული لال ‘ძვირფასი ქვა, ლალი, წითელი ვარდი’,
 لال ‘წითელი, ლალი’ და სხვა.

ა. სიდდიკი³ არაბულ لال-ს სპარსულიდან შეთვისებულად მიიჩ-
 ნევს და შენიშნავს, რომ ალბათ თვით სპარსელები ამ სიტყვას ე-ით
 წერდნენ, რომ -ლალი = -lāl⁴ (lal > არბ. la'l), რომელიც არა-
 ბულში იყო გადასული, لال lāl ‘წითელი’-საგან. გაერჩიათ ისე,

¹ AirWb, გვ. 46.

² Borhān-e Qāte', III.

³ A. Siddiqi. Studien über die persischen Fremdwörter im klassi-
 schen Arabisch, Göttingen, 1919, გვ. 1333, 1345.

⁴ Borhān-e Qāte', III, გვ. 1379.

როგორც მკვიდრი სპარსული სიტყვა *šim* 'ასი' იწერება *س*-ით, არაბული *س*-ისაგან გასარჩევად, ისე როგორც *شست* 'სამოცი', არაბ. *شست*-ისაგან — *Strick* და სხვა.

66. ლაშქარი — 'ჯარი, არმია, ბანაკი'.

„შვილო საყუარელო. მკედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არნ. ძღვეაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ...“ (გრ. ხანძთ., გვ. მა₇).

„და ესე უწოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე. წმიდანი უდაბნოთა მამანი. არიან კორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საქურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა“ (გრ. ხანძთ., გვ. ლბ₅₄).

„და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა“ (მოქც. ქართ. 777₂₇).

„მოდრკა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი: მოვიდა და გარდა-მოვარდა საჯედრისაგან“ (მოქც. ქართ. 774₁₀).

„...და შემოკრიბნა ლაშქარნი თარულად, და წარემართა ვარსქენს ზედა“ (ჯუანშ. 216₁₃).

„ვეფხისტყაოსანში“:

„მან დამიხოცა ლაშქარი“ (111₂).

„მოსულა ხატად ლაშქარი“ (1594₃).

„იბრძვის ინდოთა ლაშქარი“ (1595₃);

„ლაშქარიცა დაერაზმა“ (170₃).

„სპასპეტე ლაშქრისა ბევრ-ათასისა“ (44₂).

„ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი“ (54₄).

„ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს“ (98₃).

„დღეს ავყარენით ლაშქარნი (202₁).

„ლაშქარნი რბოდეს მი და მო“ (1508₃).

„ნახა ლაშქართა ჯარია“ (92₃).

„სპა ლაშქართა“ (977₂).

„შეუშინდა ქარავანი მათ ლაშქართა სიდიდესა“ (1038₂).

ახ. სპარს. *شکر*¹ 'არმია, ჯარი, ლაშქარი, ბანაკი' და

სხვა, არაბული *عسكر*² 'ჯარი, ლაშქარი', სომხ. *լաշկար* 'არმია, ლაშქარი'³.

¹ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 437.

² И. Баранов, გვ. 658.

³ Н. Hübschmann, AG, გვ. 157.

თვით სპარსულში ამ სიტყვის ეტიმოლოგია გარკვეული არ არის. ს. ფრენკელი¹ მას არაბულიდან ნასესხებად თვლის, მაგრამ თვით არაბული ფორმა სპარსულიდან შეთვისებულად ითვლება, რაც უფრო დამაჯერებელია².

ა. სილდიკის მოაყავს რიზა-კულიხანის ეტიმოლოგია, რომელიც لشك-ს აწარმოებს ახ. სპარსული სიტყვიდან شك ('ცალი, ნაწილი'—ჯარის ნაწილი, გუნდი, რაზმი). მაგრამ გარდა სემასიოლოგიური დაბრკოლებისა, რომელიც ამ ეტიმოლოგიას სდევს, აუხსნელი რჩება დაბოლოებაც³.

ახალმა სპარსულმა لشك არაბული عسكر მოგვცა შემდეგი გზის გავლით: laškar > არაბ. al-laskar > *al-askar > *al-'askar > al-'askar.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ამ სიტყვისათვის დაეუშვათ შემდეგი ეტიმოლოგია. ახალი სპარსული لشك წარმოდგება ძვირან. კომპოზიტისაგან *rāšā-kara, რომლის პირველი კომპონენტია *rāšā, მომდინარე rāš-იდან. შდრ. ავ. rāš- 'ვინება, ზიანის მიყენება', გუთ. rāšo- 'წამება, ტანჯვა', სკრ. rākšas, ბერძნ. ἑρεχθεῖν, ინდ. ევრ. *rexš⁴. ახალ სპარსულში გვაქვს შესატყვისად ش 'ნგრევა, განადგურება, თავდასხმა, ნადავლი' და სხვა.

მეორე ელემენტის ასახსნელად ორი შესაძლებლობა არსებობს: 1. kara შეიძლება იყოს სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი -kara > kar-, gar || kāra > kār -gār 'მოქმედი, მკეთებელი'. შდრ. ახ. სპარსული bazāgar, ფალ. bačakkār 'ბოროტმოქმედი', perozgar 'გამარჯვებული', ფალ. pērōčkār, ziyānkār 'მავნებელი', ფალ. ziyānkār, აგრეთვე kirdgār sitāmgār; rōzgār 'დრო,' ფალ. rōč-kār და სხვა მრავალი. მაშინ لشك — სიტყვის შინაარსი იქნებოდა: 'მნგრეველი, თავდამსხმელი, გამანადგურებელი'⁵. 2. -kar მომდინარეობს ძველი სპარსული სიტყვიდან kāra, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს ჯარსა და ხალხს ქართული ერის მსგავსად. შდრ. ახ. სპარსული kār სიტყვაში kārzār — کازار

¹ S. Fraenke I, Die aramäischen Fremdwörter im Arabischen, Leiden, 1856.

² GrirPh, I, გვ. 57. შენიშვნა 6, § 22.

³ A. Siddiqi, Studien über die persischen Fremdwörter im klassischen Arabisch, გვ. 82. შენიშვნა 1.

⁴ GrirPh, I, გვ. 17; H. Reichelt, გვ. 494.

⁵ M. Mo'in-ის მიერ გამოცემული Borhān-e Qāte'-ში მოყვანილია მოსახრება, რომელიც laškar-ს უკავშირებს ფალ. artištar-ს, ავ. raθaeštar > raθštar > laštar > laškar-. იხ. Brh. Qat., III, გვ. 1894.

‘ომი, ბრძოლა, შეტაკება’¹. მაშინ laškar-ის მნიშვნელობა იქნებოდა ‘გამანადგურებელი, თავდამსხმელი ჯარი, ხალხი’. ძვ. ირ. raša-kāra > საშ. სპარს. *raškār > ახ. სპარს. laškar.

67. მარზაკი, მაზრა, მაზრაკა — ‘შუბის სახე, ლახვარი, გურზი’:

„და იწყლა მირ მაზრაკითა ფერდსა, ხოლო ქრისტიანეთაგან მას დღესა შინა მოკლეს კაცი სამოცი...“ (ჯუანშ. 237₂₀).

„მშვილდთა მაზრაკა

უქმნა მტერთ რაკა

გულის უწყალოდ ანაგებითა“ (აბდულმესიანი, 19₃).

მარზაკი ანუ მაზრაკი ჩუბინაშვილს განმარტებული აქვს როგორც ‘მოკლე შუბი’, ‘ბუნმოკლე ლახვარი, სათხელი’².

ნ. მარი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც ‘стрела’ (тукноседа) და შენიშნავს, რომ ‘მაზრაკის’ ფორმით იგი გვხვდება სომხური ძეგლებში (იერ. 6₃₃-ში) და სიტყვის შესატყვისად ნახმარი³.

მარზაკი წარმოადგენს ახ. სპარსულ-არაბულ ფორმას مرزاق⁴. საშ. სპარსული სიტყვისა vāzr⁵ ‘გურზი’.

როგორც ჩანს, საშ. სპარსულში არსებობდა ფორმა *vazrak: რომელიც არაბულში გადავიდა mizrāk-ის სახით. შდრ. არაბული مرزاق, მრ. مزاري ‘შუბი, პიკი’.

თვით საშ. სპარსულისათვის ამოსავალია ავ. vāzra⁶ (სკრ. vajra), ახალ სპარსულში gurz⁷. შეადარეთ ქართ. გურზი:

მხეჭალა შანიძემ ქართულ ბიბლიაში დაადასტურა აგრეთვე საშ. სპარსული წარმოშობის ვაზრიც⁸.

68. მაზრა — ‘საზღვარი, ქუეყანა, ოლქი’.

„ხარგა დაეღვი, არ მაზრები“ (ვ. ტყ. 431₂).

მომაზრება:

„ძოწსა მარგალიტი გარე ტურთად მოემაზრა“ (ვ. ტყ. 536₃).

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში მაზრა განმარტებულია, როგორც ‘ფაცხა, ალაჩუხი’, რაც, ჩვენ ვფიქრობთ, არ არის სწორი.

¹ M. Meillet, Vp, გვ. 148 და გაფართოვების ლექსიკონი, გვ. 640.

² დ. ჩუბინაშვილი, ლექსიკონი, გვ. 659.

³ Н. Марр, Одишцы, I, ლექსიკონი.

⁴ И. Баранов, გვ. 274; Н. Грозно, Персидско-русский словарь, გვ. 1467.

⁵ Н. Nyberg, Hfsb, გვ. 237.

⁶ AirWb, გვ. 1392.

⁷ P. Horn, GrnpEt, გვ. 906.

⁸ მ. შანიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან (წაკითხულია მოხსენებად თბილისის უნივერსიტეტის ფილ. ფაკ. III სამეცნ. სესიანზე 1958 წ.).

აზრები შეიძლება ნიშნავდეს 'უსაზღვრო, თვალუწვდენელა', რასაც ადასტურებს ამ სიტყვის სხვა ადგილას ხმარება ფორმით: მოემაზრა, სადაც კონტექსტიდან სავსებით აშკარაა მისი მნიშვნელობა 'საზღვრისა' (მოემაზრა — მოესაზღვრა — მოეთარგლა). „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია-ლექსიკონშიც ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან კავშირშია წარმოდგენილი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნებიდან საზღვარი შესაძლებელია მიგვეღოს მნიშვნელობა 'საფარველისა' და შემდეგ 'კარვისა' მაზარა-სი.

ახალი ქართული მაზრა — 'გუბერნიის' გაგებით, აგრეთვე დაკავშირებულია marz-თან 'საზღვარი, კიდე, ქვეყანა'. შდრ. მარზპანი. შეიძლება სიტყვა მაზრა სირიული გზით მოდიოდეს.

ამ სიტყვის ირანული ეტიმოლოგია ასეთია:

საშ. სპარსული marz: 'საზღვარი, ქვეყანა, კიდე', ახ. სპარ. مرز, ავ. marəz, სირიული ܡܪܙ².

ქართულში მეტათეზისი გვაქვს: მარზა > მაზრა (შდრ. მაზრაკი და მარზაკი).

69. მარზპანი — 'საზღვრის მცველი', 'გუბერნატორი', 'მაზრის უფროსი'.

„...ამათ რვათაჲვე შეკრვაჲ ბრძანა და წარცემაჲ ტფილისს არჲვანდ გუშნასჲ მარზაპანსა ქართლისასა“ (ე. მცხ. 82₃).

„და ვითარ წარემართებოდა მარზაპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზაპანისა მის ჯმნად მოვიდეს“ (მოქც. ქართ. 720₁₀).

„და შემდგომად მისა დადგა ვარაზ ბაკურ მეფედ: და მისაზევე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა“ (მოქც. ქართ. 720₁₀).

„...უკანასკნელ მასვე სანატრელსა საკურთხეველსა თავი თჳსი შესწირა, მრგულიად დასაწუელად მისსა მიმართ შესწირვიდეს ეელითა უსჯულოჲსა მის მარზაპანისაჲთა, რომელმანცა შეწირა“ (ასურ. მოღვაწ. 89₁₃).

„...და ვითარცა იხილეს მოხუცებულთა და მარზაპანთა სპარსეთისათა, ვითარმედ მახული დაეცემის ურთიერთას, აღდგეს მათ შორის მოციქულად და ბქედ, და დასჯერდეს ორნივე მეფენი პკობასა მათსა“ (ლ. მრ. 67₆).

¹ P. Horn, GrnpEt, § 974; Б. Миллер, Персидско-русский словарь, 83. 482.

² S. Telegdi, 83. 247.

„აწ ოდეს მოხვდე ჩემ თანა, და ესრეთ რქუა მოხუცებულთა და მარზაპანთა ჩემთა...“ (ჯუანშ. 184₁₁).

„ხვალისა დღე მოუვლინა ვახტანგს ბარზაბანი საკუთარი და მობიდანი, და რქუა ესრეთ გორგასალს“ (ჯუანშ. 124₂₃).

„ვეფხისტყაოსანში“:

„გავგზავნე მარზაპანია“ (402₁).

საშ. სპარსული marzəpān¹ სიტყვისიტყვით ‘საზღვრის მცველი’ (Markgraf, Statthalter), ახ. სპარსული مرزبان — marzbān²: 1. ‘მესაზღვრე’, 2. ‘სასაზღვრო’ ოლქის მმართველი, 3. ‘მემამულე’. marz-pān ‘მცველი’ (ახ. სპ. -bān || -vān), სომხ. *მარզպან*³, ოალმუდ. *مزربان*⁴.

70. მობიდანი — ‘მოგვთა მთავარი’.

„ხვალისა დღე მოუვლინა ვახტანგს ბარზაბანი საკუთარი და მობიდანი...“ (ჯუანშ. 124₂₃).

„და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უხჯულოება მობიდანისა, არამედ ჰგონებდეს მორწმუნელ“ (ჯუანშ. 91₂₈).

ძვ. სპარსული *magupati, ფალ. magupat ‘მოგვთა მთავარი’ გამოითქმის mōvpat > mōvpat (სასანურ ეპოქაში), სომხ. *მაგუპათ*. ახ. სპარსული موبد ‘მოგვთა მთავარი, ბრძენი, ვეზირი, მრჩეველი’, მრ. რ. موبدان⁵, სომხ. *მორქუან* ‘ზოროასტრელთა მთავარი ქურუმი’⁶, სირ. *ܡܘܒܕܐ* ‘მოგვი’, ბერძნ. Μαυπαταξ — იკითხება Μαυπαταξ.

ქართული მობიდანი წარმოადგენს ახ. სპარს. გამოთქმის mōbedān mōbed-ის პირველი ნაწილის გადმოცემას, ამიტომ არის იგი წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის ფორმით, შეადარეთ ბანოვანი.

საინტერესოა აგრეთვე სახელი მოაბად („ვისრამიანში“). იგი უნდა იყოს ფალ mōvpat-ის გადმოცემა.

71. მოგჯ — 1. ‘ზოროასტრელი’, 2. ‘ქურუმი’, „ვარსკვლავთ მრაცხველი“ (საბა).

¹ H. Nyberg, Hfsb, გვ. 147.

² P. Horn, GrnpEt, § 974; Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 482.

³ H. Hübschmann, AG, გვ. 193.

S. Telegdi, გვ. 247.

S. Haim, II, გვ. 1014.

⁶ H. Hübschmann, AG, გვ. 195.

„იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ, რომელსა განბორებისა სალმობაჲ აქუნდა“ (მარტ. შუშ. 34₆).

„ხოლო იგი ასწავებდა მას, რაჲთამცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა იგი ქრისტიანე“ (მარტ. შუშ. 34₇).

„და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ „შვილნი იგი შენნი მიაქცინა მოგობასა“ (მარტ. შუშ. 35₆).

„მამაჲ ჩემი მოგვ იყო და მეცა მოგუებასა მასწავებდა და მე მოგუებაჲ არა თავს ვიღევ...“ (ე. მცხ. 81₁₃).

„და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს: ცეცხლისა მსახურებასა ზედა“ (მოქც. ქართ. 721₁₄).

„და მოვიდეს მოგუნი ძლუნისა შეწირვად, და მათ მოგუთა შესლვასა იერუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას...“ (ლ. მრ. 25₁₇).

ძვ. სპარსული maguš¹ 'მოგვი, ქურუმი', ავ. moγu- maγu-², ფალ. maγūk, mōγ.mart³. 'მოგვი', ახ. სპარსული: mōγ, غو⁴ თალმედ. מִשְׁכָּן 'მოგვი', 'ქურუმი', სირ. מִשְׁכָּן მანდ. מִשְׁכָּן⁵. უიგურ. moγoč, სონხ. მიჩ⁶ 'მოგვი, ქურუმი'. მოგობა, მაგია, გრძნეულება', ბერძნული Μάγος 'ქურუმი, ჯადოქარი მოგვი', ებრ. מִשְׁכָּן 'მოგვი'.

72. მიზდი — „ასალები რამ სარგო, ქირა“ (საბა).

მიზდური — 'მიზდის ამლები'.

„უკეთუ მიზდური იყოს ეყოს შს ნაცულად მიზდისა მისისაჲ“ (გამოსლვ. 22₁₅).

„ხოლო შენ, ძმაო, მუშაკი ხარ კეთილისა საქმისაჲ, და გომიზ და ქრისტემან საქმედ ვენაგისა თვისისა“ (მამ. სწავლ. 12₃₆).

„კაცნი მზიდავნი, დამიზდებულნი დრამითა“

(ვ.ტყ. 1062₃).

ფალ. mizd⁷ 'საზღუარი, გასამრჯელო, საჩუქარი', ავ. mižda-⁸, ახ. სპარსული ازم (mizd ან muzd⁹), შდრ. რუს. мзда.

73. მატიანე — „საღვთო წერილთა ძველთა და ახალთა ორთავე სახელია. მატიანედ ითქმის მეფეთ ცხოვრებანიცა. მატიანე

¹ A. Meillet, Vp, გვ. 165.

² AirWb, გვ. 1111.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 152.

⁴ Borhān-e Qāte', IV გვ. 2054; 2020.

⁵ S. Telegdi, გვ. 229.

⁶ H. Hübschmann, AG, I, გვ. 195.

⁷ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 152.

⁸ AirWb, გვ. 1187.

⁹ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 486.

არს აღწერილნი მოსაქსენებელნი საქვეყნოთა განსაგებელთა და წეს-
თანი“ (საბა).

„იყო რჯეს დაასრულნა მოსე შთაწერად სიტყუნი ასე ამის სჯუ-
ლისანი წიგნთა მატრიანთასა“ (დაბ. 29₂₄).

„და იგი ჯდა და განიკითხვიდა, წიგნნი მატრიანისანი გა-
ნესუნეს წინაშე მისსა“ (მამ. სწავლ. 93₁₂).

„წიგნნი იგი მატრიანთანი განესუმოდიან და საქმენი კაცთა-
ნი დაფარულნი და ცხადნი აღმოიკითხებოდნიან...“ (მამ. სწავლ.
123₈).

„...რამეთუ ტირილითა და მოწყალებითა შემძლებელ ვართ აჯო-
ცად შეცოდებათა ჩუენთა, რომელნი წიგნსა მას მატრიანისასა
დაწერილ არიან“ (მამ. სწავლ. 213₁₀).

„დიდი შიში არს, ძმანო ჩემნო, ეამსა მას, ოდეს-იგი წიგნი მა-
ტრიანისაჲ განეღოს, რომელსა შინა წერილ არიან ყოველნი საქ-
მენი ჩუენნი და სიტყუანი...“ (მამ. სწავლ. 213₄).

„რამეთუ, რაჲმს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ
და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგუ-
თხრობს ძველი მატრიანე ქართლისა და საქმენი აწხილულნი“
(დავ. აღმაშ. 359₈).

ფალ. matikan ‘წიგნი მატრიანე’, სომხ. *matikan*¹ ‘წიგნი, ხვეული,
ნუსხა, წერილი’ (საღმრთო) და სხვ.

შენიშვნა: საშ. სპარსულ ამოსავალ ფორმად უახლეს სპეცია-
ლურ ლიტერატურაში მიჩნეულია mātakdān, წიგნ. ფალ. m't'n'
წარწ. m'tg'd'n = mātag-dān < mātak-dān [ე. ო. ‘ტექსტის დედნის
შემცველი’ (Text-enthaltend)]².

74. მირკანი, მირაკანი, მიჰრაკანი — ‘თვის სახელი’ (მარტი).

„ერთსა დღსა თუსსა მის მირკანისსა თუს თავსა აღმართო
კარავი იგი საწამებლისაჲ“ (გამოსვლ. 40₁).

„და განიყვანეს (არჩილი) გარე და მოჰკვეთეს თავი მისი თუესა
მირკანისსა, რომელ არს მარტი, ოცსა მას თუსასა“ (ლ. მრ.
247₂₂).

საშ. სპარსული mihrakān³ || mihragān (<*miθrakāna-) ‘მითრას
დღესასწაული’, ახ. სპარს. mihragān⁴ ‘შემოდგომის დღელამის თა-

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, Ա. ք., III, გვ. 868.

² об. I. Gershevitch, Gr. Manich. Sogd., გვ. 250, § 1117; Iranistik, გვ. 70.

³ H. Hübschmann, AG, გვ. 194.

⁴ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 445.

ნაბრობა, 'შემოდგომა', სომხ. *մահական*-ისათვის (სომხური კალენდარის მე-7 თვე), რომელიც ჰიუბშმანს საშ. სპ. *mihrakān*-იდან გამოჰყავს, ნიბერგი ამოსავლად მიიჩნევს საშ. სპარს. ფორმას **mehriyakān*, სირ. *myhr*¹.

ძვ. სპარსული **Mihrakāna*, ბერძნ. *Μιρράκωνα*-ს მიხედვით (სტრაბონთან — *Μιρράκωνα*).

75. ნავარდი — „ხლტომა, ფრენით სლვა, ასპარეზზე თამაშობა, ცხენთა ჭენება, სეირნობა“ (ჩუბ.).

„მაშინ იწყეს რბევად მრგულივ ნ ა ვ ა რ დ ს ა, და ღონესა ეძიებდეს ორნივე...“ (ლ. მრ. 132₁).

ფალ. *nipart*² 'ბრძოლა', ფაზ. *navard*, ძვ. ირან*. *ni + parat*³ (შდრ. სკრ. *prtana* 'ბრძოლა'), ავ. *pašana* და *paṛatante* 'იბრძვიან', ახ. სპ. *درو* და *درب* 'ბრძოლა, ომი, შეტაკება'⁴.

76. ნავი — „საკუთრად ყოველი ხის ნაგები წყალში მოსიარულე“ (საბა).

„ქართთა სასტიკითა შეჰმუსრნეს ნ ა ვ ნ ი თარშისანი“ (ფს. 47₉).

„...რამეთუ უწყით სიმრავლე სპათა ბერძენთა და ვერაგობა წყობისა მათისა და სიმარჯუე ზღუათა შინა ნ ა ვ ე ბ ი თ ა“ (ლ. მრ. 113₃₂).

„და წარმოიღეს ხარკი ჰინდოთა მეფისაგან; მუშკი ლიტრა ათასი, ამბარი ეგზომივე, ალვა ნ ა ვ ი ა თ ი, თუალები იაკინთი და ზურმუხტი ნ ა ვ ი ერთი...“ (ჯუანშ. 188₉).

ნ ა ვ თ ს ა ყ უ დ ე ლ ი:

„უძღურთა მკურნალო, ჭირვეულთა შემწეო, ღელვა-გუემულთა ნ ა ვ თ ს ა ყ უ დ ე ლ ო...“ (ს. ზ. 182₉).

„... და მრავალთა სულთა ნ ა ვ თ ს ა ყ უ დ ე ლ ჰყვენ იგინი...“ (გრ. ხანძთ., გვ. ობ₈).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ზღვის პირს მივე, ნ ა ვ ი დამხვდა“ (586₄).

„ნ ა ვ ი ვსთხოვე მე ნ ა ვ ე თ ა“ (605₂).

„დავკაზმეთ ნ ა ვ ი, კატარლა“ (613₂).

„გამოჩნდა ნ ა ვ ი მეკობრე“ (1037₃).

„მეფემან ნ ა ვ ი - ხომალდი მოკაზმა“ (1447₁).

„ნ ა ვ ს ა ჩაეჯე, ზღვასა შევე“ (587₁).

¹ H. Nyberg, Hfsb, გვ. 151.

² იქვე. II, გვ. 159.

³ AirWb, გვ. 868.

⁴ Б. М и л е р, Персидско-русский словарь, გვ. 559 და 573.

სანსკრ. nau- 'ნავი, გემი', navāja 'მენავე, მეზღვაური', ავ. navāza-, ძვ. სპ. nāvīyā¹ 'ფლოტი' (ensemble des navires, flotte), ავ. nāvaya² 'სანაოსნო' (schiffbar), ფალაური nāvta³ 'სანაოსნო', nāvīčak 'არხი', ახ. სპარსული *نَافِ* 'ნავი, გემი', *نَافِ* 'პატარა ნავი', *نَافِ* 'არხი, მილი', სომხ. *ნավ*.

ძნელია თქმა, სიტყვა ნავი ირანულიდან შემოვიდა ქართულში თუ ბერძნულიდან. ეს საერთო ინდოევროპული ძირი თითქმის უცვლელად არის დაცული ინდურ-ირანულსა და ბერძნულ-ლათინურში.

77. ნაფთი — 'ნავთი'.

„და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი...“ (აბო, 74₃₇).

ახ. სპარსული *نَافِ* და *نَافِ* 'ნავთი'⁵, საშ. სპარსული *naft— „Naphta, petroleum, oil“, სირ. *נפט*, ბერძნ. *νάφθα*, ლათინ. *naphta*, სომხ. *ნավթ*⁶.

სიტყვის წარმომავლობა უცნობია. სომხურ ფორმას კ. ჰიუბშმანი სპარსულ ნასესხებად თვლის.

ჩვენ ვფიქრობთ, ქართ. ნაფთი-ი (აბოს წამებაში) საშ. სპარსულიდან მოდის, რომელიც ახ. სპარსულის იდენტური უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ქართულს არა აქვს დაბოლოება *a*, სირიული, ბერძნული და ლათინური ფორმების მსგავსად. ირ. *f* ქართულმა გადმოსცა ფ-თი, ხოლო სომხურმა *u*-თი, ახალ ქართულში ძველისაგან განსხვავებით გვაქვს ნაფთი.

78. ნაზი — 'ნაზი, მოხდენილი, სათუთი'.

„ემა წავიდა ლალი, ნაზი“ (ვ. ტყ. 720₂).

„წყლიანმან და სიტყვა-ნაზმა“ (ვ. ტყ. 170₁).

„ვის თავი გინაზებია“ (ვ. ტყ. 285₂).

„რა სიტურთე, რა ნაზობა“ (ვ. ტყ. 1136₁).

სიტყვა ნაზი ნასესხებია ახალი სპარსულიდან. შეადარეთ ახ. სპ. *نَافِ*⁷ 'ალერსი, ფერება, სინაზე, სინატიფე', *نَافِ* 'წმიდა, სპე-

¹ A. Meillet, Ap, გვ. 153

² H. Reichelt, AE, გვ. 470.

³ H. Hübschmann, AE, გვ. 201.

⁴ S. Haim, გვ. 1066.

⁵ იქვე.

⁶ H. Hübschmann, AG, I, გვ. 202.

⁷ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 552, 553.

ტაკი', نازك — 'კეკლუცობა, ნაზობა, პრანქვა', nāznk, საშ. სპარსული nāzīk¹ 'საამო, ნაზი' (lieblich, anmutig), ქურთ. nāzīk (საშ. სპარსული უნდა ყოფილიყო nāzūk — ფორმა, nāzīk დიალექტურია). ჰ. ნიბერგის აზრით, ფალ. დაწერილობა n'čyk გულისხმობს ფორმას n'w'čyk — nivāžik 'სიმღერა', რომელიც წარმოდგენილია სომხ. ნასესხებში nuag 'მელოდია, მუსიკა' და მოდის * < nivāy-იდან.

79. ნასი — 'უშნო, ულაზათო, ულამაზო'.

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე ადგილას გვხვდება:

„მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მკლვე არის და თვალად
ნასი“ (1205₁).

„გვირაბის კარსა ნიადავ მოყმე სცავს არ პირ-ნასები,
ათი ათასი ჭაბუკი, დგას, ყველაკაი ხასები“ (1243₁).

„ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა;
მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიამართის დანასა“
(179₁).

„ტარიელ ეტყვის ავთანდილს: „ისმინე სიტყვა ასები,
გიაგობ რასმე ამბავსა, მოამბედ ნუ გენასები“
(1364₄).

„ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქვაბი
ცხელდების
ტარიელ არის დაღრეჯით, ფიფქი ნასდების,
თხელდების“ (1574₄)

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც 'ულამაზო, უშნო'. მართლაც, პირველ ორ შემთხვევაში მოყვანილი მაგალითებიდან „თვალად-ნასი“ და „პირ-ნასი“ ასე გამოდის, მაგრამ ზმნაში ნასება მას ზოგადად 'ცუდის, ავის' მნიშვნელობა აქვს. საბას ნასი განმარტებული აქვს, როგორც „ვერ კეთილი“, ჩუბინაში — „მდარე, ვერ კეთილი“.

ამოსავალი სწორედ ეს ზოგადი მნიშვნელობაა — 'ავი, ცუდი, ბოროტი'. ჩვენ ვფიქრობთ, ეს იგივე სიტყვაა, რაც ძველი ქართული უნასი. შდრ. „ამას ჯერსა შელამიწყნარეთ მე ამას უნასსა ზედა“ (გამოსვლ. 10₁₇). ეს სიტყვა უნასი გვხვდება აგრეთვე „ვისრამიანში“: „ძიძა მოაბადის შიშისაგან ფიცხლა დაიმალა, მით რომელ ყოვლისა ფათერაკისა და უნასისა მოქმედი იგი იყო“ (ვისრამ. 149₃₈).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 155.

ახალ ქართულში სიტყვა უნასი იხმარება გველის ეფეთეშიზმა-
დაც (ბოროტი).

უნასი მიღებულია უნას-ისაგან უ-ს დაკარგვით (შდრ. ურაკპა-
რაკი და ლაპარაკი).

სიტყვა უნასი, ისე როგორც სომხური *vnās*, მომდინარეობს
ფალაური სიტყვიდან *vinās*¹ 'ცოდვა, ბოროტება, სიავე', ძვ. ირა-
ნული **vināsa-*, სკრ. *vināsa* 'დაღუპვა, წარწყმედა', ახ. სპარსული
gnāh 'ცოდვა', არაბ. *junāh*².

80 ნაძჳ — 'ხის სახელი'.

„რამეთუ მახლობელ არს ადგილი იგი ნაძჳსა მას ლიბანით
მოსრულსა...“ (მოქც. ქართ. 76₉).

„მოკუეეთა ნაძჳი იგი, და ნაძჳისა მისგან შემზადნა შუიღ-
ნი სუეტნი ეკლესიისანი“ (ლ. მრ. 69₁₈).

„...არამედ ვრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა, და ნაძჳთა
ამათ სიმაღლესა, და ბაბლოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა
სურნელებასა“ (ლ. მრ. 69₇).

ნაძვის აღმნიშვნელი სიტყვა ჯერ კიდევ აქამენიდთა ძველ სპარ-
სულ წარწერებში გვხვდება. დარიოსის წარწერაში სუზის სასახლის
აგების შესახებ მოხსენიებულია სახელგანთქმული ლიბანის ნაძვი.
იქ გვხვდება ასეთი ფრაზა: *𐎱𐎠𐎼𐎿 hya naučaina hauv Labnāna*
𐎠𐎡𐎴𐎠 kaufa hačā avanā abariy..., რაც ასე ითარგმნება: „ხე ნა-
ძვისა იგი — ლიბანი სახელად მთა — იქიდან მოტანილია...“³ (ლა-
პარაკია სასახლის აგებისათვის მოტანილ ხის მასალაზე), ე. ი.
ძველი ირანული ფორმა ნაძვისა არის ძვ. სპ. *nauča(ina)*⁴, პარ-
თულში (არშაკიდ.) უნდა გვექნოდნა *ნძ*, რომელიც დადასტურე-
ბულია სომხურში *ნძ*-ის სახით და ახალი სპარსული ფორმებით
نذ, *ذ* და *نذ*.⁵ მეორე მხრივ, როგორც ჩანს, არსებობდა სა-
შუალო სპარსულში (სასანურში) სუფიქსით გავრცობილი ფორმა
nāz-ūk, *nāzūk*, რომელთაც ახალ სპარსულში მოგვეცეს *نژ* და
nāzū *نژ*. ამ უკანასკნელ ახალ სპარსულ ფორმას *nāzū* *نژ*
ეყრდნობა ქართული ნაძჳ-ი.

ქართულ ნაძვისა და სომხ. *ნძ*-ს შორის განსხვავება ისეთი
რიგისაა, როგორც ქართულ ტაძარსა და სომხურ *տաճար*-ს შო-

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 243.

² H. Hübschmann, I, გვ. 249.

³ В. Абаев, Надпись Дария I о сооружении дворца в Сузе, *Кребул* „Ирацские языки“, I, 1945, გვ. 129.

⁴ Ա. ճ ա ո յ ա ն, *Արմ բու*, გვ. 161.

⁵ Borhān-e Qāte', გვ. 2194, 2195.

რის, სახელდობრ, ქართული ეყრდნობა სასანურ ფალაურსა და ახალ სპარსულ ფორმებს, ხოლო სომხური—არშაკიდულ ფალაურს (ირ. $z >$ ქართ. -ძ, ირ. $č >$ სომხ. ճ).

შეადარეთ აგრეთვე მეგრული ფორმა ნუზუ, რომელიც ან ქართულიდან არის ნასესხები, ან რომელიმე ირანული დიალექტიდან.

ჰანს ფოგტის აზრით, ქართული ნაძვი, მეგრ. ნუზუ ქართველურ-კავკასიურ სიტყვად უნდა მივიჩნიოთ, როგორც კავკასიის მთებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხის სახელი, ხოლო სომხური ուძ, რომელიც ირანულიდან შეთვისებულად ითვლება, ამოსავლად გულისხმობს მეგრულ ჰიპოთეტურ ფორმას *nuj-i. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ძველი ირანული სიტყვის *nuh-ს აირველი წერილობითი ფიქსაცია ჯერ კიდევ აქამენიდების წარწერებში გვხვდება (იხ. ზემოთ) და მისი საშ. ირანული (პართული ეპოქისათვის) შესატყვისი უნდა ყოფილიყო ուժ, რომლის ზუსტ გადმოცემას წარმოადგენს სომხური ուძ; ცნობილია, რომ სომხური ჩ სისტემებზე გადმოსცემს საშ. ირანულ č-ს, ხოლო სომხური ლექსიკა მრავლად შეიცავს საშუალო ირანულ სიტყვებს, რომლებიც არსებულ საშ. ირანულ ძეგლებში არ არის დადასტურებული¹.

81. იატაკი — 'ძირი, ფუძე, ფსკერი'.

„ჰყო იგი ოქროთა წითა იატაკი მისი...“ (დაბ. 30₃).

„...და არა მოვჰფინოთ იატაკსა საყოფელთა ჩუენთასა ვარდი და შროშანი და ყუავილნი სურნელნი, ვითარცა-იგი ჰურიათა და წარმართთა...“ (მამ. სწავლ. 210₂₈).

„ამათი მეტყუელი დაალტობდა იატაკსა ცრემლთა მიერ მჭურვალეთა, მყოვარ ჟამ მდებარე პირსა ზედა თქსსა“ (ასურ. მოლვაწ. 178₂₂).

„ვითარცა მზისა შარავანდნი ცისგან იშუქებდეს მიწიერთა საქურეტელად ეგრეთვე ქუეყანისაგან თამარის კელმწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალეზანი ეფინებოდნი იატაკსა მას ზედა ცისასა“ (ისტ. აზმ. 86₂₋₄).

სომხურში დადასტურებულია ფორმა *խարակ*², რომელიც ამოსავლად საშუალო სპარსულ *atāk-ს || adāk-ს გულისხმობს, ფაზენდ. adāk, ახ. სპ. *dāk³, tāk = tāg || adāk. შდრ. ოს. adag | adagæ⁴ 'овар, бака'.

ახალ სპარსულ სიტყვას *كاه Borhān-e Qāte* განმარტავს,

¹ Hans Vogt, Arm. et caucas. du sud, გვ. 335.

² H. Hübschmann, AG, I.

³ Borhān-e Qāte, I, გვ. 91.

⁴ В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, гв. 30.

როგორც *خشکی و جزیره میان دریا را گویند* — ხმელეთი და კუნძული ზღვაზე, ქალაქი'.

რაც შეეხება თავკიდურ ია-ს ქართულში სპარსული ა-ს ნაცვლად, შეადარეთ სიტყვები: ია ლ ბ უ ზ ი, ი ა ვ ა რ ი, ი ა ლ მ ა გ ი, ი ა რ ვ ა ნ დ ი, ი ა ლ ლ უ ზ ი და სხვა. არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, სომხური მეშვეობაც, სადაც ქ ფორმანტს წარმოადგენს.

შინაარსობლივი კავშირი ასეთია: atāk || adāk — ხ მ ე ლ ე თ ი — მიწა — ს ა ფ უ ძ ე ე ლ ი — ი ა ტ ა კ ი.

82. ნიადაგი — „მარადის მყოფი“, ნ ი ა დ ა გ — „მარადის“ (საბა).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ნ ი ა დ ა გ ლ ხ ი ნ ს ა ჩ ე ე უ ლ მ ა ნ“ (333₃).

„უხვმან, ნ ი ა დ ა გ მიუმცდარომან“ (771₂).

„სიციხე გულსა ნ ი ა დ ა გ მწვავს“ (1026₁).

„გვირაბის პირსა ნ ი ა დ ა გ მოყმე სცავს“ (124₃₁).

„სადარბაზობლად ნ ი ა დ ა გ მათ წინა მოვიდოდინ“ (1647₄).

ნ ი ა დ ა გ უ ლ ი — „სახმილსა დავუწვავ ნ ი ა დ ა გ უ ლ ს ა“ (ვ. ტყ.).

ხევსურულ დიალექტში იხმარება ფორმები ნ ი ა დ ა გ, ნ ი ა დ ე — ამავე მნიშვნელობით ან დადასტურების ნაწილაკად.

აღსანიშნავია ახალი ქართული სიტყვაც ლ ი ა ნ დ ა გ ი, რომელიც ნ ი ა დ ა გ ი დ ა ნ არის მიღებული (ნიადაგი > ლიადაგი > ლიანდაგი. შდრ. ნ ე მ ს ი და დიალექტ. ლ ე მ ს ი // ლ ე ფ ს ი).

ახ. სპარსულში გვაქვს ზმნა *آداک*¹ 'დადება, დადგმა, მოთავსება', აკ 'ბუნება, ნატურა', საშ. სპარსული *nihātan*², ძვ. ირ. *ni-dā-*; *nihātak*³ წარმოადგენს ნამყოს მიმღეობის ფორმას *nihāt*, გავრცობილს სუფიქსით *-ak*, შდრ. *nišastak*.

მარს ნ ი ა დ ა გ ი იაფეტურ სიტყვად მიაჩნია და უკავშირებს ი ა ტ ა კ ს.

83. ნიში, ნიშანი — 'სასწაული'.

„მოვედით და იხილენით საქმენი ღმრთისანი, რომელ ქმნა ნ ი შ ე ბ ი ქუეყანასა ზედა“ (ფს. 45₉).

„და ჰყოფდეს ნ ი შ ე ბ ს ა და სასწაულებსა და კურნებათა...“ (ე. მცხ. 91₉).

„და მოწათენი ვართ ნ ი შ თ ა და სასწაულთა მიერ გამობრწყინებულის. მიქელ პარეხელისანი...“ (ს. ზ. 155₁₂).

„...და ავაზაკისა თანა ყოველთა მორწმუნეთა წმიდაჲ ჯუარი

¹ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гл. 575.

² Н. Nyberg, Hfsb, II, гл. 159.

³ მნიშვნელობა საშ. სპ. *nihātak*-ისა არის 'დადებული. საფუძველი' (შდრ. ახ. ქართ. ნ ი ა დ ა გ ი 'მყარი', მ უ დ მ ი ვ ი 'ნიადაგ, მარად, მუდამ').

თუკი მიანიჭა წინამძღურად და ანგელოზთა თანა წმიდათა ნიშად ქრისტიანობისა ბეჭედი იგი სამეუფოა“ (გრ. ხანძთ., გვ. ოზ₁₃).

„...მივიდა ხესა მას ქუეშე და გამონიშნა ნიში ქრისტეს ჯუარისა“ (ლ. მრ. 56₃).

„რადთა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი ყოველი“ (გრ. ხანძთ., გვ. კდ₂).

„და აჩნდა ღრუბელი მოწრაფს ნიშან — საშინელი“ (მოქც. ქართ. 755₁₅).

„და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი წარწყმედისა მათისა არს“ (ლ. მრ. 70₂₈).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ნიშანი რა წამატანე“ (709₄).

„ყოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა“ (1236₃).

„ნიშანი რამ გაუგზავნე“ (1274₂).

„ვარდის ფურცლობის ნიშანი“ (1328₂).

„მისთა ნიშანთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა“ (1341₄).

ნიში: ფალ. niš || nišak¹ ‘sichtbar’ (*niš < niyaš), შდრ. კომპოზიტი marvniš ‘Vogelschauer’, სომხური *ნიშანი*² ‘ნიშანი, ლაქა, ხატი’, სირიული ‘ნიშანი, მაგალითი’ (signum, vexillum, significatio. exemplum), ახალი სპარსული نیش — niš³ ‘ნესტარი, საჩხლეტი-ნიშანი, სიგნალი, დროშა, ალამი’.

ნიშ-ან-ი: ფალ. nišān, ახ. სპ. نشان, სირ. *ܢܝܫܐ*, სომხ. *ნიშანი*. ნიში და ნიშანი ერთი და იგივე საშ. სპარსული სიტყვაა: niš — უფრო ადრინდელი, nišān — მოგვიანო, გავრცობილი -ān სუფიქსით.

ასეთი სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმების პარალელური ხმარება (ხანდააან მცირეოდენი განსხვავებით მნიშვნელობაში) ძალიან ხშირია საშ. სპარსულში. ქართულშიც ნიში შედარებით უფრო ადრე შემოსული ჩანს, შესაძლოა არშაკიდული ფალაურიდანაც.

84. ნიჯადი — ‘მეშველი ლაშქარი’; „სხვათა თემში შემწე“ (საბა).

„მაშინ ოვსთა რომელ ჰყვეს ნიჯადნი ხაზართანი, მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარჯან...“ (ჯუანშ. 151₁₁).

„ხოლო ვახტანგ მეფესა რომელ ყვეს სპანი სპარსთა ნიჯადნი, მათ თანა ერთო კაცი ერთი, რომელსა ერქუა ფარსმან-ფარუხ“ (ჯუანშ. 152₁).

„მაშინ მეფემან განუტევენა ნიჯადნი იგი სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა...“ (ჯუანშ. 157₁₄).

¹ H. Nyberg. Hfsb, II, გვ. 160 და 147.

² H. Hübschmann. AG, I, გვ. 204.

³ S. Haim, II, გვ. 1073; Borhān-e Qāte’, IV, გვ. 2228.

ვფიქრობთ, ნიჯადი იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც ახ. სპარსული *نيژād* 'ტომი, მოდგმა, ნათესავი, შთამომავლობა, ოჯახი'¹. ძვ. ირ. **ni. zāta-* (*ni+zāy* 'გაჩენა, შთამომავლობა'). შდრ. ფალ. *zātan* || *zātan*² 'გაჩენა დაბადება, შობა' (*ni-* პრევერბია).

ტომის, ნათესავის, მოდგმის, ჯარის ცნებასთან დაკავშირებისათვის სემანტიკური დაბრკოლება არ არსებობს, მითუმეტეს ნიჯად სიტყვას ყოველთვის თან ახლავს განმარტება: „ნიჯადნი ოვსთანი“, „ნიჯადნი სპარსთანი“ და სხვა, რაც თავდაპირველად ნიჟნავედა 'ოვსთა ტომები, სპარსთა ტომები', რომელთაც მიმართავენ დასახმარებლად ქართველი მეფეები, ხოლო შემდეგ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა და მეზველი ჯარის აღმნიშვნელ ზოგად სახელად იქცა.

ზნ. ნოვაგ, სანოვაგე — 'საკვები, სასმელ-საქმელი'.

საბას განმარტებით „სალხინო საქმელები“, ხოლო სიტყვა ნოაგობასთან საბა შენიშნავს: „კლემექსსა შინა ნოაგობა არა საქმელთა სახელი არს, არამედ გემოიანი საქმელი უფროსად სიაზოვნესა მისცემს ნოაგობათა შინა“³.

როგორც ჩანს, საბა სიტყვა სა-ნოვაგ-ეს და ნოვაგობას აიგივებს სიტყვასთან ნოვაგი ან ნოაგი — მნიშვნელობით 'ჭანგი', 'მელოდია', 'ხმა' და სხვა, რომელიც აგრეთვე გვხვდება ძველ ქართულსა და სომხურში და მომდინარეობს ფალაური *nāvaik*-იდან 'ხმა, მელოდია'. სინამდვილეში ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა სიტყვასთან, რომელთა ფორმები შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს თვით საშუალო სპარსულში. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ნოვაგი — სანოვაგე — 'საკვების' მნიშვნელობით. ძველ ქართულში უფრო გავრცელებულია სა-ნოვაგ-ე, ალბათ, სწორედ ნოვაგ — მელოდია-საგან განსასხვავებლად.

„ხოლო ლანკლასა მას ზედა კერძოსა იყო ყოვლისაგან სანოვაგისა, რომელსა ჭამნ მეფე თარაო...“ (დაბ. 17).

„ხოლო ჩუენ ღმერთმან (ცეცხლი) სამსახურებელად მოგუცა ყინელისა განსატფობელად და ყოვლისა სანოვაგისა საქმარად...“ (ე. მცხ. 92₁₀).

„ილუწიდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა, თუნიერ... სანოვაგეთაჲსა“ (ს. ზ. 180₁₁).

ჰე ძმაო, მოიგე ესე, რომელი უტკბოჲს თათლისა არს, რამეთუ პური ხოლო და მარილი, დაყუდებით და განსუენებით, უფროჲს

¹ S. Haïm, II, გვ. 1079 და GrirPh, II, გვ. 92.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 254.

³ საბა, სიტყვის კონა, გვ. 667, 489 (261).

და უზემთაეს არს მრავალთა სანოვაგეთა და საშუებელთა გემოვანთა...“ (მამ. სწავლ. 23₂₇).

„შენ შკამ ჯოვბისასა და კაკბისასა და ლ(ე)რღედისასა და მრავალთა სანოვაგეთა, და გლახაკი არა ჰპოვებს პურსაცა ვმელსა, რომლითამცა განიძლო მუცელი თუსი“ (მამ. სწავლ. 85₂₄).

„...რამეთუ მყის შეურაცხ-ჰყვენ გემონი სანოვაგეთანი და დასტკებნენ ყოველნი ზუაობანი...“ (მამ. სწავლ. 109₉).

ბალავარიანის ქართულ რედაქციებში ეს სიტყვა გვხვდება ფორმით ნოვაგი კომპოზიტში „ნოვაგთ-მოყუარესა და ხვალე შესაქმელად მატლთა მისცის იგი“ (ბალაჰვარ. 7₃₈).

„ღღეს განუშხადის ჰამადი ნოვაგთ-მოყუარესა და ხვალე შესაქმელად მატლთა მისცის იგი“ (ბალაჰვარ. 7₃₈).

ნოვაგი (სა-ნოვაგე) ფორმის მიხედვით, უეჭველია, საშ. სპარსული წარმოშობისად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა თვით საშ. სპარსულში სიტყვა *nāvāk მნიშვნელობით ‘საკვები, სანოვაგე’ თითქოს დადასტურებული არ არის. ჩვენ განკარგულებაშია მხოლოდ ახ. სპარსული ფორმა |و; მნიშვნელობით: 1. ‘საარსებო საშუალება’, 2. ‘სიუხვე, სიმდიდრე’¹, რომლის საშ. სპარსული ფორმა უნდა ყოფილიყო *nāvāk². ამას მოწმობს ახ. სპარსული ფონეტიკურად იდენტური ფორმა *|و; ‘ჰანგი’, ‘მელოდია’, რომლის საშ. სპარსული ფორმა nāvāk-ია, ხოლო ქართულში აგრეთვე ნოვაგის სახით არის დაცული (იხ. ქვემოთ).

86. ნოვაგი — ‘ჰანგი, მელოდია’.

„...მენავენი რომელნი ადგილთა მათ ნავითა თანა-წარჰვლენან, ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისაჲ, ეგოდენ ესმინებინ და სთნავნ, ვიდრემდის შესულბიან და განსცთიან და შთაცვვიან ზლუასა...“ (ძვ. ქართ. ენ. ისტ. ქრ. 286₃₃).

საშ. სპარსული nīvāk ‘ხმა, ჰანგი, მელოდია’, hu.nīvāk=|و خوش³ ‘კარგი ჰანგი’, ახ. სპარსული |و ‘ჰანგი’, ‘მელოდია’, სომხ. նուագ⁴ ‘ხმა, ჰანგი’, მელოდია’, nuagem ‘ემღერი, ხმას ვიღებ’, ძვ. ირანული ni+vāk- (vač-) ‘ხმა’, საშ. ირანული, კერძოდ პართული ni.vāž- ‘დამღერება, წყნარი, მეგობრული ბაასი’⁵.

¹ Б. М и л е р, Персидско-русский словарь, გვ. 572; I. Zenker, Dictionnaire turk-arabe-persane, გვ. 920; Borhān-e Qāte’, IV, გვ. 2174.

² საარსებო საშუალება > საკვები, ლუკმა პური, სანოვაგე. სიუხვე > უხვი საქმელი.

³ Borhān-e Qāte’, IV, გვ. 2174.

⁴ H. Hübschmann, AG. I, გვ. 245.

⁵ A. Ghilain, Essai sur la langue parthe, გვ. 68.

87. ნუკევა — 'ნებიერობა, ფუფუნება, თხოვნა', ნუკ(ვ)ეული, სანუკ-ვ-არი — 'ნებიერი' სანატრელი'.

„და რლ იგი ფუფუნეულ იყოს და ნუკეულ შნ შს, რნ რაითურთით არა იცოდის გამოცდილებაჲ სიფიცხლისაჲ და არც დაედგას ფერკი ქენსა ზდა სიჩხოით ფუფუნეულებისა მისისაჲთ...“ (დაბ. 28₆₆).

„რლი იგი ნუკეული და ფდ ფუფუნეულ იყონ შნ შს თუალ ძვრ იქმნეს იგი ძმისა თსისათს და ცოლისა თსისა, რომელ იგი იყოს უბეთა მისთა...“ (დაბ. 28₆₄).

„მაშინ მიწერა მეფემან ძისა თჯისა ესრეთ: მზღლობა შენდა, შეილო ჩემო! შენ უწყი პირველად ნუკევეთ და სიჩხოებით აღზრდაჲ შენი ჩემ მიერ და მერმე მიშუებაჲ ნებისა შენისაჲ...“ (ბალაჰვარ. 143₁₁).

„მეცა თანა-მაც, რაჲთა გეზიარო ჳირთა შინა ამის სოფლისათა, და ვითარცა ვინუკვე შენ მიერ, აწ ვიტანჯო შენ თანა; რაჲთა შენ თანაცა ღირს ვიქმნე სასურველსა...“ (ბალაჰვარ. 15₆).

„უკუეთუ შენ, მეფე, არა გიყუარს მეფობაჲ ესე შენი და მიიცვალები მონებად და ბრწყინვალეებისაგან სიგლახაკედ და შუებისაგან იწროებად, და არა სწყალობ გუამსა ამას შენსა შუებულსა და ნუკევეულსა, და ამას ყოველსა დაუტეობ და თავს-იდებ ჳირსა...“ (ბალაჰვარ. 122₈).

„ამისა მეტსა დათმობასა ნუ შენუკევე“ (ვისრამ. 195₂₆).

„გიმასპინძლებთ, სანუკევარსა ჰამოსა, მოგართუამთ, ფრინველთა და ნადირთა სიმრავლითა განგისუენებ...“ (ვისრამ. 184₂₈).

„გამოეცა კარავი და დაგვიდგეს. გამოეგზავნა სანუკევარი და განვისუენეთ მას ღამესა“ (ამირ. დარეჯ. 17₉).

„მას ღამესა მრავალი უცხო სანუკევარი მიაღებინა ვეზირმან, ლხინი აჩვენა, ამოდ გამოუსუენეს“ (რუსულ. 48₁₆).

„მოიღეს მრავალნი ძვირფასისა ჳურჳელნი და სანუკევართა დათვლა არ ეგებოდა და დაიდგეს ნადიმი...“ (რუსულ. 81₅).

„მერე მოიღეს მრავალი მწვარი, ხარშული და უცხო სანუკევარი, დაიდგეს ნადიმი და მოზიდეს ჩანგისა ძალსა“ (რუსულ. 105₁₁).

„რამდენი ფერი სანუკევარი მოიღიან, იმდენი სუფრის იარაღი სცვალიან და უკეთესი მოიღიან...“ (რუსულ. 496₁₄).

„აწე ამას ვენუკევი მეფობასა თქვენსა, რომელ დასტური დამცეთ და მიზოდოთ...“ (რუსულ. 382₁₃).

... „ვეფხისტყაოსანში“:

„ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა, ამისთვის გნუკევე სმენასა შენ ამა ჩემთა ხმათასა...“ (155₂).

„ამის მეტსა არას გ ნ უ კ ე ვ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა აქა ქვაბსავ მომნახვიდე მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა“ (936₁).

„აწ მეტად ძნელსა საქმესა მ ნ უ კ ე ვ ადვილად თხრობასა; ცუდად ნუ სცთებდი, ნუ ელი მაგა ამბისა მბობასა!“ (234₃).

„მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქვენ ამასა გ ნ უ კ ე ვ თქმასა, ეს სამეფო ვისი არის, ან ჰმორჩილობს ვისსა ხმასა“ (969₃).

„არ გამიშვებს, გაეიპარვი, წავალ მათგან შეუგებლად: ვითა მ ნ უ კ ე ვ ს, ეგრე დავჰრთო გული ცეცხლთა მოსადებლად“ (750₂).

„ასრე გასრულსა რად მ ნ უ კ ე ვ ს მისთა მებრძოლთა ბრძოლასა? სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა“ (768₃).

„კვლა ეტყვის: „ყმაო, რა გინდა, ანუ მე ნ უ კ ე ვ ი მე რასა? — მაგა საქმესა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა“ (235₂).

„ყმამან უთხრა: „რას მე ნ უ კ ე ვ ი, არა ვიცი, გამიცხადე. კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე“ (277₂).

საბას განმარტებით ნ უ კ ე ვ ა — ‘თხოვნა’, ნ უ კ ე ვ უ ლ ი — ‘სანუკვარი’, ხოლო ს ა ნ უ კ ე ვ ა რ ი — ‘ესე არს, რომელსაც სპარსნი მაზას უქმობენ, გინა სათხოელი რამ’¹. იუსტ. აბულადქეს² „ვისრამიანის“ ლექსიკონში განმარტებული აქვს ‘სატკბილო საქმელი, ტკბილი და გულის საამებელი’. ს. კაკაბაძეს, „ამირან-დარეჯანიანის“ გამოცემის ლექსიკონში, როგორც ‘ტკბილეულობა’. ილია აბულადქეს „ბალაჰვარიანის“ ლექსიკონში განმარტებული აქვს: ‘ნუკევა — ფუფუნება’.

ნ უ კ - ფუძე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ საშ. სპარსულ *nēvak*-ს³ || *nēk*, *nēkōk*-ს ‘კარგი, კეთილი’, ძვ. სპ. *nai-*

¹ ს ა ბ ა , სიტყვის კონა, გვ. 261.

² „ვისრამიანი“, ლექსიკონი, გვ. 380.

³ Н. Nyberg, Hfsb, II, გვ. 157 — 158; Б. М я л е р , Персидско-русский словарь, გვ. 376.

სა-დან, ახ. სპარსული *nik* და *nikān* نیک، نیکو. ქართ. ნუკ<სპ. *nikō*, *nōk*, შდრ. აგრეთვე *نیکي* და *نیکوی*¹.

88. ნეტარი — 'ნეტარება, სანეტარო, სანატრელი, ნატვრა' და სხვ. (ახ. ქართ. ნეტარ > ნეტავ > ნეტავი).

ნეტარიდან არის ნაწარმოები ნატრა — ე. ი. უკეთესის სურვილი, შენატრის — ე. ი. ამბობს: ნეტარ მას. საინტერესოა საბას განმარტებანი ნეტარიდან ნაწარმოები სიტყვებისა:

1. ნეტარ — 'ნეტარება კმნილი'.

2. ნეტარება — „ესე არს ყოველთა კეთილთა შესაქრებელი, რომლისა არც ერთი მოკლებული იყოს, ხოლო უბადრუკება წინაუკმო: ყოველთა შესაწუხებელთა და ვნებათ განსაცდელი“.

ნეტარძი — 'ნატრა რასამცა'.

ნეტა — 'ნეტარების ნაკუთი'.

ნეტავი — 'ნატვრის მსგავსი'.

ნეტამც — 'საწადლის მოთხოვა'.

ნატრული — 'საწადლის ვერ მპოვნელი'?

შენიშვნა: ნეტარიდან ნატრის მიღება ჩვენ შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი: ნეტარ > ნტარ > ნატრ, სანეტარელი < სანატრელი (სანეტარო). მეგრ. ტარუა ალბათ, მიღებულია ნტარუა-საგან, რომელიც თავისთავად ნეტარუა-საგან მოდის.

1. ნეტარ:

„ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნის და მიილოს გზრგვნი იგი ცხოვრებისაჲ. რომელ-იგი აღუთქუა მოყუარეთა მისთა“ (ქათ. ეპისტ. იაკობ. 1₁₂).

„და-ლა-თუ გეგნებოდის სამართლისათჳს, ნეტარ ხართ...“ (ქათ. ეპისტ. პეტრესი. 3₁₄).

„ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყო-და...“ (მარტ. შუშ. 147₂₅).

„ხოლო მე ვიჯმენ აღრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ...“ (მარტ. შუშ. 148₁₂).

„ხოლო სიტყვს მიმგებელ იყო მათ შორის მსაჯულისა მიმართ ნეტარი ევსტათი“ (ე. მცხ. 164₂).

¹ *Borhān-e Qāte'*, გვ. 2230. მნიშვნელობის გადანაცვლება ქართულში ასეთია: სპ. *nīkū* — 'სიკეთე' (ქართ. ნუკ-) — ნუკევა — 'კეთილის ყოფა' > ფუფუნება. სანუკეარი — 'სასიკეთო, კეთილი, კარგი, სასურველი', გენუკეი — 'გთხოვ სიკეთეს' (სიკეთე მიყო).

² საბა, სიტყვის კონა, სათანადო სიტყვები.

„და ვითარ ესმენს ესევეთარნი სიტყუანი, მათგან, გული განუწყრა და უბრძანა მსახურთა თუსთა პირსა ცემაჲ ნეტართაჲ მათ...“ (ე. მცხ. 164₁).

„ხოლო ნეტარისა ევსტათისი და სხუათა მოყუასთა მისთაჲ ბრძანა თავისა და წუერისა დაყუენაჲ...“ (ე. მცხ. 164₂).

„ხოლო ნეტარი პაბო განძლიერდა ქრისტეს მიმართ და აღივსო სულითა სარწმუნოებისაჲთა და პრქუა მსაჯულსა მას ამირასა...“ (აბო, 192₂₈).

„ამას რაჲ შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტიანეთა კაცთა და მივიდეს მწრაფლ და უთხრეს ნეტარსა პაბოს...“ (აბო, 192₁₈).

„ესე ნეტარი და ყოვლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა“ (ს. ზ. 220₃₆).

„ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსვლა ჟორცთაგან და ღმრთისა მისვლა...“ (გრ. ხანძთ. 269₂₆).

„ხოლო შეურევებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“ (გრ. ხანძთ. 268₁₀).

„მიუგო ნეტარმან ნინო მეფესა და პრქუა...“ (მოქც. ქართ. 279₁).

ნეტარ — „ვეფხისტყაოსანში“:

„მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.

„ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“, შექმნეს ამისა ცილობა“ (56₁).

„ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტარ, რასა იქმს ქალიო, ჩემი ღხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“ (104₁).

„მამაციისა სიცრუესა „ნეტარ, სხვანი რამცა ჰგვანდეს!“ (526₁).

„ესე თქვა, თუ: „ნეტარ, ღმერთო, ცხადსა ვხედავ, ანუ ბნელსა?

მე ვით ღირს ვარ ამას, რომე თვალნი ჩემნი გჰკვრეტდენ მთელსა“ (674₃).

„თქვა: „ცოდვათა ჩემთა მსგავსი ღმერთმან მეტი რა მიჩვენოს?

რად მოვლორდი, რად დავბნელდი, ნეტარ, ვინდა გამითენოს!“ (762₁).

„შენთა მჰკვრეტელთა ნიშატო, ვერ-მჰკვრეტთა სავაგლახეო,

ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრად
გნახეო“ (725₄).

„ახ, ნეტარი ი მოახლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა-
მკერეტსა“ (1444₄).

„სიცოცხლე, ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს, ნეტარი ი,
ოდეს!“ (1088₄).

სანატრელი:

„და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე...“ (მარტ. შუშ. 148₂₃).

„ხოლო ამის უბადრუკისა და სამ გზის საწყალობელისა ვარს-
ქენისი ვითარ-მე ვინ თქუას ყოვლად განწირულისაჲ. ვითარ-იგი
განაგდო სანატრელი სასოებაჲ ქრისტესნი!“ (მარტ. შუშ. 146₂₇).

„და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა
და სანატრელისა შუშანიკისი“ (მარტ. შუშ. 146₁₃).

„შენ თუთ უწყი სანატრელისა ამის ახლისა მოწამისა
პაბოჯისი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტულა...“ (აბო, 177₁₃).

„მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი... და მას-
პინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტესსთუს
არიან და სანატრელთა მისთა მოწამეთათუს...“ (აბო, 179₂₉).

„სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ-
იგი თუთ იტყუს ყოფასა შინა მისსა“ (მოქც. ქართ. 278₄).

„რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხრობა რასაცა კრელისა!
ოდენ ნახვისა მათისა ნატრა მაქვს სანატრელისა“
(ვ.ტყ. 1489₄).

„მე უცხოს უცხომ მანატრა მოსმენა სანატრელისა,
მითხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა“ (ვ.ტყ. 1000₁).

ნეტარება:

„ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ
მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს!“
(ვ.ტყ. 112₃).

ნატრა:

„აჰა ესერა ვჰნატრით მოთმინეთა მათ...“ (კათ. ეპისტ. იაკ-
ობ, 5₁₁).

„და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ვჰნატრობდით წმი-
დასა და სანატრელსა ნინოს“ (მოქც. ქართ. 281₄).

„ვეთხისტყაოსანში“:

„ვინცალა ჩემი მძებნელი მოსრულა, ცუდ-მაშვრალია, იჭირვის, იწვის, ენთების ჩემი სწვაეს ცეცხლებრ ალია, მაგრა მას ვჰნატრი, უნახავს მზე, ამად არ-დამზრალია, უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე. რა დიდი ბრალია!“

(1288₃).

„ზამთარ და ზათხულ სწორად გვაქვს ყვავილი

ფერად-ფერები;

ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინ ამტერები“

(1066₄).

„აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა,

ალარ ვიშიშვი სიკვდილსა, ჰაი, ჩავიჭერ მე რასა!“ (1210₃).

„ებრძანა: „მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე

ვინატრიდი თა!“ (515₃).

„მას კაცსა ამოდ ვეუბენ და მადლსა გარდვიხდილია:

„რომე არ მოვკვდე, შემოგზლო, შენ ამას ინატრიდიო“

(436₃).

„ოდეს ნახვისა მათისა ნატრა მაქვს სანატრელისა“

(1489₄).

„მე უცხოს უცხომ მანატრა მოსმენა სანატრელისა“

(1000₄).

სიტყვა ნეტარს, რომელიც უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება და ძალიან გავრცელებულია ახალ ქართულშიაც, ჩვენ აგრეთვე ირანულიდან მომდინარედ ვთვლით.

ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ფალაური ანუ საშ. სპარსული *nēttar* < *nēktar*-იდან, რომელიც წარმოადგენს შედარებითი ხარისხის ფორმას საშ. სპარსული სიტყვისა *nēk* (< *nēvāk*-იდან), რომელიც საფუძვლად უდევს აგრეთვე სიტყვა ნუკეევას. *nēk* 'კეთილი, კარგი', **nēktar* > *nēttar* 'უკეთესი, საუკეთესო'¹, 'სანეტარო'. შდრ. რუსული *добро*, *доброѣ* და *блаженныѣ*, *блаженнейшыѣ* 'ნეტარი'. შდრ. აგრეთვე საშ. სპ. *vahišt* 'სამოთხე' (სიტყვისიტყვით 'საუკეთესო')². ახ. სპ. *شاه*.

89. ოსტიგანი — „სასმელთ-საქმელთ მნე“ (საბა); სა-სა ოსტიგნე — „სატრაპეზო, საკუქნაო“ (საბა).

¹ H. Hübschmann, P.St.

² ქართული სიტყვა ნეტარი შესაძლოა მოდის ბერძნულიდან (შდრ. *νεκταρ*—'ამბროზია'), მაგრამ სიტყვა ნეტართან, ჩვენი ფიქრით, მას კავშირი არა აქვს.

„ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თჳსა და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი...“ (გრ. ხანძთ., გვ. ია₁₀).

„შვილო გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საქმელი კორკოტისაჲ მომართუ“ (გრ. ხანძთ., გვ. პბ₆).

ფალ. 'wstyk'n = ōstikān = სომხ. ostikan-ს 'სანდო, საიმედო, ერთგული'¹, ჰიუბშმანს ამ სიტყვისათვის მოჰყავს ფალ. ōstikān (ōstigān), ფაზ. ōstiyān — ფორმები, სომხ. *ოსտիკან*² 'ზედამხედველი, პრეფექტი, წინამძღვარი, მოურავი, მწე, გამგე' და სხვ.

90. პასუხი — 'სიტყვის მიგება'.

ყველაზე ადრე ეს სიტყვა ძვ. ქართული ძეგლებიდან „აბოს წამებაში“ გვხვდება:

„პასუხი წიგნისა იოვანეს მიერ“ (აბო, 55₁).

„და ამას სიტყვასა შინა აუგისა სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა“ (გრ. ხანძთ., გვ. მგ₁).

„ხოლო იგი ხედვიდეს მათ და ესმოდის საზრახავი მათი, და პასუხისა მოცემად ვერ შემძლებელ იყოს“ (მამ. სწავლ. 98₁₃).

„და მონაგებნი მისნი საჩინონი მუნთქუესვე თჳსთა მისთა მრავალითა პასუხოებითა და ბრძოლითა განიყვნენ“ (მამ. სწავლ. 98₁₇).

„ხოლო ბარაქია იგრძნო, რაჲ-იგი ეგულებოდა იოდასათს ყოფად, ოდეს-იგი არღარა მისცა პასუხი სიტყუსა მისისაჲ, განვიდა და შეიკრიბნა მთავარნი და შერაცხილნი და უთხრა, რაჲ-იგი ჰრქუა იოდასათ“ (ბალაჰვარ. 158₂₉).

„და ჰქონდამცა პასუხი შენსა სიმართლესა წინაშე ღმრთისა“ (ჯუანშ. 110₁).

პასუხნი — „მოლაპარაკების წარმოება მოციქულებთან“ (ქ. ცხ. ლექსიკონი).

„და ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა... საწელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი...“ (დავ. აღმაშ. 351₁₁).

„ვეფხისტყაოსანში“:

„რა პასუხი არა გასცა“ (90₁).

„სხვა პასუხი რამცა გკადრე“ (134₂).

„შესთვალა პასუხი არ-ნაგრძელევი“ (816₂).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 166.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 215; А. Худабашев, Армяно-русский словарь, გვ. 281.

„მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს“ (1088₁).

„მე პასუხსა ამის მეტსა ვერ მივჭებდები“ (382₁).

საშ. სპარსული *passax*¹ 'პასუხი', *passax*° *kartan* 'სიტყვის მიგება' მოდის ძველი ირანული **pati.sax*°*ān*-იდან. **patsax*° >

საშ. სპ. *passax*°, ახ. სპ. *pāsux* — *سأس*² 'პასუხი'.

სომხურში შემონახულია არშაკიდ. ფალაური ფორმა *պատաս-
խանի*³, მომდინარე *patsax*°*ān*-იდან (მეტათეზის გზით). *patsax*°
და *patsax*°*ān*, როგორც ჩანს, ერთმანეთის გვერდით არსებობდა,
შეადარეთ *niš* და *nišān* და მისთანანი.

91. პერანგი—'კვართი'.

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ

პერანგი,

იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“

(ვ.ტყ. 120₁).

„დიაკმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდეები,

მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმიდეები“

(ვ.ტყ. 1255₂).

ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი, —

მაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი“

(ვ.ტყ. 1355₄).

„მიველ და შევდეგ კარსა და ოდეს ვნახე, პერანგითა კაცი
წვა ტახტსა ზედა და გვერდით ქალი უჯდა...“ (ამირ. დარეჯ. 103₁₀).

„რაცალა მოციქულობა ჰქონდა, მოაგსენა, ვისის მაგიერი სალა-
მი და სურვილი, მერმე წიგნი, ვისის პერანგი და თავსაბურავი
მოართვა“ (ვისრამ. 243₂₀).

„ამა ვისისა პერანგისა და თავისა-საბურავისაგან ვისის
სულისა ცემამან ესრე ცნობათა მიჰჭადა მისითა სურვილითა, რო-
მელ გონება აღარასი ჰქონდა“ (ვისრამ. 244₄).

ეს სიტყვა, ისე როგორც ზოგი სხვა ირანული წარმოშობის სიტყ-
ვები „ვეფხისტყაოსანში“, ამოსავლად გულისხმობს არა ახ. სპარსულ
ფორმას *پیراهن* — *pīrāhan*⁴ 'პერანგი', არამედ საშ. სპარსულ *pērāhan*

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 172.

² S. Haim, I, გვ. 331.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 222.

⁴ В. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 100. *Borghān-o Qāte*, I, გვ. 832.

(< patrāhan) ფორმას, რომელიც გავრცობილი ყოფილა -ak სუფიქსით: *pērāhan [ak]-ს, pērāhan [ag] > pērānag > perāng > პერანგი.

92. პატრუკი — 'პატრუქი', 'სანთელი'; „ფილთა შეგვრებილი ბამბა სანთელთა შორის ჩატანებული ასანთებად“ (ჩუბინ.); „სანთლისა და ბამბის ჩლა“ (საბა).

„... სხუაჲ გულის-თქუმაჲ არს, რომელი ეახლოს, რამეთუ ახლოს ყოფაჲ სავნებელსა და ხედვა მარადის განალძებეს საცთურთა და აწუევს გულის-თქუმათა და განალძებეს ვნებათა, ვითარცა ზეთი პატრუქსა, ვიდრემდის ადგან-ლა, სირაჯსა აწოვებნ, და ცეცხლი იგი ძლიერად ინათებინ“ (მამ. სწავლ. 182₁₄).

„... ვითარცა იტყუჲს სახარება, ვითარმედ: „არა დაშრიტო პატრუკი მგზებარე, არცა განსტეხო ლერწამი დაჩეჩქული“ (ჯუანშ. 197₂).

საშ. სპარსული *patrōk, ავ. *paitiraoka- (სკრ. roka 'ნათელი, სინათლე'). შდრ. ავ. paitiraočaya- 'წვა, გზება'¹, სომხ. պատրուկ ან պատრიკ² 'პატრუქი, ფილთა', ახ. სპარსულ და არაბ. جوارب³ — bādriḥ, საიდანაც მოდის სომხური պատრიւն.

93. პატრუცავი — 'წყალობის წიგნი'; „მოწერილობა მეფისგან მეფესთან“ (ჩუბინ.).

„ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ. და მოსცა სომხითი, და ყოველნი მეფენი კავკასიანნი. ზითვად და მისწერა მის თანა წიგნი, რომელსა პატრუცავსა წერილ იყო ესრეთ...“ (ჯუანშ. 158₁₃).

ფალაური *patrōčak (ძვ. ირ. pati + rauča-) patirauča-, სომხ. պատრიւճակ⁴ 'დღიური საზრდო, საკვები, ცხვარი', ახ. სპარსული جوارب⁵ 'მუდმივი, ყოველდღიური' ('საზრდო, სამოსი' და სხვ. შდრ. როქიკი), თალმულ. NUNN⁶ agnus parvus et macer'.

სემასიოლოგიისათვის: ცხოველი (ზბო, ცხვარი) > ტყავი, საწერი მასალა > წიგნი, წერილი.

94. ს-პილენძი — 'რვალი'.

„... ვიხილუ და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ...“ (მოქც-ქართ. 752₆).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 274.

² Աճառյան, Ա. Բ, V, გვ. 248.

³ Borhān-e Qāte', I, გვ. 20.

⁴ H. Hübschmann, AG, I, გვ. 514; Աճառյան, Ե. V, გვ. 925.

⁵ Н. Ягелло, Порядково-русский словарь, гв. 191.

⁶ S. Telegdi, გვ. 250.

„და იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპი-
ლენძისა: და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭუი ოქროსი...“ (ლ. მრ. 54₃₁).

„დაეტევა დამბადებელი, და ქუათა და ძელთა და სპილენძ-
ისა, რუალსა გაჭედისსა, ღმრთად თაყუანის სცემენ...“ (ლ. მრ. 55₁₁).

ქართ. სპილენძი, სომხ. *սկիւռ*¹, თალმუდ *סִינְד*² ‘კორინ-
თის სპილენძი’ სირ. *סִינְד* ქართული, სომხური, სირიული და
თალმუდის არამეულის ფორმები ყველაზე ახლოს დგანან ერთმა-
ნეთთან ფონეტიკურად (აღნიშნულ ფორმებში გვაქვს 1 სხვა ირა-
ნული ენების r-ს საპირისპიროდ).

ზღრ. ახ. სპარსული *سپر* ‘სპილენძი’, აგრეთვე *سپر* ‘სპილენ-
ძი’, ქურთ. *pirinjok*, საფიქრებელია, საშ. სპარსულში გვექონდა
**pirinz*, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა დანარჩენ ფორმებს,
სახელდობრ, ქართულ ბრინჯაოს, არაბულ *سپر*-ს³.

ევროპული ენების bronze-ს და რუსულ бронза-ს⁴.

95. პილო — ‘სპილო’.

„...ტაძართაგან პილოჯს ძუაღედთა, რომელთა განგახარეს
შენ...“ (ფს. 44₉).

„მსგავს არს საწუთროჯ ესე და ყოველნი მოყუარენი მისნი
კაცსა, რომელსა სდევდა პილოჯ ამრიზებული მიაწყულია ჯურღ-
მულსა საშინელსა...“ (ბალაჰვარ. 36₃₁).

„...და აღჯდა მეფე პილოსა თეთრსა და ეწყვნეს...“ (ჯუანშ.
116₁₄).

ფალ. *pil* ‘სპილო’, ახ. სპ. *پيل*, არაბ. *پيل*, სირიული *סִינְד*,
სომხ. *փիղ*⁵ ‘სპილო’ (*փղապառ*, *փղապետ*).

შეადარეთ აგრეთვე სანსკრიტ. ნასესხები *pila*, ასურ. *piru*, ძვ.
სპ. *piru*-⁶.

ეს სიტყვა ნასესხებია როგორც სემიტურ, ისე ინდურსა და ირა-
ნულში და უცხო წარმოშობისად ითვლება.

96. პიტიახში (პატიახში) — ‘მმართველი, ერისთავი’.

„...ქარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში ძემ არ-
შუშაჲსი“ (მარტ. შუშ. 3₆).

¹ *Անառյառ*, III, გვ. 1076.

² S. Telogdi, გვ. 250.

³ S. Haim, I, გვ. 104.

⁴ Hans Vogt, *Arm. et caucase. du sud*, გვ. 334.

⁵ H. Hübschmann, AG, I, გვ. 225; H. Nyberg, *Hfab.* II, გვ. 186.

⁶ GrirPh, II, გვ. 6.

-განვისაჯენით მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თუალღებაჲ, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა“ (მარტ. შუშ. 41₂₈). (იხ. აგრეთვე გვერდები 8, 12, 13, 14, 25, 28, 29, 32 და სხვ.).

-აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქუეს...“ (ე. მცხ. 83₁₄).

-და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ზორ ზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში...“ (მოქც. ქართ. 720₁₉).

-და ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი ნათესავენი ერისთავთა და წარჩინებულთანი, შევიდოდეს კავკასიად, და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა“ (ლ. მრ. 149₁₈).

-მაშინ მეფემან სპარსთამან, სავსემან მწუხარებითა, მოუწოდა მთავართა სოფლებისათა პიტიახშთა და ერისთავთა...“ (ლ. მრ. 60₆).

-ანუ თქუნენ, მკვდრთა მაგათ სომხითისათა არშაკუნიანთა, პატიახშთა ბევრიტიანთა, არა გაქსოვნა საქმენი გრიგოლი პართეველისანი და წინააღმდეგობთა მისთა...“ (ჯუანშ. 161₆).

-ხუარანძე ამისთჳს არა მისცა, რამეთუ დაწინდებულ იყო სომეხთა პატიახშისა“ (ჯუანშ. 185₉).

-და დაჲ მისი ხუარანძე მისცა ბაკურს ცოლად, პატიახშსა სომხითისასა“ (ჯუანშ. 199₁₈).

-და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად: და კლდით კერძო მოავლინა ქუეითი; და ერთ-კერძო მოავლინა პატიახშნი და სპასპეტი...“ (ჯუანშ. 202₆).

-და ყოველნი მთავარნი და პატიახშნი, ნათესავენი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა“ (ჯუანშ. 234₃).

-და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავეი ერისთავთა და პიტიახშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათავან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი“ (ჯუანშ. 237₆).

-მეორე მისცა პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“ (ჯუანშ. 241₁₉).

-მასვე ეამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს...“ (ჯუანშ. 244₁₁).

სომხ. *բղևաշխ* — *բղևշխ* 'პიტიახში, ერისთავი, ქალაქის თავი კონსული', სირ. *aptaxša*, ბერძნ. *πιταξης*, *πιταξης*, ლათ. *vitaxa*.

პიუბშმანის აზრით, სომხური ფორმა *bdeax* მიღებულია უფრო ძველი **bidiax*-იდან. რომელიც სირიული *aptaxša*-ს, ბერძნული *πιδιάξ* და ქართული 'პიტიახშ'-ფორმების მიხედვით უნდა ეყრდნობოდეს ირანულ **pitiaxša*-ს¹ (< *patixšā*).

ანდრეასის მიხედვით სომხურ ფორმაში ადგილი აქვს მეტათეზს. უნდა გვქონოდა **bdeax*, რომელიც მომდინარეობს ირ. **patyaxštar*-იდან, რაც ნიშნავს ზედამხედველს (*inspecteur*). ძვ. ირ. *pati* + *axš*².

ტერმინი პიტიახში გვხვდება არმაზის წარწერებში და მათ საფუძველზე გაშიფრულ ბორის წარწერაშიც: ბილინგვაში *ՄԻՄ* — *hēh*-ის ფორმით; წარწერა № 1-ში *ՄԻՄ* —-ისა, ხოლო ბორის წარწერაში *ՄԻՄ* —-ის ფორმით, სადაც დაცულია ყველა ხმოვანი ქართ. პიტიახშის მსგავსად³.

ფალაურში შემონახულია *ՄԻՄ*, *ՄԻՄ*, არაბულში *سنتي*.

გ. წერეთელი იძლევა პიტიახშ სიტყვის ახალ ეტიმოლოგიას. მისი აზრით, პიტიახში წარმოადგენს „არმენიზებულ“ ფორმას სპარსული ტერმინისა, რომელიც შედგება სიტყვებისაგან *pat* (შდრ. სომხ. *պտ*) 'თავი' და *xšahr* (> სომხ. *ašxarh*, ფალ. *xšatr*, ახ. სპ. *šahr*, ძვ. სპ. *xšassa*-, ძვ. ირ. *xšātra*-) იზაფეტის ნაწილაკით მათ შორის და ქართულ „ერისთავს“ შეესაბამება. ამ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ვ. აბაევიც⁴, ოღონდ მისი შეხედულებით პიტიახში არის არა არმენიზებული ფორმა სპარსული ტერმინისა, არამედ უფრო სომხურ ნიადაგზე სპარსული ელემენტებისაგან შექმნილი წარმოება, რომელიც ძველი ადგილობრივი ქართული და სომხური სიტყვების თარგმანს წარმოადგენს (სომხ. *կոյսանակալ*, ქართ. *ერისთავი*).

97. რაზმი — 'ლაშქარი'.

„ვეფხისტყაოსანი“:

„რაზმი დავაწყევ, მივპმართე“ (441₃).

„შექმნეს რაზმი მრავალ-კეცი“ (444₄).

„შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა“ (1346₂).

„რაზმი ველთა დაჰტარვიდა“ (1379₁).

„მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა“ (1519₁).

„ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“ (311₄).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 119.

² A. Christensen, L'empir des Sassanides, 1930; L'Iran sous les Sassanides, Kobenhavn, 1944.

³ გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 20 — 21.

⁴ ვ. აბაევი, არმაზის ბილინგვის გარშემო.

ახ. სპ. راز¹ 'ბრძოლა, შეტაკება', رمى 'მებრძოლი' (Boehon),
ძვ. სპ. razna-, ავ. rasman-, ძირიდან raz-, ინდ. ევრ. reg-, სკრ.
raj- შდრ. სომხ. paterazm 'ბრძოლა, ომი'².

98. რემაკი, რემა — 'ჯოგი' (ცხენისა).

„ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“

(ვ.ტყ. 54).

„ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არემა-რე“

(ვ.ტყ. 1532).

„ფიზიოლოგ“ — ში გვხვდება სიტყვა მე-რემაკ-ე „სახის მეტყუ-
ელმან თქუა კანჯრისათჳს; კატაბანი მერემაკჲ არს“ (სახისა სი-
ტყუამ, ისტ. ქრ. 285₂₂). საშ. სპ. ram-ak-იდან. შდრ. ახ. სპ.
را³ 'ჯოგი, ფარა'.

99. რვალი — 'სპილენძი'.

„ესე არს სპილენძთა და კალათა შერევენ და მას შთამო-
ასხამენ სარეკელ ზარად, ლინად და ეყუანად ოხრისა და ჯმა ქლე-
რისათჳს“ (საბა).

„რვალსა გაქედილსა ღმრთად თაყუანის-სცემენ...“ (ლ. მრ.
55₁₄).

„მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა

აღისა?“ (ვ.ტყ. 563₁).

„მაშინლა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალია,
აცნობე ჩემი სიკვდილი, — იყავ მართ ვითა მთრვალია,
მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოველთათვის გარდუვალია
გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“.

(ვ.ტყ. 158₄).

„ასეთსა ციხესა, რომელ კარი და ზღუდე ყუელა რვალისა
არის, რამინ ვითა გაგიტეხდა?“ (ვისრამ. 147₁₁).

„გველსა და მისსა ცხენსა რვალისა ჯაჭვი ეცვა, რომ არა
იარალი არ მოეკიდებოდა...“ (ვისრამ. 176₂).

ქართ. რვალი — მოდის საშ. სპარსული სიტყვიდან rōb||rōy⁴
'სპილენძი', ახ. სპ. رواج⁵, ბელუჯ. rōd, ავესტური raōda-⁶; შდრ.
ფინური ნასესხები rauta და რუს. руда, სომხ. արույժ.

¹ Borhān-e Qāte', II, გვ. 220.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 214.

³ Borhān-e Qāte', II, გვ. 226.

⁴ GrirPh. II.

⁵ Borhān-e Qāte', გვ. 270.

⁶ Chr. Bartholomae, AirWb, გვ. 1495.

ქართულ სიტყვა რვალს ჩვეულებრივ უკავშირებენ სომხურ *աբայր*-ს; მაგრამ ქართული და სომხური ფორმების შეპირისპირება ირანულ შესაბამის ფორმებთან გვიჩვენებს, რომ ქართულში ეს სიტყვა უშუალოდ არის შემოსული სასან. ფალაურიდან სომხურის მეშვეობის გარეშე. საშ. სპ. *rōb*, *rōy* = ქართ. რუ-ალი > რვალი. არ არის გამორიცხული ახალი სპარსულიდან სესხებაც¹.

რაც შეეხება სომხურ ფორმას, იგი ამოსავლად გულისხმობს არშაკიდ. ფალაურ ფორმას *rōb*-ს (შდრ. სომ. *ṛōb* > *ṛōy*, *xōb* > *ṛōy*).

ცნობილია, რომ ფალ. *b* ხმოვანთა შორის სომხურში იძლევა *r*-ს, შდრ. *xōb*, სომხ. *ṛōy* 'ქუდი', 'ხოირი', ძვ. სპ. *xauda*, ფალ. სომ. 'სურნელი, არომატი' > სომხ. *ṛōy* და სხვა, ხოლო გრძელი *ō* > სომხ. *ōy*-ს. რაც შეეხება თავკიდურ *a*-ს სომხურში, იგი განვითარებულია, აგრეთვე, სომხურ ნიადაგზე (შდრ. *xšhar* და *ašxarh*). ქართული რომ სომხურიდან ყოფილიყო შეთვისებული, მისი ფორმა იქნებოდა არუელი, აროელი < *აროერი-დან (შდრ. კაპოეტი).

a-ს დაკარგვა სიტყვის თავში არ არის დამახასიათებელი ქართულისათვის.

100. როსპიკ (როსპიკ-ი) — „ურიდად მეძავი“ (საბა).

„ასულთაგანი იშლისთა ნუ იქნებინ როსპიკ და ნუცა იპოვებინ მამაკაცი მეძავ ძეთაგან იშლისთა...“ (დაბ. 23, 17).

„როსპიკო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე? ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზლევინე“

(ვ.ტყ. 578₁).

ამ სიტყვისათვის ამოსავალია არა ახ. სპარსული *رُسبِي* (*rusbi*), რომელსაც მიუთითებს მის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ლექსიკონში იუსტ. აბულაძე², არამედ საშ. სპარსული *ruspik*, რომლის ზუსტ გადმოცემას წარმოადგენს დაბადების ტექსტში დადასტურებული ფორმისა *როსპიკ*, შდრ. საშ. სპ. *ruspik* — „Hure“ (*Kn 3₅*)³.

¹ იუსტ. აბულაძეს მიუთითებული აქვს „ვისრამიანის“ ლექსიკონში (იხ. გვ. 378), ამოსავლად ახ. სპ. *رُسبِي* 'ბრინჯაო, მაგარი სპილენძი, ყვითელი სპილენძი', ახალი და საშუალო სპარსული ფორმები ამ შემთხვევაში იდენტურნი არიან.

² იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 22-ე და 26-ე გამოცემის ლექსიკონები.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 198.

101. როარტაგი, ჰროარტაგი — 'ხელნაწერი, წიგნი, გრაგნილი'.

„და დაამტკიცა უკუე კელით წერილი იგი კელითა თჳსითა, და მასვე ჟამსა დაწერა ჰროარტაგი და დაამტკიცა კელითა თჳსითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჟთა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიქდისა“ (ასურ. მოღვაწ. 205₃₀).

საშ. სპარსული (წარწ.) fravartak, ტურფ. ფალ. 𐎎𐎠𐎼𐎡𐎹 სოლდ. prw'rt 'გრაგნილი, წიგნი'. სირ. 𐤏𐤓𐤏𐤍, 𐤏𐤓'𐤏𐤍, თალმუდ. 𐤏𐤓'𐤏𐤍 'ედიქტი'¹, სომხ. Հրովարտակ — hrovartak 'წერილი, ხელნაწერი წიგნი'. ქართული სიტყვა უეკველია სომხურ მეშვეობას გულისხმობს.

102. როჭიკი — 'ხელფასი, დღიური, ულუფა, საზღაური, გადასახადი'.

„...ვითარცა მკედარი, რომელმან დაიწერის თავი თჳსი დივანსა შინა მეფისასა და მიერითგან წარმოიღებნ იგი განწესებულსა როჭიკსა ერის კაცთასა, ვერლა შემძლებელ არნ იგი თავით თჳსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან...“ (მამ. სწავლ. 120₉).

„ხოლო დღითი-დღე პალატით მოცემულსა როჭიკსა გლახაკთა განუყოფდა, ემოსა ფლასი ფიცხელი და მქისე, ქუეშე-კერძო სამეუფოთა სამოსელთა“ (ლ. მრ. 133₂₆).

„არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა“ (გრ. ხანძთ., გვ. 42₂₅).

„ესცვე ნეტარი ეპიტანე ოდეს-მე მივიდა წინაშე დიდისა აბუ ასადისა ჟამსა მისასა როჭიკისა თხოვად ხანძთისათჳს“ (გრ. ხანძთ., გვ. ნა₂₃).

პართ. rōčik (mizd u rōčik)², საშ. სპ. rōzīk, ახ. სპ. روزه — rōzī 'დღიური საზრდო'³, საარსებო საშუალება, საზრდელი, წილი, ხვედრი, პროვიზია, ქონება'.

სიტყვა rōčik ნაწარმოებია სიტყვისაგან rōč⁴ 'დღე' (ძვ. სპ. raučah-, ავ. raočah-), ახ. სპ. rōz 'დღე'; სიტყვასიტყვით rōčik ნიშნავს 'დღიურს'.

¹ S. Telegdi, გვ. 251.

² Chr. Bartholomae, Mit. Mund, I, გვ. 14.

³ S. Haim, I, გვ. 971.

⁴ H. Nyborg, Hfsh, II, გვ. 196.

შდრ. სომხ. *սոս/իկ*¹, სირ. *כִּמְעָא* 'commeatus quotidianus', არაბ. *رزق*² 'საარსებო საშუალება, ცხოვრების მოთხოვნა'.

103. სადაგი — 'უბრალო, მარტივი, სადა'.

„მიეც ნორცთა შენთა საზრდელი სადაგი და გუამსა შენსა სამოსელი ადვილისა ფასისაჲ...“ (მამ. სწავლ. 153₂₂).

„ვეფხისტყაოსანში“:

„მოყვარენი გულ-სადაგნი“ (668₁),

„ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს“ (137₃).

საშ. სპ. *sadak* 'სწორი, უბრალო, სადა', ახ. სპ. *ساد*³: 1. 'სწორი, სადა', 2. 'უბრალო გულწრფელი, გულუბრყვილო', 3. 'სუფთა შეურეველი', *ساده* 'უბრალოება, გულუბრყვილობა, სისადავე'.

104. სასტიკი — 'მკაცრი, შეუბრალებელი'; „დიდად ძლიერი“ (საბა).

„და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად“ (მარტ. შუშ. 26₁₀).

„რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი“ (აბო, გვ. 64₃₀).

„და აჰა ესერა მოიწია კაცი ვინმე ყოვლად განწმელი, რომელი ფრიად რაჲმე სასტიკებით გინიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა...“ (ს. ზ. 177₁₄).

„რამეთუ სივერაგით ებრძოდეს სიმძაფრითა სასტიკითა ხილვითა ვითარცა გუნდი მჭედართაი...“ (გრ. ხანძთ., გვ. 48).

„და დაარღვნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან და შთაყარა იგი კლდესა...“ (მოქც. ქართ. 755₃).

„იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა...“ (ლ. მრ. 1₃).

„ხილე-და ოდეს-იგი იყუნეს ძენი ისრაჲლისნი უდაბნოსა მას სინაჲსასა, რამეთუ ვერ შემძლებელ იქმნეს დათმენად სასტიკებასა ქარისასა...“ (მამ. სწავლ. 14₁₈).

საშ. სპ. **sāstik*⁴, ავ. *sāsta* 'სასტიკი, მკაცრი, მტანჯავი, მწვალებელი', *sāstar* 'მძლავრი, ძლევამოსილი, ტირანი'.

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 234.

² A. Siddiqi, გვ. 56. არაბებმა სამი თანხმოვანი (*رزق*) ძირეულად მიიხ-

ნის და აწარმოეს სიტყვა *رزق*-ის ტიპის მიხედვით.

³ Borhān-e Qāto' II, გვ. 1037; Миллер, გვ. 267.

⁴ H. Reichelt, AĖ, გვ. 498.

შდრ. სანსკრ. śasti-, śiṣṭi, ლათ. castigo, ინდ. ეგრ. *k'as-, k'as-
იდან, სომხ. *ասատիկ*¹ 'სასჯელი, მუქარა, შეუბრალებლობა, ძალა-
დობა' და სხვ., *ասատիկ* 'სისასტიკე, სიმკაცრე, შეუბრალებლობა.
წრისხანება', *ասատ* (ადვერბად) ნიშნავს: 'სასტიკად, მკაცრად, უზო-
მოდ ფრიად'. სიტყვა მკვიდრ სომხურად ითვლება.

105. **სენაკი** — „მცირე სახლაკი“ (საბა). შდრ. ხევსურ. *სენა*,
*სენე*².

„და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევენაჲ მისი და
სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ...“ (მარტ. შუშ. 20₃₆).

„და იყო სენაკსა მას მცირე სარკუმელი და დაყო იგი...“
(მარტ. შუშ. 26₃).

„რამეთუ სენაკსა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და
შეურაცხი საგებელი და თითოე სარწყული წყლისათჳს“ (გრ. ხანძთ.,
გვ. 14₆).

„ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა
ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები
ძმათა მათოჳს მცირე და სენაკი ერთი საოსტიგნედ დიდი...“
(გრ. ხანძთ., გვ. 14₈).

„შორს ყავ ოქროჲ სენაკისაგან შენისა, რაჲთა დაიმ-
კდროს მას შინა სულმან ღმრთისამან“ (მამ. სწავლ. 290₁₈).

საშ. სპარსული *sēnak, ახ. სპ. *سینک* 'შეკრდი (წინა ნაწილი),
ცხვირი, მწვერვალი'³. შდრ. საშ. სპ. *sēnakpān 'შესაწოლე', ქურთ.
sîng 'შეკრდი', ოს. დიგ. sinæg 'მხარი' (შდრ. რუსული *сени* და
синак) 'შენობის წინა ნაწილი ან ფრთა', სომხ. *սենակ*⁴ 'სა-
წოლი, გალია, სავანე, ოთახი. შინა, სენაკი, საკანი', აჭარციანი
უცნობი წარმოშობის სიტყვად მიიჩნევის.

106. **სენაკაპანი** — „შესაწოლე“ (საბა).

„და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ
შუშანიკ ციხედ...“ (მარტ. შუშ. 27₃₈).

საშ. სპ. *sēnakpān (sēnak + pān, შდრ. მარზაპანი, დიასპანი,
დარპანი და მისთანანი), სომხ. *սենակապան*⁵ 'ოთახის მცველი'.
შდრ. აგრეთვე *սենակապის* (ორივე ეს სომხური სიტყვა senekapan

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 489.

² გ. ჩიტაია, ხევსურული სენა, სენე (წაკითხულია მოხსენებად საქ.
სსრ მეცნ. აკადემიის სამეცნიერო სესიაზე 1944 წლის დეკემბერში).

³ S. Haïm, II, გვ. 153.

⁴ А. Худашеня, Армяно-русский словарь, გვ. 362.

⁵ მარტილობა შუშანიკისი, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 98.

და senekapet ხუდაბაშიანს განმარტებული აქვს, როგორც 'камергер, монастырский эконом')¹.

არც სენაკი, არც სენაკაპანი არ არის დადასტურებული საშ. სპარსულ ძეგლებში, თუმცა ფორმით წმინდა ფალაური სიტყვებია, შეიძლება ქართულში სომხური გზით მოდიოდნენ.

107. სპა — 'ჯარი, არმია, მხედრობა, ლაშქარი'.

„ხოლო მეფე ერჩდა მას და წარავლინა იგი მცირითა სპითა“ (ბალაჰვარ. 94₃₄).

„და მერმელა განაგო სპათათჳს საგმარი მათი ყოველი დაუკლებლად და დაადგინნა მათ ზედა სპაჰეტნი და ერისთავნი...“ (ბალაჰვარ. 138₃).

„...და მრავალ-გზის მრავალი აღჭურვილი მგედართაჲ და სპათა სიმრავლე განვიდის ძიებად მისა და ვერ შემძლებელ იქმნეს შეპყრობად მისა...“ (მამ. სწავლ. 293₃₂).

„ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უქანით ზურგით“ (ლ. მრ. 3₂₇).

„მაშინ, ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გადმოვიდეს ოგსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი...“ (ჯუანშ. 94₁₁).

„არა გამოვალ მე მდინარესა, რამეთუ მეფე ვარ, არა მივეახლები მე სპასა ოვსეთისასა, რამეთუ წარწყმედითა ჩემითა წარწყმდების სპა ჩემი ყოველი“ (ჯუანშ. 101₁₉).

„ვეფხისტყაოსანში“:

„სპა ლაშქართა“ (977₃).

„სპა უამარია“ (1320₄).

„თავადი სპისა დიდისა“ (1262₃).

„ღია სპითა და ბარგითა“ (1577₁).

„სპანი ველთა დაჰთარვიდეს“ (73₃).

„მით აეხენეს სპანი ზარსა“ (318₂).

„მეფე ანუ მისნი სპანი“ (748₁).

„გყვენ სპანი ხრმალ-მახულები“ (1652₄).

„მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც“ (543₃).

საშ. სპარსული spāh² 'ჯარი ლაშქარი, სპა', ძვ. ირ. spāh- (შდრ. მიდიური საკ. სახელი Taxmaspāda³ 'ძლიერი ლაშქრის

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, IV, გვ. 568.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 204

³ A. Meillet, Vp. გვ. 62.

პატრონი'), სომხ. *սպահ*¹ 'ჯარი, ლაშქარი', ახ. სპ. *اسپا*² 'ჯარი, არმია'.

ქართული სპა უეჭველია მოდის ფალაურადან.

108. სპაძეტი || სპასპეტი — 'მხედართმთავარი'.

1. სპაძეტი:

„და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი სომეხთა სპაძეტი-ისაჲ, რომლისათჳს ესე მივწერე თქუენდა...“ (მარტ. შუშ. 3₉).

„და მერმელა განაგო სპათათჳს საჭმარი მათი ყოველი დაუკლებლად და დაადგინნა მათ ზედა სპაძეტი და ერისთავნი...“ (ბალაჰვარ. 138₄).

2. სპასპეტი:

„... რამეთუ ესე იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოჲსა ქართველთაჲსა და ფრიად მკნე და განმარჯუებელ სპასპეტი“ (ასურ. მოღვაწე. 108₂₈).

„მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისა თანა, რომელსა ერქუა მადეჲან“ (ლ. მრ. 38₃₁).

„და სცა მას ლახუარი ჯონბერ (ჯუანშერ) სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი“ (ჯუანშ. 117₁).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა“ (40₁).

„სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა“ (44₂).

„სპათა სპასპეტი, ჩაუქი“ (57₂).

„სპასპეტი როსტენ მეფისა“ (1272₃).

ამ სიტყვის ორივე ვარიანტი სპასპეტი და სპაძეტი მოდის საშ. სპარსული ფორმიდან *spāhpat*³ 'მხედართმთავარი, ჯარის უფროსი'. ირ. h-მ p-ს წინ ერთ შემთხვევაში (შედარებით ძველი ფორმა) მოგვეცა *ძ-*, ხოლო მეორეში — ს. შეადარეთ. ძვ. ირ. *spāda-pati* (*spāda-* 'ჯარი' + *pati* 'თავი'), ახ. სპ. *ispāh-bad*, *sipāh-bad* 'მხედართმთავარი'; სომხური *սպահապետ*, *ասպարապետ*⁴ 'სარდალი, ჯარის უფროსი' (მოდის არშაკ. ფალ. *spādapat*-იდან)

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 239.

² S. Haïm, II, გვ. 25.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 204.

⁴ H. Hübschmann, AG, I, გვ. 240.

და შედარებით გვიანდელი *սպասար*¹ (იმ დროს, როდესაც თვით საშ. სპარსულში *ḥ* იძლევა *y*-ს *h*-ს გვერდით).

109. სპასალარი — 'მხედართმთავარი, ჯარის უფროსი'.

„ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფეო და საერისთაო“ (ლ. მრ. 18₂).

„მაშინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყოველთა თანა ერისთავთა, სპასალართა და ყოველთა პირთა სამეფოსათა, მოწოდებად წინაშე მისსა“ (ლ. მრ. 72₃₃).

„და მოითხოვა იგი სპასალარმან კასპისამან და მისცა იგი მეფემან, და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა“ (ლ. მრ. 92₂₆).

„და წარვიდა უჯარმას, და უბრძანა სპასალართა ქართლისათა, რათა ადგილსავე დგენ“ (ჯუანშ. 138₂₆).

„ავთანდილ იყო სპასპეტი ძე ამირ-სპასალარისა“ (გ. ტყ. 40₁).

ახ. სპარსული *سپاه سار* — *sepāh-sālār*². ფაზ. *spāhsālār*, საშ. სპ. *spāhsarōār* (*spāh + sarōār*³), *sarōār* თავისთავად შედგენილი სიტყვაა: *sar* 'თავი' + *dār* 'შქონე, ოსანი' (*dāštāu dār* 'ქონება') 'მეთაური, უფროსი', სიტყვისიტყვით 'თაოსანი', სომხ. *սպասար*, *առսպար*, *սպասար*⁴ 'მთავარსარდალი, ჯარის უფროსი'. შდრ. ფალ. *āx'arsalār < āx'arsarōār* და სხვ.

110. სპეტაკი, სპეტი — 'თეთრი'.

„აჰა ცანი განეხუნეს და სული წმიდაჲ ვითარცა ტრედი გარდამოგდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა...“ (ე. მცხ. 87₃₆).

„მოიქსენე, შვილო ჩემო, ეამი იგი, რაჲმს-იგი ცოდვილნი იყვნენ შორის კრებულსა მართალთასა აღრეულნი პირველ განჩევისა, ვითარცა თიკანნი შავნი შორის კრავთა საჩინოდ სპეტაკთა“ (მამ. სწავლ. 125₃₃).

„...სიკუდილი სიტყუათა შენთა არა შეიწყნარებს... და არცა სიკაბუჯისა შეუნიერსა ხატსა შენსა ზედა ადგრების არცა სიყრმესა შენსა ერიდების და არცა სპეტაკთა მაგათ მცეტეთა შენთა პატივსცემს...“ (მამ. სწავლ. 254₂₈).

„და შემდგომად ამისა განვიდა კუალად და იხილა ბერი ვინმე ერთი ფრიად მოხუცებული, დაღონებული ქუეყანად, რომლისა ფერი პირისა მისისაჲ დაშავებულ იყო და თმაჲ თავისაჲ მისისაჲ სპეტაკ...“ (ბალაქვარ. 23₃₄).

¹ მარტილობა შუშანიკისი, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 36 (ლექსიკონი).

² S. Haïm, II, გვ. 25.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 202.

⁴ H. Hübshmann, AG, I, გვ. 239.

„...და მეორეთა საყდართა იხილა მოხუცებული, მჯდომარე ზეწ-
რითა სპეტაკითა...“ (ჯუანშ. 111₁₃).

„...რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი და შთავიდიან შავნი
მდინარესა მას შინა განიბანნიან და განსპეტაკნიან“ (ლ. მრ.
64₁₈).

„ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა გვხვდება ფორმით სპეტაკი —
უსუფიქსოდ.

„ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა
სპეტად...“ (ვ. ტყ. 500₂).

ავ. spaēta-¹, სკრ. šveta-, ფალ. spēt², spetak ‘თეთრი’, ახ. სპ.
sipid سبيد³ ‘თეთრი’, სომხ. սպիտակ ‘თეთრი’.

111. სტავრა — ‘ქსოვილის სახე’.

„ვეფხისტყაოსანში“:

„სხვა სტავრა, სხვა ატლასია“ (471₂).

„მრავალ-კეცი სტავრა მძიმე“ (1143₂).

„გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა“ (1438₁).

„აივსო სახლი სტავრითა“ (1467₂).

„ცუდად უჩნს სტავრა-ნახლები“ (690₂).

საშ. სპ. stavr⁴ ‘მტკიცე, ძლიერი’, ახ. სპ. sitabr⁵, ავ. stavra-⁶
‘მაგარი’ < არ. stabhra- ძირიდან stabh-, ახ. სპ. ستر ‘სქელი,
მტკიცე, მასიური’, ستر ‘სისქე, სიმტკიცე’.

მაგარი, მტკიცე, სქელი > მტკიცე, სქელი ქსოვი-
ლი > სტავრა.

112. სუბუქი — ‘მჩატე, მცირე წონისა, ადვილი’.

„დაყუდებამ უღელი არს სულმცირე და ტვრთი სუბუქი
რომელი განუსუენებს მტვრთველთა მისთა“ (მამ. სწავლ. 23₂).

„და შფოთი მათი და კუეთებამ მცირე და სუბუქ იყოს...“
(მამ. სწავლ. 152₂₂).

„და შეჯდა მეფე ნავსა, სამასითა ღრომონითა, სუბუქად
გამოვიდა ზღუის კიდესა, და მოუწოდა ვახტანგს...“ (ჯუანშ.
119₁₁).

¹ AirWb, გვ. 1609.

² H. Nyberg, Hfsb, გვ. 206.

³ S. Haïm, გვ. 458.

⁴ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 206.

⁵ Б. Милер, Переиждко-русский словарь, გვ. 273.

⁶ AirWb, გვ. 1592; P. Horn, GrnpEt, § 713; H. Hübsehmann,
P.St., გვ. 74.

„ვეფხისტყაოსანში“:

„სტავრა მძიმე, არ სუბუქი“ (1143₂).

„ფრიდონს კირი უსუბუქდა“ (986₁).

საშ. სპარსული sapūk¹ 'ადვილი, მსუბუქი', ფაზენდ. sabuk-tar (შედარ. ხარისხის ფორმა), ახ. სპ. سب 'შჩატე, ადვილი, მსუბუქი ქუისა, მოხერხებული, სწრაფი; ადვილად, სწრაფად, მოხერხებულად'. შდრ. ავლ. spuk.

ნიბერგი აღადგენს ძველ სპარსულ ფორმას *ssapuka-, ძვ. ირანული *šrapu-, სკრ. trpra-, აღმატ. ხარისხი trapišta-ს მიხედვით.

113. ტაკუკი — „მომცრო ჭურჭელი, საღვინე“ (საბა).

„...და შევიდა იესუ საქორწინესა მას და ღვინოჲ არა იყო მუნ, რამეთუ მოლეულ იყო და ტაკუკნი ცარიელნი დგეს მუნ, მაშინ უბრძანა იესუ მოწაფეთა მათ წყალი მოღებად და ტაკუკნი აღავსნეს წყლითა...“ (ე. მცხ. 88₂₄).

„ვითარცა მდინარისა დიდისაჲ ტაკუკითა ერთითა ხილვების, თუ რაჲ გემოჲ აქუს, აგრეთვე ნეტარისა იოვანესი, რომელიცა გნებოს...“ (ასურ. მოღვაწ. 61₂₄).

ფალ. takōk² 'ღვინის თასი', ახ. სპ. takūk 'სასმისი, თასი, კიქა', სომხ. *Թակուկ* 'დოქი, კიქა, სასმისი, ჭურჭელი'³.

114. ტაბაკი, ტაბაკი — 'ტაფა, თაბახი'.

„ტაბაკსა ზედა ზეთითა შესუარული შექმნეს იგი...“ (ლევიტ. 6₃₁).

„უკთუ შესაწირავი იგი ტაბაკისაგან იყო ძღუძნი იგი შენა სამინდოჲ შესუარული ზეთითა უცომოჲ იყოს...“ (ლევიტ. 2₆).

„და ყივე შესწირვი რი იქმნეს თორნესა და ყივე რი იქმნეს ლანძუსა გინა ტაბაკსა მღდელისა მის შემწირველისა იყოს იგი...“ (ლევიტ. 6₃₉).

„ვეფხისტყაოსანში“:

„კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი“ (1466₃).

„იგი ტაბაკი სავსეა“ (1467₁).

„ცხრა ტაბაკი მარგალიტი“ (1559₁).

¹ М. Гаффаров, Персидско-русский словарь, гл. 441.

² GrIrPh, II, გვ. 185.

³ Borhān-e Qāte', I, გვ. 152.

⁴ А. Худабашев, Армяно-русский словарь, гл. 424.

საშ. სპარსული *tāpāk*¹ *tapāhak* 'ტაფა', ახ. სპ. *tāpāk*, ბელუჯ. *tafaṣ*, ახ. სპ. *تابه*, *تافتا* 'ტაფა', სკრ. *taptaka* 'Bratpfane', სომხ. *տապակ*², სირ. *tābaqā*, არაბ. *طابق* და *طابق*. შდრ. ქართ. თაბახი.

115. ტაბლაკი — 'დოლი'.

„ტაბლაკსა ჰკრეს და გაისმა“ (ვ. ტყ. 1508₁).

„გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა“ (ვ. ტყ. 450₄).

„ჰკრეს ტაბლაკსა, გახდა ზარი“ (ვ. ტყ. 1178₃).

„სცემდეს ბუკსა და ტაბლაკსა“ (ვ. ტყ. 1189₃).

ახ. სპ. არაბ. *طبل* 'დოლი, დოლის ცემა', *tablak*, როგორც ჩანს, საშ. სპარსული ფორმაა.

116. ტაიჭი, ტაიჭიკი — 'არაბული, ცხენი'.

„ვეფხისტყაოსანში“:

„ტაიჭი მიუქს მერანსა“ (96₃).

„ტაიჭი მისი მით აქო“ (206₃).

„ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი“ (210₄).

„ქებას შეიყვანა ტაიჭი“ (224₂).

„ერთი ტაიჭი უებრო“ (1019₄).

„ათასი ცხენი ტაიჭი“ (1558₄).

„მას ტაიჭსა არაბულსა“ (55₂).

„მინდორს აცორეებს ტაიჭსა“ (193₂).

„ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა“ (204₂).

„მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“ (72₄).

„მოიქცა ვახტანგ და აღჯდა ტაიჭსა თუსსა, და რქუა სპათა თუსთა: „ვევდრებოდეთ ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“ (ჯუანშ. 153₆).

„და განაწესნა ვახტანგ სპანი და დაადგინნა განმზადებულად; და აღჯდა ტაიჭსა შექურვილსა ჯავშნითა, და აღილო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუთებდა მახული...“ (ჯუანშ. 154₁₈).

„მაშინ ვახტანგ სიფიცხლითო თუალთათა, და სიმახულითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა მისისათა ირიდებდა ისარსა“ (ჯუანშ. 155₆).

საშ. სპარსული *tačik* 'არაბი', ახ. სპარს. *تچي* 'არაბი', სომხ. *տաճիկ*³ 'არაბი', საშ. სპარსულში *-čik nomen ethnica*-ს მაწარმოებელი სუფიქსია. შდრ. *sagčik*, *ražik* და სხვა. შდრ. ეთნიკური

¹ S. Telegdi, გვ. 244.

² H. Hübschmann, AG, I. გვ. 252.

³ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 333.

⁴ H. Hübschmann, AG, გვ. 86; J. Marguier, Erzählung, გვ. 162.

სახელი ტაიქიკი, რომელიც ამოსავალს წარმოადგენს ქართული ტაიქისათვის — 'არაბული ცხენი' > 'ქარგი ცხენი', 'დაკოდლი ცხენი' (საბა)¹.

საინტერესოა, რომ ქართული ფორმა ტაიქიკი და ტაიქი განსხვავდება საშ. სპარსული და სომხური ფორმებისაგან თავისი ი-ნით, თვით არაბული სატომო სახელი კი, რომელიც დაცულია საშ. სპარსულ *tāīk*-ში, არის *tāi*- 𐭪𐭥 (ბოლოში აქვს ი-ნი). შესაძლოა ქართული ფორმა უფრო ძველია შედარებით საშ. სპარსულ და სომხურ ფორმებთან.

117. ტანი — 'სხეული'.

„და იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი...“ (ლ. მრ. 24₁₃).

„...და ტანსა მისსა ეცუა ჯაქუა ოქროსი და ჩაბალახი მყარი და თუაღნი ესხნეს ზურგით“ (ლ. მრ. 54₃₂).

„ხოლო სიმენითა და სიკისკასითა ტანისა მისითა მიუდრკა ოროლსა და წარიჯანდა...“ (ჯუანშ. 132₁₈).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ტანი ალვა, პირი მანგი“ (120₄).

„ტანი მქვერი, პირი ვარდი“ (433₃).

„ვპოვე ხე, ტანი ალვისა“ (696₂).

„ვისი ჰგავს ტანი საროსა“ (975₂).

„ტანი ლერწამობს რხევითა“ (979₄).

„შავითა რად ტანი შეგიგლესია“ (1580₂).

„მას ტანსა კაბა ემოსა (85₁).

„შეგვატყვეს მათ ტანსა აბჯარცმულობა“ (442₂).

„ტანსა ჯუბანი ჩაიცვნა“ (1062₂).

„სახე ყოვლისა ტანისა (2₁).

„ორთა კაცთა, ტანად შავთა“ (1129₁).

ტანი — 'ხელი' (აბჯარი, სამოსელი).

„მუნ აბჯარი სამი ტანი“ (გ. ტყ. 1369₁).

ავ. *tanū*² 'სხეული, ფიგურა, ტანი', სკრ. *tanu-*, ფალ. *tan*³ 'სხეული' (სულის საპირისპიროდ: *tan u gyañ* 'სული და ხორცი'), ახ. სპ. *ت*⁴ 'ტანი, სხეული', 'კაცი'.

¹ ტაიქის ეტიმოლოგია მოცემული აქვს გ. წერეთელს. იხ. მისი „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის“, თბილისი, 1947 წ. (უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიათა კრებული).

² H. Reichelt, AE, გვ. 446.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 222.

⁴ Б. М и л е р, Персидско-русский словарь, გვ. 133.

118. ტანჯვა — 'წვალება'.

„...და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა. მე არა ვეხიარო საქმეთა შენთა“ (მარტ. შუშ. 13₂₇).

„მე ამას მხიარულ ვარ, რადთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“ (მარტ. შუშ. 29₂₆).

„და თუ მშკდობით არა განუტეო სიცოფე ეგე, შენი, ტანჯვაჲ დიდი მოიწიოს შენ ზედა“ (ე. მცხ. 81₂₀).

„მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებული ვარ ქრისტეს-თვის, არამედ სიკუდიდცა“ (აბო, 69₇).

„დალათუ დიდითა ქადებითა და ფერად-ფერადითა სატანჯველითა მოვსწყვიდნეთ, უფროსად გამრავლდენ“ (ლ. მრ. 51₁₈).

„რამეთუ სატანჯველნი იგი საუკუნენი ვერ ესწორებიან ბევრეულსა ტალანტსა, რომელსა ასითა დრაჰკნითა მოვიყიდი“ (მამ. სწავლ. 34₂₂).

„ამას იტყვს აბენეს მეფე: უკუეთუ ვინ იპოოთ ქრისტიანეთაგანი შემდგომად სამისა დღისა, ძკრ-ძკრითა ტანჯვითა მოვსრნე ყოველნი...“ (ბალაჰვარ. 11₉, ბ).

„ხოლო მამამან შენმან რომელნიმე ტანჯნა და სხუანი ცეცხლითა დაწუნა, და რომელნიმე განასხნა საბრძანებელისაგან მისისა“ (ბალაჰვარ. 21₂₀).

„რამეთუ თითო სახეთაგან სენთა შეპყრობილნი კურნებასა მრჩობლ კერძოდა მიემთხუეოდეს ამის მიერ, ვინაჲთგან შრომათა ნათელი მიემატებოდა და სნეულთა სიმრთელე, ეშმაკისა მიერ ტანჯულთა თავისუფალ ქმნაჲ მძლავრებისაგან მისისა“ (ბალაჰვარ. 17₁₃).

სკრ. *tanč-* 'შევიწროება, შემჭიდროება, დაკიმვა', სან. სპ. **tanj* და *tank* 'ვიწრო', ახ. სპ. *تنجيد*, *تنگ*¹ 'მოკერა, შევიწროება, შეწუხება', *تنگ* 'ვიწრო, ჩაგრული, ტანჯული', *تنجيد* 'შევიწროებული, წამებული', სომხ. *տանջ*² 'შევიწროება, ტანჯვა, წამება' და სხვ.

119. ტაძარი — 'სასახლე, სავანე'.

„და აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა...“ (მარტ. შუშ. 6₁).

„და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად...“ (მარტ. შუშ. 18₄).

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 88.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 251.

„და შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და იხილა მუნ შინა სავაქროდ დაგებული...“ (ე. მცხ. 89₂₅).

„ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკვდრებულ არს თქუენ შორის“ (აბო, 57₁₂).

„...ესევეთარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ-იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა“ (ს. ზ. 154₁₀).

„და ვითარცა მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და წინა მოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს“ (გრ. ხანძთ., გვ. ივ₁₇).

„და შეიყვანნეს ტაძარსა ღმრთისასა წმიდასა ეკლესიასა“ (მოქც. ქართ. 737₁₅).

„და ქმნა მას შინა ტაძრები და კოშკები, რომელ ვერ შესაძლებელ არს გაგონებად თქუენდა“ (ჯუანშ. 107₃).

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყენა იგინი“ (ლ. შრ. 155₆).

„და მეოხ ვიყოფდეთ წმიდათა მოწამეთა ტაძართა შინა მათთა სრულითა სარწმუნოებითა...“ (მამ. სწავლ. 47₂₉).

„შენ გიდგან ტაძარნი მარმარილოთა მოლესულნი, და გლახაკსა არა აქვს სართულიცა, რომელსა ქუეშე შევიდეს“ (მამ. სწავლ. 85₃₆).

„ხოლო მათ ვერ გულისჯმა-ყვეს და პრქუეს მეფესა: ერთნი ისი კიდობანნი არა ღირს არიან შემოხუმად ტაძარსა შინა შენსა, ხოლო მეორეთა იმათ არა დაედების ფასი“ (ბალაჰვარ. 33₂₉ (ბ)).

„...რომელნი ჰხედვენ მერმეთა მათ კელით-უქმნელთა ტაძართა და თუალთ-შეუდგამსა სამოსელსა...“ (ბალაჰვარ. 51₁₃).

ფ. სპარსული *tažara*¹ 'სასახლე', ახ. სპარსული *تجر* *tajar*² 'საზამთრო ნაგებობა, მალაზია, საკუჭნაო, ამბარი' და *تاز* *tazar* 'აგარაკი, საზაფხულო სახლი, მამული', არაბ. *تاز* *tazar*, სომხ. *տաճար*³ 'ტაძარი, სასახლე'.

¹ A. Meillet. Vp, გვ. 73; AirWb.

² GrirPh, II, გვ. 73, 172; A. Ягелло, Персидско-русский словарь. გვ. 372, 391.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 251; *Աճառյան, Ա. ք.*, VI, გვ. 758.

შენიშვნა: ქართული და სომხური ფორმები, როგორც ჩანს, სხვადასხვა ფალაური დიალექტებიდან მომდინარეობენ: ქართ. ტაძარი ამოსავლად გულისხმობს სამხრეთ-დასავლურ *tazar-ს (ახ. სპ. تز، არაბ. تز); ხოლო სომხური տաճար ჩრდილო-დასავლურ *tačar-ს, ისე როგორც ახ. სპარსული ფორმა tajar, რომელიც განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება სპარსულში.

120. ტომი—'ნათესავი, თესლი, მოდგმა, გვარი, ჯიში'.

„და აგინებდა ვარსკენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მოჯრებელად სახელ-სდებდა მას“ (მარტ. შუშ. 20₂₁).

„რად არს, რომელი ესე მესმის შენ-თვს, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტყვებიეს მამული-შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ?“ (აბო, 69₁₂).

„მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყნისანი, ამისთვის რამეთუ მიეცემოდინ ყოველნი ბრალეულნი გუემათა და საარებათა“ (გრ. ხანძთ., გვ. 9₉).

„შვილნი დიდებულთა აზნაურთანი, ტომნი დიდისა ეფრემ მაწყუერელ ეპისკოპოსისანი...“ (გრ. ხანძთ., გვ. 4₄).

„და ესუა მას დედაჲ ტომისა გან ელია მღვდელისა...“ (მოქც. ქართ. 764₁₀).

„და რადმე უკუე ვთქუათ ეამისა მისთვის, რომელსა შინა არღარა არს ზრუნვაჲ მონაგებთაჲ და არცალა ტომთაჲ, გინა მეგობართაჲ“ (მამ. სწავლ. 98₂₂).

„ხოლო კაცი ვინმე ერთი წარჩინებულთაგანი, რომელი ფარულად ჰმონებდა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და იცოდა ჭეშმარიტი, და სახელი მისი ბარაქია. და იყო ტომი ძისა მეფისაჲ“ (ბალაჰვარ. 100₄).

„ანუ ოქროჲ ეგე და ვეცხლი და ანთრაკი და მარგალიტი არს მე რაჲა, გარნა ტომი მათვე ქვათაჲ, რომელნი უდაბნოსა ჩუენსა სხენან!“ (ბალაჰვარ. 83₁₃).

„რომლისა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით...“ (ჯუანშ. 102₃₀).

„ტომი გვართა ზენათა“ (ვ. ტყ. 20₁).

„არა უნდა კაცთა ტომი“ (ვ. ტყ. 999₄).

„რაზმი ინდოთა ტომისა“ (ვ. ტყ. 1346₂).

„ადამის ტომთა წესითა“ (ვ. ტყ. 195₂).

ძვ. სპარსული tau(h)ma-¹ 'გვარი, ტომი, ნათესავი', ავ. taoxman- 'თესლი, ტომი', სკრ. tokman-, ფალ. tēm² და tōm 'თესლი, ტომი'.

¹ A. Meillet, Vp. გვ. 156.

² H. Nyberg, Hfsb. II, გვ. 226.

მი', აგრეთვე tōsmak, სომხ, *տոսմ*¹ 'ტომი, ნათესავი', ახ. სპ. tōxum — *تخم* 'თესლი'.

შენიშვნა: ნიბერგის აზრით, ფალაური ფორმა tōsim ჩრდილო-დასავლურია და ეყრდნობა ძვ. ირ. *tauxman-ს < ავ. taoxman-იდან, tōm წარმოადგენს შესატყვის სამხრეთ-დასავლურ ფორმას და მომდინარეობს ძვ. სპ. tauma-დან (< *tauhma < *taxman), ხოლო ახ. სპ. toxm და სომხური ნასესხები tohm ჩრდილო-დასავლურ ფორმას გულისხმობენ ამოსავლად.

ქართული ტომი შესაძლებელია მოეცა ორივე დიალექტურ ფორმას tōsim და tōm, რადგან ქართულში h ჩვეულებრივ იკარგვის.

121. ტოზიკი — 'უსჯულოთ დღესასწაული'.

„მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს მეჯადაგენი და მეჯამლენი, ტოზიკობდეს და მიავლინეს ნეტარისა ევსტათისა და ჰქუეს: „მოვედ და გუეთე შუებასა ამას ჩუენსა“ (ე. მცხ. 80₁₈).

„თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს და თქუენ მეტოზიკენიცა ბნელ ხართ: ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მომიღებიეს და ქრისტეს ტოზიკსა ვტოზიკობ“ (ე. მცხ. 80₂₁).

„და ვითარ ტოზიკი იგი გარდაიწადეს, შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი და მეჯამლენი და ზრახვა ყვეს წინაშე უსტამისსა მცხეთელ ციხის თავისასა და თქუეს: „აქა კაცი ერთი არს ჩუენისა რჩულისაგანი და ჩუენთანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამოსცის“... (ე. მცხ. 80₂₆).

საბას განმარტებით, ტოზიკი ნიშნავს „უსჯულოთ დღესასწაული, და მეტოზიკე მისი მოქმედი“². მართლაც, ზემოთ მოყვანილი კონტექსტების მიხედვით ტოზიკი ხელოსანთა რაღაც ზემს უნდა აღნიშნავდეს, რომელიც მაზღეანურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული³.

ეს სიტყვა აშკარად სპარსული წარმოშობისაა. ქართულ ტოზიკთან ფონეტიკურად ყველაზედ ახლო ფორმით ეს სიტყვა დაცულია თალმუდის არამეულში, სადაც იგი 𐤎𐤓𐤁-ის სახით არის წარმოდგენილი და ამოსავლად ფალაურ tōzīk-ს გულისხმობს⁴.

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 334.

² ქართ. ლექსიკ., გვ. 334.

³ საბინინის გამოცემაში სიტყვა ტოზიკი, რატომღაც, ყველგან ზატოკით არის შეცვლილი; როგორც ჩანს, მნიშვნელობა ამ სიტყვისა გაუგებარია იყო ს. კაკაბაძესთან ტოზიკი გვაქვს.

⁴ S. T e l e g d i, გვ. 244.

მნიშვნელობა თალმუდური სიტყვისა არის: 'პიკნიკის ერთი სახეობა' (eine Art Piknique). შეადარეთ ახ. სპარსული ფორმები *توی* — *توشی* 'საბავშვო დღესასწაული, არიფანა, პიკნიკი'¹. თვით ფალაურში დამოუკიდებლად ეს სიტყვა დადასტურებული არ არის, მაგრამ გვხვდება კომპოზიტში *ham-tōžik*², რაც ნიბერგის მიხედვით 'თანაგადამხდელს' ნიშნავს. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ფრაზა „*apāk dušākās mart hamkār u hamtōžik mā sās*“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს 'სულელი კაცის ამქარი (თანამოსაქმე) და მეტოზიკე (თანამონაწილე, თანაგადამხდელი) ნუ იქნები'.

ham- პრეფერბია, რომელიც 'თანას' ნიშნავს. *tōžik* ნაწარმოებია ზმნიდან *tōxtan* 'გადახდა', *tōžīn* 'გადასახადი, ჯარიმა, გასამრჯელო, საჩუქარი'. შეადარეთ ახ. სპ. *تختن* და *تزدن* 'გადახდა, შეტანა, გაღება, შეკრება' და სხვა, *tutxan: tuz* 'განაწილება'³.

ამასთანავე დგას სომხ. *տոյժ* 'ფულადი ჯარიმა, სასჯელი, გადასახადი', *տուժիկ* 'დაჯარიმება, დასჯა, გადახდევინება და სხვ.'⁴. ე. ი. ტოზიკი ნიშნავს: 'გადასახდელს ან გადახდილს', უფრო ზუსტად ისეთ დღესასწაულს, რომლის მოსაწყობად მონაწილენი ფულს ან რაიმეს იხდიან და აკროვებენ წინასწარ გადასახადის წესით. მართლაც, ხელოსნობის ისტორიიდან ცნობილია საამქრო დღესასწაულები, ე. წ. ჰამქრობანი, რომელსაც ხელოსნები მართავდნენ ყოველწლიურად (ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ) თავიანთი „ფირის“—ხელობის დამაარსებლის—პატივსაცემად და რომლისთვის საჭირო ფული ან სურსათი გადასახადის წესით გროვდებოდა.

122. ფუძე—'სა-ფუძ-ვ-ელი'.

საბა იძლევა აგრეთვე ფორმას *ფუზე* 'სამკვიდრებელი', *სა-ფუძველი* 'საძირკველი'.

„დაიძრა და შეძრწუნდა ქუეყანა და საფუძველნი მათათანი შემფოთნეს და შეიძრნეს...“ (ფს. 17₇).

„და ესრეთ წარემართა შენებამ იგი ეკლესიისამ, ვინამცა საფუძველით და ხარისხთაჲთგან იღუწიდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა...“ (ს. ზ. 180₁₀).

¹ Borhān-e Qāte, I.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 97.

³ М. Гаффаров, Персидско-русский словарь, გვ. 453.

⁴ А. Худобашев, Армяно-русский словарь, გვ. 452—53.

„და აკურთხეს ადგილი წმიდათა ეკლესიათანი და დასხნეს საფუძველნი“ (გრ. ხანძთ., გვ. ლზ₃₉).

„რათა სცნა და გულის ხმა ჰყო სიმართლმ ცისაჲ და სიღათლმ მზისაჲ სიღრმემ ზღვისაჲ: და საძირკუელნი მისნი: სიერცმ ქუეყნისაჲ და საფუძველნი მისნი“ (მოქც. ქართ. 770₆).

სიტყვა ფუძ-ე, საფუძ-ე-ელი უკავშირდება საშ. სპარსულ სიტყვას *puz-ak*, *puč-ak* 'თათი, ფეხი', რომელიც ჰორნს მიაჩნია ნაწარმოებად სიტყვიდან *pāi* (*pač < pača-*) 'ფეხი'¹.

ახალ სპარსულში ეს სიტყვა წარმოდგენილია, როგორც *جۇ جۇ*, *ءجۇ*, 'ფეხი, თათი, ხის ღერო, ბუნი'².

მნიშვნელობის განვითარებისათვის შეადარეთ ქართული საძირ-კუ-ელი, რუს. *подножие*, *подомва горы*, გერმ. *Fussboden* და სხვა.

12შ. ფესუი—ამ სიტყვას კანონზომიერი შესატყვისი სხვა ქართველურ ენებში არა აქვს. გვხვდება ქართული ენის უძველეს ძეგლებში. სიტყვის ძირია ფეს, დაბოლოების უ-დეტერმინანტი სუფიქსის როლში გამოდის. შეადარეთ ყრუ, ცრუ, ღრკუ და მისთანანი³.

საბას განმარტებით: 1. ფესვი—'ძირის ჩინჩლი'. 2. ფესუელი—'ჰურიათა მწიგნობარნი ფესეთა გამოიბემდენ სამოსელთა ქვეშე მოსაჯსენებლად მცნებათა უფლისათა'⁴.

ჩუბინაშვილის მიხედვით ფესუი არის: 1. ა) „ნერგთა და მცენარეთა—კუდი, ბოლო“; ბ) „ძირი კბილისა დაფარული ღრძილითა“; გ) „გრძელი და ფართო კალთა სამოსლისა“ (შლეიფი); 2. ფესუელი—გრძელი (შლეიფიანი) სამოსელი.

უძველეს ქართულ ძეგლებში ფესვი და ფესუელი მხოლოდ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარება.

ფესუი:

„ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ სახილველად კაცთა: ფართო ყენიან სამოსელნი მათნი და განიგრძვიან ფესუები მათი“ (მათე, 23₆).

„მოუკდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა“ (ლუკა, 8₄₄).

„და მოვიდა იღუმალ ზურგით კერძო იესუმესა და უპყრა ფესუსა სამოსლისა მისისასა...“ (ე.მცხ. 88₃₁).

¹ P. Horn. GrapEt, გვ. 75.

² J. Vullers, Lexicon persico-latinum, 1855.

³ იხ. ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 6, 19, 95—96, 98. 317.

⁴ საბა, სიტყვის კონა. გვ. 357 (684).

ფესუედი:

„რომელ-იგი თქუა დავითმან: დადგეს დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ფესუედითა შემკულ არს პირად-პირადად. (ძვ. ქართ. ენ. ისტ. ქრ. 287₂₅).

„და საკუროთხევლისა მსახურებასა ფესუედითა სამოსლითა და ტყავითა არა იკადრებოდა მსახურება“ (გრ. ხანძთ., კა₂₅).

ამოსავლად სიტყვისათვის ფესუ-ი ჩვენ მივიჩნევთ საშ. სპარსულ სიტყვას pas ‘შემდგომ, ბოლოს’. ძველ სპარსულში დადასტურებულია pasā (ავ. pasča, სანსკრ. pasča)¹.

ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, რომ ქართული სიტყვის ფუძეა ფეს- საშ. ირ. p ქართულში ხშირად გადმოდის, როგორც ფ.

შეადარეთ ფართო, ფუძე; საკუთარი სახელები: ფარსმან, ფეროზ, ბევრასფი, ასფაგორ და სხვა. ჩვეულებრივია მოკლე a-ს ე-დ გადმოსვლა. შდრ. კერპი, ქეშმარიტი, ანდერძი და სხვა, საკუთარი სახელები: ნერსე, დეროკ, გოდერძი და სხვა.

შეადარეთ აგრეთვე ფალაური pasin ‘მომდევნო, შემდგომი, უკანა, ბოლო’², ახ სპ. پسے ³ ‘უკან, შემდგომ, ბოლოს, ბოლო, უკანა ნაწილი’, سيني ‘უკანა ადგილი’ (задворки).

pas ‘მომდევნო’ > ქართ. ფეს-უ ‘ბოლო, კუდი’ > სამოსლის ბოლო, კალთა, შლეიფი.

ფესუ-ედი—‘ფესუიანი’, ‘შლეიფიანი სამოსელი’. მნიშვნელობა მცენარეთა და ნერგთა ძირისა, შესაძლოა, მეორეული იყოს. ქართულ ნიადაგზე განვითარებული.

არის კიდევ შესაძლებლობა, სიტყვა ფესვი დავუკავშიროთ ავესტურ paesa⁴-ს მნიშვნელობით ‘სამკაული, მორთულობა’, რომელიც წარმოდგენილია სომხურ სიტყვაში պես ‘გვარი, სახე, ფერი’, თვით საშ. და ახალ სპარსულში კი შემონახული არა გვაქვს. დეტერსი თავის შრომაში „Armenisch und Südkaukasisch“⁵ სწორედ ასე ფიქრობს და ფესვს თარგმნის, როგორც „Saum“ ‘არშია, ქობა, კალთა’.

¹ A. Meillet, Vp, გვ. 50; AirWb, გვ. 882.

ამ ფუძიდან არის ნაწარმოები აგრეთვე ძვ. ქართ. პასენაკი, pasen-ak ‘მომდევნო, უკანასკნელი, კარისკაცი’ და სხვ.

² P. Horn, GrnpEt, გვ. 70, 315.

³ Б. Михлер, Персидско-русский словарь, გვ. 94. 95.

⁴ AirWb, გვ. 818.

⁵ Caucasia, 2—4, 1925, გვ. 75.

ძველი ქართულიდან ზემოთ მოყვანილი კონტექსტები თითქოს ამ მოსაზრებასაც უჭერს მხარს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სომხურ სიტყვას *պէս*¹ სულ სხვა მნიშვნელობა აქვს და ქართულისას არ ემთხვევა.

მაშინ ამ სიტყვის სემანტიკური განვითარების ხაზი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: სამკაული, მორთულობა სამოსლის ბოლოზე (არშია) — თვით სამოსლის ბოლო (კალთა; ქობა) — საზოგადოდ ბოლო, კუდი — ძირი (მცენარისა ან სხვა რამის). არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვექონდეს ორივე ირანული ფორმის ქართულში კონტამინაციასთან.

124. ფათერაკი — 'შემთხვევა, ხიფათი, უბედურება, უბედური შემთხვევა'.

„ვეფხისტყაოსანში“:

„ფათერაკი სწორად მოჰკლავს“ (164₁).

„სდევს მიჯნურსა ფათერაკი“ (915₁).

„ფათერაკსა შეგასწრობენ“ (434₄).

„ფათერაკსა ეზომ ძნელსა“ (1049₄).

„რა გაიმბე ფათერაკად“ (631₁).

საშ. სპარსული *patīrak* 'პირდაპირ, პირისპირ, საწინააღმდეგოდ' (ō *patīrak āmātan*, ō *patīrak šutan*). *patyārak* 'შეხვედრა, შემთხვევა' (*begegnen*), შდრ. ახ. სპარსული *paḏīrah* 'შეხვედრა, თანხმობა', ძვ. ირ. **pai-ara*, ავ. *paiti-ar*, 'feindlich auftreten gegen'.

შეადარეთ აგრეთვე საშ. სპარსული ფორმები: *patyārak* || *pity-ārak*?: 1. 'მტერი, მოწინააღმდეგე' გამოთქმაში: *api-šān pityarak zamistān* 'მათი მტერია ზამთარი', ზამთრის დემონი (Mx 44₁₉); 2. 'მტრული, საწინააღმდეგო, მტრობა, წინააღმდეგობა, ხიფათი' (ნერიოსანგში ითარგმნება, როგორც *pratighātaḥ*), ავესტური *paityāra*² (*AirWb*, 840), ახ. სპ. *پایتا*³: 1. 'საძაგელი, საზიზღარი', 2. 'უბედურება, გაჭირვება'.

125. ფარდაგი — 'ფარდა, ხალიჩა'.

„ვეფხისტყაოსანში“:

„შველო ფარდაგი კარისა“ (343₂).

„ამიგდო ქალმან ფარდაგი“ (394₁).

¹ H. Hübschmann. AG, I, გვ. 230.

² H. Nyberg. Hfsh, II, გვ. 180; *AirWb*, გვ. 183.

³ იქვე, გვ. 184.

⁴ Б. Миллер. Персидско-русский словарь. გვ. 89; *Bohrāne*

„ფარდაგი გამოვარე“ (396₁).

„ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვლევ

მოფარდაგულსა“ (344₁).

„ფარდაგსა შიგან მჯდომარე“ (408₃).

„ფარდაგსა ცა ამიზიდნა“ (520₂).

„ფარდაგები ოქსინოსა“ (341₄).

„სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა“
(331₁).

საშ. სპარსული *pardak, ახ. სპ. *پار*¹—*pardah* ‘ფარდა, ტი-
ბარი, აპკი’, ‘პორტიერი’.

126. ფარი, ფარვა—‘დაცვა, კრძალვა, მალვა’.

„და აღჯდა ტაიქსა შექურვილსა ჯავშნითა, და აღილო ფარი
მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰქუეთდა მახვლი...“ (ჯუანშ.
154₁₈).

„და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რო-
მელი იყო ვიგრის ტყავისა, და განვლო ფარსა ვითარ წყრთა
ერთი...“ (ჯუანშ. 175₁₄).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ღმერთი გფარავს, სწორად გაჰქვეთს“ (1046₄).

„ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“ (1409₂).

„მათნი ელვანი ჰფარვენ“ (1560₄).

„ჩემგან პირსა იფარვიდა“ (409₄).

„მზესა ღრუბელი ეფარვის“ (1590₄).

„შევიანხე ფარვით, კრძალვით“ (1144₃).

პართ. *pāhr*, ახ. სპ. *pās*, საშ. სპ. *pās*, ავ. *pāhra-* ‘ფარი’.
შეადარეთ პაჰრაკი და მარხვა, სომხ. *պահ* ‘ფარი’ < *pāhr*-იდან,
ძვ. სპ. *passa-*².

127. ფარდ (მოფარდული, ფრდილი, განფრდა)—
‘ყიდვა’.

„და შევიდა იესუ ტაძრად და გამოასხა ყოველი მოფარდუ-
ლი და მომსყიდვლები. ტაძარსა მას შინა და ტაბლები იგი თეს-
ლის მოფარდულთა და დაამტუა და საჯდომელები, რომელი
ყიდდეს ტრედებსა“ (მათე, 21₁₂, C), და „განმსყიდელი“.

„მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ გუეყოს ჩუენ და
თქუენ; მივედით მოფარდულთა და იყიდეთ თქუენდა“ (მათე, 25₉,
C), და „წარვედით სავაჰროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა ზეთი.“

¹ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гл. 91; Borhāne
Qāte, I.

² Н. Nyberg, Hfsb, II, гл. 172; Н. Hübschmann, AG, I.

ფ რ ი ლ ლ ი

„და მოიყვანა აბრაჰამ ისმაელ, ძმ ს⁷თი და ყ⁷ნი სახლის წულნი და ყოველნი ვეცხლით ფ რ დ ი ლ ნ ი თ⁷სნი...“ (დაბ. 17₂₃).

„...და სახლის ნაცვთა და ვეცხლით ფ რ დ ი ლ თ ა უცხო თესლ-
თაგან ნათესაეთა წინა დასკვთა რ⁷თ“ (დაბ. 17₂₇).

„თ⁷ქმან ყ⁷ წულმან ნათესავს შ⁷ს თქ⁷ნსა სახლისწულმან და ვეცხლით ფრდილმან ყის⁷გნ უცხოჲსა რ⁷ი არს თესლის⁷გნ შ⁷ნისა წინადაცვეთით წინადაიცივითოს“ (დაბ. 17₁₂).

შეადარეთ აგრეთვე „დაბადებაში“ გამოთქმები: გ ა ნ მ ფ რ დ ე-
ლ ი, გ ა ნ ფ რ დ ა, გ ა ნ ფ რ დ ი ლ ი, გ ა მ ო ი ფ რ დ ი დ ე თ, მ ო-
ფ ა რ დ უ ლ ი, ს ა ფ ა რ დ უ ლ ი.

„ეჰა სახიერებაჲ ღმრთისაჲ, რომელმან მოიყიდნა სისხლითა
თჳსითა კუალად დაბადებულნი თჳსნი, გ ა ნ ფ რ დ ი ლ ნ ი მტერი-
საგან...“ (მამ. სწავლ. 69₃₀).

„და პირველ წარსლვისა კაცად-კაცადი ვანად თჳსა, და პირ-
ველ კარისა დაქვეადმდე ს ა ფ ა რ დ უ ლ ს ა, რამეთუ რაჲმს კარი
დაეჭმას, ვერლარავინ შემძლებელ არს ვაჭრობად“ (მამ. სწავლ.
95₂₈).

ჩვენ ვფიქრობთ, ამავე ძირიდან არის ნაწარმოები ახ. ქართული
სიტყვები ფ ა რ დ ი, ფ ა რ დ ო ბ ა, შ ე ფ ა რ დ ე ბ ა და სხვ.

სიტყვა ფარდ-, რომელიც ძველ ქართულში ძირითადად 'ყიდ-
ვას' ნიშნავდა, ჩვენი ფიქრით, შესაძლოა დაუკავშირდეს სამ.
სპარსულ სიტყვას *parōač* (Pras. Imp. P. sing.) გამოთქმაში
*nēvak parōač u pat kar dār 'eigne es gut an und setze es in
Taten um'*.

ახ. სპარსული *پارداختن* — *پارداختن* 'გადახდა, შესრულება', *پارداختن*
'გათავება, გადასახადი, გადახდა' (შდრ. პ ა რ ტ ა ხ ტ ი — სახა-
დი). ამოსავლად აღნიშნული საშუალო და ახალი სპარსული სი-
ტყვებისათვის .ითვლება ძვ. ირ. *pari-tač*. შდრ. ავ. *pairi-tak*
'*umlaufen, laufend umkreisen*'¹.

ასეთივე აზრის არიან პ. ჰორნი² და პ. ჰიუბშმანი.³ ჩვენი ფიქ-
რით, შესაძლებელია სხვაგვარი ეტიმოლოგიაც, სახელდობრ, სამ.
ირანულში არსებობდა ფუძე **part- || part-ak* ძვ. ირ. **parta-*დან
მნიშვნელობით 'გადახდა, ასრულება', რომელიც საერთო ინდო-
ევროპული ძირისაა. შდრ. ავ. *parəθa*⁴ (*parəθ-*, ინდ. ევრ. **plth*)

¹ AirWb, 83. 625.

² P. H o r n. GrnpEt, § 297.

³ H. H ü b s c h m a n n, P.St., 83. 38.

⁴ AirWb. 83. 892.

‘გადასახადი, ვალი, საზღაური’ და სხვა. შდრ. სომხ. *արար-ք* ‘ვალი, გადასახადი’ (რომელსაც ნ. მარი უკავშირებს ქართულ სიტყვას მ-მართ-ებს). შდრ. რუს. *плата, платитъ*.¹

ფორმიდან *partak* ნაწარმოებია ზმნა **partāxtan, parbāxtan*.

შდრ. *virēxtan, vireč, სპ. gurēxtan, საშ. ირანული ფორმით ეს ფუძე წარმოდგენილია ქართულ სიტყვაში პარტახტი, საშ. სპ. partaxt, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს ქართულში:*

1. ‘სახადი, სენი’. საბას განმარტებით „მჭურვალის სენის მსხმო“. შდრ. სემანტიკური გადასვლა *გადასახადი > მოსახდელი > სახადი, სენი*.

2. ‘დასრულებული, დამთავრებული, უკანასკნელი, ოხერი, დაუმუშავებელი ადგილი’, ნ. მართ² „*выморочный участок*“. საბას განმარტებით „უნამუშევრო ოჯერივით“.

* 128. ქად (ქადება, სიქადული, ქადაგი).

ქადება — ‘ალექმა, დაპირება, მუქარა’ (კეეხნა):

„ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთი სამისოჲ“ (მარტ. შუშ. 31₁).

„ამას უქადებდა, რომელ იგი არა აქუნდა კელთა შემანიკისაგან...“ (მარტ. შუშ. 4₂₄).

„...და უქადებდა მათ საფასესა დიდსა და კეთილად პყრობასა“ (ე. მცხ. 82₄₀).

„და იწყო მისა მიმართ განმრავლებაჲ სიყუარულისაჲ და პატრვის-ცემისაჲ, და წინა-უყოფდა ყოველთა კეთილთა და შემდგომთა ცა უქადებდა“ (ბალაჰვარ. 20₉).

„ანუ ვითარ მაქადებ სატანჯველთა, და ძირი რისხვისა შენისაჲ ესე არს ჩემ ზედა“ (ბალაჰვარ. 105₁₁).

„...ჴმა-გეც სურვილისათჳს სასუფეველისა ცათაჲსა, რომელ მახარე და... კუალად შიშისათჳს დაუსრულებელთა სატანჯველთაჲსა, რომელ მაქადე“ (ბალაჰვარ. 114₁₄).

„არა უწყია, ვითარ რომელნიმე იქადიედ პირველთა მეფეთა ცხორებასა თხრობად, და რომელნიმე ჰამზავთა და ზღაპართა მთავართასა ზედა ზუაობენ და იქადიედ, ხოლო შენ იქადოდე წინაშე ღმრთისა, და სულსა წმიდასა ეუბნებოდე სა“

¹ Max Vasmer. Russisches etymologisches Wörterbuch. B. II. Heidelberg, 1955.

² Н. Марр. Грузинская поэма „Витязь в барской шкуре“ Шоты из Руставы и полная культурно-историческая проблема. ИАН, 1917. серия IV, I, გვ. 478, შენიშვნა I.

ღმერთთა მიერ წიგნთა, რამეთუ სული წმიდაჲ ზრახავს წიგნთა შინა საღმერთთაჲ (მამ. სწავლ. 19₄).

„დალათუ დიდითა ქადებითა და ფერად-ფერადითა სატანჯველითა მოვსწყუდიდენით უფროსად გამრავლდენ“ (ლ. მრ. 51₁₅).

მოქადული — ‘მოქადაგე’:

„რადთა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოება სადიდისა მოწამისა შენისა გიორგი ჯუარითა-მოქადულისა“ (გრ. ხანძთ., გვ. იე₂₈).

სიქადული — ‘დიდება, სახელი’:

„რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტესითა და აქუნდა მას სიქადულად სანთელი ქალწულებისაჲ და ზეთი მოწყალებისაჲ...“ (გრ. ხანძთ., გვ. ო₇).

„რადთა შემდგომად სიკუდილისა მათისა ნაცვლად მათა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად შენთა სამწყსოთჲ“ (გრ. ხანძთ., გვ. იე₁₉).

სიქადული — ‘მუქარა’

„ხოლო მეფესა რაჟამს ესმენს სიტყუანი ძისა მისისანი, ავინა და იწყო გზობად და სიქადულად მისა“ (ბალაჰვარ. 102₃₆).

„ხოლო სიქადული შენი, უკუეთუ საქმით აღასრულო ჩემდამო, ვესავე ღმერთსა, რადთა შევერთო რიცხუსა მას წმიდათა მოწამეთასა, რომელნიცა აცხოვნენ ბოროტის ყოფითა შენითა“ (ბალაჰვარ. 104₁₇).

ქადაგი — (ქადაგება).

„და აღივსო ყოველი სოფელი ქრისტესანებითა და ყოველსა ქუეყანასა იქადაგა ქრისტე“ (ე. მცხ. 91₁₅).

„ხოლო შემდგომად მცირედისა განელდა და რტოგარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა“ (ს. ზ. 169₂₃).

„და შიშით ჰმსახურეს მეუფებასა შენსა წინაჲსწარ მეტყუელთა წინაჲსწარ უწყებითა, მოციქულთა ქადაგებითა“ (გრ. ხანძთ., გვ. იე₉).

„განავლინნა ქადაგნი რათა ყოველნი ქრისტიანნი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ...“ (მოქც. ქართ. 72₆₂).

„და არცა ქუეყანაჲ და საქმენი მისნი დაიწუებოდეს, და არცა ოხრიდა ჳმაჲ საყვრისა, ვითარცა ქადაგი მკუდართა განმალჯებელი, რომელნი საუკუნითგან დაძინებულ არიან“ (მამ. სწავლ. 14₂₇).

ქადება, ქადილი — „ვეფხისტყაოსანში“:

„ასმათ ლხინსა მიქადებდა“ (397₁).

„ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა“ (845₆).

„ვინ არ მისცემს ქადებულსა“ (764₃).

„არ გავსტებ მის ქადებულსა“ (851₁).

„კაცო, ძალსა ნუ იქადი“ (1046₁).

„მათთა გამყრელთა ყოველთა სიცოცხლე არ იქადიან“
(1570₁)

„გამელაენებასა მექადდა“ (1206₃).

„რას მექადდა ისი კაცი“ (1204₂).

„ძალი შემწევდეს ქადილსა“ (608₂).

ქად- ძირის ამოსავალი მნიშვნელობა იყო 'თქმა, გამოცხადება, უწყება' (ქადაგი—'მთქმელი, მაუწყებელი'), შემდეგ 'აღთქმა, დაპირება, მოქარა' (ქადება, ქადილი, სიქადული).

სიქადული—'დიდება, სახელი, პატივი'.

ოსურში ძირი kad- მსგავსი მნიშვნელობით გვხვდება. 'შეადარეთ ოს. kad||kax: 'პატივი, პატიოსნება. დიდება' (ქართ. სიქადული), kadγyn 'ღირსეული, სახელოვანი, პატიოსანი', ჯგად 'უსახელო, უპატიო'. მეორე მხრივ, ოს. kadæ| kadæugæ ნიშნავს 'საგმირო სიმღერა, მუსიკით თქმულება', kadægxæuჟგ 'მთქმელი, მომღერალი' (ქართ. ქადაგი, მოქადაგე) და სხვ.¹

ექვს გარეშეა, რომ ქართულში და ოსურში ერთი და იმავე სიტყვებთან გვაქვს საქმე, ამასთან შეთვისებული ქართულში ჩანს. ოსურისათვის იგი მკვიდრი სიტყვაა და ირანული ეტიმოლოგიაც მოეპოვება. სახელდობრ, იგი მომდინარეობს ძველი ირანული სიტყვიდან kâta (part. perf. pass-ის ლექსიკალიზებული ფორმა ძირიდან *kay 'თქმა, უწყება, ქება'). შდრ. ავ. kây² 'საზღაურის მიცემა', kâta 'საზღაური', kaēš 'სწავლება, მოძღვრება', kaēna 'საზღაური, ჯარიმა', ბერძნ. ποιή, რუს. цена, ძვ. რუს. каати, ინდ. ევრ. *k_oei 'ყურება, ხედვა, ყურადღების მიქცევა'³.

129. ქანდაკი — „ამოყვანილი, გინა ამოჭრილი“ (საბა), 'ქანდაკებული' (გამოყვანილი).

„ხოლო წმიდამან მან აღილო ჳელითა თჳსითა ორთოხი რკინისაჲ და გამოქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდდითა“ (ს. ზ. 160₇₀).

„...სად იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე, ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტჯრთავს ჯუარი ქრისტესი...“ (ს. ზ. 108₁₃).

¹ В. Миллер, Осетинско-русско-немецкий словарь. II, გვ. 662.

² Н. Reichelt, АЕ, გვ. 434.

³ ოს. kad-ს ქართ. ქად-სა და ქადაგს უკავშირებს პროფ. ვ. აბავეცი. იხ. Историко-этимологический словарь. I, გვ. 565.

და სახლები ესე ოქრო-ქან და კებულნი, რომელნი ვაშენებით. და სიშუენიერე ხატისაჲ და ბრწყინვალეებაჲ სამოსელთა ჩუენთაჲ ესრევე სახელდ შერაცხილ არს წინაშე მათსა ..“ (ბალავარ. 51₉).

„სადა იყვნენ მაშინ საფასენი იგი დამალულნი! სადა იყვნენ ცხედარნი ოქრო-ქან და კებულნი!“ (მამ. სწავლ. 94₁₃).

ფალ. kandak. სომხ. *քանդակ*¹ 'გამოქანდაკება, კრა, თლა', ფე. სპარს. kan-² 'თხრა', ავ. kau- 'თხრა, ნგრევა', kaia 'სახლი' (მდრ. სკრ. khan, khavati), საშ. სპ. kantan, kandan³ 'თხრა', katak 'სახლი', ახ. სპ. کاند '— kandan 'თხრა' kad, kadā 'სახლი', کاند 'თხრილი', کاندگ 'გრაფიორი, სკულპტორი, მოქანდაკე', کاندگ 'ქანდაკება, სკულპტურა, გრაფიურა'.

130. ქარავანი, მოქარავნე—„მოგზაური“ (საბა).

„მოქარავნენი ზღვის პირსა დაყრილ დგეს“ (ვ. ტყ. 1028₄).

საშ. სპარს. kāravan⁵ 'ქარავანი' ან kāravan, ახ. სპ. کاروان⁶ 'ქარავანი, წყება', kār(e)van, სომხ. karavan-ის მიხედვით (kār 'ჯარი' + van)⁷

131. ქულბაგი—„სავაჭრო, საფარდული, დუქანი“.

„...რამეთუ ხუარბლის ვაჭართა დაჭმნეს კარნი ქულბაგთა მათთანნი და განაძნელეს იფქლი გლახაკთათჳს, და მსყიდვლი შეიწოდეს“ (მამ. სწავლ. 64₁₃).

„ხოლო მათ მიიყვანეს იგი და ასწავეს ყოველი ფერი უკეთურებაჲ და ბოროტისა საქმე და ღამით პარგაჲ. და კუალად მიიყვანეს იგი მეძაგთა ქულბაგსა და მეღვნეთასა და ასწავლნეს ყოველნი უკეთურებანი მათნი“ (მამ. სწავლ. 291₃₄).

„მიჰმართეს მათ მათსა საქულბაგესა“ (ვ. ტყ. 615₂).

ახ. სპარსულში გვაქვს کلب 'ქობი, სენაკი', < کلب, საშ. სპარს. kurbak, სომხ. kurbak, არაბ. كلب.

132. ქარდაგი—„სოფელი, მამული, აგარაკი, სახნავ-სათესი მიწდორი“.

„და მისა ზღ ალაშენეს აზნაურთა წა იგი ეკლესიაჲ მცხეთას. და დაიამოთაულეს: დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“ (მოქც. ქართ. 720₁₆).

¹ A. Hübschmann. AG, გვ. 256.

² A. Meillet. Vp, გვ. 100.

³ GrirPh. II, გვ. 66.

⁴ S. Haim. II, გვ. 119.

⁵ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 124.

⁶ Б. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 391.

⁷ Borhān-e Qāte, III, გვ. 104.

საშ. სპარსული *karṭak*, *karṭ*¹ 'ნაკვეთი, ნაჭერი' (სახნავ-სათესი ნაკვეთი), შდრ. რუსული *дешня*, შდრ. ახ. სპარსული *كرت*, *كرت* და *اكر*, *واكر*: 1) 'კვალი', 2) 'დათესილი მინდორი, ნაკვეთი',².

ამოსავალი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის არის ნაკვეთი, ნაჭერი, ძვ. ირ. ძირიდან *kr̥t* 'კრა'. შდრ. ახ. სპარსული

كردسازي 'შიშის განაწილება ნაკვეთებად', *дешня*. გ. მელიქიშვილი ამ სიტყვა ქარდაგ-ს უკავშირებს „სომხურ-სირიულ პართული წარმოშობის“ სიტყვას *dastkart* და ფიქრობს, რომ შესაძლებელია ჩვენ აქ საქმე გვექონდეს დეფექტურ დაწერილობასთან სიტყვისა სომხ. *dastakert*, პართ. *dastkart*³. მე მგონი ასეთი დამახინჯება შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ფონეტიკური, ისე ორთოგრაფიული თვალსაზრისით ქართული ქარდაგი ზუსტი შესატყვისია საშ. სპარსული მოგვიანო ხანის ფორმისა *kardag*, რომლის კანონზომიერი ექვივალენტი წარმოდგენილია ახ. სპარსული *اكر-س- kardāh*-ის ფორმით (იხ. ზემოთ). თუმცა შესაძლოა *dastkart*-ის მეორე ელემენტი *kart* აგრეთვე იგივე *kart* 'ნაკვეთი' იყოს⁴.

133. ქურციკი—„გარე თხა“ (საბა).

ქურციკი ივლტინ ვეფხისაგან, და შენ თავი შენი შეგიკრავს მკვეცისა თანა“ (მამ. სწავლ. 151_გ).

„და ყრმასა მას განეხარდა ნუკრი ქურციკისაჲ, და ფრიად შეკუეთებულ იყო ყრმაჲ იგი ნუკრსა მას, ვითარმედ ვერ სთმობდა თხნიერ მისა ჟამ ერთცა“ (ბალაჰვარ. 79₂₇).

„და ვითარ განვიდა დღესა ერთსა, იხილა კოლტი ქურციკთაჲ და მივიდა მათ თანა“ (ბალაჰვარ. 79₃₀).

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწოთმელი:

ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალლა მხლტომელი“ (ვ.ტყ. 75₂)-

ერთი ქურციკი ნახეს, რქანი ესხნეს ოქროსფერნი, თვალნი

¹ Н. Nyberg. Hfsb, გვ. 122.

² Б. Миллер. Персидско-русский словарь, გვ. 404; Borhāne Qāte, გვ. 14, IV. იხ. აგრეთვე. Н. Hübschmann. AG, I. გვ. 427; Siddiqi, Freund-wörter, გვ. 73.

³ Г. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 415.

⁴ Б. Миллер. Персидско-русский словарь, გვ. 398. შეადარეთ აგრეთვე ოს. *kærdæg* — 'ბალახი', სიტყვისიტყვით 'მოსაპრელი, მოსაცელი' ძირიდან *kard* - 'კრა'. იხ. В. Абаев, Историко-этимологический словарь, I, გვ. 582.

და კლიკნი შავნი და მუცელი თეთრი და ზურგი წითელი ვითარცა
ძოწეული“ (ამირ. დარეჯ. 316).

„ამასობაში ერთმა ქურციკმა გამოირბინა“ (რუსულ. 586₃).

ჩვენ ვფიქრობთ, ქურციკში საქმე გვაქვს საშ. სპარსულ
ფორმასთან *gōrčik. შეადარეთ საშ. სპარს gōr¹ ‘ჯეირანი’,
ახ. სპ. گور² ‘ჯეირანი’, -čik სუფიქსს წარმოადგენს საშ. სპარ-
სულში=ახ. სპ.-zī.-čik || -zīk > ქართ. -ციკ. შდრ. ბორცი < burz,
პატრუცავი < patrōčak და სხვა. შდრ. აგრეთვე სოლდური sarčik
(ნაწარმოები sar-იდან ‘თავი’) ‘მეთაური, ბელადი’³.

134. შიმშერი—‘ხმალი, მახვილი’.

„ვის ჰშვენის,—ლომსა,—ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
—მეფისა მზის თამარისა, ლაწე-ბადახშ, თმა-გიშერისა“
(ვ.ტყ. 3),

საშ. სპარს. šamšēr⁴ ‘ხმალი, მახვილი’, ახ. სპ. شمشیر⁵ — šamšir
‘ხმალი, მახვილი’.

135. შარავანდი (შარავანდედი, შარავანდელობა).

ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს ქართულში, რომელთაც
საბა შემდეგნაირად გადმოსცემს:

1. შარავანდი— „სამეფო გვირგვინი მსგავსი სხივთა“;

2. შარავანდედი— „მზის სხივის ძლიერება, გინა მეფეთ მე-
ფობა“ (2. სჯული 28₂₅).

‘შარავანდედი—‘გვირგვინოსანი, მეფე’:

„და უბრძანა მათ ღმერთმან მეფე და განავო ღმერთმან წესი
შარავანდედობისაჲ“... (ე. მცხ. 87₉).

„ვიწყო ლომისათჳს, რამეთუ შარავანდედ არს ყოველთა
მგეცთა ზედა და ყოველთა პირუტყვთა“ (სახისა სიტყვაჲ, 218₁₁).

„ქალწულმან მან განატფის მგეცი იგი და განმზადებულად მოიყვა-
ნის შესაკრებელსა შარავანდედისასა“ (სახისა სიტყვაჲ, 289₁₂).

„სადა არს მეფე იგი და შარავანდედი, რომელი კელმწი-
ფედ სამეფოთა განაგებდა და წუობითა ნათესავთა დაიმორჩი-
ლებდა და მრისხანედ სასტიკებასა ბრძანებდა?“ (მამ.სწავლ. 221₃₃).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 83.

² Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 29; Borhān-
Qāte‘, III, გვ. 1201.

³ W. Henning, Sogdian Loan-words in New Persian, BSOS.
vol. X, part I, 1939, გვ. 100.

⁴ H. Nyberg, Hfsb, გვ. 213.

⁵ Б. Миллер, Персидско-русский словарь, 317.

„მიხედნა უკვე მეფემან და იხილა რაჲ ხატი მისი, ზარი გან-
ქდა, რამეთუ მადლი რაჲმე ღმრთისაჲ იხილა მის ზედა საშინელი
და დააგდო ქუეყანად შარავანდი მეფობისაჲ და განიქსნა სარტ-
ყელი და მიისწრაფა და დავარდა ფერქთა თანა ბერისათა“ (ასურ.
მოლვაწ. 109₃₈).

„ანუ არა უმეტესი შარავანდელობაჲ მისცეს მამასა შენსა,
ჰებენას მეფესა, და უმაღლეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა დაად-
გინეს იგი...“ (ბალაჰვარ. 148₃₈).

„თვედოსი შარავანდედ ჰყავ
მართლ-განმგებლო უფალო!“ (იოან. მინჩხ. 382₃).

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ეს სიტყვა „ისტორიანი და
აზმანი შარავანდედთან“-ში:

„რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლედ გამოაჩინე ყო-
ველთა, ენა-უტყუი მეტყველ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ,
აწცა განმარტე ენაჲ ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყუე-
ლებასა შინა შარავანდედთასა“ (1₁).

„ამან (მეფე გიორგიმ) რაჲ იპყრა შარავანდედი მეფობისაჲ,
შუდ სამეფოდ განწესებული აღმკულმან ზენაჲთა პორფირითა და
გვრგვნითა, აღქურნა მკლავნიცა მუსვრად და მოწყუედად წინააღმ-
დეგობათა ქრისტეს სჯულისათა...“ (56₃).

„თუმცა პირველ იგი მზე მზეთა და შარავანდი კელმწიფო-
ბისაჲ, ახალი ნებროთ... ქუეყანით ცად მიმართ აღწეულ იყო...“
(71₃₀).

„რამეთუ ოდეს დახატული ბუნებისაგან იშვა და წარმოეჩინა,
მოაქუნდა თჳს შორის ხატნი და სახენი თჳსთა დამსახთა მშობელ-
თანი, და მნათობადი სცვიდეს მას, და ენთებოდა სული ზენისა
სფეროჲსაჲ, და მეტ-ბედი ბედსა ზედა. და სუიანობაჲ სუესა ზედა,
მარჯუებანი უმეტესნი წარმატებოდეს შარავანდედთაგან
მრჩობლებითა“ (97₃₂).

„ძლიერო კელმწიფეო და შარავანდედთა შორის უმეტეს
აღმობრწყინებულო!“ (132₁₃).

„ხოლო არა მომშვეებლმან დედოფალმან (რუსუდან) და სპათა
აიძულეს ქმნად და, ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა
და შარავანდედობისა მათისაჲ, ეგრეთ იქმნა ქორწილი“
(63₃₆).

„უკუეთუმცა არა იყო ზენაჲ განგებაჲ მისსა მოქმედებასა შინა,
ჰხედავს შარავანდედობაჲ თქუენი, თუ რაოდენნი რაოდენ

გზის მოყმენი, შვილნი კელმწიფეთანი — ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკვთთანი, სპარსთა და ოესთანი, მცდელნი, სამართალთაებრ უკან არღვივნა არშემძლეობამან თვნიერ ბრძანებისა საუფლოჲსა“ (89₂₋₃).

„...და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ქედლისა, თვთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, მადიდებელნი და მასახელებელნი ყოვლისა ულუმპიანობისა და შარავანდთ-მპყრობელობისა გუარფესუობისა მათისანი და მრავლისა მოქალაქობისა მოქმედნი“ (103₆).

შარავანდი, შარავანდედი — ‘შვის შუქი, სხივი, ბრწყინვალეობა’:

„ვინაჲცა სიკჳოისა მისგან მყოვარემ ვერღარა ვიხილეთ ცაჲნუ მზისა შარავანდედი“ (ს.ზ. 159₃₁).

„ხოლო კსენებისა მათისა მიერ ცისკროვან იქმნების ხილული ესე და გრძნობადი ქუეყანაჲ, ვინაჲთგან მსგავსად მნათობთა დიდთა განმტევებელნი ბრწყინვალეთა შარავანდედთანი ელვარე ჰყოფენ ყოველთა კსენებისა მათისა მედღესასწაულეთა...“ (ასურ. მოღვაწ. 3₇).

„და კჳალად დადვა წმიდაჲ იგი მარჯუენე თვსსავე ადგილსა და თქუა სიტყუაჲ დასასრულისაჲ, რომელი-იგი, ვითარცა შარავანდედი მზისაჲ, წარიძლუანა უფლისა მიმართ...“ (ცხოვრ. გ. ათონ. 201₄₁).

„ვითარცა მზისა შარავანდნი ცისგან იშუქებდეს მიწიერთა საჭურეტლად, ეგრეთვე ქუეყანისაგან თამარის კელმწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალეობანი ეფინებოდნიან იატაკსა მას ზედა ცისასა“ (ისტ. აზმ. 86₂₋₄).

შარავანდედობა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სპარსული სიტყვიდან არის ნაწარმოები და სპარსეთის ბატონობის უფლების აღმნიშვნელად უნდა ჩაითვალოს“¹.

ნ. მარიც ამ სიტყვას სპარსულიდან უშუალოდ შეთვისებულად თვლის და აღნიშნავს: „ფორმით სიტყვა საშუალო სპარსულია, ოღონდ მე ვერ შევძელი არსებულ საშუალო სპარსულ ძეგლებში მისი მონახვა“. მარის მიხედვით, სიტყვასიტყვით შარავანდნიშნავს — Царская повязка (სამეფო მოსახვევი თუ თავსაკრავი), ხოლო თვით სიტყვის ირანული ეტიმოლოგია მასთან შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: šahr = ას + vand = band, v > b-საგან

¹ „ქართული სამართლის ისტორია“, II, გვ. 121.

მას ხმოვანთა შორის. შესადაარებლად მოჰყავს სომხ. *պարսևանդ* 'პორკილი' სიტყვასიტყვით 'ფეხსაკრავი'¹. ერთი შეხედვით აღნიშნული ეტიმოლოგია შეიძლება დამაჯერებლად მოეჩვენოს კაცს, მაგრამ ირანულის თვალსაზრისით მას წინ ელობება როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური ხასიათის დაბრკოლებანი.

ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებანი შემდეგია: როგორც *ḡ*. მარის მიერ წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, იგი აიგივებს ფალაურ *šarh*-სა და ახ. სპ. *اش-ს*. სინამდვილეში აქ ორ სხვადასხვა სიტყვასთან გვაქვს საქმე, თუმცა ერთი ძირიდან ნაწარმოებ და მნიშვნელობით ახლო მდგომ სიტყვებთან; პირველი მათგანი *šahr*, ახ. სპ. *شهر* მომდინარეობს ძვ. ირანული სიტყვიდან *xšāhru* 'სამეფო ხელისუფლება, სახელმწიფო', ხოლო მეორე ფალ. *(x)šāh*, ახ. სპ. *اش*, ძველი სპარსული სიტყვიდან *xšāyaxšiya*² 'შეფე'. გარდა ამისა, ძირი *band-*, რომელსაც მარი კომპოზიტის მეორე წევრად გულისხმობს, არც საშ. და არც ახ. სპარსულში *vand-*-ის სახით წარმოდგენილი არა გვაქვს. აუხსნელია აგრეთვე *a-*ც კომპოზიტის კომპონენტებს შორის, რადგან შემაერთებელი ხმოვანი კომპოზიტის წევრებს შორის ირანულში არ იგულისხმება (თვით მარი კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ სიტყვას უშუალოდ ფალაურიდან შემოსულად თვლის).

რაც შეეხება სემანტიკურ შეუსაბამობას, საქმე ის არის, რომ ირანული კომპოზიტები, სადაც მეორე წევრად გვაქვს *-band* მნიშვნელობით 'შესაკრავი, სახვევი', ჩვეულებრივ, პირველ კომპონენტად გულისხმობენ სხეულის რომელიმე ნაწილს, რომელთა შესაკრავად არის გამოყენებული *band*. შდრ. იგივე მარის მიერ მოყვანილი სომხ. *պարսևանդ*, რომელიც ამოსავლად ფალ. *pāband*-ს გულისხმობს 'ფეხსაკრავი' შდრ. ახ. სპ. *اندك* 'ხილაბანდი', *سند* 'თავსაკრავი', ფალ. *danband*, რომელიც ამოსავალია სომხ. *դանդանուսևანդ*-ისათვის³ 'ლაგამი'. შდრ. ქართ. დანდალი 'პირისმახე' და სხვა.

მეორეც, კომპოზიტი *شهر* (*šahrband*) დადასტურებული გვაქვს ახ. სპარსულში, ოღონდ იქ ის აღნიშნავს 'ქალაქის კედლებს, სიმაგრეს' -- *городской вал, городские стены*⁴ (გადატ. 'ციხე, საპა-

¹ H. Marr, *Источн. толкование Песни Песней*. ТР., III, 1901 გვ. XX.

² H. Nyberg, *Hfsb*, II, გვ. 213, 214; *AirWb*. 553.

³ იხ. H. Hübschmann, *AG*, I, გვ. 134.

⁴ Б. Миллер, *Персидско-русский словарь*, გვ. 309.

ტიმო', 'პატიმარი') და არა 'სამეფო შესაკრავს'. შეადარეთ დარუბანდი¹ *دربان* — უკანასკნელ შემთხვევებში *دربان* ნიშნავს 'შეკრულს, დახშულს, გამაგრებულს, სიმაგრეს'. ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველზე მარის წარმოდგენილი ეტიმოლოგია ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ჩვენი ფიქრით, შარავანდ სიტყვის ირანული ეტიმოლოგია შემდეგი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ძველი ირანული *xšairavant. საშ. ირანული ფორმა იქნებოდა *šahrāvand, საიდანაც ნასესხებია ქართული შარავანდი.

მართალია, ასეთი ფორმები არსებულ ძველ ირანულსა და საშ. სპარსულ ძეგლებში ჯერჯერობით დადასტურებული არა გვაქვს. მაგრამ უამრავი ანალოგიურად ნაწარმოები სიტყვები საშუალებას იძლევა ქართული მონაცემის მიხედვით აღვადგინოთ საშ. ირანული სიტყვა, რომელიც არსებულმა ძეგლებმა არ შემოგვიჩინეს.

პირველი ნაწილი ჩვენს მიერ აღდგენილი ძვ. ირ. ფორმისა xšairā დადასტურებულია ავესტაში² — მნიშვნელობით: 'მეფობა, კელმწიფება, სამეფო, სახელმწიფო' და კონკრეტული აზრით, როგორც 'ღვთაება' (xšairā-vairya aməša spənta). ძველ სპარსულში წარმოდგენილია xšassa-ს სახით 'იმპერია, სამეფო, მეფობა, ხელმწიფობა', ძვ. ინდ. kšatra 'იმპერია', საშ. სპ. ჰაირ 'სახელმწიფო'. *Īrānšair* 'არიელთა სახელმწიფო' აგრეთვე ნიშნავს 'რეზიდენციას'. 'სატახტო ქალაქს, ქალაქს'. ნიბერგი შენიშნავს, რომ საშ. ირანული გამოთქმა ამ სიტყვისა იყო უკვე šahr. შდრ. სომხ. *ašarh-k'* 'ქვეყანა', რომელიც საშ. ირ. *xšahr-იდან მომდინარეობს, ან. სპარსული šahr 'ქალაქი'. ძვ. ირ. xšairā ნაწარმოებია ძირიდან xšā(y) 'შეძლება, მფლობელობა, ხელმწიფება' და სხვ. ამავე ძირს ინდურ-ირანულში ჰქონდა მნიშვნელობა 'ბრწყინვისა, ნათებისა'. შეადარეთ ადიექტივი ავ. xšāeta, მდედრ. სქ. xšāijūnī 'ნათელი, სივოსანი, ბრწყინვალე, ბედნიერი', xšāeta raočā 'ბრწყინვალე, ნათელი დღე', bāmya xšāētāi 'ნათელ განთიადზე'. xšāeta ინმარება ეპითეტად ღმერთებისა და ადამიანების მიმართაც: *berəzantam*

¹ მ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ საისტორიო წყაროებში, იბ. დარუბანდი.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 214; AirWh, გვ. 542.

.ahurəm xšaētəm apam napātəm (V. 25) 'მალალ აპურას, ბრწყინვალეს, წყალთა შვილიშვილს', arəvim xšaiθnim 'ბრწყინვალე არდვის' (არდვი სურა ანაპიტა), aməšanəm spəntanəm xšaētanəm 'ამშასპანტის ბრწყინვალის', narš kəhrpa — xšaētahe 'ვაჟის სხეულს ბრწყინვალეს', kainino kəhrpa xšaiθnyš 'ქალის სხეულს ბრწყინვალეს' ('ბედნიერს, მნათობელს') და ა. შ.

განსაკუთრებით ხშირია yimō xšaētō 'ბრწყინვალე ძამა' (ჯამშილი) და hvarō. xšaēta 'მზე მნათობელი'.

საშ. სპ. x^haršēt 'მზე', ახ. სპ. خورشيد 'მზე', ავ. axšaena, საშ. სპ. axšēn 'ბნელი, მუქი' (a-xšāy-na)¹.

რაც შეეხება მეორე ნაწილს სიტყვისა შარავანდი, მასში წარმოდგენილია ძვ. ირ. სუფიქსი -vant, საშ. სპ. -avand. შეადარეთ ავესტური amavant 'ძლიერი' ama-საგან 'ძალა', puθravant 'ვაჟიანი' puθra-დან 'ვაჟი', haomavant 'პაომიანი' haoma-საგან (სომა — სარიტუალო სასმელი), marždikavant 'შემბრალე, მოწყალე' ზედსართავისაგან marždika 'მოწყალე'. i — ფუძეებთან: frazainti^vant 'შვილიანი' frazainti-საგან 'შვილი, ბავშვი, მემკვიდრე', ძვ. ინდ. prājati, nāirivant 'ცოლიანი' — nāiri 'ქალი', rāevant 'სხივოსანი, ბრწყინვალე, დიდებული, მდიდარი'², საშ. სპ. rēvand, წ.არ. *ra(i)i-^vant.

თანხმოვანფუძიანებში: a^vjahvant 'ძღვეამოსილი' ავ. a^vjah-ისაგან 'ფიზიკური ძალა', ძვ. ინდ. ojas, ojasvant, tēmahvant 'ბნელი', tēmah 'სიბნელე', paēmavant 'რძიანი' paēma-დან 'ღედის რძე'.

ძველ სპარსულში ამ სუფიქსის მქონე სახელები გვხვდება მხოლოდ წარმოებულ ფორმებში: aruvant > aruvasta-ში 'მოქმედება, მოძრაობა, მოღვაწეობა' (arvant+ta) sikaya hvati — ციხის სახელი მიდიაში. მდებარ. სქ. ზედსართავი sikayahvant-იდან 'ხრეშით ნაგები ციხე'³, harahuvant — harahuvati-ში პროვინციის სახელი, ბერძნ. Ἀραχωσία, ძვ. ინდ. sarasvati 'წყლებით მდიდარი'. ძირიდან sar 'დინება', saras 'ტბა', 'გუბე'.

საშ. სპარსული სუფიქსი -āvand აწარმოებს კუთვნილების გამომხატველ ზედსართავ სახელებს. თავკიდური a- აღნიშნული სუფიქსისა გადმოყოლილია ანალოგიის ძალით a- ფუძიანი სახელე-

¹ AirWb, გვ. 541.

² იქვე, გვ. 1005, 1065, 1154, 1484—1485.

³ R. Kont, Old Persian, გვ. 209.

ბიდან, რადგან მეტწილად საშ. ირანულში ეს სუფიქსი აფუძიან სახელებთან იხმარებოდა, ხოლო მისი სიგრძე მახვილის გავლენით უნდა აიხსნას¹. შდრ. საშ. სპ. amāvand 'ძლიერი', druvand 'ცრუ, ურწმუნო, უღვთო', arvand < *aravant-იდან 'ცული, ბოროტი', frasavand 'წარმავალი დროებითი, ამაო', აბსტრაქტულ სახელში frasavandih; zenavand 'ცოცხალი, მკვირცხლი'. ავ. zaēnavant 'ცოცხალი, ფიზიკური', zaēnah 'სიმკვირცხლე, ენერგიულობა' და სხვა.

სავსებით ანალოგიური წარმოებისა უნდა ყოფილიყო საშ. ირანული ფორმა šahrāvand, რომელსაც ჩვენ ამოსავლად მივიჩნევთ ქართული სიტყვისათვის შარავანდი.

რაც შეეხება ამ სიტყვის მნიშვნელობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ირანულშიც ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: 1. ბრწყინვალება, რომელთანაც კავშირშია ცნება გვირგვინისა, როგორც მისი მატერიალური გამოსახულება (Сиявие, ореол), ირანულ ღვთაებათა და შემდეგ მეფეთა აუცილებელი ატრიბუტი; 2. გვირგვინოსნისა, მეფისა.

შარავანდედ-ში-ჟედ- ქართულ სუფიქსს წარმოადგენს.

136. შფოთი—არეულობა, მღელვარება, ბრბო'.

ძველი ქართული ენის ძეგლებში სიტყვა შფოთი ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველი უფრო გავრცელებულ მნიშვნელობას წარმოადგენს: მღელვარება, არეულობა, მოუსვენრობა—ასეთი მნიშვნელობით იგი ძვ. ქართული ძეგლების უმრავლესობაში გვხვდება სახელის ფორმით:

„ოდეს გესმოდინ ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შეჰსძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე პირველად ყოფად, და არლარა მეყსეულად იყოს აღსასრული“ (ლუკა, 21₉).

„რომელი შფოთისა ყოფასა ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათჳს შეგდებულ იყო საპყრობილესა“ (ლუკა, 23₁₉).

„მიუგო იესუ და ჰრკუა მას: მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს, აქა მცირედი არს საჯმარ“ (ლუკა, 10₄₁).

„შფოთნი და განსაცთელნი შემთხუევად არიან ადგილსა მას ნამუშაჳკეესა შენსა...“ (ს. ზ. 173₂).

„რამეთუ მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძლად მოსაცალებელი“ (გრ. ხანძთ., გვ. მთ₁₈₂).

¹ იხ. C. Salemann, *Mittelpersisch*, *GrirPh*, I. გვ. 280.

„მაშინ იყო შფოთი დიდი მცხეთას შინა მეფეთაჲ და მთავართაჲ...“ (მოქც. ქართ. 76₁).

„თუ ვჰკითხო, არა მითხრას ქეშმარიტი, და შფოთსაცა შევაგდო გონებაჲ მისი გამოძიებითა ჩემითა...“ (ბალაჰვარ. 19₃₅).

„მწუანვილი ქუეყანისაჲ აღმოცენებული ცუარითა, რომელსა ზედა არავის ვჰხედავთ მაცილობელსა და არცა ვისგან მოველით შფოთსა“ (ბალაჰვარ. 81₄).

„და ვინაჲთგან ევლტოდა იგი პატივთა და უფროდსადა პატივისა მიერთა შფოთთა სოფლისათა, განიზრახა უცხოთა ქუეყანათა მიმართ წარსლვაჲ...“ (ასურ. მოღვაწ. 19₂₈).

ზმნური ფორმით — აღშფოთება, აშფოთება, შეშფოთება:

„და იძრა და შეძრწუნდა ქუეყანაჲ და საფუძველნი მათანი შეშფოთნეს და შეიძრნეს“ (ფს. 17₈).

„მაშინლა განრისხნეს ჰურიანი და აღტეხეს და აღაშფოთეს ერი იგი ჰურიათაჲ...“ (ე.მცხ. 90₅).

„ამისთჳს შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონებაჲ ჩემი...“ (აბო, 56₈).

„...აშფოთებდეს და ეტყოდეს: ვინ ხარ, ანუ ვინაჲ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე...“ (ასურ. მოღვაწ. 42₂₀).

საინტერესოა აგრეთვე გამოთქმა: „და გარე მიდგომილნი შფოთებით ამბოხებდეს ჳმათა უშუერთა გამტევებელნი, რათამცა შეაშინეს ბერი და განიოტეს მიერ“ (ასურ. მოღვაწ. 43₁₆).

მეორე მნიშვნელობა სიტყვისა შფოთი არის ბრბო, სიმრავლე, მასა'. ამ მნიშვნელობით გვხვდება იგი „ბალაჰვარიანში“: „ბრძანა მეფემან... დადგინებად... დედანი ქმნულ-კეთილნი და შეენიერნი მსახურებასა მისსა ზედა და აღივსო პალატი მისი შფოთითა მათითა“ (124₇).

ორივე ამ მნიშვნელობით სიტყვა შფოთი ამბოხ-ის სინონიმს წარმოადგენს. ერთმანეთის ნაცვლად იხმარება ეს ორი სიტყვა აგრეთვე სომხური და ქართული სახარების (კერძოდ, აღიშის ძეგლში) შესაბამის ადგილებში.

შფოთი — საბას განმარტებით „ჩხუბი გინა აღტეხა...“.

ეს სიტყვა სომხურში და ქართულში ერთი ფორმითა და მსგავსი მნიშვნელობით იხმარება. აქარიანი¹ მას უცნობი წარმოშობისად მიიჩნევს და ქართულში სომხურიდან შემოსულად თვლის. აქარია-

¹ Ա չ ա յ ա ն Ա. Բ., V, გვ. 456.

ნის მიხედვით ილია აბულაძე¹ და ელ. დოჩანაშვილიც² ამ სიტყვას უცნობი წარმოშობისად მიიჩნევენ.

ჩვენი ფიქრით, სიტყვა შ ფ ო თ ი აშკარად ირანული წარმოშობისაა: ქვემოთ მოყვანილი საშ. და ახალი სპარსული სიტყვების შეპირისპირება ქართულ და სომხურ ფორმებთან, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, მათ უეჭველ მსგავსებას გვიჩვენებს და ამოსავლად ირანულ, საკუთრივ საშ. სპარსულ ფორმებს გვაგარაუდებინებს; სახელდობრ: საშ. სპარსულში ჩვენ გვაქვს ზმნა *āšōftan* (აწმყოს ფუძე *āšōp*, *āšōp*) 'მოძრაობა მღელვარება, შფოთვა' და *vi-šōftan* — იმავე მნიშვნელობით³, *āšōft-karih* 'აღშფოთების, არეულობის, მღელვარების მოხდენა'. ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებში ფუძეს წარმოადგენს *šōft-*, რომელიც ნამყოს მიმღეობის ფორმაა და ამავე დროს ნამყოს ფუძეს წარმოადგენს საშ. სპარს. დრო-კილოთა სისტემაში (*ā-* და *vi* პრეფერებებია ინფინიტივის ფორმებში *ā-šōftan*, *višōftan*); კომპოზიტში *āšōft.karih* (D.K.) დაცულია პირველ წევრად სწორედ ეს აღნიშნული მიმღეობის ფორმა *ā-* პრეფერებით. უეჭველია საშ. სპარსულში იხმარებოდა აგრეთვე უპრეფერბო ფორმაც *šōft*, რომელიც ამოსავლად მიგვაჩნია ქართული შ ფ ო თ ი ს ა და სომხური *շփոթ*-ისათვის მნიშვნელობით 'არეულობა, მღელვარება, შფოთი, უწესობა, ხმაური, განგაში' და სხვ.

ძველი ინდურ-ირანული ენებიდან ეს ფუძე შემონახული აქვს ავესტურსა და ძველ ინდურს. შეადარეთ: ავ. *xšāiša* — აწმყოს ფორმა *xšufsa*, in *Aufregung geraten*, ფრაზაში *yat aspanam srifa xšufsan* [YT. 10. 113] მიმღეობა *xšupta*, ძვ. ინდ. *kṣābhate* 'agitatur'⁴.

მსგავსი მნიშვნელობით ამავე ფუძიდან ნაწარმოები ფორმები დაცულია ახალ სპარსულშიც: *آشفتن* (آشوب) 'ღელვა, შფოთვა', *آشفت* 'აღელვებული, აღშფოთებული', *آشفتگی* 'მღელვარება, აღშფოთება, მოუსვენრობა, უსიამოვნება' და სხვა⁵.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართული შ ფ ო თ ი ს ა თ ვ ი ს ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ საშ. სპარსული *šōft*, რომელიც მოგვცემდა ქართულში ჯერ შ ო ფ თ -ს ა და მერე მეტათეზის გზით

¹ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 0108.

² ელ. დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის (მას. საქ. კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 201).

³ GrirPh, II, გვ. 136; აგრეთვე, P. Horn, GrnpEt, გვ. 8.

⁴ AirWb, გვ. 542.

⁵ J. Z e n k e r, Dictionnaire turk-arabe-persane, I, გვ. 14; Б. М и л - е р, Персидско-русский словарь, гв. 186—188.

შფოთს, ე. ი. $\text{šwft} > \text{შოფთ} > \text{შფოთ-ი}$; რაც შეეხება ქართული და სომხური სიტყვების ურთიერთობას, უნდა ითქვას შემდეგი: აო არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ აღნიშნული სიტყვა უკვე ვეღარ სომხურის მეშვეობით შემოსულად მივიჩნიოთ. ფონეტიკური თვალსაზრისით რაიმე სპეციფიკურ ნიშანს სომხური ენის ბგერითი სისტემისათვის ეს სიტყვა არ ატარებს. მეტიც შეიძლება ითქვას. პ. პიუბშმანის დაკვირვებით საშ. სპ. f-ს სომხური ენა კომპლექსში fr გადმოსცემს hr -ით, ხოლო კომპლექსებში ft , fs , fš -ს ut , us . uš -ით. ისე, რომ ამ წესის მიხედვით, საშ. სპ. šwft -ს სომხურში უნდა მიეღო სახე šut -ისა და არა šp'ut -ისა, როგორც ეს სინამდვილეში გვაქვს¹.

137. შენ — (შენი, შენება) — 'აგება'.

„უფალო, ვინ დაე შენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვდროს მთასა წმიდასა შენსა“ (ფს. 14₁).

„ჟამსა (თჯსა) ბორცუსა ამას ზედა აღე შენოს ეკლესიაჲ ფრიად შუენიერი...“ (ს.ზ. 178₁).

„და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჟსა მას შცნებულსა მისსა კეთილად-ნაყოფიერსა“ (გრ. ხანძთ., გვ. ოდ₁₀).

„და მაშინ მივიდა და დაე შენა მუნ ადგილსა მას“ (ბალაჰვარ. 136₃₁).

„...და მოვიდოდეს მისა ყოველთაგან ადგილთა კაცნი მორწმუნენი, რომელნი იფარვიდეს წესსა და სარწმუნოებასა შიშისაგან მეფისა, უშიშად, და სიხარულითა დიდითა დაე შენებოდეს საბრძანებელთა მისთა...“ (ბალაჰვარ. 139₃₂).

„სადა-იგი მონასტერი შუენიერი შცნ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშცნებელნი ამასპო და ქურდია“ (ს.ზ. 235₃₆).

„რამეთუ ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სადა აწ ხანცთას წმიდაჲ ეკლესიაჲ შენ არს...“ (გრ. ხანძთ. 244₁₂).

„ბალი ბალჩად უ შენოსა“ (ვ.ტყ. 49₄₃).

ავ. šayana - 'სადგომი, ბინა' < šay 'ცხოვრება', šiti 'საცხოვრებელი', šaēiti - 'ცხოვრობს', šwštra - 'ქვეყანა', სკრ. kšaya -, kšiti 'სადგომი, ბინა',² ახ. სპარსული šān ³ گشن 'ყვავილნარი, ყვავილების ბალი', სომხ. շեն 'სოფელი შენი'⁴, სოლდ. šēn 'შშვიდი, მყუდრო ადგილი,

¹ უფრო საფიქრებელია, შფოთი ქართულიდან შესულიყო სომხურში. იხ. H. H ü b s c h m a n n, AG, გვ. 14; P.St., გვ. 186—188.

² H. H ü b s c h m a n n, AG, I, გვ. 204; AirWb, გვ. 1106 — 1109.

³ GrirPh, II, გვ. 88; S. H a i m, II, გვ. 725.

⁴ Ա շ ա յ ա ն, V, გვ. 338.

საევანე', ქრ. აქარიანი აღადგენს საშ. სპარსულ ფორმას *šēn, რომელსაც ეყრდნობა სომხური და ქართული ფორმები¹.

138. ჩოგანი -- „საბურთალი კავი“ (საბა).

„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“ (ვ.ტყ. 14₄).

საშ. სპარსული *čīpēyān (čwpyg'n Kn I, 28, 30, 39.). das. Polospiel 'ჩოგანბურთი'², ახ. სპარსული čīgān كنگ جو 'ჩოგანი'³.

139. ცრუ, 'მატყუარა', ხიცრუე — ტყუილი, არამართალი, ყალბი, მოგონილი'.

„ძენო კაცთანო, ვიდრემდის გულფიცხელ ხართ, რად გიყუარს ამოებდა და ეძიებთ სიცრუვესა“ (ფს. 4₃).

„ხოლო ცრუმოძღვარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყუად რომელნიმე რეცა სიტყვთა ლიქნისათა...“ (აბო, 70₁₈).

„რათა იყენთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზჳ მისი აღმოავლინოს ბოროტთა ზედა და კეთილთა და წჳმ მისი მართალთა ზედა და ცოდვილთა“ (მათე, 5₄₅).

„მაშინ ავიხილენ ზეცად და ვთქუ: უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვენ ესენ შენ მტერნი ესე“ (მოქც. ქართ. 776₁₃).

„ვინ არს კაცისა მის საწყალობელისა ცრუჲსა და მზაკუფარისა და მტყუფარისა, რომელი მსგავს არს ეშმაკისა, რამეთუ ეშმაკი დასაბამითგან მტყუფარი არს, და ყოველი ტყუფილი და სიმწარე თესლისა მისისაგან აღმოცენებულ არს“ (მამ. სწავლ. 241₂₆).

„ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან მოიგო მარადის ჭეშმარიტებაჲ და არა ეუფლოს მას სული სიცრუვისაჲ“ (მამ. სწავლ. 241₁₃).

„შეგონა შენ, ვითარმედ სიბრძნით გამონახულად იზრახე, არამედ ცრუ არიან სიტყუანი ეგე შენნი“ (ჯუანშ. 130₁₃).

„იტყოდეს მონა შენი კადნიერად წინაშე შენსა, ანუ მიგცემდე ქებასა სიცრუვისასა...“ (ჯუანშ. 109₆).

ცრუ — „ვეფხისტყაოსანში“:

„კაცი ცრუ და მოღალატე“ (162₄).

„ცრუ და მუხთალი სოფელი“ (339₃).

„ყოვლი ცრუ და მოღალატე“ (776₂).

¹ შესაძლოა ამ čēn-čē- ძირს უახლოვდება ქართული შინა-ც. შინ 'საალ-ში'. შდრ. ავ. šyana 'ბინა, სადგური'.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 45.

³ B. Miller, Персидско-русский словарь, გვ. 167.

„ცრუ კაცი კარგად ვერა იქმს“ (1344),
„ვჭგმობ კაცსა აუგინსა, ცრუსა და ლალატიანსა“
(798₂).

ცრუობა:

„ღმერთსა ჭგმობს და აგრე ცრუობს“ (776₂).

„ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ“ (797₃).

„არ ვეცრუვე, ვით მეცრუა“ (845₃).

ფალ. zūr 'სიცრუე', ძვ. სპ. zūrah 'სიცრუე', zūrakara 'მატყუარა, ცრუ'¹, ავ. zūrah-, სკრ. hvaras-² 'სიმრუდე, სიყალბე, ინტრიგა', მანიქ. 𐭆𐭏𐭓³ 'ტყუილი, სიცრუე'. 𐭆𐭏𐭓𐭆𐭏𐭓 (zūr-vāj) 'ცრუ, ტყუილის მთქმელი', 𐭆𐭏𐭓𐭆𐭏𐭓𐭆𐭏𐭓 'ცრუ-სიტყვაობა', ახ. სპ. ٤٠٤⁴ 'სიცრუე, ტყუილი', სომხ. դուր⁵ 'ამაო, ფუქი, ცუდი, უსარგებლო, უსამართლო' ფალ. zūr-იდან 'სიცრუე, სიყალბე', (zūr-gukasih).

ქართული ცრუ მიღებულია შემდეგნაირად: ფალ. zūr=ქართ. ძურ->ძკრ- ძურ-უ >ძრუ >ცრუ (შეადარეთ ყრუ <ყურ-უ-დან; z>d>ც—სათვის შეადარეთ სიტყვები ბორცივი, პატრუ-ცავი, ქურციკი და სხვ.).

140. ძკრი—'ავი, ბოროტი'.

„აღესრულნენ ძკრნი ცოდვილთა ზედა და შენ წარუმართე მართალთა უფალო“ (ფს. 7₁₂).

„არა თუ იყოს ძმაჲ ჩუენი უმრწემსი ჩუენ თანა, ვერცა მე აღვიდე მამისა და რაჲთა არა ვიხილო ძკრი, რომელი პოოს მამამან ჩემმან“ (დაბ. 44₃₄).

„მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძკრის-მოქმედნი მოკლვად მისთანა“ (ლუკა, 23₃₂).

„ვითარცა იხილა პილატე ბჳემან, ჰრჳეჳა მათ: რაჲ უქმნიეს კაცსა ამას, მღღელსა შუენიერსა, რამეთუ წარმოადგინეთ ჩემ წინაშე ვითარცა ძკრის მოქმედი“ (პირველ. მოწამ. სტეფ. 294₂₇).

„... რაჲთა არა შეამთხვო ძკრი თავსა შენსა“ (აბო, 70).

„რამეთუ ენაჲ მათი მეტყველებისგან ცულისა უტყვ არნ და ძკრის სიტყვსა უქმ“ (გრ. ხანძთ., გვ. 111).

¹ A. Meillet, Vp, გვ. 68.

² GrirPh, II, გვ. 90.

³ C. Salemann, M. St., გვ. 80.

⁴ S. Haim, I, გვ. 1029.

⁵ H. Hübschmann, AG, I, გვ. 151.

„...და შემდგომად მოწყალებად და ქველის საქმე უდიდესი ნივთი არს სინანულისა შინა, და ამისა შემდგომად—*ძკრ-უქსენებელობა* და უშფოთველობა...“ (მამ. სწავლ. 77₁₈).

„მაშინ აღიძრა იგი გულის წყრომითა ყოველთა ზედა ქრისტიანეთა და იწყო ძკრის ჩუენებად კაცთა მათ ღმრთისათა და ყოველთა მიმართ, რომელნი ერჩდეს სიტყუათა მათთა“ (ბალაპვარ. 41₁₅).

„ჰრქუა იოდასაფ: რადესათჳს უკუე ყოველი ერი მტერ გექმნა და ძკრის მეტყუელ მოყუასთა შენთა?“ (ბალაპვარ. 43₂₃).

„...უკუეთუ ვინ იპოოთ ქრისტიანეთაგანი შემდგომად სამისა დლისა, ძკრ-ძკრითა ტანჯვითა მოვსრნე ყოველნი“ (ბალაპვარ. 11₇, ბ.).

ქართ. ძკრ- || ძურ- < საშ. სპ. *zür*-იდან (დაწერილობა „ძურ“-იც გვხვდება ხელნაწერებში. ა. შანიძის აზრით, უ-სა და ჯ-ს მონაცვლეობა კილოური მოვლენაა, შდრ. წჳმა და წუმბა და სხვა მისთანანი)¹.

zür 'სიცრუე, ბოროტება, სიმრუდე'. იხ. ც რ უ ს თ ა ნ.

შენიშვნა: ილ. აბულაძეს ქართული გამოთქმა ძკრ — ძკრად მიაჩნია სომხ. *չար-ա-չար*-ის იდენტურად². ნამდვილად ამ ორ სიტყვას საერთო მხოლოდ მნიშვნელობა და სტრუქტურა აქვთ—სიტყვები ძკრი და სომხ. *չար* სხვადასხვა წარმოშობისა არიან.

141. ძირი — 'ქვედა ნაწილი'. საბა ამ სიტყვას განმარტავს ფსკერ-თან. მისი განმარტებით — „ძირი ეწოდების ხეთა და ბალახთა ქვედა კერძოსა“; „ფსკერი არს კილობანთა და ჭურჭელთა ნავთა და მისთანათა შინაგანი ძირის კერძი“; „ნერჩი გარეგანი ქუედა მიწის კერძო, რამეთუ ფსკერი გამოითარგმნების სიღრმედ“ (იატაკი—ფსკერი სახლისად).

„ძირ-მტკიცედ უხაროდენ ყოველსა ქუეყანასა“ (ფს. 47₃).

„ამისათჳს დაამჭუას იგი ღმერთმან სრულიად, აღფხ(უ)რას და განჯადოს იგი საყოფელთაგან თჳსა და ძირნი მისნი ქუეყანით ცხოველთაჲთ“ (ფს. 51₇).

„ზლუამან დაჰფარნა იგინი, დაჯდეს და დაიძირნეს სიღრმეს მას უფსკრულთასა ვითარცა ლოდნი“ (გალობ. 1₆).

უძიროდ 'უძეოდ', 'უმემკვიდროდ'. ძირი 'მემკვიდრე, შთამომავალი'. ძირი — 'გვარი'.

¹ იხ. „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“, გვ. 049.

² ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 0108.

„და მაცდურ არს განშორებაჲ სოფლისაჲ და ნებსით მოკუდინებაჲ თავისა თვისისაჲ და უძიროდ აწყუედაჲ კაცისაჲ...“ (ბალაჰვარ. 93₃₆).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ძირი მთისა და გორისა“ (477₁).

„სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა“ (951₃).

„კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ (1196₄).

„ბროლი ძოწისა ძირითა“ (953₄).

ძირს, ძირსა:

„მის მთისა ძირსა წყალი დის“ (184₃).

„ძირსა დააბა ცხენია“ (220₃).

„ერთგან მიწვეს ხეთა ძირსა“ (948₃).

„ასმათ ვნახე ძირსა დგომით“ (518₂).

„გარდახდეს ძირსა ხეთასა“ (83₁).

საშ. სპარსულში ამ სიტყვას აქვს სახე *azīr, ažēr, hačaδār*¹ = ავესტა *hača. δaīri* 'ძირი, ძირს, დაბლა', ახ. სპარს. *زیر*, ქურთ. *žir*, ბელუჯ. *čera, šera, šher*, გილაკ. *jir* და სხვა².

142. **წმიდა** (წმედ-) — წმედა — „წარგოცა“ (საბა). „წმიდა ითქმის მხოლოსა ღვთისა ზედა და რომელნი ღმერთმან წმიდა ყვნა“ (საბა).

„და ვითარცა მკუდარი იღვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა“ (მარტ. შუშ. 20₂₀).

„ხოლო მე დავდეგ მეუფედ მის მიერ ზედა სიონსა მთასა წმიდასა მისასა თხრობად ბრძანებასა უფლისასა“ (ფს. 2₇).

„და თავყანის სცეს და ამბორს უყვეს ფერჯთა მისთა წმიდათა“ (ე.მცხ. 90₃₀).

„რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღვწოჲ და თაფლუქი არა სუას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე ღედის მუცლით მისითგან“ (ლუკა, 1₁₁).

„სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მალლისაჲ გფარვიდეს შენ, რამეთუ რომელი-იგი შობად არს, წმიდა არს და ძე ღმრთისა ეწოდოს მას“ (ლუკა, 1₃₆).

„ხოლო წმიდამან ჰაბო ჰრქუა მათ...“ (აბო, 72₃₆).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 91.

² Borhān-e Qāte', II, გვ. 1.

„ხოლო დღესა მეხუთესა აღდგა, ვითარცა ახალგანჯაბუკებული და მიიწია წმიდად საკურთხეველად...“ (ს.ზ. 176₁₈).

„რამეთუ ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაჲ პოვის ჩუენ შორის და ოდესმე ეშმაკთაჲ“ (გრ. ხანძთ., გვ. ია₆₄).

წმიდა, წმიდა — „ვეფხისტყაოსანში“:

„სწმედ და რიდისა წვერითა“ (225₃).

„ერთმანერთსა სისხლი სწმიდეს“ (222₄).

„წმიდისა წყალი ვერ ნახოს“ (581₂).

„ხელნი წმიდად დაეკვეთნეს“ (617₂).

„წყალსა წმიდად დააშრობენ“ (1248₃).

„ტურფა პერანგი, წმიდები“ (1255₃).

ფალ. spand 'წმიდა' სპეტაკი → წმედ - (ზმნის ფუძედ — ნამყო წმიდა), ავ. spanta¹, 'წმიდა' საერთო ძირია ირანულისა სლავურთან.

შდრ. ძვ. სლავ. свѣтъ, რუს. 'святѣ', ლიტ. šveĩtas (ისე როგორც хага—бор და ავ. sravo—сробо)².

საშ. სპარსულში spand³ (Spandarmat=ავ. Spantā ārmaiti). spanuāk 'წმიდა' <*spandāk < spantāk-იდან, ახ. სპარსული اسپند — اسپند⁴ 'წმიდა', სომხ. սպանդ⁵ 'მსხვერპლი'.

წმინდა ეკუთვნის იმ რელიგიურ ტერმინთა რიცხვს, რომლებიც ქართულში შემოსული არიან ირანული რელიგიების — ჯერ ზოროასტრიზმისა და შემდგომ მანიქეიზმის ან მითრაიზმის — გავრცელების შედეგად და გადანაშთის სახით შემონახული არიან ქრისტიანობაშიც (შდრ. ეშმაკი, მ-ართ-ალი, იადგარი, მოგვ და სხვა).

143. ჭალაკი — 'კუნძული, მდინარის ან ზღვის პირი ველოვანი, ჭალა'; „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა).

„მეფეთა თარშისათა და ჭალაკთა ძღუენი შეწირონ მისა“ (ფს. 71₁₀)

„... არს მკვეცი ზღუასა შინა, რომელი იწოდების ვაჰანკრაჲ, კუვი ზღუსაჲ; ვეშაპ-თევზის მსგავს არს და ფერითა მქვშასა ჭალაკისასა“ (სახისა სიტყუაჲ, 287₃₆).

¹ AirWb, გვ. 1619.

² Л. Мейе. Введение в сравнительное изучение индо-европейских языков, გვ. 406.

³ Н. Nyberg, Hfsb, I, გვ. 204.

⁴ Н. Haïm, I, გვ. 75.

⁵ Н. Hübschmann, AG, I, გვ. 277 და GrirPh, II, გვ. 39.

„...მივიდიან ნაენი ვითარცა ჭალაკსა ზედა, დააბნიან, მანანი დაასვნიან და ალისნი შთაუტევენთან და რაემს ცეცხლი ალაგზნიან მას ზედა, რაეთამცა განტყეს, ადგილი იგი ქუე დაქდის ქუესკნელად და შთაინთქნიან ნაენი იგი...“ (სახისა სიტყუაჲ, 287₃₇).

„და ვითარ-იგი ჩუენ ესრჳთ ვიყოფოდეთ, მოგკდეს ჩუენ ორნი კაცნი ჭალაკისა ერთისაგან, რომელი არს ზლუასა შინა პაბაშთა კერძო...“ (ცხორ. წმიდ. მამ. სინ. 212₃).

„და სანატრელი ეზდერიოს სამთავისისა ჭალაკსა დაემკვდრა“ (ასურ. მოღვაწ. 39₉).

„...ეწყვენეს იგინი ზღვის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი“ (ჯუანშ. 173₃).

„რამეთუ მდინარისა მის პირსა ორგნითვე ქარაფნ იყუნეს კლდისანი, ჭალაკნი, ველოვანნი...“ (ჯუანშ. 99₃).

საშ. სპარს. *čālak, ახ. სპ. چال, چالو, چال 'ორმო, თხრილი, ქა, დაბლობი, ჩაღრმავებული ადგილი'¹. შდრ. აგრეთვე სკრ. jalā- 'წყალი', სვანური ჭალა 'დიდი მდინარე. წყალი > წყლის პირი, ჩაღარდნილი ადგილი კუნძული', შდრ. ახ. ქართ. ჭალა.

144. ჭეშმარიტი — 'ნამდვილი, მართალი'.

„რამეთუ არა არს პირსა მათსა ჭეშმარიტებაჲ“ (ფს. 51₃).

„რამეთუ ესე არს ღმერთი ჭეშმარიტი, და აწ ქრისტიანე ვარ თვნიერ ყოვლისა ცილობისა“ (აბო, 69₂₉).

„ხოლო მას, ესმა რა, ვითარმედ მოწაფენი მიქელისანი არიან, ირწმუნა ჭეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ და განიხარა და წარვიდა...“ (ს.ზ. 156₉).

„და ამან დაიმარხა ჭეშმარიტი ქალწულებაჲ არა ხოლო ჯორცითა ოდენ, არამედ სულითა და სიტყუთა“ (გრ. ხანძთ., გვ. მბ₃).

„აწ უკუე ველტოდე შურსა ბოროტსა და ამონებდე უფალსა მონებითა ჭეშმარიტითა...“ (მამ. სწავლ. 8₃₄).

„და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხორებად 'საუკუნოდ'“ (ლ. მრ. 80₁₆).

საშ. სპარსული čāšmādit, ძვ. ირანული *čāšmadita-² 'თვალით ნახული, თვალსაჩინო', სომხ. ճշմարիտ³ 'ჭეშმარიტი. ნამდვილი, არსებული'.

¹ В. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 161. Вогһāп - е Qāte, II, гв. 615.

² Н. Марр, „О предпологаемом коренном родстве трех армянских слов“. ЗВО, т, XI, 1899, гв. 298—300. იხ. აგრეთვე. ЗВО, т. V, 1891, гв. 318.

³ Ա ճ ա ռ յ ա ն, Արմ. լեզու., I, V, гв. 674.

ამ სიტყვას ჰ. ჰიუბშმანი აწარმოებდა ფორმიდან *čjzmdit (სომხურში /-ს თვლიდა შეკუმშულად პირველ მარცვალში). ნ. მარმა ქართულის მიხედვით აღადგინა čazm და სრულიად მართებული ეტიმოლოგია მოგვცა.

145. **ჭიჭნაუხტი**—‘აბრეშუმით ან ოქრომკედლით ხელსაქმე’.

„ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვალად ჭიჭნაუხტისა საქმისადი დიდათა გულს მოდგინებითა ჯელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“ (მარტ. შუშ. 35₁₇).

სომხ. *ճահախառկատ-ճահախառկատ*¹ ‘ჭრელად ნაქსოვი, მოქარგული კაბა, აბრეშუმით ხელსაქმარი’. კომპოზიტის პირველი წევრია *ճահախ* ‘სხივოსნობა, ბრწყინვალეობა’ + *առկատ* ‘ქსოვილი’, საშ. ირ. *vāft* < *ufta = ახ. სპ. *hāft* ‘ქსოვილი’ (შდრ. ქართ. ბაფთი). შდრ. სომხ. *զարնառկատ, zarnavuxt* ‘ოქროქსოვილი. ოქრომკედლით ნაკერი, ზარბაფთი’, სპ. *تارخ* ‘ფარჩა, ოქროქსოვილი’. შეადარეთ აგრეთვე ქართული **ჭიჭნაური** ‘აბრეშუმი’ (საბა); **ჭიჭნ** > **ჭინჭი**. ძირი **ჭაჭან**- სომხ. *ճահախ*-ის იდენტურია.

146. **ჭაბუკი**—‘ახალგაზრდა, ვაჟი, ყრმა’.

„შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა, ღმრთისა, რომელმან ახარა სიჭაბუკესა ჩემსა“ (ფს. 42₄).

„ჭაბუკნი მათნი შეჭამნა ცეცხლმან, და ქალწულთა მათათჳს არავინ იგლოვდა“ (ფს. 77₆₃).

„და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უქნინს“ (აბო, 63₂₃).

„ხოლო ჭაბუკმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმე ჩუენი ზედამიწეენით მიუთხრა“ (ს.ზ. 160₃).

„რამეთუ არა იყო ვითარცა ჭაბუკი მზუაობარ და ჭამადთა გულის სათქმელთა მოყუარე“ (გრ. ხანძთ., გვ. იგ₆₂).

„ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ ფრიად შეურაცხ არს“ (გრ. ხანძთ., გვ. იმ₁₇).

„ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკიელი: მიიწია წინაშე მეფისა პრომედ“ (მოქც. ქართ. 736₁₆).

„სადა იყვნენ მონანი გინა აზნაურნი! სადა იყოს შუენიერება იგი ჭაბუკთაჲ!“ (მამ.სწავლ. 94₃).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 143; *Ա ճ ա խ ա խ, Արմ. բառ.,* IV, გვ. 55; ი. აბუღაძე, მარტ. შუშ., ლექსიკ., გვ. 98.

² А. Худобашев, Армяно-русский словарь, II, гв. 102.

„ანუ ჰგონებ-მეა, თუ ახალი სიქაბუკე და ცხორებაჲ მომავალი მოგეცეს კუალად გარეშე ამისსა, რომელსა თანა წარსულ ხარ?“ (ბალაჰვარ. 152₁₃).

„შემემთხუია მე ხილვა ნათესავისა მათისაგან ქაბუკი ერთი ქალი, და განვიზრახე მოყვანება მისი ცოლად“ (ლ.მრ. 51₁₇).

ქაბუკი — „ვეფხისტყაოსანში“ (‘ვეფკაცის, მოყმის’ მნიშვნელობით):

„არ შეუდრკების ქაბუკი“ (597₂).

„თქვეს: ყმა ვინმეა ქაბუკი“ (1036₂).

„ათი ათასი ქაბუკი დგას“ (1243₂).

„გვირაბის კარსა ქაბუკი“ (1392₁).

„ფრიდონს, ქაბუკად ქებულსა“ (1383₁).

„იგი ქაბუკნი შუქითა“ (1409₁).

„ნუ მიხმობთ ქაბუკობასა“ (1058₂).

საშ. სპარსული *čāpūk*¹ ‘ცოცხალი, მარდი, მოხერხებული. მკნე, სწრაფი’, ძვ. ირ. **čāpūka*-დან. ახ. სპარსული *چابک*² — *čābuk* ‘ცოცხალი სწრაფი, მოხერხებული, გამჭრიახი, გონებამახვილი, ლამაზი’, სომხ. *չափուկ* ‘სწრაფი მოხერხებული’³. ამავე სიტყვიდანაა მოგვიანო ჩაუქი, სიჩაუქე, რომელიც ამოსავლად გულისხმობს საშ. სპარსულ *čāpūk*-ს (გვიანდელი ფორმა. *p > č* ხმოვანთა შორის).

147. **ქარმაგი** (ქარმაგოსანი) — ‘თეთრი ცხენი’ (ქალარა შერთული), „ყმა ქარმაგოსანი“ (ე.ტყ. 1355₂).

საშ. სპ. **čarmak*, ახ. სპ. *چرمه*⁴ ‘თეთრი ცხენი’ (конь *ჩერმი* *часть*), ‘თეთრონი’.

148. **ხურდ-ი** — ‘ნაგლეჯი, ნამტვრევი, წვრილმანი რამ’.

„და იწყეს ცემად და კიცხევად მისსა და რომელიმე სცემდეს ხურდითა თავსა მისსა და რომელიმე ლერწმითა სცემდა...“ (ე.მცხ. 90₁₁).

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში დაბეჭდილია. **ქკრთითა და ლექსიკონში** განმარტებულია, როგორც **მჯილი**.

საშ. სპარს. *xurtak* ‘მცირე, პატარა’ < ავ. *xʷarəta*-⁵, ფაზ. *xur-dak*, ახ. სპ.- *خر* — *xurd*⁶ ‘მცირე, წვრილი, უმნიშვნელო, პატარა’,

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 42.

² Б М и л е р, Персидско-русский словарь, გვ. 159.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 188.

⁴ Borhān-e Qāte, II, გვ. 634.

⁵ GrirPh, I, გვ. 208.

⁶ Б. М и л е р, Персидско-русский словарь, გვ. 190.

აქ 'ნცირე, წვრილი, ნაგლეჯი, ნარჩენი, ნამცეცი, ნამტვრევი' და სხვა. შდრ. სურდა, სომხ. *խորտակ-խորտակում*¹ 'დამტვრევა, დამსხვრევა, დანაწილება' (schlage in Stücke). შდრ. ხურდა-ფრუნი 'მეწვრიმალე'.

149. ხანაგა — „ობლების საკრებულო სახლებია“ (საბა); 'ლარიბთა თავწესათარი'.

„მიეც ზოგი ხანაგათა“ (ვ.ტყ. 804₂).

„ქარი მიჩნდა ხანაგისა“ (ვ.ტყ. 1216₂).

საშ. სპ. *xānak*² 'სახლი', ძვ. ირ. **āhāna* 'ადგილი, სამყოფელი' (**ah*, **han* — მეორადი ასპირაციით), ახ. სპ. *خان*,³ *خان* 'სახლი', *خان* 'თავშესათარი' + *انگ* 'ადგილი' (დერვიშთა და შეიხთა დასაბინავებლად).

150. ხვადი — „ძალი და მკეცი მამალი“ (საბა).

„შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი შებერ განაცხადია.

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“

(ვ. ტყ. 39₁).

„ხვადი ლომი და ნიანგი მას გვერცა ვერ მიუდგების,
და ვინც მისსა ომსა გაჰპირავს, დედას უკრავად უკუდების“
(შპნმ. I, 207₂).

„გაგულისებული ხვადს ლომსა ჰგავს, ხმალსა ომშიაც არ იხარებს...“ (რუსუდ. 258₂).

„და ჯერ თქვენგან მისის ომის აჩქარება არ უნდა, ამად რომ ხვადსა ლომსა უფიცხეა...“ (რუსუდ. 270₆).

ხვადი უმთავრესად ლომზე ითქმის, შედარებით მოგვიანო ძეგლებში გვხვდება და ქართველურ ენებში შესატყვისი არ ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს ნასესხებთან საშ. ირანულიდან ფალ. *x'at* 'თვით', ავ. *x'ato*, ახ. სპ. *x'at*(*xit*) *اچ* 'თვით'⁵. შეადარეთ რუსული *сам* და *самец, самца*.

151. ხვაიშან (ხვაიშნობა, მეხვეიშნე), ხვაიშანი — „საშველად მოხმარება“ (საბა).

„მაშინ მივიდა წინაშე დედისა ფებრონიაჲსი საწყალობელი იგი და შეუვრდა მას ცრემლითა და აღუარებდა ყოველთა ბრალთა

¹ H. Hübschmann, AG. I. გვ. XX. § 37: B. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 163.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 133.

³ Borhän-e Qāte'. II, გვ. 708.

⁴ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 139.

⁵ B. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 200.

და ევედრებოდა გოდებით რაითა უხუაიშნოს მამისა გრიგოლისაგან“ (გრ. ხანძთ., გვ. 266).

„რამეთუ მუნ სინანული არლარა შეიწირვის და არცა ვედრება მითუალვის და არცა მეხუეიშნე შეიწყნარების, რამეთუ სიტყუაჲ მეუფისაჲ არა განცრუვნების, ნუ იყოფინ!“ (მამ. სწავლ. 281₁₃).

ხვაიშნობა—‘შუამდგომლობა, შუაკაცობა’ (ХОДАТАЙСТВОВАТЬ).
მეხვეიშნე—‘შუაკაცი, შუამდგომელი’.

ნ. მარის შენიშვნით, ნასესხებია ფალაურიდან და არა ახალი სპარსულიდან, როგორც ამას მოწმობს დაბოლოების „ნ“.

საშ. სპ. x^hāhišn¹ ‘სურვილი, თხოვნა’; ზმნიდან x^hāstan ‘თხოვნა, სურვილი’ (შდრ. სკრ. Vsvād), აგრეთვე ფალ. x^hāsīn, X^hādišn, ფაზ. X^hāhišn², خواهش ‘სურვილი, თხოვნა’, ახ. სპ. خواهش ‘მთხოვნელი, შუაკაცი’, خواهشمند ‘მსურველი, მთხოვნელი’.

153. ხუასტაგი, ხოსტაკი—ქონება, სიმდიდრე; „საქონელი და საყოლელი“ (საბა).

„...რამეთუ ოდეს მივიწინეთ ჟამსა განყენებისასა, ამაო იქმნებთან განსუენებანი, და დასცხრებიან ცუდად დიდებანი და ნუკევაინი, და არცა დაშთებიან მდიდარნი. და არცა ხუასტაგის მოყუარენი“ (მამ.სწავლ. 230₂₆).

„რამეთუ ნებაჲ მონაგებთაჲ და სიხარული ხუასტაგისაჲ გუაცთუნებს და არა ვიურვით საგზალსა გზისა მისთჳს“ (მამ. სწავლ. 253₆).

„აღდეგ და მოვედ ჩუენ თანა, და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლე სპანი შენნი...“ (ლ. მრ. 22₁₆).

„მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდძალი“ (ლ. მრ. 22₁₂).

„აწ ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიგმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე“ (ლ. მრ. 22₂₂).

„და აღივსნეს ყოვლითავე ხუასტაგითა...“ (ლ. მრ. 45₁₆).

„და გამოიღეს ხუასტაგი დიდძალი, ოქრო და ვეცხლი, და განუყვეს გლახაკთა...“ (ჯუანშ. 143₉).

¹ GrirPh, I, გვ. 138.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 135, 138.

³ Б. Миллер, Персидско-русский словарь, гв. 199—200.

„და განუყო ყოველი (სტეფანოზმა) ხუასტაგი სამეფოსა მისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა...“ (ჯუანშ. 232₁).

„გამოიღო თავისი ხუასტაგი და ჩაიტუნა ჩოჯანი ლიპარიტ, და შეპედრა ძე თუხი ივანე მეფესა“ (მატ. ქართ. 305₁₄).

საშ. სპ. x^hāstak¹ 'ქონება, სიმდიდრე', x^hāstan-იდან 'ძებნა, მისწრაფება, სურვილი' (ძვ. ირ. *hvāz, არ. *svāz), ახ. სპ. استوخ² 'სიკეთე, ქონება, სიმდიდრე', სომხური խոստակ-ք³ 'ქონება, სიმდიდრე', խոստակդար 'მემკვიდრე' < ფალ. x^hāstak(dār)-იდან.

153. ხორშაკი — „ქარი შემწუელი, ხორშაკი საღმრთოს წერილში ძეს და ხორშა გარე წერილსა შინა“ (საბა).

„უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჭურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ (მარტ. შუშ. 39₁₁).

„და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა:...“ (გრ. ხანძთ., გვ. კვ₁₃).

„განცხრომამან განრყუნის ნაყოფი მონაზონისაჲ, ვითარცლა განრყუნის ხორშაკმან ნაყოფი ქუეყანისაჲ“ (მამ. სწავლ. 228₁₃).

„და აჲა კუალად მერმე შუდნი თავნი აღმოსცენდეს მათ თანა, წულილნი და ხორშაკეულნი. და შეჰამნეს შუდთა მათ თავთა წულილთა და ხორშაკეულთა, შუდნი იგი თავნი რჩეულნი, სავსენი და კეთილნი“ (დაბ. 41₆).

„და ვიდრე განთენებამდე მოავლინა უფალმან სარკინოზთა ზედა ხორშაკი ბლუარისა, და გუემნა იგი სატლითა სისხლისათა“ (ჯუანშ. 237₁₁).

საშ. სპ. x^har 'მზე', x^haršēt 'მზე'⁴ < ავ. hvar- 'მზე' (სკრ. svar, ლათ. sol- და სხვა), ავ. hvarə-xšaeta- 'მზე'⁵ (სიტყვისაიტყვით 'მზე-მანათობელი, ბრწყინვალე'), ახ. სპ. خورشید 'მზე'.

როგორც ჩანს, აქედან არის ნაწარმოები ფალ. x^haršak, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ ხორშაკსა და სომხურ խորշակ-ს⁶ 'სიციხე, გვალვა, მზის მხურვალეობა, ცხელი, მაკვდინებელი ქარი'. შდრ. „ხორშაკი ბლუარისა“. ახ სპარსულში არის

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 138.

² S. Haïm, I, გვ. 7,27.

³ H. Hülschmann, AG, I, გვ. 161.

⁴ H. Reichelt, AE, გვ. 512.

⁵ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 136—137.

⁶ A. Худобашев, Армяно-русский словарь. გვ. 521.

ფორმა *خارش*, რომელიც აგრეთვე იხსენიება ალნიშნავს, შეიძლება მისი საშ. სპარსული ექვივალენტი იყო *x'arsak*¹.

154. **ხვაშიადი** — 'საიდუმლო', „საქმე დაფარული საჯორცი-ელო“ (საბა).

„და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე“ (მარტ. შუშ. 9₃₀).

„ვეფხისტყაოსანში“:

„ხვაშიადი შემინახე“ (157₂).

„ვისმცა ვუთხარ ხვაშიადი?“ (163₁).

„ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამელავნებდეს“ (28₁).

„ხვაშიადსა უთხრობს სრულსა“ (1093₂).

„ხვაშიადის ვერ-მმაღავსა“ (1106₂).

პირველი ელემენტი ამ სიტყვისა შესაძლოა იყოს საშ. სპ. *x'āš*² 'თავისი', 'საკუთარი', *X'āš* 'კარგი' ან *X'āhiš* 'სურვილი'. რაც შეეხება მეორე ელემენტს -იად იგი შეიძლება დაუკავშირდეს საშ. სპარსულ *yāt-*ს, ავ. *yāta-*³ 'ხსოვნა, მოგონება', ანდა მიჩნეულ იქნეს ქართულ მაწარმოებელ ელემენტად -იად *x'āšyād* 'კარგად დასახსომებელი, დასაფარავი, საიდუმლო'.

155. **ხიდი, ჳიდი**.

„და ვითარცა მიიწინეს ჳიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს...“ (მარტ. შუშ. 28₁₉).

„და შთაყარეს დიდსა მდინარესა, ქუეშე ჳიდსა მას ქალაქისასა, რომელსა ჳედა აღმართებულ იყო პატიოსანი ჳუარი ჳიდისაჲ“ (აბო, 75₁₀).

„ხოლო დევნა უყვეს მთავართა სომხითისათა, მოუსწრეს ვითმე ჳიდსა, და რომელთამე მოუსწრეს ფონსა და იწყუდინეს იწროსა შინა“ (ლ.მრ. 38₁₆).

„...და მიიწინეს ქალაქად მცხეთად წიად ჳიდსა ჳედა, და დადგეს მუნ...“ (ლ.მრ. 54₁₁).

„ვეფხისტყაოსანში“:

„პერპერასა დაფანტულსა ჳედა სცვეთდეს ვითა ხიდსა“ (1437₄).

„მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხიდისა“ (184₃).

„სიყვარული გზად და ხიდად“ (703₃).

¹ Borhān-e Qāte', II, გვ. 734.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 140.

³ P. Horn, GrnpEt, გვ. 250.

„ხი დ ნ ი ზღვასა ჩაგვიცვიდეს“ (222₁).

„ზოგი ხი დ თ ა ასაგებლად“ (804₂).

ავ. haēti- ‘[D]atum’, სკრ. setu- ‘ხიდი’, შდრ. haētumant ‘მდინარის სახელი’, საშ. სპ. hētōmand, ავლან. hēlmand ‘ჰილმენდი’ (სიტყვასიტყვით დამბებით ან ხიდებით მდიდარი)¹. ოს. xid|xed ‘ხიდი’. დაწერილებით იხილეთ პირველ თავში, სკვითურ-ალანურ-ოსურ სიტყვებში.

156. ხუარბალი—‘მარცვლეული, ხორბალი’.

„ღვნოჲ, თაფლი, ნაყოფი კეთილ, თივაჲ და ნაშრომი, ხუარბალი და ყოველი თაფლი და ხილი მათა ბართა კეთილ“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრ. ასტროლოგ. 28₁₁).

„თაფლი და ხუარბალი და ღვნოჲ ზომად“ (ძვ. ქართ. ლიტ. 30₁₇).

„თივა, ხუარბალი, ღვნო, თაფლი იეფად“ (ძვ. ქართ. ლიტ. 30_{28,29}).

„...რამეთუ ხუარბლის ვაქართა დაჰწმენს კარნი ქულბაგთა მათთანი და განაძნელეს იფქლი გლახაკათაჲს, და მსყიდელნი შეიწრდეს“ (მამ. სწავლ. 64₁₃).

საშ. სპარსული x’ār-bār x’ār² ‘საკვები, საკმელი,’ + bār³ ‘ნაყოფი მოსავალი’, ახ. სპარს. خواربار⁴ ‘საკვები, სანოვაგე’. შდრ. ავ. x’ar-
bār. bairya-. ‘საკვები ნაყოფის მომცემი’.

157. ჯოჯოხეთი—‘ქუესკნელი, გენია’.

„...ხოლო ქრისტმან უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი და შთაქდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად“ (ე.მცხ. 89₁₇).

„რამეთუ ცოცხლივ შთაენთქა ეშმაკსა ვითა მკუდარნი ჯოჯოხეთსა“ (მოქც. ქართ. 753₂₄).

„დალათუ ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა შთაწევნულ ხარ ცოდვითა, იგი შემძლებელ არს შენდა მიერ აღმოყვანებად“ (მამ. სწავლ. 612).

„მაშინ უკუეთუ პოის კაცი არა მღვდარედ, შთანთქის იგი, ვითარცა ჯოჯოხეთმან“ (მამ. სწავლ. 18₁₆).

„და მას არა უნდა ნუგეშინის-ცემის და თქუა, ვითარმედ: შთავიდე მე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთა“ (დაბ. 37₃₃).

„რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა და არა უწყი...“ (ლ. მრ. 67₂₅).

¹ AirWb, გვ. 1727. 1728.

² H. Nyberg, Hfsb. II, გვ. 33.

³ იქვე, გვ. 58.

⁴ Borhān-e Qāte’, II. გვ. 896.

„და მან იხილა ნებროთ ჯოჯოხეთსა შინა და იგნა...“
(ჯუანშ. 108₁₀)

ქართამი ჯოჯოხეთსცა დაიურვებს“ (ვ.ტყ. 764₁).

ძვ. ირ. *dužahu-, ავ. daožahva-, ფალ. dōžax¹ 'ჯოჯოხეთი', ფაზ. dōžax, dužax 'ჯოჯოხეთი', ახ. სპ. جوجوا 'ჯოჯოხეთი, სომხ. դժուխ-ք 'ჯოჯოხეთი'. ქართული ფორმა მოდის ფალაურულიდან: dōžāx² > dožox > dojox > joxox > ჯოჯოხ-ეთი და არა სომხური դժուխ-ք-იდან.

158. ჯადაგი — 'ძველი ფეხსაცმელი, ჯლანი'.

„...მას ეამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს მეჯადაგენი დ მეჯამლენი...“ (ე. მცხ. 80₁₆).

„და ვითარ ტოზიკი იგი გარდაიქადეს, შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი და მეჯამლენი...“ (ე. მცხ. 80₁₆).

საშ. სპ. *žatak, zatak = ახალ სპ. აჯ³ 'ძველი, ნაცვეთი, ნატარები' ძვ. ირ. *jataka-ზმნიდან jai- 'ცემა', საშ. სპ. žataii, žaii⁴, ახ. სპ. آج — آژ⁵ 'ცემა, დარტყმა, რახუნი' და სხვა (ალბათ ძირების დაკვრა. შდრ. რუს. «поднимать подметки»). საბას განმარტებით ჯადაგი 'ჯლანი და მისთანა შეურაცხი რამე ცული'.

მეჯადაგე — 'მეჯლანე':

მეჯადაგე და მეჯამლე — სინონიმებია, ალბათ მცირეოდენი ნიუანსით განსხვავებული (მეჯადაგე — ძველი, გაცვეთილი ფეხსაცმელის შემკეთებელი 'მეჯლანეა').

159. ჯავშანი.

„განაწესა სპანი და დაადგინნა განწესებულად და განმზადებულად და აღჯდა ტაიქსა შექურვილსა ჯავშნითა...“ (ჯუანშ. 101₁₇).

„გატუდღის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“ (ვ.ტყ. 1416₂).

„ჯაქვე-ჯავშანითა, ქაფითა“ (ვ.ტყ. 441₂).

საშ. ახ. სპარსული جوش⁶ 'ჯაქვის პერანგი, ჯავშანი' < ავესტური ფორმიდან yaōxšna 'მომზადება, აღჭურვა, საჭურველი', სომხ. հոշան და հոշ⁷ 'ჯავშანი', არაბ. جوش⁸ 'ჯავშანი'.

¹ Borhān-e Qāte', II, გვ. 1008.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 538.

³ В. Миллер, Персидско-русский словарь, გვ. 258.

⁴ იქვე, გვ. 157.

⁵ Ահոսյան, Արմ. բառ., IV, გვ. 703, 704; H. Hübschmann, AG, II, გვ. 27.

⁶ Borhān-e Qāte', II, გვ. 09.

160. ჯმნა—'წასვლა, განშორება, გაცლა, გამომშვიდობება'.

„და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან“ (მარტ. შუშ. 5₄).

„ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ“ (მარტ. შუშ. 8₉).

„... და ვითარ წარემართებოდა მარზაპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარი, მარზაპნისა მის ჯმნად მოვიდეს“ (ე.მ.ცხ. 83₁₂).

„და იჯმნა ყოველთა მათგან პყრობილთა ქრისტეანთა და ჰრქუა მათ“ (აბო, 72₃₀).

„...იჯმნეს წმიდათა მათ უდაბნოჲსა მისგან, მოიკითხეს წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს“ (ს.ზ. 172₃₂).

„ხოლო შემდგომად სოფლით ჯმნისა უმეტეს ცნობათა ჩუენთა აღიდა ცათა შინა ანგელოზთა თანა“ (გრ. ხანძთ., გვ. მა₂₁).

„მაშინ გამოწულილვით გამოიძიოს ნიში იგი ქრისტეანობისაჲ, რომელი მიიღო თითოეულმან ჩუენმან დღესა ნათლის-ღებისასა და ითხოოს ჩუენგან უბიწოჲ სარწმუნოებაჲ აღნათქუემი იგი, რომელი აღუთქუთ და ვთქუთ: ვიჯმნით შენგან. ეშმაკო, და ყოველთა საქმეთა შენთაგან“ (მამ. სწავლ. 213₁₉).

„...ვიჯმნი მე ყოველთაგან საქმეთა ეშმაკისათა, რომელ არიან ესე: სიძვაჲ და მრუშებაჲ, კაცის-კლვაჲ და პარვაჲ...“ (მამ. სწავლ. 213₂₁).

„ხოლო ბალაჰვარს უნდა წარსლვის საყოფლად თჳსა და იჯმნი და ძისგან მეფისა...“ (ბალაჰვარ. 79₄. ა).

„...და უჯმნა დედისაგან და მისცა ჯუარი და კურთხევა“ (ლ. მრ. 49₁₉).

ფუძეა სიტყვისა ჯმნა jaman-, რომელიც დაცული გვაქვს აგრეთვე სიტყვაში ანჯმნობა, ირ. hanjaman-. ორივე ამ სიტყვის ძირია ირ. gam || jam 'სვლა' (ზღრ. სკრ. gam — 'სვლა'. ბერძნული βᾶσις, παῖσις; ლათ. venio); ავესტური jim- || jəm-¹ jimat, jimaiti, jasa და სხვა, ძვ. სპ. ājamiya (ā + jamyat)², მანიქევ. — 𐭪𐭣𐭥𐭩𐭮³ 'წყევანა, წაძლოლა', ფაზ. jāmanīdan. საშ. სპ. jaman < ძვ. ირ. jamana მიმღეობის ფორმაა და ნიშნავს 'წასულს', საიდანაც ქართ. ჯმნა 'წასვლა'.

¹ H. Reichelt. AE, გვ. 437.

² A. Meillet, Vp, გვ. 110.

³ C. Salemann, Man. Stud., გვ. 37, 38.

ირანული წარმომავლობის პირის
საკუთარი სახელები

1. ადარნესე (ადარნერსე, ადარნასე).

1) ადარნესე კურაპალატი და ერისმთავარი, ნერსე ერისთავის მამა:

„რამეთუ იყო ეამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძე ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან ეამსა სარკინოზთასა ამირა მუმნისა აბდილაჲსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა-იგი მან აღაშენა“ (აბო, 185₂).

2) ადარნერსე აშოტ კურაპალატის ძე:

„მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა—ადარნერსე (ადარნერსე), და ბაგრატ და გუარამ—შეწირეს თითოეულად, რაჲცა საგმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უხუცებით“ (გრ. ხანძთ. 252₁₁).

3) ადარნესე ერისთავი:

„და შემდგომად ერისთვობდა ადარნესე: და მისაზღ სამნი კათალიკოზნი იცვალნეს“ (მოქც. ქართ. 726_გ).

4) ადარნასე ბაკურის ძე, ქართლის მთავარი სტეფანოზ I შემდგომ:

„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განდიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა...“ (მატ. ქართ. 252_გ).

„მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა“ (ჯუანშ. 225₂).

5) ადარნასე — ერისთავი სამშვილდისა ვახტანგ გორგასალის დროს:

27. მ. ანდრონიკაშვილი

„და წარსცა იგი ყოველი წინაშე კეისრისა, კელითა ნასრესითა და ადარნასესითა, ერისთავთა მისთათა“ (ჯუანშ. 176₁₁).

„და ადარნასე, ერისთავი სამშულდისა“ (ჯუანშ. 185₁₇).

6) ადარნასე — ძმისწული ადარნასე ბრმისა:

„მაშინ მოვიდა მისი მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო“ (ჯუანშ. 243₁₀).

7) ადარნასე იოვანე შავლიანის ძე, აფხაზთა მეფე:

„და მოჰუარა მეფემან იოვანე ძესა თჳსსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისა“ (მატ. ქართ. 258₁₁).

„და მოკუდა იოვანე, მეფე აფხაზთა, და მეფობდა მის წილ ძე მისი ადარნასე“ (მატ. ქართ. 261₇).

8) ადარნასე — ძამელი მთავარი:

„წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნასეს, ძამელსა მთავარსა“ (მატ. ქართ. 270₂₂).

9) ადარნასე — სომეხთა მეფის კვირიკეს ძმა:

„სთხოვა სამშულდე და არა მოსცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნასე შესრულ იყო სამშულდეს“ (მატ. ქართ. 307₁₀).

10) ადარნასე ადარნასიანი, ქართლის ერისთავი:

„მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა (არჩილმა), და ორთავე მათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“ (ჯუანშ. 242₁).

11) ადარნასე ბაგრატიონიანი, ძე ნერსესი:

„ხოლო ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი...“ (მატ. ქართ. 251₂).

„არამედ სიცოცხლესავე ჯუანშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შეფეთისა, აქარისა, ნიგაღლისა, ასისფორისა, არტანისა, და ქუემოსა ტაოსა, და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილისშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“ (მატ. ქართ. 251₁₇).

„და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთაობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი. და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატოსი, რომელმან გარდაბანელნი მოაქცივნა. და მერმე ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი

მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი“ (სუმბატ დავითის ძე, 376₉).

12) ადარნასე ბრმა:

„ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თულნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკვდრეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვდრო ქმნილ იყო“ (ჯუანშ. 244₉).

13) ადარნასე პატრიკი:

„და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვრიკეს ორქობი“ (მატ. ქართ. 264₁₃).

14) ადარნასე აშოტ I დიდის ძე:

„ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თუსთა ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თუსსა სომეხთა მეფესა“ (მატ. ქართ. 257₁₅).

„და წარემართა (აშოტ), რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩვლნი, უხუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატ. ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა“ (სუმბატ დავითის-ძე, 376₁₀). იხ. აგრეთვე, 377₃₀, 378_{11,12,13,17}, 379_{13,10,11,19,30}.

15) ადარნასე ერისთავთ-ერისთავი, ძე გურგენ I კურაპალატისა:

„გარდაიცვალა ადარნასე ერისთავთ-ერისთავი, ძე გურგენ კურაპალატისა, ძმა აშოტ კუხისა, ქორონიკონსა რწი და დაუტევნა ორნი ძენი: დავით ერისთავთ-ერისთავი და გურგენ ერისთავთ-ერისთავი“ (მატ. ქართ. 260₉).

„და მოკუდა წყლულებითა მისითა გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქორონიკონსა რწი. და დაუტევნა ორნი ძენი: ადარნასე და აშოტ ერისთავთ-ერისთავი“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₂₉). იხ. აგრეთვე 380_{1,8,13,29}.

16) ადარნასე კლარჯი, ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა — მონაზონობაში ბასილი:

„და გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქორონიკონსა რწთ, თუესა აპრილსა კ, დღესა აღვსებასა, და დაუტევნა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი-იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ-იდვა, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით“ (სუმბატ დავითის-ძე, 380₉).

„მასვე წელსა ბაგრატ მაგისტროსის გარდაცვალებისასა ბასილი მონაზონი (ადარნასე) კლარჯი გარდაიცვალა, ძე ბაგრატ მამფლისა“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₇).

17) ადარნასე ბაგრატი I კურაპალატის ძე:

„და ძენი ბაგრატი კურაპალატისანი სამნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა დასუეს კურაპალატად, ადარნასე და აშოტ“ (სუმბატ დავითის-ძე, 378₁₆).

„გარდაიცვალა ადარნასე, ძე ბაგრატი კურაპალატისა, ქრონიკონსა 7^ლ; სიცოცხლესავე მამისა თვისისა, და არა დაუტევა შვილი“ (სუმბატ დავითის-ძე, 378₂₂).

18) ადარნასე I მეფე (კურაპალატი, ძე დავით კურაპალატისა):

„ქრონიკონსა რ^ა, და დაუტევა ძე სახელით ადარნასე, რომელი მეფე იქმნა შემდგომად მამისა თვისისა“ (მატ. ქართ. ჩანართი 2, 259₁₀).

„ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ (ნაცვლად) მის მოკლულისა“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₁₆).

„გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ^მგ, და დაუტევნა ძენი ოთხნი“ (სუმბატ დავითის-ძე, 380₁₇). იხ. აგრეთვე, მათიანე ქართლისა: 261₁₁₃, 266_{7,8,10,15}, 381_{4,9,12} და სხვა.

19) ადარნასე II კურაპალატი, ძე ბაგრატი მაგისტროსისა:

„გარდაიცვალა ძე ამის ბაგრატი, ადარნასე კურაპალატი, ქორონიკონსა რ^პა“ (მატ. ქართ. 266₁₂).

„და დაუტევა ძე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კურაპალატი“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₆). იხ. აგრეთვე, მატ. ქართ.: 266_{11, 13, 19}, 271₉, 381_{5, 16, 19}, 382₆.

20) ადარნასე III კურაპალატი, ძე სუმბატ I კურაპალატისა:

„გარდაიცვალა სუმბატ მეფე-კურაპალატი, ძე ადარნასე მეფისა, და მმა დავით მეფისა, ქორონიკონსა რ^ომ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატი რეგუენი, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მეფე იქმნა, და ადარნასე კურაპალატი“ (მატ. ქართ. 266₁₅₋₁₇).

„გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურაპალატისა, მმა ბაგრატი რეგუენისა, ქორონიკონსა ს^გ, და დაუტევა ძე დავით მცირე“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₂₂).

ადარნასე ირანული სახელია, რომელიც გავრცელებულია აგრეთვე სომხურშიც, სადაც იგი წარმოდგენილია ფორმით: *Ասր-ხსრახ*¹. ქართულიცა და სომხური ფორმაც მომდინარეობს საშ.

¹ ჯ. *Ա ճ ա ո յ ա ն*, *Հայոց անձնանունների բառարան*, I, გვ. 261.

სპარსული შედგენილი სახელიდან *Ādarnarsēh*, რომელიც პირველ ნაწილად შეიცავს სიტყვას *atur* 'ცეცხლი', ახ. სპ. *ābar*, ხოლო კომპოზიტის მეორე ტერმინს შეადგენს საკუთარი სახელი *Narsēh* (იხ. ნერსესთან)¹. ბერძნულში ეს სახელი წარმოდგენილია 'Αδαρναρσής, 'Αδαρναρσής სახით, არაბულში *أدرنارس* — *Ādarnarsah*².

ქართული ფორმების *ადარნერსე* და *ადრნერსე*, *ადრნერსე* (აბო, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება) შეპირისპირება ამ სახელის საშ. სპარსულსა და სომხურ ფორმებთან გვარწმუნებს, რომ ქართული ფორმა შემოსულია უშუალოდ სასანური ფალაურიდან, ხოლო სომხური, სადაც დაცულია *t* (*Atrnerseli*), ამოსავლად არშაკიდულ ან ადრე-სასანურ ფალაურ ფორმას გულისხმობს, ე. ი. ეს სიტყვა სომხურში შესულა იმ დროს, როდესაც საშ. ირ. *t* ჯერ არ იყო გადასული *ბ*-დ ხმოვანთა შორის.

უფრო მოგვიანო ქართულ ძეგლებში (ჯუანშერი, მატიანე ქართლისაჲ, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა) ეს სახელი წარმოდგენილია ფორმით *ადარნასე*, რაც შეიძლება ბერძნულის გავლენით აიხსნას. შდრ. ბერძნ. 'Αδαρναρσής.

2. ა(მ)ბარვეზი—ქასრე ამბარვეზი ურმიზდის ძე, სპარსეთის მეფე.

„მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზი“ (ჯუანშ. 217₆).

„მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და დაუწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შეილთით-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თვს-თვსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“ (ჯუანშ. 217₁₀).

„მაშინ ქასრე ამბარვეზმან დაუტევა რანი და ქართლი, და წარვიდა შეულად მამისა თვსისა (ჯუანშ. 217₁₃). 221_{11,21,31,41,5}, 223₃₆.-ზე გვაქვს მხოლოდ ქასრე, ხოლო 227₉-ზე — ხუასრო მეფე, ხუასრო გვაქვს აგრეთვე სუმბატ დავითის-ძესთან, გვ. 375₁₃.

ქართული ამბარვეზ წარმოადგენს გადმოცემას საშ. სპარსული სიტყვისა *Aparvēč*, *Aparvēz* 'გამარჯვებული, ძლევამოსილი'. შდრ. ფაზენდური *awarvēž* 'გამარჯვება, ტრიუმფი, ტრიუმფალური', ახ. სპარსული *Parvēz* 'გამარჯვებული'³. ეს სიტყვა წარმოადგენს

¹ სიტყვა *ცეცხლი* *atur* ძალიან ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებში. შეადარეთ, მაგალითად, მსგავსად ნაწარმოები სახელები: *Atropatarš*, ავ. *Ātaraxvarənah*-, *Ātarəčiθra*-, *Ātarədāta*- და სხვა მრავალი.

² H. Hübschmann, AG, I; F. Justi, IN, გვ. 3—4.

³ F. Justi, IN, გვ. 19; H. Hübschmann, AG, I, გვ. 21.

სპარსეთის მეფის ხეასრო II ზეწოდებას. შდრ. ფირდოუსისთან Xusrāu Parvēz, სომხ. Aprvēz Xosrov (āpruēz)¹, არაბული Kisrā-abarvīz, ე. ი. al-muzaffar 'გამარჯვებული'. ამ უკანასკნელი არაბული ფორმის გადმოცემას წარმოადგენს ქართული ქასრე ამბარევი; საშ. სპარსული ამოსავალი ფორმა დაცულია სომხურში.

3. ამაზასპ (ამზასპ, ამზასპან, ამასპო).

1) ამასპო გვხვდება „სერაფიონ ზარზმელის ცხოვრებაში“:

„ვინაეცა პრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რაჲთა ხვალის-დღე მივიდენ საფლავად მისა ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შუენიერი შჄნ არს, რომლისა-იგი იყენეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია, ხოლო აწ კუალად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა შირიანისი, ძისა ბეშქენ ბაპლაუნდისაჲ, ძისა იოვანსი“ (ქართ. ენ. ისტ. ქრ. 235₃₇).

2) ამაზასპ—მეფე:

„ივ: და მეფობდა იმიერ ამაზასპ და ამიერ დერუქ“ (მოქც. ქართ. 710₃).

3) ამასპო — არმაზის მეფე, აზორკის ძე (არშაკუნიანი):

„და აღესრულნეს არზოკ და არმაზაელი, ნუგეშინის-ცემულნი დიდად. რამეთუ სიმენითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი. და შემდგომად მათსა მეფობდეს შვილნი მათნი: არმაზს—ამაზასპ და შინა ქართლს—დეროკ“ (ლ. მრ. 50₁₋₄).

4) ამზასპი—ამაზასპი მეთვრამეტე მეფე, ძე ფარსმან III-სა:

„ხოლო მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა, და ესუა ძე, და უწოდა სახელად ამაზასპ. და შემდგომად ამისსა მოკუდა ფარსმან. და შემდგომად მისსა მეფობდა ძე მისი ამაზასპ“ (ლ. მრ. 54₁₅₋₁₆).

„ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდამოსლვა ოვსთა ვიდრე გარდამოვლამდე მთისა“ (ლ. მრ. 55₁₋₃). იხ. აგრეთვე, 55_{7,11,14,18}; 56_{3,4,7}.

„და ვითარ განთენდა, კუალად განვიდა მუნვე ამაზასპ და აღიხუნა. ოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი, რომელსა ერქუა სახელი ხუნხუა“ (ლ. მრ. 56₉₋₁₀). იხ. აგრეთვე, გვ. 57₁₁ და სხვა.

5) ამაზასპ ტაროვნელი — სომხეთის ერისთავი:

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, Ա Ն Ճ. բ ա ու., I.

• „წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად. და მიიწიენეს სომხითს, და მოერთნეს პეროქა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ქსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი: სივნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ ნათესავისაგან დიდისა თრდატისა“ (ჯუანშ. 159₁₉).

• 6) ამზასპანი — ყრმა სეფეწული:

• „მეორე სეფე-წული მოვიდა ყრმა, ამზასპანი: იღვა რვისა წლისა. მოიღო დედამან მისმან სარწმუნოებით და დაღვა ცხედრითა წინაშე სუეტსა მას ნათლისასა...“ (ლ. მრ. 115₅₋₆).

ძვ. სპარსული *Hamāzāspa-^{*} hamāza (სკრ. samāja-) ‘სიმრავლე, კრებული, ჯოგი’ + aspa- (სკრ. aśva-) ‘ცხენი’¹.

მთლიანად კომპოზიტი Hamāzāspa ნიშნავს ‘ცხენმრავალს’. მსგავსი საკუთარი სახელები ხშირად გვხვდება ირანულ ენებში; ჰიუბშმანს მოჰყავს, მაგალითად, Hābspa-, haba=სკრ. sabha ‘კრებული, ჯოგი’². შეადარეთ აგრეთვე ფალ. bēvarāsp (ზააქის ეპითეტი) ‘10.000 ცხენიანი’, ქართული ბევრასფი.

ეს სახელი სომხურში წარმოდგენილია ჯამაღასაყის სახით. შდრ. აგრეთვე ჯამაღასაყსან.

4. ანაკ — წარჩინებული მთავარი, სომეხთა განმანათლებლის გრიგოლის მამა:

• „ხოლო კრებულსა მას შორის იყო წარჩინებული ერთი მთავარი, სახელით ანაკ, ნათესავისაგან კოსაროს სომეხთა მეფისა“ (ლ. მრ. 60₉).

„მაშინ ფარულად მოუწოდა მეფემან ანაკს, და რქუა მეფესა ანაკ: „მეფე, ცხოვნი უკუნისამდე, მე გიძიო ღონე შურისგებისა კოსაროს ზედა“ (ლ. მრ. 60₂₀—61₁).

იხ. აგრეთვე, ლ. მრ. 61₅, 61₁₅ და სხვა.

ეს სიტყვა წარმოდგენს ფალაური anāk³ სიტყვის გადმოცემას, მნიშვნელობით ‘ბოროტი, უწმინდური’, შდრ. ახ. სპ. კს — nāk, საკუთარი სახელი Anāk, სომხ. Անակ ‘პართელი მთავარი სურენის გვარიდან, წმინდა გრიგოლის მამა, სომეხთა მეფის ხოსრო არშაკიდის მკვლელი’⁴.

¹ F. Justi, IN, გვ. 125.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 47.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 10.

⁴ H. Hübschmann, AG, I, გვ. 17.

შეადარეთ აგრეთვე ფალაური საკუთარი სახელი ქალისა Anak-
duxტ 'ანაკის ასული'.

შენიშვნა: იუსტის აზრით, ეს არის სალანძღავი მეტსახელი,
რომელსაც სომეხნი თავისი მეფის მკვლელს უწოდებდნენ¹.

6. ანბაზუკ — ოვსთა გოლიათი || აბაზუკ:

„მაშინ ამათ მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ მოუწო-
დეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი
ორნი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთი-
სათა“ (ლ. მრ. 45₇).

„მაშინ მიეტევა ანბაზუკ შუელად ძმასა თვსსა, ხოლო მოს-
წუადნა სუმბატ ჰოროლნი იგი, მიეგება და ეგრეთვე მასცა სცნა
და განავლო, აღილო და დასცა ქუეყანასა ზედა“ (ლ. მრ. 46₁₄).

ძვ. ირ. Hamabāzūka-: პირველი ტერმინი კომპოზიტისა არის
პრევერბი hama-, სკრ. sama-, ფალ. ham-, ახ. სპ. ham-, მეორე—
bāzūka 'ხელი', ფალ. bāzūk 'ხელი', ახ. სპ. bāzū (საშ. სპ.
bāz-āi, bāz-ih), ავ. bāzū-², ოსური bazuḡ 'ხელი', სომხ.
Բազուկ. იხ. ბაზუკი. შეადარეთ საკუთარი სახელი Bāzūk³ (იხ. ქვე-
მოთ). სომხ. *Բազուկ*⁴ 'ოვსთა მეფისა და სომეხი დიდებულის სა-
ხელი'. შეადარეთ აგრეთვე ანალოგიურად ნაწარმოები სკვითური
სახელები.

ვ. მილერის აზრით „Имена царей осов содержат осетинские
слова: Базук—'плечевая часть руки до локтя', Амбазуэ — 'равно-
плечий'“⁵.

6. ანუშარვან (ქასრე ანუშარვან სასანიანი) — მირია-
ნის მამა, სპარსეთის მეფე:

„და ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათე-
სავისა. და ამის-ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან
სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აფლანანიანი, რომელი
იცილობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარს-
თასა“ (ლ. მრ. 59₉). ყველგან სხვაგან მოხსენიებულია, როგორც
ქასრე სასანიანი ან სპარსთა მეფე.

¹ F. Justi, IN, გვ. 15.

² GrirPh, I, 2, გვ. 184.

³ F. Justi, IN, გვ. 66.

⁴ Ա ն ա ղ յ ա ն, Անձ. բառ., გვ. 361.

⁵ В. Миллер, Осетинские этюды, III, гв. 25. შენიშვნა 3.

შემონახული ძველი ირანული ფორმა ამ სიტყვისა ავესტაში არის *anaōšaurvān*¹ 'უკვდავი სული'.

კომპოზიტის პირველი წევრია *anaōša* 'უხრწნელი, უკვდავი', ხოლო მეორე—*urvān* 'სული', ფალ. *anōšak ruvān* (*anōšak* 'უხრწნელი, უკვდავი') ხოსრო I ზეწოდება. ფაზენდ. *anōšruvān*, ახსპარსული *Anōšarvān*, ფირდოუსისთან *Noširəvān*, საიდანაც გვაქვს ქართული სახელი **ნო შ რ ე ვ ა ნ ი**.

არაბული ფორმა ხოსრო ანუშირვანისა არის *Anušarvān Kistrā*², რომელიც, როგორც ჩანს, ამოსავალია ქართული ქასრე ან უშარვანისათვის (შდრ. ქასრე ამბარვეზი).

სომხურში ეს სახელი წარმოდგენილია *Անուշիրուսან Պարսի*-ის სახით. გვხვდება აგრეთვე ფორმა *Անուշასან*³.

7. **ასფაგურ** (ასფაგორ) მირდატის ძე — ქართველთა მეფე:

„მეოცდასამე მეფე, ასფაგურ, ძე მირდატ მეფისა, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 59₃).

„და შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფაგურ“ (ლ. მრ. 59₄).

„ამან ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“ (ლ. მრ. 59₆).

„და ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა“ (ლ. მრ. 59₇).

„და ამან კოსარო სომეხთა მეფემან უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწეოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა“ (ლ. მრ. 59₁₁).

„მაშინ ვითარცა დაიპყრა სომხითი სპარსთა მეფემან და შემოვიდა ქართლად, წარვიდა ასფაგურ ქართველთა მეფე ოვსეთს, რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრნა ციხე-ქალაქნი“ (ლ. მრ. 62₇).

„ხოლო რაჟამს შევიდა ასფაგურ ოვსეთს, ეწია სიკუდილი და მოკუდა მუნ“ (ლ. მრ. 62₁₀). იხ. იქვე, გვ. 62₁₁. 63_{6,18}, 64₈.

„...და მიეგება მათეან სპასპეტი და ყოველნი ერისთავნი ქართლისანი. მაშინ მოიყვანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშუღლით,

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 20.

² F. Justi, IN, გვ. 17.

³ Ա ճ ա ո յ ա ն, op. cit., გვ. 82.

რომელსა ერქუა აბეშურა, და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თუსსა, რომელი მუნ თანა ჰყვა შუდისა წლისა, ნაშობი მკველისა, რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან“ (ლ. მრ. 64_b). იხ. აგრეთვე, მოქც. ქართ.: 7, 10, 11.

ჩვენი ფიქრით, ასფარუგ იგივე სახელია, რაც არმაზის გათხრების დროს მოპოვებული ბერძნული წარწერის Ἄσπαρσους (ἄσπᾶρσους)¹, მიღებული ბვერათა გადასმის შედეგად: ასფარუგ > ასფაგურ.

სახელი ჩრდილო-ირანული წარმოშობისა უნდა იყოს: *Aspār-ug. შესაძლოა აქ ჩვენ საქმე გვაქვს სიტყვასთან *aspār, asvār ‘მხედარი’, გავრცობილთან სუფიქსით -uk || -ug, რომელიც ძალიან გავრცელებულია ჩრდილო-ირანულ საკუთარ სახელებში. შეადარეთ: ბაზუკ, ანბაზუკ, ქსეთარნუგ და მისთანანი. შეადარეთ აგრეთვე Ἄσπαρ² ალანური საკუთარი სახელი, არაბ. asfār, ძვ. ირ. *aspabāra-, ძვ. სპ. asabāra-³ ‘მხედარი, ცხენოსანი’, ახ. სპ. suvār, asvār.

Asparuk — სახელია ბულგარეთის სახელმწიფოს დამაარსებლისა ბალკანებზე (VI ს.), თურქისა, რომელიც სკვითურ სახელს ატარებდა. აბაევი იძლევა ამ სახელის შემდეგ ინტერპრეტაციას: aspa ‘ცხენი’ + ruk, ძვ. ირ. rauka, rauča ‘სინათლე, ნათელი’, ე. ი. ‘ნათელცხენიანი’. შესაძარებლად მოჰყავს ბერძნ. Ἀσπασπας, სკვით. Ἄσπαρσους, სომხ. Asparak < Aspūrak-ისაგან⁴.

რომელია ამ ეტიმოლოგიებიდან უფრო მართებული, ძნელი სათქმელია.

8. აჟღალან ბრძენი — სპარსთა მეფე (მოიხსენიება პირველად ბაამანის შემდეგ, მანამდე უსახელოდ იხსენიებიან სპარსელი მეფეები).

„ხოლო ამისვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარსეთისა. რამეთუ შესრულ იყო ალექსანდრე და განერყუნა სპარსეთი, აქა ჟამადმდე არლარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა. მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აჟღალან ბრძენი. მაშინ სომეხნი და ქართველნი იყვნეს მორჩილ აჟღალანისი სპარსთა მეფისა...“ (ლ. მრ. 43, 10—15).

¹ გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 34, 35.

² F. Justi, IN, გვ. 46.

³ A. Meillet, Vp, გვ. 70; F. Justi, IN, გვ. 34.

⁴ ვ. აბაევი, არმაზის ბილინგვის გარშემო, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 9, 1944, გვ. 823, ОМФ, გვ. 157.

მეფენი აქლალანიანი:

„და ამის-(ასფაგურის) ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუ-შარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აქლალანიანი, რომელი იცნობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ (ლ. მრ. 59₈₋₁₀).

უქვევლია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს არშაკიდების დინასტიის დამაარსებლის არშაკისა და არშაკუნიანების სახელთან, რომელთა არაბულ-ახალ სპარსული სახელის *انسانكشاسان*-ის საშუალო სპარსული ფორმის გადმოცემას წარმოადგენს ქართული აქლალანი და აქლალანიანი. შეადარეთ საშ. სპ. *Ašarān* || *Ašrān* და *Ašarānān* > ქართ. აქლანან > აქლალან, რომელიც გაგებულია დინასტიურ სახელად არშაკის ნაცვლად. სომხურში გვაქვს *Արշակունի* — აქიანი ქართული აქლალანის შესაბამისად, ხოლო აქლალანიანი გადმოცემულია, როგორც *Արշակունիք* — ‘არშაკიდები’¹.

დაწვრილებით აქლალანის შესახებ იხილეთ ზემოთ, საშუალო სპარსულ სიტყვებთან.

9. არდაშირ — სპარსეთის მეფეთა ზეწოდება.

1) ბარამ, რომელი იწოდების არდაშირობით, ძე სპანდიატისა.

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ, რომელი იცნობების არდაშირობით“ (ლ. მრ. 16₁₇).

2) ქასრე არდაშირ სასანიანი:

„და ამის-ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუ შარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აქლალანიანი, რომელი იცნობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ (ლ. მრ. 59₈).

„აწ ვაქსენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქასრე არდაშირისი სასანიანისა“ (ლ. მრ. 64₁₄).

უძველესი ირანული ფორმა ამ სახელისა არის ძე. სპ. *Artaxšātra-* ან ძე. სპარს. *Artaxšassa-*² ‘სამართლიანად მმართველი, მეფე’.

არშაკიდულ ფალაურ წარწერებში გვაქვს *Artaxšatr*, სასანურ წარწერებში *Artaxšēr*, *Artašir*, *Ardašir*, ახ. სპარსული *ارداشیر* *Ardašir*, ბერძნულში დადასტურებულია ‘*Αρταξέρξης*, ‘*Αρταξέρξης*, ‘*Αρταξέρξ*, *Αρταξέρξ* და სხვა, ლათინურში *Artaxerxes*, *Artaxias*,

¹ იხ. „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი, ილია აბულაძის გამოცემა. A. Meillet. Vp, გვ. 170; F. Justi, I^N, გვ. 34.

სირიულში Ardašir, Artašir, Artašahr¹, ებრაულში Artaxšasta, სომხურში Artašes, Artašir².

10. არვანდ (იარვანდ).

1) არვანდ გუშნასპი — მარზაპანი ქართლისა:

„წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისაჲ, ძმ მოგვსაჲ, და წარმართ . იყო იგი“ (ე. მცხ. 161₁).

„...ამის კაცისა პატივი მე არარაჲ ველ-მეწიფეების, არცა აღბმად ძელსა, არცა პყრობილებად, არამედ წარუძღუნაო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასპს, ქართლისა მარზაპანსა და, რად-იგი შეჭგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ველ-მეწიფეების სიკუდილი და ცხორებაჲ“ (ე. მცხ. 163₇).

„და უბრძანა უსტამ მოწოდებაჲ მათი, ხოლო განკითხვად მათი არარაჲ ყო, გარნა ამათ რვათაჲვე შეკრვად ბრძანა და წარცმად ტფილისს არვანდ გუშნასპს, მარზაპანსა ქართლისასა...“ (ე. მცხ. 163₂₁).

„და შემდგომად ექუსისა თვსა მწოდებელი სპარსთა მეფისაჲ მოიწია არვანდ გუშნასპისა“ (ე. მცხ. 164₃₂).

2) იარვანდი — მეფე სომხითისა.

„მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე“ (ლ. მრ. 44₁₄).

„მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმან იარვანდ, მეფე სომეხთა, და დასვა მეფედ ძმა იარვანდისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად არტაშან“ (ლ. მრ. 45₆).

უძველესი ირანული ფორმა ამ სახელისა არის ავესტური ადიექტივი *aurvant-*³ ‘სწრაფი, მამაცი’, შდრ. სკრ. *aurvant*, *aurvataspa* ‘ცხენსწრაფი’ (მზის ღმერთის ეპითეტია); ფალაურში დადასტურებულია *Arvand* და *Arvandāsp*⁴ საკუთარ სახელებად; ახ. სპარ-

¹ H. Hübschmann, AG, გვ. 28; H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 21.

² Ա ճ ա ո յ ա ն, Ա Ն Ճ. բառ., გვ. 305;

სომხური *artašes* გულისხმობს არშაკული ფალაურის ფორმებს *Artaxšas*, *Artašas*, ხოლო ქართული *არდაშირ* და სომხური *artašir* სასანური ფალაურიდან მოდის.

³ H. Reichelt, AE, გვ. 423.

⁴ F. Justi, IN, გვ. 41.

სულში Arvand (ლოპრასპის მამა „შაჰნამეში“), ბერძნულში Ἄρσανος ὄρος, Ὀρόντης, Ὀρόντας, სომხ. სკოლანუ¹.

ქართული არვანდი უშუალოდ სასანური ფალაურიდან არის შემოსული, რაც შეეხება ლეონტი მროველთან დადასტურებულ ფორმა იარვანდს, რომელიც სომეხთა მეფის სახელს წარმოადგენს, იგი, როგორც ჩანს, სომხურ სკოლანუ-ის გადმოცემას წარმოადგენს.

11. არზუკ (არზოკ, არძუკ, აზორკ).

1) ქართლის მეფე, ფარსმან I არმაზელის ძე:

„და დასხდეს მეფედ შემდგომად მათსა შვილნი მათნი, არმაზს აზორკ და შიდა ქართლსა არმაზელ“ (ლ. მრ. 45₁).

„ხოლო ესე მეფენი არმაზელ და აზორკ იყვნეს კაცნი მკნენი და შემმართველნი“ (ლ. მრ. 45₄).

„მეცამეტე მეფენი აზორკ და არმაზელ, ძენი ფარსმანისი და კაოსისა, არშაკუნიანნი“ (ლ. მრ. 45₃, 45₇, 50₁₋₆).

„და უფროჲსად განბოროტნეს და შეკრბეს ყოველნი სპასალარობასა ქუეშე არზოკ და არმაზელისსა, ქართველთა მეფეთასა, და ყოველნი მიეტევნეს სუმბატს და სპათა სომხითისათა“ (ლ. მრ. 46₂₀). აგრეთვე იხ. 47₁₄.

„და იყო კლარჯეთს ერისთავი არზოკ მეფისა, აზნაურვეთაგანი“ (ლ. მრ. 48₁).

საკუთარი სახელი არზოკ წარმოდგება საშ. სპარსული სიტყვი-საგან arzōk 'სიხარული, სიამოვნება, სურვილი, სასიამოვნო, სასურველი'. შდრ. ტურფანის ფალაურში ფორმები: 'wrzawg, 'wrzawg, 'wrzwk² იმავე მნიშვნელობით, ახ. სპარსული ارزو, ارزو — arzū, arzū³, საკუთარ სახელად Arzū, Arzūi⁴ გვხვდება „შაჰნამეში“ (სალმის ცოლის სახელია), სომხ. საკ. სახელი — Արզու⁵.

12. არიკ.

„და მეფობდა არიკ რ⁷ შიდა ციხე აღაშენა არმაზსა“ (მოქც. ქართ. 709₂₁).

ლეონტი მროველთან არიკის ნაცვლად გვაქვს არტაგ. ჩვენი ფიქრით, არ არის სავალდებულო დაეუჯეროთ ლეონტი მროველს და აღვადგინოთ ფორმა არტაგი, რომელიც ლეონტიმ რომელიმე სომ-

¹ H. Hübschmann, AG, I გვ. 40.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 27.

³ H. Haïm, New-Persian-English Dictionary, გვ. 11.

⁴ F. Justi, IN, გვ. 42.

⁵ Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., გვ. 374.

ხური ან სპარსული წყაროს მიხედვით აღადგინა. არიკ ძალიან ჰგავს ირანულ სახელს. ძვ. ირ. *aryaka-, საშ. სპ. arīk 'არიელი, კეთილშობილი'.

ქრონოლოგიურადაც არ უდგება არტაკის მეფობის ხანა, რომელიც პომპეუსის ლაშქრობასთან არის დაკავშირებული და ცნობილია ბერძენი და რომაელი მწერლებისათვის, არიკის, არსაკის ძის, მეფობის ხანას¹. პ. ინგოროყვას აზრით, არიკ-ი წარმოადგენს დამახინჯებულ ფორმას სახელისა არ[ტო]კ, რომელიც თითქოს წარმოსდგა იქიდან, რომ ორიგინალში დაწერილი იყო ქარაგმით არსქ (არტკ, ე. ი. Artok, resp. Artak), რაც დამახინჯდა არსქ-ად (არიკ)².

13. არმაზ.

1) არმაზი (მთა, ცხვირი, ციხე):

„და ესე ქართლოს მოვიდა პირველად აღდილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი“ (ლ. მრ. 8₉).

„ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზლუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზლუდა ცხვრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე“ (ლ. მრ. 13₁₃).

„ხოლო ამან აზონ მოარღვენა ზლუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგომოდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა“ (ლ. მრ. 19₉).

„ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე“ (ლ. მრ. 112₁₃).

„ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი“ (ლ. მრ. 9₁₂). იხილეთ აგრეთვე, ლ. მრ.: გვ. 10₆, 43₂₂, 44₁₀, 45₁, 50_{3,6}.

„ხოლო წმიდამან ნინო შეუსწრო ციხედ არმაზად, და დადგა იგი მახლობელად კერპისა მის ნაპრალსა ზლუდისასა“ (ლ. მრ. 89₉).

„მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა; და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რომელ ჰურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და

¹ იხ. Г. Мелкишвили, К истории древней Грузии, გვ. 51.

² პ. ინგოროყვა, საქ. მუზეუმის მოამბე, XI, გვ. 204.

ლაიჭირის, და ცხენი ქურვილი აღიღის მგართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა* (ჯუანშ. 159_გ). იხ. აგრეთვე, ჯუანშ. 180_ა, არმაზი ქართლი, ჯუანშ. 202_ბ.

„მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდებინ არმაზი“ (ლ. მრ. 8₁₉).

2) არმაზი-ფარნავაზი (კერპი არმაზი):

„და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერიტ-გან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის“ (ლ. მრ. 25₁₀₋₁₁).

„და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“ (ლ. მრ. 26₁₁).

„და ხადოდეს ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა: ოდეს მოვიდეთ მშუდობითო“ (ლ. მრ. 85₁₃).

„მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერთი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაპრებად საგმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“ (ლ. მრ. 88₄).

„და ჰკითხა წმიდამან ნინო დედაკაცსა ვისმე ჰურიასა, ვითარმედ: „რა არს ესე?“ ხოლო მან რქუა: „ღმერთი ღმერთთა არმაზ მიუწესს, რომელ არა არს მისსა გარეშე სხუა კერპი“ (ლ. მრ. 89₂). იხ. იქვე, 29_{3,13}, 92₁, 106₁₀, 101_{17,20,21}.

3) არმაზი (ციხე):

„ხოლო ამის სტეფანოზის-ზე მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი ალოკრდებოდა და კალა აშენდებოდა“ (ჯუანშ. 223₁₂). იხ. აგრეთვე მოქცევე. ქართ. 750₉.

„მას ჟამსა მცხეთას კათალიკოსი იყო სვმონ-პეტრე; და მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალა განდიდდებოდა“ (სუმბატ დავითის-ძე, 373₂).

ჩვენ ვფიქრობთ, მართალია ვეზენდონკი¹, როდესაც აღნიშნავს, რომ ქართული არმაზი, ისე როგორც სომხური *արամაიդ*, აქამენიდების დროიდან არის ნასესხები ამ ენებში და არა საშუალო სპარსულიდან², მართლაც, ეს სიტყვები ფონეტიკურად ყველაზე ახლოს ძველ ირანულ ფორმასთან არიან. შეადარეთ ძვ. სპარსული

¹ O. Wezendonk, Zu altpersisch Auramazda, გვ. 191.

² ჩვენ დამაჯერებლად არ მიგვაჩნია ა. ი. ბოლტუნოვას მოსახრება, რომლის მიხედვით სახელი არმაზი გაიგივებულია ხეთურ-მცირე-აზიურ მთვარის ღვთაების სახელთან Armas და რომელსაც მხარს უჭერს გ. მელიქიშვილი. იხ. А. Болтунова, К вопросу об Армази, ВДИ, 1949, № 2; Г. Меликшишвили, К истории древней Грузии, გვ. 112, 229, 287.

A(h)uramazda¹ 'ირანელთა უზენაესი ღვთაება', ავესტური Ahuramazdah, ძვ. ირ. ahura 'უფალი' (სკრ. asura) + mazda, (სკრ. medhas 'ბრძენი'). საშუალო ირანული ფორმებია Ōhrmazd, მოგვიანებით Hōrmizd, სომხ. Արամազդ².

ქართულში დაცულია აგრეთვე საშ. სპარსული ფორმა უ რ მ ი ზ დ.
14. არსუკ (არსოკ).

„ი“ და მეფობდა არსუკ: რ“მ კასპი შეიპყრა: და ო“ლის ციხე: განაგო“ (მოქც. ქართ. 709₂₄).

„ი“დ და მეფობდა იმიერ არსოკ და ამიერ ამაზაერ“ (მოქც. ქართ. 710₂).—X მეფე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში (ლ. მ რ ო ვ ე ლ - თ ა ნ = არშაკ ნებროთიანი).

არსოკ (არსოკ და ამაზაერ) XIV მეფენი (მოქც. ქართ.). (ლ. მ რ ო ვ ე ლ თ ა ნ ა ზ ო რ კ — და არმაზელ).

ჩვენ ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს სკვითურ სახელთან Arsuk, რომელიც ნაწარმოებია სიტყვიდან arsa, ოს. ars 'დათვი', ძვ. ირ. arša, ავ. aršā-. შეადარეთ 'Αρσάκης (სკვით. სახ.), ოს. aršæg, გვარი Aršægatæ. დაბოლოება -uk ქართულში დადასტურებულ სხვა სახელებშიც გვაქვს. შდრ. ქ ს ე ფ ა რ ნ უ გ, ფ ა რ ნ უ გ, ნ ა ბ ა რ ნ უ გ, ა ს ფ ა რ უ გ და სხვა. მეორე მხრივ, გვაქვს ქართულში არსუკ-იც (შდრ. გვარი არსუკიძე).

შენიშვნა: სკვითური arsa (arša) გადმოსცემს ავესტურ aršā-საც 'დათვი' და aršan-საც 'კაცი, მამრი', ამიტომ ძნელია გარკვევა, რომელ ფუძესთან გვაქვს საქმე ისეთ სახელებში, როგორიც არის 'Αρσάκης ან ჩვენი Ars-uk-. პირველ შემთხვევაში ამ სახელთა მნიშვნელობა იქნებოდა 'დათვია', ხოლო მეორეში — 'მამაცი, ვაჟკაცი'. არც ერთი ეს სახელი არ არის გამორიცხული (შეადარეთ ხევსურული დათვია). აბაევი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ოსურში დადასტურებულია ars მხოლოდ 'დათვის' მნიშვნელობით; ამიტომ მოსალოდნელია, რომ სკვითურშიც მისი მნიშვნელობა ყოფილყო 'დათვი'³.

ლ. ზგუსტა სკვითურ სახელს 'Αρσάκης თვლის სპარსული წარმოშობისად და აიგივებს ცნობილ საშუალო სპარსულ სახელთან Aršak, ძვ. ირ. Aršaka, რომელსაც ირანული ენის მკვლევართა რიგი უკავშირებს ავ. arša-ს 'კაცი, მამრი' და რიგი aršā-ს 'დათვი'. იგი აღნიშნავს, რომ ეს სახელი ძალიან გავრცელებულია აგრეთვე ელინისტურ სამყაროში⁴.

¹ H. Hübschmann, AG, გვ. 28; Ա ճ ա ս յ ա ձ, Ա ն ձ. բար., I, გვ. 303.

² F. Justi, IN, გვ. 7—10.

³ B. Ačaev, OJF, გვ. 155.

⁴ L. Zgusta, Die Personennamen..., §. 544.

შენიშვნა: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის VI მეფე არხ-(ოქ)-ის სახელში აღდგენილია დაბოლოება -ოქ. შესაძლოა აქ გვექონოდა არა -ოქ -ან უკ, როგორც ეს გვაქვს X და XIV მეფეთა სახელებში, არამედ -აკ, მითუმეტეს, რომ ლ. მროველი მას გადმოსცემს როგორც aršak არ შაკს (არშაკ არშაკუნიანი).

X და XIV არსუქ და არსოქ ერთი და იგივე სახელია (უ და თ ხშირად ენაცვლება ერთმანეთს ძველ ქართულ ძეგლებში). ვფიქრობთ, შეცდომაა ლ. მროველის მიერ X არსუქ-ის „არშაკ ნებროთიანად“ გადმოცემა. ხოლო XIV არსოქის — აზორკად გადმოცემა უკვე ორთოგრაფიული ხასიათის აღრევის შედეგია, და შეიძლება გადამწერებს მიეწეროს.

15. არტაგ — არ შაკის ძე, ქართველთა მეფე.

„მოკუდა არშაკ, და მეფე იქმნა ძე მისი არტაგ“ (ლ. მრ. 30₉).

„და ესე მეფე არტაგ ორ წელ ოდენ მეფობდა“ (ლ. მრ. 30₁₁).

„ვერ წინააღუდგა მათ არტაგ, მეფე ქართველთა, რამეთუ დიდ იყო ძალი სპარსთა, არამედ განამაგრნა ციხენი და ქალაქნი“ (ლ. მრ. 30₁₄).

ფალაური საკუთარი სახელი Artak[i] [Artakě zi Rēv]; სირიული Ardak; სომხური *Արտակ*¹.

იუსტი ამ სახელს მიიჩნევს ძე. სპარსული საკუთარი სახელის Artaxšassa-ს² კნინობით ფორმად Arta-ka, აქარიანი მას უკავშირებს არტავაზდს, არტაშანს და სხვა მსგავს სახელებს (რომელთაც პირველ კომპონენტად arta აქვთ). ჩვენი ფიქრით, შესაძლებელია ეს სახელი დამოუკიდებელი საშ. ირანული სიტყვიდან წარმოდგება, სახელდობრ, საშ. სპარსულში დადასტურებული სიტყვიდან artāk³, რომელსაც ნიბერგი თარგმნის brausend, schnell 'სწრაფი, მარდი' და რომელიც საკუთარ სახელადაც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.

16. არტავაზ.

1) სომეხთა მეფის არტაშანის ძე:

„მაშინ წელსა მესამესა მოვიდა სუმბატ ბიერიტიანი და ორნი ძენი მეფისანი არტავაზ და ტიგრან, ყოვლითა სპითა სომხითისათა“ (ლ. მრ. 49₁₀).

2) არტავაზი — ძე საურმაგ სპასპეტისა, ვახტანგ გორგასალის ძუძუს მტე:

„და თანა ჰყვებოდეს მას (ვახტანგს) ორნი მჯედარნი: არტა-

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 28,30; *Աճ ա ո յ ա ն*, *Անգ. բառ.*, I¹ 83-303.

² A. Meillet, Vp, გვ. 68.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 21.

ვაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა, და ბივრიტიან სეფეწული“ (ჯუანშ. 156₁₀).

„და მოუწოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად“ (ჯუანშ. 177₃₀).

„ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი რომელ არს ოპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა (ჯუანშ. 178₃). იხ. აგრეთვე 185₂₀, 186_{7,14}, 189₁₇, 204₃.

ძველი სპარსული Aztavazdah-, ავ. Ašavazdah-, ფალაური Artavazd, ბერძნული Ἀρταουάσδης (Ἀρτάβασδης), ლათინური Artavasdes, Artaosdes—მიდიელ და სომეხ მეფეთა სახელი. შდრ. სომხ. Արտավազ¹.

17. არშაკ.

1) არშაკ—მეფე სომხეთისა:

„ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისსა, არშაკს“ (ლ. მრ. 28₂₀₋₂₁).

2) არშაკ—ქართლის მეფე ფარნაჯომის შემდეგ, სომეხი მეფის ძე:

„მოგუეც ძე შენი არშაკი, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა“ (ლ. მრ. 29₁₂). იხ. აგრეთვე, 29₁₃, 30₄, 30₉.

3) მეცხბრე მეფე, მეორე არშაკი, ძე მირვანისი, ნებროთიანი:

„ხოლო ესე არშაკ მეფე იყო დედით არშაკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. ამან არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი, და ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა“ (ლ. მრ. 33₁₀).

„და მშუდობით შეკრბეს ერთად სომეხნი და ქართველნი და სპარსნი რანისანი, და მოიღეს ქართველთა გვრგვნი არშაკისი. და დაადგეს ადერკის და წარმოიყვანეს“ (ლ. მრ. 35₉).

ძველი სპარსული Aršaka-² (arša ‘დათვი’, ავ. aršā-, სკრ. rksā-, ბერძნ. ἄρσας, ლათ. ursus)+სუფიქსი -ka, ე. ი. ‘დათვია’. შეადარეთ ბერძნული Ἀρσακίης, ლათ. Arsaces, არაბული Ašak, სირიული Aršakaga ‘მეფური’, სომხ. Արշակ³.

18. არტაზან (არტაშან)—სომეხთა მეფე:

„მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმან იარვანდ, მეფე სომეხთა, და დასვა მეფედ ძმა იარვანდისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად არტაშან (არტაბან)“ (ლ. მრ. 45₅).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 30.

² F. Justi, IN, გვ. 27.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 27; Ա շ ա կ ա ն, op. cit., გვ. 290.

„მაშინ წარმოემართა ძალითა თვისითა ყოვლითა არტაშან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი მისი სუმბატ ბიერიტიანი“ (ლ. მრ. 48₉).

„და ესეცა აღუთქუეს ქართველთა, ვითარმედ: „ქალაქსა ამას ჩუენსა დრამა არტაშან მეფისა ხატითა დავსცეთო“ (ლ. მრ. 49₁₆).

ძველი სპარსული Artabānu-, საშ. სპარსული Arδavān¹, ბერძნული Ἀρταβανος, ლათ. Artabānus, არაბული და ახალი სპარსული ارداو ار(δ)ავān, სომხური Արտավան².

არტაშან — მიღებულია შ-სა და ბ-ს აღრევის ნიადაგზე. შდრ. არდაბირ და არდაშირ და სხვა.

19. არჩილ.

1) თრდატის ძე, ქართველთა მეფე (ძმისწული მირდატისა):

„მაშინ შეითქუენეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მეფედ მცხეთას ძე თრდატისი, ძმისწული მირდატისი, მეფისა წარტყუენულისა, სახელით არჩილ“ (ჯუანშ. 139₁₂).

„მეოცდათერთმეტე მეფე, არჩილ, ძე მირდატ მეფასა, ხოსროიანი“ (ჯუანშ. 140₁).

„ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ნათესავი ივბიმიანოს მეფისა, სახელით მარიამ, და განაცხადა მტერობა სპარსთა...“ (ჯუანშ. 140₂).

„მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვსათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლონი, რომელნი მასვე აღეშენნეს“ (ჯუანშ. 140₂₁).

„ამის არჩილის-ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იონა, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან“ (ჯუანშ. 142₁₃). იხ. აგრეთვე ჯუანშერთან, გვ. 141_{11,24}; 143₁ და სხვა.

2) არჩილ II სტეფანოზის ძე, ქართლის მეფე:

„ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და მიპრ“ (ჯუანშ. 232₂₃).

„და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარილო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყვანა ძე თვისი პირმშო მიპრ; და ნახევარი საქონელისა მისისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თვისსა. ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროსი ჰევსა კახეთისასა“ (ჯუანშ. 232₂₃).

¹ H. Nyberg, Hfsb. II, გვ. 21.

² H. Hübschmann, AG, გვ. 30. Ա թ ա ո յ ա ն, Անդ. լատ., I, გვ. 316

„და ერუენა მას ღამესა არჩილს ანგელოზი უფლისა, რომელმან რქუა მას: „წარვედით და ეწყუენით აგარიანთა, რამეთუ მიმივლენია მათ ზედა გუემა სასტიკად მომსრველი, კაცითგან მიპირუტყუთამდე“ (ჯუანშ. 237₁₁).

„მეორმოცდაოთხე მედე, არჩილ, ძე სტეფანოზ მეფისა და ძმა მეფისა მირისა, ხოსროიანი“ (ჯუანშ. 241₁₃₋₁₄).

„ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი“ (ჯუანშ. 241₁₆).

„წარმოვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე“ (ჯუანშ. 243₄).

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყენა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა“ (ჯუანშ. 243₁₆).

„და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანე, და ასულნი ოთხნი: გუარანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშან“ (ჯუანშ. 244₁₃).

„ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თვისსა, სიმენითა გულისა მისისათა, რათა მივიდეს და ნახოს, და ითხოვოს მისგან მშვიდობა, ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა და არა დაპატიჟება დატევებისათვის სჯულისა“ (ლ. მრ. 245₉).

„ხოლო წმიდამან არჩილ ყოვლადვე არა თავს-იდვა სიცბილი მისი, და მტკიცითა გონებითა მიუგო და რქუა...“ (ლ. მრ. 246₁).

„მაშინ რქუა ასიმ წმიდასა არჩილს: „რომლისა ღმერთი მოკუდავი არს და სასოება ცხოვრებისა მოკუდავისა მიმართ აქუს, ჯერ არს მისიცა სიკუდილი“ (ლ. მრ. 247₁₃). იხ. აგრეთვე 248₈, 248₁₄ და სხვა.

ფ. იუსტი ქართულ სახელს არჩილ აიგივებს სპარსულ Artaxir-თან¹, რაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ არ არის სავალდებულო; რაიმე პირდაპირი მითითება ამაზე ძველ ქართულ ძეგლებში არა გვაქვს (მაგალითად, არსად არ არის ნათქვამი, როგორც ეს სხვა მრავალ შემთხვევებში გვაქვს, რომ „არჩილს სპარსულად არდაშირ ერქუა“ ან სხვა ამის მსგავსი). სპარსული Artaxir-იც ქართულში არდაშირის სახით არის დაცული, იხ. ზემოთ.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, ქართული არჩილის შემდეგი ეტიმოლოგია: ძველ სპარსულში დადასტურებულია ეპითეტი

¹ F. Justi, გვ. 64.

ariyačissa¹ 'არიელთა მოდგმისა', ariya 'არიელი' + čissa 'ნათესავი, თესლი, მოდგმა', ავ. čiθra-, ფალაური და ახალი სპარსული čihr 'ტომი, თესლი', რომელიც ძალიან ხშირად გვევლინება მეორე ელემენტად საკუთარ სახელებში. შეადარეთ Manūčihr, ახ. სპ. Minōčihr, Dēvčihr 'დევის მოდგმა', ფაზ. Dēvčihr, Gaučiθra, ახ. სპ. Gōzihr, ავ. hučiθra 'კეთილშობილი, ლამაზსახიანი', ფალაური — hūčihr, ახ. სპარსული hujir, hužir 'ლამაზი, მშვენიერი' და სხვა. ძვ. სპარსული Ariyačiθra-ს საშ. სპარსული ფორმა იქნებოდა *Arčihr, რომელსაც ქართულში კანონზომიერად უნდა მოეცა არჩირ > არჩილ (h ქართულში ჩვეულებრივ იკარგება, ხოლო r დისიმილაციის შედეგად გვაძლევს l-ს). შეადარეთ საშ. სპ. Burzmihr > ქართული ბურჯმილ, Zarmihr > ქართ. ზარმილ და სხვა.

20. აფრიდონ (არფიმო).

1) აფრიდონ — ნათესავი ნებროთისი ლეონტი მროველთან:

„და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასთი, გუელთა უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“ (12₂₄).

„ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხოლო რომელთამე ქუეყანათა შეგზავნა ერისთავნი, კელადნი მისნი...“ (13₃).

„ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ხუდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქუა იარედ“ (13₁₇).

„მიერთგან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთას. და მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი“ (13₁₇).

2) აფრიდონი (ფრიდონი) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან (339₆).

კონტექსტები ლეონტი მროველიდან გვიჩვენებს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ძველი ირანელი გმირის სახელთან (ავესტა, შაჰნამე), შდრ. ავესტური θraetaona „გველეშაპ დაპაკის დამმარცხებელი გმირი“, ფალაური Frētūn², ფაზენდური Frēdūn, ახ. სპარსული Farēdūn, Fēr-

¹ იხ. დარიოსის წარწერა ნახშ-ი რუსტამიდან და სხვები. დარიოსი თავის თავზე ამბობს: Pārsa, Pārsahya, pussa, Ariyā, Ariyačissā 'სპარსელი, სპარსელის ვაჟი, არიელი, არიელთა მოდგმისა'.

² F. Justi, გვ. 331.

idūn, Afridūn, საიდანაც მოდის ქართული აფრიდონი და ფრიდონი. სომხურში ეს სახელი დადასტურებულია *Հրիդոն*-ის¹ სახით < ფალ. *Fr̄idūn*-იდან. ქართულ ფოლკლორში დაცულია აგრეთვე ავესტურ ფორმასთან ახლო მდგომი თრიითინო².

21. ბაამან (შეცდომით ბარამად წოდებული) — სპარსეთის მეფე, ძე სპანდიარტისა:

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიარტისი, რომელი არს სახელით ბარამ (ბაამან), რომელი იცნობების არღამირობით...“ (ლ. მრ. 16₉, შენ. 16, სქ. 3).

ახ. სპარსული და არაბული Bahman — *بَهْمَن* < საშ. სპ. *Vō-human*, ავ. *Vohu-manā*³ ‘კეთილი სული, აზრი’, სომხ. *Bahman*⁴.

22. ბაზუკ, ბაზოკ — ოვსთა მეფე:

„მაშინ ამათ მეფეთა ქართლისათა აზოკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა“ (ლ. მრ. 45₇).

„და ბაზოკ ოვსთა მეფემან სთხოვა მუქარა, მიუგზავნა მოციქული და ითხოვა თავის-თავ ბრძოლა“ (ლ. მრ. 46₉).

„ხოლო სუმბატ აღიჭურა და აღჯდა ვარსამატსა თვისსა და განვიდა განწყობილთა შორის. და მუნით გამოჰდა ბაზოკ“ (ლ. მრ. 46₁₀).

ავესტური *bāzū*⁵ ‘ხელი’, სკრ. *bāhū* ‘ხელი’, ფალაური *bāzāi*, *bāzāih*, ახ. სპარსული *bāzū*, სომხ. *բազուկ*, ოსური *bāzug*⁶.

საკუთარ სახელად გვხვდება ირ. *Bāzūk*⁷, სომხ. *բազուկ*⁸ — სომეხი. დიდებულის სახელი.

23. ბაგრატი.

1) მამა ბაგრატიონიანთა (ერთი შვიდიმათაგანი):

„ესენი წარმოვიდეს ეკლესიით, რომელნი მონათლნა რაქაელ

¹ H. Hübschmann, AG. I, გვ. 32.

² გ. ახვლედიანი, „ავესტა“, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 4.

³ F. Justi, გვ. 374-375; AirWb, გვ. 1131

⁴ Ահարոյան, Անձ. բառ., I, გვ. 372.

⁵ H. Reichelt, AE, II, გვ. 184.

⁶ GrirPh, I, 2, გვ. 184.

⁷ F. Justi, გვ. 66.

⁸ Ահարոյան, Անձ. բառ., გვ. 355.

დედოფალმან, ძმანი შვდნი ჰურიანი, ტყუეობით მოსრულნი ქუე-
ყანით ფილისტიმით, და ნათელ იღეს ეკლესს კელითა რაქაელ დე-
დოფლისათა, რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ
ერთსა სახელ სდვა მუშელ, და ერთსა ბაგრაატ, რომელ არს მამა
ბაგრაატონიანთა, ერთსა აბგაეარ; ერთი შემოიყვანა სიძედ და ორნი
მათგანნი ამზახნა სომხითის მეფეთა“ (სუმბატ დავითის-ძე, 374₃).

2) ბაგრაატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატ არ-
ტანუჯელისა (მას ჰყავდა 4 ძე: ადარნასე, გურგენი, აშოტი
და დავითი):

„გარდაიცვალა ბაგრაატ მამფალ-არტანუჯელი, ძე სუმბატ
მამფალ ანთიპატი არტანუჯელისა, ძისა ადარნასესი, და ძმა და-
ვით მამფალ მონაზონ-ქმნილისა, ქორონიკონსა რ⁷კთ“ (მატ. ქართ.
260₆). იხ. აგრეთვე, 260_{9,11,13,15,17}.

„და მამფალი სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ
დიდისა, გარდაიცვალა ქორონიკონსა რ⁷თ, და დაუტევნა ძენი ორნი:
ბაგრაატ მამფალი არტანუჯელი და დავით მამფალი“ (სუმბატ
დავითის-ძე, 379₂₀). იხ. იქვე, გვ. 380_{4,11,5}, 381_{18,21}, 380_{6,7}.

3) ბაგრაატ არტანუჯელი—ძე სუმბატ ერისთავისა:

„გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთ-ერისთავი, ძე მის დავით მამ-
ფალ მონაზონისა, ქორონიკონსა ს⁷შ, და დაუტევნა ძენი ორნი: და-
ვით და ბაგრაატ“ (მატ. ქართ. 259₁₇).

„გარდაიცვალა ესე ბაგრაატ, ძე სუმბატისი და ძმა დავითისი,
ქორონიკონსა ს⁷შ, მასვე წელსა, რომელსა წელსა მოკუდა მამა მისი
სუმბატ, და დაუტევნა ძენი ორნი: გურგენ და ბაგრაატ“ (მატ.
ქართ. 259₁₈). იხ. აგრეთვე, 383_{3,9}.

„გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა-ერისთავი, კაცი მართალი, ძე
დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქორონიკონსა ს⁷შ და დაუტევნა ძენი
ორნი: დავით და ბაგრაატ“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₂₆).

„და შემდგომად მიცვალებისა მისისა დღესა მეორმოცესა გარ-
დაიცვალა ძე მისი ბაგრაატ, და დაუტევნა ძენი ორნი: სუმბატ
და გურგენ“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₂₆).

„და ამან ბაგრაატ კურაპალატმან მოიყვანნა კლარჯნი კელმწი-
ფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრაატ არტანუჯელისანი, თვისნი
მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანას-
კერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი“ (სუმბატ დავითის-ძე,
382₂₂). იხ. იქვე, 381₂₆.

4) ბაგრატი — ძე დავითის ერისთავისა, ძისა ბაგრატი მამფლისა:

„გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატი არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ^მზ, და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისა, რომელსა-იგი ეწოდა ბაგრატი“ (სუმბატ დავითის-ძე, 380₁₆).

5) ბაგრატი — ძე სუმბატ არტანუჯელისა:

„და სუმბატ დაუტევა ძე ერთი სახელით ბაგრატი“ (მატ. ქართ. ჩანართი, 258₂₂).

„ამისა შემდგომად ბაგრატი მეფემან მოვლო ყოველი სამეფო თვისი, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ჯევათა ტაოსთა, და მო-რა-იწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა თანასკერტისასა, წელსა მესამესა და მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატი მეფე“ (მატ. ქართ. 283₁₈).

6) ბაგრატი I კურაპალატი, აშოტი I დიდი კურაპალატის ძე:

„მეორმოცდაშვიდე კურაპალატი, ბაგრატი, ძე აშოტი კურაპალატისა და ძმა აღარნასესი და გუარამისი, ბაგრატიანი“ (მატ. ქართ. 255₁).

„ხოლო ამან ბაგრატი და ძმათა მისთა დაიპყრეს არტანუჯით გამოღმართ მათი ნაქონები იგი მამულები მამისა მათისა, და ზორჩილობდეს საკეინოზთა. ხოლო ვითარ მოვიდა მოჰამედ ქართლს და მიერთო მას ბაგრატი კურაპალატი, მაშინ გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეჟს, ხოლო მოჰამედ და ბაგრატი წარიდეს უფლისციხე“ (მატ. ქართ. 255₇₋₁₀).

„გარდაიცვალა ბაგრატი კურაპალატი, ძმა ამის აღარნასესი, ქორონიკონსა 7^ვ, და დაუტევნა სამნი ძენი: დავით, აშოტი და აღარნასე“ (მატ. ქართ. 258₁). იხ. აგრეთვე, 258_{2,4,14,18}, 255₁₈, 256₆.

„და წარემართა (აშოტი), რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩვლნი, უხუცესი აღარნასე და შედეგი ბაგრატი“ (სუმბატ დავითის-ძე, 376_{1,4}).

„ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამულები მამისა მათისა, დასუეს ბაგრატი კურაპალატად“ (სუმბატ დავითის-ძე, 378₉). 378_{14,18}, 379₆.

7) ბაგრატი მაგისტროსი — ძე აღარნასე I ქართველთა მეფისა:

„გარდაიცვალა ძმა ამათი და ძე აღარნასე მეფისა, ბაგრატი მაგისტროსი კურაპალატი, ქორონიკონსა რ^დე“ (მატ. ქართ. 266₁₈).

„გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ³მ³გ, და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს“ (სუმბატ დავითის-ძე, 380₁₉).

„გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა რ³მ³ე, თუესა მარტსა, და დაუტევა ძე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მაგისტროსი იქმნა...“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₄).

8) ბაგრატ II რეგენი—საქართველოს მეფე, ბაგრატ III პაპა, ძე სუმბატ I კურაპალატისა:

„გარდაიცვალა სუმბატ მეფე-კურაპალატი, ძე ადარნასე მეფისა, და ძმა დავით მეფისა, ქრონიკონსა რ³მ³მ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ რეგენი, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მეფე იქმნა, და ადარნასე კურაპალატი“ (მატ. ქართ. 266₁₆). იხ. იქვე, 266_{21,23}, 277₄, 278₁₃. აგრეთვე, სუმბატ. 381_{14,21,31}.

9) ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი—ძე ადარნასე კურაპალატისა:

„გარდაიცვალა ბაგრატ, ძე ამისა ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა რ³მ³თ“ (მატ. ქართ. ჩანართი, 266₁₃).

„მოკუდა უნებლიეთ (ფიჩვთა, ადარნასე) და დაუტევა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთ-ერისთავი. გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა რ³მ³ვ, ხოლო ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა დიდად“ (სუმბატ დავითის-ძე, 381₁₈).

10) ბაგრატ III საქართველოს მეფე, ძე გურგენისა, ასულის წული გიორგი აფხაზთა მეფისა:

„ამან (ივანე მარუშისძემ) წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა; აწვა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღილოს ქართლი: ანუ დაიშვიროს თვით ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა იყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“ (მატ. ქართ. 272₁₁). იხ. აგრეთვე 272_{19,20}.

„და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფლისციხე გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ეამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ასაკითა თვისითა უსრულ, ამისათვის თანაგანმგებლად დაუტევა მამა მისი გურგენ“ (მატ. ქართ. 274₈). იხ. აგრეთვე, 278₁, 281₁₇, 283₇, 275₉₋₁₀, 283₂₃ და სხვა.

„და მივიდეს მის წინაშე ბაგრატი აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენ. და მოსცა მათ ბასილი მეფემან, პატივი — გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმა-ცუა“ (სუმბატ დავითის-ძე, 382₉₋₁₀). იხ. აგრეთვე 381₁ და სხვა.

11) ბაგრატი IV საქართველოს მეფე, ძე გიორგი I-ისა:

„(გიორგის) ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატი და დემეტრე, და ასულნი გუარანდუხტ და კატა“ (მატ. ქართ. 291₆).

„მეორმოცდაცამეტე მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, ბაგრატი, ძე გიორგი მეფისა, ბაგრატიანი“ (მატ. ქართ. 291₁₀).

„შემდგომად მიცვალებისა დიდისა მეფისა გიორგისსა, მასვე ჟამსა მეფე იქმნა ბაგრატი ყოველსა მამულსა სამეფოსა მისსა ზედა, ზემოსა და ქუემოსა, წელიწდისა ცხრისასა“ (მატ. ქართ. 291₆).

„და ვითარ დიდად იღელვებოდა ქუეყანა ესე, კუალადცა პატივ-სცა ღმერთმან ბაგრატს, აფხაზთა და ქართველთა მეფესა. ეწია სენი სასიკუდინე კოსტანტინე მეფესა“ (მატ. ქართ. 293₃). იხ. აგრეთვე, 295_{21,9}; 296_{15,18}; 299_{9,18}; 302₁₈; 303₂.

„ხოლო დიდმან ბაგრატი მეფემან გაათხოვა ასული თვისი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა“ (მატ. ქართ. 308₆). იხ. იქვე, 308_{3,3}.

12) ბაგრატი — ძე დემეტრესი, აფხაზთა მეფისა:

„...ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა. ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით“ (მატ. ქართ. 258₆).

„და ეცრუა იგი (ცოლი გიორგი მეფისა) ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატი ზღუასა“ (მატ. ქართ. 258₉).

„ხოლო ბაგრატი, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი, შესრულ იყო საბერძნეთად, კონსტანტინეპოლედ, და მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარი, და მოგზაენა ზღვთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი“ (მატ. ქართ. 261₆). იხ. იქვე, 261₉.

„და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატი, დისიძე ნასრესი, და შესწია მან დიდითა ლაშქრითა, მეფემან აფხაზთამან, და მუნთი გარდამოვიდა ნასრ სამცხეს და შეკრიბა სხუაცა ლაშქარი ურიცხვ“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₇).

13) ბაგრატი — აფხაზთა მეფის კოსტანტი III ძე.

„რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი მეფესა: ერთი უხუცესი და მეორე, რომელი უშვა მეორემან ცოლმან, უმრწემესი. უხუცესსა ერქუა გიორგი, უმრწემესსა ბაგრატი“ (მატ. ქართ. 264₁₉).

„ხოლო ესე ბაგრატი სიძე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა“ (მატ. ქართ. 265₃).

ბაგრატიონნი, ბაგრატიონიანნი: ჯუანშერთან—161₆, 253₃, 243₁₁; სუმბატ დავითის ძესთან—373₁₃, 369₈; ლაშა გიორგის მემატიანესთან—„ოვსთ მეფენი ტომი ბაგრატიონთა“. შეადარეთ აგრეთვე ბაგრატიონი, ბაგრატიონნი: ჯუანშერი—218₅, მატ. ქართ.—271₁₀, 282₃₀, 283₃.

„არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხოვრებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათოთხმეტესა წელსა, იერუსალმის პატრიაქობასა ავათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა..., ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა..., მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატი მაგისტროსისასა, ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა“ (გრ. ხანძთ. 270₉).

„მას ჟამსა ბაგრატი კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თვსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოილო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თვისა...“ (გრ. ხანძთ. 260₁₄).

ძველი სპარსული Bagadāta-¹ ‘ღვთის მოცემული’, ‘ღვთის წყალობა’. ანალოგიურად ნაწარმოები საკუთარი სახელები ძალიან გავრცელებულია სხვადასხვა ენაში. შეადარეთ, მაგალითად, რუსული Богдан, ბერძნული Βαγαδάρης, ფალაური Yazdānbaxš, თურქული Alahwerdi, სომხური Աստուածատուր, ქართული ღვთის წყალობა — შემოკლებით წყალობა. ავესტაში დადასტურებულია ფორმა Βαγδāta, ბერძნულში Βαγαδάρης, სირიულში Bakh-dādī, არაბულში Βαγδād > اباد, სომხურში Բագարատ².

შენიშვნა: ჰიუბშმანს შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე ძველი სპარსულისათვის ფორმა *Bagarāta (baga ‘ღმერთი’ + სკრ rata ‘საჩუქარი, ნაბოძები’). მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი დაშვების საჭიროება აუცილებელი არ არის: ძვ. ირ. Bagadāta, რომლის ფალაური ფორმაა Bagdāt, სომხურში უეჭველად მოგვეცემდა ფორმას Bagarat, რადგან საშ. სპ. ბ.ს (ხმოვანთა შორის) სომხურში კანონზომიერად შეესატყვისება r.

24. ბაკური.

1) ბაკური I ვაჩეს ძე, ქართლის მეფე:

¹ F. Justi, გვ. 57; H. Hübschmann, AG, გვ. 31 და 146.

² Ա. ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., გვ. 355.

„მეოცდაერთე მეფე, ბაკურ, ძე ვაჩესი, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 58₁₅).

„და შემდგომად ვაჩესსა მეფობდა ძე ვაჩესი ბაკურ“ (ლ. მრ. 58₁₆).

2) ბაკურ II — ძე დაჩისა, ქართველის მეფე:

„მეოცდათხუთმეტე მეფე, ბაკურ, ძე დაჩი მეფისა, ხოსროიანი“ (ჯუანშ. 206₁).

„და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ. და მოკუდა ბაკურ. და დაჯდა მეფედ ძე მისი ფარსმან“ (ჯუანშ. 206₃₋₄).

3) ბაკურ III — მეფე ქართველთა, ფარსმან VI ძე:

„და ვახტანგისთვან კათალიკოსნი გარდაიცივალნეს რვანი და მოკუდა ფარსმან, და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ“ (ჯუანშ. 215₃₀).

„ესე ბაკურ იყო მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამან განამრავლნა ეკლესიანი და მღვდელნი სამეფოსა შინა თვისსა“ (ჯუანშ. 215₂₂)“.

„მაშინ ბაკურ, მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველთა ერისთავთა მისთა, და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად, და წარემართა ვარსკენს ზედა პარვით“ (ჯუანშ. 216₁₃). იხ. აგრეთვე 216_{18,22,29}, 217_{4,11}, 219₁, 226_{1,6}, 226₆.

4) ბაკური — ერისთავი მარგვსა და თაკუერისა:

„და ბაკურ ერისთავი მარგვსა და თაკუერისა“ [ერთ-ერთი შვიდი წარჩინებულთავანი, რომელიც ვახტანგ გორგასალმა დაუტოვა დაჩის, თავის დისწულს] (ჯუანშ. 185₁₉).

5) ბაკური — პიტიახში სომხითისა:

„და თვთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა. და დაჯ მისი ხუარანძე მისცა ბაკურს ცოლად, პიტიახშსა სომხითისასა“ (ჯუანშ. 199₁₈).

6) ბაკური — ნერსეს ძე, კახეთის ერისთავი:

„ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საპაკ დაუზახა ბაკურს, ძესა ნერსესსა, ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაპარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“ (სუმბატ დავითის-ძე, 374₁₃).

7) ბაკურიანის ძე გრიგოლ, ზორავარი აღმოსავლეთისა:

„ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორავარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და

კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს“ (დავ. აღმაშ. 318_გ).

უძველესი ირანული ფორმა ამ სახელისა არის *Bagaputhra ‘ღეთის შვილი, ძე ღმრთისა’. სკრ. bhagaputra¹; საშ. სპ. *bay. pnr, რომლისგანაც მომდინარეობს არაბ. სპარსული Fayfūr—ჩინეთის იმპერატორისა და ბიზანტიის კეისრის ტიტული (შდრ. ქურთ. fagfuri, farfuri და სხვა. ქართ. ფაიფური), სომხურში დაცული *ძსნբսჰიւր*² — ქენბაკური—ჩინეთის იმპერატორი. ბერძნ. παξόρος, παξόρης, ლათ. Pacorus, სირ. Paqūr³, სომხ. საკ. სახელი *Բակուր*⁴.

25. ბალენდუხტ — ვახტანგ გორგასალის მეუღლე, სპარსთა მეფის ასული:

„ესე ყოველი მიუძღუანა სპარსთა მეფესა ჯელითა ბინქარან ეპისკოპოსისათა, და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად; ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ“ (ჯუანშ. 158₁₀).

„ხოლო ვახტანგ მეფესა უშენა ცოლმან ძე და ასული მარჩბივად, და მოკუდა შობასა შინა ბალენდუხტ დედოფალი, ასული სპარსთა მეფისა“ (ჯუანშ. 178₁₂).

სახელი ბალენდუხტ ნიშნავს ბალენის ასულს, შეადარეთ საგდუხტ, მირანდუხტ და სხვა.

ხოლო საკუთარი სახელი ბალენ არის ალბათ სპარსული Balan. ახალი სპარსული ფორმა სახელისა Wardan, ფ. იუსტის აზრით, იგივეა, რაც Golaudux⁵.

26. ბარამ.

1) ბარამი — სპანდიატის ძე (=ბაამან):

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ, რომელი იცნობების არდაშირობით“ (ლ. მრ. 16₁₇).

2) ბარამი — ჰერთა დიდებული:

„რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ვსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ“... (დავ. აღმაშ. 328₁₀).

¹ P. Horn, GrnpEt, გვ. 71. შენიშვნა 1.

² H. Hübschmann, AG, გვ. 49. შენიშვნა 2. ვ. ჰენინგის აზრით, ახ. სპარსული ფორმები fayfūr (baybūr fayfūr ნასესხებია სოლდურიდან. იხ. W. Henning, Sogdian Loan-Words in New Persian, BSOS. vol. X, part I, 1939, გვ. 94.

³ F. Justi, გვ. 238.

⁴ Ահառյայն, Անձ. բառ., გვ. 367.

⁵ F. Justi, გვ. 62.

3) ბარამი -- ქავთარის მამა:

„...და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან“ (დავ. აღმაშ. 328₁₁).

4) ბარამ ჩუბინი — სპარსთა სარდალი, ძე ბარან-გუშნასპისა მიჰრანის გვარიდან, ორმიზდ IV მხედართმთავარი (გამეფდა 590 წელს და დამხოვილ იქმნა ხოსრო მეორის მიერ რომაელთა დახმარებით):

„მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქვა ბარან ჩუბინი... რამეთუ იგივე ბარამ ჩუბინი გაადგა სპარსთა მეფესა, და დასწუნეს თუალნი ურმიზდ მეფესა ცოლის ძმათა მისთა, და იწყეს ბრძოლად ჩუბინმან და ქასრე“ (ჯუანშ. 220₄₋₁₂).

5) ბარამ-ჯური სპარსელი:

„...ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის (ითქმის) მოქმედად უცხოთა და საკვრველთა, გარნა ჰეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვხილავს ჩუენ“ (დავ. აღმაშ. 349).

ამ სახელის უძველესი ირანული ფორმა დადასტურებულია ავესტაში *Vərəθraγna*¹ ‘ღმერთის სახელი, გამარჯვების გენია’. შეადარეთ სანსკრიტული *Vrtrahān* ‘ღემონ ვრტრას მკვლელი’ (ღმერთი ინდრას ეპითეტია), ძველი სპარსული *Vrθraγna*. შეადარეთ: ავესტური *vərəθra* ‘თავდასხმა, შეტაკება’, სკრ. *vṛtra* ‘სულთა მხუთავი. მჩაგვრელი’ + ავ. *gan-*, სკრ. *ghan-* ‘კვლა, ცემა, დარტყმა’; არშაკიდული ფალაური ფორმა ამ სახელისა უნდა ყოფილიყო **Varhragn*. საიდანაც გვაქვს სომხური საკ. სახ. *Վահրայն*² (ფალ. უფრო ძველი წერილობითი ფორმა კი *Varθragu*). სასანურ წარწერებში დადასტურებულია ფორმა *Varhrān*, წიგნურ ფალაურში *Vahrān*, სირიულში *Varaθrān*, მანდ. *Bahrān*, ბერძნულში *Οὐραραθρηνς*, *Βαραραθρηνς*, *Γοραραθρηνς*, აგრეთვე *Βαραθρηνς*, *Βάραμ*³, ახ. სპ.-არაბ. *Bahrān*. სომხური *Վահրամ ճուլին* — შემოკლებით *Վրամ*⁴. ქართული ბარამი ყველაზედ ახლოს არაბულ-ახალ სპარსულ ფორმებთან დგას.

27. ბარზაბოდ — მირდატის მეუღლის საგდუხტ დედოფლის მამა, ერისთავი რანისა და მოვაქნისა:

„მას ჟამსა შინა იყო რანს ერისთავად ბარზაბოდ...“ (ჯუანშ. 141₇).

„ხოლო ბარზაბოდს, ერისთავსა რანისასა, ესუა ასული

¹ H. Reichelt, გვ. 489.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 76 — 78.

³ Ահարայն, Անბ. բար.: H. Hübschmann, AG, I, გვ. 76, 77, 76.

⁴ F. Justi, გვ. 361.

ქმნულკეთილი, შუენიერი, რომელსა ერქუა საგდუხტ...“ (ჯუანშ. 141₁₀₋₁₄).

„მაშინ არჩილ მეფემან აღუსრულა ნება მისი. წარგზავნა მოციქული ბარზაბოდისსა, და ითხოვა ასული მისი. ცოლად ძისა თვისისა“ (ჯუანშ. 142₁); იხ. იქვე, 142₂, 144₂.

„მაშინ ბარზაბოდ, განმზადებულმან ბოროტის ყოფად ქართველთათვს, შეიწყალა ასული თვისი: არა აიძულა დატეგება სჯულისა, და აღასრულა ყოველი თხოვა მისი“ (ჯუანშ. 144₁₇).

„მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსი ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“ (ჯუანშ. 145₄). იხ. იქვე, 145₆, იხ. აგრეთვე, მოქც. ქართ. 791₁₇.

ეს სახელი მომდინარეობს ავესტური სიტყვიდან *Barazabōd*¹ 'მაღალი შეგნების ან გრძნობის მქონე, გონიერი, ჭკვიანი'. საშ. სპარსული ფორმაა *Barzabōd*, ავ. *barəz-*, ძვ. სპ. **barda-*, ფალ. *burz* 'მაღალი' + *bōdāh-* 'შეგრძნება, შეგნება' (ფალ. ხნბ-სუნი, სომხ. բար, ² ახ. სპ. Կօ—ხօ).

28. ბარტამ.

1) ქართლის მეფის ადერკის უფროსი ვაჟი:

„ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ“ (ლ. მრ. 43₁₈).

„მეთერთმეტე მეფენი ბარტამ და ქართამ, ძენი ადერკი სომეხთა მეფისა, არშაკუნიანნი“ (ლ. მრ. 44₁).

2) ბარტამი, ბარტომი — ქართლის მეფე, არტაგის ძე:

„მაშინ ბარტომ მეფემან განაწყყენა სპანი თვისნი, და მიმართა ყოვლითა სპითა მირვანს, და მუნით მირვან მოეგება სპითა ყოვლითა“ (ლ. მრ. 32₈). იხ. იქვე, 20₁₇₋₁₉, 32₁₈, 35₁₀ და სხვ.

3) ბარტამი — სპარსეთის მეფე (უმცროსი შვილი ქასრე არდაშირ სასანიანისა):

„ხოლო ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმოციისა, მაშინ მოკულა მამა მისი. სპარსთა მეფე, და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ სპარსეთს ძმა მირიანისი უმრწემესი, რომელსა ერქუა ბარტამ“ (ლ. მრ. 67₁). იხ. აგრეთვე, გვ. 67_{13,18,19}, 69₁₀.

4) ბარტამი — სპარსეთის მეფის ხუასროს ძე (იგი მოკლა ვახტანგ გორგასალმა):

„შევიდა კარავსა შინა მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა; და ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკუთათა თავი მისი“ (ჯუანშ. 202₁₀). იქვე, 201₁.

¹ F. Justi. გვ. 65.

² H. Hübschmann. AG, I, გვ. 76—78.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სახელიც ირანული წარმოშობისაა, რადგან სპარსეთის მეფესა და უფლისწულსაც ეწოდება, ქართველ მეფეთა გარდა. ბარტამის ირანული ეტიმოლოგია ჩვენ შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი: ძვ. ირანული ფორმა *baδratama-* 'უნეტარესი, უბედნიერესი, უმშვენიერესი', ავ. *baδra-* 'ბედნიერი', სკრ. *bhadra-* (ზდრ. ავ. *hubaδra* 'ბედნიერი, კეთილი ბედისა', ფალ. *hubahr*). *bahr* 'სიკეთე, სილამაზე'. არამეული *bahrag* 'შესანიშნავი'¹ + *-tama* აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსი.

საშ. სპარსული ფორმა უნდა ყოფილიყო **bahrtam*, საკუთარ სახელად *Bahrtam*, საიდანაც გვაქვს ქართული ბ ა რ ტ ა მ ი².

29. ბაქარ — მ ი რ ი ა ნ ი ს ძ ე , ქ ა რ თ ლ ი ს მ ე ფ ე (რომელიც მძევლად ჰყავდა კონსტანტინე კეისარს).

„და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა. და მოიყვანა ძე მისი ბ ა ქ ა რ და ცოლი მისი ნანა, და რქუა ნანას“ (ლ. მრ. 129₉). იხ. გვ. 70₃, 129₁₉, 128₁₃, 130₁₁. აგრეთვე ჯ უ ა ნ შ ე რ თ ა ნ 159₉.

ფ. იუსტის აზრით, ბაქარ (*Bahkar*) სახელ *παχαιρος*-ის (= ქართ. ბაკური) ქართულ ფორმას წარმოადგენს. იხ. ბაკური.

30. ბახტიად.

„ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: ვინ არიან იგინი? და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბ ა ხ ტ ი ა დ , ერთსა ბორჯო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“ (ე. მცხ. 163₁₃).

„და ვითარ ესმა მარზაპნისა სიტყუაჲ იგი: რომელმან აღიაროს, იგი ვა/ცხოვნო, და რომელმან არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილესა შინა მოკუედინო, მას ჟამსა ეშმაკი შეუქდა გულსა ბ ა ხ ტ ი ა დ ი ს ს ა და პანაგუშნასპისსა და უვარ-ყვეს ქრისტე და უღმრთოებაჲ აღიარეს“ (ე. მცხ. 164₁₁).

„ხოლო ბ ა ხ ტ ი ა დ ს და პანაგუშნასპს ნუგეშინისსა და განუტევნა იგინი, ხოლო საფასესა და კეთილსა რომელსა უქადებდა მათ, არცა ფსირიდი ერთი მისცა მათ“ (ე. მცხ. 164₂₇).

„ხოლო რომელთა-იგი უვარ-ყვეს ქრისტე, ბ ა ხ ტ ი ა დ ეშმაკეულ იქმნა და ძნელად მოკუდა, ხოლო უბადრუკმან პანაგუშნასპ გლახაკობითა აგნა დღენი“ (ე. მცხ. 165₁₇).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 29.

² პირველი და მეორე ბ ა რ ტ ა მ ი ს (თუ ბარტომის) შესაბამისად მოქცევაჲ ქართლისაჲს ტექსტში წარმოდგენილია სახელი ბ რ ა ტ მ ა ნ . (იხ. მოქც. ქართ. გვ. 709_{22,23}). ამ სახელის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

ძველი ირანული *Baxtdāta 'ბედის მოცემული, ბედის წყალობა', ფალაური Baxtdāt > baxtyād (baxta 'ბედი' + dāta 'მოცემული').

შეადარეთ ანალოგიურად ნაწარმოები საკუთარი სახელები: ფალ. Spanddāt, ავ. spəntō. dāta, არაბ. Isfandyād, ახ. სპარსული Isfandyār (r d-ს ნაცვლად ორთოგრაფიული აღრევის ნიადაგზე მიღებული ითვლება)¹, ირ. საკუთარი სახელი Baxtiyar < Baxtdār-იდან 'ბედის მქონე, ბედნიერი', სპარსულ-არაბული بختیار — Baxtiyar², სომხ. *Բախտիար*³.

შენიშვნა: არ არის გამორიცხული, რომ საკუთარ სახელებში Isfandyar და Baxtiyar ბ-ს გადასვლა r-დ ორთოგრაფიული აღრევის ნიადაგზე კი არ იყოს მიღებული, არამედ r სპირანტული ბ-ს დიალექტურ ექვივალენტს წარმოადგენდეს, როგორც ეს სომხურისათვის გვაქვს ხშირად. შეადარეთ ხაჯბāt, სომხ. *Բազարատ* ბ ა გ რ ა ტ და მისთანანი.

პ1. ბაჰლაუნდი (ბეშქენ ბაჰლაუნდი).

„...სადა-იგი მონასტერი შუენიერი შშნ არს, რომლისა-იგი იყენეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია, ხოლო აწ კუილად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ, ძისა იოვანშისი“ (ს. ზ. 235₆).

უძველესი ირანული ფორმა ამ გვარ-სახელისა არის ძველი სპარსული Parθava 'პართია, პართელი, პართული', საშ. სპარსული Pahlav, Pahlavān, ახ. სპ. Pahlav, Pahlavān 'გმირი, ფალავანი'⁴, არაბული Pahlavān (šams ad-dīn)⁵, სომხური გვარ-სახელი *Պահլավունք*. დაბოლოების მიხედვით ქართული ბაჰლაუნდი თითქოს ყველაზე ახლოს სომხურ ფორმასთან არის. განსხვავებას ქმნის თავკიდური ბ ქართულ ფორმაში და ზედმეტი დ სიტყვის ბოლოს.

თავკიდური ბ შესაძლოა დისიმილაციური გამგლეგრებით აიხსნას (შეადარეთ ბატარა < პატარა, ბატონი < პატრონიდან და მისთანანი), რაც შეეხება ბოლოკიდურ დ-ს, საინტერესოა, რომ ეს დ განვითარებულია ამ სახელის ახ. სპარსულ ფორმაშიაც, რომელიც დაუღულია გვარში ფალავანდიშვილი, მაგრამ ფალავანი.

პ2. ბევრასფი.

„გუელთა უფალი“ — ზოაქის ეპითეტი:

„და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმი-

¹ GrirPh, I, 2, გვ. 192.

² F. Justi, IN, გვ. 61.

³ Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., I, გვ. 367.

⁴ GrirPh, II, გვ. 34.

⁵ F. Justi, IN, გვ. 237.

რი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაქვეთა ბევრას ფი, გუელთა უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“ (ლ, მრ. 12₂₄).

ავესტური Baevārāspa¹ 'მრავალცხენიანი, 10.000 ცხენის მფლობელი', გველემბა *Ažidahāka*-ს ეპითეტი. საშ. სპარსული ფორმებია: *bēvarasp*, არაბ. *Baiwarāsb* — *Baiwarāsf*, სირიული *B[ew]aršpag*, სკვითური *Βαιράσπας*²; სომხური *Բիւրասպ Աժդահակ*. ქართული ფორმა, როგორც ჩანს, ნასესხებია ფალაურიდან და არა „შაჰნამედან“.

ვჰ. ბეშქენ (ბეშქენ ბაჰლაუნდი).

1) დიდი მთავრის მირიანის მამა:

„...დაი გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისა, ძისა იოვანცისა“ (ს. ზ. 236_კ).

2) ძმები — სულა, ბეშქენ და ლაკლაკი (ს. ზ. 236_გ).

3) ბეშქენ ჯაყელი (თუხარისის ერისთავი):

„და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატიისა, თვნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა...“ (მატ. ქართ. 298₁₆).

საშ. სპ. *Pešgīn*³ მომდინარეობს ძვ. ირანული სიტყვიდან **pa-isa*, აბ. სპ. *pēšah* 'ხელოვნება, ხელსაქმე', არაბული *Bīškīn* (იაკუტისთან), სომხ. *Pešgēn*⁴ (სუმბათის ძე ორბელიანი) და სხვა.

ჰ4. ბინქარან — ცეცხლის მსახური ეპისკოპოსი:

„მაშინ ბარზაზოდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახური მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“ (ჯუანშ. 145₄).

„ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცია მრავალი ცეცხლისმსახურებასა“ (ჯუანშ. 145₉₋₁₀).

„და ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარან მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ქეშმარიტსა“ (ჯუანშ. 145₁₇).

„ესე ყოველი მიუძღვნა სპარსთა მეფესა კელითა ბინქარან ეპისკოპოსისათა, და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად“ (ჯუანშ. 104₁₂).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 32; F. Justi, გვ. 61.

² B. A Gaen, ОРФ, გვ. 159.

³ F. Justi, IN, გვ. 251.

⁴ Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., VI, გვ. 240.

„მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა...“ (ჯუანშ. 178₁₈).

ვარიანტებში გვაქვს ფორმები ბინქარ და შინქარან — შეიძლება ჩვენ აქ საქმე გვექონდეს სახელთან დინქარ ‘რელიგიის მსახური, მორწმუნე’. საშ. სპ. *Dinkār*, ძვ. ირ. **Dainakāra* ‘მორწმუნე’, თუ ვივარაუდებთ დ.ს. ორთოგრაფიულ აღრევას ბ.სთან. ხოლო თუ ამოსავლად მივიჩნევთ შ.ინიან ფორმას, მაშინ *Šiukār* < **sainakāra* ‘მშენებელი’.

შპ. ბრატმან.

„და მეფობდა ბრატმან რლსა ზე მცხეთას ქლქი დაეწყო“ (მოქც. ქართ. 709₂₂).

ძვ. ირ. **Brātamana-*, *brāta* ‘ძმა’ + *mana* ‘სული’. შეადარე სახელები ფარსმან, ნარიმან და სხვა.

დამახინჯებული ფორმები ბარტომ, ბარტამ ლეონტი მროველთან არის წარმოდგენილი.

man- ზმნური ფუძეა, რომელიც გამოხატავს სულიერი აქტივობის სხვადასხვა სახეს — ‘სურვილს, სწრაფვას, ზრახვას, დარიგებას’ და სხვა. სახელი *Brātamana* — შესაძლებელია ნიშნავდა ‘ძმის მოყვარულს’, ‘ძმის მსგავსს’, ‘ძმაზე მზრუნველს’ და სხვა. *man* გეხვედება მეორე ელემენტად სკვითურ სახელებშიაც. შდრ. *Xoršaxman* — (პროკოპ. კესარ. მასაგეტის სახელი). აბაევის აზრით, აქ გვაქვს ოს. *xorz-amond* = ძვ. ოს. *hvarz-āmānt* — ‘კარგი ბედისა’, ხოლო სახელი მეორე მასაგეტისა *Xoršaxman* = *hvarz-āmān* ‘კარგი მრჩეველი’ (ოს. *amonun* ‘დარიგება, რჩევა’, *amond* ‘ბედნიერება, ბედი’¹). შეადარეთ აგრეთვე სკვითური სახელი *Brahman*, ძვ. ირანული *Brātaka* ‘ძმა, ძმობილი, იამია’², პ. ინგოროყვა აღადგენს ამ სახელს ბ[ა]რატმან-ის სახით³.

შპ. ბუზმირ (ბუზმირ ევეჟან ბუზმირ) — მარზაპანი ქართლისა.

„და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ევეჟან ბუზმირ ქართლისა მარზაპნად“ (ე. მცხ. 165₂₂).

„და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა ევსტათისნი, ტფილისა, და წარდგეს წინაშე ევეჟან ბუზმირ მარზაპანისა და ჰრქუეს...“ (ე. მცხ. 165₂₆).

„და უბრძანა ევეჟან ბუზმირ ორთა მწედართა წარსლვაჲ და მოწოდებაჲ წმიდისა ევსტათისი და სტეფანისი“ (ე. მცხ. 165₂₉).
იხ. აგრეთვე, გვ. 166_{15,17}, 175₂₅.

¹ B. A. G. a. e. n, OJΦ, გვ. 172.

² M. Vasmer, *Iranier*, გვ. 26; L. Zgusta, *Die Personn.*, გვ. 86.

³ პ. ინგოროყვა, საქ. მუზეუმის მოამბე, XI, გვ. 264.

ბ უ ზ მ ი რ = საშ. სპარსული Burzmihr¹ (Bürzmitr), burz 'მაღალი' + Mihr 'მითრა' = „მაღალი მითრა“.

შეადარეთ სასანურ-ფალაური atur burzēnMihr² — სახელი მაზდაფასნელთა ერთ-ერთი სამ უწმინდეს ცეცხლთაგანისა (KN. I, 11, 13).

ჰ. ბურზო.

1) ბ უ რ ზ ო, ბ ო რ ზ ო (გაქრისტიანებული სპარსელი):

„ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: ვინ არიან იგინი? და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბახდიად, ერთსა ბ ო რ ზ ო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“ (ე. მცხ. 163₁₇).

„...ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ და ბ ო რ ზ ო და პეროზაკ და ზარმილ და სტეფანე გულს-მოდგინედ და მტკიცედ ღვეს სარწმუნოებასა ზედა ქრისტოსსა“ (ე. მცხ. 164₁₇).

2) ბ ო რ ზ ო — მ ო ე ა კ ა ნ ი ს მ ე ფ ე (ვახტანგ გორგასალის დროს):

„ხოლო ბ ო რ ზ ო მოეაკნელმან მეფემან თქუა: „არა დაუტეობ ნათელსა შემწუელსა, და არა თაყუანისცემ ძელსა მაშმელსა, რომელი განშუენებულ არს ოქროთა და ანთრაკითა“, და სცა მას ლახუარი ჯუანშერ სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი“ (ჯუანშ. 174₄₋₅).

სა. Burzoē,³ ახ. გამოთქმით — Barzūi, Barzū⁴; არაბული بزرز — Barzūyeh. იუსტის აზრით, ეს სახელი წარმოადგენს შემოკლებულ ფორმას სახელიდან Burzmihr.

ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლოა ის დამოუკიდებელი სახელიც იყოს, ნაწარმოები ფალ. burz-იდან, ახ. სპ. burz 'მაღალი', ავ. barəz, barəz 'მაღალი'.

ჰზ. გოდერძი (გეოგრაფიულ სახელში — გ ო დ ე რ ძ ი ს ა ჯ ე ე ი):

„აღვყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწინით ჯეესა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გ ო დ ე რ ძ ი ს ა ეწოდების...“ (ე. მცხ. 229₄).

1) გ ო დ ე რ ძ ი მ გ დ ე უ რ ი (კახი აზნაური):

„წარვიდა მეფე აფხაზეთად, და შევიდა კვრიკე ბოჰორმას; ეკაზ-მოდა და ლამოდა შემდგომად აღესებისა წარსლვასა. მაშინ შეეზარახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გ ო დ ე რ ძ ი მ გ დ ე უ რ ი, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი...“ (მატ. ქართ. 269₇).

¹ F. Justi, IN, გვ. 74.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 39.

³ F. Justi, IN, გვ. 251.

⁴ GrirPh, I, 2, გვ. 56.

2) გოდერძი — ერისთავთ-ერისთავი კახთა:

„და ისნის ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და შმკდობისა ძებნად“ (მატ. ქართ. 300₁).

„...გუარამ გოდერძის ძე, ბექის ციხისა პატრონი...“ (მატ. ქართ. 300₁₀).

„...და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაქელისა...“ (მატ. ქართ. 298₇).

გოდერძიანნი:

„ხოლო ვითარცა აღესრულა წმიდა მოწამე, მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს დიდითა პატივითა, და დამარხეს ნოტკორას, მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა“ (ლ. მრ. 248₆).

ეს სახელი შემონახულია ახალი სპარსული ფორმით: گودرز Gūdarz¹, ქურთულში გვაქვს Gōdārz, არაბული ფორმებია: غودارز (ghoḏarḏ), ბერძნულში Γωδάρτζης, Γωδάρჯης, ლათინური Gotarzes, სომხ. Գոսոյր².

ეტიმოლოგია ამ სახელისა ასეთია: Gō ‘ხარი’ + darz ‘ძლიერი, მტკიცე’, სახელის ფორმა საშუალო სპარსულია: Gōdārz ‘პართელთა მეფე 40—51 წ. ³; ახ. სპ. Goudarz ‘სპარსელი მთავარი ქაიქაეოს მეფისა’ (შაჰნამე).

39. გორგასალი (გოლგასარი) ვახტანგ — საქართველოს მეფის ეპითეტი.

„...და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ: გოლგასარი: და მთავარებისკოპოსი იყო: იოველ“ (მოქც. ქართ. 721₂₀).

„მიერითგან ვერლარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი. და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „ღურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ შეფესა გორგასალ“ (ჯუანშ. 180₁₋₁₄).

„და მოხადა მას ღღესა სპარსთა მეფე გორგასალმან ლაშქრითურთ თვისით ტფილისად, და უძღუნა გორგასალმან მკვევალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა სკარამანგი ხუთასი“ (ჯუანშ. 182₂).

¹ F. Justi, IN, გვ. 118.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 35.

³ Ա ճ ա ո յ ա Ն, Անձ. բառ., I, გვ. 489.

„და აზრახა ანთიპატმან გორგასალსა, რათა ყოს მშვიდობა შორის კეისრისა და ხუასროსა, რამეთუ ეშინოდა ბერძენთა — ნუ უკუე შევიდენ საბერძნეთად სპარსნი და მოაოჯრონ იგი“... (ჯუანშ. 182₇).

„და მისცა გორგასალსა ნიჭი: ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბარი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი“ (ჯუანშ. 183₁₉).

„ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე“ (სუმბატ დავითის-ძე, 373₁₉).

გორგასლის ეტიმოლოგია მოცემულია თვით ჯუანშერის ტექსტში, სადაც მოყვანილია სპარსული ფრაზა ქართული ტრანსკრიფციით „დურ აზ გორგასალ“ და ქართული თარგმანიც „მირიდეთ თავსა მგლისასა“. სპარსული Gurgsār¹ 'მგლისთავა', საშ. და ახ. სპარსული gurg 'მგელი' (ძვ. ინდ. vrka, ავ. vāhrika 'მგელი') + sar 'თავი'.

გორგსარ > გორგასარ > გორგასალ (დისიმილაცია რ-რ > -რ-ლ).

40. გუარამ.

1) გუარამ კურაპალატი:

„სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს, და კათალიკოზი იყო სამოველ. და ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერამე კურაპალატადცა“ (მოქც. ქართ. 724₁₀).

2) გუარამ — გაბრიელ დაფანჩულის ვაჟი:

„და წარმოუდგინნა წინაშე მისსა ოთხნი იგი ძენი თვისნი, ყოველად კეთილნი და ყოველითავე მსგავსნი გაბრიელ მამისა მათისანი: პატრიკ, გუარამ, არშუშა, და აბულასათ“ (გრ. ხანძთ. 248₃).

3) გუარამ აშოტ კურაპალატის ძე:

„მაწინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნერსე, და ბაგრატ და გუარამ — შეწირეს თითოეულად, რადეცა საგმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უხუებით“ (გრ. ხანძთ. 252₁₂).

„მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თვისთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მიიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თვისსა,

¹ F. Justi, IN, გვ. 122.

რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ ჳელმწიფებისაჲ ზეგარდამო. და ძმანი მისნი ყოველნი და დიდებულნი ჳელმწიფენი — აღარნერსე უხუცესი და გუარამ მრწემი, — მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნეს საღმრთოჲსა ძმობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთ ზრახუა, ერთ სულ და ერთ ნება იყვნეს იგინი...“ (გრ. ხანთ. 260₁).

4) გუარამ - მთავარი ქართლისა, კურაპალატი:

„მეოცდაცხრამეტე მეფე ქართლისა, კურაპალატი გუარამ ბაგრატიანი“ (ჯუანშ. 218₃).

„ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიანი. და ესე ბაგრატიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი“ (ჯუანშ. 218₆).

„მაშინ ერჩდა სპარსთა მეფე კეისარსა, და განთავისუფლდეს ქართველნი და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა“ (ჯუანშ. 221₁₄).

„ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა“ (ჯუანშ. 222₃).

„მას ეამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწეენული ძმათა მისთა თანა, ასამს და ვარაზგარდს, რომელნი იგი ზემო ვაჳსენენით“ (სუმბატ დავითის-ძე, 374₁).

„...და გუარამ განაჩინეს ერისთავად. და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან აატივად კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადგა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას“ (სუმბატ დავითის-ძე, 374₁₀).

„და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატიონიან(ნი) შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“ (სუმბატ დავითის-ძე, 375₁₄).

5) გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი, მამა ვარაზ ბაკურისა:

„რამეთუ მამა მისი ნერსე, ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი და ძმა დემეტრესი, — ესენი გარდაცვალებულ იყვნეს“ (მატ. ქართ. 252₁).

„და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთაობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი“ (სუმბატ დავითის-ძე, 376₃).

6) გუარამ მამფალ — აშოტ I დიდი კურაპალატის ძე:

„ხოლო აბულაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მიუწერეს მთიულთა, რათა არა შეუშუან“ (მატ. ქართ. 258₁₃). იხ. 256₁₃, 257_{10, 17, 18}, 258_{12, 19} და სხვა.

„ხოლო გუარამ, ძემან აშოტ კურაპალატისამან, შეიპყრა გაბულოც და წარსცა საბერძნეთად: რამეთუ განდიდებულ იყო გაბულოც და დაემორჩილნეს გარდაბანელნი“ (მატ. ქართ. 257₁₀).

„ხოლო ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყენეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა, და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა. მას ჟამსა მონაზონ იქმნა გუარამ“ (მატ. ქართ. 259₁).

„და წარემართა (აშოტ), რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩკლნი, უხუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატ, ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა“ (სუმბატ დავითის-ძე 376₁₂).

„და მოიკლა იგი ჭელითა მამის ძმისწულისა თვისისა ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რა, სუფევასა შინა გუარამისსა, ხოლო გუარამ მამთალი, მამის ძმა მისი, მამა ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისათა“ (სუმბატ დავითის-ძე 378₂₅).

„გარდაიცვალა გუარამ მამთალი, ძე აშოტ დიდისა, მამა ნასრისა, ქრონიკონსა რა“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₈).

7) გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის-ციხის პატრონი:

„და გამოიტყუენა (ლიპარიტ) ... გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხისა პატრონი, — და შეიპყრა იგინი ანისის კარსა“ (მატ. ქართ. 300₁₀).

იუსტის აზრით, ქართული გუარამი წარმოადგენს სპარსული Bahrām-ისა და სომხური *Վրամ*-ის შესაბამის ფორმას¹, რაც ჩვენს სავესებით სარწმუნოდ მიგვაჩნია.

საშუალო სპარსულ v-ს სიტყვის თავში შეეძლო მოეცა გმ-ც როგორც ეს სხვა მრავალი მაგალითებით გვაქვს დამოწმებული: საშ. სპ. *vahram* > **guhram* > ქართ. გუარამ. შეადარეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის გუასპურაგანი, რომელიც სომხური *Վասպուրահան*-ის გადმოცემას წარმოადგენს ქართულში (საშ. სპ. *Vaspuhrakān*-იდან).

თვით ირანულში ასეთი მდგომარეობაა: საშ. სპარსული v ახალ სპარსულში გვაძლევს ხ-ს სიტყვის თავში, რაც სასანურ ეპოქაშივე

¹ F. Justi, IN, გვ. 361—365.

დაიწყო, მაგრამ თავკიდური vi -და va- ახალ და საშ. სპარსულში სასანური ეპოქის ბოლოს გადადის gu-დაც. მაგალითები შეიძლება ქართულში შემოსული ირანული საკუთარი სახელებიდანაც მოვიტანოთ: შეადარეთ, მაგალითად, გურგენ—სას. ფალ. Gūrğēn და სომხური (არშაკული ფალაურიდან ნასესხები ფორმა) *Արկես*.

ქართ. გვრობანდაკ < ფალ. Waroe (ახ. სპ. Gurōi) + bandak, გუშნაკ < ფალ. gušn, ავ. Warəšna, გორგასალი < ფალ. Gursar (ავ. vəhrka) და სხვა მისთანანი.

სომხურში დადასტურებულია აგრეთვე სახელი *Գորամ*¹. ამ სახელის ირანული ეტიმოლოგია იხ. ბარამ-თან.

41. გურანდუხტ.

1) არჩილ I ძმისწული, ცოლი ლეონ კეისრის ერისთავისა:

„მაშინ მისცა ლეონს (არჩილმა) ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ და გვრგვნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისტვს“ (ჯუანშ. 242₂₃).

2) გურანდუხტი (A — მირანდუხტი) — ვახტანგ გორგასალის დაე:

„ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაე ვახტანგისი გურანდუხტ, სამის წლის ქალი“ (ჯუანშ. 145₂₄).

3) გურანდუხტი — არჩილ II ასული:

„და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანე, და ასულნი ოთხნი: გურანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშან“ (ჯუანშ. 244₁₈).

4) გურანდუხტ დედოფალი, ბაგრატ III დედა, შვილი გიორგი აფხაზთა მეფისა:

„ვითარ წარჯდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუალად მდგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩუეულება ქართლისა აზნაურთა: შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, და მოიყვანნეს ლაშქარნი კახეთით; და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, წარიყვანეს კახეთად“ (მატ. ქართ. 274₁₈).

„...განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქუალის ციხე და გრუი თვთ დაიპირეს“ (მატ. ქართ. 274₈).

„მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალსა. ესე გურანდუხტ დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისა და დედა ბაგრატისა“ (მატ. ქართ. 275₂).

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., გვ. 489.

„ხოლო მას ქამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტი-სასა“ (მატ. ქართ. 276კ).

5) გურანდუხტი — გიორგი I ასული და გიორგი II აღმზრდელი:

„ესხნეს შვილნი ოთხნი (გიორგის): ძენი ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურანდუხტი და კატა“ (მატ. ქართ. 291გ).

„და მოიყვანეს შზრდელად მისა (გიორგი II) ლიპარიტ და პატრონად დაე ბაგრატიისი გურანდუხტი დედოფალი...“ (მატ. ქართ. 304,).

„ხოლო გურანდუხტი და გიორგი, ძე ბაგრატიისი, დგეს ღრტილას...“ (მატ. ქართ. 304,კ).

6) გურანდუხტი დედოფალი, დავით აღმაშენებლის მეუღლე (ასული ყივჩაყთა უმთავრესისა, ათრაქა შარადანის ძისა):

„და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ (მრავალთა წელთასა მიერ) მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტი დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარადანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“ (დავ. აღმაშ. 336კ).

ეს სახელი, როგორც ზემოთ მოყვანილი კონტექსტებიდან ჩანს, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში.

პირველი ნაწილი სიტყვისა გურანდუხტი წარმოადგენს მამაკაცის სახელს გურამ (საშ. სპ. Vahrām), ხოლო მეორე დუხტი, ნიშნავს ასულს (საშ. სპ. duxt ‘ასული’, ავ. duxōar, ახ. სპ. duxtār, დიალექტური ფორმა — duxt), სპარსულში დადასტურებულია Bahrāmduxt¹ ‘ბარამის ასული’ საკუთარ სახელადაც.

შეადარეთ ანალოგიურად ნაწარმოები სახელები: მირანდუხტი, საგდუხტი, ბაკურდუხტი და სხვა.

42. გურგენ.

1) გურგენ — სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის მამა:

„ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსსისა ქართლით, წარმოავლინა მაჰლი ამირა მუმნან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძე გურგენისი, დისწული ნერსსისი, ნაცვალად დედის ძმისა თვისისა ნერსსისა, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად“ (აბო, 189₂₈).

¹ F. Justi, IN, გვ, 121; H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 60.

„...ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისმთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, ...შევისწავეთ მარტულობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღუაწისა ჰაბოისი ქალაქსა ტფილისს“ (აბო, 191₂₂).

2) გურგენ I კურაპალატი—ძე ადარნასე I-ისა:

„ხოლო ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა, და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“ (მატ. ქართ. 259₁).

„გარდაიცვალა გურგენ კურაპალატი, ძმა სუმბატ მამფალ არტანუჯელისა და ძე ადარნასე, ძმისა აშოტ დიდისა, ქორონიკონსა რ^ა“ (მატ. ქართ. 259₂₃).

„მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლიენეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“ (მატ. ქართ. 261₁₂).

„და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს, და ძმანი მისნი აშოტ კეკელაჲ და სუმბატ არტანუჯელი...“ (სუმბატ დავითის-ძე, 378₁₂).

„და ამისა შემდგომად დასუეს გურგენ ძე ადარნასესი კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისა“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₃₁).

3) გურგენი—აშოტ კეკელას ძე:

„ხოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქორონიკონსა პ^ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი“ (სუმბატ დავითის-ძე, 378₁₈).

„ხოლო ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიჰყვა მის თანა შეწიგნად ადარნასესა გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₁₀).

„ხოლო გურგენ კურაპალატი წარვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს“ (სუმბატ დავითის-ძე, 379₂₄).

4) გურგენ ერისთავი, ძე ბაგრატ მამფალ არტანუჯელისა:

„გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძმა ამის დავით ერისთავთ-ერისთავისა და ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, ქორონიკონსა რ^{მგ}“ (მატ. ქართ. 260₁₃).

„და გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქორონიკონსა რ^კ, თუესა აპრილსა ოქ, დღესა აღვსებასა, და დაუ-

ტვენა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი-იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ-იდვა, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით“ (სუმბატ დავითის-ძე, 380₄).

5) გურგენ დიდი—ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნასე ერისთავთ-ერისთავისა:

„ხოლო ესე ბაგრატ სიძე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა; უშუელდა გურგენ ყოვლითა ძალითა მისითა“ (მატ. ქართ. 265₁).

„ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან“ (მატ. ქართ. 266₂).

6) გურგენ—ძე გურგენ ერისთავისა:

„გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძმა ამის დავით ერისთავთ-ერისთავისა და ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, ქორონიკონსა რ⁷მგ“ (მატ. ქართ. 260_{1a}).

„...და დაუტევა ამან გურგენ ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისა, რომელსა ეწოდა გურგენვე, სახელი მამისა თვისისა“ (სუმბატ დავითის-ძე, 380_{2a}).

7) გურგენ კლარჯი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა:

„გარდაიცვალა ესე ბაგრატ, ძე სუმბატისი და ძმა დავითისი, ქორონიკონსა ს⁷ლ, მასვე წელსა, რომელსა წელსა მოკუდა მამა მისი სუმბატ, და დაუტევნა ძენი ორნი: გურგენ და სუმბატ“ (მატ. ქართ. 259_{1a}).

„ხოლო ესრეთ იყო გარდაცვალება მათი: რამეთუ მაშინ ოდესმე ამან ბაგრატ მეფემან კურაპალატმან მოიყვანნა ესე ორნი ძმანი, კლარჯთა ქელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, დარბაზობად მის წინაშე, ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი და აღიხუნა ციხენი და ქალაქნი მათნი“ (მატ. ქართ. 283₆).

„და არლარა-ვინ იყო ამის ჟამში სხუა ბაგრატოანი, თვნიერ სუმბატისა და ძმისა მისისა გურგენისა, რომელნი მეფობდეს კლარჯეთს, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი...“ (მატ. ქართ. 283₂).

„და მუნ ციხესა შინა თმოგვსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქორონიკონსა ს⁷ლ^ა. და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმა სუმბატისი“ (სუმბატ დავითის-ძე, 382_{2a}).

8) გურგენ ერისთავი ძმა აშოტ I კურაპალატისა:

„და მერმე (ერისთაობდა) ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი“ (სუმბატ დავითის-ძე, 376₆).

9) გურგენ II—მეფეთა-მეფე (ბაგრატ II რეგვენის ძე და ბაგრატ III მამა):

„მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუაქურელთა; მოეგება წინა ქართლის ერისთავი ივანე მარუშის-ძე, აღილო მისგან უფლისციხე, და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს, რამეთუ არა ესუა შვილ დავით კურაპალატსა, და ბაგრატ ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თვსად“ (მატ. ქართ. 272₁₇).

„და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ...“ (მატ. ქართ. 274₆).

„და დაუტევა ძე თვისი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე“ (სუმბატ დავითის-ძე, 382₁).

„გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ძე ბაგრატ ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა ს³კ³შ...“ (სუმბატ დავითის-ძე, 382₁₄).

„და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენ. და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი — გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა...“ (სუმბატ დავითის-ძე, 382₉).

10) გურგენ ბერი (ხორნაბუჯის ერისთავის ვაჩეს მამა):

„გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუქდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი...“ (მატ. ქართ. 298₆).

საშ. სპარსული Gurgēn მოდის ძველი სპარსული სახელიდან Wrkaina¹ 'მგელა' (Wrka 'მგელი' + -aiua-სუფიქსი), ავესტური Wəhrkaena, ბერძნული Γουργύνης, არაბული Ĵurĵīn, სომხ. Զրկեն² (არშაკიდული ფალაურიდან შეთვისებული ფორმა) და Գուրգեն (სასანურიდან ან ახ. სპარსულიდან), ახ. სპარსული Gurgīn — گرجین. ქართულში ეს სახელი შემოსულია სასანური ფალაურიდან.

13. გუშნაკ.

„ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: ვინ არიან ივინი? და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბახდიად, ერთსა ბორზო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“ (ე. მცხ. 163₁₇).

„ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ და ბორზო და პეროზაკ და ზარმილ და სტეფანე გულს-მოდგინეთ და მტკიცედ დგეს საწმუნოებასა ზედა ქრისტესსა“ (ე. მცხ. 163₁₀).

ეს სახელი მომდინარეობს სასანური ფალაურიდან. შეადარეთ ფალ. gūšn 'მამრი, მამაცი, ვაჟაკი', ძვ. ირ. Warəšna³, ძვ. სპ.

¹ F. Justi, IN, გვ. 355.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 86.

³ F. Justi, IN, გვ. 354.

vr̥ṣna, ავ. varṣni, სკრ. vr̥ṣnay 'მამრი, მამაცი'¹; guṣṇ + სუფიქსი -ak (კნინობითობის მაწარმოებელი) 'მამაცი'. შეადარეთ საკუთარი სახელი Guṣṇasp.

44. გვრობანდაკ (ეგსტათი მცხეთელის სპარსული სახელი).

„წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასისა მარზაპნობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისაჲ, ძმ მოგვსა, და წარმართ იყო იგი და სახელი ერქუა მას გვრობანდაკ, და დღითა ყრმა იყო იგი ვითარ ოც და ათ წლის“ (ე. მცხ. 160₄).

ძველი ირანული *Warōē.bandaka² 'გუროს მონა', ახ. სპ. Gurōi ან, არასწორი წაკითხვით, Gerūi, არაბული Barōe (برو) Gurōi + bandak³ (საშ. სპარსული ფორმა).

ზღრ. ახ. სპ. bandah 'მონა'. შეადარეთ საკუთარი სახელი — Guṣṇasp.bandah და მისთანანი.

45. დარჩილ.

1) დარჩი—ვახტანგ გორგასალის შვილი პირველი ცოლისაგან:

„და მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დარჩი“ (ჯუანშ. 185₉).

2) დარჩი—ქორეპისკოპოსი (ივანე ქუაბულის ძის შვილი): „და ვითარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად ალი შუაბის ძე. მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დარჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა...“ (მატ. ქართ. 254₁).

3) დარჩი კორინთელი (აზნაური):

„მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დარჩი კორინთელი...“ (მატ. ქართ. 269₆).

4) დარჩი სხვლოსელი (აზნაური):

„...დარჩი და ივანე სხვლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა...“ (მატ. ქართ. 269₉).

ჩვენ ვფიქრობთ, დარჩის სპარსული სახელი დარჩილ წარმოადგენს საშუალო სპარსულ ფორმას ძველი ირანული სახელისას *Dārayačīra 'ტომის, გვარის მფლობელი, უფროსი'. შეადარეთ ძე. სპარსული Dārayavahuš⁴. დარჩოსი 'ქონების, სიმდიდრის

¹ H. Reichelt, AE, გვ. 487.

² F. Justi, IN, გვ. 3-6.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 32.

⁴ A. Meillet, Vp, გვ. 167.

მფლობელი' და Arīyaçitra 'არიელთა მოდგმისა', dārāya (ძირიდან dār 'ფლობა, პყრობა')+çitra (ძვ. სპ. çissa, ფალ. çih) 'გვარი, ტომი, ნათესავი, მოდგმა', საშ. სპ. ფორმა იქნებოდა *Dārçih, რომელიც ქართულში კანონზომიერად მოგვეცემა და რჩილს და დაჩი-ს. შდრ. არჩილი. არის მეორე შესაძლებლობაც *Dārçih გავიგოთ, როგორც მიღებული საშ. სპარსული Dārāçih-იდან 'დარიოსის მოდგმისა'. შეადარეთ Manuçih ('მანუს მოდგმისა'). შდრ. საშ. სპ. Dārāš, ახ. სპ. Dārā 'დარიოსი'.

46. დეროკ (არმაზელის ძე).

„და შემდგომად მათსა მეუობდეს შვილნი მათნი: არმაზს — ამაზასპ და შინა ქართლს — დეროკ“ (ლ. მრ. 50₃).

„მეთოთხმეტე მეფენი, ამაზასპ და დეროკ, ძენი აზოროკ და არმაზელისნი, არშაკუნიანნი“ (ლ. მრ. 50₄).

ამ სახელისათვის, ამოსავალია საშ. სპარსული dārūk¹ 'ხე, მცენარე', ძვ. ირ. dārūka 'წამალი', საშ. სპ. dārūk < dārav-ak-იდან, ახ. სპ. dārū 'ხე, მცენარე', ტ. ფალ. d'rwg, ფაზ. dārū, აქედან საკუთარი სახელი Darūk². შდრ. ახ. სპარს. Dārūih.

47. ვარაზ.

1) ვარაზ-ბაკურ ბარზაბოდის ძე (საგდუხტ დედოფლის ძმა, ერისთავი რანისა):

„და მოკულა ბარზაბოდ, მამა საგდუხტისი, და მის წილ დაადგინა სპარსთა მედემან ძევე მისი ვარაზ-ბაკურ, ძმა საგდუხტ დედოფლისა“ (ჯუანშ. 145₆).

2) ვარაზ ბაკურ გამრეკელი:

„მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი“ (მატ. ქართ. 307₆).

3) ვარაზ-ბაკური ანთიპატოსი (გუარამ კურაპალატის ძე, ნერსეს მამა):

„რამეთუ მამა მისი ნერსე, ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი... — ესენი გარდაცვალებულ იყვნენ“ (მატ. ქართ. 252₁).

„და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთავობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი ანთიპატოსის...“ (სუმბატ დავითის-ძე, 376₄).

4) ვარაზ-ბაქარი მირდატის ძე, ქართლის მეფე:
„მეოცდაშვიდე მეფე, ვარაზ-ბაქარ, ძე მირდატისი, ხოსროიანი“ (ლ. მრ. 132₇).

¹ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 49.

² F. Justi, IN, გვ. 82, 83.

„და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი...“ (ლ. მრ. 132₉).

5) ვარაზ გაგელი:

„და მივიდა გარდაბანს, ვარაზ გაგელისასა, და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქვან ხუზაშენი, და ნათელ-სცა ერეკლე ვარაზ გაგელსა და ყოველსა ერსა მისსა“ (სუმბატ დავითის-ძე, 375₃).

6) ვარაზ-ვარდი (გუარამ ბაგრატიონის ძმა):

„და გამოარჩიეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწვევნილი ძმათა მისთა თანა, ასამს და ვარაზვარდს, რომელნი იგი ზემო ვაქსენენით“ (სუმბატ დავითის-ძე, 374₂).

7) ვარაზ მიჰრი — ვახტანგ გორგასალის მამამძუძის ძმა:

„და წარვიდა მის თანა მოციქულად ვარაზ-მიჰრი, მამამძუძის მისისა ძმა, და სამოელ მონაზონი“ (ჯუანშ. 172₄).

8) ვარაზ მანი (ქართლის ერისთავი):

„მეხუთე მისცა ვარაზ მანს, და მისცა კოტმანიტგან ქურდის-ტევაძედ; იყო ესე ვარაზ მანი ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა“ (ჯუანშ. 242₂).

ავესტური Warāza¹ 'ტახი' (წმინდა ცხოველი vərəθrağna-სი), საშ. სპ. საკ. სახელი Barāzak, ახ. სპ. gurāz 'გარეული ტახი', არაბ. Barāz, სომხ. 'Լարազ'², ისე როგორც ქართული მოდის არ-შაკიდული ფალაური ფორმიდან Varāz 'გარეული ტახი'. სომხურში გაერთელებულია სახელები: Varāzdat, Varazduxt, Varazman, Varaz-Nerseh, Varaz-šapūh, Varaztrdat და მისთანანი. ასეთივეა ქართული ვარაზვარდი და ვარაზ მიჰრიც.

ვარაზ მანი = საშ. სპ. Varāzman 'ტახის მსგავსი, ტახისებური'.

48. ვარდან.

1) ვარდან — წმიდა შუშანიკის მამა:

„და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჰეტისაჲ, რომლისათჳს ესე მივწერე თქუენდა, მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ...“ (მარტ. შუშ. 146₆).

2) ვარდან სვანთა ერისთავი:

„ხოლო შემდგომად თავადთა ამის სამეფოსათა ნიანია ქუაბულის ძემან, და ივანე ლიპარიტის ძემან, და ვარდან სვანთა ერის-

¹ F. Justi. IN, გვ. 348.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 81 — 82.

თავმან, რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გიორგი მეფისათ, და უშა-
ლეს ქუეყანა“ (მატ. ქართ. 315₁₆).

საშ. სპარსული Wardān¹ ‘გმირი’, ward ‘გმირი’, ავ. warata,
ახ. სპ. gurd (-ān სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია).

შდრ. ბერძნული Ὀρδάνης (Ὀρδάνης), Ὀσάρδάνης, ლათ. Varda-
nes, Bardanes, არაბ. Wardān, სომხ. Վարդան² და რთულ სახე-
ლებში Wardan Wšnasp, Wardanduxt, Wardanoyš, Wardanošat და
სხვა. ქართულში ნაკლებად გავრცელებულია, შესაძლოა სომხურიდან
იყოს შემოსული.

49. ვარსკენ — პ ი ტ ი ა ხ შ ი , ა რ შ უ შ ა ს ძ ე , წ მ ი დ ა შ უ შ ა ნ ი -
კ ი ს კ მ ა რ ი :

„იყო მერვესა წელსა (მრ) სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ
წარემართა ვარსკენ პიტიახში, ძმ არშუშაჲსი“ (მარტ. შუშ.
146კ).

„ხოლო კაცმან უთხრა მართალი და პრქუა, ვითარმედ: „ვარ-
სკენ უვარ-ყო ჭემმარიტი ღმერთი“ (მარტ. შუშ. 147₁₀).

ამ სახელისათვის ორი შესაძლებელი ეტიმოლოგია ხერხდება
ირანულ ნიადაგზე: 1) ძირი სიტყვისა ვარზკენ არის ირ. varz —
„მოქმედება, კეთება“ + სუფიქსი -kēn, ძვ. ირ. -kaiua-დან. ძვ. ირ.
ფორმა იქნებოდა მაშინ *Varzkaiua ‘მოქმედი’, საშ. ირ. Varzkēn.
შეადარეთ საკუთარი სახელები ბაზგენ, გურგენ, ბეშქენ და
სხვა, რომლებიც მსგავსად არიან ნაწარმოები. 2) ამოსავლად მი-
ვიჩნით ძვ. ირ. *Vazrakaina, vazrka-დან³ ‘დიდი’ + სუფიქსი -aina
(ფალ. vazurg, ახ. სპ. buzurg) მნიშვნელობით ‘დიდებული, მდი-
დარი ან მედიდური’. საშ. სპ. *Vazrkēn > varzkēn > ვარზკენ >
ვარსკენ. სომხურში ეს სახელი წარმოდგენილია Վարդան-ის სახით
(სომხურში დაკარგულია r, რომელიც ჩვეულებრივ იკარგება ხოლმე
კომპლექსებში hr, rh, rz, rš და სხვა. შეადარეთ ქართ. არშუ-
შა=სომხ. Արշա, შროშან=სომხ. Տուշան, საშ. სპ. სიტყვა ar-
žān=სომხ. աժան და სხვა). Wazrka⁴ — საკუთარ სახელად
იხმარება ირანულში, შეადარეთ სომხ. Wzurk⁵ < საშ. სპარსული
Vazurg-დან ახ. სპ. Buzurg.

50. ვაშტაბაშ — სპარსთა მეფე, სპანდიატ რვალის მამა:

¹ F. Justi, IN, 33. 351.

² H. Hübschmann, AG, I, 33. 82.

³ GrirPh, I, 33. 267.

⁴ F. Justi, IN, 33. 359.

„შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი, გოლიათი იგი და სახელოვანი“ (ლ. მრ. 16₁₀).

ძე. სპარსული Vištāspa — დარიოს I მამა, ავესტური vištāspa — სახელი აღმოსავლეთ-ირანელი მთავრისა, რომლის მეფობის დროს მოღვაწეობდა ზარათუშტრა, ძე აურვადასპასი ქავეიანთა გვარიდან. შდრ. ავესტური *puθrəm yat aurvat-aspahe... kavaēm Vištāspəm* „ძე აურვატასპასი... ქავეიანი ვიშტასპა“. აღნიშნული ძე. ირანული სახელის ეტიმოლოგია მოცემული აქვს ბართოლომეს¹ შემდეგი სახით: პირველი ელემენტი *višta* = ი. ევრ. **ui-st-to-*, *p. pf. p. di-* რიდან *had* — ‘ჯდომა’ + *aspa* — ‘ცხენი’, ე. ი. ‘მხედართა მოწინა-აღმდეგე’, ‘მხედრებთან მებრძოლი’. შდრ. ძე. ინდური *visanna-* ახალი სპარსული *Guštāsp* — گشتاسب; შაჰნამეს ქართულ ვერსიებში ეს სახელი გოსტაშაბის სახით არის წარმოდგენილი². ქართული ვაშტაშაბი — თავისი თავკიდური ვ-ინით — უეჭველია ამ სახელის ძველი ან საშუალო ირანული ფორმიდან მომდინარეობს, სახელდობრ **Vištāsp(a)*-ს ეყრდნობა, რომელიც, როგორც ჩანს, არ-შაკიდულსა ან ადრე სასანურ ხანაში შემოვიდა ქართულში, რადგანაც გვიან სასანურსა და ახალ სპარსულში თავკიდურმა *vi-*მ მოგვცა *ფა-*, რაც მრავალრიცხოვანი მაგალითებით არის დადასტურებული. შეადარეთ გურგენ, გუარამ, გორგასალი და სხვა.

ესა და მსგავსი ფორმები ირანული სახელებისა მეტად საყურადღებოა, რამდენადაც მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის სპარსული წყაროების გარკვევის თვალსაზრისით, სახელდობრ, გამოყენებულია მათ ნაწარმოებებში მხოლოდ „შაჰნამე“ (ე. ი. ახ. სპარსული წყარო) თუ „ხვადაჰნამაჰის“ რომელიმე საშ. ირ. ვერსია ან ძველი ზეპირგადმოცემები.

51. ვაჩე.

1) ვაჩე რევის ძე, ქართლის მეფე: „მეოცე მეფე, ვაჩე ძე რევისა, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 58₁₃).

„მეოცდაერთე მეფე, ბაკურ, ძე ვაჩესი, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 58₁₆).

„და შემდგომად ვაჩესსა მეფობდა ძე ვაჩესი ბაკურ“ (ლ. მრ. 58₁₇).

2) ვაჩე — კარიკის ძე ტაოელი აზნაური:

„მასვე ჟამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიკის-ძე და ბანელი ებისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“ (მატ. ქართ. 291₁₃).

¹ Chr. Bartholomae, *AirWb*, გვ. 1473 — 74.

² „შაჰნამეს ქართული ვერსიები“, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 3, შენიშვნა 2

„ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიკის-
ძე. და ბანელი ებისკოაოსი იოვანე...“ (სუმბატ დაეთის-ძე, 385₂₄).

3) ვაჩე — ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერის-
თავი:

„გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, მებება და შეუტდა მთასა
ზედა მიქელ გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტედანოზ
ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბე-
რისა, ხორნაბუჯის ერისთავი...“ (მატ. ქართ. 298₆).

ფალ. *Wačak*¹ 'ყმაწვილი, ბავშვი, ბიჭი' < *vač(č)ak* < *vatčak*-
იდან (შდრ. სკრ. *vatsala* — 'ხბო', პრაკრ. *vaceha, vaccala*), ახ. სპ.
*bača, bačča*² (< ფალ. *hač(č)ak, vač(č)ak*-იდან) 'ახალგაზრდა ადა-
მიანი ან ცხოველი', შეადარეთ: ბელუჯ. *gvač* 'ზაქი', ოს. *vaxs*,
სპარსულის დიალექტური ფორმები. გაბრ. *vače*, ქაშ. *veča, veče*,
კავკ. მთ. ებრ. *veče*, მაზანდ. *vača (bača)*.

მშ. ვახტანგ — გორგასალი, მირდატის ძე, ქართლის
მეფე:

„და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა და 'ნვა ძე,
და უწოდა სახელი მისი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ,
ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ“ (ჯუანშ. 143₃). იხ. 159_{კ111},
164₁, 167₈, 170_{6,5} და სხვა.

„და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა,
რომელიმცა ღირს იყოს მეფედ, იქმნის შემცირებული სარკინოზთა-
გან“ (მატ. ქართ. 250₁₁). იხ. აგრეთვე; 251₁₉, 318₁ და სხვ.

ამ სახელს, ჩვეულებრივ, აიგივებენ ირ. *Və:əθragna*-სთან³,
ფალ. *Vahram*, სომხ. *Վահրամ* (შეადარეთ ბარამ და გუარამ). ამ
ვარაუდს თითქოს ადასტურებს ვახტანგის სპარსული სახელი ვა-
რანთანგ (ვარან-ხუასრო-თანგ). იხ. ზემოთ. თუმცა ფონეტიკურად
ყველაფერი რიგზე ვერ არის. ავ. *Və:əθragna*-ს საშ. ირანული
ფორმებია არშაკიდული **Varhragu*, რომელიც საფუძვლად უდევს
სომხურ *Վահագն*-ს და სასანური *Varahran*, რომელიც ამოსავალია
სომხ. *Vahram*—*Vram*-ისა, უფრო მოგვიანო *Bahrain* კი — ქართული
ბარამისა. მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოფილა უძველესი
საშ. ირანული ფორმა, სადაც დაცული უნდა იყოს მ, რომელმაც
მოგვეცა ქართ. ვახტანგი, ანდა იგი სხვა რომელიღაც წყაროდან
უნდა მომდინარეობდეს.

ფონეტიკურად უფრო გამართლებული ჩანს ვ. აბაევის მოსა-
ზრება, რომელიც ამ სახელს აკავშირებს ოსურ *Wærxtanag*-თან (ნარ-

¹ F. Justi, *IN*, გვ. 342.

² GrirPh, II, გვ. 48, 70, 71, 177.

³ ივ. ჯავახიშვილი, ი. ორბელი, შ. ამირანაშვილი.

თული ეპოსის ერთ-ერთი გმირის სახელი) სიტყვასიტყვით 'მგლის-ტანა, მგელა'. გავიხსენოთ ამასთანავე ვახტანგის ეპითეტო გორ-გასალ, რომელიც აგრეთვე მგელთან არის დაკავშირებული¹.

Vaxtang < Warxtang < *varkatana 'მგლის-ტანა'. მითუმეტეს, რომ სკვითურ-ალანური სახელები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში. შდრ. ასპარუგ, ქსეფარნუგ, ბაზუკ, ხსართან-აღსართან და სხვა.

ნწ. ვეჟან — ბუზმილ (ბუზმირ), მარზაპანი ქართლისა:

„და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეჟან ბუზმირ ქართლისა მარზაპნად“ (ე. მცხ. 165₂₃).

„და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნატარისა ეესტათისნი, ტფილისა, და წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპნისა...“ (ე. მცხ. 165₂₃).

„და უბრძანა ვეჟან ბუზმირ ორთა მკედართა წარსლგად და მოწოდებაჲ წმიდისა ეესტათისი და სტეფანისი“ (ე. მცხ. 165₂₇).

„და ვითარცა მივიდეს მკედარნი იგი, წარუდგინეს ეესტათი და სტეფანე წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპნისა და თქუეს...“ (ე. მცხ. 166₁₆).

სხვა ადგილებში, ეესტათი მცხეთელის ცხოვრებისა, მოხსენიებულია მხოლოდ ბუზმირ მარზაპანი უვეჟანოდ.

ეს სახელი გვხვდება აგრეთვე ვეზანის ფორმით სუმბატ დავითის ძესთან. იხ. ვეზან ერისთავი ბაჰარჩუბინისა:

„ხოლო სამნი ძმანი წარვიდეს კახეთს და საპაქ დაუზახა ბაკურს, ძესა ნერსესსა, ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“ (374₁₃).

ამავე სახელის ვარიანტია მაეჟანიც — მცხეთელი სპასპეტის სახელწოდება ლეონტი მროველთან:

„მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისა თანა, რომელსა ერქუა მაეჟან“ (62₁₁).

„მაშინ თქუა მაეჟან სპასპეტმან: „უკუეთუმცა იყო ჩუენ თანა ძალი ეზომი, ჩუენმცა მესამედთა სპარსთა შევესწორებოდეთ, დამცავსხენით თავნი ჩუენნი სიკუდილად და წინააღუდეგით მათ“ (62₁₃).

„მაშინ დაემოწმნეს ყოველნი ერისთავნი ზრახვასა მაეჟან სპასპეტისასა, და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა...“ (63₁₄).

„და მოვიდა მცხეთას და მიეგება მაეჟან სპასპეტი და ყოველნი ერისთავნი ქართლისანი“ (64₆).

¹ В. А б а с и в, ОИФ, გვ. 184 და 187.

ხოლო ამ სახელის უფრო მოგვიანო ახალი სპარსულიდან ნასესებ ფორმას წარმოადგენს ბეჟან, დღესაც გავრცელებული ქართული სახელი.

სახელისათვის ვეჟან ამოსავალი არის საშ. ირანული ფორმა *Wēžan*¹, ახ. სპარსული *Bežan*, არაბ. *Bīzan*, გვხვდება აგრეთვე *Wijan* და *Wājan*. ეტიმოლოგია ამ სახელისა შემდეგია: ძვ. ირ. **Waijana*, შეადარეთ ავ. *Airyānem. vaējō*², ფალ. *Erān. vāj*³ 'არიელთა, ირანელთა სიერცი, ქვეყანა', ძვ. ირ. *Vaijana* > საშ. ირ. *Vējan* || *Vēžan* ნიშნავს 'ვეჯელი' (ე. ი. ერანვეჯიდან). სომხურში დადასტურებულია *Բիժան* < ახ. სპარსულიდან. ფორმა *Vēžan*, ალბათ, თვით ფალაურში გვექონდა *Vēžan*-ის პარალელურად, რაც შეეხება მაეჟან ფორმას, ის, შესაძლოა, ქართულ ნიადაგზე მიღებული ვეჟანიდან. ვ > მ-სათვის შეადარეთ ვაზრი და მაზრაკი და მისთანანი.

მ4. ზარმილ.

„და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბახდიად, ერთსა ბორზო, ერთსა პანაგუშნასა, ერთსა ჰპეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“ (ე. მცხ. 163₁₇).

„...ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ და ბორზო და პეროზაკ და ზარმილ და სტეფანე გულს-მოდგინედ და მტკიცედ დგეს სარწმუნოებასა ზედა ქრისტოსსა“ (ე. მცხ. 164₁).

ამ სახელისათვის ამოსავალია ზარმილ საშ. სპარსული სახელი *Zarmihr*⁴ — *zar* 'ოქრო' + *Mihr*. საქ. სახ. *Miθra* გვხვდება აგრეთვე სომხურში — *Ջարմիր*⁵.

მ5. ზარენ.

ზარენ — სომხეთის მეფის არტაშანის ძე:

„და ვითარ განამრავლეს ქართველთა და ოვსთა ვნება სომეხთა, მაშინ არტაშან მეფემან შეკრიბნა სპანი, რომელნი შინა დარჩომოდეს, და მისცნა ძესა თვსსა ზარენს, და წარმოგზავნა ქართველთა ზედა“ (ლ. მრ. 48₂₁).

„და ეწყუნეს და სძლიეს ქართველთა და ოვსთა, და აოტეს ზარენ, ძე სომეხთა მეფისა, და მოსრეს სპა მისი ყოველი და სდევნეს საზღვართამდე სომხითისა“ (ლ. მრ. 49₂).

¹ F. Justi, IN, გვ. 367.

² AirWb, გვ. 1313.

³ H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 66.

⁴ F. Justi, IN, გვ. 383.

⁵ H. Hübschmann, AG, გვ. 41.

„მეწივნეს ზარენს, ძესა მეფისასა.. და შეიპყრეს იგი ტბისა მის პირსა, რომელსა რქვან ცელი, და უკმოიყვანეს“ (ლ. მრ. 49₂).

„ხოლო ოგსთა ჰნებვიდა მოკლეა მის ზარენისი სისხლისათვის მეფეთა მათთასა, არამედ ქართველთა დაიცვეს ცოცხლებით ძიებისათვის საზღვართა მათთასა, და დასუეს პყრობილად ციხესა დარიალანისსა“ (ლ. მრ. 49₆).

სახელი ზარენ წარმოადგენს მცდარ გადმოცემას სომხური ფორმისა Zareh (არტაშეს II ძე)¹, რომელიც თავისთავად მოდის პართული Zārēh ფორმიდან. შდრ. ბერძნული Ζαριρῶν, ავ. Zaiririwairi, საშ. სპ. Zarēr, ახ. სპ. Zārīr².

56. თრდატ.

1) თრდატ—სომეხთა მეფე, არშაკუნიანი, კოსარო მეფის ძე:

„ხოლო ერთი ძე კოსარო მეფისა, მცირე ყრმა, შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა, და მუნ იზარდებოდა, რომელსა ერქუა თრდატ“ (ლ. მრ. 62₂).

„ხოლო მაშინ მუნ იყო სპათა თანა ბერძენთასა ძე კოსაროს სომეხთა მეფისა, სახელით თრდატ, რომელი ვაჟსენეთ ზემო...“ (ლ. მრ. 68₆).

„გამოვიდა მუნით გუთთა მეფე და მიუტევნეს ურთიერთას ბრძოლად: სძლო თრდატ და ჯელად შეიპყრა, და იოტეს ბანაკი გუთთა“ (ლ. მრ. 68₁₂).

„ხოლო კეისარმან მისცნა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს, მამულსა თვისსა“ (ლ. მრ. 68₁₆).

„და სხუაცა ძალი მოირთო (მირიანმა) სპარსეთით და უწყო ბრძოლად თრდატს. ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალ-ედვის წინა აღმდგომად, და გაამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და მოვლის თრდატ ქუეყანა მისი. და ოდეს განძლიერდის მირიან სპარსეთით, მაშინ ვერ წინააღუდგის თრდატ, და მოვლის მირიან სომხითი. და ესრეთ დაუცხრომლად იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა, და არაეინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ-მბრძოლი თრდატისი. და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქუეყანასა, და სძლო ყოვლადვე მბრძოლთა მისთა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი ცხორებასა სომეხთასა“ (ლ. მრ. 69_{1,4,8,17}).

¹ F. Justi, IN, გვ. 382.

² Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., II, 33. 171.

„და გარდავლეს სომხითი და ვერ წინააღმდეგა თრდატ, არამედ განამაგრნა ციხე-ქალაქნი“ (ლ. მრ. 69₁₄).

„და აღიყვანა შვილი მირიანისი მძევლად, რომელსა ერქუა ბაქარ, და დაამოყურნა თრდატ და მირიან და ამზახნა ურთიერთას“ (ლ. მრ. 70₁₃).

„რამეთუ მოსცა თრდატ ასული თვისი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისსა ცოლად, რომელსა ერქუა რევ. და განუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაქსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა: და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“ (ლ. მრ. 70_{13-15,18}).

„...და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვნიდებოდეს იგინი უჯარმას“ (ლ. მრ. 71₁).

„მაშინ მოიწივნეს მოციქულნი კეისრისანი წინაშე თრდატ სომეხთა მეფისა და მოართუეს წიგნი კეისრისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „თვითმპყრობელი კეისარი საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანამოსაყდრესა ჩემსა თრდატს გიკითხავ“ (ლ. მრ. 82₁₃).

„ხოლო რომელნიმე იტყოდეს: „რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად იქმნა და მისვე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა, და მან უკუე ღმერთმან მოაწია ესე“ (ლ. მრ. 92₂).

„ესევეითარსა ამან იტყოდეს, რამეთუ ვინათგან თრდატ მეფე ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილ იყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულ იყო“ (ლ. მრ. 92₃).

„და მოქცევეითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლეშივე მისსა“ (ლ. მრ. 129₆).

„რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმისწულის, რევის ძისა, თრდატ სომეხთა მეფის ასულის წულის მეფობასა ლამობდეს ქართლსა“ (ლ. მრ. 130₃₀).

„უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, და ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა, მან შეირთოს და ჩემი, და მან იპყრას მეფობა“ (ჯუანშ. 151₆). იხ. 159₂₀, 161₈, 169₁₇.

2) თრდატი — ქართლის მეფე, რევის ძე, ვარაზ ბაქარის სიმამრი:

„და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი—ასული თ რ და ტ ი ს ი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა; და ერთი — ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა“ (ლ. მრ. 132₉).

„მაშინ წარჩინებულთა ქართლისათა ზრახვა ყვეს და დასუეს მეფედ სიმამრი ვარაზ-ბაქარისი, ძე რევისი, ძისწული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თ რ და ტ, და მისცნეს შვილნი ვარაზ-ბაქარისნი საზრდოდ, ასულის წულნი მისნი“ (ლ. მრ. 137₆). იხ. აგრეთვე, 138₀, 137₁₂.

3) თ რ და ტ ი — ვ ა რ ა ზ - ბ ა ქ ა რ ი ს ძ ე , ა რ ჩ ი ლ ი ს მ ა მ ა :

„და უშვნა რევის ძისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები ერქუა მირდატ და თ რ და ტ“ (ლ. მრ. 135₂₂).

„მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მეფედ მცხეთას ძე თ რ და ტ ი ს ი, ძმისწული მირდატისი, მეფისა წარტყუნულისა, სახელით არჩილ“ (ლ. მრ. 139₁₉).

4) თ რ და ტ ი — ს ო მ ხ ი თ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი (ნათესავისაგან დიდისა თრდატისა):

„და მოიწივნეს სომხითს... ერისთავნი სომხითისანი: სივნიელი არევ, ასფურგანელი ჯუანშერ... თ რ და ტ ნათესავისაგან დიდისა თ რ და ტ ი ს ა“ (ჯუანშ. 159₂₀).

ეს სახელი ქართულში სომხურიდან არის შემოსული, თვით სომხური წარმოადგენს საზ. სპარსული ფორმის გადმოცემას. შდრ. ფალ. Tirdāt¹, ძვ. სპ. Tiridāta ‘თირის წყალობა, ნიჭი, ნაბოძები’. Tir — სპარსულში პლანეტა მერკურის სახელწოდებაა + dāta ‘მოცემული’, სომხურში Tir — ღმერთის სახელია, ბერძნულში გვაქვს Τηριδάτης, ლათ. Tiridates, სომხ. Տիրիդատ².

. 57. იარედ — ს პ ა რ ს თ ა მ ე ფ ი ს ა ფ რ ი დ ო ნ ი ს უ მ ც რ ო ს ი ვ ა ე ი .

„ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ, რომელსა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, მასვე ხუდა წილად ქართლი, რომელსა სახელი ერქუა ი ა რ ე დ“ (ლ. მრ. 13₁₈).

„მიერთგან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთას, და მოკლეს ორთა ძმათა ი ა რ ე დ, ძმა მათი“ (ლ. მრ. 13₁₉).

¹ F. Justi, IN, გვ. 326.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 89.

„ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში იარედ-ის ნაცვლად გვაქვს *ქარსიერას*: „...ს აყანსն ხსილ ხერაქერს მქარას-ნხაღე ღქარსიერას“ (ყ. ლ. 18₉).

პირველი ელემენტი სომხურ ფორმაში Jarederax იგივეა, რაც ქართული იარედ. მეორე, ვფიქრობთ, წარმოადგენს შედეგს არასწორი წაკითხვისა სპარსული 𐎠𐎡-ისა erax-ად (𐎠𐎡) — განსხვავება სპარსული 𐎠 — x-სა და 𐎡 — j-ს შორის მხოლოდ იმაშია, რომ წერტილი ერთსა აქვს ქვევით, მეორეს ზევით. საკითხავია, საიდან აიღო სომეხმა მთარგმნელმა ეს სიტყვა. შესაძლოა თვით ქართულ ტექსტში, რომლიდანაც ის თარგმნიდა, გვექონდა გლოსა (მინაწერი) სპარსულად დაწერილ ერაჯის სახელისა 𐎠𐎡, რომელიც მან წაიკითხა, როგორც erax, ანდა უკვე ქართულში გვექონდა აღრევა სპარსულიდან თარგმნისას. თვით ქართული იარედ მიღებულია, ალბათ, საშ. სპარსული ფორმიდან Erēč || Erēz¹, რომელიც ახ. სპარსულში გადმოცემული იყო erēz — 𐎠𐎡-ის სახით, და ქართველმა წაიკითხა, როგორც ered > ერედ > იარედ (𐎠 > დ). ხოლო ე > ია-სათვის შეადარეთ სახელები: იარვანდი, იალღუზი, იალბუზი და სხვა.

ნმ. იზიდბოზიდ — კათალიკოსი.

ხოლო კათალიკოზნი: რლ ევნონისითგან მომართ იყვნეს: თაფთაგ: 𐎠: ევლალე: 𐎡: იოველ: 𐎢: სამოველ: 𐎣: გეორგი: 𐎤: კკრიონ: 𐎥: იზიდბოზიდ 𐎦...“ (მოქც. ქართ. 727₁₀).

საშ. ირ. Yazdbōzēdh² ‘ღვთის დახსნილი’, yazd [< yazat, ავ. yazata. ახ. სპ. izad] + bōzēt hēz, hōzīšn ‘ხსნა, გათავისუფლება’, bōxtan ‘ხსნა’³, ბერძნ. Ἰσθιδιουθ, სომხ. Izdbūzit, Izdibuzit, Izdi-
buzd, Istibuzit.

ირანულში ძალიან გავრცელებულია მსგავსად ნაწარმოები საკუთარი სახელები, ე. ი. რომელთაც კომპოზიტის მეორე წევრად აქვთ bōčēt, hōzit. შეადარეთ, მაგალითად, Artanobōčēt, Atūrbōčēt, Yazdbōčēt, Mitrbōčēt, Aštānbōzan და სხვა.

ეს სახელი ქართულში ძალიან გავრცელებული არ არის.

ნ9. შიპრ (მირ.) — სტეფანოზ II უფროსი ვაჟი, არჩილ II ძმა.

ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და შიპრ“ (ჯუანშ. 232₂₃).

¹ A. Christensen, *Études sur le Zoroastrism de Pers antique*, 1928.

² F. Justi, *IN*, 33. 47 და 489.

³ H. Nyberg, *Hfsb*, II, 83. 37.

„...და ნახევარი წარილო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყვანა ძე თვისი პირმშო მიჰრა“ (ჯუანშ. 232₂₆).

„და მუნ ყოფასა შინა მოკუდა სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, და მის წილ მეფე იქმნა ძე მისი მირა“ (ჯუანშ. 233₇).

„მეორმოცდასამე მეფე, მირა, ძე სტეფანოზ მთავრისა, ხოსროიანი“ (ჯუანშ. 233₁₀).

„და იწყლა მირა მაზრაკითა ფერდსა, ხოლო ქრისტიანეთაგან მას დღესა შინა მოკლეს კაცი სამოცი...“ (ჯუანშ. 237₁₉).

„და წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირა და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან, და აუწყეს ესე ყოველი, რაცა იქმნა ღმრთისა მიერ კელითა მათითა“ (ჯუანშ. 239₁₁).

„ხოლო მან წარმოსცა ორი გვრგვნი და გუჯარი მირსა და არჩილს, და მოსწერა მათ თანა, ვითარმედ: „თქუენი იყო მეფობა, სიმკნე და სიბრძნე ქართლსა შინა“ (ჯუანშ. 239₁₄).

„მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირა და არჩილ“ (ჯუანშ. 235₁₀).

„ხოლო მირა დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თვისსა არჩილს...“ (ჯუანშ. 240₁₄).

„და მოკუდა მირა, და წარმოსცეს მცხეთას, და დაფლეს ზემოსა ეკლესიასა, შესავალსა კარისასა“ (ჯუანშ. 241₁₁).

სახელი მიჰრაწი მირა წარმოადგენს საშ. სპარსული Mihr-ის გადმოცემას, ფალაურში დადასტურებულია ფორმები: Miჰრა და უფრო მოგვიანო Mihr, ფაზ. Mihr, ახ. სპ. *مهر*, ძვ. ირ. Miჰრა-დან¹. მითრა — ‘სინათლის, მზის ღმერთი’. საშ. და ახალ სპარსულში სიტყვამ მიიღო ‘სიყვარულის’ მნიშვნელობა, ძვ. სპ. Miჰრა², ბერძნ. *Μίτρας*, *Μίτρας*, ლათ. *Miჰრას*, სომხ. *Միթր*³ ‘ღმერთი არამაზდის ძე’ (აგათანგელოზი, 790). იგი გვხვდება, აგრეთვე, ადამიანის საკუთარ სახელად⁴.

60. მირდატ.

1) მირდატ I — დეროკის ძე, შიდა ქართლის მეფე: „და შემდგომად მათსა მეფობდეს შვილნი მათნი: არმაზს—ფარსმან ქუელი და შიდა ქართლსა — მირდატ“ (ლ. მრ. 50₇).

„მეთხუთმეტე მეფენი, ფარსმან ქუელი და მირდატ, ძენი ამაზასპისა და დეროკისი არშაკუნიანნი“ (ლ. მრ. 50₈).

¹ F. Justi, IN, გვ. 207.

² A. Meillet, Vp, გვ. 51.

³ H. Hübschmann, AG, I, გვ. 53, 54.

⁴ *Ա. Ն ա ո յ ա ն*, *Անձ. բառ.*, III, გვ. 231.

„მაშინ ამან მი რ და ტ ქართველმან მოიყვანა ცოლი სპარსი, ნათესავი მეფეთა, და წუევითა სპარსთათა მტერ ექმნეს ფარსმან ქუელსა არმაზელსა, და განიზრახა მუხთლად სიკუდილი ფარსმან ქუელისა“ (ლ. მრ. 50₁₀).

„და მოხადა მი რ და ტ ფარსმან ქუელსა სახლსა თვისსა რეცა მი ჯ ლ ი შ ა დ და განცხრომად“ (ლ. მრ. 50₁₃).

„მიერითგან იქმნეს მტერ ურთიერთას. და მი რ და ტ ს შეეწეოდეს სპარსნი, ხოლო ფარსმანს სომეხნი“ (ლ. მრ. 51₁).

„და ესე მი რ და ტ იყო კაცი ურვილი და ნოსისხლე, ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი...“ (ლ. მრ. 51₂).

„ესე უყუარდა მი რ და ტ ის კერძთაცა ქართველთა და სძულდა მი რ და ტ მესისხლეობისა და მედგრობისა მისისათვის. და გამოერთნეს უმრავლესნი მი რ და ტ ის აცა კერძნი, ემძლავრა ფარსმან ქუელი და აოტა მი რ და ტ მეფე. და წარვიდა მი რ და ტ სპარსეთად“ (ლ. მრ. 51₆).

2) მი რ და ტ II — ბაკურის ძე, ქართლის მეფე:

„მეოცდარორე მეფე, მი რ და ტ, ძე ბაკურისი, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 59₁).

„და შემდგომად ბაკურისა მეფობდა ძე ბაკურისი, მი რ და ტ“ (ლ. მრ. 59₂).

„მეოცდასამე მეფე, ასფაგურ, ძე მი რ და ტ მეფისა, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 59₃).

„და შემდგომად მი რ და ტ ისა მეფობდა ძე მისი ასფაგურ“ (ლ. მრ. 59₄).

3) მი რ და ტ III — ბაქარის ძე, ქართლის მეფე:

„მეოცდაექუსე მეფე, მი რ და ტ, ძე ბაქარისი, ხოსროიანი“ (ლ. მრ. 131₁₂).

„და დაჯდა მეფედ ძე მისი მი რ და ტ, და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა“ (ლ. მრ. 131₁₃).

„და არა აყენებდა მი რ და ტ მეფე ნაწილისა გამოღებად, რამეთუ ეპისკოპოსმანცა ჭეშმარიტმან იაკობ ეგრეთ ჯერ იჩინა და თქუა“ (ლ. მრ. 131₁₉).

„მაშინ ამან მეფემან მი რ და ტ მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარი ზომიერი, და რომელი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარე მოქმნა ქვითკირითა, და აღამალლა ქვითკირი პირველ სუეტისა ოდნად“ (ლ. მრ. 132₁).

„და მის-ზე მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი, და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი. და მოკუდა მი რ და ტ მეფე“ (ლ. მრ. 132₆).

4) მირდატ IV—ვარაზ ბაქარის ძე, ქართლის მეფე:
„და უშვნა რევის ძისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები
ერქუა მირდატ და თრდატ; ერთი უშვა ფეროზის ძისწულმან,
რომელსა ერქუა ფარსმან“ (ლ. მრ. 135₂₁).

„მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს
მეფედ მცხეთას ძე თრდატისი, ძმისწული მირდატისი, მეფისა
წარტყუნულისა, სახელით არჩილ“ (ჯუანშ. 139₁₂).

„უთხრეს მირდატს, ძესა არჩილისსა, სიშუენიერე მისი (საგ-
დუხტისა), და სმენითა სიშუენიერისა მისისათა ტრფიელ იქმნა
მირდატ მის ზედა“ (ჯუანშ. 141₁₁).

„და მისცა მეფემან სამშულდე ძესა თვსსა საერისთოთა მისითა,
და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“ (ჯუანშ. 142₆).

„და დაჯდა მეფე მის წილ ძე მისი მირდატ. და მეფობდა იგი,
ვითარცა მამა მისი, დიდსა სარწმუნოებასა შინა“ (ჯუანშ. 143₂).

„კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედო-
ფალი საგდუხტ, რათა მოსცეს ძე“ (ჯუანშ. 143₄).

„შემდგომად ამისსა, წელსა მეორესა, მოკუდა მეფე მირდატ;
და დარჩა ვახტანგ შვდისა წლისა ყრმა“ (ჯუანშ. 143₁₉).

5) მირდატ — ერისთავი ვახტანგ გორგასალის
დროს:

„ხოლო მეფე და ჯუანშერ სპასპეტი დაადგეს მცხეთას, და
ნასრა და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისა და ქართ-
ლისათა, რომელნი ღვეს არმაზით კერძო“ (ჯუანშ. 180₄).

6) მირდატ — ვახტანგ გორგასალის ვაჟი მეორე
(ბერძენი) ცოლისაგან:

„და მოუწოდა (ვახტანგმა) ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, და
არტავაზს, ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა
ოდრქისასა, და მათ მიათულა ცოლი თვსი ელენე და შვილნი
მისნი, რომელთა ერქუა ლეონ და მირდატ, და შეავედრნა მათ
სამთავე ერისთავთა ცრემლითა და შეხედვებითა ღმრთისათა“ (ჯუანშ.
204₃).

„ხოლო ორთავე მათგან ძეთა ვახტანგისთა, ნაშობთა ბერძნისა
ცოლისაგან, მოკუდა, რომელსა ერქუა ლეონ, და დარჩა მირდატ
ოდენ“ (ჯუანშ. 205₁₂).

„ამას მირდატს დაევაჰრა ძმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა
ქუეყანა, და აღიღო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლისუ-
რასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა
ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე“ (ჯუანშ. 205₁₂).

„დაიპყრა მირდატი, ძემან ვახტანგისმან, ფარაენითგან და ტა-
სისკართგან ვიღრე ზღუამდე სპერისა, და ერისთაობდა მუნ“
(ჯუანშ. 205₁₀).

„რამეთუ შვილნი დაჩისნი ჰმორჩილობდეს სპარსთა, ხოლო
შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“
(ჯუანშ. 207₁).

„და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი
მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა
კლარჯეთისათა“ (ჯუანშ. 217₁₁).

„მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დის-
წული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა
ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“ (ჯუანშ.
218₁).

„და დაჯდა მეფედ ძმა მისი მირდატი, ასულის წული თრდა-
ტისი, ძე ვარაზ-ბაქარისი, მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი,
ორითავე მირიანის ძეთა ნათესავი“ (ლ. მრ. 138₆).

„და იყო ესე მირდატი კაცი ქუელი, მკედარი შემმართებელი,
ურწმუნო და უშიში ღმრთისა, ლალი და ამპარტავანი, და მინდო-
ბილი მკედრობასა თვისსა“ (ლ. მრ. 138₇).

„მაშინ სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა
უფრობ, სპითა ძლიერითა, მირდატის ზედა“ (ლ. მრ. 138₁₃).

„მაშინ მირდატი, სილაღითა თვისითა, არა ჰრიდა სიმრავლესა
სპარსთასა, მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს და ეწყო“ (ლ. მრ.
138₁₄).

„ხოლო მირდატი წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“ (ლ. მრ.
138₁₇).

„ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატი სპარსთა
წყობასა შინა, და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა“ (ჯუანშ.
139₆).

„მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს
მეფედ მცხეთას ძე თრდატისი, ძმისწული მირდატისი, მეფისა
წარტყუნულისა, სახელით არჩილ“ (ჯუანშ. 139₁₂).

7. მირდატი V — არჩილ პირველის ძე, ქართლის
მეფე, ვახტანგ გორგასალის მამა:

„ესუა ძე არჩილს, და უწოდა სახელი მისი მირდატი. აღი-
ზარდა ესე მირდატი, და დადგა ასაკსა მამაკაცობისასა. მირდატი
იყო მორწმუნე და ღმრთის-მსახური, ვითარცა მამა მისი“ (ჯუანშ.
140₂₂).

„წინამძღუარ ექმნის მირდატ სპათა მამისა თვისისათა, და მარადის ტყუენვიდის რანსა და მოვაკანსა“ (ჯუანშ. 141₆).

ძველი ირანული Miθradāta¹ 'მითრას მოცემული': შეადარეთ ანალოგიურად ნაწარმოები სახელები: ბ ა გ რ ა ტ, თ რ დ ა ტ, ს პ ა ნ - დ ი ა ტ და მისთანანი. საშ. ირანული ფორმებია ფალ. Mitrdāt[ā]n > Mihrdātān, ახ. სპ. Milād < Mihrdād-იდან (rd > l-დ ახალ სპარსულში ცნობილი მოვლენაა). შეადარეთ აგრეთვე ბერძნ. Μιτραδάτης, Μιθριδάτης, ლათ. Mithradates, Miθridates, სომხური Միհրդատ², სირ. M-hl-d.

61. მიჰრან (მირიან).

1) მირიან — დიდი მთავარი, ძე ბეშქენ ბაჰლაუნდისა:

„...რომლისა-იგი იყენეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია, ხოლო აწ კუალად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ, ძისა იოვანსის“ (ს. ზ. 235₃₆).

„და ვითარ მოიწინეს სამცხეს ბრძანებითა ღმრთისაჲთა ძმ დიდისა მირიან აზნაურისაჲ დაიმოწათეს“ (გრ. ხანძთ. 267₂₃).

2) მირიანი — ქართლის მეფე, ძე სპარსთა მეფის ქასრე არდაშირ სასანიანისა:

„შემოსლვა სპარსთა ქართლს და მეფობა მირიანისი, ქასრეს ძისა“ (ლ. მრ. 60₂).

„აწ ვაქსენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქასრე არდაშირისი სასანიანისა“ (ლ. მრ. 64₁₃).

„ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა, და შეპრთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას“ (ლ. მრ. 64₁₈).

„და იყო მირიან მაშინ წლისა შჯდისა. და თანა ჰყვა ქასრე მეფესა დედა მირიანისი და არა დაუტევა იგი მირიანის თანა. რამეთუ უყუარდა დედა იგი მირიანისი ვითარცა თავი თვისი, არამედ დაუტევა მამამძუძედ და განმგებელად წარჩინებული ერთი. რომელსა ერქუა სახელად მირვანოზ“ (ლ. მრ. 64₁₇).

„და წარვიდა მეფე და წარიხუნა ყოველნი ჳევნი კავკასიანთანი და დასხნა ყოველთაგან მთავარნი, და უბრძანა მათ ყოველთა, რათა იყენენ მორჩილ ძისა მისისა მირიანისსა, და უბრძანა მირიანს, ძესა თვისსა, და მამამძუძესა მისსა მირვანოზს, რათა ჰბრძოლიან ხაზართა, და წარვიდა მეფე სპარსეთად“ (ლ. მრ. 65₁₀).

¹ Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. քառ., III, ՅՅ. 334.

² H. Hübschmann, AG, I, ՅՅ. 54; F. Justi, IN, ՅՅ. 209, 213.

„და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შვდთა მათ კერპ-
თასა და ცეცხლისასა“ (ლ. მრ. 65₁₅).

„ხოლო იქმნა რა მირიან თხუთმეტისა წლისა, მოუკუდა
ცოლი, ასული ქართველთა მეფისა, და ამას ზედა დაესრულა ქართლს
შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა“ (ლ. მრ.
66₁).

„მაშინ შეწუხდეს ყოველნი ქართველნი სიკუდილსა ზედა დედო-
ფლისა მათისასა, არამედ დაადგრეს ერთგულებასა ზედა მირი-
ანისსა, რამეთუ არღარა ვინ იყო ყოვლადვე ნათესავი ფარნავა-
ზიანთა, რომელიმცა ღირს იყო მეფობასა ქართველთასა. და ესრეთ
შეიტკბეს ამის მიზეზისათჳს მეფობა მირიანისი“ (ლ. მრ. 66₂).

„ხოლო მირიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა, და
მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლილოტოსისი,
სახელით ნანა“ (ლ. მრ. 66₇).

„ხოლო ოდეს მოვიდიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის
მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად მიჰრიდიან ხა-
ზართა მათ მირიანს, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის“ (ლ. მრ.
66₁₇).

„ხოლო ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმოციისა, მაშინ მო-
კუდა მამა მისი, სპარსთა მეფე, და დაჯდა შემდგომად მისსა მე-
ფედ სპარსეთს ძმა მირიანისი უმრწემესი, რომელსა ერქუა
ბარტამ“ (ლ. მრ. 67₁).

„ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისსა, აქუნდა ქუეყანა, რო-
მელი ზემო თავსა ვაჟსენეთ მიცემულად მირიანისაგან, და იყო
იგი მუნ ერისთავად“ (ლ. მრ. 71₂).

„მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თუალ-შეუდ-
გამითა ხილვითა“ (ლ. მრ. 88₁₅).

„ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი
იგი ერი ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოვებდეს“ (ლ. მრ.
91₁₆). იხ. გვ. 95₁₃; 102₁₈; 106₇; 111₁₄; 115_{21,26}; 117_{31,45}; 118_{31,10};
122₇; 128₇.

„მოვიდა ბაქარ, ძე მეფისა მირიანისი, და მოციქული კოს-
ტანტინე მეფისა მცხეთას“ (ლ. მრ. 129₁).

„მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო და
აღასრულა სატფურება მისი მრავალითა დიდებითა“ (ლ. მრ. 129₄).

„და მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მო-
კუდა ძე მისი რეგ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისაღვე
მიეცა მეფობა სიციოცხლესავე მისსა“ (ლ. მრ. 129₆).

„და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი ერთი— ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა; და ერთი—ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა“ (ლ. მრ. 132₉).

„და ნათესავისაგან მირიან მეფისა მორწმუნისა ვახტანგ და დანი მისნი დარჩომილ იყვნეს: იგინი იყვნეს ნათესავნი ბაქარ მირიანის ძისა“ (ჯუანშ. 159₇₋₉).

„მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისადმე გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი, და წელიწადი ას ორმოცდაჩვდმეტი, ხოლო ეპისკოპოსნი წესსა ზედა ქეწმარიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შემშლელნი წესისანი“ (ჯუანშ. 159₁₃).

„და მეფობითგან მირიან მეფისათა ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდაქდეს წელნი ორას ორმოცდაათნი“ (ჯუანშ. 215₁₉).

„მაშინ რქუა არჩილ ძმასა თვისსა მირს: „მიწყუდეულ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად, და უკეთუ შეგვპყრნენ ჩუენ ჯელად, გამოიკითხნეს ყოველნი საგანძურნი ნამალევენი, რომელნი იგი დაეფლუნით ქუეყანასა ჩუენსა, მონაგებნი მირიან ღმრთივ-განბრძნობილისანი, და კუალად ვახტანგ ღმრთივ-განბრძნობილისა მეფისანი, და ყოველთა შვილთა მათთანი, რომელთა გუშვნეს ჩუენ“ (ჯუანშ. 236₄).

„და შენ წარიხუენ ორნი იგი გვრგვინი, ოქროსა და ანთრაქისანი: ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი, რომელი მოუძღუნა სპარსთა მეფემან ვახტანგს...“ (ჯუანშ. 236₁₃).

„...ანუ მო-ვინმე-ვიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად“ (ჯუანშ. 240₂₀).

ლ. მრ. ოველ თან — 117₂; 65₂₂; 67₂₀; 70₂₀; 72₁; 102₁₉; 105_{11,13}; 108_{14,18}; 109₁₁; 111₈; 110₁₂; 163₄; 111₆; 115₁₈; 116_{7,9}; 128₁₅; 129₉; 130₁₃; 246₁₃; 248₁₄. ჯუანშერთან — 228₂ 160₁₀ 242₆:

3) მირიანი — ვახტანგ გორგასალის მამის ძმისწული („ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა“):

„და დაწერა (ვახტანგმა) ანდერძი ესრეთ: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა“... და იგი მირიან, მამის ძმისწული მისი, დაუტევა მცხეთას“ (ჯუანშ. 151₆).

„ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისავე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა“ (ჯუანშ. 159₁₀).

საშ. და ახ. სპარსული ფორმა ამ სახელისა არის *Mihrañ*¹, საი-
დანაც მოდის ქართული მიჰრან, მირიან ფორმები და სომ-
ხური *Միհրան, Միհրեսան*². აღნიშნული სახელისათვის ამოსავალია
ძვ. ირანული *Mihrañna*³ (*Mihra* + *-ñna* სუფიქსი), ბერძნული *Μι-
θρηνος, Μιθρηνος*. ლათინ. *Merenes*.

აქარიანი თავის საკუთარ სახელთა ლექსიკონში აიგივებს ქარ-
თულ სახელებს მირიან და მირვან — მსგავსად იმისა, როგორც
ახოვანი გვაქვს სომხ. *ახოյան*-იდან და ბაერაკი თურქული
bayrak-იდანო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს მოსაზრება სწორი
არ არის, ქართ. მირვან — მირვანოზ სხვა სახელია და მას
ამოსავლად აქვს ძვ. სპარსული: *Mihrapāna*⁴.

შესაძლებელია ქართული ფორმა მირიანი მიღებულია სომ-
ხური *Միհრեսան* (h — იკარგვის ქართულში, *-სან* > -იანს-ს).

62. მირანდუხტ, მიჰრანდუხტ.

1) ვახტანგ გორგასალის და, რომელიც ოსებს
ჰყავდათ ტყვედ და განთავისუფლების შემდგომ
მიათხოვეს სპარსთა მეფეს:

„მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს
ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკუ-
რისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოკრეს ველნი არამედ ციხე-ქა-
ლაქნი დაურჩეს, თჯიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს
და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სა-
მის წლის ქალი“ (ჯუანშ. 145₂₁). იხ. გვ. 150₃, 157_{6,7}.

„მაშინ მეფემან განუტევნა ნიჯადნი იგი სპარსთანი და მეფენი
კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა, წარმოგზავნა დაჲ მისი მირან-
დუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა დარიალისასა, და თვთ საითა
დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა“ (ჯუანშ.
157₁₄).

„და მისცა სპარსთა მეფესა დაჲ მისი ვახტანგ მეფემან ცოლად,
რომელსა ერქუა მირანდუხტ, რომელი წარტყუენულ იყო ოვს-
თაგან და გამოეცნა ვახტანგს“ (ჯუანშ. 185₆).

2) მირანდუხტ — არჩილ მეორის ასული:

„და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანე, და ასულნი
ოთხნი: გუარანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ, და შუშან“ (ჯუანშ.
244₁₈).

¹ H. Hübschmann, AG, I. გვ. 53. 54.

² Ահառյան, Անბ. բառ., გვ. 332.

³ F. Justi, IN. გვ. 214.

⁴ იქვე, IN, გვ. 216.

Mihrān (მირიან)+duxt (ასული), ე. ი. Mihrāduxt=მიპრანის ასულს. შეადარეთ გურანდუხტ, საგდუხტ და მისთანანი.

სომხ. *Միրանուխտ*-ს აქარიანი თელის მიღებულად ახ. სპ. *میران*(-) *mīrān*-იდან, ე. ი. 'მთავართა ასული', რაც არ გვეგონია, რომ სიმართლეს შეეფერებოდეს, რადგან ქართულში მირანდუხტის გვერდით გვაქვს ფორმა მიპრანდუხტი, რომელიც, უკვე ველია, საშ. სპარსულ *Mihrān-duxt*-ს ეყრდნობა. სომხური ფორმა შესაძლოა, შეთვისებული იყოს ქართულიდან.

63. მირვან.

1) მირვან — საურმაგის სიძე, ქართლის მეფე:

„მაშინ მოიყვანა სპარსეთით შეილი ნებროთისი, ნათესავითაგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და დაიჭირა იგი შეილად, რომელსა ერქუა სახელი მირვან“ (ლ. მრ. 27₁₀).

„მესამე მეფე, მირვან, ნებროთიანი“ (ლ. მრ. 27₂₂).

„ესე მირვან იყო ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მჭნე და ქუელი“ (ლ. მრ. 27₂₄):

„და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა. სომხითს რომელსა ერქუა არშაკ. ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისსა, არშაკს. და მოკუდა მირვან, და მეფე იქმნა მის წილ ზე მისი ფარნაჯომ“ (ლ. მრ. 28₁₉).

„მაშინ მირვან მეფემან მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, და შემოიკრიბნა ყოველნი სპანი, მჭედარი და ქუებითი, და ყოველნი კავკასიანნი იყვნეს სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა მირვანისსა, რომელნი გარდამოვლინებულ იყვნეს საურმაგ მეფისაგან, თვნიერ ჭართალთასა“ (ლ. მრ. 28₃).

„ხოლო მირვანს ვერ ჰკუთუნდა მახვლი ღურძუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა, და დგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე“ (ლ. მრ. 28₁₁).

„და შევიდა მირვან ღურძუკეთს, და მოაოჯრა ღურიუკეთი და ქართალი. და შეაბნა კარნი ქვტკირითა, და უწოდა სახელად დარუბნალ. და დაჯდა მირვან მცხეთას, მეფობდა ნებიერად და უშიშად“ (ლ. მრ. 28₁₄).

2) მირვან II—ფარნაჯომის ძე, ქართლის მეფე:

„ხოლო აღზარდეს სპარსთა ძე ფარნაჯომისი მირვან, რომელი სიკუდილსა მას ფარნაჯომისსა წარეყვანა მამამძუძესა მისსა, რომელი ვაქსენეთ პირველ“ (ლ. მრ. 30₂₁).

„ესე მირვან იყო კაცი ქუელი, მჭნე, მჭედარი, და მრავალგზის გამოიციდა იგი ბრძოლასა თურქთა და არაბთასა“ (ლ. მრ. 30₂₂).

„ამან მირვან შეკრიბნა სპანი ძლიერნი სპარსეთს, წარემართა ქართლს, და მოუგზავნა მოციქული ერისთავთა ქართლისათა, და რქუა მათ: „მოიქსენეთ სიყუარული მამის მამისა, მირვანისი, და კეთილი მისი თქუენდა მომართ“ (ლ. მრ. 31₃).

„ხოლო ერისთავთა ქართლისათა არა შეიწყნარეს ბრძანება მირვანისი, არამედ ყოველნი მივიდეს წინაშე ბარტომ მეფისა. ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი, არა წარჩინებულნი, წარვიდეს და მიერთნეს მირვანს“ (ლ. მრ. 31₁₆).

„მოვიდა მირვან და დადგა მდინარესა ბერდუჯისასა“ (ლ. მრ. 31₂₀).

„და არავინ გამოჩნდა ქართველთაგანი და სომეხთაგანი მძლე მირვანისი“ (ლ. მრ. 32₂).

„მაშინ ბარტომ მეფემან განაწყევნა სპანი თჳსნი, და მიმართა ყოვლითა სპითა მირვანს, და მუნით მირვან მოეგება სპითა ყოვლითა“ (ლ. მრ. 32₅).

„ხოლო ვითარ მოკლა მირვან ბარტომი, და შემოვიდა ქართლად და დაიპყრა ყოველი ქართლი“ (ლ. მრ. 32₂₀).

„მერვე მეფე, მირვან“ (ლ. მრ. 33₆).

„მეცხრე მეფე, მეორე არშაკ, ძე მირვანისი, ნებროთიანი“ (ლ. მრ. 33₈).

ძვ. ირანული *Miθrāpāna* ‘მითრას მცველი, მფარველი’, ფარს. *Meherwān*¹, ახ. სპ. *Mihr[a]bān, Mihī[ir]bān* ‘მოსიყვარულე’, სომხ. *Միհրաբան* ‘ალბანთა მეფის სახელი’ და *Մհրաբան*², მომდინარე ფალ. *Mihrawān*-იდან, რომელიც ამოსავალია აგრეთვე ქართული ფორმისათვის მირვან.

სომხურში დადასტურებულია აგრეთვე ამ სახელის ფორმები: *Միհրիբան, Միხրաբան, Մհրուբան, Մէյրուբան, Մէրիպան* და *Մსրաբան*, რომლებიც, როგორც ჩანს, ახ. სპარსული ფორმიდან მოდიან³. ამავე სახელთან გვაქვს საქმე ბერძნული დაბოლოებით მირვანოზის შემთხვევაში — მირიანის მამამძღუძე წარჩინებული სპარსელი:

„...არამედ დაუტევა მამამძღუძედ და განმგებელად (ქასრემ მირიანს) წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა სახელად მირვანოზ“ (ლ. მრ. 64₂₀).

„ხოლო უბრძანა მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი რჩეული შჳდი ათასი მჳედარი ყოვლადვე ქალაქსა შინა იპყრას მცველად ძისა მისისა“ (ლ. მრ. 65₃).

¹ F. Justi, IN, გვ. 208.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 53 — 54.

³ Ա ճ ա ո յ ա ն, Ա ճ ձ. բաղ., III, გვ. 335.

„ხოლო ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“ (ლ. მრ. 65₁₄).

64. მობიდან.

1) მობიდანი — ქართლის ეპისკოპოსი. ნათესავით სპარსი მოგვ:

„და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი, და აჩუენებდა იგი მართლ-მადიდებლობასა“ (ჯუანშ. 142₁₆).

„ხოლო იყო ვინმე მოგვ უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ“ (ჯუანშ. 142₁₃). იხ. იქვე, 142₁₀.

„მაშინ მოიყვანა მღვდელი ჰემმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ, და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა, რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვალებულ იყო“ (ჯუანშ. 145₁₄).

2) მობიდანი — სპარსთა მეფის ხუასროს მოციქული ვახტანგ გორგასალთან:

„ხვალისა დღე მოუვლინა მეფემან ვახტანგს ბარზაბან, საკუთარი მობიდანი, და რქუა ესრეთ გორგასალს“ (ჯუანშ. 183₂₂).

შენიშვნა: ამ უქანასკნელ შემთხვევაში მობიდანი არის არა საკუთარი სახელი, არამედ წოდება ბარზაბანისა — ‘მოგვთა მთავარი’.

ძვ. ირ. Magupati¹. ‘მოგვთა მთავარი’, ავესტური magupaiti მოგვთა მთავარი, ფალ. maupat გვხვდება საკუთარ სახელად Maubad. ახ. სპ. mobed (შეადარეთ ქართ. ‘ვისრამიანი’-ის ‘მოაბადი’), არაბ. al-Maubad, სომხ. *Մոպսես*, ქართული ფორმა მობიდანი მიღებულია ახ. სპ. გამოთქმა mobedān mobed-იდან ‘მოგვთა მოგვი’ — მეორე ნაწილის ჩამოშორებით, შეადარეთ მსგავსად ნაწარმოები ბანოვანი. რაც შეეხება საკუთარ სახელად მის გამოყენებას, შესაძლოა იგი წარმოადგენს Mōbēd-ის -ān სუფიქსით გავრცობილ ფორმას, ისე როგორც ეს სხვა შემთხვევებში გვაქვს, მაგალითად, Mibr- და Mihrān (მირ და მირიანი). მობიდანის შესახებ იხ. აგრეთვე ზოგად სახელებში.

ფალ. magupat — გამოითქმის mōrpat > moypat (სასანურ ეპოქაში), ახ. სპ. موبد² ‘მოგვთა მთავარი, ბრძენი, ვეზირი, მრჩეველი

¹ F. Justi, IN, გვ. 184.

² S. Haim, New Persian-English Dictionary, II, გვ. 1014.

ფილოსოფოსი¹, სომხ. *Մուսկատ* ზორასტრელთა მთავარი ქურუმი ბერძ. *Μαυπατζ* იკითხება *Μαυπατζ*¹.

68. ნერსე.

1) ნერსე—ერისმთავარი ქართლისა (ძე ადარნესე კურაპალატისა და ერის მთავრისა):

„რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ. სახელით ნერსე, ძმადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მთლობელისა მისგან ეამსა სარკინოზთასა ამირა მუმნისა აბდილაჲსგან...“ (აბო, 185₂).

„ხოლო ქველის მოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებაჲ ნერსესი და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილესა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა ქუეყანადვე თჳსა“ (აბო, 185₃).

„ამან (აბომ) ინება წარმოსვლაჲ თჳსი აქა ერისმთავრისა მის ნერსეს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა“ (აბო, 186₂₁).

„...და დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, ვითარცა-იგი იტყჳს წმიდასა სახარებასა შინა, და წარმოვიდა აქა ნერსეს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათჳს“ (აბო, 186₃₃).

„და იყო ღღეთა მათ შინა კუალად იყო განრისხებაჲ ჯელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა, და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი“ (აბო, 187₂₃).

„მაშინ, შემდგომად რავდენისამე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა...“ (აბო, 188₁₀).

„ხოლო იყო შემდგომად სიელტოლისა მის ნერსესისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმროისაჲთა სტეფანოზ, ძმ გურგენისი, დისწული ნერსესისი, ნაცვალად დედის ძმისა თჳსისა ნერსესა, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლდ“ (აბო, 189₃₃).

„მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებაჲ იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა ღმერთმან“ (აბო, 190₁).

„და გამოვიდა იგი ნერსეს თანა ქუეყანად ქართლდ და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ“ (აბო, 190₃₄).

„ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლ-მორწმუნეთა მამა-დედათაჲ, და სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსე

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 195.

ერისთვისასა აღზრდილ იყო ჯელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“ (გრ. ხანძთ. 240₃).

2) ნერსე — ვახტანგ გორგასალის ერისთავი:

„ხოლო მცხეთას დემეტრე და ნერსე და ბივრიტიანი დაუტყვეა, წარავლინა მოციქული და მიუმცნო კეისარსა“ (ჯუანშ. 200₁₉).

3) ნერსე ნერსიანი — წარჩინებული ვახტანგ გორგასალისა (ქართლის ერისთავი არჩილ II დროს):

„ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი მისნი: ...მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი-იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა“ (ჯუანშ. 241₁₇₋₂₁).

4) ნერსე — ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა:

„რამეთუ მამა მისი ნერსე, ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი და ძმა დემეტრესი — ესენი გარდაცვალებულ იყვნეს“ (მატ. ქართ. 252₁).

5) ნერსე — ერისთავი კახეთისა:

„ხოლო ძმა მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს“ (სუმბატ დავითის-ძე, 373₁₈).

„ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საჰაკ დაუზახა ბაკურს, ძესა ნერსესსა, ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“ (სუმბატ დავითის-ძე, 374₁₃).

6) ნერსე — სომეხთა კათალიკოსი:

„და მის-ზე მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი, და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი“ (ლ. მრ. 132₅)

ავესტური *nairyōsaša*¹ = *nairyā + saša* >), ფალ. Narsah. სანსკრიტ. *narāśainsa* - 'კაცი ქებული, ცნობილი', 'განთქმული'. ფალაური წარწერების *N-rs-hi*, *N[e]rs[e]hš[ā]h*, ახ. სპარსული *Narsē*, სირიული *Narse*, *Narsai*, ბერძნ. *Ναρσης*, *Ναρσαίος*, ლათ. *Narses*, სომხ. *Ներսէ*, *Ներսես*² — 'აურამაზდას ერთ-ერთი წმიდა ცეცხლისა და მოციქულის სახელია'.

66. პანაგუშნასპ.

„ხოლო უსტამ ჰრქუა მათ: ვინ არიან იგინი? და მათ უთხრეს სახელები მათი და ჰრქუეს: ერთსა გუშნაკ ჰრქვან და ერთსა ბახ

¹ F. Justi, IN, 33. 221; Chr. Bartholomae, AirWb, 1054.

² H. Hübschmann. AG, I. 33. 57.

დიად, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“ (ე. მცხ. 163₁₉).

„...მას ეამსა ეშმაკი შეუქდა გულსა ბახდიადისსა და პანაგუშნასპისსა და უვარ-ყვეს ქრისტე და უღმრთოებთა აღიარეს“ (ე. მცხ. 164₁₄).

„ხოლო ბახდიადს და პანაგუშნასპს ნუგეშინისსცა და განუტევა იგინი, ხოლო საფასესა და კეთილსა რომელსა უქადებდა მათ, არცა ფსირიდი ერთი მისცა მათ“ (ე. მცხ. 164₂₇).

„...ხოლო უბადრუქმან პანაგუშნასპ გლახაკობითა აგნაღლენი“ (ე. მცხ. 165₁₉).

საშ. სპ. Panāh-gušnasp (Panāh ‘თავშესაფარი, საფარველი’ + gušnasp < wršnaspa ‘ხვადი ცხენი, კვიცი’) ‘მაზღაფანელთა სამუშინდეს ცეცხლთაგან ერთ-ერთის სახელი’¹. იხ. არვანდ გუშნასპ და გუშნაკ. მთლიანად სახელი ნიშნავს გუშნასპის (ცეცხლის სახელი) საფარველი, თავშესაფარი. ამგვარად ნაწარმოები სახელები საკმაოდ გავრცელებულია სპარსულში. შეადარეთ Panāh - burzīn, Panāh - Xusrāu, Panāh - mōy² და სხვა მრავალი.

67. პეროზ.

1) პეროზ (ბოლნისის წარწერაში, სპარსთა მეფის სახელი):

„[შეწევნითა წმიდ]ისა სამეზისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფისა-ზე ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა“ (ძვ. ქართ. ქრ., 1, წარწ. 3).

2) პეროზაკ (სახელი გავრცობილია აქ სუფიქსით):

„და მათ უთხრეს სახელები მათი და პრქუეს: ერთსა გუშნაკ პრქჳან და ერთსა ბახდიად, ერთსა ბოროზო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“ (ე. მცხ. 163₁₇).

3) ფეროზი — სპარსი უფლისწული, მირიან მეფის სიძე, რანის ერისთავი:

„მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაზართასა, და მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თჳსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავადმდე, მტკურისა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“ (ლ. მრ. 68₁₈).

„ხოლო ფეროზს, სიძესა მირიანისსა, აქუნდა ქუეყანა, რო-

¹ F. Justi, IN, გვ. 354; H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 87.

² F. Justi, IN, გვ. 240.

მელი ზემო თავსა ვაჟსენეთ მიცემულად მირიანისგან, და იყო მცნ ერისთავად“ (ლ. მრ. 71₂).

„არაბელ არა ნათელ-ილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან“ (ლ. მრ. 117₂).

„მაშინ რქუა მეფემან წმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: „მნებავეს ესრეთ, რათა იძულებით მახვლითა მოვაქცივნეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ...“ (ლ. მრ. 125₉).

„ხოლო წმიდა ნინო წარემართა წარსვლად რანს, მოქცევად ფეროზისა“ (ლ. მრ. 126₇).

„ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის იმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს“ (ლ. მრ. 130₂₃).

„მაშინლა ნათელ-ილო ფეროზ და ერმან მისმან“ (ლ. მრ. 131₁).

„და უშვნა რევის ძისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები ერქუა მირდატ და თრდატ; ერთი უშვა ფეროზის ძისწულმან, რომელსა ერქუა ფარსმან“ (ლ. მრ. 135₂₂).

„მანვე ერისთავმან სპარსთამან წარიყვანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისანი...“ (ლ. მრ. 137₃).

„წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად. და მიიწივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროჯა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ქსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი:...“ (ჯუანშ. 159₁₇). იხ. იქვე, 241_{11,18}.

ეფიქრობთ, ამავე სახელის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს ფეროზ ოვის სარდლის სახელი *ლეონტი მროველთან*:

„ხოლო ვიდრელა მირიან ჯერეთ იყო მუნ, გარდამოვლეს ოვსთა ფეროზ და კავტია და განრყუნეს ქართლი“ (67₂).

ეს სიტყვა მოდის საშ. სპარსული ფორმიდან Pērōz, Pērōz ‘გამარჯვებული, ძლევამოსილი’, ახ. სპ. Pērōz, არაბ. *فيروز*—Fairūz, სირ. Pērōz, ბერძნ. Περδουζ, ლათ. Piroses ‘bellorūm, victor’, სომხ. *Պար*—*“ჟ”*¹, ავ.* Paiti. raučah-იდან² ‘ბრწყინვალეობით, დიდებით მოსილი’. შეადარეთ აგრეთვე ფაზ. pērōžgar ‘გამარჯვებული’, ახ. სპ. perōzgar, ფალ. pērōžkar ‘გამარჯვებული’. ნიბერგი³ ამოსავალ ფორმად საშ. სპ. pērōz-ისათვის მიიჩნევს ძვ. ირ. *Pari.aužah-ს, ავ. aujah ‘ია-

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 67.

² F. Justi, IN, გვ. 247.

³ H. Nyberg, Hfsh, II, გვ. 184 და 167.

ლა, ფალ. ოჰ 'ძალა', 'სიმტკიცე ძლიერება', რაც შეიძლება სენან-ტიკურად უფრო გამართლებულად ჩაითვალოს. შდრ. ქართ. მძღე. ძღეეამოსილი. ამავე Pērōz ფორმიდან ნაწარმოები ქალის სახელი არის ქართ. პეროქავარ ან პეროქავრ სივნიელი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში 734₁₀ და ლეონტი მროველთან), რომელმაც სალომე უჯარმელთან ერთად აღწერა „ნინოს ცხოვრება“ ნისი სიტყვების მიხედვით:

„და ეტყოდეს სალომე უჯარმელი და პეროქავრი სივნიელი და მათ თანა ერისთავნი და მთავარნი ჰკითხვიდეს, თუ „ვინა ანუ სადათ მოხვედ ამა ქუეყანასა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი, დედოფალო“ (ლ. მრ. 126₂₀).

„მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროქავრი სივნიელმან: იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო ივინი წერდეს“ (ლ. მრ. 127₁₄).

პეროქავრი მიღებულია საშ. სპ. ფორმიდან pērōzvar Pērōz + var < ძვ. ირ. * bāra 'მქონე, -ოსანი, მოსილი' ('ძღვეით ნოსილი', შდრ. ვიქტორია)¹:

68. რევ.

1) რევ მართალი — ქართლის მეფე (ამაზასპის დისწული, სომეხთა მეფის ძე):

„ჯა და [მეფობდა] რევ მართალი“ (მოქც. ქართ. 710₆).

„და დაუტევა სომეხთა მეფემან ძე თჳსი ქართლისა მეფედ, რომელსა სახელი ერქუა რევ, დისწული ამაზასპისი“ (ლ. მრ. 57₂₂).

„მეცხრამეტე მეფე, რევ, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 58₁).

„ამან რევ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ასული ლოლოთეთისა, სახელით სეფელია“ (ლ. მრ. 58₂).

„ესე რევ დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჰირვეულთა“ (ლ. მრ. 58₃).

„და ვიდრე იგი იყო მეფედ, არლარა-ვინ კვლიდა ყრმათა კერბთათჳს, არამედ ცხურისა და ზროხისა შეწირვა განუწესა. ამისათჳს, ცა ეწოდა მას რევ მართალი. და მეფობდა ესე რევ კეთილად, და მოკუდა რევ“ (ლ. მრ. 58₉).

2) რევი — მირიანის ძე:

„და მისცა (მირიანმა) ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვნიდებოდეს ივინი უჯარმას“ (ლ. მრ. 70₂₁, 71₁).

¹ იგივე Pērōz შედის გეოგრაფიულ სახელში პეროქა-ქავა (ციფ-ქავლაქი ჯუანშერთან, 159₁₈).

„მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ (დედოფალი ნანა), და ძე მისი რევე, და სიმრავლე ერისა მის თანა“ (ლ. მრ. 104₁₀).

„და წარვიდეს რევე, ძე მეფისა, და ეპისკოპოსი, და სიმრავლე ერისა, და მოჰკუთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოითურთ თვისით“ (ლ. მრ. 119₁₆).

„მას ჟამსა რევეის, ძესა მეფისასა, ესუა ყრმა-წული მცირე, და იყო სნეულ, და მიწევნულ იყო სიკუდილად“ (ლ. მრ. 123₁).

„და ვითარცა ცნა რევე, ძემან მეფისამან, და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი ცხორებდეს უჯარმას, მოვიდეს ნინოსა და აცნობეს მეფესა და დედოფალსა“ (ლ. მრ. 126₁₀).

„და მოქცევითვან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევე, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს აკლდამასავე, რომელი თვთ მასვე რევეს აღეშენა“ (ლ. მრ. 129₆).

„რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმისწულის, რევეის ძისა, თრდატ სომეხთა მეფის ასულის წულის მეფობასა ლამობდეს ქართლსა“ (ლ. მრ. 130₂₀).

„მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომელობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა კელით-წერილი ძმისწულთა მისთა და დედისა მათისა სალომესგან ესრეთ, ვითარმედ: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა. მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევეისთა“ (ლ. მრ. 131₃). იხ. იქვე, 135₂₁.

„...დაჲ ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევეისა, მირიანის ძისა. რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა...“ (ჯუანშ. 151₆).

„ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევეისა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა“ (ჯუანშ. 159₁₀).

რევეიანი (რევის, მირიანის ძის, შთამომავალი) ლეონტი მროველთან: „და დაჯდა მეფედ ძმა მისი მირდატ, ასულის წული თრდატისი, ძე ვარაზ-ბაქარისი, მამულად ბაქარიანი, დედულად რევეიანი...“ (ლ. მრ. 138₆).

საშ. ირანული სახელი $Rēv^1$, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ რევეს, ფ. იუსტის აზრით, წარმოადგენს შემოკლებულ ფორმას სახელიდან $Rēwñiz$ 'სიცრუის დამამხობელი', $rēv^2$, ახ. სპ. 91-

¹ F. Justi, IN, გვ. 260 და 504.

² P. Horn, GrapEt, გვ. 142.

რ¹iv 'სიცრუე, სივერაგე' + niz < ავ. nyāncah¹ 'დამამხობელი, დამთრგუნველი'. ასეთ ინტერპრეტაციას ამართლებს ქართული რევემართალი, სადაც მართალი — გლოსაა რევენიზისა (მართალი, ე. ი. 'სიცრუის დამამხობელი'). შდრ. სომხ. *ჩև*².

69. როკ.

1) როკ — XI მეფე (ლ. მროველთან = ადერკი არშაკუნიანი):

„და მეფობდა როკ რ¹ნ რაფთურთით მცხეთაჲ გაიშორა“ (მოქც. ქართ. 709₂₅).

2) როკ — XVII მეფე (მეფობდა მირდატთან ერთად):

„და მეფობდა ამიერ როკ და იმიერ მირდატ: და ამისაზე მოაკლდა არმაზი სამეფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ“ (მოქც. ქართ. 710₆).

ლეონტი მროველთან ეს მეორე როკი აღარ გვხვდება, ისე როგორც მისი წინამორბედი ფარსმან ავაზი. ლ. მროველთან გვაქვს მეფეთა ორი წყვილის ნაცვლად ერთი წყვილი: ფარსმან ქველი და მირდატ.

ჩვენ ვფიქრობთ, როკ დამოუკიდებელი სახელია და არ არის საკირო ლ. მროველის მიხედვით აღდგენილ იქნეს ფორმა [ade]rok.

სახელში როკ შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სკვითური სიტყვა rauka-, შდრ. ძვ. ირ. rauca 'სინათლე, ნათელი', ავ. raocah 'დღე, ნათელი', ბერძნ. λένχος, რომელიც დატული გვაქვს, ვ. აბაევის აზრით³, სახელებში 'Ρευαχάαλι: 'სარმატული ტომი' (მეტათებით 'Ρευααλανοι-იდან = rauka + alan, პარალელური სკვითური ფორმაა 'Ροξίλανοι-სა 'ნათელი (თეთრი) ალანები' (Ροξ = ირ. raux-šua); rok, ruk გვხვდება აგრეთვე საკუთარ სახელში Asparuk (ბულგარეთის სახელმწიფოს დამაარსებლის სახელი ბალკანებზე) 'ნათელ-ცხენიანი', ბერძნ. λευαπειος. მსგავსი შემთხვევები, როდესაც საკუთარ სახელად გვხვდება დამოუკიდებელი სიტყვა, რომელიც ხშირად კომპოზიტის ერთ-ერთი წევრია, საკმაოდ გავრცელებულია ირანულში. შეადარეთ Artak, farnuk, Farrux, Bazūk და მისთანანი. ზოგიერთები თვლიან მათ შემოკლებულ, კნინობით ფორმებად სრული რთული სახელებიდან. ამავე რიგის სახელი შეიძლება იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ როკ-იც, რომელიც ორ მეფეს ეწოდება³.

¹ AirWb, გვ. 1095.

² Ա ճ ա ո յ ա ն, Անձ. բառ., IV, გვ. 317.

³ В. А Г а е в, ОЯФ, გვ. 177.

ეს ვარაუდი გამორიცხული იქნება, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა შატბერდის ტექსტში ადგილი წინამავალი ნაწილისათვის. ანდა ახალი ვარიანტი ტექსტისა, სადაც ეს სახელი სხვაგვარად იქნება წარმოდგენილი.

პ. ინგოროყვა აღადგენს ამ სახელს [atle]rok-ის სახით, ხოლო როკ (XII მეფე); გ. მელიქიშვილის აზრით, შეიძლება იყოს ქსეფარნუგ (ფარსმანის ძე არმაზის ბილინგვისა), და როკ უნდა აღდგეს (ფა) რ (ნ) ოკ-ის სახით¹.

70. საურმაგ.

1) საურმაგ---ქართლის მეფე, ფარნავაზის ძე:

„გ: და შემდგომად მისა დაღვა მეფედ საურმაგ: ამან აღმართა კერპი აენინა: გზას ზა: და იწყო არმაზს შცნებად“ (მოქც. ქართ. 709₁₄).

„ესუა ძე (ფარნავაზს) და უწოდა სახელი საურმაგ“ (ლ. მრ. 26₁).

„მეორე მეფე საურმაგ“ (ლ. მრ. 26₁₂).

„და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“ (ლ. მრ. 26₁₃).

„მას ეამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ...“ (ლ. მრ. 26₁₄). იხ. იქვე, 26₁₈.

„ხოლო იგრძნა საურმაგ, და წარვიდა ფარულად და ივლტოდა, წარიტანა თანა დედა მისი და მივიდა ქუეყანასა ღურბუქთასა დედის ძმათა მისთა თანა“ (ლ. მრ. 26₁₉). იხ. იქვე 26₂₁.

„მამინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა“ (ლ. მრ. 27₁). იხ. იქვე, 27₂.

„მამინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს. დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი...“ (ლ. მრ. 27₈).

„და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ“ (ლ. მრ. 27₁₂).

„მეფობდა საურმაგ ბედნიერად მრავალთა წელთა. და მოკუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შეილებული მისი მირვან“ (ლ. მრ. 27₂₁). იხ. იქვე, 27₂₅; 28₃; 32₁₁.

2) საურმაგ სპასპეტი, ვახტანგ გორგასალის მამამძეძე:

„მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ“ (ჯუანშ. 143₁₃).

„და მოკუდა საურმაგ სპასპეტი, მამამძეძე ვახტანგისი“ (ჯუანშ. 145₈).

„და თანა ჰყვებოდეს მას (ვახტანგს) ორნი მკედარნი: არტა-

¹ Г. Меликшвили. К истории древней Грузии. гв. 57.

ვახ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა, და ბივრიტიან სეფე-
წული“ (ჯუანშ. 156₁₀).

3) საურმაგ.—ვახტანგ გორგასალის ეჯიბი:

„და წარიტანნა თანა ოთხნი წარჩინებულნი მისნი: არტავაზ,
ერისთავი კლარჯეთისა და ნასარ, ერისთავი წუნდისა, და ბივრი-
ტიან, ერისთავი ოძრკისა: და საურმაგ, ეჯიბი მისი დიდი“
(ჯუანშ. 186₁).

„მაშინ საურმაგ, ეჯიბი ვახტანგისი, განვიდა და რქუა: „არა
ხარ შენ კადნიერ ბრძოლად მეფისა, არამედ მე გებრძოლო, მონა
მონასა, და მიეტივა“ (ჯუანშ. 189₁₀).

„ხოლო სინდელი იგი გაიქცა, და მისდევდა საურმაგ ჩვეუ-
ლებისაებრ: რამეთუ მრავალგზის ბრძოლილ იყო ველსა მას ზედა“
(ჯუანშ. 189₁₂)

„ხოლო საურმაგ სცნა ჰოროლნი წინასა მას და მოკლა,
ხოლო ათთა მათ მოკლეს საურმაგ“ (ჯუანშ. 189₁₄).

„მაშინ ვახტანგ საგსე მწუხარებითა შეიქცა, და იგლოვდა გუამსა
ზედა საურმაგისსა, ვითარცა ძმისა საყუარელისასა“ (ჯუანშ. 189₁₉).

საურმაგი ჩრდილო-ირანულ (სკვითურ) სახელთა რიგს ეკუთ-
ვნის. სკვით. Sawarmağ¹ 'შავხელა' (Saw—'შავი'+arm-აგ- 'ხელი').

ნაკლებად დამაჯერებელია იუსტის² მიერ წარმოდგენილი
ეტიმოლოგია, რომელიც ამ სახელს Sūrmağ-ის ფორმით გადმოს-
ცემს და მას Sauromaces-თან აიგივებს.

71. საგდუხტ—დედოფალი, ბარზაბოდის ასული (მირ-
დატ V ცოლი და ვახტანგ გორგასალის დედა):

„ხოლო ბარზაბოდს, ერისთავსა რანისასა, ესუა ასული ქმნულ-
კეთილი, შუენიერი, რომელსა ერქუა საგდუხტ“ (ჯუანშ. 141₁₁).

„მოახსენა (მირდატმა) მამასა თვსსა: „ვევედრები მეფობასა
შენსა მომგუარე ცოლად ჩემდა საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი,
და შეეკმნათ ჩუენ შორის მშვიდობა“ (ჯუანშ. 151₁₄).

„და მისცა მეფემან სამშვლდე ძესა თვსსა საერისთაოთა მისითა,
და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“ (ჯუანშ. 142₆).

„ხოლო ამან საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული
ქრისტესი“ (ჯუანშ. 142₈).

„მაშინ საგდუხტ გულისხმა ყო და იცნა სჯული ჰეშმარიტი,
დაუტევა ცეცხლის-მსახურება, ნათელ-ილო და იქმნა მორწმუნე“
(ჯუანშ. 142₁₁).

¹ B. A. Г а с е в, ОИФ, გვ. 154.

² F. Justi. IN, გვ. 292, 318.

„მიუღვა დედოფალი საგდუხტ და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი ხუარანძე“ (ჯუანშ. 143₃).

„და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუღვა და შვა ძე, და უწოდა სახელი მისი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ“ (ჯუანშ. 143₆).

„და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწყენითა მამისა თვისისათა“ (ჯუანშ. 145₆).

„და მოკუდა ბარზაბოდ, მამა საგდუხტისი, და მის წილ დაადგინა სპარსთა მეფემან ძევე მისი ვარან-ბაკურ, ძმა საგდუხტ დედოფლისა“ (ჯუანშ. 145₆) იხ. აგრეთვე, 145₁₄, 144₂.

საგდუხტ მოდის ირანული სახელიდან *Sahakduxt*¹ ‘საჰაკის ასული’ (შდრ. გურანდუხტ, მირანდუხტ და მისთანანი). *Sahakduxt* > სააკდუხტ > საგდუხტ (მ დაიკარგა ხმოვანთა შორის, შდრ. სააკ, სააკადე, ხოლო კ გამეღერდა დ-ს წინ). ამ სახელზე ირანულია მხოლოდ მეორე ნაწილი *duxt* ‘ასული’ (თვით სააკ = ქართ. სააკ.). აჭარიანის აზრით, სომხ. *Սահակ*-ს წარმოადგენს ებრ. *Isxāq*-ის, ბერძნული *Ἰσαάκ*-ის გადმოცემას. სომხ. *Սահակ* = მიღებულია *Խահակ* ფორმიდან. შდრ. ქართ. ისაკ. ფორმა საგდუხტ დადასტურებულია სომხურშიც².

72. სპანდატ (სპანდიატ-რვალი) — სპარსთა მეფის ვაშტაშაბის ძე.

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი, გოლიათი იგი და სახელოვანი“ (ლ. მრ. 16₁₀).

„მაშინ დაუტევა სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართველთა, შეიქცა თურქთა ზედა ძებნად სისხლსა მამის მამისა მისისასა“ (ლ. მრ. 16₁₃).

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ (აშიაზე ბაამან *R.R*¹(d), რომელი იცნობების არდაშირობით“ (ლ. მრ. 16₁₇).

ქართული ფორმები ამ სახელისა სპანდატ, სპანდიატ მომდინარეობს საშუალო სპარსულიდან. შეადარეთ საშ. სპარსული *Spanddāt* და *Spandiāt*³ სიტყვისიტყვით ‘სული წმიდის (*spānto-mainyuš*-ის) მოცემული’. ახალ სპარსულში ეს სახელი წარმოდგე-

¹ F. Justi, გვ. 271; H. Hübschmann, AG, I, გვ. 38.

² *Հահակն, Անձ. քառ.*, IV, გვ. 372.

³ F. Justi, IN, გვ. 308 — 309.

ნილია ფორმებით: Isfandiyād, Ispandiyād, Isfandiyar, ბერძნულში გვაქვს Σφενδαδάτης, არაბულში Isfandiyār, სომხურში *Սպանդ-արատ* და *Սպանդխատ*¹; ხოლო სპანდიატის ეპითეტი რვა-ლი მომდინარეობს სპარსული გამოთქმიდან ruintan 'რვალის ტანა' (სპილენძის სხეულის მქონე).

73. ურმიზდ, ურმიზდ—სპარსთა მეფე (ჰორმიზდ IV, 579—590 წწ.).

„ამასვე ეამსა მეფობდა სპარსეთს, რომელსა ერქუა ურმიზდ“ (ჯუანშ. 215₂₆).

„მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარევი“ (ჯუანშ. 210₁₄).

„და კულადცა წყალობა ყო ღმერთმან ქრისტიანეთა ზედა, და სხუა შუღლი დავარდა სპარსეთს: რამეთუ იგივე ბარამ ჩუბინი გადაგა სპარსთა მეფესა, და დასწუნეს თულნი ურმიზდ მეფესა ცოლის ძმათა მისთა, და იწყეს ბრძოლად ჩუბინმან და ქასრე“ (ჯუანშ. 221₁).

ამ სახელს საფუძვლად უდევს საშ. სპარსული Ōhrmizd², რომელიც გვხვდება უფრო ძველი Ōhrmazd, Hōrmazd ფორმათა გვერდით, ძვ. სპარსული A(h)uramazda 'ირანელთა უზენაესი ღვთაება' (იხ. არმაზი), ახ. სპ. Hozmizd, Hormuzd—ارمز, არაბ. Hurmuz, სირ. Hormizd, Hormazd, ბერძ. Ὁρμιζδης, ლათ. Hormisdas, სომხ. Հորմիզդ³.

74. უსტამ—მცხეთის ციხისთავი.

„და ვითარ ტოზიკი იგი გარდაიქადეს, შეკრბეს იგინივე მეჯა-დაგენი და მეჯამლენი და ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისსა, მცხე-თელ ციხისთავისა, და თქუეს“ (ე. მცხ. 162₄).

„და უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათის-თვს და მიავლინა ერთი მკედართავანი მოწოდებად ნეტარისა ევსტა-თისა და მრისხანედ ჰრქუა: გიწესს შენ ციხისთავი“ (ე. მცხ. 162₁₁).

„და მოვიდა იგი ნეტარი ევსტათი და წარმოდგა წინაშე უს-ტამ ციხისთავისა მცხეთელისა, და მწოდებელმან მან არქუა უს-ტამს: ესე არს ჩუენისა რჩულისა მომაგინებელი“ (ე. მცხ. 162₂₃).

„ხოლო უსტამ ციხისთავმან ჰრქუა მას: არავინ გიტეოს ქრის-ტოს მსახურ ყოფად და, თუ მშჯდობით არა განუტეო სიცოფელ ეგე, ტანჯვაჲ დიდი მოიწიოს შენ ზედა“ (ე. მცხ. 163₁).

¹ H. Hübschmann, AG, I, გვ. 62.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 108.

³ Ա ճ ա յ ս ն, Անձ. բառ., IV, გვ. 195.

„ვითარ იხილა უსტამ გულს-მოდგინედ დამტკიცებაჲ ნეტარისა ევსტათისი, განიზრახა და თქუა: ამის კაცისა სატიჲი მე არარაჲ ჳელ-მეწიფების, არცა აღბმად ძელსა, არცა პურობილებად, არამედ წარუძღუნაო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ-გუშნასპს, ქართლის მარზაპანსა...“ (ე. მცხ. 163₆).

„და უბრძანა უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან ორთა მკედართა წარყვანებაჲ ნეტარისა ევსტათისი ტფილისს“ (ე. მცხ. 153₁₁).

საშ. სპ. *Ustām, ōstām*¹, ახ. სპ. *ōstām* ‘დამხმარე, სანდო’ (შდრ. ძვ. ირ. **ava + stha-* ‘დარჩენა, ერთგულება’), სკრ. *avasthita* ალბათ გამოყენებული იყო საკუთარ სახელადაც. შდრ. სომხ. *Վոսամ*.

ფ. იუსტის საკუთარ სახელთა ლექსიკონში მოჰყავს სახელი *Austanes*². ბერძნული *Αυστανης, Ὀστανης*, ლათ. *Ostanes, Haustanes* სომხ. *Ոստան* და სხვა. არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, ეს ვარაუდიც, მითუმეტეს სპარსულში *Ustām*-ის გვერდით *Ustām-ფორმაც* არის დაცული.

ჩვენ ვფიქრობთ, ქართ. უსტამი და სომხ. *Վոսամ* მაინც ერთა და იგივე სახელია, რომელთაც ამოსავლად აქვთ საშ. სპ. *Ustām*; სომხ. *Ոստան*-კი სხვა უნდა იყოს.

75. ფარნავაზ.

1) ქართლის მეფე:

„და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ: ამან აღმართა: კერპი დიდი ცხვსა ზა და დასდვა სახელი მისი არმაზი“ (მოქც. ქართ. 709₁₀).

„მას ჟამსა იყო ჳაბუჲი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსა ასპანელი. და იყო ძმისწული სამარისი, რომელი მოსლვასა მას აღექსანდერესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო“ (ლ. მრ. 20₈).

„ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო აღექსანდრესაგან. ხოლო დედასა ფარნავაზისა წარეყვანა ფარნავაზ. სამისა წლისა ყრმა, და შელტოლვილ იყო კავკასიად“ (ლ. მრ. 20₂₁).

„ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მკედარი შემმართებელი და მონადირე ჳელოვანი“ (ლ. მრ. 21₁).

¹ P. Horn, *GrnpEt*, გვ. 31; *GrirPh*, I, გვ. 30, 60.

² F. Justi, *IN*, გვ. 52.

„და ვითარ განმრავლდა შიში აზონისი მათ ზედა, რქუა ფარნავაზს ღედამან მისმან: „შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი კელისაგან აზონისა“ (ლ. მრ. 21₇).

„ჭირ უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდისა დაამტკიცა წარსლვა“ (ლ. მრ. 21₁₀).

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულეობდა განსლვა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო კელი მისი, მოჰყოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“ (ლ. მრ. 21₁₂).

„განიღვიდა ფარნავაზ და განუკვრდა, და „თქუა: სიზმარი იგი, ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“ (ლ. მრ. 21₁₇).

„ხოლო მას ღღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დილომისასა“ (ლ. მრ. 21₁₉).

„მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თვისი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდძალი“ (ლ. მრ. 22₁₀).

„ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თვნიერ კლარჯეთისა“ (ლ. მრ. 23₁₀).

„მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთავან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“ (ლ. მრ. 24₆).

„ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ (ლ. მრ. 25₄).

„ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოჭრებულნი აღექსანდრესაგან, ამან აღაშენნა“ (ლ. მრ. 25₆).

„და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ (ლ. მრ. 25₁₀).

„ხოლო იგი პრომნი ათასნი მკედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვაჰსენეთ, იგინი განყვნა კევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მკნედ იყვნეს. და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“ (ლ. მრ. 25₂₁).

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაეთაგანი“ (ლ. მრ. 26₈).

„და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“ (ლ. მრ. 26₁₁).

2) ფარნავაზ სპასპეტი, ფარსმან ქველის ძუძუსმტე:

„ხოლო იყო მაშინ სპასპეტი ფარსმან ქუელისა, ეგრეთვე ქუელი და გოლიათი, სახელით ფარნავაზ, ესე ფარნავაზ ძუძუსმტე იყო ფარსმანისი, სარწმუნო, ერთგული და მისანდობელი“ (ლ. მრ. 51₁₀).

„და ყოვლადვე იყვის ფარნავაზ სპასპეტი ქართლსა შინა, ხოლო მეფე ფარსმან ქუელი იარებოდის და განაგებდის სამეფოს: თვისსა“ (ლ. მრ. 51₁₃).

„და მას ბრძოლასა შინა მოკლა ფარსმან მეფემან ჩვდმეტი ბუმბერაზი სპარსთა, ხოლო სპასპეტმან მისმან ფარნავაზ მოკლა ოცდასამი“ (ლ. მრ. 51₂₀).

„და ბრძოლასა მას შინა მოკლა ფარსმან მეფემან თავისთავ თორმეტი ბუმბერაზი, ხოლო სასპეტმან ფარნავაზ თექუსმეტი ბუმბერაზი“ (ლ. მრ. 52₄).

„და მიერთვან განითქუა სახელი ფარსმან ქუელისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისი“ (ლ. მრ. 52₁₉).

„ხოლო ფარნავაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა, და ივლტოდა, და მივიდა სომხითს“ (ლ. მრ. 53₇).

ფარნავაზიანნი მეფენი:

„შემოსლვა ალექსანდრესი და მეფენი ფარნავაზიანნი“ (ლ. მრ. 17₂).

„მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა“ (ლ. მრ. 29₁₃).

„და ესე ქართველთა სათნოებისათვს ექმნა ბარტომს, რანეთუ ქართველთა დიდი სათნობა აქუნდა ფარნავაზიანთა მიპართ; და არა უნდა სხვსა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა“ (ლ. მრ. 32₁₃).

„და ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა“ (ლ. მრ. 59₇). იხ. აგრეთვე, 59₁₈; 63_{7,19}; 66_{3,18}.

ძვ. სპარსული *Farnabāzu, რომელსაც გულისხმობენ ქართული ფარნავაზისათვის ამოსავალ ირანულ ფორმად, როგორც ჩანს, აღდგენილია ბერძნული Φαρναβάζου-ის¹ მიხედვით, რადგან არც ქართულ და არც სომხურ ფორმაში არა გვაქვს ხ. შდრ. სომხური

¹ F. Justi, IN, გვ. 92.

ქარნასაღ¹. აღნიშნული ირანული აღდგენილი ფორმის ეტიმოლოგია ასეთია: პირველ ელემენტად გვაქვს farnah 'დიდება, ბრწყინვალება, ბედნიერება' (ავ. x^harənah-, ფალ. x^harr², ახ. სპ. farrah, farr, xurrah) + bāzu 'ხელი', ე. ი. სახელი მთლიანად ნიშნავს 'ხელბედნიერი, ბრწყინვალე ხელის მქონე', ან რაღაც ამის მსგავსი. არამეულში გვაქვს 𐎧𐎠𐎺𐎠. ნ. მარი³ არ იზიარებს ფ. იუსტის ზემოაღნიშნულ ეტიმოლოგიას. მისი აზრით, ქართულში ამოსავალი უნდა ყოფილიყო უფრო ძველი ფორმა ფარნავაზდ¹ (ისე, როგორც არმაზისათვის არამაზდ), რომელიც თავისთავად წარმოადგენს ბოლომარცვალმოკვეცილი ავესტური აღმატებითი ხარისხის ფორმას q[u]arenaghastema; მარი ამ აზრამდე მიიყვანა ფრაზამ ლეონტი მროველთან: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერძი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ (25₁₀).

ამ სახელის იუსტისეულ ინტერპრეტაციას არ იზიარებს აგრეთვე აბაევი; მისი აზრით, ამ სახელის მეორე ელემენტად უნდა ყოფილიყო არა bāz 'ხელი', არამედ ფალაური vaz || vaz 'სიტყვა', რაც ქართული და სომხური ფორმების მიხედვით ფონეტიკურად უფრო გამართლებული ჩანს (ბერძნული β-თი გადმოცემულია ირ. v). მაშინ ამ სახელის თარგმანი იქნებოდა 'ბრწყინვალე მოსაუბრე', 'ორატორი'.

ჩვენ ვფიქრობთ, მარის ეტიმოლოგია უფრო ახლოა სიმართლესთან. აღმატებითი ხარისხის ფორმა, რომლის ძველი ირანული (მიდიური) სახე უნდა ყოფილიყო (x^harənah^hastəma) *farnah^hastama: 'უბრწყინვალესი', შესაძლოა იხმარებოდა აპურამაზდას ეპითეტად, ხოლო მისი საშ. ირ. სახე *farnavazd < (*farnavast) დაედო საფუძვლად ქართულ ფარნავაზს (შდრ. სომხ. *Արნավազ* და ქართული არმაზი, *Արთավაզ* და ქართ. არტავაზი).

ამ შეხედულებას ამაგრებს ზემოთ მოყვანილი ადგილი ლეონტი მროველიდან, სადაც ნათქვამია, რომ „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“. შეადარეთ ვახტანგ და მისი, ჯუანშერის მიერ შიითებული, სპარსული ფორმა ვარან-ხოსრო-თანგ < ხოსრო-ვარან-თანგ-იდან. იხ. არმაზი და ვახტანგი.

76 ფარაბოროტ — სპარსთა მეფე, ქეკაპოსის ძე.

„შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა გამოვზავნა ქეკაპოსს, სპარსთა მეფემან, ძე მისი, რომელსა ერქუა ფარაბოროტ.

¹ H. Hübschmann. AG, I, გვ. 59.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 137.

³ H. Mapp, Борн азмуческой Грузии, ВВО, XIV, 1902 წ., გვ. 5.

სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა ზედა“ (ლ. მრ. 14₁₇).

„ხოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი, მიეგებნეს და დაეწყვნეს აღარბადაგანს, და იოტეს ფარაბოროტ, და მოსრეს საა მისი“ (ლ. მრ. 14₁₉).

როგორც ეს ვარიანტებიდან ჩანს, აქ იგულისხმება შაჰნამეს გმირი ფარებორზი, „შაჰნამეს ქართული ვერსიებით“ ფარემუზ ქექაოზის ძე, სიაუშის ძმა¹.

შეადარეთ სპარსული فربر far-i-burz სიტყვისიტყვით ‘შალალი ბრწყინვალეა’ (ე. ი. ‘ზეციური მადლი, დიდება’).

სპარს. farīburz > ქართ. ფარებორზ > ფარაბოროტ > ფარაბოროლ > ფარაბოროთ > ფარაბოროტ, რაც სპარსული ბ (z)-სა და (d)-ს ორთოგრაფიული აღრევის შედეგია. ამ აღრევის შედეგად ქართ. დ სიტყვის ბოლოს ჯერ დაყრუვდა და შემდეგ გამკვეთრდა.

77. ფარნაჯობ, ფარნაჯომ — მე-5 მეფე ფარნავაზიანთა გვარიდან:

„და მეფობდა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთას ზედა და აღაშენა (ციხე)“ (მოქც. ქართ. 709₁₈).

„მეოთხე მეფე. ფარნაჯომ, ნებროთიანი“ (ლ. მრ. 29₁).

„და მოკუდა შირვან, და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ“ (ლ. მრ. 28₁).

„ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება. და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს. და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“ (ლ. მრ. 29₂).

„გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“ (ლ. მრ. 29₃).

„მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მძევლები და განაცხადეს განდგომა ფარნაჯომისი“ (ლ. მრ. 29₂₀).

„ხოლო ფარნაჯომ მეფემან მოუწოდა სპარსთა და მოყვანა სპარსნი ძლიერნი და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრიბნა ქართველნიცა“ (ლ. მრ. 29₂₂).

¹ „შაჰნამეს ქართულ ვერსიებში“ ორი სპარსელი ფალავნის სახელი فربر ‘ქაიქავოსის ძე’ და فربر ‘როსტომის ძე’ გადმოცემულია ერთგვარად, როგორც ფარემუზი. ამით აიხსნება, რომ ქ. ცხოვრების ლ. მროველის ტექსტის აწიხე ფარაბოროტის სახელს შიწვრილი აქვს ფარემუზი.

„იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა ორგანიზაცია ურიცხვ, რამეთუ იძლია ფარნაჯომ სომეხთა და ქართველთაგან. და მოიკლა ფარნაჯომ და მოსრეს სა მისი. ხოლო ძე ფარნაჯომისი მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამძუძემან მისმან, და იელტოდა სპარსეთს“ (ლ. მრ. 30₁).

სახელი აშკარად ირანულ იერს ატარებს. პირველ ნაწილად გვაქვს *farna*, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება ირანულ სახელებში. შდრ. *ფარნავახ*, *ხსეფარნუგ* და *სხვა*. გასარკვევია, რას წარმოადგენს მეორე ელემენტი: *ჯობ* (მოქცევაში), *ჯომ* (ლეონტი მროველთან).

**farnajob*-ში შეიძლება საქმე გვაქვს აწმყოს ფუძის ფორმასთან *جو*, *جوی* (*jūv > jūb*) 'მძებნელი'. მაშინ ამ სახელის მნიშვნელობა იქნებოდა 'დიდების (ფარნის) მაძიებელი, მძებნელი' ზმნიდან *جست*: *جو*, *جوی* 'ძებნა', შდრ. *جستجو* 'ძებნა, ჩხრეკა, კვლევა' და *სხვა*.

ნ. მარი თავის შრომაში „*Бог и языческой Грузии*“ ამ სახელის შესახებ აღნიშნავს: „ისე როგორც ორმუზდი მიაჩნდა გველინება „ხვარნ“-ის ან წმინდა ბრწყინვალეების უაღრესად მატარებლად (*Spiegel* სტ. 79): ამის გამო მასაც მიეკუთვნება ტიტული *q'arənghuastema* (*x'arənah'vastəma*-). თუ მოვიგონებთ, რომ: ჯგუფი *st*, *št* საარსული სახელებისა ვულგარულ ქართულ წარმოთქმაში წარმოდგენილია *d* (*d*) და *ḡ* (*ḡ*)-ს სახით, როგორც მაგალითად *გოჯასპ* (*godasp*) *გოშტასპი*დან (*Goštāsp*), მაშინ ეპითეტი *Mihra q'arənuaghastema* ვულგარულ ქართულ წარმოთქმაში უნდა ყოფილიყო *pharnadem*, resp. *pharnadem*, რომლის თანამხედრომ სიდიდეს წარმოადგენს, უეჭველია, მეფე ფარნაჯომის სახელი: ზემოთ უკვე ნათქვამია, რომ სწორედ იგი, ქართული წყაროებით, აღმართავს ზადენ-მიჰრის კერპს, რომელიც ამ ტიტულს ატარებს. მე არ მინდა ამით დავამტკიცო, რომ არ არსებობდა ქართველი მეფე ფარნაჯომი, მაგრამ უეჭველია, რომ ის ფარნაჯომი, რომელზედაც ლაპარაკია „ქართლის მოქცევაში“, წარმოადგენს განსახიერებას ღმერთი ზადენ მიჰრის ეპითეტისა“².

¹ ია. მილერის ლექსიკონი, გვ. 150. ან შესაძლოა ჩვენ აქ გვქონდეს *farnajūn*, *jūn* 'სული' > *jūn* > *jūm*; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეპოქისათვის, რომელშიც ფარნაჯომი მოღვაწეობს, საშ. სპარსულ *y*-ჯერ არ შეიძლება გადასულიყო *j*-ში, რაც, რა თქმა უნდა, დაბრკოლებას ქანის აღნიშნული ინტერპრეტაციებისათვის *jūm*- ელემენტისა.

² H. M a r r, *Бог и ЗВО*, том XIV, вып. II—III, გვ. 7.

ჩვენნი ფიქრით, უფრო მოსალოდნელია აქ საქმე გვექონდეს სკვითურ-ალანური წარმოშობის სახელთან. შდრ. ფარეჯან.

78. ფარსმან.

1) ფარსმან I არმაზელი. ქართამის ძე, ქართლის მეფე (არშაკუნიანი):

„ესუა ცე ბარტომს, რომელსა ერქუა კაოს, და ქართამს ესუა ძე სახელით ფარსმან. და მოკუდეს ადერკის ძენი ბარტომ და ქართამ. და შემდომად მათსა მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს— ფარსმან და შიდა ქართლს კაოს“ (ლ. მრ. 44₇).

„მეთორმეტე მეფენი ფარსმან და კაოს, ძენი ბარტომისი და ქართამისა, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 44₁₁).

„მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოულო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე“ (ლ. მრ. 44₁₅).

„და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი. და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს“ (ლ. მრ. 44₁₉).

„მეცამეტე მეფენი აზორკ და არმაზელ, ძენი ფარსმანისი და კაოსისა, არშაკუნიანი“ (ლ. მრ. 45₃).

2) ფარსმან II ქუელი არმაზელი, ამაზასპის (გარიანტით დეროკის) ძე:

„ივ: და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი: და ამიერ ფარსმან ავაზ“ (მოქც. ქართ. 710₄).

„და შემდგომად მათსა მეფობდეს შვილნი მათნი: არმაზს— ფარსმან ქუელი და შინა ქართლსა — მირდატ“ (ლ. მრ. 50₈).

„მაშინ ამან მირდატ ქართველმან მოიყვანა ცოლი საარსი ნათესავი მეფეთა, და წუევითა საარსთათა მტერ ექმნეს ფარსმან ქუელსა არმაზელსა, და განიზრახა მუხთლად სიკუდილი ფარსმან ქუელისა“ (ლ. მრ. 50₁₀).

„და მოხადა მირდატ ფარსმან ქუელსა სახლსა თჳსსა რეცა მიჯლიშად და განცხრომად“ (ლ. მრ. 50₁₃).

„რომელი ესე უთხრა ვინმე ფარსმანს და განკრძალა. ხოლო იგი არღარა მივიდა“ (ლ. მრ. 50₁₄).

„მიერთგან იქმნეს მტერ ურთიერთას, და მირდატს შეეწოდეს სპარსნი, ხოლო ფარსმანს სომეხნი“ (ლ. მრ. 51₁).

„და ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე, ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შეუნიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მკნე ყედარი და შემმართველი ბრძოლასა, უშიში ვითარცა უჯორცო და ყოვლი-

თავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაც-
ვალეზულ იყვნეს უწინარეს მისსა“ (ლ. მრ. 51₂).

„და გამოერთნეს უმრავლესნი მირდატისაცა კერნნი, ემძლავრა
ფარსმან ქუელი და აოტა მირდატ მეფე“ (ლ. მრ. 51₃).

„ხოლო იყო მაშინ სპასპეტი ფარსმან ქუელისა, ეგრეთვე
ქუელი და გოლიათი, სახელით ფარნავაზ, ესე ფარნავაზ ძუძუსმტე
იყო ფარსმანისი, სარწმუნო, ერთგული და მისანდობელი“
(ლ. მრ. 51₁₁).

„ხოლო ფარსმან ქუელმან შემოკრიბნა სპანი თჳსნი, მჭედარ-
ნი და ქუეითნი, და დადგა მცხეთას ქალაქსა შინა, რამეთუ არა
ჰყვნეს სპანი მირდატის საათა ოდენნი“ (ლ. მრ. 52₁₀).

„მაშინ ფარსმან მეფემან სიფიციხითა გულისა თჳსისათა არ-
ლარა განახა სიმრავლე საარსთა, არამედ განვიდა ჟამსა განთიადი-
სასა სპითა თჳსითა, და დაესხა“ (ლ. მრ. 52₁₈).

„და მიერთგან განრტქუა სახელი ფარსმან ქუელისა და
სპასპეტისა მისისა ფარნავაზისი“ (ლ. მრ. 52₁₉).

„ხოლო წარვიდა მზარეული იგი და ყო ეგრეთ, ვითარცა
უთხრეს სპარსთა მათ. და ესრეთ მოკლა ფარსმან მეფე ქუე-
ლი“ (ლ. მრ. 53₆).

„ხოლო ფარნავაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარს-
მან ქუელისა, და ივლტოდა, და მივიდა სომხითს. რამეთუ
სომეხთა მეფისა ასული იყო ცოლი ფარსმანისი“ (ლ. მრ.
53₁₇). იხ. ი ქვე, 53₂₀, 54₇.

„და დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქუელისა, რომელსა ერქუა
ადამი“ (ლ. მრ. 54).

3) ფარსმან III ადამის ძე, ქართლის მეფე (ძისწუ-
ლი ფარსმან ქველისა):

„და ვითარ აღიზარდა ძისწული ფარსმან ქუელისა, სახელით
ფარსმანვე, მეფობდა იგი“ (ლ. მრ. 54₁₂).

„ხოლო მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა, და
ესუა ძე, და უწოდა სახელად ამაზასპ. და შემდგომად ამისსა მოკუ-
და ფარსმან“ (ლ. მრ. 54₁₃).

4) ფარსმან IV—ვარაზ ბაქარის ძე, ხოსროიანი, XXIX მეფე:

„და უშვნა რევის ძისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები
ერქუა მირდატ და თრდატ; ერთი უშვა ფეროზის ძისწულმან,
რომელსა ერქუა ფარსმან“ (ლ. მრ. 135₂₁).

„მეოცდაცხრე მეფე, ფარსმან, ძე ვარაზ-ბაქარისი, ხოსროია-
ნი“ (ლ. მრ. 137₁₈).

„და დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი, ძისწულის წული ფერო-ზისი, სახელით ფარსმან“ (ლ. მრ. 137₂₀).

„ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკედარი შემმართველი“ (ლ. მრ. 137₂₁). იქვე, 137₁₂.

5) ფარსმან V, მეფე ქართველთა, ბაკურ II ძე:

„მეოცდათექუსმეტე მეფე, ფარსმან, ძე ბაკურ მეფისა, ხოსროიანი“ (ჯუანშ. 206₃).

„ამის ფარსმანის მეფობასა მოვიდეს სპარსნი, მოაოჯრეს ქართლი და რანი“ (ჯუანშ. 206₈).

„ხოლო ფარსმან, მეფემან ქართველთამან, ითხოვა სპარსთ მეფისაგან, რათა არა მოაოჯრნეს ეკლესიანი და იპყრას ქართლი სჯულსა ზედა ქრისტესსა“ (ჯუანშ. 206₉).

6) ფარსმან VI, ქართლის მეფე (ფარსმან V ძმისწული):

„მოკუდა ფარსმან და დაჯდა მეფედ ძმისწული მისი, რომელსა ერქუა ფარსმანვე“ (ჯუანშ. 207₄).

„მეოცდაჩვიდმეტე მეფე, ფარსმან, ძმისწული ფარსმან მეფისა, ხოსროიანი“ (ჯუანშ. 207₅).

„და მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანვე ფარსმან მეფემან დასუა საბა“ (ჯუანშ. 207₁₃).

„და ვახტანგისითგან კათალიკოსნი გარდაიცვალნეს რვანი და მოკუდა ფარსმან, და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ“ (ჯუანშ. 215₁₉).

„მისვე ფარსმანის - ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზადნელი, გამანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელთა განაკურენეს ყოველნი ქართველნი“ (ჯუანშ. 207₁₇).

7) ფარსმან თმოგველი (დიდებული ბაგრატ IV დროს):

„და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წაილეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატიისა, თვნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“ (მატ. ქართ. 298₁₇).

8) ფარსმან ფარუხი (სპარსელი ვახტანგ გორგასალის ლაშქარში):

„ხოლო ვახტანგ მეფესა რომელ ყვეს სპანი სპარსთა ნიჯადნი, მათ თანა ერთო კაცი ერთი, რომელსა ერქუა ფარსმან-ფარუხ: ამისდა ვერვის დაედგნეს ბრძოლასა შინა, რამეთუ მრავალი ლომი კელითა შეეპყრა“ (ჯუანშ. 152₄).

ირანულ ამოსავალ ფორმას სახელისას ფ. იუსტი¹ აღადგენს *Parsamana-ს სახით 'სპარსული სულის მქონე', ბერძნულში დადასტურებულია *Φαρσαμάνης*, *Φαρσαμάνης*, ლათინურში *Paresmanes*, სირიულში 𐩦𐩣𐩪𐩣, სომხურში ქართულის ფონეტიკურად იდენტური ფორმა *Փարսաման*².

ეს სახელი გვხვდება არმაზში მოპოვებულ წარწერებშიც (ბილინგვა და წარწერა № 1) 𐩦𐩣𐩪𐩣 *prsmn*³.

79. ფარუხ (ფარუხ) — სპარსელი გოლიათი ვახტანგ გორგასალის ლაშქარში, რომელიც „თარჯან ხაზარმა“ დაამარცხა:

„ხოლო ვახტანგ მეფესა რომელ ყვეს სპანი სპარსთა ნიჯადნი, მათ თანა ერთო კაცი ერთი, რომელსა ერქუა ფარსმან-ფარუხ“ (ჯუანშ. 152₇).

„და პირველსავე შეკრებასა უხეთქნა ქრმალი ფარსმან-ფარუხსა ჩაბალახსა ზედა, და განუპო თავი ვიდრე ბექთამდე“ (ჯუანშ. 152₇).

„მაშინ დაკმუნდა ვახტანგ და სპანი მისნი, რამეთუ არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან-ფარუხისი“ (ჯუანშ. 152₉).

ძე. ირანული *Farnuka, Farnuxa (*farna* „დიდება, ბრწყინვალება“ + სუფიქსი *-uka -uxa*). შდრ. ოს. *færnuğ*⁴ 'მადლიანი', 'ფარნის მქონე' და არმაზის წარწერათა *Մարսաման*. ბერძნულში დადასტურებულია აგრეთვე ამ სახელის ფორმები *φάρσινος* და *φάρσინος*; საშ. სპარსულში *Farax* فرخ, სომხურში *Քարս*, ახ. სპარსული *Farrux* = არაბულ *mubārak*-ს 'დალოცვილი, ბედნიერი'⁵. ქართული ფარუხი ახალი სპარსულიდან მოდის.

80. ქეიხოსრო, ქაიხოსრო — შიოშ ბედნიერის ძე, სპარსთა მეფე:

„შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა კუალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი, ძე შიოშ ბედნიერისა, ქაიხოსრო“ (ლ. მრ. 14₂₂, სქ. 4).

„წარმოემართა ესე ძე შიოშისი, სახელით ქაიხოსრო. ვერ წინააღუდგეს მას სომეხნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენა ყოველივე, იავარ-ყენა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუტევნა

¹ F. Justi, IN, გვ. 91.

² H. Hübschmann, AG, I, გვ. 90.

³ გ. წერეთელი, „არმაზის ბილინგვა“, გვ. 21.

⁴ B. Ačaeв, ОЯФ, გვ. 164.

⁵ F. Justi, IN, გვ. 94.

ერისთავნი, და აღაშენა ადარბადაგანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა, და წარვიდა“ (ლ. მრ. 15₁).

„და შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა უცალო იქმნა ქაიხოსრო მეფე, და იწყო ბრძოლად თურქთა...“ (ლ. მრ. 15₂).

„ხოლო მასევე ჟამსა ნოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა“ (ლ. მრ. 15₃).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან:

„და საშუალ მათსა თვთ იგი უმსგავსო საასპეტი (დავით აღმაშენებელი) და წინათმბრძოლი, მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროსთჳს მოთხრობილთა, წინაუილოდა, და იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სონხითისა დიდისა“ (337₁₄).

ავესტური Kava.Haosrava[h]-, ფალ. Kai.Husrave¹, ახ. სპ. Kaixusrav; kai (< ძვ. kavya-დან საშ. საარსულში ნიშნავს სეფე-წულს, თავადს) + Husrav ‘ხოსრო’, husrava ‘სახელოვანი’, შდრ. ხოსრო.

81. ქარრამ — XII მეფე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით:

„და მეფობდა ქარრამ : არმაზს : და მცხეთას ბრატმან და ამათთა ჟამთა : ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ (709₂₈).

ეს სახელი მხოლოდ ერთ მეფეს ჰქვია. ლეონტი მროველი ჩვეულებისამებრ ასწორებს მას ქართამად, ხოლო სომხურში იგი წარმოდგენილია ქარძამის სახით (მოსე ხორენელთან).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „მოქც. ქართ.“ შატბერდულ ტექსტში (დაბეჭდილში) იკითხება ქარრამ. ორი ერთნაირი ბგერის ხმარება უცხოურ სიტყვებშიც კი, სადაც ამას აქვს ადგილი, უცხოა ქართული ენისათვის. შესაძლოა აქ ჩვენ გვექონდა ქარძამ — ისე როგორც სომხურშია შემონახული (ხორენელთან), და ასომთავრული ძ-სა და ძ-ს აღრევის შედეგად მივიღეთ ქარრამ. შდრ. $\text{ქრძამ} < \text{ქრძამ} \text{ } \text{ქ}$ განსხვავება ძსა და ძს. შორის მცირეა და თითქმის მხოლოდ მარცხნივ თავის შეკერაში მდგომარეობს. ქართამ ლეონტი მროველთან, როგორც ჩანს, დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს. სახელი ქარძამ ან ქარძან, ჩვენი ფიქრით, შესაძლოა დაეუკავშიროთ აგრეთვე ჩრდილო-ირანულ (სკვითურ-ალანურ-ოსურ) სახელებს $\text{Kar} \text{ } \text{z} \text{ } \text{a} \text{ } \text{v} \text{ } \text{a} \text{ } \text{c}$ < ირ. *karsa-vač ‘pež-кий на слону’ ძირიდან ავ. karasa- ‘სასტიკი, მკაცრი’. შდრ.

¹ H. Nyberg, Hfsb, 33. 118 და 110; F. Justi, IN, 33. 134.

ოსური karz, რომელსაც აბაევი¹ უკავშირებს აგრეთვე ქართულ სიტყვა მკაცრს. მაშინ ქართული სახელის ცვლილი ირანული ფორმა იქნებოდა *Kars-āna, სკვით. karz-ān, რომელმაც მოგვცა ქართული ქარძან > ქარძამ. ნნიშვნელობა კი ამ სახელისა არის 'შკაცრი, სასტიკი, შეუბრალებელი' (-ān ფართოდ გავრცელებული სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია).

82. ქეკაპოს — სპარსეთის მეფე.

„და შემდგომად ამისსა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს საარსნი. და განდიდნა მეფე სპარსთა, რომელსა ერქუა ქეკაპოს“ (ლ. მრ. 14₅).

„ხოლო მას ჟამსა იყო ვინმე ლეკეთს, კაცი მგრინებელი, ნათესავი ხოზანიხიზისი. და მან გრძნებითა თჳსითა დააბრმო ქეკაპოს მეფე და სპა მისი, და ვერ შევიდა ლეკეთს, უკუმოქცა და მაშინლა განუნათლდა თუალები. ამან ქეკაპოს კუალად მოხარკე ყვნა ქართველნი და წარვიდა“ (ლ. მრ. 14₆).

„შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა კუალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი, ძე ზიოშ ბედნიერისა, რომელი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა“ (ლ. მრ. 14₂₁).

ამოსავალია საშ. სპარსული Kaikavus², რომლის მეორე ნაწილში გვაქვს ძვ. ირ. სახელი* Kava.Usa- (საშ. სპ. kavus, kayos, ქართ. კაოს, ქაოზ, ახ. სპ. سكو). პირველი ნაწილი kai მომდინარეობს ძვ. ირანული სიტყვიდან kava- (kavi — ტიტული, რომელიც ვგვხვდება კავატას მიერ დაარსებული დინასტიის მთავართა' — მეფეთა — საკუთარი სახელების წინ). შეადარეთ, მაგალითად, ავესტური: Kava.Vištāspa, Kava.Kavata-, Kava.Usa-, Kava.syāvaršān, Kava.Hausravah და სხვა³.

საშ. სპარსულ სახელში kaus, kayos, რომელიც Kava.Usa-სგან მომდინარეობს, როგორც ჩანს, დაიკარგა გავება kava სიტყვაში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად და საჭირო გახდა ხელახალი დამატება ტიტულისა kai (ძვ. kavay), რის შედეგადაც მივიღეთ სახელი Kai Kavus ან Kai Kayos.

რაც შეეხება ქართულ ფორმა ქეკაპოსს, იგი უნდა მოდიოდეს ახ. სპარსული ფორმიდან kaikabus, რომელიც kaikavus-ის გვერდით არსებობდა.

¹ B. A ო ა ე რ, ОЯФ. გვ. 170.

² H. Nyberg, Hfsb, II, გვ. 125.

³ AirWb, გვ. 442—443.

არაბ. *kaikabus* > ქეკაბუს > ქეკაპოს. „შაჰნამეს ქართულ ვერსიებში“ გვაქვს ქეკაოს, ქეკაოზ¹.

83. ლადამ.

„ი“: და მეფობდა ლადამი: და დღე: კ“ (მოქც. ქართ. 710_ა).

ლეონტი მროველთან ლადამის შესატყვისად გვაქვს ადამი, ხოლო ადამის დედას ეწოდება ლადანა, იხ. გვ. 54_{ა-11}.

ჩვენ ვფიქრობთ, ადამი აქ არაფერ შუაშია. არც ერთი ბიბლიური სახელი ჩვენ მეფეთა ამ ნუსხაში ამ დროისათვის არ გვხვდება და არც შეიძლება შეგვხვდეს, რამდენადაც საქმე ეხება ქრისტიანობამდელ პერიოდს. ეს სახელიც, ისე როგორც უმრავლესობა სახელებისა ამ ნუსხიდან, ირანული წარმოშობისა უნდა იყოს. შესაძლებელია ის დაუკავშირდეს სკვითურ სახელს *Γαδα*, რომელსაც მ. ფასმერი თვლის შემოკლებულ ფორმად ავესტური *gadāvara*-ს ტიპის სახელებიდან მნიშვნელობით *der die Wurfkeule führt*, ანდა ავესტური *gadā*-დან — *Räuber, Bandit* ნაწარმოებად. ლ. ზგუსტას შესაძლებლად მიაჩნია ეს სახელი დაუკავშიროს ძვ. სპარსულ სახელს *Γαδάτας* (= *gav- ga- + -dāta* „ზროხის მოცემული“)².

ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება აქ გვქონდა *gadāna* („ზროხის მოცემული“), სადაც *-āna* იყოს სუფიქსალური ელემენტი, გავრცელებული ირანულ საკუთარ სახელებში (ნ > მ — ჩვეულებრივია ქართულისათვის).

84. შიოშ ბედნიერი — სპარსთა მეფის ქაიხოსროს მამა.

„შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა კუალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი, ძე შიოშ ბედნიერისა, რომელი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა“ (ლ. მრ. 14₂₂).

„წარმოემართა ესე ძე შიოშისი, სახელით ქაიხოსრო“ (ლ. მრ. 15₁).

ამ სახელის ძველი ირანული ფორმაა *Syāvaršan*-³ ‘ირანელი მთაერის სახელი ქავიანთა დინასტიიდან’⁴, შვილიშვილი *Kavāta*-სი, მამა *Haosravan*-ისა. სახელი კომპოზიტს წარმოადგენს *syāva + aršan* ხ. ბართოლომე მას თარგმნის როგორც *der Rapphengste besitzt*. საშ. სპ. *Siyāvaxš*, ფაშ. *Syāvaxš*, ფარს. *Siyāvuxš*. ახალი სპარსული ფორმებია *Siyāvaxš*, *Siyāvaš*, *Siyāvuxš*, სომხურში გვაქვს *Շաւարշ* და *Շիօշ*.

¹ „შაჰნამე“, I, გვ. 3. შენიშვნა 2.

² L. Zgusta, Personennamen..., § 91.

³ Chr. Bartholomae, *AirWb*, გვ. 1631.

⁴ *Աճառյաշ, Անձ. բառ.*, IV, გვ. 115.

ქართულში ძველთაგანვე დამკვიდრებულია ეს სახელი სხვადასხვა ფორმით: ძველი ირანული ან საშ. სპარსული ფორმით შემონახული გვაქვს იგი გვარ-სახელებში სავარსამის-ძე (ავ. *Syāvaršān*) და შარვაშის-ძე (ალბათ არშაკიდული ფალაურიდან **Syāvarš* — შდრ. სომხ. *šavarš*). ქართული შიოში კი, ისე როგორც სომხური *Šioš-*, ეყრდნობა ახალ სპარსულ ფორმას *Siyāvusš-*, ანდა სომხურის მეშვეობით არის შემოსული ქართულში.

„შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებში წარმოდგენილია სიოშის სახით:

„მეფემან ბრძანა: „სახელი მისი სიოშ არისო“ (2950₁).

„მივიდეს, როსტომ თანა დგას სიოშ პილოს ტანითა...“ (2957₃).

„ოქროსა ტახტსა სიოშ გვერცა დაისვა ლხინითა,
ლალისა თეფში სევდაოზ მას წინ დაუდგა ხილითა“

(2972₃).

ეპითეტი ბედნიერი ქართულში ალბათ გადმოსცემს სიოშის რომელიაე სპარსულ შერქმეულ სახელს მნიშვნელობით 'ღვთის მოსავი, ნეტარი, მართალი' და მისთანანი.

შ. ხუანხუა — ოვსი ბუმბერაზი.

„და ვითარ განთენდა, კუალად განვიდა მუნვე ამაზასპ და აღიხუნა ოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი, რომელსა ერქუა სახელი ხუანხუა; იგი გამოორჩეულ იყო სპათა შორის ოვსთასა“ (ლ. მრ. 56₉).

ეს. მილერის აზრით, ეს სახელი მოგვაგონებს ოსურ სახელებს, რომლებიც გადმოსცემენ რაიმე სურვილს (დალოცვის შესავსი): დიგორულად *Χοιρυα* ნიშნავს: 'იყავ მთა', ე. ი. 'მთასავით მაღალი', ანდა შესაძლოა იგი წარმოადგენდეს დამახინჯებულ ფორმას სიტყვიდან *Χυῖνχαρ* 'მთიელი, მთიული'². ეს. მილერი და მისი მიხედვით მ. ფასმერიც შესაძლებლად თვლიან ოსური *Xuānxaq* დაუკავშირონ სკვითურ სახელს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებიდან (*Tanais*, 454, 19) *Χαυχαι(ς) Νε[ρ]α[τωνε(χαι)]*; ლ. ზგუსტას³ აზრით კი ასეთ დაკავშირებას ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლება ელოდება წინ. მაგრამ ზგუსტასთვის უცნობია, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში ეს ოსური სიტყვა გვხვდება ოსი ბუმბერაზის

¹ „შაჰნამეს ქართული ვერსიები“, II, გვ. 2, 3, 5 და სხვა.

² В. Миллер, Осетинские этюды, III, გვ. 28, შენიშვნა I.

³ L. Zgusta, Die Personennamen., § 339.

საკუთარ სახელად, რაც მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს მიღერის მიერ სკვით. *Xauxakos*-თან მის დაკავშირებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ქართული საკუთარი სახელი ხუხა (გვარში ხუხაშვილი), რომელიც შესაძლოა წარმოადგენს გვიანდელ გადმოცემას ძვ. ქართ. ხუანხუასი და კავშირში იყოს სკვით. *Xauxaxi(ς)*-თანაც.

ხუანხუა > *ხუანხა > *ხოხა > ხუხა, შეადარეთ სახელი ჯუანშერ > ჯონშერ || ჯონბერ > ჯუმბერ და მისთანანი.

შენიშვნა: დღევანდელ ოსურში მთა არის *xox* (მრ. *xuxtæ*), ხოლო მთიული, მთიელი, მთისა — *xoxag* — ეს უკანასკნელი ირონული ფორმა, ჩვენ ვფიქრობთ, უფრო ახლოა სკვითური სახელის ფორმასთან *Xauxaxi(ς)*.

ხახუა არშის ძე (კახი დიდებული, ივანე არშის ძის ძმა, მარანის ციხის პატრონი):

„და ცახე მარანისა ჰქონდა მაშინ ხახუასა, არშის ძესავე. ძმასა ივანესსა“ (მატ. ქართ. 268₁₆).

შეიძლება ეს ხახუაც ხუანხუა-საგან იყოს მიღებული. აღანურ-ოსური სახელები უცხო არ არის კახელ მეფეთა და დიდებულთათვის. შდრ. აღსართანი.

86. ხუარა.

1) ხუარა — „მოგვ მთავარი სპარსი“ მირიან მეფის დროს (ნანა დედოფლის დედის ძმა, რომელიც წმინდა ნინომ განკურნა):

„და შემდგომად მისა მოგვ მთავარი სპარსი ხუარა სნეულ-იყო: სულითა უკეთურითა ფიცხლად: იგუემებოდა სიკუდილ მიწვენულ იყო და იყო მთავარი იგი დედის ძმამ: ნანაჲსი დედოფლისაჲ“ (მოქც. ქართ. 768₆).

„შემდგომად ამისსა მოგვ იგი მთავარი სპარსი, სახელით ხუარა, სნეულ იყო, სულითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, და სიკუდილსა მიახლებულ იყო, და იყო მთავარი იგი ნათესავისაგან მირიან მეფისა“ (ლ. მრ. 106₆).

2) ხუარა — „მეფე სპარსთა“ და ხუარან ხუარა — მეფეთ-მეფე:

„ზ მე ვტიროდე მამისათჳს და ნათესავთა ჩემთათჳს: და მწრაფლ მესმა ვმობდეს: ძლიერად: ამას ბრძანებს მეფე სპარსთაჲ ხუარა: და მეფეთ მეფე ხუარან ხუარა: ყი ჰურიჲჲ განარინეთ პირისაგან მახვლისა“ (მოქც. ქართ. 778₆).

„სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუან ხუარა საბასტანით გუშინ წარმოხუედითა: მალე მოხუედით: დიდად სამე არს ლაშქარი“ (მოქც. ქართ. 779₁)

ქელიშურ ვარიანტში — „ხოვარ, ხორან, ხორან“.

„და მსწრათლ ისმოდა, კმობდეს რა ძლიერად: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურია განა-რინეთ პირისაგან მახულისა“ (ლ. მრ. 113₁₀).

„მიექცა ერსა მას მომავალსა და რქუა: „სადა არიან მედენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დაღეწეთ ქალაქი ესე...“ (ლ. მრ. 113₁₉).

3) ქრამ ხუარ-ბორ ზარდ—სპარსთა მეფისა პიტიახში:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“:

„და მაშინ მოვიდა: ქრამ ხუარ ბორ ზარდ: სპარსთა მეფისა პიტიახში: ტფილისად ქლქდ: ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა: და სომხითი და სიენითი: და გუასპურაგანი“ (მოქც. ქართ. 720₁₃).

ქელიშურ ვარიანტშია: „მაშნ მოვიდა ხუარ სპარსთა მეფისა პიტიახში...“

X^{ar} საშ. სპარსულად ნიშნავს ‘შზეს’, ახ. სპარსული *خو-შზე*, ავ. *h^{ar}-შზე*, სომხ. *խոր* ‘შზე’, გამოთქმა *x^{ar}ān x^{ar}* ნიშნავს ‘შზეთა მზეს’. შდრ. *šahān šāh* ‘მეფეთა მეფე’. სომხურში გვხვდება სახელები *Մորչահ*¹ — ‘შზე მეფე’ > საშ. სპ. *x^{ar}šāh*-იდან, *Մորտիկին* ‘შზე დედოფალი’. შდრ. *მზეხათუნი*.

ბ7. ხუარანძე, ხუარამზე — ვახტანგ გორგასალის და:

„მიუდგა დედოფალი საგდუხტ და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი ხუარანძე“ (ჯუანშ. 143₂).

-და დაუტევნა განმგებელად სამეფოსა თჳსისა დედამისი საგდუხტ და დაჲ მისი ხუარანძე, და დაწერა ანდერძი ესრეთ: „უკეთუ არ-ლარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი ხუარანძე შეირთოს მირი-ან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმასწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფი-სა, მან შეირთოს დაჲ ჩემი, და მან იაყრას მეფობა“ (ჯუანშ. 151₆).

„და მარტო იყო იგი ძე მამისა მისისა, და ერთი დაჲ მისი ხუარანძეცა იყო ძლიერი და შუენიერი. და ნათესავისაგან მი-რიან მეფისა მორწმუნისა ვახტანგ და დანი მისნი დარჩომილ იყ-ვნეს: იგინი იყვნეს ნათესავი ბაქარ მირიანის ძისა“ (ჯუანშ. 159₇).

¹ *Ա ճ ա ո յ ա ն, Ա ն ձ. ք ա ո., II, გვ. 541.* ქართულ სახელს ხვარეშანი, ხორეშანი აპარიანი მიღებულიად თვლის სომხ *Մորչահ*-იდან. უფრო სწორი იქნებოდა ამოსავლად მიგვეჩნია საშ. სპ. **x^{ar}ānšāhān* ფორმა.

„და მისცა სპარსთა შეფესა დაჲ მისი ვახტანგ მეფემან ცოლად, რომელსა ერქუა მირანდუხტ, რომელი წარტყუენულ იყო ოვსთაგან და გამოეგნა ვახტანგს. ხუარანძე ამისათჳს არა მისცა, რამეთუ დაწინდებულ იყო სომეხთა პიტიახშისა“ (ჯუანშ. 185_ჟ).

„ხოლო ვახტანგს ევედრნეს დედა და დაჲ მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალიმს“ (ჯუანშ. 186_ჟ).

„და თჳთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებიტა უზომოტა. და დაჲ მისი ხუარანძე მისცა ბაკურს ცოლად, პიტიახშსა სომხითისასა“ (ჯუანშ. 199₁₇).

ფ. იუსტი¹. ქართ. Xwarandze-ს აიგივებს სომხ. Pharandzem-თან, მაგრამ მის ირანულ ეტიმოლოგიას არ იძლევა. შესაძლოა ეს იყოს *X^rarānzān 'მზე ქალა' (X^rar 'მზე' + zān 'ქალი'). შდრ. ფალ. x^rar 'მზე', ავ. hvar-, სკრ. svar-, ახ. სპ. xur, hur, hor; საინტერესო ფორმა გვაქვს დაცული ამ შემთხვევაში სომხ. P^raranzem-ის სახით. თავკიდური x^r||f ირანულში დიალექტურად ენაცვლებიან ერთმანეთს. შეადარეთ ძვ. სპ. farna- და x^rarənah- ავესტაში, ფალ. x^rarr, ახ. სპ. farrah, farr და xurrah. საინტერესოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე დაპირისპირება ფორმებისა ჰრომნი — ჰრომაელებრ და ფრომინებრ, ე. ი. რომაულად (ოხთაფში). შესაძლოა ხვარანძეში პირველ ელემენტად გვექონდეს იგივე x^rarr და farn 'ბრწყინვალება, დიდება' (და ეს უფრო მეტად შესაძლებელიც არის, რადგან სწორედ ამ სიტყვაში გვხვდება პარალელური ფორმები x^r და f-თი თავკიდურში). ქართ. ხვარამზე მიღებულია ამ სახელის შემდგომში ქართულად გააზრების ანუ ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე.

ჩვენ წინათ ვფიქრობდით, რომ ფორმისათვის ხვარანძე ამოსავალია ქართ. ხვარამზე და ჩვენ აქ, მაშასადამე, საქმე გვაქვს სინონიმურ პარალელთან, ხოლო ხვარანძე — ხვარამზის ფონეტიკური ვარიანტია. მაგრამ, როგორც ჩანს, უძველეს ფორმად უნდა ჩავთვალოთ ხვარანძე — ჯუანშერზე უფრო ადრე, სადაც ეს სიტყვა ამ სახითა გვაქვს, იგი არ უნდა გვხვდებოდეს.

§8. ხსართან — მღვდელი (რომლის ხელით სამოელ ქართლისა კათალიკოსმა, „აბოს წამებაში“, გაუგზავნა წერილი იოვანე საბანის ძეს):

„ამისთჳსცა მოვაგლინე წიგნი ესე ჩემი ჳელიტა ხსართან მღდელისა ჩემისაჲტა“ (აბო, 177₃₁).

¹ F. Justi, IN, გვ. 181, 91.

„მარადის საწადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებაჲ ღმრთივ პატრონისა მამფლისაჲ და უფლისა ჩემისაჲ მოვიღე კელითა სიწინილის მოყუარისა ხსართან მღდელისაჲთა, რომლისათჳსცა აპყრობითა კელთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა უღირსებამან ჩემმან...“ (აბო, 178₆).

ჩრდილო-ირანულ-სკვითური წარმოშობის სახელია. შეადარეთ სკვით. საკ. სახელები ბერძნული ტრანსკრიფციით $\Xi\acute{\alpha}\rho\tau\alpha\mu\omicron\varsigma$, $\text{K}\alpha\upsilon\acute{\alpha}\xi\acute{\alpha}\rho\mu\omicron\varsigma$, $\Delta\alpha\upsilon\eta\acute{\alpha}\xi\acute{\alpha}\rho\mu\omicron\varsigma$, $\Phi\alpha\rho\upsilon\acute{\alpha}\xi\acute{\alpha}\rho\mu\omicron\varsigma$ და სხვა. ოსურში დადასტურებულია სახელები Xsart და Xsartæg (ნართული ეპოსის გმირთა სახელები)¹. ამოსავალი ხსართან-ისათვის არის ძვ. ირ. *Xšairāna- (ავ. xšairā-დან 'შეფობა, სამეფო' + სუფიქსი -āna). შდრ. სკრ. kšatra-, ძვ. სპ. xšassa-, მეტათეზი $\text{r} > \text{rt}$ დამახასიათებელია ირანულ ენათა ჩრდილო, ანუ სკვითური დიალექტური წრისათვის.

ფ. იუსტის მოჰყავს ბერძნული ფორმა $\Xi\acute{\alpha}\rho\tau\alpha\mu\omicron\varsigma$ ². ამავე სახელთან გვაქვს საქმე ალსართან-ში, სომხ. *Աղսարխան* (სადაც ა პროთეტიული ხმოვნისაგან არის მიღებული, რომელიც ხშირია ირანულში და, კერძოდ, დამახასიათებელია ოსურისათვის. შდრ. æxsar , axsart , და სხვა).

აჭარიანს ალსართანი გამოჰყავს თურქული სიტყვიდან *اقصان*, *آقصان* 'კოჭლი', რაც არ არის გამართლებული არც ფონეტიკურად და არც ისტორიულად³.

ალსართანი შირვანშაჰების სახელია, სპარსულში ის დადასტურებული ყოფილა Axsatān -ის ფორმით, მაგრამ ქართულში და სომხურში უფრო ძველი ფორმებია დაცული, განსაკუთრებით კი აბოს წამების ხსართან-ში, რომელიც უეჭველია ამ სახელის უძველეს ფორმას წარმოადგენს. საინტერესოა ამ მხრივ აგრეთვე მეგრული გვარი სართანია, რომელიც ალბათ ხსართანიდან მოდის.

ქართულ საისტორიო წყაროებში სახელი ალსართანი გვხვდება:

1) ალსართან I—გაგიკის ძე, კახეთის მეფე:

„და მას ჟამსა იყო მცირედითა საქონლითა მეფე კახეთისა ალსართან, ძე გაგიკისი“ (მატ. ქართ. 308₂₅).

„ხოლო ალსართან მიერთო სულტანსა. მიუძღუნა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცვა წინა, აღუთქუა ხარაჯა; და მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე...“ (მატ. ქართ. 309₁).

¹ B. A ო ა ე ბ, ОЯФ, გვ. 188.

² F. Justi, IN, გვ. 174.

³ *Աղսარქან*, Անბ. բար. I, გვ. 112.

